

# საუნჯე

1987/2

მარტი  
აკრილი



## შინაბარსი

### პროზა და პოეზია

მიურელ სპარკი. მისს ჯინ ბროდის გაფურცმენის ხანა. რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან შერვაშიძემ	8
ალექსანდრ პუშკინი. ლექსები. თარგმნეს მიხეილ ქვლივიძემ, ბათუ დანელიამ, ლია უიფიანმა, ვახტანგ ხარჩილაძემ, თედო ბეჭიშვილმა	69
მარინა ცვეტაევა. ამბავი სონეტების. დასასრული. თარგმნა რუსუდან ქეხულაძემ	71
ფრანც ბრილპარცერი. ოპროს საფმისი. პიესა. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	141
კლუტარძე. ბიოგრაფიები. ძველბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო აკაკი ურუშაძემ	155
ფრანგული პოეზია. ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ხალუქვაძემ	212
ბელა ახმადულინა. ლექსები. თარგმნა მარი აბრამიშვილმა	216
ანატოლი ალექსინი. მესამე მხუთე რიგში. მოთხრობა. თარგმნა მზია კობახიძემ	218
ალექსანდრ ბლოკი. თორმეტი. თარგმნა ავთანდილ ხარაიშვილმა	241
ფ. სკოტ ფიცჯერალდი. პარიზის ახალი ამბავი — თხუთმეტი წლის წინ. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა მარინე ხოსიტაშვილმა	247
ოსკარ უაილდი. პეთილისმგნელი. ლექსი პროზად. ინგლისურიდან თარგმნა მარინე ხოსიტაშვილმა	252

### წერილები

ინდოეთის უძველესი საუნჯე. ჩანდოგია უფანიშად. თარგმნა ლერი ალიშონაძე	253
ნოვალისი. საპრისტინაო ანუ ევროპა. გერმანულიდან თარგმნა ვაგა ჩხეიძემ	273
ზურაბან გამაზაშვილი. როგორც ბერნის სატირა.	282
ფრიც კიუნლენცი. ძრისტინა ვულფიუსი. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ	290
ბუბაშ უორანაშვილი. საკუთარი ეროვნული ინდივიდუალობის ძიებაში.	301
სერგო თურნავა. ქართული მწერლობის დიდი გეგობარი	305
ფილიპ კიუსმანი, მ. გ. დორთი. ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი	310



საქართველოს მფარველთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის მრთველური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

**მუსრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აკიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. მკ. მდივანი).

მაგალი თოდუა

ნოდარ ქაქაბაძე

ზურაბ კიქნაძე

პახუშტი კოტეტიშვილი

რომან შიშინოშვილი

გიორგი ნიშნიაშვილი

ოთარ ნოდია

დალი ჭანჭიკიძე

რუსუდან ქაბულაძე

იორაბ ქაშვრტაძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივწივაძე

რაზო ჭიჭიშვილი

გარეკანზე: ანრი და ტულუზ-ლოტრეკი. ლა გულუ მუღინ რუჟი

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნოლოგიური რ. იმნაიშვილი  
გამომშვები ნანა ბარათია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დავით აღმაშენებლის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან შარვაშიძე

თავი III

3 დიოდა დღეები, ქარი კვლავ ფორტიდან უბერავდა. ნუ ვი-  
ფიქრებთ, თითქოს გაფურჩქვნის ხანს მიღწეული მისს ბროდი,  
რალაც უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა ან სრულ ჭკუაზე ვერ იყო. მისი, ასე  
ვთქვათ, „უჩვეულობა“ მხოლოდ იმით აიხსნებოდა, რომ იმ ტიპის სასწავლო  
დაწესებულებაში ასწავლიდა, როგორიც მარსია ბლეინის სკოლა გახლდათ. მისი  
ბროდისნაირი შინაბერები კი, რომლებსაც ახლობლები ომში დაეღუპათ და თა-  
ვიანთ მარტოობას ახალი იდეების აღმოჩენებით განათლების, რელიგიის, ხე-  
ლოვნებისა და სოციალური კეთილდღეობის დარგში მოღვაწეობით ივსებდ-  
ნენ, 30-იან წლებში მრავლად იყვნენ. ედინბურგის მოწინავე შინაბერები სკო-  
ლებში არ მასწავლებლობდნენ, მით უმეტეს ისეთ ტრადიციულ სასწავლებ-  
ლებში, როგორიც მარსია ბლეინის ქალთა სკოლა გახლდათ. სწორედ ამი-  
ტომაც მიაჩნდათ ამ სკოლის შინაბერა მასწავლებლებს, მის ბროდის მისთ-  
ვის შეუფერებელი ადგილი უჭირავსო. მას კი მართლაც ღირსეული ადგილი  
ეჭირა თავისნაირთა შორის, როგორიც იყვნენ გარდაცვლილი ან უნიჭო კო-  
მერსანტების, მღვდლების, უნივერსიტეტის პროფესორების, ექიმების, დიდი  
მალაზიებისა ან თევზის სარეწების ყოფილი მფლობელების ენერგიული ქა-  
ლიშვილები, რომელთაც მამებისაგან მემკვიდრეობით მახვილი გონება, ვარ-  
დისფერი ლოყები, ცხენივით აღნაგობა, ლოგიკური აზროვნების უნარი,  
სულის სიმზნევე და საკუთარი სახსრები ერგოთ.

ყოველდღე, დღის სამ საათზე ისინი ედინბურგის დემოკრატიული სა-  
ბაულოს დახლთან იკრიბებოდნენ და მეპატრონეებთან ათასგვარ რამეებზე  
კამათობდნენ. აინტერესებდათ ბიბლიის უტყუარობა, თუ რას ნიშნავდა  
ჯემის ქილებზე მიწერილი სიტყვა „გარანტირებულია“, ესწრებოდნენ ლექცი-  
ებს, ცდილობდნენ როგორმე ადვილად გაეტანათ თავი თხილით და თაფლით,  
გერმანული ენის გაკვეთილებსაც იღებდნენ და მერე ფეხით მოგზაურობდნენ  
გერმანიაში, ნაყიდი ფურგონებით მიდიოდნენ მთებში, ტბაზე, უკრავდნენ  
გიტარას და ყველა პატარა თეატრალურ დასს ეხმარებოდნენ, ბინებს გარეუბ-  
ნებში ქირაობდნენ, მეზობლებს საღებავის ქილებს ურიგებდნენ და თან  
ასწავლიდნენ, როგორ გაელამაზებინათ ბინები. ისინი მერი სტოუპსის<sup>21</sup> იდე-

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1.

ქაიჯ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

18513



ებს ქადაგებდნენ, ოქსფორდის ჯგუფის შეკრებებს ესწრებოდნენ და ფიზიკ-  
ლად აღევნებდნენ თვალს სპირიტულ სენასებს. ზოგი შოტლანდიის ეროვნულ  
მოძრაობაშიც მონაწილეობდა, ზოგი კი, მის ბროდის მსგავსად, თავს ევრო-  
პელად რაცხდა და ედინბურგს ევროპის დედაქალაქს ჰიუმის<sup>22</sup> და ჰუტჩინსონის<sup>23</sup>  
ქალაქს ეძახდა. ისინი არც ქალთა კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას  
და არც სკოლებში მასწავლებლობდნენ. კომიტეტის შინაბერები ძალზე  
უპრეტენზიო და მშვიდი ხალხი იყო — გულმოდგინედ მუშაობდნენ და ეკ-  
ლესიაშიც დროულად დაიარებოდნენ. სკოლის გაუთხოვარი მასწავლებლები  
ზედმიწევნით წესიერ ცხოვრებას ეწეოდნენ: მსახურობდნენ, მოხუც მშობ-  
ლებთან ცხოვრობდნენ, მთებშიც დადიოდნენ სასეირნოდ, დასვენების დღე-  
ებში კი ნორტ-ბერვიკს მოინახულებდნენ ხოლმე.

მისს ბროდისნაირი შინაბერები ენად იყვნენ გაკრეფილნი. ისინი ფემინის-  
ტები გახლდნენ და, როგორც ყველა ფემინისტი, მამაკაცებს ყოველგვარი  
მორიდების გარეშე ელაპარაკებოდნენ.

— აი, რას გეტყვით, მისტერ გედის, მუშათა კლასის პრობლემები რომ  
გადაიჭრას, შობადობაზე კონტროლის დაწესებაა საჭირო. ყველა ოჯახს რომ  
უფასოდ...

სამ საათზე მდიდარ მეზაყლეთა დახლებთან რომ შეიკრიბებოდნენ და  
საუბრობდნენ, მაშინ ხშირად მოჰყრავდით ხოლმე ყურს ამგვარ დიალო-  
გებს:

— მისტერ ლოგან, მართალია, ჩემზე უფროსი ბრძანდებით, მაგრამ მე  
ჭალი ვარ, თანაც გაფურჩქვნის ხანაში, და გეტყვით, რომ პროფესორ ტოვის  
საკვირაო კონცერტებზე უფრო მეტი ღვთაებრივი სული სუფევს, ვიდრე  
თქვენს პრესვიტერიანულ წირვებზე.

ასე რომ თავისი ქცევით მისს ბროდი არაფრით არ გამოირჩეოდა მათ-  
გან. სულ სხვა იყო მისი შინაგანი სამყარო, რომელიც, არავინ უწყის, სადამ-  
დე მიიყვანდა მას. სკოლის სხვა მასწავლებლებისაგან იმით განსხვავდებოდა,  
რომ ჯერ კიდევ განვითარების სტადიაში იმყოფებოდა. მათ კი, მას მერე, რაც  
ოცი წლისა გახდნენ, აღარც შეუცვლიათ თავიანთი შეხედულებანი, განსა-  
კუთრებით ეთიკის საკითხებზე, ყოველ შემთხვევაში ვერ გაებედათ. ამქვეყ-  
ნად არაფერი იყო ისეთი, მისს ბროდის არ შეძლებოდა და კიდევ იკვებნი-  
და ამას. მასწავლებელი, რომელიც გოგოებს ასე ეუბნებოდა: „ახლა მე გა-  
ფურჩქვნის ხანაში ვარ. თქვენ ჩემი გაფურჩქვნის ნაყოფს იმკით“, — ჯერ  
ჩამოყალიბებული მისს ბროდი არ იყო, არამედ პიროვნება, რომელიც მათ  
თვალწინ ყალიბდებოდა, როგორც გოგოები, რომლებიც ის-ის იყო ყალიბ-  
დებოდნენ.

აგერ უკვე ოცი წლის ხდებოდნენ გოგოები და მისს ბროდის გაფურჩქ-  
ვნის ხანა ისევ გრძელდებოდა. პრინციპები, რომლებითაც იგი თავისი გა-  
ფურჩქვნის ხანის დასასრულში ხელმძღვანელობდა, ალბათ და აწყისში თვი-  
თონვე გააკვირვებდა.

ათას ცხრაას ოცდათერთმეტი წლის ზაფხულის არდადეგებზე მისს ბრო-  
დის გაფურჩქვნის ხანაში შესვლის პირველი წლისთავი აღინიშნა. მოახლოე-  
ბული სასწავლო წელი მისს ბროდის შეგირდებისათვის, ასე ვთქვათ, განჰკრე-  
ტის წელი გახლდათ. ამ დროს გოგოები თერთმეტ-თორმეტი წლისანი იყ-  
ვნენ და ეს წელი მათთვის უამრავი სულის ამაფორიაქებელი აღმოჩენებით



იყო სავსე. შემდგომში სექსი მათი ცხოვრების მხოლოდ შემადგენელ ნაწილად იქცა. იმ წელს კი გოგონები ამის გარდა არაფერზე ფიქრობდნენ.

მეოთხედი ჩვეულებრივ მხნედ დაიწყო. მზემოკიდებული მისს ბროდი კლასში იდგა და ყვებოდა:

— არდადეგები მეტწილად იტალიაში გავატარე. ერთი კვირა ლონდონში დავყავი. თან უამრავი სურათი ჩამოვიტანე და შეგვიძლია კედელზე დავკიდოთ. აი, ეს ჩიმაბუეს<sup>24</sup> ნახატებია. ეს კი მუსოლინის ფაშისტთა დიდი რაზმია. შარშანდელ სურათს ჯობია, ამაზე უკეთესად ჩანს. პირდაპირ გასაოცარ რამეებს სჩადიან, მერე მოგიყვებით. ჩემს მეგობრებთან ერთად რომის პაბთან გახლდით მიღებაზე ყველა მის ბექედს ემთხვია. მე კი ვიფიქრე, მის ხელთან თავის დახრა უფრო უპრიანი იქნება-მეთქი. გრძელი შავი კაბა მეცვა, მაქმანიანი მოსასხამით და უნდა ვითბრათ საუცხოოდ გამოვიყურებოდით. ლონდონში ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც ძალზე შეძლებულად ცხოვრობენ, — მათ პატარა გოგონას ორი აღმზრდელი ჰყავს, ანუ ძიძა, როგორც ინგლისში ეძახიან — ა. ა. მილნთან<sup>25</sup> წამიყვანეს. პოლში ბოტიჩელის „primavera“<sup>26</sup>-ს რეპროდუქცია ეკიდა. წითელი ყაყაჩოებით გაწყობილი შავი აბრეშუმის კაბა მეცვა. სახეზე ძალიან მიხდება... მუსოლინი მსოფლიოს უდიდესი ადამიანია — რამსდე მაკდონალდი<sup>27</sup> მასთან ვერც მივა-მისი ფაშისტები კი...

— დილა მშვიდობისა, მისს ბროდი. დილა მშვიდობისა, გოგონებო. დასხედით, — თქვა სკოლის დირექტორმა, რომელიც შურდულივით შემოვარდა კლასში და კარი ფართოდ მოღიავებული დატოვა.

მისს ბროდიმ თავი მედიდურად ასწია, ზურგს უკან ჩაუარა დირექტორს და კარი ძალზე მრავალმნიშვნელოვნად მიხურა.

— მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე, — თქვა მისს მაკეიმ, — მალე უნდა წავიდე. მაშ ასე, გოგონებო, დღეს ახალი მეოთხედი დაიწყო, გული ხომ არ გაგვტეხია? არა. წელს ყველა საგანში ბეჭითად უნდა იმეცადინოთ, რომ გამოცდები წარმატებით ჩააბაროთ. გახსოვდეთ, მომავალი წლიდან საშუალო სკოლაში გადახვალთ. იმედია, ყველამ კარგად გაატარეთ ზაფხული, გაშავებულხართ კიდევ. თავის დროზე ალბათ წავიკითხავ თქვენს თხზულებებს იმაზე, თუ როგორ გაატარეთ ზაფხული.

მისს მაკეი კლასიდან რომ გავიდა, მისს ბროდი კარგა ხანს დაყინებით მიშტერებოდა კარს. ჯუდიმ, რომელიც ბროდის „ტომში“ არ ირიცხებოდა, ჩაიხიბხითა.

— ხმა ჩაიკმიდუ! — დაუყვირა მისს ბროდიმ, იგი დაფისკენ მიტრიალდა და ზედ დაწერილი მაგალითი ჩვრით წაშალა. იმ შემთხვევისათვის, თუ მათემატიკის გაკვეთილზე ვინმე შემოვიდა, მაგალითი ყოველთვის წინასწარ ეწერა დაფაზე, თუმცა ამ დროს შეიძლებოდა სრულიად სხვა რამით ყოფილიყვნენ დაკავებულნი. დაფა რომ წაშალა, მოტრიალდა და კლასს მიმართა.

— გული არ გაგვტეხია, არა, გული არ გაგვტეხია, — არა, როგორც ვამბობდი, მუსოლინიმ დიდი საქმე გააკეთა და შარშანდელთან შედარებით თითქმის მთლიანად მოსპო უმუშევრობა. ამ მეოთხედში ბევრ საინტერესო რასმე მოგიყვებით. როგორც იცით, არ მიყვარს, როცა ბავშვებს ისე ელაპარაკებიან, თითქოს მათ არაფერი ესმოდეთ. თქვენ უფრო მეტი გესმით, ვიდ-



რე ეს უფროსებს ჰგონიათ. განათლება ანუ „ედიუკაციი“ ნიშნავს „გარეთ გამოტანას“. გამოცდები გამოცდებია, მაგრამ ის, რაც მე იტალიაში ვნახე და რაზეც მოგიყვებით უფრო გამოგადგებათ. რომში მარქსიზმის კოლიზი ვნახე, სადაც გლადიატორები ილუბებოდნენ და სადაც მოხვებს ლომებს მიუგდებდნენ დასაგლეჯად. ერთმა ხეპრე ამერიკელმა მითხრა: უზარმაზარ ქვის სამტეხლოსა ჰგავსო. ამერიკელები ნაზალიზაციით ლაპარაკობენ. მერი, აბა მითხარი, რას ნიშნავს ნაზალიზაცია?

მერიმ არ იცოდა.

— ყოველთვის ბატი იჯავო და ასევე დარჩები — უთხრა მისს ბროდომ.  
— იუნის, შენ მიპასუხე.

— ცხვირში ლაპარაკს. — მიუგო მან.

— სრული პასუხი გამეცო, თუ შეიძლება. — უთხრა მისს ბროდომ. წელს სრულ პასუხებს უნდა მიეჩვიოთ და ვეცდები შეგახსენოთ ეს წესი. სწორი პასუხი ასე იქნება: ნაზალიზაცია ცხვირისმიერი ბგერების წარმოთქმას ნიშნავს. იმ ხეპრე ამერიკელმა თქვა: უზარმაზარ ქვის სამტეხლოს ჰგავსო. ღმერთო ჩემო! ეს იმ ადგილზე, სადაც გლადიატორები იბრძოდნენ. „ჰაილ, კეისარო!“ — ყვიროდნენ ისინი. — „სასიკვდილოდ მიმავალნი სალამს გიძლენიან“

მისს ბროდის ყვესთურობა ყბა ეცვა. ხელი გლადიატორივით მალლა აეწია და თვალები მახვილივით უელავდა.

— ჰაილ კეისარო! — კვლავ დაიყვირა მან და გაბრწყინებულმა ფანჯარისკენ გაიხედა, თითქოს კეისარი მდგარიყოს იქ.

— ფანჯარა ვინ გააღო? — იკითხა მისს ბროდომ და ხელი მოწყვეტით დაუშვა.

პასუხი არავინ გასცა.

— სულერთია, ვისაც არ უნდა გაეკეთებინა, მეტისმეტად კი გაუღია. — თქვა მისს ბროდომ. — ექვსი დღეში სავსებით საცმარისია, მეტი უკვე ვულგარულიც კია. ზომიერების გრძნობა დაბადებიდან უნდა დაჰყვეს კაცს. ცბრლის მიხედვით ახლა ისტორიის გაკვეთილი გვაქვს. ამოიღეთ ისტორიის სახელმძღვანელოები და ხელში დაიჭირეთ: ცოტას კიდევ მოგიყვებით იტალიაზე. შადრევანთან ერთი ახალგაზრდა პოეტი გავიცანი. აი, ამ სურათზე კი დანტეა, რომელიც პონტე ვეკიოზე პირველად ხვდება ბეატრიჩეს — ასე გამოითქმება იტალიურად ბეატრის, და ძალზე ლამაზედაც ელერს. ამ წუთში დანტე უკვე შეყვარებულია მასზე. მერი, გასწორდი. ნუ იკუზები. ეს ამაღლებული სიყვარულის დიადი წუთი იყო. ვინ დახატა ეს სურათი?

არავინ არ იცოდა.

— იგი როსეტომ<sup>28</sup> დახატა. ვინ იყო როსეტო, ჩენი?

— მხატვარი. — მიუგო ჩენიმ.

მისს ბროდის მზერაში ეჭვი გამოსჭვივოდა.

— და გენიოსი, — მიეშველა მეგობარს სენდი.

— ის მეგობრობდა... — უკარნახა მისს ბროდომ.

— სუინბერნს<sup>29</sup> — უპასუხა ერთ-ერთმა გოგონამ.

— ყოჩაღ, არ დაგვიწყებიათ, — თქვა და მზერა მოავლო კლასს.

— ყოველ შემთხვევისათვის, ვინმე რომ შემოგვესწროს, ისტორიის სახელმძღვანელოები ხელში გეჭიროთ. — მერე კარს ცერად გახედა და მშვე-



ნიერი. წაბლისფერთმიანი რომაული თავი საკუთარი ღირსების შეგნებით მაყად ასწია. ხშირად უთქვამს გოგოებისთვის, პიუ ჩემი რომაული გარეგნობით იყო მოხიბლულიო.

— გაისად, — თქვა მისს ბროდიმ, — ისტორიას, მათემატიკასა და ენებს სპეციალისტები შეგასწავლიან. ყველა საგანში ცალკე მასწავლებლები და კლასები ლეზბიანობით და გაკვეთილი ორმოცდახუთ წუთს გასტანს. მაგრამ ამ ბოლო წელიწადს, სანამ მე გასწავლით, ჩემი გაფურჩქვნის ხანაში ყველაფერს თქვენ მოგიძღვნი და ამ ცხოვრებაში გამოგადგებათ. მოდით, სანამ ჯერ არ დაგვიწყებია, ჟურნალში აღვნიშნოთ, დღეს გაკვეთილს ვინ ესწრება. ჩვენ ორი ახალი გოგონა შემოგვემატა. აბა, ადექით გოგოებო.

ისინი წამოდგნენ და ფართოდ გახედილი თვალები მისს ბროდის მიაბყრეს, რომელიც მაგიდას მიუჯდა.

— თქვენც მალე მიეჩვევით ჩვენს წესებს, რომელ სარწმუნოებას მიეკუთვნებით? — ჰკითხა მისს ბროდიმ, რომელსაც ხელში კალმისტარი მოეშარჩევებინა. გარეთ კი, სკოლის თავზე, ფერთ-ოფ-ფორტიდან მოფრენილი თოლიები დაფრინავდნენ ხეთა მწვანე და თქროსფერი წვეროკინები სკოლის ფანჯრებისაკენ გადმოხრილიყვნენ.

**მოდით, შემოდგომა, წითლითა და ყვითლით მორთული,  
და შენეული ჭკნობის ხიბლით გამითბე სული...**

— ეს რობერტ ბერნსია, — თქვა მისს ბროდიმ და ჟურნალი დახურა. — ახლა ოცდაათიანი წლების შუახანებში ეცხოვრობთ. მაგიდის უჯრაში მისტერ ლოუტერის ნაჩუქარი ოთხი გირვანქა ვაშლი მიდევს, მისი ბალიდანაა, სანამ ვინმე არ შემოგესწრებია, შევჭამოთ, თუმცა როგორც ამბობენ, სიფრთხილეს... სიფრთხილეს... აბა მიბასუხე, სენდი?

— თავი არ სტკივა, მისს ბროდი, — სენდის ჭრუტა, ოდნავ მოწყურული თვალები მისს ბროდის მიშტერებოდნენ.

მისს ბროდის გაფურჩქვნის ხანამდე აიყარეს კოლეგებმა მასზედ გული სკოლაში. უფროსი კლასის მასწავლებლები ძალზე გულგრილად და ოდნავ დამცინავადაც კი ეპყრობოდნენ, რადგან ჯერ კიდევ ვერ ეგრძნოთ მისს ბროდის „ტომელების“ ზეგავლენა, რომელიც მხოლოდ მომავალში ელოდათ, მაგრამ მაშინაც კი ტყუილუბრალოდ არ ვალიზიანებულან, როგორც თვითონ ამბობდნენ, მისს ბროდის „ექსპერიმენტული ხერხებით“.

მისი მეთოდები დაწყებითი სკოლის იმ მასწავლებელი ქალების აღშფოთებას იწვევდა, რომელთაც განათლების ძალზე დაბალი დონე და მცირე ხელფასი ჰქონდათ და რომლებთანაც მისს ბროდის მხოლოდ ყოველდღიური საქმიანობა აკავშირებდა. მაგრამ ამ სკოლის თანამშრომელთა შორისაც აღმოჩნდა ორი ისეთი ადამიანი, რომლებიც გულისწყრომასა და გულგრილობას კი არ ამჟღავნებდნენ მისს ბროდის მიმართ, პირიქით, ყველაფერში მხარს უჭერდნენ. ერთ-ერთი მათგანი მისტერ გორდონ ლოუტერი გახლდათ. უფროსი და უმცროსი კლასების სიმღერის მასწავლებელი, მეორე კი მისტერ ტედი ლოიდი, რომელიც უფროსკლასელებს ხატვას ასწავლიდა. სკოლაში მხოლოდ ეს ორი მამაკაცი იყო, ორივენი მისს ბროდის თავგამოდებული ტრფიალნი გახლდნენ. ყოველდღიური საზრუნავით გარემოცულ ვითარებაში მართო ეს



ქალი უღვივებდათ მამაკაცურ გრძნობას და თავადაც ვერ მიმხვდარიყვნენ, ისე უწევდნენ ერთმანეთს მეტოქეობას, მისი ყურადღება რომ დაემახსოვრებინათ. ჯერჯერობით კი მისს ბროდი მათ როგორც მამაკაცებს არ უყურებდა და მხოლოდლა მხარდაჭერისათვის ემადლიერებოდა ორივეს და ამბობდა კიდევ, მხარში რომ ედგნენ მას. სწორედ „ტომელები“ მიხვდნენ მისს ბროდისა და თვითონ მამაკაცებზე აღრე, რომ მისტერ ლოუტერი და მისტერ ლოიდი ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა საუკეთესო მხრით წარმოეჩინათ თავი მისს ბროდის წინაშე.

გორდონ ლოუტერი და ტედი ლოიდი გოგოებს გარეგნულად ძალზე მსგავსნი ეგონათ, სანამ ახლოს არ გაიცნეს და არ დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდნენ. ორივე მწითური იყო. ტედი ლოიდს, ხატვის მასწავლებელს, გაცილებით უკეთესი აღნაგობა და სახის ნაკვთები ჰქონდა და უფრო საინტერესო პიროვნებაც ჩანდა. ასე ამბობდნენ, მის ძარღვებში ვალიელისა და ინგლისელის სისხლი სჩქედსო. ლაპარაკისას ისე ხრიწინებდა, კაცს ეგონებოდა, ქრონიკული ბრონქიტი სჭირსო. ოქროსფერი თმის ქოჩორი შუბლზე სცემდა და თვალებს უფარავდა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ცალხელა გახლდათ. მხოლოდ მარჯვენა ხელი ჰქონდა, რომლითაც ხატავდა. მარცხენის მაგივრად კი პიჯაკის ჯიბეში სახელო ჰქონდა ჩატანებული, ხელი მსოფლიო თმში დაეკარგა.

მისს ბროდის კლასს მხოლოდ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა ახლოს ენახა იგი და ისიც მაშინ, როცა ხატვის ოთახში ფარდები დაშვებული იყო და ნახევრად ბნელოდა. მისტერ ლოიდი მათ დიაპოზიტივებს უჩვენებდა. ხატვის ოთახში ისინი მისს ბროდის მოიყვანა, რომელიც ის იყო გოგოებთან სკამის კიდეზე უნდა ჩამომჯდარიყო, რომ ხატვის მასწავლებელი მიუახლოვდა, ლაქიასავით ოდნავ მოიხარა და სკამი შესთავაზა. მისს ბროდი საკუთარი ღირსების შეგნებით ჩამოჯდა და, როგორც ჭეშმარიტ ბრიტანელს შეეფერებოდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, რის გამოც ყავისფერი ქვედატანის კალთები საკმაოდ ასცილდა მუხლისთავეს. მისტერ ლოიდი, ლონდონში გამოფენილი იტალიური ფერწერის დიაპოზიტივებს უჩვენებდა. ხელში საჩვენებელი ჯოხი ეჭირა, რომლითაც სურათის კომპოზიციას მოხატავდა და მერე თავისი ხრინწიანი ხმით განუმარტავდა ხოლმე ბავშვებს. სურათის სიუჟეტზე არაფერს ამბობდა. საჩვენებელ ჯოხს თითოეულს ხაზსა და მრუდზე შემოატარებდა, რომელიც მხატვარს ფუნჯის ერთი მოსმით მოეხაზა და სადღაც იდაყვთან გაეწყვიტა, რომ მერე ისევ ღრუბლის ნაგლეჯის ან სკამის საზურგის გამოსახვისას აღედგინა, ბოტიჩელის „primavera“-ს ქალების ჩვენებისას ხომ დიდი ჯაფა დაადგა მისტერ ლოიდს, როცა საჩვენებელი ჯოხით ქალების კაბებიდან გამომჟღავნებული უკანალის კონტურები მოხაზა. მესამედ რომ შემოატარა ჯოხი, წინა რიგში მსხდომი გოგოები სიცილისაგან ჩაბყირდნენ და მალე უკანა რიგებსაც მოედო მზიარული სიცილი. გოგოები ტუჩებს მაგრად კუმავდნენ, რომ სიცილი როგორმე შეეკავებინათ, მაგრამ რაც უფრო მაგრად კუმავდნენ ტუჩებს, მით უფრო მეტად ქსიტინებდნენ ცხვირში მოწოლილი სიცილის გამო.

მისტერ ლოიდმა წყენით და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებით გადახედა კლასს...

— როგორც ვატყობ, ეს გოგოები უკულტურო და გაუნათლებელ ოჯა-



ბებში აღიზარდნენ, — თქვა მისს ბროდიმ, — ჩვენს გარშემო მხოლოდ ფილისტერები არიან, მისტერ ლოიდ.

ამ შენიშვნამ ცოტათი გამოაფხიზლა გოგოები, თავს რომ იღებდნენ იალზე კულტურული ოჯახის შვილები და თანაც უსქესო წინაპრების შთამომავალნი ვართო.

მისტერ ლოიდმა კვლავ განაგრძო მხატვრული ფორმების ჩვენება და საჩვენებელი ჯოხით ბოტიჩელის სურათზე ისევ ერთ-ერთი ქალის შემოსილი „მშვენიერება“ შემოხაზა. სენდიმ თავი მოიკატუნა, ესაოდა, ზველება მახრჩობსო. უკან მსხდომმა გოგოებმაც მას მიბაძეს, ზოგი სკამის ქვეშ შეძვრა, თითქოს რაღაც დაუვარდა და ეძებდა, ზოგი მეგობრის მხარს მიყრდნობოდა და გულიანად ბითბითებდა, თან სიცილისაგან ლოასებულს უმწეოდ აეფარებინა ხელი პირზე.

— შენ კი პირადპირ მაოცებ, სენდი, — უთხრა მისს ბროდიმ, — მე უფრო სხვანაირი მეგონე.

სენდიმ ხველებ-ხველებით ახედა მისს ბროდის და თვალები თვალთმაქცურად აახამხამა, მაგრამ მისს ბროდი უკვე მასთან ახლოს მჯდომ მერი მაკგრეგორს უყურებდა. კლასში ყველა იცინოდა და ამიტომ მასაც ავარდნოდა სიცილი. იმდენად ბენტერა იყო, არ შეიძლებოდა რაიმე ეროტიული გრძნობა აღძვროდა. და ვერც მისტერ ლოიდის გაკვეთილი იმოქმედებდა მასზე ასე, კლასში გოგოებს რომ არ აეტეხათ ერთი ამბავი. მაგრამ ახლა უკულტურო ოჯახში აღზრდილი უზნეო ბავშვივით უსირცხვილოდ იცინოდა. მისს ბროდიმ ხელი წაავლო მერის მკლავში, უხეშად წამოაგდო ფეხზე, კართან მიიყვანა, ხელი კრა და კლასიდან გააგდო. მერე კარი მიხურა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყოველგვარი პრობლემა უკვე გადაეჭრა. და მართლაც გადაჭრა, რადგან მისს ბროდის ამ უეცარმა მოქმედებამ გოგოები გამოაფხიზლა და შიახვედრა, რომ ამ არასასურველი არეულობის მოთავე გაძევებული იყო და თვითონ ბრალი არაფერში მიუძღოდათ.

მისტერ ლოიდმა პროექტორი მიანათა სურათს, რომელზედაც „ღვთისმშობელი და ყრმა“ იყო გამოსახული. ახლა მადლობელიც კი იყვნენ გოგოები მისს ბროდისა — რადგან მართლაც უხერხული იქნებოდა იმ დროს სიცილი, როცა მისტერ ლოიდი მაჩვენებლით წმინდანის კონტურებს ხაზავდა. ცოტა გაუკვირდათ კიდეც, რომ მისტერ ლოიდს ხმაც არ შეუცვლია, კვლავ დინჯად განაგრძობდა მხატვრის ნამუშევარზე საუბარს. ის კი არადა, ცოტა გამომწვევადაც კი ეჭირა თავი, როცა მაჩვენებლით ღვთისმშობლისა და ყრმის კონტურებს ხაზავდა. სენდიმ სწორედ მაშინ დაიჭირა მისი მზერა, როცა იგი მისს ბროდის უყურებდა. თითქოს ხელოვნებისადმი ასეთი პროფესიული მიდგომით მისს ბროდის მოწონება უნდა დაიმსახუროსო. სენდიმ დაინახა, როგორ გაუღიმა პასუხად მისს ბროდიმ. ქალღმერთი თუ გაუღიმებდა ასე ამაყად და მრავლისმთქმელად მთის მწვერვალზე დავანებულ ღმერთს.

დიდი ხანი არ გასულიყო ამ ამბებიდან, როცა მონიკა დუგლასმა შემდეგში თავისი მათემატიკური ნიჭის წყალობითა და სიბრაზით რომ გაითქვა სახელი, განაცხადა, დავინახე „მისტერ ლოიდი მისს ბროდის როგორ ჰკოცნიდაო“.

მონიკამ სავსებით დარწმუნებულმა გაანდო ეს ამბავი ბროდის „ტომე-



ულის“ ხუთივე წევრს. გოგოები აღელდნენ. თითქმის წარმოუდგენელი იყო ამის დაჯერება.

— როდის?

— სად?

— გუშინ, გაკვეთილების შემდეგ, ხატვის ოთახში.

— იქ რას აკეთებდი? — ჰკითხა სენდომ, რომელმაც მისი დაკითხვა იდო თავს.

— ახალი ალბომი უნდა ამელო ესკიზების ჩასახატად.

— რატომ? ჯერ ხომ ძველი არ გაგთავებია?

— გამითავდა, — მიუგო მონიკამ.

— როდის გაგითავდა ძველი ალბომი?

— წინა შაბათს. მისს ბროდის გოლფს რომ ეთამაშებოდით.

მართლაც, გასულ შაბათს, სანამ გოგოები მინდორში ეტოუდების ჩასახატად წავიდ-წამოვიდნენ, სენდი და ჯენი ბრეიდ პილზე მისს ბროდის გოლფს ეთამაშებოდნენ.

— მონიკას მართლა გაუთავდა ალბომი, — დაუდასტურა როზ სტენ-ლიმ — ტივუდის ტყე ხუთივე წერტილიდან დახატა.

— რა ადგილს იდგნენ ხატვის ოთახში? — ჰკითხა სენდომ.

— არ მახსოვს, — მიუგო მონიკამ, — მხოლოდ ის ვიცი, რომ ხელი მოეხვია და კოცნიდა. კარი რომ შევალე, სწრაფად მოსცილდნენ ერთმანეთს.

— რომელი ხელი ჰქონდა მოხვეული? — ეშმაკურად ჰკითხა სენდომ.

— რა თქმა უნდა მარჯვენა. მარცხენა ხომ არა აქვს.

— როცა დაინახე, ოთახში იდექი თუ კარს უკან? — ჰკითხა სენდომ.

— ოთახში, მართლა დავინახე, გეუბნები.

— იმათ რა გითხრეს? — ჰკითხა ჯენიმ.

— იმათ არ დავუნახივარ, მაშინვე მოვტრიალდი და გამოვიქეცი, — თქვა მონიკამ.

— დიდხანს კოცნიდა? — დაეკითხა სენდი. ჯენი უფრო ახლოს მოიწია, რომ პასუხი მოესმინა.

მონიკამ ჰერს ახედა, თითქოს რაღაცას ანგარიშობდა. გამოთვლას რომ მორჩა, თქვა:

— კი, დიდხანს.

— თუ დიდხანს არ დარჩენილხარ, საიდან იცი, რომ დიდხანს კოცნიდა?

— ვიცი, — მიუგო მონიკამ გაბრაზებით. — მაინც მოვასწარი დანახვა. ეს იყო ხანგრძლივი კოცნის მხოლოდ ნაწილი, რადგან დავინახე როგორ ეხვეოდა და...

— არ მჯერა, — წამოიკივლა სენდომ, რადგან ძალზე აღელვებული იყო, თანაც საუკვო წერილმანების გაბათილებით ჯიუტად ცდილობდა მონიკას ნათქვამის სისწორე დაემტკიცებინა. — ალბათ დაგესიზმრა.

მონიკა სენდის ხელს ჩააფრინდა და მწარედ უჩქმიტა. სენდომ ტკივილი-საგან შეჰკივლა. სახეწამოწითლებულმა მონიკამ წიგნებით გატენილი ჩანთა ისე მოიქნია, გვერდით მდგომ გოგოებს მოახვედრა და მათაც უკან დაიხიეს.

— უკვე მოთმინება აღარ ჰყოფნის და ბრაზდება, — თქვა იუნის გარდინერმა, რომელიც ცალ ფეხზე ბტოდა.

— ერთი ბეწოც კი არ ამჯერა იმისი, რასაც ამბობს, — თქვა სენდომ.



რომელიც ცდილობდა გონებაში ცხადად წარმოედგინა ხატვის ოთახში მომხ-  
დარი შემთხვევა, თან მონიკას გაგულისება უნდოდა, რომ უფრო დაწვჭ-  
ლებით ეამბნა ყველაფერი.

— მე კი მჯერა, — თქვა როზიმ. — მისტერ ლოიდი მხატვარია და მისს  
ბროდიც არტისტული ბუნების ქალია.

— კი, მაგრამ თვითონ ვერ დაინახეს, კარი რომ გაიღო? —  
ჯენიმ.

— დაინახეს, როგორ ვერ დაინახეს, — უპასუხა მონიკამ, — კარი რომ  
გავალე, უცებ მოსცილდნენ ერთმანეთს.

— საიდან იცო, რომ იმათ არ დაუნახიათ? — თქვა სენდიმ.

— ოთახის ბოლოში იდგნენ, ზუსტად იმ ფარდასთან, საიდანაც ნატურ-  
მორტებს ხატავენ — მონიკა საკლასო ოთახის კართან მივიდა და გოგოებს  
უჩვენა, როგორ გაიქცა. ამან მაინც ვერ დააკმაყოფილა სენდის ცნობისმოყ-  
ვარეობა. იგი საკლასო ოთახიდან გავიდა, მერე ისევ ოთახში შეიხედა, ვითომაც  
გოცებისაგან თვალები დაჰყიტა, პირი დაადო და ელვის უსწრაფესად კარს  
გაეცალა. როგორც ჩანს, ამ გათამაშებულმა სცენამ ასე თუ ისე დააკმაყოფილა  
სენდი. ის კი არადა, გოგოებს ძალიან მოეწონათ და აიძულეს ხელახლა გაე-  
მეორებინა: სწორედ მაშინ, როცა სენდი მეოთხედ იმეორებდა ამ სცენას,  
ზურგს უკან მისს ბროდი მიუახლოვდა.

— რას აკეთებ სენდი? — ჰკითხა მისს ბროდიმ.

— უბრალოდ ვთამაშობ, — მიუგო სენდიმ და ჭრუტა თვალები მისს  
ბროდის მიაშტერა.

აკოცნიებდა თუ არა მისს ბროდი ვინმეს ან თვითონ თუ უპასუხებდა  
კაცნაზე? — აი, ეს კითხვა არ აძლევდათ მოსვენებას „ტომეულის“ გო-  
გოებს შობის დადგომამდე. საქმე იმაშია, რომ მისს ბროდის ომისდროინდელი  
სამიჯნურო თავგადასავლების გამო უჭირდათ მისი ხორციელ არსებად წარ-  
მოდგენა, რადგან შედარებით უფრო ახალგაზრდა ჯინ ბროდი ისტორიამდელ  
ნანას განეკუთვნებოდა, იმ ხანას, როცა ისინი ჯერ კიდევ არ მოვლენოდნენ ამ  
ქვეყანას. შარშან შემოდგომაზე თელის ძირში ისხდნენ და მისს ბროდის ნაამ-  
ბობს უსმენდნენ ციკლიდან, „როცა ახალგაზრდა ვიყავი“, რაც ნაკლებად შე-  
ეფერებოდა სინამდვილეს, რადგან ამას უფრო ადვილად დაიჭერებდნენ, ვიდ-  
რე მონიკა დუგლასის ნათქვამს. ბროდის „ტომში“ გადაწყვიტა საიდუმლოდ  
შეენახა ეს ამბავი. თუ მთელი კლასი შეიტყობდა, მაშინ ისეთი ვინმეს ყურამ-  
დეც მიაღწევდა, ვინც მონიკა დუგლასს მერე დიდ უსიამოვნებას მიაყენებდა.

მისს ბროდი კი მართლაც გამოიცვალა. საქმე მარტო იმაში კი არ იყო,  
რომ სენდიმ და ჯენიმ სულ სხვა თვალთ შებედეს ახლა მისს ბროდის და შე-  
ეცადნენ ისეთ ქალად წარმოედგინათ, რომელსაც შეიძლება კაცმა უბრალოდ  
„ჯინი“ დაუძახოს, არა, თვითონ მისს ბროდი შეიცვალა. სულ ახალ-ახალ კა-  
ბებს იცვამდა და ყელზეც ქარვის პრილა ყელსაბამს იკეთებდა, რომელიც  
მართლაც ნამდვილი ქარვა იყო, და როგორც გოგოებს უჩვენა ერთხელ, ხახუ-  
ნის შემდეგ ქალაღთან თუ მიიტანდით, მაშინვე მიიზიდავდა ქალაღს.

დაწყებითი სკოლის სხვა მასწავლებლებთან შედარებით მისს ბროდის  
ცვლილება უფრო შესამჩნევი გახდა. თუ ჯერ მათ შეხედავდით და მერე  
მისს ბროდის, მაშინ ადვილად წარმოიდგენდით, რომ იგი გულნაკლულად  
არავის ტოვებდა და ყველას უხვად ასაჩუქრებდა ამბორით.



ჯენის და სენდის ძალიან უნდოდათ გაეგოთ, ამ დღეს ხატვის ოთახში, მისტერ ლოიდმა და მისს ბროდიმ მეტისმეტად შორს ხომ არ შეტოვებდნენ და ვნებოდა, რომ არ შეიპყრო ისინი. ცნობისწადილით მიშტერებოდნენ მისს ბროდის მუცელს, ხომ არ გაეზარდაო. ზოგჯერ, როცა მოწყენილუბა დაწვდნათ ხოლმე ხელს, მაშინვე გადაწყვეტდნენ, მისს ბროდის მუცელში შეესაწავათ. ამ დღეებში კი, როცა მისს ბროდის გაკვეთილზე მხიარულად ერთობოდნენ, მუცელი ისეთივე ბრტყელი ეჩვენებოდათ, როგორც მანამდე ჰქონდა. მაშინ ერთხმად დაასკვნიდნენ, მონიკა დუგლასმა მწარედ მოგვატყუაო.

დაწყებითი სკოლის მასწავლებლები დილაობით უფრო თავაზიანად — ვიდრე ეს ედინბურგელებს სჩვევიათ ხოლმე საერთოდ, — ესალმებოდნენ მისს ბროდის და ყველა ცდილობდა მისთვის „დილა მშვიდობისა ძვირფასო“ ეთქვა. სენდიმ კი, რომელსაც უკვე თერთმეტი წელი შესრულებოდა, იგრძნო, რომ ამას ისეთი კილოთი ეუბნებოდნენ მისს ბროდის, „მეზიზღებიო“ იგულისხმებოდა. ამიტომაც, კოლეგებს მისალმების მაგიერ „მეზიზღებიო“ შეეძლოთ პირდაპირ მიეხალათ მისთვის პირში. მისს ბროდი კიდევ უფრო ამაყად, მკვეთრი ინგლისური აქცენტით პასუხობდა: „დილა მშვიდობისა“, მერე თავს ოდნავ გვერდზე გადასწევდა და ისევ მედიდურად ჩაუვლიდა კოლეგებს, წამსვე ნაცარტუტად აქცევდა მასზე გადმონთხეულ სიძულვილს.

დერეფანში თავაწეული მიაბიჯებდა და ხშირად, კლასში რომ შევიდოდა, წამით კარს მიეყრდნობოდა და შვებით ამოისუნთქავდა. სამასწავლებლოშიც იშვიათად შეივლიდა. თუ გოგონებს სიმღერის ან ხელგარჯილობის გაკვეთილები უტარდებოდათ და თავისუფალი დრო ჰქონდა, მაშინ მათთან დარჩენას ამჯობინებდა.

ხელგარჯილობის მასწავლებლები თითქოსდა განზე იდგნენ სკოლის სხვა თანამშრომლებისაგან და არც მათ ეკიდებოდნენ დიდი პატივისცემით. ეს გახლდათ ორი უმცროსი და აწ განსვენებული მესამე დისა, რომლის სიკვდილის შემდეგ მათი ოჯახის მოთავეობა ვერაფერ იღო თავს. მათ მისს ელენ და ელისონ კერს ეძახდნენ. თმებგაბუებულნი, მოლურჯო-მონაცრისფრო პერი-სახითა და ქიქმატი თვალებით, მუდამ მოუსვენრად ცმუტავდნენ და იმის მაგიერ, გოგონებისთვის კერვა ესწავლებინათ, რიგ-რიგობით გამოართმევდნენ ხოლმე საკერავს და თვითონ კერავდნენ. ზოგჯერ უკვე შეკერილ ნაჭერს გაარღვევდნენ და ხელახლა ამოკერავდნენ, თან დააყოლებდნენ „ასე არ გამოვა“ ან „ეს რა ნაკერია“. დები ჯერ ვერ აეგულებიანებიათ მისს ბროდის გაკიცხვაზე, ვინაიდან, ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი განსწავლული კოლეგები ყოველგვარ კრიტიკაზე მაღლა იდგნენ. ამიტომაც იყო ხელგარჯილობის გაკვეთილები ყველასთვის გასართობი და მისს ბროდიც, შობამდე ერთი კვირის განმავლობაში კლასს „ჯეინ ეარს“ უკითხავდა ხოლმე ამ გაკვეთილებზე. გოგონები თან მისს ბროდის უსმენდნენ, თან ვიდრე გაძლება ჰყოფნიდათ, თითებს ნემსებით იჩხვლეტდნენ, რომ ნაჭერს სისხლის წვეთები დამჩნეოდა, რადგან ნაჭერზე დაწვეთებული სისხლის წვეთებით ათასნაირი ნაყშების გამოყვანა შეიძლებოდა.

სულ სხვა იყო სიმღერის გაკვეთილები. ხატვის ოთახში მომხდარი ამბიდან რამდენიმე კვირის შემდეგ თანდათანობით ცხადი შეიქნა, რომ მისს ბროდი გაკვეთილის დაწყებამდე, გაკვეთილის დროს თუ მის შემდეგ ყოველთვის



რატაც აფორიაქებული ჩანდა. იმ დღეს, როცა სიმღერის გაკვეთილი ტარდებოდა, ყოველთვის ახალი კაბა ეცვა.

— დარწმუნებული ხარ, რომ მისს ბროდის ნამდვილად მისტერ ლოიდმა აკოცა? — ჰკითხა სენდიმ მონიკა დუგლასს, — მისტერ ლოუტერი ხომ არ იყო?

— მისტერ ლოიდმა აკოცა, — მიუგო მონიკამ, — თანაც ეს ხატვის კაბინეტში მოხდა და არა სიმღერის. რისთვის შევიდოდა მისტერ ლოუტერი ხატვის კაბინეტში?

— მისტერ ლოიდი და მისტერ ლოუტერი ძალიან გვანან ერთმანეთს, — თქვა სენდიმ.

მონიკა სიბრაზისაგან სახეზე წამოენთო.

— მისტერ ლოიდი იყო-მეთქი, გეუბნები. ცალი ხელით ეხვეოდა მისს ბროდის. მე დავინახე ისინი. ნეტა სულ არ მეთქვა შენთვის. მარტო როზი მიჯერებს ხოლმე.

როზ სტენლის მართლაც სჯეროდა მისი, ისიც იმიტომ, რომ მისთვის სულ ერთი იყო. ყველაზე ნაკლებად აღელვებდა მისს ბროდისა თუ სხვათა სასიყვარულო ამბები. ყოველთვის ასეთი იყო. მოგვიანებით, როცა სექსუალობით გაითქვა სახელი, მისი გასაოცარი მიმზიდველობა იმით აიხსნებოდა, რომ არასოდეს დაინტერესებულა სექსით და არც როდისმე უფიქრია ამაზე, როგორც მისს ბროდი ამბობდა, მას საოცარი ალლო ჰქონდა.

— მარტო როზის სჯერა ჩემი — თქვა მონიკა დუგლასმა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა დედათა მონასტერში ინახულა სენდი, ასე უთხრა:

— მე მართლა დავინახე, ტედი ლოიდმა მისს ბროდის რომ აკოცა ხატვის კაბინეტში.

— ვიცი, რომ დავინახე, — მიუგო სენდიმ.

ეს ადრეც იცოდა სენდიმ, სანამ თვითონ მისს ბროდი მოუყვებოდა, როცა ომის შემდეგ, ერთ დღეს ოთელ „ბრეიდ ჰილზში“ ისხდნენ და ჩაის და სენდ-ვიჩებს შეექცეოდნენ. მისს ბროდი შემოსავლის სიმცირის გამო, უკვე ველარავის პატიუებდა შინ. ტანზე დრო-ჟამისაგან გაცვეთილი მუჭი ფერის ანდრატეს ქურჭი ეცვა. იჯდა საცოდავად მობუზული და ლალატნაგემი. ხელშეკრულების გათავებამდე წავიდა სკოლიდან.

— ჩემი გაფურჩქვნის ხანამაც ჩაიარა, — ნალვლიანად თქვა მისს ბროდიმ.

— არადა რა დიდებული ხანა იყო, — თქვა სენდიმ.

ფართო ფანჯრებიდან ბრეიდბერნს გაჰყურებდნენ, ვიწრო ზოლად რომ მიიკლავნებოდა ტრამალებსა და ოდითგანვე პირქუშ, მოშიშვლებულ გორაკებს შორის.

— როგორც იცი, ტედი ლოიდი ჰკუთას კარგავდა ჩემთვის, — თქვა მისს ბროდიმ. — მეც მიყვარდა. დიდი სიყვარული გვქონდა. ერთხელ ხატვის ოთახშიც მაკოცა, მაგრამ ვნებას არასოდეს ავყოლილვართ. მაშინაც კი ედინბურგიდან რომ წახვედი და ცდუნება დიდი იყო.

სენდი ჰრუტა თვალებით ისევ გორაკებს მიშტერებოდა.

— მე უარი ვუთხარი. — თქვა მისს ბროდიმ. — ის ცოლიანი იყო. უარი



ვთქვი იმ დიდ სიყვარულზე, გაფურჩქვნის ხანაში რომ მეწვია. ძალზე ბევრი  
რამ გვქონდა საერთო. ორივენი არტისტული ბუნების ვიყავით.

ადრე იმედი ჰქონდა, რომ გაფურჩქვნის ხანა სამოც წლამდე გაგრძელდებოდა. მაგრამ ეს ომისშემდგომი წელი უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის. იგი  
ორმოცდათექვსმეტისა იყო. თავის ასაკთან შედარებით ხშირად იმყოფებოდა  
ბოლა. სიმსივნე უქამდა სხეულს. ამ წელს უნდა გამოსალმებოდა ამ ქვეყანას  
და ეს ცოტა სხვა თვალსაზრისით რაღაცით სენდისაც შეეხებოდა.

განადგურებული მისს ბროდი იჯდა და სენდის ელაპარაკებოდა:

— ოცდათერთმეტი წლის გვიან შემოდგომაზე... სენდი, მისმენ?

სენდომ გორაკებს თვალი მოაშორა და მისს ბროდის შეხედა.

ოცდათერთმეტი წლის შემოდგომაზე მისს ბროდი ორი კვირა არ გამოჩენილა სკოლაში. გოგოებს ეგონათ, ავად იყო. გაკვეთილების შემდეგ, ყვავილებით ხელდამშვენებულნი, მისს ბროდის სანახავად წავიდნენ, მაგრამ შინ არავინ დაუხვდათ. მეორე დღეს, სკოლაში რომ მოიკითხეს მისს ბროდი, ასე უთხრეს, ქალაქგარეთ მეგობართან წავიდა და გამოჯანმრთელებამდე იქ დარჩება.

ამ დროს მისს ბროდის კლასი დაშალეს და სხვადასხვა ჯგუფებში დაინაწილეს. „ტომის“ გოგოები ერთმანეთს მაინც ვერ დააცილეს და ამიტომ ისინი სხვა მასწავლებელს, ერთ გაქნაჭულ ქალს ჩააბარეს. გვარიც ხომ ზედგამოჭრილი ჰქონდა — მისს გაუნტი<sup>30</sup>. წარმოშობით პიბრიდის კუნძულებიდან იყო. ტანზე სქელი, რუხი ფერის ნაჭრისაგან შეკერილი ქვედატანი ეცვა, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდა. ეს ქვედატანი მოხდენილი მაშინაც კი არ ყოფილა, როცა მოლაში იყო მისი ტარება. როზ სტენლი კი ამბობდა, ქვედატანი ასე მხოლოდ იმიტომ შეიკვრა, ნაჭერი დაეზოგათ. მისს გაუნტს უსაშველოდ დიდი თავი ჰქონდა. ისედაც პატარა მკერდი ფიცარივით გაებრტყელებინა შემოჭერილ კორსეტს. ტანზე რაღაც საშინელი მუქი მწვანე ფერის ფაქეტი ეცვა. მისს ბროდის კლასი მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა. „ტომის“ გოგოები კი გაოგნებულები იყვნენ, რადგან სწავლას გადაჩვეულებს უჭირდათ ყოველდღე ბეჯითად მეცადინეობა. საშინლად ღიზიანდებოდნენ, როცა მისს გაუნტი დაეინებოთ და თან მკაცრად ითხოვდა, მთელი დღის განმავლობაში წყნარად ისხედითო.

— ღმერთო ჩემო, — წამოიყვირა ერთხელ როზიმ ხმამაღლა, როცა თხზულების საწერად ემზადებოდნენ. — არ მახსოვს, „საკუთრება“ როგორ იწერება, ორი „თ“ უნდა თუ?

— „მარმიონიდან“<sup>31</sup> ას სტროფს დაისწავლი ზეპირად, — მიახალა მაშინვე მისს გაუნტმა.

პირველი კვირის ბოლოს არადამაკმაყოფილებელი ნიშნებით გატენილი ჟურნალი, რომელიც ცუდად მოქმედებდა ხოლმე მეოთხედის დასასრულს მოსწავლეთა საბოლოო შედეგებზე, „ტომის“ გოგოების გვარებით იყო აჭრელბული. თუ რომელიმეს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს უწერდა, მაშინ მისს გაუნტი მოსწავლეთა გვარების გახსენებით თავს არ იწუხებდა. „შენ, გოგო“, — პირდაპირ მიმართავდა ხოლმე მას. ბროდის გოგოები კი ისე გაოგნებულნი იყვნენ ამ ამბებით, სიმღერის გაკვეთილის გაცდენაც არ შეუმჩნევიათ, რომელიც ოთხშაბათს უნდა ჩატარებულიყო.

ხუთშაბათს ისინი ხელგარჯილობის ოთახში შეყარეს. მისს გაუნტის



ყოფნით დამფრთხალი მისს ელენ და ელისონ კერი მაშინვე საკერავ მანქანებს მიუსხდნენ და გოგოებს დაუწყეს ახსნა, თუ როგორ უნდა ეხმარათ ისინი. საკერავი მანქანის მაქო ზევით-ქვევით ხტოდა: ჯენა და სენდი სხვა დროს გულიანად ჩაიხითხითებდნენ ამაზე, რადგან თუკი რაიმე ოღონდ მაინც მოაგონებდათ სექსუალურ ამბებს, მაშინვე ამაზე იწყებდნენ ფიქრობდა ახლა, როცა მისს ბროდი აქ არ იყო, გაცნაჭული მისს გაუნტი კი გაფურცლებდა წრებოდა, გოგოებს ამისთვის, ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ხოლო მისს ელენ და ელისონ კერის შიშნეული ფაციფუცი კიდევ უფრო ამკარას ხდიდა ამ მოსაწყენ სინამდვილეს.

ცხადი იყო, რომ მისს გაუნტიც იმ ეკლესიაში დადიოდა, სადაც მისს ელენ და ელისონ კერი. დროდადრო იგი რაღაცას გადაულაპარაკებდა დებს, თან სინზე გადასაფარებელ ხელსახოცს ქარგავდა.

— ჩემი ძმა... — იმეორებდა იგი წამდაუწუმ — ჩემი ძმა...

მისს გაუნტის ძმა მღვდელი გახლდათ. ამიტომ მისს ელისონი და ელენი დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ თავიანთ სამუშაოს, მაგრამ იმდღევანდელი ნაკერი მაინც არაფრად ვარგოდა.

— ჩემი ძმა ყოველ დილით ექვსის ნახევარზე დგება... ჩემმა ძმამ მოაწყო...

სენდი ამ დროს „ჯეინ ეარის“ მომდევნო თავზე ფიქრობდა, რომელსაც მისს ბროდი უკითხავდათ ხოლმე ხელგარჯილობის გაკვეთილებზე. კარგა ხანი ალან ბრეკს დაშორდა და მისტერ როჩესტერს დაუმეგობრდა. ახლა მასთან ერთად იჯდა ბაღში.

„თქვენ ჩემი გეშინიათ, მის სენდი?!“

„სფინქსივით გამოცანებით მელაპარაკებით, სერ, მაგრამ მე თქვენი არ გეშინია“.

„თქვენ ისეთი მშვიდი და სევდიანი ხართ, მის სენდი... როგორ! უკვე მიდიხართ?“

„უკვე ცხრა საათია, სერ!!“

მისს გაუნტის ხმამ ფიქრი შეაწყვეტინა სენდის.

— ეს ერთი კვირაა მისტერ ლოუტერის სკოლაში არ დადის.

— დიახ, მეც გავიგე, — მიუგო მისს ელისონმა.

— როგორც ეტყობა, კიდევ ერთი კვირა არ ივლის.

— ავად არის?

— დიახ, სამწუხაროდ, — უპასუხა მისს გაუნტმა.

— მისს ბროდიც ვერ გრძნობს თავს კარგად, — თქვა მისს ელენმა.

— დიახ, თქვა მისს გაუნტმა — ერთი კვირა არც ის იქნება.

— რა დაემართა?

— ვერაფერს გეტყვით, — თქვა მისს გაუნტმა და ნაქარგზე ძაფი ამოახვია. მერე დებს ცერად გახედა და თქვა: — იქნებ მისს ბროდისაც ის სენი შეეყარა, რაც მისტერ ლოუტერს.

სენდიმ იგი „ჯეინ ეარის“ ეკონომ ქალს შეადარა, რომელიც ძალზე ფრთხილად და მოხერხებულად უთვალთვალებდა მას, როცა გვიან ღამით ბაღიდან, სადაც მისტერ როჩესტერს ხვდებოდა ხოლმე, შინ ბრუნდებოდა.

— ვინ იცის, იქნებ მისს ბროდის რომანიც კი აქვს მისტერ ლოუტერ-



თან?! — უთხრა სენდიმ ჯენის მხოლოდ იმისთვის, რომ სქესობრივი ამბების უქონლობით გამოწვეული მოწყენა გაექარვებინა.

— კი მაგრამ, მას ხომ მისტერ ლოიდმა აკოცა. ალბათ ის უყვარს, თორემ მაშინ არც აკოცნიებდა.

— იქნებ ახლა მისტერ ლოუტერის ჩაჭერა უნდა. ის მისტერ ლოუტერის...

ეს ყველაფერი თვითონ მოიგონეს. ამით თითქოს აბუჩად ივლებდნენ მისს გაუნტსა და მის საზიზღარ ძმას. მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ ყველაფერი მათი მოგონილი იყო, თუმცა სენდიმ, მისს გაუნტის გამოძეტყველება რომ გაიხსენა, როცა ასე თქვა: „იქნებ მისს ბროდისაც ის სენი შეეყარა, რაც მისტერ ლოუტერსო“, ანაზღად, ცოტა არ იყოს, დაეჭვდა კიდევ, იქნებ ნათქვამი მთლად ტყუილი არ არისო. ამიტომაც მათ მიერ გამოგონილი, რომანის ზოგიერთი წვრილმანის აღწერისას ჯენიზე მეტ სიფრთხილეს იჩენდა. ამ დროს ჯენიმ წაუჩუქრულა:

— ისინი ლოგინში წვებიან, მერე მისტერ ლოუტერი სინათლეს აქრობს, მერე ფეხის თითებით ეხებიან ერთმანეთს. შემდეგ მისს ბროდი... მისს ბროდი... — ჯენი სიცილისაგან ჩაბუჩდა.

— ამ დროს მისს ბროდი ამოქნარებს, — ეს ისე, ზრდილობის გულისათვის თქვა სენდიმ, რადგან უკვე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ყველაფერი ძართალი იყო.

— არა, ამ დროს მისს ბროდი ასე ეუბნება, „ძვირფასო“...

— ჩუმად იყავი, — წაუჩუქრულა სენდიმ, — იუნისი მოდის.

იუნის გარდინერი მათ მაგიდასთან მივიდა, მაკრატელს ხელი დაავლო და უკანვე გაბრუნდა. უკანასკნელ ხანს რელიგიამ გაიტაცა და ამიტომ მისი თანდასწრებით სექსზე საუბარს გაუბრუნდნენ. თავი ანება ცალ ფეხზე ხტუნვასა და ასკინკილით სიარულს. რელიგიით გატაცებამ მალე გაუარა, მაგრამ სამაგიეროდ ისე საძაგლად იქცეოდა, აღარავინ ენდობოდა, იუნისი რომ გაშორდათ, ჯენიმ კვლავ განაგრძო:

— მისტერ ლოუტერს უფრო მოკლე ფეხები აქვს, ამიტომ მისს ბროდი თავის ფეხებს შემოახვევს და...

— მისტერ ლოუტერი სად ცხოვრობს, იცი? — ჰკითხა სენდიმ.

— კრემონდში. დიდი სახლი აქვს და მწე ქალიც ჰყავს.

ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, როცა სენდი მისს ბროდისთან ერთად სასტუმრო „ბრეიდ ჰილზში“ იჯდა, თვალწინ გადაშლილ მინდვრებსა და გორაკებს მზერა მოსწყვიტა და მისს ბროდის შეხედა, ესაოდა დიდი გულისყურით ვისმენო... მისს ბროდიმ თქვა:

— ტედი ლოიდს უარი ვუთხარი, მაგრამ გადავწყვიტე ვინმეს საყვარელი გაემხდარიყავი. ეს თუ მიშველიდა, სხვა არაფერი. ტედი ლოიდი ჩემი გაფურჩქვნის ხანაში შემოიყვარდა, მაგრამ ეს მხოლოდ ცდუნება იყო და მეტი არაფერი. ოცდაათერთმეტი წლის შემოდგომაზე კი გორდონ ლოუტერის საყვარელი გავხდი. უცოლო კაცი იყო და უფრო მაწყობდა. ეს ყველაფერი სიმართლეა და მეტი არც არაფერი მაქვს სათქმელი. სენდი, მისმენ თუ არა?

— დიახ, ვისმენო.

— ისეთი სახე გაქვს, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობ, ძვირფასო აი, სულ ეს იყო, როგორც ვითხარი. — სენდი ძართლაც იმაზე, ფიქრობდა, რომ მისს ბროდის ბოლომდე არ უთქვამს სათქმელი.



— რა თქმა უნდა, ყველას ეჭვი ჰქონდა, რომ ფიზიკურად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ალბათ გოგოებმაც იცოდით ეს, ყოველ შემთხვევაში მენ, სენდი, რალაცას ხვდებოდნენ... მაგრამ ბოლოს მაინც ვერაფერი დამტკიცდა, რომ ჩემსა და გორდონ ლოუტერს შორის რამე იყო. ეს არ იყო დასმენის მიზეზი. ძალიან მინდოდა გამეგო, ვინ გამყიდა. პირდაპირ დაუჩერებელი ვიყავი მელიმე მოსწავლეს ელალატა. ხშირად ვფიქრობ, საწყალი მერი ხომ არ იყო-მეთქი. ალბათ უფრო ლმობიერად უნდა მოვხატებოდი. ის, რაც მერის შეეშინა, ხომ ტრაგედიაა, წარმომიდგენია, რა საშინელი ხანძარი იყო, საბრალო გოგო და მაინც არ მესმის, როგორ შეეძლო მერის დავესმინე.

— სკოლიდან წასვლის შემდეგ არავისთან კავშირი არ ჰქონია. — უბასუხა სენდიმ.

— იქნებ როზიმ დამასმინა?

მისს ბროდის გაუთავებელი წუწუნი — დამასმინა, დამასმინაო — თავს აბეზრებდა და ძარღვებს უწეწავდა სენდის. — აგერ უკვე თორმეტი წელიწადია, — ფიქრობდა სენდი, — რაც ეს აუტანელი ქალი დავაბეზღე. ნეტა რისი თქმა უნდა, „დამასმინაო“ რომ ამბობს? სენდი ისევ გორაკებს გაჰყურებდა, თითქოს სურდა იქ ისევ ისე კლდესავით შემართული მისს ბროდი დაენახა. რომელიც არაფრად დაგიდევდათ სხვათა კრიტიკას.

ორი კვირის მერე სკოლაში რომ დაბრუნდა, მისს ბროდიმ თავისი კლასის გოგოებს უთხრა: ძალიან კარგი დრო გავატარე და დიდად ვისიამოვნე კიდეც ამ დამსახურებული დასვენებით. სიმღერის გაკვეთილები კვლავ ჩვეულებრივად ტარდებოდა. მისტერ ლოუტერი სახეგაბრწყინებული შეაქერდებოდა მისს ბროდის, როცა იგი ამაყად შეაბიჯებდა სიმღერის ოთახში და თავისი კლასის გოგოებს გაკვეთილზე შემოიყვანდა. ახლა მისს ბროდი უწევდა მისტერ ლოიდს აკომპანიმენტს. როიალთან გამართული იჭდა და ზოგჯერ სევდიანი სახით გოგოებს აჰყვებოდა, როცა ისინი „ნეტავ მწყემსის ბედს“ მღეროდნენ ან როცა კონცერტისათვის რომელიმე ახალ სიმღერას ამზადებდნენ. მისს ბროდი საუცხოოდ მღეროდა მეორე სოპრანოს. მოკლეფეხება, მორცხვი და წითური მისტერ ლოუტერი უკვე აღარ ათამაშებდა ჯენის კულულებს ხელში. ხის გაშიშვლებული ტოტები ფანჯრებს ელამუნებოდნენ და სენდი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მისს ბროდი და სიმღერის მასწავლებელი თავდავიწყებამდე ეტრფოდნენ ერთმანეთს. როზ სტენლი ჯერ ვერ ავლენდა სრულიად თავის პოტენციურ შესაძლებლობებს, რის წყალობითაც მერე მისს ბროდისა და ცალხელა ტედი ლოიდის სასიყვარულო ამბები გამოაშკარავდა. მისს ბროდი კი კვლავინდებურად იფურჩქნებოდა და ჯერ არავის დაებეზლებინა იგი.

წარმოუდგენელი იყო, რომ მისს ბროდი მისტერ ლოუტერთან ერთად იწვა ლოგინში. შეუძლებელი იყო საერთოდ მისი სექსუალური ურთიერთობის დროს წარმოდგენა და მაინც არ შეიძლება დაეჭვებულიყავი, რომ მართლა ასე არ იყო.

გაზაფხულზე მისს მაკკეიმ, სკოლის დირექტორმა, მეოთხედის განმავლობაში რამდენჯერმე შეიპატიჟა გოგოები ჩაიზე თავის კაბინეტში. თავდაპირველად ჯგუფ-ჯგუფად შეჰყავდა ისინი, მერე კი თითო-თითოდ. წესად იყო ასე. გოგოებთან საუბრისას მისს მაკკეის უნდოდა გაეგო, საშუალო სკოლაში გა-



დასვლისას ისინი თანამედროვე პროგრამით აპირებდნენ სწავლის გაგრძელებას თუ კლასიკურ განყოფილებაზე გადასვლა სურდათ.

მანამდე მისს ბროდის გოგონები ასე დაარჩა:

— თანამედროვე პროგრამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს — თანამედროვე და კლასიკური განყოფილება ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს და ცალ-ცალკე ორივე ისეთ ცოდნას გაძლევთ, რაც ცხოვრებაში გამოგადგებათ. ყველას არ შესწევს იმის უნარი, კლასიკური განათლება მიიღოს. ამიტომ არჩევანი თვითონ, დამოუკიდებლად უნდა გააკეთოთ.

ასე რომ, გოგონებს ეპვიც არ შეპარვიათ, მისს ბროდი რომ ძალზე უპატივცემულოდ ეპყრობოდა თანამედროვე განყოფილებას.

გოგონებს შორის, ეს მხოლოდ იუნი გარდინერმა აირჩია და ისიც იმიტომ, მშობლების სურვილი იყო მეოჯახეობა შეესწავლა. თვითონ მას კი უნდოდა რაც შეიძლება მეტი დრო დარჩენოდა სპორტში მეცადინეობისათვის, რასაც თანამედროვე განყოფილება ითვალისწინებდა. იუნი ამ დროს დიდი ამბით ემზადებოდა კონფირმაციისათვის<sup>32</sup> და ცოტა არ იყოს ზედმეტად ღვთისმოსავი გახდა, ვიდრე ამას მისს ბროდი ისურვებდა. ტანვარჯიშის გაკვეთილების გარდა ახლა მალაყს არაფრით არ გადავიდოდა, ცხვირსახოცზე ლავანდის წყალს იპყრებდა და როზ სტენლის ბიცოლას პომადა რომ წაესვა გასასინჯად ამაზეც კი უარს ამბობდა. ძლზე დიდ ინტერესს იჩენდა საერთაშორისო სპორტის მიმართ და, როცა მისს ბროდის თავისი ტომელები „ემპაირის“ თეატრში წაიყვანა, სადაც პირველად და უკანასკნელად შეეძლოთ სცენაზე ეხილათ პავლოვა, იუნი არ წავიდა. იგი ადრევე დაეთხოვა მისს ბროდის, რადგან, როგორც თვითონ თქვა, „საზოგადოებრივი“ ჰქონდა.

— საზოგადოებრივი რა? — იკითხა მისს ბროდის, რომელიც ყოველთვის ჩააცვივდებოდა ხოლმე სიტყვებს, თუკი გუშანით რაიმეს იყნოსავდა.

— ეკლესიაში, მისს ბროდი.

— ჰო, მივხვდი, მაგრამ საზოგადოებრივი რა? ეს ზედსართავია, შენ კი არსებით სახელად ხმარობ. თუ საზოგადოებრივ შეკრებას გულისხმობ, მაშინ წადი, ბატონო. საზოგადოებრივი თავყრილობა ჩვენც გვექნება, ანა პავლოვას სანახავად რომ წავალთ. ის ხომ ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალია და დიდი ბალერინაც. სცენაზე რომ გამოდის, სხვა მოცეკვავეები უკვე სპილოებად გეჩვენება კაცს. წადი შენს საზოგადოებრივ შეკრებაზე. პავლოვა „მომაკვდავ გედს“ იცეკვებს და ამით მარადისობას გვაზიარებს.

მისს ბროდი მთელი მეოთხედის განმავლობაში შთააგონებდა იუნიის, მისიონერად მაინც წადი დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილასო. მისთვის აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, რომ მისი თუნდაც ერთი აღზრდილი მაინც არ შეეწირებოდა დიად საქმეს. — ბოლოს სკაუტი გოგონების წინამძღოლი გახდები კორსტორფაინის მსგავს რომელიმე პროვინციულ ქალაქშიო, — წინასწარ აფრთხილებდა მისს ბროდი იუნიის, რომელსაც გულის რომელიღაც კუნჭულში მოსწონდა კიდევ ეს აზრი და თავადაც კორსტორფაინში ცხოვრობდა. მთელი მეოთხედის განმავლობაში ლეგენდები დადიოდა პავლოვაზე. ყვებოდნენ ხელოვნებისადმი მის ფანატიკურ სიყვარულზე, ხასიათის სიფიცხესა და ყოველივე ჩვეულებრივისადმი სიძულვილზე.

— ერთ ამბავს დააწევს ხოლმე კორდებალეტს, — თქვა მისს ბროდის. — მაგრამ ასეთ დიდ მსახიობს მიეტევება თავისუფლად ფლობს ინგლისურს და



საუცხოო გამოთქმაც აქვს. მერე სახლში მიდის და მთელი დღე მისი ბაღის  
აუზში ტბაზე მოცურავე გედებს უჭვრეტს.

„ჩემ შემდეგ, სენდი. — უთხრა ანა პავლოვამ. — ერთადერთი გეგმა  
რითაც თავდადებული მოცეკვავე შენა ხარ. შენი „მომავლადი გედი“  
პირობაა მშვენიერებაა. სიკვდილის ბოლო სცენაში ფეხის თითების  
მგრძნობიარე ქნევა...“

„ვიცი“. — მიუგო სენდიმ (იმის თქმას, „ო, რაც შემიძლია ყველაფერს  
ვაკეთებ“, ისევ ეს ამჯობინა). ცოტათი სული რომ მოითქვა კულისებში.

პავლოვამ მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი და მის წინ გადაშლილ  
სივრცეს დევნილი ხელოვანის ტრაგიკული თვალებით მიაშტერდა.

„ყველა მსახიობმა იცის, ვინ რა არის, — თქვა მან, — ასე არ არის? „მერე  
სასოწარკვეთილი, ლამის ისტერიული ხმით წამოიყვირა: „ჩემი არასოდეს  
ესმოდათ. არასოდეს! არასოდეს!“.

სენდიმ ფეხსაცმელი წაიძრო და დაუდევრად მოისროლა კულისების  
მეორე ბოლოში, სადაც იგი დასის ერთ-ერთმა მოცეკვავემ მოკრძალებით  
აიღო. სანამ მეორე ფეხსაცმელსაც წაიძრობდა, სენდიმ პავლოვას უთხრა:  
— დარწმუნებული ვარ, მესმის თქვენი“.

„მართალია. — წამოიძახა პავლოვამ. და სენდის ხელზე მოუჭირა —  
რადგან შენ ჭეშმარიტი მსახიობი ხარ და უფრო შორს ვაიტან ხელოვნების  
ჩირაღდანს“.

მისს ბროდი ამ დროს გოგოებს ეუბნებოდა:

— პავლოვა ასე დიდხანს იმიტომ უჭვრეტს თავის გედებს, და ყურად-  
ღებით აკვირდება ყოველ მათ მოძრაობას, რომ მერე „მომავლადი გედი“  
უფრო სრულყოფილად იცეკვოს. აი, ეს არის ჭეშმარიტი თავდადება ხელო-  
ვნებისადმი. რომ გაიზრდებით, ყველამ უნდა პპოვოთ თქვენი მოწოდება, რო-  
გორც მე ვპოვე თქვენში.

სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე, როცა მისს ბროდიმ საავადმყო-  
ფოში მის სანახავად მისული მონიკა დუგლასისაგან შეიტყო, სენდი მონა-  
ხვად აღიკვეცაო, თქვა:

— რა სამწუხაროა! მე ხომ სულ სხვა მოწოდებას ვგულისხმობდი. როგორ  
ფიქრობ, ჩემს ჯიბრზე ხომ არ მოიქცა ასე? რატომღაც მგონია, რომ მან  
დამაბეზლა.

საგაზაფხულო არდადეგების დაწყებამდე სკოლის დირექტორმა სენდი,  
ჯენი და მერი ჩაიხე მიიპატიჟა და ჩვეულებრივ ისევ დაკითხა გოგოები: რას  
აპირებთ, კლასიკური თუ თანამედროვე განხრით გასურთ სწავლის გაგრძე-  
ლებაო? არადაამაკმაყოფილებელი ნიშნების გამო მერი მაკგრეგორის კლასი-  
კურ განხრაზე ჩარიცხვა, რა თქმა უნდა, გამოირიცხული იყო. ამან ძალიან  
დაანადვლიანა მერი.

— მაინც რატომ გწადია ასე ძალიან კლასიკურ განხრაზე სწავლა, მერი?  
შენ ამისთვის არა ხარ გაჩენილი. ნუთუ შენი მშობლები ამდენს ვერ ხვდე-  
ბიან?

— მისს ბროდი კლასიკურს ანიჭებს უპირატესობას.

— მისს ბროდი აქ არაფერ შუაშია, — მიუგო მისს მამკეიმ, რომელიც თავ-  
ისი საკმაოდ დიდი უკანალით მყარად მოკალათებულიყო სკამზე. — მთავა-



რია, რა ნიშნები გაქვს და რა აზრის არიან მშობლები და შენ თვითონ. ნიშნები კი ძალიან დაბალი გაქვს.

როცა ჯენიმ და სენდიმ განაცხადეს, ჩვენც კლასიკური განხრობა გვსურს სწავლის გაგრძელებათ, მისს მაკკეიმ თქვა:

— ალბათ მისს ბროდის ურჩევნია ასე და იმიტომ. მაინც კარგი გამოგადგებათ ბერძნულის ან ლათინურის ცოდნა, როცა გათხოვდებით ან მუშაობას დაიწყებთ? თუ ასეა, გერმანული უფრო გამოგადგებათ.

მისს მაკკეიმ ვერ გადაათქმევინა გოგოებს არჩევანი და ბოლოს დაეთანხმა კიდეც. მერე, მათი ნდობა რომ დაემსახურებინა, მისს ბროდის ქება-დიდებას მოჰყვა და ცამდე აიყვანა იგი.

— პირდაპირ არ ეიცო, რას გავაკეთებდით, მისს ბროდი რომ არ გვყავდეს. მისი მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ, ეს ორი წელიწადი კი მე ვიტყოდი, „შესამჩნევად“ განსხვავდებიან სკოლის სხვა მოსწავლეებისაგან. — მერე, იქნებ რამე წამოცდეთო და, ეშმაკურად შეაპარა: — ხომ მართალია, რომ მისს ბროდის თეატრში, სურათების გალერეაში და სასეირნოდ დაჰყავხართ? გაატყუებთ შინ? ღმერთო ჩემო, რა ყურადღებიანია!

— ზოგჯერ კი, — მიუგო მერიმ.

— მაგრამ ყველასთვის არა, — დაუმატა ჯენიმ.

— სურათების გალერეაშიც დავდივართ, — თქვა სენდიმ.

— დიახ, მართლაც რომ ყურადღებიანია მისს ბროდი. იმედი მაქვს, რომ ამავე უფასებთ, მაინც.

— დიახ, — ერთხმად უპასუხეს გოგოებმა. თან ფრთხილობდნენ, ზედმეტი არაფერი წამოცდენოდათ, და სკოლის დირექტორთან საუბარი ანაზღად ისე არ წარმართულიყო, რომ მერე ამით მისს ბროდის ნოვატორულ წამოწყებას და „ტომის“ გოგოებს საფრთხე დამუქრებოდა. მისს მაკკეის დაკვირვებულ თვალს კი ეს არ გამოჰპარვია.

— დიდებულია, — თქვა მან, — კონცერტებზეც მისს ბროდისთან ერთად დადიხართ? მე მგონი, ძალიან უყვარს მუსიკა, არა?

— დიახ, — მიუგო მერიმ და მეგობრებს კითხვის თვალით გადახედა.

— წინა მეოთხედში ოპერაშიც ვიყავით და „ტრაფიატას“ მოვუსმინეთ. — თქვა ჯენიმ.

— მისს ბროდის მუსიკა უყვარს? — აბლა სენდის და ჯენის დაეკითხა მისს მაკკეი.

— ჩვენ პავლოვასაც დავესწარით, — თქვა სენდიმ.

— მისს ბროდის მუსიკა უყვარს? — ისევ შეუბრუნა კითხვა გოგოებს.

— ჩემი აზრით, მას ხელოვნება უფრო აინტერესებს, მაღამ, — მიუგო სენდიმ.

— კი მაგრამ, მუსიკაც ხომ ხელოვნების ფორმაა.

— მე მხატვრობა მაქვს მხედველობაში, — უპასუხა სენდიმ.

— ყველაფერი გასაგებია. მუსიკაში თუ მეცადინეობთ?

— დიახ, ყველამ ერთხმად უპასუხეს.

— ვინ გამეცადინებთ? მისტერ ლოუტერი?

— ყველამ სხვადასხვანაირად უპასუხა, რადგან მუსიკის გაკვეთილები სკოლის პროგრამით გათვალისწინებული არ იყო და მისტერ ლოუტერი მათ



კერძოდ, შინ ამეცადინებდა. მაგრამ ახლა, მისტერ ლოუტერის ხსენებაზე მოუსაზრებელი მერიც კი მიხვდა მისს მაკკეის გადაკრულ კითხვას.

— გავიგე, რომ სიმღერის გაკვეთილებზე მისს ბროდი აკომპანიმენტს გწევთ. რატომ გგონია, სენდი, რომ ის მუსიკას ფერწერას ამჯობინებს, პა?

— თვითონ მისს ბროდომ ასე გვითხრა, რომ მუსიკა უბრალოდ მშვენიერებას, ფერწერა კი ჩემი გატაცებააო.

— თქვენ რითი ხართ გატაცებული? მე მგონი, თქვენს ასაკში, ასე ვთქვათ, დიდი გატაცებები ჯერ არ გექნებათ.

— ამბებით, მადამ, — თქვა მერიმ.

— როგორ, მისს ბროდი რამეს გიყვებათ?

— დიახ, — მიუგო მერიმ.

— რაზე გელაპარაკებათ?

— ისტორიაზე, — ერთხმად უპასუხეს ჯენიმ და სენდომ. წინასწარვე იცოდნენ, როცა იქნებოდა, ამ კითხვას მაინც ვერ ასცდებოდნენ და ადრევე ისეთი პასუხი მოამზადეს, სიმართლეს რომ შეეფერებოდა.

მისს მაკკეი გაჩუმდა და გოგოებს მიაჩერდა. თან მაგიდიდან ნამცხვარს იღებდა და ლანგარზე ღებდა. გაოცებული იყო მათი წინასწარ მომზადებული პასუხებით.

მეტი არაფერი უკითხავს მათთვის, მაგრამ ფრიად საყურადღებო სიტყვა წარმოთქვა:

— ბედი გქონიათ, მისს ბროდის ხელში რომ მოხვდით. კარგი იქნებოდა მათემატიკაშიც უკეთ მომზადებულიყავით. მისს ბროდის მოსწავლეები ასე თუ ისე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე. სხვა საგნებშიც ბეჭითად უნდა იმეცადინოთ, რომ კლასიდან კლასში გადასაცვანი გამოცდები ჩააბაროთ, მისს ბროდი ხომ შესანიშნავ ცოდნას გაძლევთ საშუალო სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. საერთო, ზოგადი მომზადება კი მყარ ცოდნას ვერ მოგცემთ, მიხარია, მისს ბროდის ერთგულნი რომ ხართ. ყველამ სკოლას უნდა უერთგულოთ და არა ვინმე კონკრეტულ პიროვნებას.

მისს ბროდის ამ საუბრის მხოლოდ ნაწილი მოახსენეს.

— მისს მაკკეის ვუთხარი, მხატვრობა რომ ძალიან გიყვართ, — სხვათაშორის უთხრა სენდომ მისს ბროდის.

— მართლაც ასეა, — თქვა მისს ბროდომ, — მაგრამ „სიყვარული“ ის სიტყვა არ არის. სახვითი ხელოვნება ჩემი დიდი „გატაცებაა“.

— მეც ეს ვუთხარი, — უპასუხა სენდომ.

მისს ბროდომ ისე შეხედა, თითქოს გაუმეოროს უნდა მისთვის უკვე ორჯერ ნათქვამი სიტყვები: შენ შორს წახვალ, სენდი.

— დიახ, მუსიკასთან შედარებით. — დაამატა სენდომ და ჭრუტა თვალები აახამხამა.

სააღდგომო არდადეგების ბოლოს, ეროტიული გრძნობებით ისედაც მოჭარბებულ წელს, სასეირნოდ მარტო გამოსულ ჯენის ვიღაც კაცი აეტორლია, რომელიც უოტერ-ოფ-ლეიტს სანაპიროზე გამვლელებს უტიფრად უჩვენებდა თავის სარცხვინელს.

— მოდი, რა გიჩვენო.

— რა? — ჰკითხა ჯენიმ და უფრო ახლოს მივიდა. ალბათ ბუდიდან გად-



მოვარდნილი ბარტყი აიყვანა ან რამე უცხო მცენარეს თუ მოჰკრა თვალით—  
გაიფიქრა, რომ მიწვდა, რაშიც იყო საქმე, ელვის სისწრაფით მოწყდოდა ადგილს  
და სულ სირბილ-სირბილით გაიქცა სახლში შინ რომ მიდიდა სულ ძლიერ  
იბრუნებდა. შეძრწუნებული და გულგახეთქილი ახლობლები მაშინვე მივარ-  
დნენ და დამშვიდება დაუწყეს, თან სთხოვდნენ, ტყბილი ჩაეშენებინა  
გულზე მოგეშვებო. როცა პოლიციასაც შეატყობინეს ეს ამბავი, იმავე დღეს  
მშვენიერი პოლიციელი ქალი გამოეცხადათ, რომელსაც ჯენი უნდა დაეკითხა.

მომხდარმა ამბებმა ისე შეაშფოთა და ააფორიაქა გოგოები, ვერც კი გაი-  
გეს, რარიც წამივით გაიქროლა სააღდგომო არდადეგების დარჩენილ-  
მა დრომ და მათზე ლაპარაკი ზაფხულის არდადეგებზე გაგრძელდა.

ყველაზე მეტად სენდი დაისაჯა, რადგან მარტო სეირნობის ნე-  
ბ უნდა დაერთოთ ისეთ განაპირა ადგილებში, სადაც ჯენის ეს  
მამაკაცი აეკიდა. ახლა კი სასტიკად აუკრძალეს უფროსების გარეშე გარეთ  
გასვლა და სეირნობა. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარე იყო, სხვა მხრივ კი გო-  
გოებს ძალზე ბევრი რამ შესძინა ამ შემთხვევამ. საკითხი ორი მიმართულე-  
ბით განიხილებოდა. პირველი — თვითონ მამაკაცი და იმ საგნის რაობა, რო-  
მელსაც ასე უსივრცეოდ უჩვენებდა ყველას, და მეორე — პოლიციელი  
ქალი.

პირველი საკითხი სწრაფად იქნა ამოწურული.

— საზიზღარი ვილაც იყო, — თქვა ჯენიმ.

ფუპ. ბილწი ცხოველი. — დაამატა სენდიმ.

პოლიციელი ქალის საკითხი კი ვერა და ვერ ამოწურეს.

სენდის თუმცა არასოდეს ენახა არც ისა და არც პოლიციელი ქალები სა-  
ერთოდ. (მაშინ ქალები ის-ის იყო იწყებდნენ პოლიციაში მუშაობას), ზაფ-  
ხულის არდადეგებზე აღან ბრეკს, მისტერ როჩესტერს და მოთხრობის სხვა  
გმირებსაც ზურგი აქცია და უცნობი პოლიციელი ქალი შეიყვარა, რომელმაც  
ჯენი დაკითხა. ამით შესძლო ისევ გაეცოცხლებინა ჯენის დამცხრალი ენთუ-  
ზიაზმი.

როგორ გამოიყურებოდა? მუზარადი ეხურა?

— არა, კეპი. მოკლე ქერა თმა ჰქონდა. კეპიდან კულულები მოუჩანდა.  
და მუქი ლურჯი ფორმა ეცვა. ასე მითხრა: — აბა, ყველაფერი მიაბზე, რო-  
გორც იყო.

— შენ რა უთხარი? — უკვე მეოთხედ ეკითხებოდა სენდი.

და ჯენიც მეოთხედ პასუხობდა: — სანაპიროზე, ხეებქვეშ ვილაც კაცი  
დასეირნობდა და ხელში რაღაც ეჭირა. რომ დამინახა, ხმამაღლა გაიცინა და  
მითხრა, მოდი, რა გიჩვენო. რა არის-მეთქი, ვკითხე და ახლოს რომ მივედი,  
დავინახე... იმ პოლიციელს ხომ ვერ ვეტყვოდი, რა დავინახე?! ჰოდა, მერე თვი-  
თონ მკითხა: უმსგავსი რამ ხომ არ დავინახე? დიახ-მეთქი, ვუპასუხე, მერე კაცი  
როგორ გამოიყურებოდაო, მკითხა და..

ჯენი სულ ერთსა და იმავეს ყვებოდა. სენდის კი უფრო დაწვრილებით  
უნდოდა შეეტყო ყველაფერი პოლიციელ ქალზე და რაიმე ხელმოსაჭიდს  
ეძებდა.

მოყოლისას ჯენიმ „უმგავსიო“ თქვა. სიტყვების დამახინჯება კი მას სა-  
ერთოდ არ ჩვეოდა. ამიტომაც სენდიმ ჰკითხა:

— პოლიციელმა ქალმა: „უმსგავსიო“ თქვა თუ „უმგავსი“?



— უმგავსი.

ეს სიტყვა ისე ამაზრუნად ხვდებოდა ყურს, ისეთი საშინელი გრძნობა აღუძრა სენდის, რამდენიმე თვის განმავლობაში აღარც უფიქრია. მის გაგონებაზე ჟრუანტელაც კი დაუვლიდა ამიტომ იყო, თავი გააბეზრა ჯენის თხოვნით, კარგად გაიხსენებდა ხმე, რომ იმ პოლიციელს „უმგავსი“ არ უთქვამსო.

— ბევრი ხმარობს ამ სიტყვას, — უბასუბა ჯენიმ.

— ვიცო, მაგრამ ვერ ვიტან ასეთ ხალხს, მაგათზე იტყვიან, არც წყალია და არც ღვინო.

ისე შეაწუხა ამ ამბავმა სენდი, რომ იძულებული გახდა თვითონ მოეგონებინა მისი გამორისათვის ახალი სასაუბრო ლექსიკა. თან იმასაც წუხდა, ჯენი იმ ქალის არც სახელი რომ არ იცოდა და არც ის, როგორ მოემართათ მისთვის: კონსტებლი, სერჟანტი თუ უბრალოდ მისს. ბოლოს სერჟანტი ანა გრეი დაარქვა. სენდი პოლიციაში მისი მარჯვენა ხელი იყო, მათ ედინბურგსა და მის განაპირა უბნებში სექსის მოსპობა ჰქონდათ დავალებული. კვირის გაზეთებში, რომლებზედაც სენდის ადვილად მიუწვდებოდა ხელი, წმინდა პროფესიულ ტერმინებს წააწყდებოდით: „ადგილი ჰქონდა ინტიმურ სიახლოვეს“ ან „მომჩივანი ფეხმძიმედ იყო“. ასეთ შემთხვევაში ქალებს უბრალოდ, გვართ იხსენიებდნენ ხოლმე: „უილმს კვლავ პატიმრობაში აიყვანეს“... „როგორც ვეჭილმა გვაცნობა“ გამოიჩვენა, რომ როტბეკი ფეხმძიმედაა.

ლურჯი ფორმის კეპი სენდის კეფაზე მოწვდოდა ანა გრეისთან ერთად კიბეზე ჩამოძვდარი, უოტერ-ოფ-ლეიტის სანაპიროზე იმ ადგილს უთვალთვალებდა, სადაც „ბილწმა ცხოველმა“ ჯენის „მოდი, რი გიჩვენო“, უთხრა, ადრე სენდი არასოდეს ყოფილა ამ ადგილზე.

„აი, კიდევ რა, — თქვა სენდომ. — მისს ბროდის საქმესთან დაკავშირებით უფრო მეტი ცნობები უნდა შევკრიბოთ. ისიც დასადგენია, ფეხმძიმედ არის თუ არა მისტერ ლოუტერთან ინტიმური სიახლოვის შემდეგ. მარსია ბლეინის ქალთა სკოლაში მისტერ ლოუტერი სიმღერას ასწავლის“.

„ინტიმურ სიახლოვეს რომ მართლაც ადგილი ჰქონდა, ამაში ეჭვი არც მეპარება. — თქვა ანა გრეიმ, რომელიც ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა ლურჯ ფორმაში. კეპიდან მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმის კულულები უჩანდა. — კარგი იქნებოდა რამდენიმე მამხილებელი საბუთიც გვეჭონოდა“.

„ეს საქმე მე მომანდეთ, სერჟანტო, ანა“? — უთხრა სენდომ, რადგან იმ დღეებში ჯენისთან ერთად მისს ბროდისა და სიმღერის მასწავლებელს შორის სასიყვარულო წერილების შეთხზვით იყო გართული.

სერჟანტმა ანამ მადლიერებით ჩამოართვა სენდის ხელი და მერე თვალებში შეაცქერდნენ ერთმანეთს: ისე კარგად ესმოდათ ერთმანეთის, ზედმეტად კი იყო რაიმეს თქმა.

არდადეგების შემდეგ ჯენი და სენდი სკოლაში რომ მივიდნენ, უოტერ-ოფ-ლეიტზე მომხდარი ამბავი არც გაუძეულიათ, რადგან ჯენის დედამ გააფრთხილა, სიტყვა არავისთან დაგცდეთ ამაზეო. სავსებით ბუნებრივი იქნებოდა ეს სენსაციური ამბავი მისს ბროდისთვის ვთქვათ, მაგრამ პირველსავე დღეს სენდომ, თვითონაც არ იცოდა რატომ, ჯენის ასე უთხრა:

— მოდი, მისს ბროდის ნურაფერს ეტყვი.



— რატომ? — ჰკითხა ჯენიმ.

სენდი შეეცადა აეხსნა, თუ რა იყო ამის მიზეზი. ჯერ ერთი არ იცოდნენ, რა დამოკიდებულება ჰქონდა მისს ბროდის ხალისიან და სიცოცხლით სავსე მისტერ ლოუტერთან: ამას ისიც ემატებოდა, რომ მისს ბროდის სახლში შემოსვლისთანავე ასე განაცხადა — სააღდგომო არდადეგებზე წახალისებაში გაატარეო. იქ კი უზარმაზარ სახლში, მარტოდმარტოდ ეკონომ ქალთან ერთად, მისტერ ლოუტერი ცხოვრობდა.

— მისს ბროდის არ უთხრა, — თქვა სენდიმ.

— რატომ? — გაიკვირვა ჯენიმ.

სენდიმ კვლავ სცადა გაერკვია მიზეზი, რატომ არ შეიძლებოდა, ჯენი მისს ბროდის განდობოდა. იმდღიანდელი ამბებიც რაღაცით ამ მიზეზებთან იყო დაკავშირებული. მეოთხედი ახალი დაწყებული იყო და მისს ბროდიმ სახატავი რვეულებისა და ფანქრების მოსატანად მონიკა ღუგლასი ხატვის კაბინეტში გაგზავნა, მერე ისევ უკან მოაბრუნა და როზ სტენლი გაუშვა. როცა რვეულებითა და ფერადი ცარცის ყუთებით დატვირთული როზი დაბრუნდა, თან ტედი ლოიდი შემოჰყვა. ხელში მასაც რვეულები და ყუთები ეჭირა. ტედიმ ისინი მაგიდაზე დააწყო და, როგორი დრო გაატარეთ არდადეგებზეო, მისს ბროდის ჰკითხა. მისს ბროდიმ ხელი გაუწოდა და უთხრა:

— კრემონდი დავათვალიერე და უნდა გითხრაო, რომ არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა პატარა ზღვისპირა სოფლები.

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ კრემონდშიც შეიძლებოდა რაიმეს ნახვა, — უთხრა მისტერ ლოიდმა და თან შესცინა. ოქროსფერი თმის კულუნი შუბლზე ჩამოეშალა.

— ძალზე მომხიბლავია იქაურობა. თქვენ არსად წასულხართ?

— ვმუშაობდი, — ხრინწიანი ხმით მიუგო მან. — ოჯახურ პორტრეტებს ვხატავდი.

როზი სახატავ რვეულებს ალაგებდა კარადაში. ის იყო მორჩა და მობრუნდა, რომ მისს ბროდიმ მხარზე ხელი მოხვია და მისტერ ლოიდს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

— აფრის, — თქვა მისტერ ლოიდმა, რაც „არაფრისო“ ნიშნავდა, და კლასიდან გავიდა. მაშინ იყო, რომ ჯენიმ წაიჩურჩულა: ამ არდადეგებზე რაღაც სულ გამოიცვალა როზი, არა?

როზი მართლაც შეცვლილი იყო. მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმა კიდევ უფრო შეუმოკლებინა და უბზინავდა. ლოყები ჩაცვივნოდა და გაფერმკრთალებოდა, თითქოს სურათს იღებო, ისე თვალეზმინებოდა იჭდა.

— ალბათ უკვე დიდი გოგოა, — თქვა სენდიმ.

მისს ბროდი ამას „pubertatis“-ს უწოდებდა. მაგრამ როგორც კი გოგოები ამ სიტყვის თქმას დააპირებდნენ, მაშინვე ხითხითი აუტყდებოდათ და ოდნავ დაიმორცხვებდნენ.

გაკვეთილების შემდეგ ჯენიმ თქვა:

— ისევ ისა სჯობს, ყველაფერი მოვუყვე მისს ბროდის.

— მისს ბროდის ნუ ეტყვი, — მიუგო სენდიმ.

— კი მაგრამ, რატომ არ უნდა ვუთხრა? — ჰკითხა ჯენიმ.

სენდი ვერა და ვერ გარკვეულიყო, მაინც რატომ არ უნდოდა, ჯენის რომ ყველაფერი ეთქვა მისს ბროდისთვის. თან გრძნობდა, რაღაც უხილავი კავ-



შირი რომ არსებობდა მისს ბროდის კრემონდში გატარებულ არდადეგებსა და იმაში, როზი რომ გაგზავნა მისტერ ლოიდთან. ამიტომ ასე უთხრა ჯენს:

— პოლიციელმა ქალმა ხომ გითხრა, ეცადე დაივიწყო, რაც მოხდაო. მისს ბროდიმ კი შეიძლება ყველაფერი თავიდან გაგახსენოს.

— ეგეც მართალია, — მიუგო ჯენიმ.

გოგოებმა სულ მიივიწყეს უოტერ-ოფ-ლეიტის სანაპიროზე მოსერიწე მამაკაცი. სამაგიეროდ სულ უფრო ხშირად იგონებდნენ მომხიბლავ პოლიციელ ქალს.

უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე, რაც გოგოებს ასწავლიდა, მისს ბროდი საოცრად გამოიცვალა. აღარ ეჩხუბებოდათ, თავს აღარ აბეზრებდათ რჩევა-დარიგებებით და მაშინაც კი, როცა ძალიან გააბრაზებდნენ, მერი მაკგრეგორზე იყრიდა ხოლმე ჯავრს. იმ გაზაფხულზე თელის ძირში დამდგარი სკამები მისს ბროდიმ და მისმა კლასმა დაისაკუთრა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მაისის ვარდისფრად აყვავებულ ხეების უსასრულო ხეივანი, ისმოდა ცხენის ფლოქვების თქარათქური და ფერმერთა ცარიელი ოთხთვალეების კრიალი, დილაუთენია რომ მოესწროთ უკვე საქონლის გაყიდვა და ხეებს მოფარებული გზით შინ მიიჩქაროდნენ. ოდნავ მოშორებით, უფროსკლასელი გოგოები ლათინურს ეუფლებოდნენ. ერთხელ გაზაფხულის სურნელებით თავბრუდახვეულმა ლათინურის მასწავლებელმა სიმღერა წამოიწყო. აღტაცებულმა მისს ბროდიმ საჩვენებელი თითი ასწია და გოგოებს ანიშნა, მოუსმინეთო.

Nundinarium adest dies,  
Mulus ille nos vehet.  
Eie, curre, mule, mule,  
I tolutari gradu<sup>39</sup>.

იმ გაზაფხულზე ჯენის დედა ბავშვს ელოდა. წვეთი წვიმა არ წამოსულა: ბალახი, მზე და ჩიტები, როგორც იქნა, ზამთრის თავკერძობისაგან განთავისუფლდნენ და სხვებზეც დაიწყეს ფიქრი. აქ, თელის ძირში კვლავ გაცოცხლდა მისს ბროდის ძველი სასიყვარულო ისტორია, უცნაური და მოულოდნელი წვრილმანებით შეივსო. აღმოჩნდა, რომ მისი განსვენებული სატრფო, როცა ჯარიდან შვეებულებით ჩამოვიდოდა, ხშირად ნავით დაასერიწებდა თურმე მისს ბროდის. ბევრი სასიამოვნოდ მოსაგონარი დრო გაუტარებიათ მაშინ პატარა ზღვისპირა სოფლის კლდეებსა და ლოდებს შორის. „ზოგჯერ ჰიუ მღეროდა. მას ძლიერი ტენორი ჰქონდა. ზოგჯერ მოლბერტს წინ დაიდგმდა და საათობით ხატავდა. მხატვრობაც და მუსიკაც ერთნაირად ხელეწიფებოდა, მაგრამ მე რომ მკითხოთ, მაინც მხატვარი უფრო იყო“.

ასე გაიგეს პირველად გოგოებმა, რომ ჰიუს ხელოვნება იტაცებდა. ამან, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო სენდი და დამარებისთვის ჯენის მიმართა. ბოლოს მიხვდნენ, რომ მისს ბროდი ძველი და ახალი სასიყვარულო ისტორიების ერთმანეთან დაკავშირებას ცდილობდა. ამიტომ ორივე გაფაციცებით უსმენდა ახლა მისს ბროდის, როცა დანარჩენები უხალისოდ უგდებდნენ ყურს მის ნაამბობს.

სენდი პირდაპირ მოხიბლული იყო მისს ბროდის თხრობის უნარით, რაღა-რაღაც ფაქტებისაგან შეეთხზა ამბავი. თან აღფრთოვანებული იყო ასეთი



„...და თანაც დაეძინებოდა ციწილობით ზვეშეკრებოდა მისს ბროდის უხეუო საქციელი“

„რამე მამხილებელი საბუთი ზომ არ ჩაგვარდნით ხელში? იკითხა მისთვის ჩვეული მეგობრული კილოთი სერჟანტმა ანა გრეგორიძემ მართლაც ძალზე მომხიბლავი ქალიყოფა“



მისს ბროდისა და ხიმღერის მაწაწვლებლის სასიყვარულო წერილების შეთხზვა ჯენიმ და ხენდიმ შუთ მეოთხედში, არდადეგებზე დაამთავრეს. ისინი ჯენის ბიცოლასთან კრეილში ცხოვრობდნენ. ჯეს იყო მდინარე ფაიფის სანაპიროზე გამეწეებული პატარა ქალაქი ბიცოლო ეჭვის თვალთ უცქეროდა მათ საქმიანობას. ამიტომ ავტობუსები შეჩიბულ სოფელში გაემგზავრნენ და გამოქცეულის შესასვლელთან ჩამოსხდნენ, რომ თხულების წერა დაემთავრებინათ. ახლა მეტად რთულ ამოცანა აღდა გადაეწყვიტათ მისს ბროდი ხელსაყრელ ვითარებაშიც ეჩვენებინათ და არახელსაყრელშიც, რადგან ახლა მასთან მეცადინეობის ბოლო მეოთხედი იწყებოდა და ამაზე ნაკლები ხელს არ აძლევდათ.

ჯერ ის უნდა დაედგინათ, რომ ინტიმურ სიახლოვეს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. მაგრამ არა ჩვეულებრივ საწოლზე, ასეთი რამ ხელგარჯილობის გაკვეთილზე თუ გამოდგებოდა მხოლოდ, რომ ცოტათი გახალისებულიყო კლასი. მისს ბროდი კი უფრო მეტს იმსახურებდა. გოგოებმა მას ძველი ედინბურგის შუა ადგილს ამაყად წამოშარბულ არტურ სიტზე მიუჩინეს ადგილი, რომელიც მოყვანილობით ლოქს წააგავდა. ქვემოთ უხარმაზარი ტყის პარკი ეშლებოდა თვალწინ მისს ბროდის, ზევით კი ელვის ცეცხლოვანი ენები კამაშებდნენ და ქექა-ქუხილი გრგვინავდა. აქ, ამ ადგილას შეხვდა მისს ბროდის მორცხვი, მუდამ მომლიძარი და ტანმოორჩილი გორდონ ლოუტერი, რომელსაც გრძელი ტანი, მოკლე ფეხები, წითური თმა და ასეთივე წვერ-უღვაში ჰქონდა.

— „მან დაიმორჩილა ქალი“, — თქვა ჯენიმ, როცა პირველად დაიწყეს ამ სცენის აღწერა.

— „დაიმორჩილა“ — არა, არ ვარგა, „ქალი მიწებდა მას“.

— „ქალი მიწებდა მას“, — თქვა ჯენიმ, — „თუმცა სხვას უფრო მეტი სიამოვნებით მიწებდებოდა“

ამ თემაზე შეთხზული წერილებიდან უკანასკნელი შემდეგი შინაარსისა გახლდათ

**ჩემო მშვენიერო გორდონ!**

შენმა წერილმა გულის სიღრმემდე შემძრა და ამაფორიაქა. მაგრამ ვაი, რამდენად უსაზღვროდ უარბი შენს ცოლობაზე ორი მიზეზისა გამო. მე მოვლო ჩემი არსებობის დროს ვეკუთვნი, როგორც მაღამ პავლოვა ხეობის ხეებს გულში კი სხვა მამაკაცმა დაივანა. უსაზღვროა მისი ჩემდამი სიყვარული. ეს ტენი ლოკდი გახლავს ინტიმური სიახლოვე მასთან არასოდეს შეიძლება იგი ცოლიანია. ერთხელ, ბატვას ოთახში, თავდავიწყებით ჩავეკონეთ ერთმანეთს და შევიცანიით ქვეშაირტება. მაგრამ მე ვამაყობ, რომ შენ დავნებდი, როცა მხივდები და არტურ სიტზე ამიყვანე. ამ დროს სამშინელი ქალიშვილი მძვინვარებდა ირგვლივ, თუ ბავშვი მეყოლა, მაშინვე ვინმე პატიოსან მწყემსსა და მის ცოლს მივაბარებდი ალსაზრდელად. მერე შეგვიძლია მშვი-



დად დავსხდეთ და ვისაუბროთ ამაზე. ხანდახან თავს იმის უფლებასაც მივცემ, ცოტა ქარაფშუტულად მოვიქცე, ვინაიდან ახლა ჩემი გაფურჩქვნის ხანაა. კიდევ ბევრჯერ შეგვიძლია მხიარულად გავატაროთ დრო ზღვაზე ნაერთ ხეობისას.

მინდა გაცნობო, რომ ჯონ ნოქსივით საშინლად მაღიზიანებს მშენი მანე ქალი, მე ვფიქრობ, ძალზე გონებაშეზღუდული არსებაა, რადგან წარმოდგენაც არა აქვს იტალიურ ფერწერაზე და საერთოდ კულტურაზე. გემუდარები, უთხარი, ნუღარ მეტყვის: „ხომ იცით, ზემოთ როგორ უნდა ახვიდეთ“, როცა შენთან მოვდივარ კრემონდში, მან უნდა შენი ოთახის კარამდე მომაცილოს, მხოლოდ თავს იკატუნებს, ფეხები მტკივაო, თორემ არაფერი უჭირს, მშვენივრად დადის.

მიყვარს, როცა მდერიხარ — „ეი, ჯონი ქოუფ“. ხვალ რომ შოტლანდიის ლორდ-პეროლდმა მთხოვოს ხელი, უარს ვეტყვდი.

დასასრულ ნება მომეცი, მხურვალედ მოგილოცო წარმატებანი სიმღერასა და სექსუალურ ურთიერთობაში.

დიდი სიხარულით — ჯინ ბროდი.

წერილის წერას რომ მორჩნენ, კიდევ ერთხელ წაიკითხეს თავიდან ბოლომდე. ვერ გადაეწყვიტათ ზღვაში გადაეგდოთ თუ სადმე ჩაემარხათ ეს მამხილებელი საბუთი. იცოდნენ, რომ ნაპირიდან რაიმეს ზღვაში გადაგდება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. სენდიმ გამოქვაბულში ქვით დაფარული ნესტიანი ორმო იპოვა და რვეული, რომელშიც მისს ბროდის სასიყვარულო წერილები ჰქონდათ შეთხზული, შიგ ჩამარხეს. ამის მეტად თვალთ ადარც უნახავთ ის. ახალი გეგმებითა და უსაზღვრო სიხარულით აღვსილნი კრეილისავენ მიმავალ ტორფიან გზას ფეხით გაუყვნენ.

#### თავი IV

— იმდენი თოფის წამალი მაქვს ამ ქილაში, სკოლის ასათფეთქებლად მეყოფა, — თქვა მისს ლოკჰარტმა მშვიდად.

თეთრ გახამებულ ხალათში ჩაცმული მისს ლოკჰარტი გრძელ მაგიდასთან იდგა და ხელში ქილა ეჭირა, სადაც სამ მეოთხედამდე მუქი ნაცრისფერი ფხვნილი ეყარა. კლასში, როგორც თვითონ მოელოდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პირველ გაკვეთილს ყოველთვის ამ სიტყვებით იწყებდა, თან ბუნებისმეტყველების კაბინეტში მოთავსებულ ათასგვარ უცნაურ ხელსაწყოებს უჩვენებდა მოსწავლეებს. ყველა ცნობისმოყვარე თვალებით მიშტერებოდა ფხვნილით სავსე ქილას. მისს ლოკჰარტმა იგი ფრთხილად შედო კარადაში. სადაც სხვადასხვა ფერის კრისტალებითა და ფხვნილებით სავსე ასეთივე ქილები ეწყო.

— ეს ბუნზენის გამახურებლებია, ეს სინჯარა, ეს — პიპეტი, ის ბიურეტი, ის კირეტორტა, ტიგელი...

ასე ატარებდა თავის იდუმალ კულტმსახურებას მისს ლოკჰარტი. საშუალო სკოლაში საუკეთესო მასწავლებლად ითვლებოდა, თუმცა აქ, ყველანი კარგები იყვნენ. გოგოებისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, თითქოსდა სულ სხვა სკოლაში მოხვდნენ. აქ ვერც მისს გაუნტივით გაქნაჭულ მასწავლებლებს



ნახევდით და ვერც იმ ქალბატონებს, დერეფანში მიმავალ მისს ბროდის რომ ჩაუვლიდნენ და შემპარავი ღიმილით, „დილა მშვიდობისა, ძვირფასო“, მიესალმებოდნენ. აქაურ მასწავლებლებს, როგორც ეტყობოდა, საკუთარი საგნის გარდა, იქნებოდა ეს მათემატიკა, ლათინური თუ ბუნებისმეტყველება, ისხვითა პირადი ცხოვრება არც აინტერესებდათ. ახალ მოსწავლეებს კი უფრო მეტად აღებურულ ნიშნებს, ისე ექცეოდნენ და პირველ ხანებში ამათ ცოტათი გამოაცოცხლა კიდეც მისს ბროდის გოგოები. პირველ კვირას აღფრთოვანებულნი იყვნენ სასწავლო პროგრამით, რომელიც ძალზე ბევრ საინტერესო საგანს მოიცავდა. ცხრილის მიხედვით ერთი კაბინეტიდან მეორეში სირბილიც მოსწონდათ.

მათი ცხოვრება ახლა რაღაც უჩვეულო ფორმებითა და ბგერებით შევსებულიყო: დიდი, გეომეტრიული სამკუთხედებითა და წრეებით, გაუგებარი ბერძნული ენის ძალზე უცნაური, სისინა და შიშინა ბგერებით, რომელსაც მასწავლებელი წარმოთქვამდა: ფსტ, ფსუცბ...

რამდენიმე კვირის შემდეგ ამ ბგერებიდან თანდათანობით მნიშვნელობები რომ გამოიკვეთა, უკვე ძნელი გახდა პირველ ხანებში გაკვეთილებზე მიღებულ მთაბეჭდილებათა ხელახლა აღდგენა. იმის წარმოდგენაც კი ძნელი იყო, რომ ბერძნული ბგერები როდესმე სისინის ან შიშინის ხმებს გამოსცემდნენ და რომ სიტყვა „mensarum“ რაღაც უაზრო ფრაზასავით გამოითქმებოდა. მესამე კლასამდე თანამედროვე და კლასიკური განყოფილებები მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ სხვადასხვა უცხო ენა ისწავლებოდა. გოგოები, რომლებიც თანამედროვე განყოფილებაზე სწავლობდნენ, გერმანულ და ესპანურ ენებს ეუფლებოდნენ. გაკვეთილებს შორის შესვენებაზე სიტყვებს რომ იზეპირებდნენ, მაშინ დერეფანში გამბული ზუზუნი ისმოდა, თითქოს მიმღებიდან სხვადასხვა ქვეყნის რადიოსადგურების გადაცემა ისმისო.

ახალგაზრდა შავ ხუჭუჭთმიანი ქალი, რომელსაც კაცის ზოლიანი პერანგი ეცვა და მანყეტის საკინძეები ეკეთა, ფრანგულად მეტად უცნაური გამოთქმით ლაპარაკობდა. ამიტომ ვერც ვერავინ ისწავლა ფრანგული სიტყვების მისებურად წარმოთქმა. ზოგჯერ ქიმიის კაბინეტში ისეთი სუნნი იდგა, როგორც კენონგეიტზე, როცა ზამთრის ერთ დღეს მისს ბროდიმ გოგოები სასეირნოდ წაიყვანა. ერთმანეთში არეულიყო ბუნზენის გამახურებლებისა და გარედან შემოსული დამწვარი ფოთლების მოტკბო სუნნი. აქ, ბუნებისმეტყველების კაბინეტში, რომელსაც ლაბორატორიასაც კი ვერ უწოდებდით, გაკვეთილებს ცდებს ეძახდნენ, ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ მისს ლოკპარტმაც არ უწყოდა, რით დამთავრდებოდა ცდა და სანამ გაკვეთილზე ისხდნენ, შეიძლებოდა სკოლაც აფეთქებულიყო.

პირველ კვირას ცდაც კი ჩაატარეს ბუნებისმეტყველების კაბინეტში. სინჯარაში ჩაყრილი მაგნიუმი იწვოდა და მისგან ამოტყორცნილი ალი ციმციმებდა. ბოლოს, ოთახის სხვადასხვა მხარეს, სინჯარებიდან მაგნიუმის თვალისმომკრელად თეორმა აღმა იფეთქა, რომლებიც სინჯარებთან საგანგებოდ მიერთებულმა კოლბებმა შეაკავეს. შიშისგან გულგახეთქილი მერი მაკგრეგორი მაგიდებს შუა დარჩენილ გასასვლელში გავარდა, მაგრამ წინ ისევ ამოტყორცნილი თეთრი ალი აუციმციმდა, უკან გამობრუნდა და ისევ კაშკაშა აღმა მოსჭრა თვალი. დაფეთებული დარბოდა მაგიდებს შუა, სანამ არ დაი-



ჭირეს და დაამშვიდეს. ასე სულელი როგორ შეიძლება იყო, — უთხრა მისს ლოკპარტმა, რომელსაც კარგა ხანია საშინლად აღიზიანებდა მერის გამოთავ-  
ვანებული სახის, უაზრო თვალების, წითელი ცხვირისა და მუდამ დაღებული  
პირის ყურება.

ერთხელ, რამდენიმე წლის მერე, როცა როზ სტენლიმ მონასტერში მწიგნობარ-  
ნაზვნად აღკვეცილი სენდი ინახულა და უკვე გარდაცვლილ მერი მაკგრე-  
გორზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სენდიმ თქვა:

— ყოველთვის, რაიმე უსიამოვნება რომ შემემთხვევა ხოლმე, მაშინვე  
იმას გავიფიქრებ, ნეტა უფრო თავაზიანად მოვპყრობოდი-მეთქი მერის.

— აბა საიდან უნდა გვცოდნოდა, ასეთი ბოლო თუ ეწერა საცოდავს, —  
მიუგო როზიმ.

მისს ბროდმაც, იმ დღეს სენდისთან ერთად სასტუმრო „ბრეიდ ჰილზის“  
ფანჯარასთან რომ იჯდა, თქვა: — ყოველთვის იმას ვფიქრობ, მერი მაკგრე-  
გორმა ხომ არ მიღალატა-მეთქი. ალბათ უფრო კარგად უნდა მოვპყრობოდი.

სულ ადვილად შეიძლებოდა საშუალო სკოლაში მისს ბროდის „ტომს“ ინ-  
დივიდუალობა დაეკარგა. მარტო იმიტომ კი არა, მისს ბროდი აღარ უძღვე-  
ბოდა მათ ცხოვრებას, საინტერესო საგანთა შესწავლით რომ უფრო გაზა-  
ლისებულყო, თუმცა ძალზე უსულგულო მასწავლებლები ასწავლიდნენ, არა-  
მედ იმიტომაც, რომ სკოლის დირექტორს მათი მთლიანად დაშლა ჰქონდა  
განზრახული. სცადა კიდევ აესრულებინა თავისი განზრახვა, მაგრამ არაფერი  
გამოუვიდა, ვინაიდან ხელის ერთი მოსმით მოინდომა მისს ბროდის სკოლიდან  
გაგდება და „ტომის“ მთლიანად დაშლა.

ახლა მეტი მზრუნველობით ეპყრობოდა მერი მაკგრეგორს, რადგან ძალ-  
ზე მიმნდობი ეგონა და მისი მოსყიდვაც უფრო ადვილი იქნებოდა. ის კი ვერ  
გაითვალისწინა, თუ ასეთი ბატი იყო. მისს მაკკეის გაახსენდა, რომ მერიმაც  
სხვა გოგოებივით კლასიკურ განხრაზე სწავლის გაგრძელება ითხოვა, მაგრამ  
უარი სტკიცეს. ახლა მისს მაკკეიმ თავისი გადაწყვეტილება შესცვალა და ნე-  
ბა დართო ლათინური ესწავლა. სამაგიეროდ მერის საინტერესო ცნობები უნ-  
და მიეწვდინა მისთვის მისს ბროდზე. მერის კი ლათინურის სწავლა მხოლოდ  
იმისთვის სჭირდებოდა, რომ მისს ბროდი ესიამოვნებინა. ამიტომაც სკოლის  
დირექტორმა ვერაფერი შეიტყო მისგან. მისს მაკკეიმ რამდენჯერმე მიიწ-  
ვია მერი ჩაიზე, მაგრამ მერი მაინც ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რას მოით-  
ხოვდნენ მისგან და ასე ეგონა, ყველა მასწავლებელს და მისს ბროდისაც კი  
პირი აქვთ შეკრული.

— ახლა, საშუალო სკოლაში რომ სწავლობ, ისე ხშირად ხომ ველარ ინა-  
ხულებ მისს ბროდის! — უთხრა მისს მაკკეიმ.

— დიახ, ვიცი, — მიუგო მერიმ, რომელმაც მისს მაკკეის ნათქვამი ბრძა-  
ნებად ჩათვალა და არა პროვოკაციულ შეკითხვად.

მისს მაკკეიმ მოქმედების ახალი გეგმა შეიმუშავა, მაგრამ ამანაც არ გა-  
უმართლა. საშუალო სკოლაში მეტოქეობის მთელი სისტემა მოქმედებდა.  
უფროსკლასელები ოთხ ჯგუფად იყოფოდნენ. მათ ჰოლირუდის, მელორუზის,  
არგაილისა და ბიგარის ჯგუფებს უწოდებდნენ<sup>36</sup>. მისს მაკკეიმ გოგოები შეი-  
ძლებისდაგვარად სხვადასხვა ჯგუფში გაანაწილა. ჯენი ჰოლირუდში მოხვდა,  
სენდი და მერი მაკგრეგორი მელორუზში, მონიკა და იუნისი არგაილში, როზ  
სტენლი კი ბიგარში. ისინი ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისთვის მეტოქეობა



გაეწიათ ყველა იმ ღონისძიებისას, რაც კი სკოლაში ან მის კედლებს გარეთ პოკეის სათამაშო მოედნებზე ტარდებოდა, სადაც გამუდმებით უბერავდა გამჭოლი ქარი და, წამებულთა სასაფლაოს მსგავსად, ყოველწლიურად ამინდისთვის ღია იყო. მთავარია ახლა „მხრის გრძნობა“ გაგიჩნდეთო, უთხრეს გოგოებს. თვითთვეულმა რაზმმა გამარჯვებისთვის უნდა წაეშვეს ყოველ შაბათ დილას კი ერთად უნდა შეიკრიბოთ, რომ თქვენ-თქვენი გუნდები შეძახილებით გაამხნევოთ. ამან სხვადასხვა რაზმის გოგოებთან მეგობრობას რა თქმა უნდა, ხელი არ უნდა შეუშალოს, მაგრამ „მხრის გრძნობა“...

ამ სიტყვების თქმაც კი კმაროდა გოგოებისთვის, რომ მის მნიშვნელობას ჩამხვდარიყვნენ, რადგან მისს ბროდისთან ორი წლის სწავლების შემდეგ მშვენივრად ერკვეოდნენ, რას ნიშნავდა იგი.

„ისეთი გამოთქმა, როგორიცაა „მხრის გრძნობა“, ყოველთვის ინდივიდუალობის, სიყვარულისა თუ პირადი ურთიერთობების ჩასახშობად იხმარება. — თქვა მისს ბროდიმ. — ამდაგვარი მცნებები სუსტი სქესის წარმომადგენლებზე არც უნდა ვრცელდებოდეს. განსაკუთრებით, თუ ისინი ერთგულნი არიან თავიანთი მოწოდებისა, რომელთა ღირსებებიც უხსოვარი დროიდან უკიდურესად ეწინააღმდეგება ამ შეხედულებას. ფლორენს ნაითინგილმა<sup>37</sup> არაფერი უწყოდა ამაზე. იგი უბრალოდ მოვალე იყო აღამიანთა სიცოცხლე გადაერჩინა, ვის მხარეზეც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. შექსპირი თუ წაგიკითხავთ ალბათ გეხსოვებათ, რომ კლეოპატრას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ გრძნობაზე. თუ გინდათ მშვენიერი ელენე აიღეთ, ტროადან. თვითონ ინგლისის დედოფალი, მართალია, საერთაშორისო შეჯიბრებებს ესწრება, მაგრამ ამას ისე, ხალხის შესახედად აკეთებს. სინამდვილეში კი, ანტიკვარული ნივთებისა და მეფის ჯანმრთელობის გარდა, არაფერი აინტერესებს. რა იქნებოდა სიბილ ტორნდაიკი, ეს გრძნობა რომ ჰქონოდა?! მხოლოდ იგია უდიდესი მსახიობი, „მხრის გრძნობა“ კი დასის წევრებს გააჩნიათ. პავლოვა...“

იქნებ უკვე წინასწარ გრძნობდა მისს ბროდი, რომ დადგებოდა დრო და მისი ექვსი გოგონაც ოთხ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოქიშპე რაზმში მოხვდებოდა — არგაილში, მელროუზში, ბიგარში ან პოლირუდში, კაცი ვერ მიხვდებოდა წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებდა თუ ქვეშევცნეული გრძნობით. ასე იყო თუ ისე, მისს ბროდის პირველი ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ამ ოთხი რაზმეულის ვერც ერთი მოთავე გოგო ოდნავადაც ვერ შეედრებოდა სიბილ ტორნდაიკს ან. თუ გნებავთ, კლეოპატრას. აქაოდა. „მხრის გრძნობა“ ჩვენც გაგვაჩნიაო, ბროდის გოგოები უმაღლეს სკაუტთა რიგებში ჩაეწერებოდნენ. მარტო ისინი კი არადა, სულ ცოტა ათი გოგონა კიდევ, რომლებმაც მისს ბროდის ხელში გაიარეს, თავს არიდებდნენ სპორტულ მოედნებზე გამოჩენას, თუ იმ შემთხვევებს არ ვიგულისხმებთ, როცა იძულებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ თამაშებში. იუნისის გარდა არც არავის უცდია რომელიმე გუნდში ჩაწერილიყო და იქ გამოეცადა თავი. საყოველთაო აღიარებით იუნისი სპორტულ მოედანზე პირდაპირ შეუდარებელი იყო და ამიტომ ვერც ვერაფერში დაადანაშაულებდი.

თითქმის ყოველ შაბათს, გაკვეთილების შემდეგ, მისს ბროდი თავის ყოფილ „ტომელებს“ ჩაიხე პატიყებდა შინ და ყურადღებით უსმენდა ხოლმე გოგოებს, რომლებიც თავიანთ ახალ ცხოვრებაზე უყვებოდნენ. თვითონ მისს



ბროდის კი, როგორც გოგოებს უთხრა, ეჭვი ეპარებოდა თავის ახალ მოსწავლეთა პოტენციურ შესაძლებლობებში. ზოგიერთების ამბავი მოუყვა კიდეც და გოგოებმა ბევრი იცინეს. ამან კიდეც უფრო შეადუღა მისს ბროდის „ტომელები“. თანაც აგრძნობინა, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ მისი მოწიქეულნი. ჩაიზე კი ადრე თუ გვიან მაინც გამოკითხავდა ხოლმე გოგონების კაბინეტში რას აკეთებთო, რამეთუ ხატვას ახლა მათ ოქროსთმიანი ტენდი ლოიდი ასწავლიდათ.

მოსაყოლი კი ამაზე მართლაც ბევრი იყო. პირველ დღეს მისტერ ლოიდმა ვერა და ვერ დაამყარა წესრიგი კლასში. სხვადასხვა საგნებში მათთვის უჩვეულო და ამდენი საათის მომქანცველი მეცადინეობის შემდეგ, გოგოებმა ხატვის ოთახში უფრო თავისუფლად იგრძნეს თავი და მეტისმეტად ქნეს. მისტერ ლოიდმა ხრინწიანი ხმით დაუყვირა, გაჩუმდითო. მაგრამ ამან უფრო გამოაცოცხლა გოგოები.

ერთადერთ მარჯვენა ხელში ლამბაქი ეჭირა. მათთვის ელიფსის მოხაზულობა და თვისებები უნდოდა აეხსნა, მაგრამ მისმა რომანტიკულმა გარეგნობამ და ხრინწიანი ხმით ნათქვამმა „გაჩუმდით!“ გოგოებს თავშეუკავებელი ხითხითი მოჰგვარა.

— თუ ახლაც არ გაჩუმდებით, ამ ლამბაქს იატაკზე მოვისვრი, — უთხრა მან გოგოებს.

გოგოებმა სცადეს, მაგრამ ვერა და ვერ დაშოშმინდნენ. მისტერ ლოიდმა ლამბაქი იატაკს დაანარცხა.

კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მისტერ ლოიდმა თვალი მოავლო კლასს, და როზ სტენლიზე შეაჩერა მზერა, ხელით ნამსხვრევებზე მიუთითა და უთხრა:

— აბა შენ, სახე რომ მიგიბრუნებია, გამოდი და აკრიფე!

მერე მიტრიალდა და გაკვეთილის დამთავრებამდე ოთახის მეორე ბოლოში რაღაც საქმით იყო გართული, ამ დროს როზ სტენლის პროფილს გოგოებმაც სხვა თვალთ შეხედეს და, მისტერ ლოიდის ქცევით აღფრთოვანებულნი, ფარდების წინ დადგმული ბოთლის ხატვას შეუდგნენ.

— არცაა გასაკვირი, ის ხომ არტისტული ტემპერამენტის კაცია, — თქვა მისს ბროდის, როცა გაკვეთილზე მომხდარი ამბავი აუწყეს. ისიც რომ უთხრეს, მისტერ ლოიდმა როზის ასე დაუძახა: „შენ, გვერდით რომ მიგიბრუნებია სახე“, თვითონაც რაღაც საგანგებოდ შეათვალიერა როზი, სენდი კი ამ დროს მისს ბროდის უყურებდა.

მას შემდეგ, რაც სენდის და ჯენის უკანასკნელი თხზულება მიწაში ჩაფლეს და საშუალო სკოლის მოსწავლეები გახდნენ, მისს ბროდის სატრფოებით უკვე სხვა მხრივ დაინტერესდნენ. ახლა უკვე სექსუალურ ამბებს კი არ ანიჭებდნენ მნიშვნელობას, თვით სასიყვარულო გრძნობებში ღრმად ჩაწვდომას ლამობდნენ. თითქოსდა საუკუნე გასულიყო მას შემდეგ, როცა სექსის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდათ. ჯენი უკვე თორმეტი წლის შესრულებულიყო. სულ ცოტა ხნის წინ დედამისს ბიჭი შეეძინა, მაგრამ ჯენი და სენდი ამ ამბავს ოდნავადაც არ აუღელვებია და არც კი ცდილან აეხსნათ ამის მიზეზი.

— სექსუალური გამოკვლევებისთვის საშუალო სკოლაში დრო აღარ გვრჩება, — თქვა სენდის.



— მე მგონი, უკვე აღარც კი მაინტერესებს სექსი, — მიუგო ჯენიმ, საკვირველია, თუ მართლაც ასე იყო. ეროტიული სურვილს გრძნობა, რომელსაც სექსი აღუძრავდა ხოლმე ბავშვობაში, მერე აღარც განუცდია. მხოლოდ ერთ დღეს მოულოდნელად ისევ შეიგრძნო იგი: მაშინ/ორმოცი წლის ჯენი, საშუალო მსახიობი და თეატრალური მენეჯერის ქალიშვილი რომელიც ერთ-ერთი ცნობილი შენობის წინ მამაკაცთან ერთად პარკში სიარულს აკეთებდა, იდგა და წვიმის გადაღებას ელოდა. იგი გაოცებული იყო, კვლავ რომ დაეუფლა ეროტიული აღტყინების სასიამოვნო და თავბრუდამხვევი გრძნობა, ვერ გაეგო მხოლოდ ფიზიკური ლტოლვა იყო ეს თუ გონებაში ათასჯერ ნაფიქრალი და ნააზრევი. ერთი კია, ეს ის დაკარგული, გულწრფელი აღტაცება იყო, თერთმეტი წლის ასაკში რომ განუცდია. ჯენის ეგონა, უკვე უყვარდა ეს კაცი და ისიც ალბათ, როგორც თვითონ ფიქრობდა, თავისებურად საკუთარი სულიერი სამყაროდან მისკენ მოილტვოდა, თუმცა ამ სამყაროზე ჯენიმ არაფერი უწყობდა. ამას კი არაფერი ეშველებოდა, რადგან ჯენი აგერ უკვე თექვსმეტი წელია კმაყოფილებით ეწეოდა მეუღლის უღელს, მაგრამ მერე, როცა კი ამ პატარა შემთხვევას გაიხსენებდა, გაოცება იპყრობდა და თან ფიქრობდა, რომ ალბათ ყველგან და ყველაფერში შეიძლება იყოს მიმაღული ფარული შესაძლებლობები.

— მისტერ ლოუტერის მნე ქალი წავიდა, — უთხრა ერთ შაბათ დღეს გოგოებს მისს ბროდიმ. — ამისთანა უმადურობა სად-გაგონილა. კრემონდში რა იმისთანა საქმეები ჰქონდა. როგორც იცით, მაინცდამაინც დიდად არ მომდიოდა თვალში. მე მგონი, თვითონაც ვერ მოეწონებინა, მისტერ ლოუტერის ახლო მეგობარი რომ ვიყავი და საშინლად ღიზიანდებოდა, მასთან სტუმრად როცა მივიდოდი. ამჟამად მისტერ ლოუტერი ერთი სიმღერისათვის წერს მუსიკას და თანადგომა ღირსება.

მეორე კვირას კი გოგოებს ასე განუცხადა, მისტერ ლოუტერის საქმეებს დროებით მისს ელისონ და ელენ კერები გაუძღვებიან, რადგან ისინიც იქვე, კრემონდის მახლობლად ცხოვრობენო.

— ასე მგონია, დები მეტისმეტად ცნობისმოყვარენი არიან, — შენიშნა მისს ბროდიმ, — ისინი ხომ მისს გაუნტთან მეგობრობენ და შოტლანდურ ეკლესიაშიც ხშირად დადიან.

ყოველ შაბათს მისს ბროდი ერთი საათი ბერძნულ ენაში მეცადინეობდა; დაყინებით სთხოვდა სენდის და ჯენის, ბერძნული ესწავლებინათ, მისთვის და თან ან რასაც იმჟამად გადიოდნენ გოგოები, სწორედ იმას ახსენებდა.

— მეცადინეობის ასეთ პრაქტიკას დიდი ხნის ტრადიცია აქვს, — ამბობდა მისს ბროდი, — ძველად ოჯახიდან მხოლოდ ერთ ბავშვს მიაბარებდნენ ხოლმე სკოლაში, ამიტომ ყოველ საღამოს ოჯახის ეს ერთადერთი მოსწავლე დილით სკოლაში მიღებულ ცოდნას თავის და-ძმებს გადასცემდა. დიდი ხანია ბერძნულის სწავლა მიწოდდა, თანაც მეცადინეობის ასეთი სისტემა განვლილი მასალის განმტკიცებაში დაგეხმარებათ. ჯონ სტიუარტი მილიმ<sup>38</sup> ხუთი წლის რომ იყო, ალიონზე წამოხტებოდა და ბერძნულს მეცადინეობდა. რასაც პატარა ჯონ სტიუარტი მილი მაშინ გამთენიისას აკეთებდა, მეც შემიძლია ახლა, ჩემი გაფურჩქვნის ხანაში გავაკეთო ყოველ შაბათს.

მისს ბროდი წარმატებით ეუფლებოდა ბერძნულ ენას, თუმცა ხანდახან გამოთქმა უჭირდა, რადგან სენდი და ჯენი ენაში მთელი კვირის განმავლო-



ბაში დაგროვილ ცოდნას სხვადასხვანაირად გადასცემდნენ. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი რჩეული გოგოების ახალი ცხოვრების თანახმად გამ-  
ხდარიყო და ყველაფერს ხელაღებით უგულვებელყოფდა, რასაც კი მათ ახალ  
საქმიანობაში შეუფერებლად მიიჩნევდა ან მისი გავლენის ქვეშეობაში გა-  
მოდიოდა.

მისს ბროდი ამბობდა: სწორი ხაზი რომ ორ წერტილს შორის უმოკლესი  
მანძილია და რომ წრე ერთი წრით შემოსაზღვრული ფიგურაა სიბრტყეზე,  
რომლის ყველა წერტილი თანაბრად დაშორებული ფიქსირებული ცენტ-  
რიდან, მაგვილგონივრული, თუმცა მაიმც მარტივი თქმაა. ყველამ ისედაც  
კარგად იცის, რა არის სწორი ხაზი და წრე.

პირველი მეოთხედის ბოლოს, გამოცდების შემდეგ, მისს ბროდიმ გოგო-  
ებისთვის ამოსახსნელად მიცემული ამოცანის პირობას გადახედა და ხმამაღ-  
ლა, ამრეზით წაიკითხა ყველაზე თავსამტვრევი ადგილი: „ფანჯრების მწმენ-  
დავს მიაქვს 60 ფუტი წონისა და 15 ფუტი სიგრძის კიბე, რომელსაც 40  
ფუტიანი ვედრო ჰკიდია. კიბის ბოლოდან რა მანძილზე უნდა გააჩეროს ვედ-  
რო, რომ შესძლოს მისი პორიზონტალურად წაღება? სად არის ტვირთის სიმ-  
ძიმის ცენტრი?“

მისს ბროდიმ კითხვები რომ წაიკითხა, მერე ისევ ამოცანის პირობას  
დახედა, თითქოს ამით ყველასთვის უნდოდა ეჩვენებინა, გაცემული ვარ-  
სეთი სისულელეების კითხვით.

ბევრჯერ მიუნიშნებია გოგოებისთვის, რომ ამგვარი ამოცანების ამოხ-  
სნა არაფერში არ გამოადგებოდათ სიბილ ტორნდაიკს, ანა პავლოვასა თუ  
განსვენებულ ტროელ დედოფალ ელენეს.

ბროდის „ტომი“ ჯერჯერობით ისევ იმ ახალი საგნების ტყვეობაში იყო,  
საშუალო სკოლაში რომ გადიოდნენ. მერე კი ყველაფერი შეიცვალა: ფიზიკამ,  
ქიმია, ალგებრა-გეომეტრიამ თანდათანობით დაკარგეს ის პირვანდელი უჩ-  
ვეულობა, სწავლის დასაწყისში რომ ახლდათ, და ეს მეცნიერებანი ყოველ-  
დღიური ცხოვრების ცალკეულ სფეროდ, ძალზე მოსაწყენ და მძიმე სამუშა-  
ოდ გადაიქცნენ. გასაოცარი მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მონიკა  
დუგლასიც კი საკუთარი თავით არასოდეს ყოფილა ისე აღფრთოვანებული,  
როგორც იმ დღეს, როცა პირველად გამოაქლო „y“-ს „x“, მიღებული შედეგი  
კი „a“-ს, ასეთი ბედნიერი სახე მერე არასოდეს აღარ ჰქონია.

პირველ მეოთხედში როზ სტენლი დიდი გატაცებით შიგნავდა ხოლმე  
ჭიებს ბიოლოგიის გაკვეთილებზე, ორი მეოთხედის შემდეგ კი მარტო ამის  
გახსენებაზე ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში, ამიტომაც დაანება თავი ბიოლო-  
გიას.

იუნის გარდინერი სამრეწველო რევოლუციამ დააინტერესა და ისეთი  
გატაცებით მსჯელობდა მის ავ-კარგზე, რომ ისტორიის ვეგეტერიანიელი მას-  
წავლებელი, ახლა მემარცხენეთა შეხედულებებს რომ იზიარებდა, დიდ იმე-  
დებს ამყარებდა მასზე. სულ რამდენიმე თვეში კი, როცა იუნისმა ისევ რო-  
მანების კითხვას მიჰყო ხელი, სადაც შოტლანდიელთა დედოფლის, მარია  
სტიუარტის ცხოვრება იყო აღწერილი, მასწავლებელს იმედები გაუცრუვდა.  
სენდი, საოცრად ცუდი ხელი რომ ჰქონდა, რამდენიმე საათის განმავლობაში  
გულმოდგინედ ვარჯიშობდა ბერძნული ასოების წერაში, ჯენი კი ამაყად იჯდა  
და ლაბორატორიის ხელსაწყოებს იხატავდა ქიმიის რვეულში. ბენტერა მერი



მაკგრეგორიც კი გაოცებული იყო იმით, რომ იულიუს კეისრის „გალიის  
ომი“ ასე გასაგები იყო და მის დაჩლუნგებულ წარმოსახვას ჯერჯერობით  
ჩიხში ვერ აქცევდა, ინგლისურზე მეტად იმ სიტყვების წარმოთქმა და მარ-  
თლწერა ეადვილებოდა, იულიუს კეისარი რომ ზმარობდა, ენა მშვენიერ  
დღეს კი იმ თხზულებიდან, რომელიც აუცილებლად უნდა წაეწერა, მოუ-  
ლოდნელად გამოირკვა, რომ, მისი აზრით, ეს დოკუმენტი სამუელ პიპსის<sup>35</sup>  
ებოქით თარიღდებოდა. შემდეგში კი უფრო მეტად განიმტკიცა ჩერჩეტის  
სახელი, როცა შეკითხვებით გაწამებულმა სიცილით დაოსებულ ქვეყნიერე-  
ბას ამცნო, სტენოგრაფია და ლათინური ერთი და იგივეაო.

იმ რამდენიმე თვის განმავლობაში, როცა გოგოები საშუალო სკოლის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, მისს ბროდი თავგამოდებით ებრძოდა და მათზე არა ნაკლები დაუცხრომელი ძალით, თვითონვე რომ ჩაუწერდა თავის „ტომის“ წევრებს. ერთი ბრძოლა რომ მოიგო, მაინც არ დაცხრა და არა. ცხადი იყო, ახლაც უფრო მეტად იმის ეშინოდა, გოგოები საშუალო სკოლის რომელიმე მასწავლებელს არ მიეზოებოდნენ, მაგრამ სიფრთხილეს იჩენდა და პირდაპირ შეტევაზე არ გადადიოდა, რადგან, როგორც ეტყობოდა, მასწავლებლები ძალზე გულგრილად ეპყრობოდნენ მის აღზრდილებს.

ზაფხულში გოგოებს ყველაზე მეტად ტანვარჯიშის დარბაზში მეცადინეობა უყვარდათ. იქ ხან ორბელებზე ქანაობდნენ, ხან შვედურ კედელზე თავდაყირა დაეკიდებოდნენ, ხან ბაგირებზე აბობლებულნი ზემოთ, ჭერისკენ მიცოცავდნენ; ყველანი მოქნილ იუნის გარდინერს ეჯიბრებოდნენ სიძარდეში და, როგორც ტროპიკულ ლიანებზე დაეკიდებიან ხოლმე მაიმუნები, ისე ჩამო-  
ეკონწიალებოდნენ ბაგირებზე.

ფიზკულტურის მასწავლებელი, ჭაღარა და გაღეული ქალი, გოგონებს უხსნიდა, რა უნდა გაეკეთებინათ და თან ბრძანებებს მკაფიო მოტლანდიური კილოთი ისე გაჰყვიროდა, ხანდახან ხველა აუტყდებოდა, რის გამოც შვეიცარიაშიც კი გაგზავნეს მერი სამკურნალოდ.

ზაფხულის მეოთხედში, მოწყენილობა რომ არ მოსძალებოდათ და ყოველდღიური საზრუნავი მისს ბროდის სიყვარულთან შეეთავსებინათ, სენდიმ და ჯენიმ სხვადასხვა მეცნიერებებში ახლად შეძენილი ცოდნა გამოიყენეს და მისს ბროდიზე ათასგვარი სისულელეები მოაგონეს. „რა იქნებოდა, რომ მისს ბროდი ჯერ ჰაერში აგვეწონა და მერე წყალში...“ სიმღერის გაკვეთილებზე კი, როცა შეამჩნევდნენ, მისტერ ლოუტერი მთლად კარგად ვერ არისო, მაშინვე იმას შეახსენებდნენ ერთმანეთს, წყალში ჩაძირული მისს ბროდი აცლის მისტერ ლოუტერს თავის წონასო.

ათას ცხრაას ოცდაცამეტი წლის გვიან გაზაფხულზე მისს ბროდიმ ბერძნულ ენაში მეცადინეობა შეწყვიტა, რადგან ამას მისტერ ლოუტერის ინტერესები მოითხოვდა. მისტერ ლოუტერის სახლში, რომელიც კრემონდში იდგა და გოგოებს ჯერ არ ენახათ, ოჯახურ საქმეებს კვლავ კერვის მასწავლებლები — დები მისს ელენ და ელისონ კერები უძღვებოდნენ გულმოდგინედ.

ისინი იქვე, მეზობლად ცხოვრობდნენ და ამიტომაც მათთვის აღვილი იყო გაკვეთილების შემდეგ რიგრიგობით შეეცდნენ მისტერ ლოუტერთან, მისთვის ვახშამი გაემზადებინათ და საუზმისათვის საჭირო ხორაგიც მაგიდაზე დაეტოვებინათ. მათთვის ეს სასიამოვნოც კი იყო, რადგან კეთილ საქმესაც სჩადიოდნენ და თან ცოტაოდენი შემოსავალიც შემოუდიოდათ. შაბათობით ან



მისს ელენი ან მისს ელისონი ალაგებდა სახლს და გასარეცხად გამზადებულ თეთრეულს ითვლიდა. ზოგჯერ, კვირა დილით, ორივე და საქმიანობდა: მისს ელენი იატაკის მოსარეცხად მოსულ ქალს ადევნებდა თვალს, მისს ელისონი კი მთელი კვირისათვის სანოვანის საყიდლად მიდიოდა. დებს ცხოვრებაში არასოდეს უგრძნიათ, რომ მათი ასეთი საქმიანობა ვინმეს რაიმე უსიამოვნოდ ადგებოდა, განსაკუთრებით კი უფროსი დის სიკვდილის შემდეგ, რომელიც ყოველთვის ასწავლიდა, როგორ გამოეყენებინათ დარჩენილი თავისუფალი დრო. ამიტომაც მისს ელისონი ვერა და ვერ შეეგუა, როცა მისს კერს ეძახდნენ, მისს ელენმა კი ერთხელაც ვერ გაბედა ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანა — უფროსი დის მითითება აღარ ჰქონდა და იმიტომ.

მღვდლის და, გაქნაჭული მისს გაუნტი კი ფარულად იმას ცდილობდა, მათი გარდაცვლილი უფროსი დის მაგიერ გამგებლობა ახლა თვითონ ჩაეგდო ხელში. როგორც მერე გამოირკვა, მისს გაუნტს მოსწონდა კიდეც დების ეს მოლაპარაკება მისტერ ლოუტერთან და ურჩევდა უფრო განემტკიცებინათ იგი. ამით დების კეთილდღეობისთვისაც ზრუნავდა და თან პირადი ინტერესების მიზნით აკეთებდა, რომელიც მისს ბროდისთან იყო დაკავშირებული.

მისს ბროდი აქამდე მხოლოდ კვირაობით სტუმრობდა მისტერ ლოუტერს. ეკლესიაში ყოველთვის კვირა დილით მიდიოდა. თან ატარებდა სიას, რომელშიც სხვადასხვა სარწმუნოებრივი მიმართულების ეკლესიები იყო ჩამოთვლილი, რიგ-რიგობით რომ უნდა მოენახულებინა. მასში შედიოდა შოტლანდიის თავისუფალი თუ სახელმწიფო ეკლესია, მეთოდისტური, ეპისკოპალური თუ სხვა ეკლესიები, რომლებიც რომის კათოლიკურ ეკლესიას არ მიეკუთვნებოდნენ.

მისს ბროდის უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკური ეკლესიის მიმართ მისივე მტკიცებით იმით აიხსნებოდა, რომ ეს ეკლესია საერთოდ რელიგიურ ცრურწმენათა ეკლესია იყო და კათოლიკეებადაც ისინი ხდებოდნენ, ვისაც საკუთარი ტვინით აზროვნება არ სურდა. მისი ასეთი დამოკიდებულება ცოტა უცნაურიც კი იყო, რამეთუ ისეთი ტემპერამენტის ადამიანს, მისს ბროდი რომ გახლდათ, სწორედ კათოლიკურ ეკლესიაში უნდა ევლო; იქნებ ამ ეკლესიას შეძლებოდა შეეფარებინა და დაემშვიდებინა მისი ხან აღზევებულის, ხან კი დამცხრალი სული და საერთო კალაპოტში ჩაეყენებინა. იქნებ ამიტომაც არიდებდა თავს კათოლიკობას. იტალიის ნიადაგ თავგამოდებული თავყანისმცემელი მისს ბროდი, როცა საქმე კათოლიკობას შეეხებოდა, თავის ედინბურგულ სიჯიუტეს და სიკერპეს იშველიებდა, თუმცა მისი ხასიათის ეს თვისება სხვა დროს ამდენად შესამჩნევი არ იყო. ასე რომ, კათოლიკური ეკლესიების გარდა ყველა სხვა ეკლესიაში დაიარებოდა და იშვიათად თუ გამოტოვებდა ერთ კვირა დღეს. ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა და სხვებსაც აგრძნობინებდა, რომ, როგორც არ უნდა მოქცეულიყო, ღმერთი მაინც მოწყალე თვალთ უყურებდა და სინდისიც კი არ ქენჯნიდა, რომ თვალთმაქცობდა და ეკლესიაში წირვა-ლოცვის მერე სიმღერის მასწავლებელს უწვებოდა ლოგინში. საკუთარი დანაშაულის მეტისმეტმა შეგნებამ ადამიანს შეიძლება მოუფიქრებელი ნაბიჯი გადაადგმევინოს: რაც შეეხება მისს ბროდის, იგი აქამდე საკუთარი უდანაშაულობის შეგნებამ მიიყვანა.

ამ გარემოებით გამოწვეულ შედეგს მისს ბროდის რჩეული გოგონები ალტაცებაში მოჰყავდათ, რამეთუ საკუთარი თავისადმი ცოდვათა ასეთი მიტევე-



ბა მათზედაც ვრცელდებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა გონების თვალს მოავლეს წარსულს, მიხედნენ, თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ სინამდვილეში მისტერ ლოუტერსა და მისს ბროდის. მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ გოგოები მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, არ შეეძლოთ მისს ბროდის წინაშე საჩივრებს ჩვეულებრივი „შეიძლება“ თუ „არ შეიძლება“-მისწოდებით მიდგომოდნენ. მხოლოდ ოცდახუთი წლის შემდეგ, როცა სენდი საბოლოოდ განთავისუფლდა იმ გაურკვეველი აზრისაგან სამყაროს არაპარმონიულობის თაობაზე, ყოველთვის რომ თან სდევდა, შეძლო წარსულისთვის გადაეცლო თვალი და ელიარებინა, რომ მისს ბროდი კრიტიკულად არასოდეს მიდგომია საკუთარ თავს და ამან რაღაც-რაღაცებში სასიკეთო შედეგიც კი გამოიღო. ამ დროს სენდის უკვე დაბეზრებული ჰყავდა მისს ბროდი, თავად მისს ბროდი კი კარგა ხანია ცივ სამარეში განისვენებდა.

კვირა დილით ეკლესიაში რომ წავიდოდა, იქიდან მერე კრემონდში გაუტევდა და მთელ დღეს მისტერ ლოუტერთან ატარებდა. საღამოობით იქ რჩებოდა და ხშირად, ასე ვთქვათ, მოწამეობრივი მოვალეობის მოსახდელად ღამესაც მასთან ათევდა, რამეთუ მისი გული ხატვის მასწავლებელს ეკუთვნოდა, ვისაც უარი უთხრა.

მისტერ ლოუტერი, რომელსაც გრძელი ტანი და მოკლე ფეხები ჰქონდა, ძალზე მორცხვი კაცი იყო. თითქმის ყველას კეთილად უღიმოდა, ყველას კეთილად განაწყობდა თავის მიმართ; საერთოდ ძალზე ცოტას ლაპარაკობდა და უფრო მეტად მღეროდა.

როცა გამოირკვა, მისს ელენ და ელისონ კერები გაუძღვებოდნენ მორიდებული, მუდამ მომლიმარი და მარტოხელა მისტერ ლოუტერის ოჯახს კრემონდში, მისს ბროდიმ აიჩემა, იგი თანდათანობით წონაში იკლებსო. თავისი აღმოჩენა სწორედ მაშინ განაცხადა, როცა სენდის და ჯენის უკვე შეემჩნიათ, რომ მისს ბროდი უფრო წერწეტი გამხდარიყო და უფრო დამშვენებულიყო; გოგოებს, რომლებიც იმხანად ცამეტი წლისა იყვნენ და ამგვარი საკითხების მიმართ ცხოველ ინტერესს იჩენდნენ, ახლა იმის გარკვევა ეწადათ, შეაძლებოდა თუ არა მისს ბროდის თავისი გარეგნობით მამაკაცების ყურადღება მიექცია და მოეხიბლა ისინი. გოგოებმა ახალი თვალთ შეხედეს და დაასკვნეს: მისს ბროდის რაღაც განსაკუთრებული, რომანტიკული სილამაზე აქვს და რომ წონაშიც მისტერ ლოიდისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო დაიკლო, რომელზედაც თვითონვე დიდსულოვნად თქვა უარი და ეს ამბავი დიანაც ხელს აძლევდა მისს ბროდისო.

ახლა ასე ეუბნებოდა მისს ბროდი გოგოებს: „ამ ბოლო ხანებში მისტერ ლოუტერი საგრძნობლად გაბდა. მე არ ვენდობი დებს, როგორც ვატყობ, ძალზე ჭიჭოდ ხარჯავენ ფულს, ორივენი ხელმოჭერილები არიან. იმ სანოვანით, შაბათობით რომ ყიდულობენ მისთვის, მთელი კვირა კი არადა, მეორე დღემდე ძლივს გააქვს თავი. მისტერ ლოუტერი რომ მისი სახლიდან წამოვიდოდეს და ედინბურგში იქირავებდეს ბინას, მაშინ არ გაჭირდებოდა მისი მოვლა. მას მზრუნველობა სჭირდება. მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმებ, შეუძლებელია იმ ადამიანის დაყოლიება, რომელიც არასოდეს არ გეწინააღმდეგება და მხოლოდ გიღიმის.“

მისს ბროდიმ გადაწყვიტა თვალყური ედევნებინა დებისთვის კრემონდში,



რომლებიც შაბათობით ერთი კვირის სამყოფ საწოლავით წინასწარ გამოგებდნენ ხოლმე მისტერ ლოუტერს.

„ამისთვის კარგა ფულსაც უხდოდა მათ, — თქვა მისს ბროდიმ. — ყოველთვის მოვალ და შევამოწმებ, რომ ზუსტად ის იყიდონ, რა რაოდენობაზე მეტად საჭიროა და თანაც საკმარისად“. იქნებ, ცოტა არ იყოს, სასწრაფო ნათქვამიც იყო, მაგრამ გოგოები ასე არ ფიქრობდნენ, პირიქით, აგულიანებდნენ კიდევ მისს ბროდის, რომ დებს წაჩხუბებოდა და მათ საქმეებში ჩარეულიყო. ნაწილობრივ ამ უცნაური ამბების შედეგებიც აინტერესებდათ და თან დარწმუნებულნი იყვნენ, მისტერ ლოუტერი თავის სათნო ღიმილით მაინც შეძლებდა დაძაბული მდგომარეობის განმუხტვას.

ამას გარდა დები ძალზე მშვიდრები იყვნენ. რაც მთავარია, მისს ბროდი ორივეს სჯობდა, იგი მართკუთხა სამკუთხედის პიპოტენუზის კვადრატი იყო, დები კი მხოლოდ და მხოლოდ მისი კათეტების კვადრატებს თუ წარმოადგენდნენ.

დები ძალზე მშვიდად შეხვდნენ იმ ამბავს, რომ მისს ბროდი ასე დაურიღებლად ჩაერია მათ საქმეებში. სწორედ ეს მათი უდრტვინველი მორჩილება გახლდათ მიზეზი იმისა, რომ შემდეგში ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უპასუხეს მისს გაუნტის ყველა შეკითხვას.

ამასობაში კი, მისტერ ლოუტერის გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა თვითონ მისს ბროდიმ ითავა და რადგან ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ შაბათობით კრემონდში დარჩებოდა, „ტომის“ გოგოებიც ყოველ კვირას რიგრიგობით, ორ-ორნი უნდა სწვეოდნენ მისს ბროდის მისტერ ლოუტერის სამყოფელში, სადაც იგი კეთილად უღიმოდა მათ, დროდადრო ნაზად უთათუნებდა ხოლმე თავზე ბელს ან მშვენიერი ჯენის კულულებს ეთამაშებოდა. ამ დროს ყოველთვის თაფლისფერთვალეებიან მისს ბროდის უცქეროდა და მხარდაჭერას, საყვედურს თუ რაღაც ამდაგვარს მოელოდა მისგან. სანამ მისს ბროდი გოგოებს ჩაით უმასპინძლდებოდა, მისტერ ლოუტერი იღიმებოდა, ხანდახან ფინჯანს მაგიდაზე დადგამდა, პიანინოს მიუჯდებოდა და თავდავიწყებით მღეროდა:

ეთრიკ, იარე, წინ გასწი, წინ, ტევიდეილ!

ო, რატომ ურევთ მწყობრში ნაბიჯებს!

ესკდეილ, შენაც და შენც, ლიდსდეილ,

წინ, წინ იარეთ!

სიმღერას რომ მორჩებოდა, მორცხვად გაიღიმებდა, მერე ისევ ფინჯანს აიღებდა და ჟღალ წარბებს ქვემოდან გახედავდა მისს ბროდის, რომ გაეგო, რას ფიქრობდა იმ დროს მასზე. მისთვის ის უბრალოდ ჯინი იყო და ამ ფაქტს ტომის ვერც ერთი წევრი ვერ უარყოფდა.

მისს ბროდიმ სენდის და ჯენის განუცხადა:

— სულ არ მოვრიდებივარ მისს ელენ და ელისონ კერებს. შიმშილით სულს ხდიდნენ მისტერ ლოუტერს. ახლა საწოლავის მომარაგება მე მეკითხება. არ დაგავიწყდეთ, რომ უილი ბროდის<sup>49</sup> შთამომავალი ვარ. ის შეძლებული კაცი იყო, თანაც ღურგალი. მან თავისებური სახრჩობელები გამოიგონა და ედინბურგის მუნიციპალიტეტის წევრიც გახლდათ. ერთდროულად ორ საყვარელს ინახავდა, რომლებმაც ერთად ხუთი ბავშვი გაუჩინეს. მეც მისი



სისხლი მიჩქეფს. კამათლის თამაში და მამლების ჩხუბი უყვარდა ძალიან. ბოლოს სააქციო საზოგადოება გაძარცვა და მასზე ძებნაც კი იყო გამოცხადებული. იმისთვის კი არ ქურდობდა, რომ ფული უჭირდა, არა, უბრალოდ ხიფათის მოყვარული კაცი იყო და სწორედ ეს მოსწონდა. უჩვეულოდ საზღვარგარეთ დააპატიმრეს, ედინბურგში დააბრუნეს და მთელი ციხეში ჩასვეს. ათას შვიდას ოთხმოცდარვა წელს მისსავე გამოგონებულ საბრძოლველად ფრიად კარგ გუნებაზე დაასრულა სიცოცხლე. რაც უნდა იყოს, მეც მისი ჯიშისა ვარ და მისს ვლენ და ელისონ კერების უგუნურ საქციელს ვეღარ მოვითმენ.

მისტერ ლოუტერმა სიმღერა წამოიწყო:

რად მინდა, დედი, სარეცელი  
ფართო და რბილი?  
ჩემი მიჯნური მე შემეწირა  
და ხვალ საფლავში მეც დავიძინებ.

მერე მისს ბროდის შეხედა. ამ დროს იგი ფინჯნის ჩამოტეხილ პირს ათვალიერებდა.

— მერი მაკგრეგორმა ჩამოტეხა ალბათ, — თქვა მან. — იუნისთან ერთად იყო წინა კვირას და ქურჭელიც ერთად დარეცხეს. ალბათ მისი ჩამოტეხილია.

ფანჯრებს მიღმა, მდელიზე ზიზილები ბრწყინავდნენ. მდელი დიდ სივრცეზე გადაშლილიყო, იმის იქით, თვალს ძლივს მოჰკრავდით პატარა ტყეს და მინდვრებს, რომლებიც აგრეთვე მისტერ ლოუტერის საკუთრება იყო. მორცხვი, მუსიკალური და კეთილი მისტერ ლოუტერი დიანაც შეძლებული კაცი გახლდათ.

სენდი ახლა მარტო იმას კი არ უკვირდებოდა, მართლა მომხიბლავი იყო თუ არა მისს ბროდი, არამედ იმასაც ცდილობდა, მასში ქალური მორჩილების მაგვარი რამ მაინც აღმოეჩინა, რაც ასე წარმოუდგენელი იყო მის სასიყვარულო ურთიერთობაში. იგი უფრო დომინირებული საწყისი იყო, ვიდრე ხორციელი ქალი ნორმა შერერის<sup>41</sup> ან ელიზაბეტ ბერგნერის<sup>42</sup> მსგავსად.

მისს ბროდი, ორმოცდასამი წლისა, ბევრად გამხდარი და წერწეტი ჩანდა ახლა, ვიდრე მაშინ, მათ კლასში რომ იდგა, ანდა თელის ძირში გაკვეთილს უტარებდათ. მაგრამ მისტერ ლოუტერთან შედარებით მაინც დიდი ჩანდა. მისტერ ლოუტერი ხმელ-ხმელი, პატარა კაცი იყო. იგი სიყვარულით უცქერდა ხოლმე მისს ბროდის. ის კი მკაცრად და მესაკუთრესავით უყურებდა.

საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე, მეოთხედის ბოლოს, როცა „ტომის“ თითქმის ყველა წევრი ცამეტი წლის შესრულდა, მისს ბროდი ყოველ კვირას მის სანახავად მოსულ გოგოებს ხატვის გაკვეთილებზე ეკითხებოდა. გოგოები ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ტედი ლოიდის გაკვეთილებსა თუ იმას, რასაც იგი აკეთებდა. დაწვრილებით იმახსოვრებდნენ ყველაფერს, რომ მერე, როცა მათი ჯერი დადგებოდა და კრემონდში მისტერ ლოუტერის დიდ სახლში მისს ბროდის ესტუმრებოდნენ, სიტყვასიტყვით მოეყოლათ ყოველივე.

ეს გახლდათ დიდი სახლი დაქანებული სახურავით, რომელიც პატარა



კოშკით ბოლოვდებოდა. სახლისკენ მიმავალი ტყის ბილიკი, რომელიც სოფ-  
ლიდან მოემართებოდა, ისე მიიკლავებოდა და წინა გაზონიც ისეთი ვიწრო  
იყო, სახლს ახლოდან კარგად ვერც დაათვალიერებდი. თავი რაც შეიძლება  
მალა უნდა აგეწია, რომ კოშკი დაგენახა. უკანა მხრიდან სახლი მდებარე-  
ბოდა იყო, დიდ და ჩაბნელებულ ოთახების ფანჯრებზე ვენცერების ფარდები  
ეკიდა. კიბის მოაჯირები, რომელთა დასაწყისში ლომის თავები იყო ამო-  
ჩუქურთმებული, ზემოთკენ ხვეულად მიემართებოდა და სადღაც სულ მალა  
იკარგებოდა. დიდი და მძიმე ავეჯი ვერცხლითა და ვარდისფერი მინით იყო  
შემკული. ბიბლიოთეკაში, პირველ სართულზე, სადაც მისს ბროდი გოგოებს  
იღებდა, რამდენიმე შემინული წიგნის კარადა იდგა; შიგნით ისე ბნელოდა,  
თუ ახლოდან არ ჩააშტერდებოდი, ისე წიგნის სათაურსაც ვერ ამოიკითხავდი.

ოთახის ერთ კუთხეში როიალი იდგა, რომელზედაც ზაფხულობით ვარ-  
დებიან ლარნაკს დგამდნენ.

ამ უშველებელი სახლის დათვალიერება მართლაც ძალზე საინტერესო  
იყო. იმ დღეებში, როცა მისს ბროდი სამზარეულოში საქმიანობდა და მეორე  
დღისთვის სადილს ამზადებდა, — სწორედ იმ ხანებში აიჩემა, მისტერ ლოუ-  
ტერის კვებაზე თვითონ ვიზრუნებო, — გოგოები თავისუფლად მიდი-მოდი-  
ოდნენ სახლში, სადაც მოკრძალებული შიშით აივლიდნენ ფართო კიბეს  
და დამტვერილ საწოლ ოთახში შეიჭყიტავდნენ, განსაკუთრებული ინტერე-  
სით იმ ორ ოთახს ათვალიერებდნენ, რომელთა სათანადოდ მოწყობა სახლის  
პატრონს დავიწყებოდა. ერთში დიდი საწერი მაგიდის გარდა არაფერი იდგა,  
ხალიჩაც კი არ ეფინა იატაკზე, მეორე ოთახი კი სულ მთლად ცარიელი იყო,  
მხოლოდ ნათურა ეკიდა და კუთხეში ცისფერი დოჭი იდგა. წლის ყოველ  
დროს ოთახები ყინულივით ცივი იყო. გოგოები სახლის დათვალიერებას რომ  
მორჩებოდნენ და კიბეზე დაეშვებოდნენ, ქვემოთ მისტერ ლოუტერი ელოდათ  
ხოლმე. იგი გულზელდაკრეფილი იდგა და მორცხვად იღიმებოდა თითქოს-  
და იმ იმედით, გოგოებს ყველაფერი მოეწონათო. სანამ შინ წავიდოდნენ, მის-  
ტერ ლოუტერი ლარნაკიდან ვარდებს ამოიღებდა და სათითაოდ დაურიგებდა  
ყველას.

მისტერ ლოუტერი, როგორც ეტყობოდა, თავს მუდამ უცხოდ გრძნობდა  
საკუთარ სახლში, თუმცა აქ იყო დაბადებული. სანამ რამეს წაეტანებოდა ან  
ბუფეტს გამოაღებდა. ყოველთვის მისს ბროდის გადახედავდა, თითქოსდა მის  
დაუკითხავად არაფრის ხელის ხლება არ შეიძლებოდა. გოგოებმაც ასე და-  
ასკვნეს, ალბათ მთელი ცხოვრება მისტერ ლოუტერი დედის მორჩილი და  
გამგონი იყო და ამიტომაც ახლა საკუთარი სახლის პატონ-პატრონად ვერ  
გრძნობსო თავს.

იჯდა ხოლმე ჩუმად თავისთვის და მადლიერებით შესცქეროდა მისს ბრო-  
დის, სტუმრად მოსულ ორ გოგონასთან საუბრით რომ იქცევდა თავს. გო-  
გოებმა სწორედ მაშინ მოუხშირეს კრემონდში სტუმრობას, როცა მისს ბრო-  
დი უკვე შეუდგა თავის გადაწყვეტილების განხორციელებას — თავად ეზ-  
რუნა მისტერ ლოუტერის გამოკვებაზე, ამან შემდგომში იმდენად დიდი  
გაქანება მიიღო, რომ გიჟურმა გატაცებამ, რაც შეიძლება ბევრი ხორაგი მო-  
ემარაგებინა მისთვის წინასწარ, მისს ელენ და ელისონ კერები კი არადა,  
დაწყებითი სკოლის ყველა მასწავლებელი აალაბარა. ერთ დღეს, როცა  
სენდი და ჯენი იყვნენ სტუმრად, მისს ბროდიმ მისტერ ლოუტერს ზღვის კი-



ბოების შესანიშნავი სალათი, ღვიძლის პაშტეტის რამდენიმე სენდვიჩი, ნამცხვარი და ჩაი, ბოლოს კი ერთი თეფში შვრიის ფაფა და ნაღები მარტვა. ეს ყველაფერი ცალკე ლანგრით მიუტანა, რამეთუ ყველას დაენახა, განსაკუთრებულ დიეტაზე რომ ჰყავდა იგი სენდის ძალიან უნდოდ და მისტერ ლოუტერი ფაფასაც თუ ისეთივე წარმატებით გაართმევდა ყველაფერს სხვა დანარჩენს. იგი უდრტვინველი მორჩილებით გეახლებოდათ ყველაფერს, რაც ლანგარზე იდო. მისს ბროდი კი ამ დროს გოგოებს ეკითხებოდა: — რას აკეთებთ ხატვის გაკვეთილებზეო?

— კონკურსი უნდა გაიმართოს საუკეთესო პლაკატზე და იმისთვის ვემზადებით.

— მისტერ ლოიდი... ხომ კარგად არის?

— დიახ. მასთან ძალიან ვერთობით. ორი კვირის წინ თავისი სტუდია დაგვათვალისწინებინა.

— რომელი სტუდია, სად? თავის სახლში? — იკითხა მისს ბროდიმ, თუმცა თვითონაც მშვენივრად უწყოდა ყველაფერი.

— დიახ, უშველებელი გრძელი მანსარდაა, იქ...

— მისი ცოლი ნახეთ? როგორ გამოიყურება? რა გითხრათ? ჩაით გაგიმასპინძლდათ? როგორი ბავშვები ჰყავთ? რა გააკეთეთ, როცა მიხვედით?

მისს ბროდის არც უცდია მისტერ ლოუტერისთვის დაემალა თავისი ცხოველი ინტერესი ხატვის მასწავლებლისადმი. მისტერ ლოუტერი ნაღვლიანად იცქირებოდა და თან ჭამას განაგრძობდა. სენდიმ და ჯენიმ მშვენივრად იცოდნენ, რომ წინა კვირას მისს ბროდიმ იგივე პკითხა მერი მაკგრეგორსა და იუნის გარდინერს, იმათზე ადრე კი როზ სტენლისა და მონიკა დუგლასს. მისს ბროდის არა და არ ბეზრდებოდა ერთი და იგივე ამბის მოსმენა, თუკი ის ტედი ლოიდს შეეხებოდა. ახლა, როცა გოგოებმა ედინბურგის ჩრდილოეთ ნაწილში მისი დიდი, მოუვლელი და ჩახუთული ბინა მოინახულეს, მისს ბროდის საოცრად აღაგზნებდა უბრალო ურთიერთობაც კი იმათთან, ვინც სულ ცოტა ხნის წინ ტედი ლოიდის გვერდით იყო და იმავე პაერით სუნთქავდა.

— რამდენი ბავშვი ჰყავს? — იკითხა მისს ბროდიმ.

— მგონი, ხუთი, — მიუგო სენდიმ.

— მე კი მგონი, პატარას ჩათვლით, ექვსი ჰყავს, — თქვა ჯენიმ.

— იქ ძალიან ბევრი ბავშვია, — შენიშნა სენდიმ.

— რა თქმა უნდა, ისინი ხომ კათოლიკეები არიან, — მიუბრუნდა მისს ბროდი მისტერ ლოუტერს.

— მე სულ პატარაზე ვამბობ, — თქვა ჯენიმ, — მისი მითვლა დაგავიწყდა. იმიანად ექვსნი არიან.

მისს ბროდიმ ფინჯნებში ჩაი ჩაასხა და მისტერ ლოუტერის თეფშს მიაპყრო მზერა.

— გორდონ, — უთხრა მან, — ღვეზელი?

მან თავი გააქნია და ნაზად, თითქოს ამშვიდებდესო, უთხრა: — ო, არა არა.

— არა, უნდა შეჭამო, ძალიან ნოყიერია.

მისს ბროდიმ ღვეზელი მაინც შეაჭამა მისტერ ლოუტერს, თან ოდნავ გამოკვეთილი ედინბურგული მანერით ელაპარაკებოდა, თითქოს მასზე ზრუნ-



ვით უნდოდა შეეცვალა ის ჭეშმარიტი სიყვარული, ტედი ლოიდისთვის რომ მიეძღვნა.

— უნდა გასუქდეთ, გორდონ, — თქვა მან. — სანამ არ დადგება წავიდოდე, ოცდაათ ფუნტამდე მაინც უნდა მოიმატოთ.

მისტერ ლოუტერმა, რამდენადაც შეძლო, ყველას სათითაოდ შეესალმა, რადგან ქამდა და თავი დახრილი ჰქონდა. მისს ბროდი კი განმარტოვდა.

— მისიზ ლოიდი როგორი ქალია? ისიც... მასზეც შეიძლება ითქვას, გაფურჩქვნის ხანაშიაო?

— მგონი, ჯერ არა, — მიუგო სენდიმ.

— იქნებ მისიზ ლოიდის გაფურჩქვნის ხანამ კარგი ხანია ჩაიარა, — თქვა ჯენიმ. — მხრებამდე ჩამოშლილ თმას ატარებს და ამიტომ ძნელია მიხვედრა. ძალიან ახალგაზრდულად კი გამოიყურება, თუმცა შეიძლება ასე არ იყოს.

— ისე გამოიყურება, გეგონება, არასოდეს დაუდგება გაფურჩქვნის ხანაო, — თქვა სენდიმ.

— სიტყვა, „გამოიყურება“ ამ წინადადებაში ზედმეტია. რა ჰქვია მისიზ ლოიდს?

— დიედრი, — მიუგო ჯენიმ. მისს ბროდიმ ისე დაიჭირა თავი, თითქოს აირველად ესმოდა ეს სახელი, თუმცა ერთი კვირის წინ მერიმ და იუნისმა უთხრეს. იმათზე ადრე კი როზიმ და მონიკამ. მისტერ ლოუტერსაც კი ჰქონდა გაგონილი იგი. გარეთ წვიმის მსუბუქი წვეთები ეცემოდნენ მისტერ ლოუტერის ხეათა ფოთლებს.

— კელტური სახელია, — თქვა მისს ბროდიმ.

სენდი სამზარეულოს კართან იდგა და მოუსვენრად ცმუკავდა. მისს ბროდის ელოდა, რომ მასთან ერთად ზღვაზე სასეირნოდ წასულიყო. სანამ მისს ბროდი ღორის უშველებელ ბარკალს ასეთსავე დიდ ქვაბში მოსახარშად ჩადებდა, მანამდე რაღაც-რაღაცებს აჭრიდა თუ ათლიდა. მისს ბროდის ახალი წამოწყებანი კულინარიაში ოდნავადაც არ ჩრდილავდა მის ადრინდელ სიდიადეს, რამეთუ ყველაფერი, რასაც კი მისტერ ლოუტერისთვის ამზადებდა, ყოველთვის უზარმაზარი ზომისა იყო. — იქნებოდა ეს პუდინგი, რომლითაც დიდ ოჯახს შეეძლო გაეტანა თავი ერთი კვირის განმავლობაში, თუ ძროხის ან ცხვრის ხორცი, ანდა დიდრონი ორაგულები მწყრადად მომზირალი თვალეებით.

— ეს ვახშმისთვის უნდა მოვუმზადო მისტერ ლოუტერს, — უთხრა მან სენდის, — თანაც თვალი მივადევნო, ჩემს შინ წასვლამდე ივახშმოს.

მისს ბროდი მუდამ არწმუნებდა გოგოებს, რომ შაბათობით შინ მიდიოდა და მისტერ ლოუტერი ამ უშველებელ სახლში მარტოდმარტო რჩებოდა. გოგოებს ჯერჯერობით ვერაფერი ეპოვათ ისეთი, მისი ნათქვამი საეჭვო გაეხადათ და ვერც შემდეგში მოახერხეს. ცოტა მოგვიანებით კი მისს გაუნტმა სკოლის დირექტორთან მიიყვანა მისს ელენ კერი, რომელიც ამტკიცებდა, მისტერ ლოუტერის საწოლში თეთრეულს რომ ვცვლიდი, მართლა ვიპოვე მისს ბროდის ღამის პერანგიო. ღამაზად დაკეცილი ღამის პერანგი ბალიშის ქვემოთ იდო, კედლის მხარესო.

— საიდან იცით, რომ ღამის პერანგი მისს ბროდის ეკუთვნის? — დაეკითხა საზრიანი მისს მაკკეი, რომელმაც მაშინვე იყნოსა, თუ რა ნადავლი



უვარდებოდა ხელი, თუმცა მშვენივრად იცოდა, გამარჯვება რომ ჯერ კიდევ შორს იყო. იგი ფეხზე იდგა, ხელები სკამის საზურგეზე დაეყრდნო. მთელი ტანით წინ გადმოხრილიყო და გაფაციცებით ისმენდა.

— ყველამ თავისით უნდა გამოიტანოს დასკვნა — თქვა მისი გაუნტმა.

— მე მისს ელენს ველაპარაკები.

— დიახ, ყველამ თავისით უნდა გამოიტანოს დასკვნა — მისს ელენმა, რომელსაც წვრილი ძარღვებით დასერილი გადატყეცილი ყვრი-  
ბალები გაწითლებოდა და ძალზე აღელვებული ჩანდა. — კრეპდიშინის პე-  
რანგია.

— ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, — მიუგო მისს მაკკეიმ და მაგიდას მიუჯდა, — თუ რაიმე უფრო დიდი, საგულისხმო სამხილი გექნებათ, მაშინ მოდით ჩემთან. რა უყავით პერანგს? მისს ბროდისთვის ხომ არ გიჩვენებიათ?

— ო, არა, მისს მაკკეი, — მიუგო მისს ელენმა.

— უნდა გემხილებინათ. უნდა გეთქვათ „მისს ბროდი, თუ შეიძლება, ერთი წუთით მობრძანდით. ამაზე რალის გვეტყვიო?“ აი, რა უნდა გეთქვათ. პე-  
რანგი ისევ იქ არის?

— ო, არა, უკვე წაიღეს.

— რა უსირცხვილო დედაკაცია, — თქვა მისს გაუნტმა.

მისს მაკკეიმ ყველაფერი სიტყვასიტყვით მოუყვა სენდის სწორედ მა-  
შინ, როცა სენდი მის კაბინეტში იჯდა და ჭრუტა თვალებით ზიზღით შესცქე-  
როდა. სენდი ცდილობდა თავი აერიდებინა ამ უხეშნაკეთებიანი ქალის კით-  
ხვებზე პირობით პასუხს და თან ამ დროს მრავალ და მრავალ მიზეზთა გამო  
მისს ბროდის დაბეზლება გადაეწყვიტა.

— საღამოს, შინ წასვლამდე, ჩვენს ძვირფას მეგობარს საჭმელი უნდა  
გავუმზადო, — თქვა მისს ბროდიმ ათას ცხრაას ოცდაცამეტი წლის ზაფხულში,  
როცა სამზარეულოს კარს მიყრდნობილი სენდი მოუთმენლობისაგან ცმუ-  
კავდა და ერთი სული ჰქონდა, სანამ ზღვის სანაპიროზე გაინავარდებდა. მერე  
ჯენიც შემოვიდა და სენდის გვერდით ამოუდგა; ახლა ერთად ელოდნენ მისს  
ბროდის, თან სამზარეულოს მაგიდაზე დახვავებულ უამრავ ხორავს ათვალიე-  
რებდნენ, დილით რომ ეყიდათ. იქვე გვერდით, სასადილო მაგიდაზე, ხილით  
დახუნძლული ვაზები იდგა, ზემოდან კი ფინიკით სავსე კოლოფები ეყარა,  
თითქოს შობა იყო და აქაურობა სადღესასწაულოდ გამზადებული სასტუმ-  
როს სამზარეულოს წააგავდა.

— კი მაგრამ, მისტერ ლოუტერი ამას ყველაფერს რომ შეჭამს, მერე  
კუჭის შეკრულობა არ შეაწუხებს? — ჰკითხა სენდიმ ჯენის.

— თუ ბოსტნეულს ჭამს, მაშინ არა, — მიუგო ჯენიმ.

გოგონები იდგნენ და მისს ბროდის ელოდნენ. სანამ იგი მისთვის ჩვეული  
გულმოდგინებით ღორის უშველებელ ბარკალს დაამუშავებდა, ბიბლიოთეკი-  
დან როილის ხმა მოისმა. ძალზე ხელა და სევდიანად მღეროდა მისტერ ლო-  
უტერი:

„ჰმონებდეთ უფალსა სიხარულით<sup>43</sup>,

შევიდოდეთ მის წინაშე მხიარულებით“.

მისტერ ლოუტერი ეკლესიის მამასახლისი და მგალობელთა გუნდის  
ლოტბარი გახლდათ. მისტერ გაუნტს, ეკლესიის მღვდელსა და მისს გაუნტის



ღვიძლ ძმას, ჯერ არ მიეცა მისთვის რჩევა, რომ თავისივე ნებით ეთქვა უარი თავის მოვალეობაზე იმ მიზეზის გამო, რომ მისი ბალიშის გვერდით ქალის საღამური პერანგი იპოვეს.

ცოტა ხნის შემდეგ, ღორის ბარკალი რომ შედგა მოსახარშად გაბჭურა-ზე და ქვაბს ხუფიც დაახურა, მისს ბროდი ტკბილი, კონტრასტული გემო-ხმით აჰყვა ფსალმუნის გალობას:

„შევიდოდეთ ბჭეთა მისთა აღსარებითა და ეზოთა მისთა გალობითა;

აუვაებდით მას და აქებდეთ სახელსა მისსა...“<sup>44</sup>

წვიმას უკვე გადაეკარა და ახლა მარილით გაჟღენთილ ჰაერშიღა თუ იგრძნობოდა ნესტი. ზღვის სანაპიროზე სეირნობისას მისს ბროდიმ კვლავ ჰკითხა გოგოებს, ტედი ლოიდს სახლი როგორ აქვს მოწყობილიო, ჩაიზე რა მოგართევს, სახელოსნო დიდი და ნათელი თუ არისო, რაზე ილაპარაკეთო.

— მეტისმეტად რომანტიკულად გამოიყურებოდა თავის სახელოსნოში, — თქვა სენდიმ.

— რატომ ვითომ?

— მე მგონი სწორედ იმიტომ, რომ ცალხელაა, — მიუგო ჯენიმ.

— კი მაგრამ, ხომ ყოველთვის ცალხელა იყო.

— საქმეც იმაშია, რომ ჩვეულებრივზე მეტად ხმარობდა იმ ხელს, — უპასუხა სენდიმ.

— ყოველ წუთს აქეთ-იქით აქნევდა. სახელოსნოდან მშვენიერი ხელი იშლება და ამით ძალიან ამაყობს.

— სახელოსნო, მგონი, სხვენზე აქვს, არა?

— დიახ, მთელ სიგრძეზე მიჰყვება სახურავს. იქვე მისი ოჯახის ახალი სურათი დგას, რომელიც ცოტათი სასაცილოც კია. სურათზე პირველად თვითონ დგას, თანაც ძალიან მაღალია, მერე ცოლი, ბოლოს კი ბავშვები დგანან ასაკის მიხედვით: ყველაზე პატარა იატაკზე ზის. მთელ სურათზე დიაგონალურად არიან გაწყობულნი.

— კი მაგრამ, რა არის აქ სასაცილო? — იკითხა მისს ბროდიმ.

— ყველანი სულ პირდაპირ იცქირებიან, თანაც ძალზე სერიოზული სახეები აქვთ, — თქვა სენდიმ, — ყველა სასაცილოდ თვლის ამას.

მისს ბროდიმ ცოტათი იცინა ამაზე. შორს, თვალსაწიერზე მზე ჩადიოდა, გასაოცრად ლამაზი დაისი სისხლისფერ ზოლებად ირეკლებოდა ზღვაში, რომელიც კიდევ უფრო ჩაემუქებინა მეწამულისფერ ათინათს, თითქოს ქვეყნის აღსასრული დამდგარაო.

— იქ კიდევ როზის სურათია. — თქვა ჯენიმ — თუმცა ჯერ დაუმთავრებელი.

— ტედი ლოიდი როზის ხატავს?!

— დიახ.

— და როზიც მიდის ხოლმე მასთან?

— დიახ, უკვე ერთი თვე იქნება.

მისს ბროდი ძალზე აღელდა.

— როზის არაფერი უთქვამს ჩემთვის, — თქვა მან.



— ოჰ, სულ დამავიწყდა, — მოავონდა უცებ სენდის. — სიურპრიზი უნდოდა გაეკეთებინა, ჩვენ არაფერი არ უნდა გვეთქვა თქვენთვის.

რა სიურპრიზი?! სურათი? მე ვნახავ?

სეზ. ცოტა არ იყოს, შეცბა. თვითონაც ვერ მიმხვდარყრ, როზის რა სიურპრიზი უნდა მოემზადებინა მისს ბროდისთვის.

— ოჰ, მისს ბროდი, — თქვა ჯენიმ, — როზის სიურპრიზი უნდა გვეკეთებინა თქვენთვის და ამიტომაც მაღავედა, რომ ტედი ლოიდი ხატავდა.

სენდი ახლალა მიხვდა, რომ მართლაც ასე იყო.

— ჰო, — თქვა მისს ბროდიმ კმაყოფილებით. — მართლაც რომ ჭკვიანი ვოგოა როზი.

სენდის ეჭვმა გაჰკრა გულში, რადგან როზის არავინ თვლიდა ჭკვიან გოგოდ.

— რა აცვია, როცა ხატავენ? — იკითხა მისს ბროდიმ.

— სავარჯიშო ფორმა. — მიუგო სენდი.

— გვერდულად ზის, — თქვა ჯენიმ.

— პროფილში, — შეუსწორა მისს ბროდიმ.

მისს ბროდიმ ვილაც მეთევზე გააჩერა და მისტერ ლოუტერისთვის კიბო იყიდა. ფული რომ გადაუხადა, თქვა:

— კიდევ ბევრჯერ დახატავენ როზის, მომავალშიც ალბათ ბევრჯერ წარმატებით დახატავს მისტერ ლოიდი როზის. ის ხომ *crème de la crème*-ს განეკუთვნება.

ეს კი ცოტა არ იყოს დაეჭვებით თქვა მისს ბროდიმ. გოგოები მიხვდნენ, მათი არეულ-დარეული ნაამბობიდან იგი ცდილობდა როგორმე ერთი მთლიანი სურათი შეექმნა. ამიტომ ჯენიმ მაშინვე დაუმატა:

— ჰო, მართლა, მისტერ ლოიდს სურს როზი წითელ ხავერდში დახატოს.

მერე სენდიმ დააყოლა:

— მისიზ ლოიდს წითელი ხავერდის ნაჭერი აქვს, რომ როზის შემოახვიონ. უკვე სინჯეს კიდევ.

— ისევ უნდა მიხვიდეთ იქ? — ჰკითხა მისს ბროდიმ.

— დიახ, ყველანი მიგვიპატიყა, — მიუგო სენდიმ. — მისტერ ლოიდი ამბობს, ძალზე კარგები ხართ.

— კი მაგრამ, არ გაოცებთ, რომ მისტერ ლოიდმა სწორედ თქვენ ექვსნი გამოგარჩიათ და თავის საბელოსნოში მიგვიპატიყათ?

— ჩვენ ხომ ცალკე „ტომი“ ვართ.

— თქვენი კლასიდან სხვა გოგოებიც მიიპატიყა? — ჰკითხა მისს ბროდიმ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რას უპასუხებდნენ.

— ოჰ, არა, მხოლოდ ჩვენ.

— ეს იმიტომ, რომ თქვენ ჩემი ხართ, ჩემი სისხლი და ხორცი და მე გაფურჩქვნის ხანაში ვარ.

სენდი და ჯენი არც დაფიქრებულან იმაზე, რატომ მიიპატიყა ხატვის მასწავლებელმა მათი „ტომი“ საბელოსნოში. არადა, მის დამოკიდებულებაში მართლა რაღაც განსაკუთრებული იყო, აქ რაღაც საიდუმლოება იმალებოდა, რომელზედაც დაფიქრება ღირდა. ერთი რამ კი ცხადი იყო, როცა მისტერ ლოიდი „ტომზე“ ფიქრობდა, მისს ბროდის გულისხმობდა.



— იგი ყოველთვის გვეკითხება თქვენზე, როცა გვხვავს ხოლმე. —  
უთხრა სენდომ მისს ბროდის.

— ვიცი, როზიმაც მითხრა, — მიუგო მისს ბროდომ.

უცებ სენდი და ჯენი მძლეწარი ფრინველებით ადგილიდან მოწყდნენ და გაუფრთხილებლად პატარ-პატარა კენჭებით მოკირწყლული ქუჩის ქვეშ გაიქცნენ. უკან რომ მობრუნდნენ, მისს ბროდომ უამბო მათ, რატომ მოხდა ეს და მოახლოებული ზაფხულის გატარებას. უკვე მომჯობინებულ მისტერ ლოუტერს მისს ელენ და ელისონ კერებს დაუტოვებდა მოსაგლეხლად, თვითონ კი საზღვარგარეთ — გერმანიაში აპირებდა წასვლას, სადაც კანცლერად პიტლერი აერჩიათ. იგი ტომას კარლეილივით<sup>41</sup> წინასწარმეტყველური ნიჭით დაეჯილდოვებინა განგებას და მუსოლინზე საიმედო პიროვნებაც იყო. როგორც მისს ბროდომ თქვა, გერმანელი ყავისფერხალათიანები და იტალიელი შავხალათიანები ერთი და იგივეაო, მაგრამ გერმანელები უფრო საიმედონი არიანო.

ჯენი და სენდი ზაფხულში ფერმაში აპირებდნენ წასვლას, მართალია, ორი კვირის შემდეგ ისე ხშირად აღარ გაიხსენებენ მისს ბროდის, მაგრამ სამაგიეროდ თივას მოთიბავენ და ცხვრებს მოაძოვებენ. ყოველთვის ძნელა იყო იმის წარმოდგენა, რომ ზაფხულის არდადეგებზე შეიძლებოდა ცოტა ხნით ისევე დაევიწყებინათ მისს ბროდი, როგორც სკოლის რაზმები, როგორც პოლირუდის, მელროუზის, არგაილისა და ბიგარის სამყარო.

— ნეტა ბრინჯიან ტკბილ ხორცს თუ შეჭამს მისტერ ლოუტერი, — თქვა მისს ბროდომ.

## თავი V

— ღმერთო ჩემო, სულ მისს ბროდისა ჰგავს! — თქვა სენდომ. — მართლაც საოცრად ჰგავს მისს ბროდის!

მერე, როცა მიხვდა, მისმა სიტყვებმა, სანამ მისტერ და მისიზ ლოიდის ყურამდე მიაღწევდა, გარკვეული მნიშვნელობა შეიძინეს, დაუმატა: — თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ხომ როზია; როზის უფრო ჰგავს, მართლაც ძალიანა ჰგავს როზის.

ტედი ლოიდმა სურათს ადგილი მოუნაცვლა და ახლა სინათლე მეორე მხრიდან სცემდა, მაგრამ სურათი მაინც მისს ბროდის მიაგავდა.

— მე მგონი, მისს ბროდის არ უნდა ვიცნობდე, — თქვა დიედრი ლოიდმა, — ჭერა თმა აქვს?

— არა, — ხრინწიანი ხმით მიუგო ტედი ლოიდმა. — მუქი ფერის თმა აქვს.

სენდომ დაინახა, რომ სურათზე მართლაც ჭერათმიანი გოგო ეხატა. ეს ნამდვილად როზის სურათი იყო. სავარჯიშო სამოსში გამოკვანწული როზი ფანჯარასთან პროფილით იჯდა და ხელისგულები მუხლებზე ეწყო. მაინც რით ჩამოჰგავდა ეს სურათი მისს ბროდის? იქნებ პროფილით, იქნებ შუბლით, ან იქნებ როზის ცისფერი თვალების ისეთივე ბრძანებლური გამოხედვით, როგორიც მისს ბროდის თაფლისფერ თვალებს ჰქონდა. სურათი მართლაც საოცრად ჰგავდა მისს ბროდის.

— დიახ, ეს ნამდვილად როზია, — თქვა სენდომ. დიედრი ლოიდმა სენდის გადახედა.



— მართლა მოგწონს? — ჰკითხა ტედი ლოიდმა.

— ჰო, მშვენიერია.

— ჰოდა, მთავარი ეგ არის.

სანამ სენდი ჰრუტა თვალებით ისევ სურათს უყურებდა, ტედი ლოიდმა ხელის ერთი მოქნევით სურათს თეთრი ნაჭერი გადააფარა. *მარტენსონი*

დიედრი ლოიდის გარდა ასე გლეხის ქალივით ჩაცმულ მანამდე არავინ უნახავს. ამგვარი ჩაცმულობა კიდევ ოცდაათ წელიწადს იქნებოდა მოდამი ან უფრო მეტხანსაც. მას ძალიან გრძელი, ნაოჭაყრილი მუქი ფერის ქვედატანი და სახელოდაკარწახებული ღია მწვანე ხალათი ეცვა. ყელზე და ყურებზე ბოშა ქალივით ხის დიდი, შედებილი მძივები და საყურეები ეკეთა. წელზე ღია წითელი ფერის ფართო ქამარი ერტყა. ფეხებზე ყავისფერი წინდები და ნატის მუქი მწვანე სანდლები ეცვა. აი, ასეთ და კიდევ სხვადასხვანაირ ტანსაცმელში გამოწყობილი დიედრი დაეხატა ტილოებზე მისტერ ლოიდს, მთელი სახელოსნო რომ იყო მოფენილი. დიედრის ძალზე სასიამოვნო, წკრიალა ხმა ჰქონდა.

— ჩვენ როზის კიდევ ერთი სურათი გვაქვს, — თქვა მან. — ტედი, უჩვენე სენდის ის ახალი სურათი.

— ჯერ არ დამიმთავრებია.

— მაშინ იქნებ „წითელი ხავერდი“ უჩვენო? ანაზე სენდის. შარშან ზაფხულში როზის შესანიშნავი სურათი დახატა ტედიმ. ჩვენ მას წითელი ხავერდი შემოვახვეით და სურათსაც „წითელი ხავერდი“ ვუწოდეთ.

ტედი ლოიდმა იქვე მდგარ რამდენიმე სურათს უკან ამოფარებული სურათი გამოიტანა და სინათლეში, მოლბერტზე დადგა. სენდი თავისი ჰრუტა თვალებით დააცქერდა პორტრეტს. მართლაც საოცარი იქნებოდა, თუკი კინემა ამ თვალებს მიენდობოდა.

სურათი მისს ბროდის ჰგავდა.

— ფერები მომწონს, — თქვა სენდიმ.

— ამ სურათზეც მისს ბროდის ჰგავს? — ჰკითხა დიედრი ლოიდმა.

— მისს ბროდი გაფურჩქენის ხანაშია, — მიოგო სენდიმ. — მაგრამ სურათი მართლაც რაღაცით ჰგავს მას.

— ამ დროს როზი მხოლოდ თოთხმეტი წლის იყო, — თქვა დიედრი ლოიდმა, — სურათზე მოწიფულ ქალსა ჰგავს, მაგრამ სინამდვილეშიც ხომ დაქალებულია.

მუქი წითელი ხავერდი როზის ისე ჰქონდა შემოხვეული, რომ მხატვარი ერთდროულად ორნაირ ეფექტს აღწევდა: იგი სურათის ავტორივით ცალხელა ჩანდა, მკერდი კი უფრო სრული უჩანდა, ვიდრე ახლა ჰქონდა, როცა თხუთმეტი წლის იყო. რა თქმა უნდა, სურათი მისს ბროდის ჩამოგავდა და სწორედ ეს იყო მთავარი: სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი, როზის ფართოყვრიმალებიანი ფერმკრთალი სახე ჰქონდა. მისს ბროდის კი უფრო პატარა ყვრიმალები, დიდრონი თვალები, ასეთივე დიდი ცხვირი და პირი ჰქონდა. პირდაპირ წარმოუდგენელი იყო, როგორ მოახერხა ტედი ლოიდმა, რომ როზის ფერმკრთალი სახე მისს ბროდის შავვრემან, რომაულ სახეს მიამსგავსა. მაგრამ მიამსგავსა კია.

სენდიმ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი არცთუ ისე დიდი ხნის წინ დახატულ სურათებს, სახელოსნოში რომ იდგა. აი, ტედი ლოიდის მეუღლე, მისი



ბავშვები, ვიღაც უცნობი ქალები. არც ერთი არ ჩამოჰგავდა მისს ბროდის. მერე ტედი ლოიდის სამუშაო მაგიდაზე თვალი ჰკიდა ნახატს, რომელიც ქაღალდის გროვებზე ზემოდან იდო. სურათიდან ლონმარკეტზე ფარნის ბოძს მიყრდნობილი მისს ბროდი იცქირებოდა, რომელსაც მხრებზე შალი მოესხა. უფრო ახლოს რომ მივიდა, იგი ფართოყვრიმალისანი და დიდცხვირა მონიკა დუგლასი აღმოჩნდა.

მონიკა დუგლასი

— მონიკა დუგლასსაც თუ ხატავდით, არ ვიცოდი, — თქვა სენდომ.

— ერთი-ორი მონახაზი გავაკეთე მხოლოდ. როგორ ფიქრობ, მონიკას ეს ანტურაჟი უფრო არ უხდება? ეს კი იუნისია, არლეკინის კოსტიუმში. მე ძალიან მომეწონა ამ ტანსაცმელში.

სენდი საშინლად გაბრაზდა. არც მონიკას და არც იუნისს ერთი სიტყვაც არ დაცდენიათ „ტომის“ გოგოებთან, ხატვის მასწავლებელი გვხატავსო.

მაგრამ ახლა, თხუთმეტი წლისანი რომ იყვნენ, ბევრ რამეს უმაღლედნენ ერთმანეთს. სენდი უფრო ახლოს, ყურადღებით დააკვირდა იუნისის სურათს.

იუნისს სასკოლო წარმოდგენისათვის შეკერილი არლეკინის კოსტიუმი ეცვა. დაბალი, მუდამ წელში გაჭიმული და წაწვეტებული სახის იუნისი სურათზე მისს ბროდის მიაგავდა. ცოტა არ იყოს დაბნეული და შეცბუნებული სენდი ტედი ლოიდის ხერხის ეკონომიურობამ მოხიბლა; ოთხი წლის წინ კი ზუსტად ასევე მისს ბროდის სამიჯნურო თავგადასავლებზე შექმნილმა ვარიაციებმა მოიყვანა აღტაცებაში, როცა იგი თავის პირველ, ომისდროინდელ მიჯნურს ხატვის და სიმღერის მასწავლებლის თვისებებს მიაწერდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ რომ გამოჩენილიყო მის ორბიტაზე. მიწოდების ხერხი, რომელსაც ტედი ლოიდი იყენებდა, ეკონომიური იყო. მას მერე მუდამ ასე მიაჩნდა სენდის, რომ იმ შემთხვევაში, როცა არჩევანის გაკეთება აუცილებელია, ყველაზე კარგი სწორედ ეკონომიური ხერხია, რადგან იმ წუთს ზუსტად პასუხობს ყველა დასახულ მიზანს. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა იგი, როცა მისს ბროდის ღალატის დრო დაუდგა.

ჯენიმ ძალზე ცუდად ჩააბარა ბოლო მეოთხედის გამოცდები; ახლა უმეტესად შინ იჯდა და საგნებს იზუთხავდა. სენდის ფიქრით, მისს ბროდიზე რომ არაფერი ვთქვათ, „ტომი“ უკვე თანდათან ჰკარგავდა თავის პირიქანდელ სახეს. ალბათ უკეთესიც იქნებოდა, თუ საერთოდ დაიშლებოდა.

საღლაც ქვემოთ ლოიდის ერთ-ერთმა ბავშვმა ღრიალი მორთო, მერე მეორეც აჰყვა და ბოლოს ყველა ერთად აღრიალდა. დიედრი გლეხური ქვედატანის რწევა-რწევით სახელოსნოდან გავიდა, რომ ბავშვებისათვის მიეხედა. ლოიდი კათოლიკეები იყვნენ და რელიგია აიძულებდა ბევრი ბავშვები გაეჩინათ.

— ოდესმე, — თქვა ტედი ლოიდმა, რომელიც ვინემ სენდის ჩაის დასალევად ჩაიყვანდა ქვემოთ, ესკიზებს ერთად აჭუჩებდა, — ბროდის ყველა გოგო უნდა დავხატო; ჯერ ცალ-ცალკე. მერე ყველანი ერთად, — და თავი უკან გადაიგდო, რომ შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაეყარა.

— მართლა კარგი იქნებოდა თქვენი ერთად დახატვა, — განაგრძო მან, — საინტერესოა მაინც, როგორ გამომივიდოდა ჯგუფური სურათი.

სენდომ გაიფიქრა. ალბათ მისს ბროდის „ტომის“ მთლიანი სურათი უნ-



და შემოინახოს, რასაც გოგოების სულ ახლახან გამოვლენილი ინდივიდუალობის ხარჯზე გააქეთებდნენ.

იგი მოტრიალდა და გაღიზიანებულმა მიახალა ლოიდს:

— ალბათ ყველანი ერთად დიდ მისს ბროდის დავემგვანებოდით.

ლოიდმა გულიანად გადაიხარხარა და ყურადღებით დააქვეყნა, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად ხედავსო. სენდიც გამოეშველა და თითქოს უტიფრად მიაშტერდა ჭრუტა თვალებით. მისტერ ლოიდი გადაეხვია და ტუჩებში აკოცა, თან ხრინწიანი ხმით უთხრა:

— ჭკუას ისწავლი და მერე ასე აღარ მიაშტერდები მხატვარს.

სენდი კარისკენ გაექანა, თან ხელით ტუჩებს იწმენდდა, მაგრამ ცალხელა ლოიდმა შეაჩერა და უთხრა:

— ნუ მირბიხარ. შენისთანა უშნო ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს.

იგი ოთახიდან გავიდა და სენდი მარტო დატოვა სახელოსნოში, სენდისაც ისღა დარჩენოდა, რომ უკან დადევნებოდა. სასტუმრო ოთახიდან დიედრი ლოიდმა დაუყვირა: — მოდი აქ, სენდი!

მაგიდას რომ უსხდნენ და ჩაის შეეჭკეოდნენ, სენდი სულ იმ ამბავზე ფიქრობდა, ტედი ლოიდთან რომ შეემთხვა, — თავის გრძნობებში გარკვევას ღამობდა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა, მასპინძლის ბავშვები არ აძლევდნენ საშუალებას. ყველაზე უფროსმა, რვა წლის ბიჭმა რადიო ჩართო და პენრი ჰოლის ორკესტრის ხმაზე გაპრანჭულ ინგლისურ ყაიდაზე წამოიწყო სიმღერა: „ჰეი, იმღერე, ბოშავ!“ დანარჩენი სამნი კი თავთავისთვის რაღაცას გაჰკეოდნენ. ამ დროინდელში დიედრი ლოიდმა სთხოვა სენდის, უბრალოდ დიედრი დამიძახე და არა მისიზ ლოიდიო. ასე რომ, სენდის საშუალებაც არ ჰქონდა გაერკვია, რას განიცდიდა ტედი ლოიდის კოცნის მერე და გადაეწყვიტა, შეურაცხყოფელი იყო თუ არა მისი სიტყვები. ტედი ლოიდმა ახლა ისიც კი უთხრა უტიფრად: „სკოლის გარეთ, შეგიძლია უბრალოდ ტედი დამიძახო“. გოგოები ისედაც თითხნია ტედის ეძახდნენ ერთმანეთში. სენდიმ ცოლ-ქმარს შეავლო თვალი.

— ბევრჯერ მსმენია მისს ბროდიზე თქვენი გოგოებისაგან, — ამბობდა დიედრი ამ დროს. — აუცილებლად უნდა მოვიპატიყო ჩაიზე. როგორ ფიქრობ, მოვა?

— არა, — მიუგო ტედიმ.

— რატომ? — ისე, სხვათა შორის იკითხა დიედრიმ, თითქოს არც აინტერესებდა ეს. ისეთი მიბნედილი იყო და თანაც იმსიგრძე ხელები ჰქონდა, სკამიდან არც წამომდგარა, ისე აიღო ორცხობილიანი თეფში და სათითაოდ ყველას ჩამოუტარა ირგვლივ.

— თუ ახლავე არ შეწყვეტ ღრიალს და არ გაჩუმდებით, სუყველას გაგყრით ოთახიდან, — დაუცაცხანა ტედიმ ბავშვებს.

— მოიყვანე მისს ბროდი ჩვენთან სტუმრად, — სთხოვა დიედრიმ სენდის.

— არ მოვა, — თქვა ტედიმ, — ასე არ არის, სენდი?

— ძალიან დაკავებულია, — უპასუხა სენდიმ.

— სიგარეტი მომაწოდე, თუ შეიძლება, — სთხოვა დიედრიმ.

— ისევ მისტერ ლოუტერს უვლის? — ჰკითხა ტედიმ.



— როგორ გითხრათ, დიახ, ხანდახან.

— ლოუტერი, — თქვა ტედიმ, თან ერთადერთ ხელს აქეთ-იქით, აქნე-  
და, — ალბათ დიდი მოწონებით სარგებლობს ქალებში. ჩვენი სკოლის ქალებ-  
ბის თითქმის ნახევარი მაგას დატრიალებს თავს. ვერ გამიგია, რატომ არ ქრ-  
აობს მნე ქალს? ფული თავზე საყრელად აქვს, უცოლოა, შველებზე მაგას  
არ აწუხებენ, გადასახადს ეგ არ იხდის — საკუთარი სახლი აქვს, ბოლომდე  
აიყვანს ნამდვილ მნე ქალს?

— მე მგონია, მისს ბროდი მოსწონს, — თქვა სენდიმ.

— კი მაგრამ, მისს ბროდის რაღა მოეწონა მასში?

— ზოგჯერ უმღერის ზოლმე, — უცებ მკვახედ უპასუხა სენდიმ.

დიედრის გაეცინა.

— ცოტა უცნაური ქალი უნდა იყოს ეგ თქვენი მისს ბროდი. რამდენი  
წლისაა?

— ჯინ ბროდი, — თქვა ტედიმ, — მართლაც დიდებული ქალია, გა-  
ფურჩქვნის ხანაშია ახლა.

იგი აღგა, თავი უკან გადაიგდო, რომ შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაე-  
ყარა და ოთახიდან გავიდა. დიედრიმ კვამლის ბოლქვი გამოუშვა და სიგა-  
რეტი ჩააქრო. სენდიმ კი, ჩემი წასვლის დროაო, თქვა და წამოდგა.

მისტერ ლოუტერმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბევრი მღელ-  
ვარება განაცდევინა მისს ბროდის... ჯერ იყო და თითქოს მისს ელისონ კერზე  
აპირებდა დაქორწინებას, მერე თითქოს მისს ელენი მოსწონდა, თან მისს ბრო-  
დიზეც იყო შეყვარებული, რომელიც არაფერში არ თანაუგრძნობდა და მხო-  
ლოდ სარეცელს იყოფდა მასთან და მის გამოკვებაზე ზრუნავდა.

მისტერ ლოუტერს მობეზრდა ამდენი ქამა, რადგან თანდათან წონაში  
იმატებდა, ღუნდებოდა და ხმასაც ჰკარგავდა. ძალიან უნდოდა ისეთი ცოლი  
ჰყოლოდა, ვისთანაც გოლფს ითამაშებდა და ვისაც უმღერებდა. თაფლობის-  
თვეს ჰიბრიდის კუნძულზე, ეიგზე გაატარებდა, რომელიც რამთან ახლოს  
იმყოფებოდა, მერე კი მეუღლესთან ერთად კრემონდში დაბრუნდებოდა.  
სწორედ ასეთ დაუკმაყოფილებელ გრძნობას რომ აეტანა, მაშინ იპოვა მისს  
ელენ კერმა მისტერ ლოუტერის საწოლზე, რომელზედაც სხვათა შორის  
თვითონ მოველინა ამ ცოდვილ ქვეყანას, ბალიშის ქვეშ ფაქიზად დაკეცილი  
ძვირფასი ღამის პერანგი.

მისს ბროდი კი ისევ უარს ეუბნებოდა მისტერ ლოუტერს ცოლობაზე,  
მისტერ ლოუტერი, როცა ლოტბარის წოდება ჩამოართვეს და ეკლესიის მამა-  
სახლისობიდანაც გაათავისუფლეს, ძალზე დანალვლიანდა. გოგოებს კი ეგო-  
ნათ, იმიტომ არის ასე დადარდიანებული, რომ იცის, მისს ბროდი ვერაფრით  
ვერ შეგუებია მის მოკლე ფეხებს და ტედი ლოიდის გრძელ ფეხებზე ოც-  
ნებობსო.

მოიარებით მისს ბროდი თითქმის ყველაფერს უყვებოდა გოგოებს,  
რომლებიც მხოლოდ თოთხმეტ-თხუთმეტი წლისანი იყვნენ, მაგრამ სიტყვაც  
არ დაცდენია იმაზე, თუ სიმღერის მასწავლებელს უწვებოდა ლოგინში, რად-  
გან ჯერ კიდევ ამოწმებდა, მათგან ყველაზე სანდო რომელი იყო. არ უნდოდა  
შემაშფოთებელი ეჭვები აღძვროდა მათ მშობლებს. მისს ბროდი ყოველთვის  
ცდილობდა, „ტომის“ გოგოების მშობლებზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდი-



ნა, მათი კეთილგანწყობა და მადლობა დაემსახურებინა. ასე რომ, იგი მარტო იმას უყვებოდა გოგოებს, რასაც იმ დროისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა, სინამდვილეში კი ფხიზლად ადევნებდა თვალს „ტომას“. ჩაქვანი რობელი გოგო ამოერჩია, ვისაც მთლიანად მიენდობოდა და დაუფრთხვად გაანდობდა ყველაფერს, ვისი ცნობისმოყვარეობაც გაცილებით უკეთესად იქნებოდა, ვიდრე სურვილი იმისა, რომ თავი მოეწონებინა. მისი ყველაფერი ვიცოდა იგი ცდილობდა ისეთი ვინმე შეერჩია, ვინც მისს ბროდისაგან ვაგებულზე, კრინტსაც არავისთან დაძრავდა. ასეთი სანდო პირი მხოლოდ ერთი გოგო შეიძლებოდა ყოფილიყო, თრის ნდობა საშიში იქნებოდა. თითქმის იეზუიტური შორსმჭვრეტელობით მისს ბროდომ არჩევანი სენდიზე შეაჩერა. მაგრამ მაშინაც კი თავის ინტიმურ ამბებზე არაფერი უთქვამს მისთვის.

ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი წლის ზაფხულში. მეფე გეორგ V-ის მმართველობის ოცდახუთ წლისთავთან<sup>45</sup> დაკავშირებით, სკოლის ყველა მოსწავლე გოგოს ქაქეტის ღილაკილოში წითელი, ცისფერი და თეთრი ბაფთებისაგან გაკეთებული ვარდები უნდა ჩაებნია, როზ სტელიმ თავისი ვარდი დაჰკარგა და ასე თქვა, ალბათ ტედი ლოიდის სახელოსნოში თუ დამივარდაო. ეს სწორედ მას შემდეგ მოხდა, როცა სენდი ბატვის მასწავლებელს ეწვია სტუმრად.

— ზაფხულის არდადეგებზე რა უნდა გააკეთო, როზი? — ჰკითხა მისს ბროდომ.

— მამა ორი კვირით მთებში წამიყვანს. მერმე კი არ ვიცი. ალბათ ხანდახან მისტერ ლოიდთან ვივლი სეანსებზე.

— ძალიან კარგი, — თქვა მისს ბროდომ.

მისს ბროდომ მხოლოდ საზაფხულო არდადეგების შემდეგ გაანდო სენდის თავის საიდუმლო. ადრიანი შემოდგომის მზიან დღეებში, გაკვეთილების შემდეგ, ხშირად ერთად თამაშობდნენ ხოლმე გოლფს.

— ჩემი ფიქრები, — თქვა მისს ბროდომ, — მუდამ შენ და როზის დაგტრიალებთ თავს. სხვებს ნუ ეტყვი, თორემ შეშურდებათ. მე ჟენიზეც ვამყარებდი იმედებს, საუცხოო გოგონაა, მაგრამ ამ ბოლო ხანს რაღაც უხალისო გახდა, შენ როგორ გგონია?

ძალზე გონივრული კითხვა იყო, რადგან ზუსტად გამოხატავდა იმას, რაც სენდის თავში კარგა ხანია მომწიფებულებოდა. ამ ბოლო დროს, ჟენიმ მართლაც საშინლად მოაბეზრა თავი და ახლა საოცარ სიმარტოვეს განიცდიდა.

— შენ როგორ გგონია? — გაუმეორა ისევ მისს ბროდომ და სენდის გახედა, რომელიც ბუნკერიდან<sup>47</sup> ბურთის დასაბრტყმელად ემზადებოდა. სენდომ გოლფის სათამაშო ყვანჭი მოიქნია და თქვა: — დიახ, ცოტათი, — ბურთმა ნახევარწრე შემოხაზა და ბუნკერის გვერდით დაეარდა.

— მე იუნისის იმედიც მქონდა, — თქვა მისს ბროდომ, — მაგრამ, როგორც ეტყობა, ახლა იმ ბიჭმა გაიტაცა, ვისთანაც ერთად ცურვაზე დადის.

სენდი ჟერ ისევ ბუნკერში იდგა. ძნელი მისახვედრი იყო, რისი თქმა უნდოდა მისს ბროდის, როცა მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველებით ლაპარაკს დაიწყებდა. ამიტომ მოთმინებით უნდა აღჭურვილიყავი, მისი ნათქვამის აზრს რომ ჩასწვდენოდი. სენდომ აიხედა და მისს ბროდის შეხედა, რომელიც ბუნ-



კერის კიდევ იდგა. ბუნკერი ბორცვის თავზე იყო გაკეთებული. მისს ბროდი თავის მომწვანო-მოცისფრო ტვიდის პიჯაკში მართლაც მომხიბვლელად გამოიყურებოდა. ნამზეურ სახეს ჯერ კიდევ შერჩენოდა ეგვიპტის მცხენარე მზის ნაკვალევი, სადაც არდადეგები გაეტარებინა.

სენდი ბუნკერიდან ამოვიდა.

ერყენული

— იუნისი, — თქვა მისს ბროდიმ, — ჰკუაში ჩავარდება კვამლები და სიქმოსანს გაჰყვება ცოლად. ვინ იცის, იქნებ რაღაც სარგებლობა მეც მოვუტანე. მერი კი... ეჰ, მერიზე რა უნდა ეთქვა. მისი იმედი არასოდეს მქონია. პატარები როცა იყავით, ასე მეგონა, მერისაგან შეიძლება, რაღაც გამოვიდეს-მეთქი. რაღაც გულის ამაჩუყებელი ჰქონდა ახლა კი საშინლად მალიზიანებს. მირჩევნია გაიძვერასთან დავიჭირო საქმე, ვიდრე სულელთან. ეჭვიც არ მეპარება, მონიკა ღირსეულად მოიპოვებს ბაკალავრის ხარისხს, მაგრამ მას ხშირად ლალატობს ალლო და ამიტომაც...

ახლა მისს ბროდის უნდა ეთამაშა და ცოტა ხნით გაჩუმება არჩია; მანძილი თვალთ გაზომა და ბურთს ძლიერად დაარტყა. მერე ისევ განაგრძო.

— ...ამიტომაც აქვს აუტანელი ხასიათი, ნიშნების, სიმბოლოებისა და გაანგარიშების მეტი არაფერი გაეგება ამ ქვეყანაზე. არაფერს ისე არ გამოჰყავს ადამიანი წყობიდან, სენდი, როგორც საკუთარ უუნარობას, წინასწარ განჭვრიტოს ყველაფერი. იმიტომაც არიან მუსულმანები ასეთი თავშეკავებული, ყოველთვის წინასწარ გაითვალისწინებენ ხოლმე ყოველივეს. ჩემი დრაგომანი<sup>48</sup> ეგვიპტეში არაფრით არ დამეთანხმა, რომ პარასკევი მუსულმანებისათვის ღმერთის დღედ ითვლება. „ყოველი დღე ღმერთისაა“, — მიპასუხა მან. მივხვდი, რომ მის ნათქვამში მართლაც ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი და ცოტა არ იყოს, დამცირებულად ვიგრძენი თავი. ჯერ კიდევ ჩემს გამომგზავრებამდე ერთი დღით ადრე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, სენდი, და როცა უკვე მატარებელში ვიჯექი, უცებ რას ეხედავ, ბაქანზე დრაგომანი მოაბიჯებს და ყვავილების ძალზე ლამაზი თაიგული მოაქვს ჩემთვის. მართლაც ღირსეულად ეჭირა თავი. სენდი, არაფერი არ გამოგივა, თუ ჯონის დარტყმისას ასე მოიხრები. მხრები გამართე და თანაბრად დაიხარე. მართლაც შენანიშნავი ადამიანი იყო და ისიც იცოდა, როგორ დაეჭირა თავი.

მათ ბურთები აიღეს და ახლა სხვა ნიშანთან გადაინაცვლეს.

— მისს ლოკპარტთან თუ გითამაშიათ როდესმე? — ჰკითხა სენდიმ.

— როგორ, გოლფს თამაშობს?

— დიახ და საკმაოდ კარგადაც.

ერთ კვირა დილას სენდი გოლფის სათამაშო მოედანზე მოულოდნელად ბუნებისმეტყველების მასწავლებელს გადაეყარა, რომელიც გორდონ ლოუტერს ეთამაშებოდა.

— კარგი დარტყმა იყო, სენდი. მისს ლოკპარტზე ძალზე ცოტა რამ ვიცი, — თქვა მისს ბროდიმ. — ისე, თავის კოლეგებს და სინჯარებს რომ მიხედავდეს, ყველაფერს აჯობებდა. საშუალო სკოლის მასწავლებელი ქალები, თითქმის ყველანი მატერიალისტები არიან. ყველანი ფაბიანელთა<sup>49</sup> ორგანიზაციაში ირიცხებიან და პაციფისტები<sup>50</sup> ბრძანდებიან — სწორედ მათ შეხედულებათა წინააღმდეგ ვილაშქრებთ მე, მისტერ ლოუტერი და მისტერ ლოიდი, როცა დაწყებით სკოლაში მოკალათებულ გონებაშეზღუდულ და უვიც მასწავლებლებთან დავას მოვრჩებით ხოლმე. გეფიცები, სენდი, ნამდვილად ახლომხედ-



ველი ხარ, ისეთი ჩაშტერება იცი. შენ აუცილებლად უნდა ატარო სათვალე.

— სრულებით არ მჭირდება, — გაგულისებით უპასუხა სენდამ, — უბრალოდ გეჩვენებათ.

— ეს ძალიან აღიზიანებს მოსაუბრეს, — მიუგო მისს ბროდიმ. — სენდი, ძვირფასო, ჩემი ფიქრები მხოლოდ შენ და როზის დაგტრიალებს. ძალზე გამჭრიახი გოგო ხარ, მართალია, ხანდახან ალღო გლავლობს, მაგრამ მაინც ღრმა გოგო ხარ. როზის კი შეუმცდარი ალღო აქვს. დიახ, როზის ამას ვერ წაართმევ.

— იქნებ მთლად შეუმცდარი არც ისაა, — ჩაუბრუნა სენდამ.

— ჰო, მართალი ხარ. მისი ალღოს წყალობით დიდი მომავალი ელის.

— სწორედ თავისი შეუმცდარი ალღოს წყალობით, იცის, როგორ დაახატინოს თავისი სურათები.

— აკი გითხარი, გამჭრიახი გოგო ხარ-მეთქი, — უთხრა მისს ბროდიმ. — მე თუ არა, სხვამ ვინ უნდა იცოდეს ეს, რადგან სწორედ გაფურჩქვნის ხანაში შევიძინე განჭერეტის უნარიც და შეუმცდარი ალღოც.

იმისათვის, რომ სრულიად შეეგნო თავისი ადგილი ამ წუთისოფელში, სენდი ხშირად მიდიოდა ხოლმე სენტ-ჯაილზის მონასტერთან ან ტოლბუთის ეკლესიასთან და დიდხანს უმზერდა მათ. ისინი ხომ სიმბოლურად გამოხატავდნენ სულის ესოდენ საზარელ ხსნას, ჯოჯოხეთის ცეცხლის ალიც კი, რომელზედაც ცოდვილებს წვავენ, უფრო სასიამოვნო მოგეჩვენებოდა მათთან შედარებით. არც სენდის ოჯახში და არც სკოლაში არასოდეს უხსენებიათ კალვინიზმი. ხანდახან თუ გაიხსენებდნენ იმას, რომ ეს ოინი თუ ხუმრობა ოდესღაც ყველამ სერიოზულად აღიქვა. იმ დროს ჯერ კიდევ არ ესმოდა სენდის, რომ გარემო, სადაც იგი ცხოვრობდა, ყოველგვარ ინდივიდუალურ თავისებურებას იყო მოკლებული, რაც ასე შეიმჩნეოდა იმ ადგილებში, სადაც ედინბურგელები ცხოვრობდნენ, რომლებიც მათთან შედარებით სოციალურ კიბეზე ერთი საფეხურით ან მაღლა ან დაბლა იდგნენ. სენდი საერთოდ ვერ გრძნობდა სოციალურ სხვაობას. თავისი ცხოვრების პირველი თხუთმეტი წელი ბრიტანეთის ნებისმიერ ქალაქის გარეუბანში შეეძლო გაეტარებინა, სასწავლებლად კი, მაგალითად, ილინგში<sup>1</sup> ევლო, სადაც მისი სკოლა იქნებოდა მოთავსებული. ჯერჯერობით სენდი მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ედინბურგში მხოლოდ ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი კიდევ რაღაც სულ სხვა ცხოვრება არსებობდა, რომელიც თავისი გზით მიედინებოდა და რატომღაც ერთხელაც არ შეხებია მას, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ცხოვრება წაართვესო. არადა, როგორი უსიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო ეს ცხოვრება, თვითონაც უნდა განეცადა, რომ ენახა, რას წარმოადგენდა. ამიტომ არ უნდოდა, რომ უკვე ბევრისმნახველ და ნაცად ხალხს ამ ცხოვრებისაგან დაეფარათ იგი.

სინამდვილეში საქმე იმაში გახლდათ, რომ სენდის საშუალება არ მისცეს აშკარად ელიარებინა კალვინის რელიგია. ყველაზე მიწიერი და გონებაფხიზელი იმათგან, ვისაც სენდი იცნობდა, მისს გაუგებია, მისს ელენ და ელისონ კერები იყვნენ, რომლებიც მოურიდებლად აცხადებდნენ: უფალი ღმერთი თითქმის ყველას, სანამ ამ ცოდვილ ქვეყანას მოველინებოდნენ შემზარავ სიუპრიზს უმზადებს, რომელიც მათ სიკვდილის მერე ელოდებათო. მოგვი-



ნებით, როცა სენდიმ ჯონ კალვინი გადაიკითხა, აღმოაჩინა, რომ, მართალია მისი მეტად გავრცელებული კონცეფციები თუმცა ზოგჯერ მცდარი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში შეცდომა არ დაუშვიათ; სინამდვილეში სწავითისადმი ასეთი მიდგომა უფრო ნათლად გამოხატავდა კალვინის ძირითადი დებულებების არსს, რომ ღმერთს დიდ სიამოვნებას ანიჭებს ზოგიერთ ადამიანს, მაგრამ ღმერთს სიხარულისა და სულის ხსნის მაცდური გრძნობა, რომ მერე სიჭრბრისი, რომელსაც სიცოცხლის ბოლოს უმზადებს მათ, უფრო შემზარავი გამოჩნდეს.

სენდის ვერაფრით ვერ ჩამოეყალიბებინა მისთვის ესოდენ ამაღელვებელი ჰიპოთეზები, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა, ჰაერში მის ირგვლივ რა მრავლად ირეოდნენ ისინი. სენდი ხვდებოდა, რომ ამის დასტური იყო ის თავხედური საქციელი, როცა ადამიანები უქმეს არღვევდნენ. გაფურჩქენის ხანას მიღწეული მისს ბროდის უსაქციელობაშიც კი იგრძნობოდა მათი ძალა. ახლა, მარტო სიარულის ნება რომ დართეს, სენდი დიდხანს დაეხეტებოდა ხოლმე ედინბურგის ყველაზე სახიფათო უბნებში და ჟამთა სვლისაგან ჩაშავებულ ძეგლებს ათვალიერებდა, მთვრალი კაცებისა და ქალების გულისამრევ ლანძღვა-გინებას ისმენდა. მათი სახეები მორწინგსაიდსა და მერჩისტონში<sup>52</sup> მცხოვრებ ნაცნობთა სახეებს რომ შეუდარა, დაინახა, რომ ისინი მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

სენდი უკვე ქვეშეცნეულად ხვდებოდა, რა იმალებოდა მისს ბროდის საქციელის მიღმა, რომელმაც თვითონვე მიუტევა საკუთარ თავს ცოდვები და ამჯობინა ამ უჩვეულო ცხოვრებით დამტკბარიყო, რაიც უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, ვიდრე სხვა იმედგაწყვეტილი შინაბერებივით სმას რომ მიჰყოლოდა.

ერთი რამ ცხადი იყო: მისს ბროდის უნდოდა შეუმცდარი ალღოთი დაჯილდოვებულ როზის ტედი ლოიდის საყვარლის როლი ეთამაშა, ხოლო შორსმჭვრეტელ სენდის დამსმენის როლი ეკისრა, რათა დროდადრო საქმის ვითარება ეუწყებინა მისთვის. სწორედ ამის გამო იყო, რომ თავის დროზე სენდი და როზი რჩეულთა შორის მოხვდნენ. ამ ჩანაფიქრს ცოტა არ იყოს გოგირდის არასასიამოვნო სუნი ასდიოდა, მაგრამ სენდის, ახლა სულ სხვაგვაროვნაობით რომ უყურებდა ყველაფერს, სწორედ ეს სურნელი იზიდავდა. ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ ჩანაფიქრად რჩებოდა.

დრო ჯერ კიდევ ბევრი იყო, რადგან მისს ბროდი არ ჩქარობდა გეგმის შედგენას. ყველაზე დიდ სიამოვნებას სწორედ მისი მომზადების დროს განიცდიდა. გოგოები თექვსმეტი წლისანი რომ გახდნენ, მისს ბროდი ხშირად ეუბნებოდა მათ: „სენდისგან ძალიან კარგი საიდუმლო აგენტი დადგება“, სენდისთან კი, პირისპირ რომ დარჩებოდა, სულ იმას გაიძახოდა: „როზი დიდებული საყვარელი იქნება. ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებზე მაღლა დგას და ამიტომაც არ შეეხება ისინი. ამას კი ისეთს ნურავის ეტყვი, ვინც მაინცდამაინც დიდი გამჭრიახობით არ დაუჯილდოვებია განგებას“.

სენდიმ თანდათან ალღო აუღო გეგმას, რადგან მთელი წელი ხშირად დადიოდა ხოლმე სტუმრად ლოიდებთან და მერე მისს ბროდის უყვებოდა, როგორ ხატავდა ტედი როზის სურათს, რომელიც ასე ჩამოგავდა მისს ბროდის.

— როზი, — იტყოდა ხოლმე მისს ბროდი, — დევიდ ლორენსის რომანის გმირსა ჰგავს. მას შეუმცდარი ალღო აქვს.



სანამდვილეში ხატვის მასწავლებელს როზი მხოლოდ წმინდა პროფესიული თვალსაზრისით აინტერესებდა, როგორც კარგი მოდელი და მეტი არაფერი. როზი კმაყოფილდებოდა მასზე დაკისრებული მოვალეობით: საბოლოოდ ტედი ლოიდთან სენდიმ გაიყო სარეცელი და ეს როზიმ აუწყა მისს ბროდის.

ქართულად

ეს ყველაფერი უფრო მოგვიანებით მოხდა, ახლა კი მხოლოდ მხოლოდ უყურადღებოდ მიეტოვებინა მისტერ ლოუტერი კრემონდში და ცდილობდა რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო სენდის და როზის გვერდით. იგი ფერწერაზე ესაუბრებოდა მათ, უხსნიდა, თუ როგორ უნდა დამსხდარიყვნენ, როცა მხატვარი ხატავდა, როგორი მომავალი ელოდა როზის, თუკი ისევ მენატრებოდა განაგრძობდა მუშაობას და რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ამის შეგრძნებას, ძალზე დიდ შინაგან ძალას რომ ფლობდა; ეს ხომ ბუნებას მოემადლებოდა მისთვის, რადგან ის ბედნიერი გამონაკლისი იყო, არავითარ წესს რომ არ ემორჩილება. და მაინც თვითონვე ამტკიცებს ამ წესს.

მისს ბროდი ძალიან ფრთხილობდა, ზედმეტი არაფერი წამოცდებოდა, ამიტომ როზი მხოლოდ სანახევროდ მიუხვდა სათქმელს, ვინაიდან ამ დროს, როგორც სენდიმ იცოდა, როზი საკუთარი ალლოს კარნახით მოქმედებდა და თავისი სექსუალობით უფროსკლასელი ბიჭების ყურადღებას იქცევდა, რომლებიც ხშირად დაეყუდებოდნენ ხოლმე თავიანთი ველოსიპედებით სკოლის შესასვლელიდან კარგა მოშორებით. ამ ბიჭებს ძალზე მოსწონდათ როზი და მხოლოდ ამიტომ გაეთქვა სახელი სექსუალობით, თუმცა სექსზე არასოდეს ულაპარაკნია და არც პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა ამისი; რასაც საკუთარი ალლო უკარნახებდა, ყველაფერს ისე აკეთებდა, ამიტომ მისს ბროდისაც ისე უსმენდა, თითქოს მის ყველა სიტყვას ეთანხმებოდა.

— ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის რომ გახდები, როზი, აი, მაშინ იგრძნობ უდიდეს აღმაფრენას.

— დიახ, სიმართლე გითხრათ, მეც ასე ვფიქრობ, მისს ბროდი.

ტედი ლოიდი რომ მისს ბროდით იყო გატაცებული, ეს „ტომის“ გოგონების ყველა სურათში იგრძნობოდა, რომელიც კი მას დაეხატა. ერთ ზაფხულს გოგონების ჯგუფური სურათი დახატა. სურათზე გოგონებს პანამები სხვადასხვანაირად ეხურათ. მაგრამ ყველა ტილოდან ჩადოსნურად გადასხვაფერებული მისს ბროდი იცქირებოდა, რომელსაც როზის, სენდის, ჯენის და მერიის სახე მიეღო. ყველაზე მეტად მისს ბროდის როზი ჰგავდა, რადგან როზი ძალზე კარგად ასახატა მოდელი იყო და ტედი ლოიდიც ხუთ შილინგს უხდიდა სეანსზე; ეს კი პირდაპირ მისწრება იყო მისთვის, რადგან ძალიან უყვარდა კინოში სიარული.

სენდი ზოგჯერ გულთბილადაც კი განეწყობოდა მისს ბროდის მიმართ, როცა ხედავდა, როგორ ცდებოდა იგი როზის შეფასებაში. ამ დროს მისს ბროდი ძალზე მომხიბვლელი და ნაზი ეჩვენებოდა. ასე ჩანდა მძიმე, მუდამ მოქუშული ედინბურგიც, როცა მარგალიტისფრად მოელვარე სინათლე მის ერთ-ერთ ლამაზ გამოკვეთილ ქუჩას დაეცემოდა და ისიც უცბად ჰაერში მოლივლივ ქალაქს დაემსგავსებოდა. ზუსტად ასევე მისს ბროდის მბრძანებლური ხასიათიც უფრო ნაზი და ლმობიერი ეჩვენებოდა სენდის, როცა თავის მასწავლებელში მხოლოდ ჰირვეულ ქალს ხედავდა, მრავალი წლის შემდეგ.



როცა გაიხსენებდა, რა საწყალი, რა სულელი ქალი იყო, უფრო მეტი პატივისცემით ფიქრობდა ხოლმე მასზე.

მისს ბროდი კი, როგორც „ტომის“ წინამძღოლი, რომელიც მატრონა და განმანათლებელ-რეფორმატორი, კვლავინდებურად ძლიერი მასწავლებელთა აზრით სასურველი არ იყო მასთან ურთიერთობის მატრონის, რომ „ტომს“ კოლექტიურობის გრძნობა აკლდა და პოკეისა და ხელბურთის თამაშს გოგოები გოლფს ამჯობინებდნენ, საკმარისი იყო იმისათვის, რომ ყველასაგან გამორჩეულიყვნენ. ამისთვის არც პანამის ფარფლების სხვადასხვა მზრიდან აწევ-დაწევა იყო საჭირო და არც კინკრიბოსთან მისი ჩაქყლეტა. ბროდის „ტომიდან“ გამოსვლა გოგოებს არ შეეძლოთ, რადგან ყველას თვალში მაინც „ტომის“ წევრებად რჩებოდნენ. ფორმალურად ისინი პოლირუდის, მელროუზის, არგალისა და ბიგარის რაზმებში ირიცხებოდნენ, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ გოგოები არავის არ გულშემატკივრობდნენ და მათთვის სულერთი იყო, აღამს ვინ მოიპოვებდა, უფლებაც კი არ ჰქონდათ სხვანაირად მოქცეულიყვნენ. მათი გულგრილობა, ასე ვთქვათ, თავისებურ საზოგადოებრივ ინსტიტუტად ქცეულიყო ახლა და ისეთივე პატივი უნდა მიეგებოდა, როგორც სკოლაში შექმნილ რაზმეულთა სისტემას.

რაც შეეხება თვითონ გოგოებს, ასეთი სახელი რომ არა, მაშინ, როცა თექვსმეტი წლისანი გახდნენ და მეოთხე კლასში სწავლობდნენ, ექვსივე კარგა ხანია თავ-თავის გზას დაადგებოდა.

მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ იყო და ისღა დარჩენოდათ, რაც შეიძლება უკეთ გამოეყენებინათ თავიანთი მდგომარეობა, მით უმეტეს ხელავდნენ, რომ ყველას შურდა მათი, ყველა ამბობდა, რომ „ტომის“ გოგოები, რომლებიც ხშირად დადიოდნენ კრემონდში, ტედი ლოიდის სახელოსნოში, თეატრში თუ მისს ბროდისთან, ყველაზე მზიარულად ატარებდნენ დროს და ეს მართალი იყო. თვითონ მისს ბროდიც რომანტიკული შარავანდედით გაცისკროვნებულ პიროვნებად რჩებოდა მუდამ იმ გოგოების თვალშიც კი, „ტომის“ წევრთა შორის რომ არ ირიცხებოდნენ.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მწვაავდებოდა მისს ბროდის ურთიერთობა სკოლის ხელმძღვანელობასთან მისი განმანათლებლური აზრების გამო და მანაც შეძლო გოგოებისათვის ჩაეგონებინა, რომ ყოველთვის, როცა ბროდის პეტისმეტად გამწვაავდებოდა, მათი ვალი იყო ერთიანი ძალით შეეტიათ მოწინააღმდეგეებისათვის. ასეთ დროს მისს ბროდი ყოველთვის მოძებნიდა თავის გოგოებს, რომლებიც ხშირად სკოლის წინ ბიჭებს ელაზღანდარებოდნენ ხოლმე. ბიჭები ველოსიპედებით სწრაფად გაეცლებოდნენ იქაურობას, გოგოებს კი მეორე დღისათვის მისს ბროდი ჩაიხე მიიპატიჟებდა.

გოგოები ტრამვაის გაჩერებამდე მიჰყვნენ მისს ბროდის.

— ისევ სხვა სკოლაში გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ არსადაც არ ვაპირებ წასვლას. მე აქ უნდა დავრჩე, ამ მასობრივი განათლების ფაბრიკაში, ახლა მაგარი ხელია აქ საჭირო. მომეცით პატარა ასაკის გოგო და ის სამუდამოდ ჩემია მერე. მაინც ვერაფერს გახდებიან ჩემ წინააღმდეგ.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრეს გოგოებმა, — ვერაფერს გახდებიან.



სკოლის დირექტორი ისევ განაგრძობდა გოგოების დაკითხვას, რომ ყველაფერი დაეცინცლა, რაც მისს ბროდიზე იცოდნენ. ზოგჯერ, იმედგაცრუებული, რომ ვერაფერი შეიტყო, რაღაც მიზეზს გამოიხატავდა, რაც სხვათა შორის არც ისე ხშირად ხდებოდა, და გოგოებს დაერუოდა დასაბუთებად.

— თუ ჩემი განმანათლებლური მოღვაწეობისათვის არაფერი მოგიტყულებენ, მაშინ შეეცდებიან ჩემს პირად ცხოვრებას მოსცხონ ჩემი წინააღმდეგობით. — სამწუხაროა, მაგრამ საცოდავ მისტერ ლოუტერთან ურთიერთობა მართლაც ვნებს ჩემს სახელს. თქვენ კარგად იცით, გოგოებო, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე მის ჯანმრთელობას შევალიე. მე ძალიან მიყვარს იგი. მაინც რატომ არ უნდა მიყვარდეს? ნუთუ არ შეიძლება ყველას ერთმანეთი გვიყვარდეს? მე მისტერ ლოუტერის უახლოესი მეგობარი ვარ და ყველაფერშიც მენდობა. მართალია, ამ ბოლო დროს რაღაც ყურადღებას ვეღარ ვაქცევ, მაგრამ მისთვის მე მაინც ყველაფერი ვარ და საკმარისია თითი დავუქნიო, რომ ჩემთან გაჩნდეს. ჩვენს ურთიერთობაზე კი რას არ ლაპარაკობენ...

აგერ უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც მისს ბროდიმ სიმღერის მასწავლებელი მიატოვა და გოგოები შაბათ-კვირას კრემონდში აღარ დადიოდნენ. სენდიმ დაასკვნა: მისს ბროდი გორდონ ლოუტერთან ალბათ იმიტომ აღარ იყოფს სარეცელს, რომ თავისი ხორციელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება როზის მიანდო, რომელიც ტედი ლოიდის საყვარელი უნდა გახდესო.

— ბევრი ლანძღვა-გინება შემხვდა ყველაფრისათვის, რაც კრემონდში გამიკეთებია, — თქვა მისს ბროდიმ, — მაგრამ არა უშავს, როგორმე გადავიტან. რომ მოვიხდომო, ხვალვე ცოლად გავყვები.

მეორე დღით კი გაზეთ „სკოტსმენში“ გორდონ ლოუტერისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლის მისს ლოკპარტის ნიშნობა გამოცხადდა. ამას არავინ მოელოდა. მისს ბროდი პირდაპირ გაოგნებული იყო და საშინლად იტანჯებოდა, ასე მწარედ როგორ მომატყუესო, მაგრამ მაინც შეძლო გაეხსენებინა, რომ ცხოვრებაში ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ ტედი ლოიდი უყვარდა, რომელსაც ადრე თვითონვე არ უთანაგრძო, გორდონ ლოუტერთან ურთიერთობა კი უბრალოდ უფრო ხელს აძლევდა და მეტი არაფერი. სკოლის სხვა მასწავლებლებთან ერთად მისს ბროდიმაც შეიტანა ფული, რომლითაც ფაიფურის ჩაის სერვიზი იყიდეს და მეოთხედის ბოლო შეკრებაზე ახალდანიშნულები დაასაჩუქრეს. მისტერ ლოუტერმა სიტყვა წარმოთქვა და იქ დამსწრე მასწავლებლებს, „ქალიშვილებო“, ასე მიმართა, დროდადრო მოცხად გადახედავდა ხოლმე მისს ბროდის, რომელიც ფანჯარაში ღრუბლების ცქერით ტკებოდა. ზოგჯერ მის მომავალ მეუღლეს შეავლებდა თვალს, სკოლის დირექტორთან ერთად დარბაზის შუაში რომ დამდგარიყო და მშვიდად ელოდა, როდის დაამთავრებდა იგი თავის სიტყვას, რომ მისს მაკკეისთან ერთად მისულისო მასთან. როგორც ყველას, ისე მისტერ ლოუტერსაც სჯეროდა, რომ მისს ლოკპარტს მარტო გოლფის კარგად თამაში ან მანქანის მართვა კი არ ეხერხებოდა, თუ მოინდომებდა, თავისი დენთით საესე ქილით მთელ სკოლას ააფეთქებდა, თუმცა ასეთი რამ თვითონ მისს ლოკპარტს არასოდეს გაუვლია თავში.

მისს ბროდი თაფლისფერი თვალებით ღრუბლებს მიშტერებოდა, ძალზე ლამაზად და მოხდენილად გამოიყურებოდა. ანაზღად სენდის აზრად მოუვი-



და, ალბათ იმიტომ არ უთანაგრძო მისს ბროდიმ ტედი ლოიდს, რომ მიხვდა, ბოლომდე ველარ შეინარჩუნებდა თავის სილამაზესო.

მეორე მეოთხედში, მისტერ ლოუტერი რომ დაბრუნდა, რომელსაც თავ-ლობის თვე ეიგის კუნძულზე გაეტარებინა, მისს ბროდიმ მთელი თავისი ძალა იმ გეგმის განხორციელებას მოანდომა, რომელიც როზისა და სენდის მოწვევას მჭვრეტელობას და შეუმცდარ აღლოს შეეხებოდა. სხვა დარჩენილი ძალა კი პოლიტიკური იდეების განხორციელებას ჩააქსოვა.

## თავი VI

მისს მაკეი, სკოლის დირექტორი, კვლავ განაგრძობდა გოგოების დაკითხვას. თვითონაც მშვენივრად უწყოდა, რომ მათთან ასე პირდაპირ ლაპარაკი უაზრობა იყო. ამიტომ მოიარებით ეკითხებოდა იმ იმედით, გოგოები მოტყუვდებოდნენ და ისეთი რამ წამოცდებოდათ, რაც მისს ბროდის გასანთავისუფლებლად გამოადგებოდა მომავალში. მეოთხედში ერთხელ გოგოები ჩაის მიირთმევდნენ ხოლმე მისს მაკეის კაბინეტში.

ყოველ შემთხვევაში მისს ბროდიზე ახლა ისეთს ვერაფერს იტყოდნენ გოგოები, თვითონაც შიგ არ ყოფილიყვნენ გარეულნი. აგერ უკვე შვიდი წელი იყო მისს ბროდისთან მეგობრობდნენ და ისე მიჩვეოდნენ, ასე ხელაღებით ვერ გაწყვეტდნენ მასთან ურთიერთობას, თუკი თვითონაც არ წაიტებდნენ კისერს.

— მისს ბროდის ისევ ხვდებით? — ღიმილით იკითხა მისს მაკეიმ და ახალი კბილები გამოაჩინა.

— დიახ, საერთოდ კი...

— დიახ, ხანდახან კი...

მისს მაკეი ძალზე მეგობრულად ესაუბრა სენდის, როცა იგი ჩაიზე მიიპატიჟა, რადგან უფროსკლასელ გოგოებს ყოველთვის თანატოლივით ეპყრობოდა, თუმცა კი ჯერ ისევ სკოლის ფორმები ეცვათ.

— ჩვენი ძვირფასი მისს ბროდი! ალბათ ისევ თელის ძირში ზის და პატარებს მისი ცხოვრების გასაოცარ თავგადასავალს უყვება. დღესავით მახსოვს, პირველად რომ მოვიდა სკოლაში. ახალგაზრდა, ენერგიით სავსე მასწავლებელი იყო, მაგრამ ახლა...

მისს მაკეიმ თავი გადააქნია და ამოიოხრა: ჩვევად ჰქონდა, როცა ლაპარაკობდა, შოტლანდიური ხატოვანი გამონათქვამი ჩაერთო, რომ ამით უფრო ბრძნული გაეხადა აზრი:

— რის განკურნებაც არ შეიძლება, მას მოთმენა უნდაო, მაგრამ ვშიშობ, მისს ბროდი ის აღარ არის, რაც იყო. არა მგონია, მისმა კლასმა გადასაყვანი გამოცდების ჩაბარება შეძლოს წელს. არ გეგონოს, მისს ბროდის ვკიცხავდე. დარწმუნებული ვარ, ცოტას სვამს კიდეც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს არავის საკმე არ არის. მით უმეტეს, რომ ეს არც მუშაობაში უშლის ხელს და არც თქვენთვის მოუტანია ზიანი.

— მისს ბროდი არა სვამს, — მიუგო სენდიმ, — ერთი ჭიქა ხერესს თუ დალევს თავის დაბადების დღეზე. ამ დღეს შვიდივე ნახევარ ბოთლამდე ვსვამთ ხოლმე.



სახეზე შეეცაო მისს მაკეის, რომ მისს ბროდისათვის წაყენებული ბრალ-  
დებათა სიიდან აღკვეთილი ამორიცხა.

— პოდა, მეც ეს მინდოდა მეტქვა, სხვა არაფერი, — თქვა მისს/მაკეიმ.

ახლა, ჩვიდმეტი წლისანი რომ იყვნენ, გოგონებს შეეძლოთ მხოლოდ-  
ზე, როგორც ქალზე, ისე ელაპარაკათ. ამის თაობაზე რომ მისს/მაკეის ქაოლოს  
ყველა იძულებული გახდა ელიარებინა, რომ მართლაც ქალზე მომხიბვლელი  
ქალი იყო. თვალები შელავდა, კეხიანი ცხვირი სიამაყეს მატებდა მის სა-  
ხეს, ჯერ ისევ მუქი წაბლისფერი თმა კეფაზე ჰქონდა მოხვეული, როგორი  
კმაყოფილიც არ უნდა ყოფილიყო სიმღერის მასწავლებელი მისს ლოკარტ-  
ისა, ახლა მისის ლოუტერი რომ გამზდარიყო და სკოლისთვის სამუდამოდ და-  
კარგულად ითვლებოდა, ყოველთვის, როცა კი მისს ბროდის შეხვდებოდა.  
ელალ წარბებს ქვემოდან ფარულ ფალტაცებით შეხვდავდა ხოლმე მას.

მისს ბროდის ყველაზე თავგამოდებული თავყანისმცემელი ჯოის ემილი  
ჰემონდი იყო, ახალი გოგონა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხანია მშობლებს  
ბლეინის სკოლაში მიეზარებინათ. თუმცა სკოლის იმედილა ჰქონდათ მშობლებს,  
რადგან ჯოისს თავისი დაუდეგარი ხასიათის გამო უკვე რამდენიმე ძვირად-  
ღირებული სკოლა გამოეცვალა შოტლანდიის ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში.  
ბლეინის სკოლაში კი ჯერჯერობით თავი არაფრით გაუმეღვენებია გარდა იმი-  
სა, რომ ქალაქის სოციალისტურმა ხოლმე მისტერ ლოუტერს, და გულსაც  
სტკუნდა თავისი საქციელით. ყველას დაჟინებით სთხოვდა, ჯოის ემილი და-  
მიძახეთო. ყოველ დღით ღამად, შავი ავტომობილით მძღოლს მოჰყავდა  
სკოლაში, თუმცა შინ კი თავისი ფეხით უნდა წასულიყო. ჯოის ემილი ედინ-  
ბურგის გარეუბანში, უზარმაზარ სახლში ცხოვრობდა, რომელსაც საჩინბოები  
ერთყა გარს. მისმა მშობლებმა, თუმცა საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობ-  
ნენ, სკოლის ხელმძღვანელობას სთხოვეს, გამოსაცდელი დროის გასვლამდე  
ახალი სასკოლო ფორმის საყიდელ ფულს ჯერჯერობით ნუ გადაგვახდევინებ-  
თო. ამიტომაც ჯოის ემილის ჯერ ისევ მუქ-მწვანე ფერის ფორმა ეცვა, და-  
ნარჩენ გოგონებს კი ლილისფერი კაბები. სულ იკვებნიდა, შინ ახალთახალი  
ხუთი წყვილი ფორმა მიკიდიოთ გარდერობში. იმათ გარდა იქ უამრავი ნივ-  
თებიც ჰქონდა შენახული, რომლებიც ადრე მის აღმზრდელ ქალებს ეკუთ-  
ვნოდა. რას არ ნახავდით აქ: მსხვილ ნაწნავს, რომელიც თვითონ შეეჭრა  
ერთ-ერთი აღმზრდელისათვის, მისს მიჩნის შემნახველი სალაროს წიგნაკს, აქვე  
იყო დამწვარი ბალიშის ნარჩენები, რომელზედაც ვინმე მისს ჩემბერს ედო  
თავი, როცა ჯოის ემილიმ ცეცხლი წაუკიდა.

თანაკლასელები ყურს უგდებდნენ მის ყბედობას, მაგრამ საერთოდ კი  
ამრცხით ეპყრობოდნენ, განა მარტო იმიტომ, მწვანე წინდები, ასეთივე ფე-  
რის ქვედა კაბა, გაპრიალებული მანქანა და მძღოლი არ მოსდიოდათ თვალში,  
არამედ იმიტომაც, რომ მოახლოებული გამოცდების გამო ისედაც ქალზე და-  
კავებულნი იყვნენ და თანაც შეჯიბრებისთვისაც ემზადებოდნენ. ჯოის ემილის  
ძალიან უნდოდა ბროდის „ტომის“ სრულუფლებიანი წევრი გამზდარიყო, მით  
უმეტეს გრძნობდა, რომ ისინი ყველასაგან განცალკევებულნი იყვნენ, მაგრამ  
ყველაზე ნაკლებად სწორედ „ტომის“ გოგონებს სჭირდებოდათ იგი.

მერი მაკგრეგორის გარდა, ყველა გოგო სკოლის წარჩინებულ მოსწავ-  
ლეთა შორის ირიცხებოდა და ეს ცოტა არ იყოს ხელს უშლიდა მისს მაკეის  
მისს ბროდის ავტორიტეტი საეჭვო გაეხადა.



ბროდის გოგოებს თავიანთ „ტომის“ გარდა კვლავ საკუთარი ინტერესებიც გააჩნდათ. იუნისი ვილაც ბიჭთან მეგობრობდა, ვისთან ერთადაც ცუცვასა და წყალში ხტომაში ვარჯიშობდა. მონიკა ღუგლასი და მერი მაკგოგორი ლარიბთა კვარტალში დაიარებოდნენ და მანანის ბურღულს ამოგებდნენ პარკებით, თანაც ყველამ იცოდა, რომ მერი მუდამ რაღაც ამდგვარს იტყვოდა ხოლმე: „ნამცხვარს რატომ არ ჭამენ, თუ პური არა აქვთ?“ (სინამდვილეში კი ერთხელ, როცა ლარიბებისაგან შეიტყო, საპონს უსაშველო ფასი აღევსო, ასე თქვა: „კი მაგრამ, ტანსაცმელს სამრეცხაოში რატომ არ ჩააბარებენ?“). ჯენის მსახიობური ნიჭი აღმოაჩნდა და ახლა დიდიდან საღამომდე სკოლის დრამწრეში დარბოდა რეპეტიციებზე. როზი ისევ ტედი ლოიდს პოზიორობდა, სენდი ხანდახან მიდიოდა სახელოსნოში და თვალს ადევნებდა, ზოგჯერ უცნაური აზრი გაუკრთებოდა თავში, ტედი ლოიდს ერთხელ კიდევ ხომ არ ვაკოცნიო, რომ ენახა, გამოვიდოდა თუ არა რამე, თუკი თავისი ჭრუტა თვალებით უტიფრად მიაშტერდებოდა.

„ტომის“ გოგოები გაკვეთილების შემდეგ მისს ბროდისთან მიდიოდნენ ხოლმე. ხან ორი გოგო მოინახულებდა, ხან სამი, ზოგჯერ კი ყველა ერთად. იმათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელს მისს ბროდი განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა როზის, სენდის კი იმ დიდ სასიყვარულო რომანზე ეკითხებოდა, სიმღერის მასწავლებელსა და როზის შორის რომ უნდა აღმოცენებულიყო.

ასე რომ, გოგოებს არც კი ეცალათ ამ ყაჩაღანა გოგოსთვის, გავლენიანმა მშობლებმა მათ სკოლაში რომ შემოაკვებეს. თუმცა ყაჩაღანა, როგორც ეტყობა, მარტო სახელით იყო.

მისს ბროდი კი ყოველთვის გამოძებნიდა ხოლმე მისთვის დროს. გოგოებს, ცოტა არ იყოს, სწყინდათ კიდევ ეს ამბავი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ვალდებული არ იყვნენ ამ გოგოსთან ეამხანაგათ და არც იმისთვის მიექციათ ყურადღება, მისს ბროდი რომ ჩაიხეც პატიჟებდა და თეატრშიც ცალკე დაჰყავდა.

ჯონის ემილი იმასაც იკვებნიდა, რომ მისი ძმა, რომელიც ოქსფორდში სწავლობდა, სამოქალაქო ომში მონაწილეობის მისაღებად ესპანეთში გაემგზავრა. ამ შავთმიან და ახირებულ გოგოსაც უნდოდა ესპანეთში გაქცეულიყო, თეთრი ბლუზა და შავი ქვედაკაბა ჩაეცვა და თოფით ხელში მწყობრში ევლო.

სერიოზულად არავის მიუღია მისი ნათქვამი. ესპანეთის სამოქალაქო ომზე გაზეთებიდან თუ შეიტყობდნენ რამეს ან თვეში ერთხელ სკოლის სადისკუსიო დარბაზში ახსენებდნენ. ჯონის ემილის ჩათვლით ყველანი ანტიფრანკისტები გახდნენ, თუკი საერთოდ წარმოადგენდნენ რამეს.

ერთხელაც აღმოაჩინეს, რომ ჯონის ემილი აგერ უკვე რამდენიმე დღეა სკოლაში არ დადიოდა და მის ადგილზე ვილაც სხვა გოგონა იჯდა. არავინ იცოდა, სკოლა რისთვის მიატოვა, ვიდრე ექვსი თვის მერე არ შეიტყვეს, რომ ესპანეთში გაქცეულა და მატარებლის დაბომბვის დროს დაღუპულა. ამ შემთხვევის გამო სკოლამ მოკლე პანაშვიდიც კი გადაიხადა.

მერი სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის კურსებზე მოეწყო, ჯენი კი დრამატულ სტუდიაში შევიდა. ბროდის „ტომის“ მხოლოდ ოთხი გოგო გა-



ნაგრძობდა სწავლას, კაცი იფიქრებდა, სკოლაში აღარც კი დადიანო აღბათ, იმდენი თავისუფალი დრო რჩებოდათ, ლექციებიც ბევრი ჰქონდათ და ბიბლიოთეკაში სამუშაოც, ამიტომ წამით თუ შეირბენდნენ სკოლაში. მათ პატივისცემით ეპყრობოდნენ, რჩევასაც ეკითხებოდნენ და მათაც ესეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს, თუ მოინდომებდნენ, მთელ სკოლაში გაუძღვებოდნენ კიდევ.

იუნასი უცხო ენების შესწავლას აპირებდა, თუმცა ერთი წლის მერე გადაიფიქრა და მოწყალების დად მოეწყო. მონიკას მეცნიერებისათვის უნდა შეეწირა თავი, სენდის კი ფსიქოლოგიისათვის. როზი ისევ სკოლაში რჩებოდა, რადგან მამამისი თვლიდა, რომ რაც შეიძლება ბევრი უნდა გამოექაჩა იქიდან, თუნდაც მერე სამხატვრო სკოლაში შესულიყო ან, უარეს შემთხვევაში, მანეკენად თუ მენატურედ ემუშავა მხატვრებთან. როზის ცხოვრებაში მამა ძალზე ბევრს ნიშნავდა. მოსული კაცი იყო, ძალზე ლამაზი და თანაც ქვრივი. მეწაღე ვარო, თავმომწონედ იტყოდა ხოლმე, რადგან ფეხსაცმელების უამრავ სახელოსნოებს ფლობდა. რამდენიმე წლის წინ, მისს ბროდი რომ გაიცნო, მაშინათვე ძალიან დააინტერესა ამ ქალმა, როგორც ბევრი სხვა მამაკაცი, რომლებიც ყველასდა საკვირველად სრულებით არ თვლიდნენ მას სასაცილოდ.

მისს ბროდის კი მისტერ სტენლის ხსენებაც არ უნდოდა, უკულტურო და თანაც ძალზე ვნებიანი კაციო, — ამბობდა იგი. გოგოებს ყოველთვის მოსწონდათ როზის მამა, თუმცა ვერ გაემზილათ ეს ამბავი, როზი მისი შეუმცდარი ალღოს წყალობით, რომელიც მართლა გააჩნდა — გამჭრიახობა და მოქარბებული ვნებიანობა მამამისისაგან ერგო — სკოლის დამთავრების შემდეგ მალე გათხოვდა და ისე მოიშორა თავიდან მისს ბროდის გავლენა, როგორც წყლიდან ამოსული ძაღლი დაიბერტყავს ხოლმე ბალანს.

რა იცოდა მისს ბროდიმ, რომ სწორედ ასე მოხდებოდა ყველაფერი შემდეგში, მაგრამ ახლა როზის უკვე სახელი გაეთქვა სექსუალობით და დიდი მოწონებითაც სარგებლობდა დამამთავრებელი კლასისა თუ უნივერსიტეტის პირველკურსელ ბიჭებში. ერთხელ მისს ბროდიმ ასე უთხრა სენდის: „შენი ნათქვამიდან ისე გამოდის, სულ მალე როზი ტედი ლოიდის საყვარელი გახდება“. სენდი მაშინვე მიხვდა, რომ ეს მისს ბროდის უბრალო ახირება არ იყო, როგორც საერთოდ სჩვეოდა — ადამიანები ხომ ათასნაირი გამოწავონითა და პროგნოზებით ირთობენ ხოლმე თავს, მაგალითად, იქნება თუ არა ომი, ამგვარი ვარაუდები მრავლად ირევა ხოლმე ჰაერში ქაღალდის მტრედებივით. მისს ბროდი კი არაფერს არ იგონებდა. იმას ამბობდა, რასაც გულისხმობდა. სენდიმ შეხედა მისს ბროდის და მიხვდა, ამ ქალს მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ფიქრი, რომ როზი მაინცდამაინც იმ მამაკაცს მისწოლოდა გვერდით, მას რომ უყვარდა. ეს ახალი იდეა არ იყო, ახალი თვით არსებული სინამდვილე იყო.

სენდიმ გაიხსენა, როგორ ყვებოდა მისს ბროდი თავისი პირველი სიყვარულის ამბავს რვა წლის წინ თელის ძირში და შეეცადა გაერკვია, რამდენად შეიცვალა მისს ბროდი ამ ხნის განმავლობაში, რომელიც კიდევ უფრო რთული პიროვნება გამხდარაყო და რამდენად სხვანაირად აღიქვამდა ახლა მისს ბროდის თვითონ.

ამ ბოლო სასწავლო წელსაც სენდი ისევ ისე ძველებურად დადიოდა ლო-



იღებთან. თან დიედრი ლოიდს მაღაზიებში დაჰყვებოდა და თავისთვისაც ისეთივე შინ ნაქსოვი ბლუზა იყიდა, მას რომ ჰქონდა. ყურადღებით ისწავდა ლოიდების საუბარს და თან გონებაში ნიშნებად და სიმბოლოებად ანაწილებდა მათ ფსიქიკას, როგორც ეს მაშინდელ ფსიქოლოგიაში გათვალისწინებული ახალგაზრდებს სჩვეოდათ, როცა ყურს უგდებდნენ ხოლმე უფროსების ლაპარაკს, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ამ მეცნიერებაზე.

იმ დღეებში კი, როცა როზი შიშველი იჯდა მხატვრის წინ, სახელოსნოში სენდი იჯდა და მშვიდად ადევნებდა თვალს შიშველი სხეულის გასაოცარ ფერისცვალებას მოლბერტზე, რომელიც როზისაც ჰგავდა და იმავე დროს მისს ბროდისაც. სენდის ძალიან უნდოდა მხატვრის სულს ჩაწვდომოდა, რომელიც ისე მოეჯადოებინა მისს ბროდის, რომ ეს ქალი სასაცილოდაც აღარ ეჩვენებოდა.

„შენი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ როზი სულ მალე ტედი ლოიდის საყვარელი გახდება“. სენდი მიხვდა, რომ მისს ბროდი დარწმუნებული იყო, რასაც ამბობდა. სენდიმ უთხრა, თუ როგორ საოცრად ჩამოჰგავდა მას ტედი ლოიდის ნახატები. მისს ბროდის უყვარდა ამის მოსმენა და ისიც ისევ და ისევ უყვებოდა. სენდიმ ისიც უთხრა, რომ ტედი ლოიდი მასწავლებლობას თავს ანებებდა და გამოფენისათვის ემზადებოდა, კრიტიკოსებიც მხარს უჭერდნენ, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან დიდი ოჯახის სარჩენად სახსრები არ ეყოფოდა.

— მე ვარ მისი მუზა, — თქვა მისს ბროდიმ, — მაგრამ მისი სიყვარული იმიტომ უარყვავი, რომ გაფურჩქვნის ხანაში გოგოებისთვის შემეწირა თავი. დიახ, მე ვარ მისი მუზა, მაგრამ როზიმ უნდა შემცვალოს მე.

— წინასწარმეტყველი ჰგონია თავი, — ფიქრობდა სენდი, თითქოს კალვინის ღმერთიც თვითონ იყოს და წინასწარ ჰვრეტდეს დასაწყისსაც და დასასრულსაც. სენდი იმასაც ფიქრობდა, ეს ქალი უბრალოდ ლესბიური<sup>54</sup> სიყვარულით არის შეპყრობილი და მეტი არაფერიო. ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოდან ბევრი თეორია მიუღებოდა მისს ბროდის, მაგრამ არც ერთს არ ძალუძდა ცალხელა ტედი ლოიდის სურათებიდან მისი სახის წაშლა.

სენდი მონაზვნად რომ აღიკვეცა, „ტომის“ გოგოები მონასტერში მიდიოდნენ ხოლმე მის სანახავად, რადგან რალაც საქმე ხომ უნდა გამოენახათ, თანაც სენდის ფსიქოლოგიაში ჰქონდა წიგნი დაწერილი; საერთოდ ყველას სიამოვნებს მონაზვნის ნახვა, რამეთუ რელიგიურ გრძნობას გიდვიძებს ადამიანს და თითქოს სულიერად განწმენდილი ბრუნდები შინ, მეტადრე თუ მონაზონი ცხაურის ბაღეს ჩასჭიდებია და ისე გელაპარაკება. ერთხელ როზიმაც ინახულა მონასტერში სენდი, კარგა ხანია ვიღაც საქმოსანს გაჰყოლოდა ცოლად, რომელიც ძალზე ბევრ საქმიანობას მოჰკიდებოდა — კონსერვების დამზადებით დაწყებული, რთული კომერციული ოპერაციებით დამთავრებული. მათ მისს ბროდიზე წამოიწყეს საუბარი.

— იგი ბევრს ლაპარაკობდა მოწოდებაზე, — თქვა როზიმ, — მაგრამ ისეთზე არა, შენ რომ ირჩიე. როგორ გგონია, ჩვენში ხომ არ ჰპოვა თავისი მოწოდება?

— რა თქმა უნდა, კი. — მიუგო სენდიმ.

— სკოლიდან რატომღა გააძევეს? — ჰკითხა როზიმ. — სექსის გულისათვის?

— არა, პოლიტიკის გამო.



— არ ვიცი, თუ პოლიტიკით იყო დაინტერესებული.

— ჰო, ისე სხვათა შორის აინტერესებდა, — მიუგო სენდიმ, მაგრამ სწორედ ეს გახდა მიზეზი.

მონიკა დუგლასმაც მოინახულა სენდი, რადგან დიდხანს იმყოფებოდა ვილაც სწავლულს გაჰყოლოდა ცოლად და ებრაელებისთვის ჟამს, ცეცხლმოდებული მუგუზალი სთხლიშა თურმე თავში მის დას, რისთვისაც ქმარმა განქორწინება მოსთხოვა.

— ასეთ რამეებში კარგად ვერ ვერკვევი, — მიუგო სენდიმ. მონიკას არც ჰქონია მისი იმედი, რადგან სენდის დიდი ხანია იცნობდა, დიდი ხნის ნაცნობები კი არასოდეს არ შეგაშველებენ ხელს, ამიტომაც მისს ბროდისზე დაიწყეს ლაპარაკი.

— ბოლოს და ბოლოს როზი თუ აიძულა ტედი ლოიდთან დაწოლიყო? — ჰკითხა მონიკამ.

— არა, — მიუგო სენდიმ.

— თვითონ თუ უყვარდა ტედი ლოიდი?

— კი, — უბასუხა სენდიმ, — იმასაც უყვარდა მისს ბროდი.

— მაშინ გამოდის, რომ მართლაც უარი უთქვამს ტედი ლოიდისთვის, — თქვა მონიკამ.

— ჰო, უთხრა, — მიუგო სენდიმ, — მაშინ მართლა გაფურჩქვნის ხანაში იყო.

— შენ კი, როცა ამბობდა, მისი სიყვარული უარყვავიო, ხუმრობა გეგონა, — უთხრა მონიკამ.

— შენც ასე გეგონა, — მიუგო სენდიმ.

ათას ცხრაას ოცდათვრამეტი წლის ზაფხულში, როგორც კი „ტომის“ დანარჩენმა გოგონებმა სკოლა დაამთავრეს, მისს ბროდი გერმანიასა და ავსტრიაში გაემგზავრა, სენდი კი ამ დროს ფსიქოლოგიას სწავლობდა და ლოიდთანაც დადიოდა სეანსებზე, რომელიც მის სურათს ხატავდა. ზოგჯერ როზიც შემოივლიდა ხოლმე სეანსებზე.

დიედრიმ ბავშვები სოფელში რომ წაიყვანა, ტედი ლოიდი ედინბურგში დარჩა, რადგან ზაფხულობით სამხატვრო სკოლაში ჰქონდა ვაკვეთილები. სენდი კვირაში ორჯერ დადიოდა სეანსებზე, როზიც ხანდახან შემოივლიდა ხოლმე.

ერთხელ, მარტონი რომ იყვნენ, სენდიმ ტედი ლოიდს უთხრა: ყველა სურათი, შენი უმცროსი შვილისაც კი მისს ბროდის ჩამოგავსო, და გამომწვევად შეხედა მხატვარს. ტედი ლოიდმა ისევ აკოცა სენდის, როგორც სამი წლის წინ, როცა იგი თხუთმეტი წლის იყო. თითქმის მთელი ორი თვე მარტონი იყვნენ ცარიელ სახლში და ერთმანეთის სიყვარულით და ალერსით იჯერეს გული. ხანდახან თუ გაუღებდნენ კარს როზის, უფრო მეტად კი ყურადღებას არ აქცევდნენ ზარის გამუდმებულ რეკვას.

მთელი ორი თვის განმავლობაში ტედი ცოტას მუშაობდა სურათზე. ერთხელ ასე უთხრა სენდიმ:

— ისე მხატავ, რომ თანდათან ჯინ ბროდის ვემსგავსები.

ტედი თავიდან შეუდგა ხატვას, მაგრამ იგივე განმეორდა.

— ვერ გამიგია, რითი მოგაჩადოვა ამ ქალმა ასე? — უთხრა სენდიმ, — ნუთუ ვერ ხედავ, რა სასაცილოა.



— ვიცი, რომ სასაცილოა, — მიუგო მან, — მაგრამ ხომ არ აჯობებდა ფსიქოანალიზისათვის თავი დაგენებებინა, რადგან თვრამეტი წლის გოგოს ზაინც-დამაინც არ შეჰფერის.

სექტემბრის დასაწყისში მისს ბროდიმ სენდის დაურეკა და დაელოდა მისი პასუხს. ის-ის იყო გერმანიიდან და ავსტრიიდან დაბრუნებული იყო, ახლა საუცხოო წესრიგი სუფევდა ომის შემდეგ, როცა ისინი სასტუმრო „ბრეიდ ჰილზში“ ისხდნენ, მისს ბროდი სენდის გამოუტყდა: „პიტლერი ცოტას აჭარბებდა“, მაგრამ ახლა, მოგზაურობიდან მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნებულს, სჯეროდა, რომ ახალი რეჟიმი მსოფლიოს ისხნიდა. სენდის მობეზრდა ამის მოსმენა, მისი აზრით, საჭირო არც იყო მსოფლიო მხოლოდ იმისთვის გადაერჩინათ დაღუპვისაგან, რომ ედინბურგის ლარიბ-ლატაკთ შემსუბუქებოდათ ცხოვრება. მისს ბროდიმ თქვა, ომი არ იქნება. სენდის საერთოდ არასოდეს უფიქრია ამაზე. ბოლოს მისს ბროდი საქმეზე გადავიდა.

— როზიმ მითხრა, ტედი ლოიდის საყვარელი გამხდარხარ.

— დიახ, სულერთი არ არის, მე ვიქნები თუ როზი?

— მაგრამ, რამ მოგიარა? — წმინდა შოტლანდიურად ჰკითხა მისს ბროდიმ, თითქოს სენდიმ ინგლისელ ჰერცოგს ერთი გირვანქა მარმალადი მუქთად მისცაო.

— მე ეს კაცი მაინტერესებს. — მიუგო სენდიმ.

— ღმერთო ჩემო, გაინტერესებს, რა ჰკვიანი, გამჭრიახი გოგო ხარ! ის ხომ კათოლიკეა, ვერ გამიგია, რა საერთო უნდა გქონდეს მამაკაცთან, ვისაც საკუთარი ჰკუა არა აქვს. აი, როზი უფრო გამოდგებოდა. მას ალლო აქვს, მაგრამ გამჭრიახობა აკლია.

ტედი ლოიდს თავის ნახატებში ისევ და ისევ ჯინ ბროდი გამოჰყავდა.

— შენ ალლო გაქვს, — უთხრა სენდიმ, — მაგრამ გამჭრიახობა გაკლია, თორემ იმასაც შეამჩნევდი, რომ ამ ქალს სერიოზულად არ შეიძლება კაცმა შეხედოს.

— ვიცი, რომ არ შეიძლება, — მიუგო მან, — მაგრამ შენ ასაკთან შედარებით დიდი ანალიტიკოსი ხარ და ძალზე ფხუკიანიც.

ტედი ლოიდის ოჯახი ედინბურგში დაბრუნდა და მათი შეხვედრები ახლა უკვე სახიფათო გახდა. რაც უფრო რწმუნდებოდა სენდი, რომ ტედის ჯერ კიდევ უყვარდა ჯინ ბროდი, მით უფრო აინტერესებდა იმ მამაკაცის ფსიქიკა, ასე რომ უყვარდა ეს ქალი. წლის ბოლოს გულიც აიყარა ტედი ლოიდზე, სამაგიეროდ ისე ღრმად ჩასწვდა მის ფსიქიკას, რომ ბევრ სხვა რამესთან ერთად იქიდან რელიგია გამოარჩია, როგორც კაცლის გულს გამოარჩევენ ნატუქიდან.

როგორც ცა მოიფინება ხოლმე ღამით ჩვენთვის ბილული და უხილავი სხეულებით, ისე სენდის გონებაც მთლიანად მოეცვა რელიგიაზე ფიქრს. მან თავი დაანება ტედი ლოიდს, მაგრამ მის რელიგიას გაჰყვა და სულ მალე მონაზვნადაც აღიკვეცა. იმ შემოდგომაზე კი, როცა ჯერ ისევ ფსიქიკას სწავლობდა, რომელიც აიძულებდა ყველა ახალ სურათში ჯინ ბროდი დაენახა, სენდი რამდენჯერმე შეხვდა მისს ბროდის. თავდაპირველად მისს ბროდი უბრალოდ შეურიგდა იმას, რომ სენდის ხატვის მასწავლებელთან სიახლოვე ჰქონდა, მერე თანდათან ისე მოვიდა ალტაცებაში, რომ სენდის დაუსრულებ-



ლივ თხოვდა, უფრო დაწვრილებით მიაბმე თქვენს ურთიერთობაზე, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეიტყო მისგან.

— მისი ნახატები ისევ მე მგვანან?

— დიახ, ძალიან, — მიუგო სენდიმ.

— მაშინ ყველაფერი რიგზეა, — თქვა მისს ბროდისმა, — თქვენი მისი ბროდისმა თქვენი, სენდი, და დაბადებიდანვე გეწერა ტედი ლოიდის საყვარლობა, თუმცა ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი ამას. გამოგიტყდები და, როზი მინდოდა მისი საყვარელი გამხდარიყო, ზოგჯერ ვნანობდი, მთლად ნორჩი ჯოის ემილი რომ შევავლიანე ესპანეთში წასასვლელად, რათა ფრანკოსთვის შეეწირა თავი. მართლაც შედგამოჭრილი იყო ტედი ლოიდისთვის, ალლოიანი გოგო იყო და...

— ჯოის ემილი ესპანეთში წავიდა, რომ ფრანკოსთვის შეეწირა თავი? — ჰკითხა სენდიმ.

— ყოველ შემთხვევაში ასე იყო განზრახული. ვაიძულე, რომ უფრო ხალად შეეხედა ამბებისთვის. საწყალმა გოგომ ბროდლაში ჩაბმაც ვერ მოასწრო.

შემოდგომაზე, როცა სენდიმ ჩვეულებრივ მოინახულა მისს მაკკეი, სკოლის დირექტორმა, ამ უჩვეულოდ ჭრუტათვალეებიან ძნელად აღსაზრდელ გოგოს რომ შეხედა, უთხრა:

— იმედი მაქვს, ზოგჯერ ნახულობ ხოლმე მისს ბროდის. შენ ხომ ძველ მეგობრებს არ ივიწყებ.

— ერთი-ორჯერ ვნახე, — მიუგო სენდიმ.

— ვშიშობ, რომ ათასნაირი იდეებით გამოგიტენათ თავი, — თქვა მისს მაკკეიმ, რომელიც ეშმაკურად უბაჭუნებდა თვალს სენდის, რათა მიეხვედრებინა, ახლა, როცა სკოლა დაამთავრე, შეგიძლია დაუფარავად მომიყვე ყველაფერი მისს ბროდისზე.

— დიახ, ათასნაირი იდეით, გვითენიდა თავს, — მიუგო სენდიმ.

— მაინტერესებს, მაინც რას გეუბნებოდათ? — გულწრფელი შეშფოთებით იკითხა მისს მაკკეიმ. — იმიტომ, რომ ისევ თავისას განაგრძობს. მე მინდა ვთქვა, ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება-მეთქი. ახლაც თავიდან შექმნა „ტომი“ და ბროდის გოგოები საოცრად განსხვავდება სკოლის სხვა მოსწავლეებისაგან. თავიანთ ასაკთან შედარებით საკმაოდ გათვითცნობიერებულნიც არიან. მიმიხვდით, რას ვამბობ?

— დიახ, — მიუგო სენდიმ, — მაგრამ უზნეო საქციელში ვერ გამოიჭერთ. მის პოლიტიკურ შეხედულებებისთვის ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება?

მისს მაკკეიმ ახლა სენდისთან ახლოს მისწია სავარძელი, საუბარი უფრო საქმიან იერს იღებდა.

— რისი თქმა გინდა, ჩემო კარგო? არ ვიცოდი, მისს ბროდის ასე თუ აინტერესებდა პოლიტიკა.

— არც აინტერესებს, ოღონდაც პირწავარდნილი ფაშისტია. ამაზე თუ გიფიქრიათ როდისმე?

— შენ თუ ამას მირჩევ, სენდი, მაშინ მის მოსწავლეებს დავკითხავ და იმასაც ვნახავ, რას იტყვიან. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასე სერიოზულად ვაინტერესებდა საერთაშორისო საკითხები, სენდი. ძალიან მიხარია, რომ...



— სრულებით არ მალეღვებს საერთაშორისო საკითხები, — მიუგო სენდიმ, — მე ძბოლოდ ის მაინტერესებს, რომ მოვაცილოთ აქაურობას მისს ბროდი.

აშკარა იყო, რომ სკოლის დირექტორს არ ესიამოვნა სენდის ნათქვამი, მაგრამ დრო იხელთა თუ არა, ასე უთხრა მისს ბროდის: „თქვენმა მოსწავლემ მითხრა ეს ამბავი, მისს ბროდი“.

წლის დამლევს სენდი ედინბურგიდან უნდა გამგზავრებულიყო და როცა გამოსამშვიდობებლად ლოიდებთან შეიარა, სახელოსნოში თვალი შეავლო ტილოებს, საიდანაც ვერა და ვერ შეძლო წაეშალა მისს ბროდის სახე. სენდი აღფრთოვანებული იყო ტედი ლოიდის ხერხის ეკონომიურობით და მიულოცა კიდეც მას; თავის მხრივ ტედიმაც მიულოცა სენდის, რომ ასე ეკონომიურად იყენებდა თავის ხერხს, დიედრი კი გაოგნებული მიშტერებოდა ამ დროს ქმარს, რადგან ვერ მიმხვდარიყო, რისი თქმა უნდოდა. ის რომ იცოდეს, მისს ბროდი მე დავაბეზღე, — გაიფიქრა სენდიმ, — მაშინვე მიხვდებოდა, ჩემი ხერხი რომ უფრო ეკონომიურია, — ახლა იგი ქრისტიანული ზნეობის უფრო თავგამოდებული მიმდევარი გახლდათ, ვინემ თავად ჯონ ნოქსი.

მისს ბროდი ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წლის ზაფხულში, მეოთხედის ბოლოს დაითხოვეს იმის საფუძველზე, რომ ფაშიზმს ქადაგებდა სკოლაში. ეს რომ სენდიმ შეიტყო, მაშინვე შავხალათიანთა რაზმი მოაგონდა, მწყობრად რომ მიაბიჯებდნენ მათი საკლასო ოთახის კედლებზე გაკრულ ფოტოსურათებზე. ამ დროს სენდი უკვე კათოლიკური ეკლესიის მონაზონი იყო და იქაც მრავლად აღმოაჩინა ისეთები, რომლებიც მისს ბროდიზე ნაკლები ფაშისტები არ ბრძანდებოდნენ.

„რა თქმა უნდა“, — წერდა მისს ბროდი სენდის წერილში, რომელშიც სკოლიდან თავისი განთავისუფლების ამბავს აუწყებდა, — „ჩემი პოლიტიკური შეხედულებები მხოლოდ მიზეზი იყო და მეტი არაფერი. ბევრჯერ სცადეს დაემტკიცებინათ, რომ უზნეო პიროვნება ვიყავი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ჩემი გოგოები ყოველთვის თავშეკავებულად იქცეოდნენ. სინამდვილეში სკოლის დირექციას ჩემი საგანმანათლებლო მოღვაწეობა არ მოსდიოდა თვალში, რომელიც გაფურჩქვნის ხანაში კიდეც უფრო სრულყოფილი გახდა. როგორც იცო, მთელი ჩემი არსებით გოგოებს ვეკუთვნოდი. ჩემი პოლიტიკური შეხედულებები კი სკოლის დირექციამ ჩემ წინააღმდეგ გამოიყენა. ყველაზე მეტად ის მტანჯავს და მაოცებს, თუ მისს მაკკეის დაეჯერება, რომ „ტომის“ ერთ-ერთმა გოგომ გამცა, რომლის გამოსობითაც დაიწყო გამოძიება.“

ვიცი, გაოცებული დარჩები. შემძლია გულახდილად მოგწერო ამაზე, რადგან მხოლოდ შენზე არ მიმიტანია ეჭვი. შენ ხომ არავითარი მიზეზი არ გქონდა ჩემი გაცემისათვის. უპირველესად მერი მაკგრეგორზე ვეჭვობ. იქნებ ნაწყენიც კია ჩემზე, ხომ იცი, რა გულისგამწყალებელი ვინმეა. თუმცა შესაძლოა როზიმ ჩაიდინა ეს ამბავი. იქნებ ის აღიზიანებდა, მისტერ ლოიდი ყველაზე მეტად მე რომ მცემდა პატივს. იუნისი — ვერაფრით ვერ წარმომიდგენია, რომ მას შეეძლო ასეთი რამ მოემოქმედა. თუმცა ხშირად კი ეეწინააღმდეგებოდი მის მეშჩანურ შეხედულებებს. სკაუტთა რიგებში უნდოდა ჩაწერილიყო, გახსოვს? მოსწონდა კიდეც, მთელ გუნდს რომ გულშემატკივრობდა და „მხარის“ სულისკვეთებით განიმსჭვალა. იქნებ ღვარძლიანი გახდა



ჩემ მიმართ? რაც შეეხება ჩენის, შენ ხომ იცი, როგორ დაივიწყა ყველა და ყველაფერი ამქვეყნად, როგორ გამოიცვალა მას შემდეგ, რაც მონასტრობა გადაწყვიტა. ძალზე მოსაწყენი შეიქნა. როგორ გგონია, იმაზე ხომ არ გამინაწყენდებოდა, შენგან ახალი ფეი კობტონი და მით უმეტეს, მთელი ტორნ-დაიკი არასოდეს გამოვა-მეთქი, რომ ვუთხარი? ბოლოს მონასტრის მონაღი-ბრა. ცოტათი მასზეც ვეჭვობ. მათემატიკური გონების იქით ხომ უსულგულო ადამიანი დგას და ერთხელაც, ალბათ გაბრაზებული ცოფებს რომ ჰყრიდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა კი მშვენიერებაზე, ჭეშმარიტებაზე და სიკეთეზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, რომლის არსსაც ვერა და ვერ ჩაწვდებოდა, სწორედ მაშინ განმიდგა და მიღალატა.

სენდი, როგორც ხედავ, შენზე არა მაქვს ეჭვი, რადგან არავითარი მიზეზი არ გქონდა ჩემს გასაცემად, მარტო შენ გაგანდე ჩემი ფიქრები და იმ მამაკაცის ვინაობა, მე რომ მიყვარს. კარგად დაფიქრდი, იქნებ მიხვდე, ვის შეეძლო ჩემი გაცემა. მე უნდა ვიცოდე, რომელმა თქვენთაგანმა მიღალატა...”

სენდის წერილი რაღაც გამოუცნობი და იღუმალებით მოცული იყო, რომის პაპის პასუხივით: „თუ თქვენ თვითონ არ გაგვეცით, მაშინ შეუძლებელია ჩვენ გაგვეცეთ. სიტყვა „გაცემა“ აქ არ ესადაგება...”

მისს ბროდისაგან სენდიმ კიდევ ერთი წერილი მიიღო მერი მაკგრეგორის სიკვდილის შემდეგ, აღმოდებული ოტელის დერეფანში გამწარებული რომ დარბოდა ერთი თავიდან მეორეში, სანამ ცეცხლი წაეკიდებოდა.

„თუ ჩემი ლალატისათვის მოუვლინა განგებამ საცოდავ მერის ასეთი სატანჯველი, მე ხომ ვიცი, ასეთ საშინელებას არასოდეს არ ვისურვებდი...”

„მე ასე გგონია,—წერდა ჩენი, — რომ მისს ბროდის გაფურჩქვნის ხანამ ჩაილურის წყალი დალია უკვე. ძალიან მოწადინებულია გაიგოს, ვინ გასცა. სრულებით არა ჰგავს იმ მისს ბროდის, ჩვენ რომ მუდამ საბრძოლველად შემართული გვახსოვს“.

მისს ბროდის სიკვდილის შემდეგ ყველა მასზე ლაპარაკობდა მთელი ზაფხული, ზამთარში კი თანდათანობით მიწყდა მისი ხსენება. „ტომის“ გოგონები ზაფხულობით მოინახულობდნენ ხოლმე სენდის, რამეთუ მონასტერი დიდ, ხმაურიან ქალაქებს საკმაოდ მოცილებული იყო.

ერთხელ, როცა ფერისცვალების მონასტერში ჩენიმ სენდი მოინახულა, რომელსაც აქ დაო ელენს ეძახდნენ, უთხრა: იტალიაში მოულოდნელად ერთი კაცი შემიყვარდა, მაგრამ ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვაო.

— ალბათ მისს ბროდი სიამოვნებით მოისმენდა ამას,— თქვა ჩენიმ,— თვითონაც ხომ ცოდვილი იყო...

— თავისებურად მაინც უცოდველი იყო, — მიუგო სენდიმ, რომელსაც ცხაურისთვის ჩაევილო ხელი.

იუნისმა, როცა სენდისთან ჩამოვიდა, ასე უთხრა:

— შარშან ედინბურგის ფესტივალზე ვიყავით. მისს ბროდის საფლავი მოვძებნე და ყვავილები დავტოვე იქ. მერე მისი ამბავი ჩემს ქმარს მოვუყევი, თელის ძირში რომ იჯდა, ისიც და საერთოდ ყველაფერი ვუამბე. დიდი სასაცილო ვინმე ყოფილაო, ასე მითხრა.

— ჰო, რომ დაუფიქრდე, მართლაც ასე იყო.

— ჰო, ასეთი იყო. — თქვა იუნისმა, — თავის გაფურჩქვნის ხანაში. მონიკა კიდევ ერთხელ ჩამოვიდა სენდის სანახავად.



— სიკვდილის წინ, — უთხრა მან, — ასე ეგონა, რომ შენ გაეცო იგე.  
— გაცემა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ამას მოვალეობა მოითხოვს,  
— მიუგო სენდიმ.

— როგორ, ჩვენ მოვალე არ ვიყავით, მისი ერთგულნი ვყავით?

— მხოლოდ გარკვეულ დრომდე, — უბასუხა სენდიმ.

მერე დადგა ის დღეც, როცა სენდი ერთმა ახალგაზრდა, ცნობისმოყვარე კაცმა ინახულა, რომელიც მისი ძალზე უცნაური წიგნით დაინტერესებულიყო, ფსიქოლოგიაში რომ ჰქონდა დაწერილი, წიგნს „ბანალურის გარდაქმნა“ ერქვა და იმდენი მნახველი მიიზიდა მონასტერში, რომ სენდი უფრო და უფრო მეტი სასოწარკვეთილებით ებლაუჭებოდა ცხაურს.

— დაო ელენ, სკოლაში სწავლის დროს რამ იქონია თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა? ლიტერატურამ, პოლიტიკამ თუ პირადმა ინტერესებმა? იქნებ კალვინიზმმა?

— არა, — მიუგო სენდიმ, — ეს იყო ჯინ ბროდი გაფურჩქვნის ხანაში.

<sup>21</sup> მერი სტოუპსი (1880-1958) — ინგლისელი მწერალი ქალი, ფემინისტი, სპეციალობით პალეობოტანიკოსი იყო. შობადობაზე კონტროლის დაწესებას მოითხოვდა. (ფემინისტი — ფემინიზმის მიმდევარი, ფემინიზმი — ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობა, რომლის მიზანია ქალების უფლებრივი გათანასწორება მამაკაცებთან).

<sup>22</sup> დევიდ ჰიუმი (1711-1776) — ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი.

<sup>23</sup> ჯეიმზ ბოსუელი (1740-1795) — შოტლანდიელი იურისტი და მწერალი.

<sup>24</sup> ჯოვანი ჩიმაბუე — (1240—1302) ფლორენციელი მხატვარი.

<sup>25</sup> ალან ალექსანდრ მილნი (1882-1956) — ინგლისელი მწერალი.

<sup>26</sup> primavera — (იტალ.) გაზაფხული.

<sup>27</sup> ჯეიმს რამსეი მაკდონალდი (1886-1937) — ინგლისელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ლეიბორისტი, 1924 წელს და შემდეგ 1929 წლებში ეკავა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი.

<sup>28</sup> დანტე გაბრიელ როსეთი (1828-1882) — ინგლისელი პოეტი და მხატვარი, პრერაფაელიზმის სკოლის დამაარსებელი.

<sup>29</sup> ჩარლზ სუინბერნი (1837-1909) — ინგლისელი პოეტი.

<sup>30</sup> gaut — (ინგლ.) გამზდარი, გაქნაჭული, გამწლელი.

<sup>31</sup> „მარშიონი“ — ვალტერ სკოტის პოემა.

<sup>32</sup> კონფირმაცია — პროტესტანტებში: ეკლესიის მრევლის წევრებად ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების მიღების წესი.

<sup>33</sup> ბაზრობის დღე დგება ჩქარა,

იქ წაგვიყვანს ჯორი,

პეი, ჯორო, სწრაფად, სწრაფად

გავვაქცივ ჩორთით.

<sup>34</sup> არტურ სიტი ანუ არტურის სამეფო ტახტი — ასე უწოდებენ შუა ედინბურგში აღმართულ ბაზალტის კლდეს.

<sup>35</sup> mensarum (ლათ.) — მაგიდა.

<sup>36</sup> ედინბურგისა და მისი გარეუბნების ოთხი უძველესი სააბატოს სახელები.

<sup>37</sup> ფლორენა ნაითინგილი (1820-1910) — ცნობილი ინგლისელი მოწყალებისა და.

<sup>38</sup> ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) — ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი.

<sup>39</sup> სამუელ პიპსი (1633-1703) — ცნობილი ინგლისელი მემუარისტი, რომელმაც თავისი დღიურებით გაითქვა სახელი.

<sup>40</sup> უილი ბროდი ანუ დიკვანი ბროდი — რეალურად არსებული პიროვნება.

<sup>41</sup> ნორმა შერერი (დაიბ. 1904) — ინგლისელი კინომსახიობი.



42 ელიზაბეტ ბერგერი (დაიბ. 1888 წ.) — ცნობილი ავსტრიელი კინოსა და თეატრის მსახიობი. 1933 წ. გაიქცა საცხოვრებლად ინგლისში.

43 ფსალმუნი 99,2

44 ფსალმუნი 99,4.

45 ტომას კარლეილი (1795-1881) — შოტლანდიელი ესეისტი და ისტორიკოსი.

46 1935 წ. ინგლისში იზეიმეს მეფე გეორგ V-ის მმართველობის 25 წლისთავი. წითელი, ცისფერი და თეთრი — ინგლისის დროშის ფერებია.

47 ბუნკერი — ქვიშით სპეციალურად ამოვსებული ორმო; როცა გოლფის მოთამაშე ნიშაში ბურთს ვერ ჩააგდებს, იგი ისჯება და ამ ორმოდან ისერის ბურთი.

48 დრაგომანი (არაბ.) — თარჯიმანი საელჩოებსა და საკონსულოებში. უპირატესად აღმოსავლეთ ქვეყნებში.

49 ფაბიანელთა ორგანიზაცია — ინგლისის ბურჟუაზიულ-რეფორმაციული ორგანიზაცია, რომელიც 1884 წ.-ს შეიქმნა.

50 პაციფიზმი — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც ილაშქრებს ყოველგვარი ომების, მათ შორის სამართლიანი ომების წინააღმდეგაც. პაციფისტი — პაციფიზმის მომხრე.

51 ილინგი — ლონდონის გარეუბანი

52 მორნინგსაიდი და მერჩისტონი — ედინბურგის რაიონები, სადაც საშუალო შეძლების ხალხი ცხოვრობს.

53 მატრონა — ძველად რომში საპატიო ქალი, ოჯახის დედა.

54 ლესბიური სიყვარული — ქალის არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა ქალისადმი, ძველი საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის სახელის მიხედვით.

55 ფეი კოპტონი (დაიბ. 1894 წ.) — კინოს, თეატრისა და ტელევიზიის ცნობილი ინგლისელი მსახიობი.





მე თქვენ მიყვარდით, სიყვარული ჯერ კიდევ იქნებ  
მთლად არ გამქრალა და ჩემს გულში ბინადრობს ისევ,  
მაგრამ ამაზე ნუ იდარდებთ, თქვენს ნათელ ფიქრებს  
მე ხელმეორედ მწუხარების არ მივცემ მიზეზს.

მე თქვენ მიყვარდით უნუგეშოდ, ფარულად, უხმოდ,  
ხან უძლურებით და ხან იჭვით ვიყავი სავსე,  
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად და ისე უღვთოდ,  
რომ მაღლა ღმერთს ვთხოვ, ნეტა სხვასაც უყვარდეთ ასე.

თარგმნა მისხილ ავლივიკა

წევს საქართველოს მთა-გორებზე ღამის წკვარამი,  
შუოთავს არაგვი დამხშობი სმენის.  
შვებას მგვრის დარდი. ნათელია ჩემი ვარამი,  
ჩემი ვარამი სავსეა შენით,  
ისევ შენით და ისევ შენით... სევდა ფარული  
გულში სხვა რამით არ ჩნდება მართლაც,  
და გული იწვის, იდაგება კვლავ სიყვარულით,  
რომ არ უყვარდეს, არ ძალუძს რადგან.

თარგმნა ბათუ დანელია

### მე მახსოვს წამი უნეტარესი

მე მახსოვს წამი უნეტარესი,  
როცა განცხადდი არმიწიერი —  
გენია წმინდა მშვენიერების  
და უხორცოთა არსთა იერი.

გავიდა ხანი, მოარულს ობლად  
შემომეძარცვა ოცნების ფრთენი,  
გადამავიწყდა შენი ტკბილი ხმა  
და ღვთაებრივი ხატებაც შენი.

დროის ქარბუქმა არც მე დამინდო,  
მიუსაფრობით სულის ძლეულის  
ნუგეშად მიჩნდა ხატება შენი  
და სიყვარული სიზმარეული.

და დღენი ჩემნი უკუნის წიაღ,  
ვით ტყვეობაში, ვიდოდნენ ზანტად,  
ცრემლი გამიშრა, დავკარგე ღმერთი,  
უშთაგონებოდ ვითვლიდი ზამთარს.



მაგრამ ანაზღად კვლავ მომეახლა  
როგორც ზენაარ არსთა იერი —  
ფერშეუმკრთალი ხატება შენი,  
მშვენიერება არმიწიერი.

და აღსდგა მკვდრეთით დაფლული  
ცერპი,  
ნაზამთრალ გულსაც დასცდა წყარუნი,  
ისევ ამალლებს სუტს მშთაფონება,  
ისევ მწვავს ცრემლს ღმამს მსესხებული.

თარგმნა ლია ყიფიანაძე

შენ, შემთხვევითო, ამოიხვედრო,  
სიცოცხლე, შენს თავს რისთვის მაჩვევდი,  
თუ მაინც გელის იღუმალ ბედის  
გარდაუვალი მკაცრი სასჯელი.

ვინღა აღმაგო მტრული ბრძანებით  
არარაობის მტვრიდან, ფერფლიდან.  
სული და ხორცი მექცა წვალებად,  
გონება ეჭვით გადამებინდა.

ვერ ვხედავ მიზანს, ვერც გზას მომავლის,  
ჩვენთან, ცოცხლების ამ ჭრელ მხარეში...  
და წუთისოფლის ერთფეროვანი  
ფუჭი ხმაური მავსებს კაეშნით.

თარგმნა ვახტანგ ხარჩილაძე

შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ,  
შენ დამიფარე მწირი, მწუხარი...  
მწუხარების დროს ხარ ნაჩუქარი —  
შენ მიხსენ, ბედი თუ განმირისხდა.  
როს ოკეანე გზას დამინისლავს,  
როს ტალღებს ირგვლივ გოროზად  
შეჰყრის,  
როს დამატყდება ცა მეხთატეხით,  
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.  
გულს უცხო მხარეს შვება ვინ მისცა?  
მრავალჯერ მნახავ დარდით  
შებურვილს..

ფიცხელ ბრძოლებშიც გადაშვებული,  
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ...

თუ სიყვარული — სხივი დილისა,  
ეს ჯადოსნური სანთელი სულის —  
ჩაქრეს, თუ ვიქნე ბედისგან კრული,  
შენ დამიფარე,  
ჩემო თილისმავ.

დე, მარადიულ გულისტკივილსაც  
მოგონებები აღარ დაღავდეს...  
თუ სასო წარხდეს და დღე დაღამდეს —  
შენ დამიფარე,  
ჩემო თილისმავ.

თარგმნა თაღო გუჩუშვილი





თარგმან რუსუდან ქავთლაძემ

### ნაწილი მეორე

მისი გამოჩენის უმაღლესი პირველი სიტყვა იყო — აღნაგი, და ხე-  
დავდი უმაღლეს — ტანს აღნაგს: გადმობრუნებულ სამკუთხედს,  
სადაც ყველაფერი მხრებს წაეღო, წელს არაფერი დარჩენოდა.

პირველი შთაბეჭდილება სახისაგან იყო — ასო T, თითქმის მთლიანი ჯვა-  
რი: ღარი, წარბების გადამკვეთი გარდიგარდმოდ, გაგრძელებული ცხვირის  
სწორი ხაზით.

მაგრამ აქ — უკვე უნდა შევჩერდე, ვინაიდან სხვა დანარჩენი თვალისათ-  
ვის იყო — მეორე მნიშვნელობის.

ხმა სიღრმიდან ამოსული, სიღრმისეული, და ამიტომაც სიღრმეში მწვდო-  
მი, კიდევ — ღრმა და გულში ჩამწვდომი.

ოღონდ — არა მჟღერი. არა საკრავის მინამგვანი, არამედ პირწმინდად  
ადამიანური, მისი ადამიანურობისა და მყესების შესაბამისი.

თავით ფეხამდე: *voilà un homme!*<sup>1</sup>

მის ასაკს — ის ხომ ჯერ სულ ყმაწვილი იყო, მაინც ეს *homme* სძლედა,  
*homme* ჯაბნიდა. მხოლოდ მერედა ხვდებოდა ხალხი, თუ რაოდენ  
ყმაწვილი და მეტისმეტად ყმაწვილიც იყო. მის შემხედვარეს კონსულს —  
ყმაწვილად თუ შეცვლიდი, იმპერატორს კი — კაცად, ვაჟკაცად, თვალწინ  
ცოცხლად გებადებოდა Hugo-ს ორი ტაეპი:

*Et du Premier consul déjà en maint endroit,*

*La front de L'Empereur persait le masque Tétroit<sup>2</sup>*

ეს ვაჟკაცობა მისი ბუნების ჩვენ თვალწინ ყველგან და ყველაფერში  
ზომიერად ჩნდებოდა ხოლმე.

ამ ყმაწვილს თვისი მომავალი ეწერა პირზე.

ამ ვალოდიაზე მთელი წელია რაც მესმოდა ყოველ ჯერზე პავლიკისა-  
გან — უცხოელები დამატებით — გასაოცარი: „სტუდიაში ერთი გასაო-  
ცარი ვილაცა გვყავს — ვალოდია“. მაგრამ ეს მეგობარი ჩემთვის ამჯერად არ  
მოუგვრია.

პირველად ვნახე — 1918/19 წლის ზამთრის ყინვების მიწურულში, ერთ  
თავმოახალგაზრდავო და თავმხიარულ ბანოვანთან, ფეხს რომ ხელივით მალ-

<sup>1</sup> დისაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1.

<sup>2</sup> ესე არს კაცი (ფრანგ.)

<sup>3</sup> მაგრამ ნილაბქვეშ პირველ კონსულის ჩნდებოდა უკვე იმპერატორი. (ფრანგ.)



ლა იქნევდა და ამ ფეხ-ხელით ხელოვნებას ესაღმებოდა — ყველანაირ ხელოვნებას, და მეც მათ შორის. ასეთი ბანოვანები, რომელთა აზრით, ხელოვნების დასასრულიც ძველი სამყაროს დასასრულს თანხვდა, რევოლუციის ხანს ბლომად იყვნენ. რევოლუციის დასაწყისში. ცხრამეტ წელს ყველა ისინი გაემგზავრნენ.

პირველი სიტყვა ამ სიღრმისეული, ამ ღრმა ხმისა:

— მეფეები არა მარტო ტრადიციებს მორჩილებენ — თვითონვე ქმნიან ტრადიციებს.

პირველი სიტყვა — ჩემდამი, საღამოს ბოლოს, სადაც ერთმანეთისთვის სიტყვა არ გვითქვამს (იჭდა და ბანქოს თამაშს დასცქეროდა, მე — იქით არც გამიხედავს):

— ყორე ზანდს მაგონებთ — იმასაც შეილება ჰყავდა — და ისიც წერდა — ცხოვრება მასაც უჭირდა — მაიორკაზე, როცა ლუმლები არ ენთო ხოლმე.

მაშინვე მოვიპატივე. მეორე დღესვე დილით მომადგა — წავედით საბეტიალოდ. მშიერი იყო, გავიყავით და ქუჩაში ერთად შევქამეთ ჩემი წილი პურის ულუფა.

მერე მითხრა:

— თავიდანვე ყველაფერი მომეწონა, მაშინვე რომ მომიპატივეთ, თუმც არ მიცნობდით. თვითონვე რომ მითხარი, ხვალე მოდიოთ. ქალები ასე არ იქცევიან: მუდამ — ზეგისთვის დაგიბარებენ, თითქოს ხვალ არასოდეს არა სცალიათ, ისიც, შინ რომ არ დაერჩენილვართ. ისიც, რომ პური შუაზე გაყავით და თვითონაც ჭამეთ. ისე ვიგრძენი, რომ ეს იყო რიტუალი, წესის დაცვა და აღსრულება.

კიდევ უფრო მოგვიანებით:

— მაშინ, ზოია ბორისოვნასთან, პოლონელ ქალს მიგამსგავსეთ, პოლონელ პანის. გეცვათ, — უმწეოდ, — ქურთუკი თუ რა? მტრედისფერი ხავერდისა, ბეწვმოვლებული, იქნებ კუნტუში? თავი — ოღნავ გადაწეული. მზერა — ოღნავ ზემოდან. უმაღ ვიგრძენი, პოლონური სისხლი რომ გქონდათ.

იწყო სიარული, მერე და მერე უფრო ხშირ-ხშირად — კვირაში ორჯერ, წარმოდგენის გათავების, ანუ თორმეტის შემდეგ. ეისხედით მოწითალო დივნის თავსა და ბოლოს. ის — უფრო ღრმა კუთხეში, მე — ქეშად, მის პატარა გარე კიდეზე. ვსაუბრობდით გრძელი დიაგონალით, ანუ ერთმანეთისგან ყველაზე უშორესი გზით.

თმა შავი ჰქონდა. ნაცრისფერ დიდრონ თვალებს წამწამები უფრო მუქად აჩენდა. სახე სწორი, ნაკვეთი ყოველგვარი კლავნის გარეშე, თითქოს საჭრისით გამოკვეთილი. სახე ისევე სწორი, როგორც ტანი. *La tête de son corps.*<sup>1</sup> სხვა არაფერი. თითქოსდა სახეც მისი — ტანის ერთ-ერთი ნაწილი იყო. (ერთადერთი არა სწორი — თმა, „გვერდზე“ გაყოფილი, რა თქმა უნდა, სწორზე სწორი.)

გარეგნულად და შინაგანად — სწორი იყო და პირდაპირი — ხმით, მოძრაობით, შემოხედვით, ხელის ჩამორთმევით, ყოველივე — ერთაზროვანი და ორ წერტილს შუა — მასა და სამყაროს შუა — უმოკლეს ხაზით.

<sup>1</sup> უბრალოდ — თავი (ფრანგ.).



პირდაპირი — ანუ მტკიცე კიდეც — შეუდრეკელი, სრულ გულლიანობასთან ერთად — შეუღწეველი, განა შინაგანი გამოუცნობლობის, იდუმალების მიზეზის გამო, არამედ იმ მასალის გამოისობით, რისგანაც იქმნა ასეთი ხელს ვერ შეახებ. — ხელის გარდა ვერას მისწვდები, ვერაფერს ვერ შეეხები — ამიტომ ტყუილად ნურც ეცდები — ვით ქანდაკებას ხელშეწყობს უძიწვდომს, მაგრამ — მაინც შეუღწეველს, ზენარგაგებით — საგანს — უჩინარს.

მოკლედ, ყველაზე შორი იმისაგან, რასაც პორტრეტი ეწოდება და რაც არაპლასტიკურობის მიუხედეად ან იქნებ სულაც ამის წყალობით უადვილესი მისაწვდომია, რამეთუ პორტრეტს სურვილისამებრ შეგიძლია ჩარჩოს შიგნით ერთი ვერსის სიღრმეზე ჩასწვდე ან გარედან მისი არსებობის მთელი საუკუნეები განსჭვრიტო კაცმა. აქ კი სრულიად საწინააღმდეგო რამ პორტრეტისა, ანუ — ქანდაკება, თავისი უკიდურესი მოვლინებით თუ გამოვლინებით თვალს რომ ზღვარს უსვამს ზედაპირის ყველა წერტილით.

— (ნუთუ ეს ყველაფერი მე ვარ, მარინა ივანოვნა? — დიახ, ეს ყველაფერი თქვენ ხართ, ვალოდეჩკა. მაგრამ წყენა ნადრევია — ცოტა დაიცათ).

(როგორც შემდგომ გაირკვა, შთაბეჭდილება ქანდაკებისა თურმე შეცდომა იყო, მაგრამ ეს შემდგომ გაირკვა, მე კი მთელი წელიწადნახევარი ამ შეცდომით ვსაზრდოობდი. მთელი წელიწადნახევარი ამ შეცდომაზე ვაგე, ვაგე და ავაგე კიდეც.)

მყის მეგობარი გახდა. ერთადერთი მეგობარი — ბურჯი, საყრდენი...

1918-19 წლების მოსკოვში მე — სულით ვაეკაცს, სულით პირდაპირს და ფოლადისას, სულის მოზიარე არავინ მყავდა. 1918-19 წლების მოსკოვში ჩემი წრის ყმაწვილკაცთაგან — მართალს თუ ვიტყვი — სალახანები დარჩნენ მხოლოდ. სტუდიელები, ომისგან რომ ახალგაზრდობა სტუდიებსა... და ნიჭთა შორის საფარს ეძებდნენ, ან წითელი ახალგაზრდობა, ბრძოლასა და ბრძოლას შუა ჩამოსულები, ალბათ დიახაც კარგი, მაგრამ ვისთან მეგობრობა მე არ შემეძლო, რამეთუ მეგობრობა მძლეველსა და ძლეულს შორის არ შეიძლება.

ვალოდიასთან ვიოხებდი ჩემი სულის ვაეკაცურ ნაწილს.

უმალ ვალოდეჩკად მოვნათლე იგი დიდზე დიდი მადლიერების გამოისობით, ვინაიდან არც თვით მეტრფოდა და არც მე ვეტრფოდი, ვინაიდან ყველაფერი ასე კარგად, ასე სანდოდ და იმედნეულად ეწყობოდა.

იგი — მარინა ივანოვნას მეძახდა მუდამ, (გარეშე მამის სახელისა) არასოდეს არ მოუმართავს, ასე ამგვარად ვეთხოვებოდით ზოლმე ერთმანეთს. და ამითაც მადლიერების გრძნობით მავსებდა, ვინაიდან მარინას მაშინ ვინ არ მეძახდა! მარინა ივანოვნას კი — არავინ! ამ მომართვით სხვებს ერთბაშად ემიჯნებოდა და მისებურად — მისაკუთრებდა.

საუბარი რაზე გვქონდა? ვარსკვლავებზე: სადღაც სტუმრად ვიყავით და რომ დავბრუნდით, ჩემს შესახვევში ერთი საათი ვიდექით თითქმის მუხლებამდე თოვლში ჩაფლულნი. მახსოვს, თანდათან როგორ მაღლა და მაღლა ასწია ხელი, მახსოვს სახელი ფლამარიონი — თვალები ფლამარიონის, მხოლოდ იმიტომ მოჩერებულნი, ჩემი თვალებიც ვარსკვლავებისკენ აღპყრობილიყვნენ. თოვლის ნამქერი კი მაღლდებოდა და მაღლდებოდა, თუმც ქარბუქი არ იყო მაშინ, იყო მხოლოდ ვარსკვლავები, ან იქნებ თვითონ ვეფლო-



ბოდიშით თანდათან თოვლში, რაკი ასე დიდხანს ვიდევით? — ერთი საათი ასე დგომა — და ყინულის სახლში მოვექცეოდით...

კიდევ რაზე? ჟანა დ'არკზე — მის სასწაულმოვლინებაზე — ნათლუონზე. როცა წმინდა ელენეს კუნძულზე იყო — ჯექ ლონდონზე, ვინც მაშინ ყველა მწერალზე უფრო უყვარდა — თეატრზე კი არასოდეს ვიქნებოდით.

და — არც ლექსებზე. ლექსები მისთვის თავის დღეში არ იყვნენ. თავის დღეში არ მიმიძღვნია. ის, რაც ჩვენ შორის იყო, სიყვარულზე, ლექსებზე უფრო ღრმა და ორივესთვის — უფრო საჭირო იყო. ალბათ — ყველაფერზე უფრო საჭირო: უფრო საჭირო, ვინემ ის ჩემთვის და მე მისთვის.

მის ცხოვრებაზე (სიყვარულზე, ოჯახზე) არა ვიცოდი. არც არასოდეს არ მიკითხავს. ის მოდიოდა ზამთრის ბნელი ღამიდან და მიდიოდა, საათობით ჯდომის შემდეგ, ღამის კიდევ უფრო მეტ სიბნელეში. („თითქმის რიყრაყზე“ — მერმე იქნება.)

ფიქრშიაც კი გზად არასოდეს არ გავყოლილვარ, ვინაიდან ჩემთვის ვალდებულ ვიყავი ზღუბლზე იწყებოდა და ასევე ზღუბლზე თავდებოდა. შუალედი — მისი ცხოვრება იყო.

გულზე ხელისდადებით ვიტყვი: ერთხელაც არ შევთანხმებულვართ, როდის მოხვალთ? და ა. შ. მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა — მთელი ზამთრის გაყოლებაზე — რომ მოსულიყო და არ დაეხვედროდი, ერთხელაც არ ყოფილა, მოსულიყო და სხვა დაეხვედროდა.

— მაშასადამე, სულ შინა ხართ, სულ მარტო ხოლმე?

— არა, გასული ვიყავ. არა, სხვები იყვნენ.

მაგრამ ეს სასწაული ჩვენი იყო. ერთხელაც არ ყოფილა, მის დანახვაზე არ შემეძახა: „ვალდებულა! სწორედ ახლა თქვენზე ვფიქრობდი!“ ან: „ნეტა იცოდეთ, როგორ მიხლოდა მოსულიყავით!“ ან უბრალოდ: „ბედნიერი ვარ, რომ მოხვედით!“

ვინაიდან მასთან ერთად ბედნიერებაც შემოდიოდა — საიმედო და უტყუარი ბედნიერება მთელი საღამოს გაყოლებაზე, ვით საყვარელმა წიგნმა იცის, რომლისთვისაც სინათლეც კი არა გჭირია.

ბედნიერება ხვალისდელი დღის შიშის გარეშე: ვაითუ უცბად გადამიყვაროს? ვაითუ მეტად არ მოვიდეს? და ა. შ. ბედნიერება გარეშე ხვალისდელი დღის, გარეშე მისი მოლოდინის: როცა ქუჩებში მის საძებრად დიდი ნაბიჯებით დაიარები, როცა ყინვიან ღამეებში ფანჯარასთან ფეხებწაყინული — ელი და ელი...

მეტსაც ვიტყვი: მე იგი არასოდეს მომნატრებია, არც უმისოდ მოწყენილი ყოფილვარ ისე, როგორაც მისი ნახვა გამხარებია. ვოცნებობდი — ეს მართალია, მაგრამ ისევე მშვიდად, როგორც ნივთზე, უთუოდ რომ ჩემი იქნება, როგორც წერილზე, შეკვეთით რომ გამომიგზავნეს და უკვე ვიცი, რომ ვხაშია (როდის მოვა — ეს ჩემი არა, ფოსტის საქმეა).

იჯდა მუდამ ქურქის გარეშე. სიცივე თუ ყინვები იყო, ქურქი არასდროს არ ესხა ხოლმე. თავისფერი კოსტიუმი ეცვა, მოხდენილი ტანის წყალობით მასავით კარგად მოყვანილი და მოხატული. ირგვლივ მყოფ საგნებს, კედლებს მთლიანად გამიჯნული. მეტწილად იჯდა და არაფერს არ ეყრდნობოდა, ხოლო თუკი მიყრდნობით იჯდა — გათხლაშვით არა, თითქოს მის უკან კლდე იყო და არა — კედელი. მის უკან მუდამ ზღვა გედგა თვალწინ, და როცა მერე



(მხოლოდ ერთხელ!) სცენაზე ენაზე ზღვის პიესაში — „დაღუპული იმედი“  
თუ „წარღვნა“, არ მახსოვს — არათუ ჩემს ვალოდიას მან დამაშორა, პირი-  
ქით — ვინძლო პირველად მისთვის შესაფერ ადვილზე ენაზე: ზღვაზე და  
თან ვაჟკაცურზე.

ერთი წელია პავლიკისაგან სულ მესმოდა, „ვალოდია უფროსი“...  
ცხადია, ისეთი არა, როგორიც იურა, ანუ ისეთივე, ოღონდ არა  
ისეთი... გამიგეთ კია?

— ცხადია, როგორ!

— ვინაიდან იურა ადვილად შეიძლება ყოფილიყო ლამაზი ქალი, ვალო-  
დია კი — ვერა ძალით და ვერასდიდებით...

მიტომაც ვალოდიას სილამაზე ზღურბლზე პირველი გადმოიჭების უმაღ-  
ვით მონაცემი, ისე მივიღე. და შემდგომ აღარად ჩამიგდია, ანუ ისევე მოვი-  
ქეცი, როგორც თვითონ დაბადებითვე. რაღაი თავად ხელს არ უშლიდა, არც  
მე მიშლიდა, რაღაი თავად არ აკრთობდა და მისით არ იყო სრულად აღვ-  
სილი, არც მე მაკრთობდა და აღმავსებდა. მისი სილამაზე ჩვენ შუა არასდროს  
არ ჩამდგარა და არ იჯდა ხოლმე აბეზარი ბავშვის დარად, რომელმაც, თუ არ  
გაართე და არ მოუფონე, შეიძლება მოწყენისგან სახლი გადაწვას.

თავიდან ვიტყვი: მესამე ჩვენ შუა არა იყო რა, იყო მხოლოდ ხმების  
გრძელი გზა დივნის აქეთ და იქით კუთხიდან, ოდნავად უფრო მოკლე, ვარ-  
სკვლავიდან ვარსკვლავამდე რომ იქნება, და იყო ადამიანი ანუ (მე) ქანდა-  
კების სრულქმნილ ზმანების წინ. იქნებ მიტომაც ვჯდებოდი ხოლმე მისგან  
ასე შორს, რა არის უკეთ დამენახა ეს ქანდაკება, რა არის უკეთ შეძლებოდა  
მას დადგომა და შემექმნა ამის წყალობით ის პერსპექტივა, რომელსაც მასთან  
შინაგანად მოკლებულვიყავ და ამ შექმნილი ფიზიკური პერსპექტივით შემეც-  
ვალა ის შინაგანი პერსპექტივა, ადამიანების ენაზე რომ მომავალია, ხოლო  
ქალსა და კაცს შორის კი სიყვარულს უხმობენ ხოლმე.

ერთხელ ხუმრობით შევეციოთხე:

— ქალები ალბათ საშვეულს არ გაძლევენ, ასეთ ლამაზს კისერზედაც გე-  
კიდებიან?

მორცხვი ღიმილით, პირდაპირი ხმით:

— ყველა ახალგაზრდას ეკიდებიან, მეტადრე თუკი მსახიობია. მგლის  
შიშით ხომ... არადა, მე ყველა ქალის სიბრაღული მაქვს. მით უმეტეს —  
არცთუ ისე ახალგაზრდების. ვინაიდან მათ წინაშე ყველა უსაზღვროდ დამნა-  
შავე ვართ. ყველას ყველაფერში ბრალი მიგვიძღვის.

— ხოლო თქვენ კი?

— მე, — პატიოსანი შემოხედვა, — მე ვცდილობ გამოვასწორო.

ჩემ გარდა ერთ სტუდიულ ქალს მეგობრობდა — კავკასიური გვარი  
პქონდა, როცა მეტისმეტად აქებდა ხოლმე, ვითომ ეჭვიანობით კბილს გავკრავ-  
დი, თუმცა ის ქალი თვალთ არასდროს არ მენახა. და მუდამ:

— არა, მარინა ივანოვნა, ხუმრობითაც კი — ნუ დასცინით, ვინაიდან  
გასაოცარი სულის ქალია.

ვითარცა კლდე, იყო უდრეკი.



— ეგ ომში იყო, მოწყალების დად მსახურობდა, — მოწონებით დაატა-  
ნებდა.

— არ ვყოფილვარ.

— ვ. აიდან არ გქირდებოდით, ვინაიდან თქვენ — სხვა გქირდებოდათ.

— ლექსების წერა? ო, მეწყინა კიდევ!

— არა, წერა კი არა, ის აკეთოთ, რასაც აკეთებთ.

— მაინც ვითომ რას?

— რაც მე გამიკეთეთ, ან რასაც კიდევ გამიკეთებთ.

— ნულა იტყვი!

— აღარ ვიტყვი.

ერთხელ ის ქალი მომგვარა კიდევ — და ჰოი, სიხარულო! ულამაზო ვი-  
ლაც გამოდგა, იმზომ აშკარად ულამაზო, რაზომ თავად ლამაზი იყო, და ეს  
ულამაზო, უშნო ქალი, სიყვარულით განებვირებულს და გაბეზრებულს (თუ-  
კი ამას მოინდომებდა), ყველას ერჩივნა, მასთან იჯდა — როცა ჩემთან არ იყო  
ხოლმე.

იქნებ დანაშაულს ამით ისყიდდა?

ვალოდია მუდამ საჩუქრით — ანუ ამბებით მოდიოდა, ეგზომ ნივთიერით,  
თითქოს ხელისგულით მოჰქონდა ჩემთან, პირადად ჩემთან და გულში ისე ჩა-  
მიდებდა, ვით ხელებში.

მახსოვს, ერთხელ ომში დაღუპული ფრანგი მფრინავის ამბავი მითხრა.  
გდია მანქანა — დაღუპილი, მფრინავი — მკვდარი. რაღაც გარკვეული დროის  
მერე კი — მძლეველი უკან მოფრინავს, დაბლა ეშვება — და, გამარჯვებული  
გერმანელი, მტრობის მიწის არად ჩამგდები — დამარცხებულ ფრანგს — ზემო-  
დან გვირგვინს ესვრის.

მსგავსი ამბებით მასაზრდოვებდა იმ გრძელზე გრძელ ღამეებში.

თეატრზე — კრინტი არასოდეს არ დაუძრავს, მხოლოდ ერთხელ თქვა,  
ისიც სიცილით:

— მარინა ივანოვნა, ყოყოჩობად ხომ არ ჩამითვლით?

— არა.

— იმიტომ რომ მართლა შესანიშნავი ნათქვამია, თქვენ — დააფასებთ.  
დამლაგებელი ქალი გვყავს ერთი სტუდიაში, სულ ახალგაზრდა, საყვარელი,  
ყველანი დამცინიან — შენზეაო შეყვარებული. რა თქმა უნდა, სისულელეა,  
მე მხოლოდ ვეხუმრები, ვებაასები — ახალგაზრდაა, სულ ადვილად შეიძ-  
ლებოდა სცენაზე ჩემთან ეთამაშა და დამლაგებლად არ ემუშავა. ქალების-  
თვის ყველაზე ნაკლებს წარმოშობა და წოდება ნიშნავს. მათთვის არსებობს  
მხოლოდ და მხოლოდ ორი წოდება: ახალგაზრდობა — და სიბერე. ხომ ასეა?  
ჰოდა, დღეს მეუბნება — ის წუთია გრიმი ჩამოვიშორე, სახეს ვიწმენდი: აჰ,  
ვალოდეჩკა, რა უწყალოდ ლამაზი ხართო! „რას ამბობ, დუნია, მე რომელი  
უწყალოდ ლამაზი მნახეთ? მარტო იურა გვყავს აქ უწყალოდ ლამაზი ვინმე“.  
„არაო, მითხრა, ვინაიდან იურას ანგელოსის სილამაზე აქვს, ქალაქური, თქვენ  
კი საზღვაო, მეომრული, ყველაზე გაუსაძლისი და უწყალო სილამაზე ვაყა-  
ცისა და გმირისა. ჩვენს სოფელში იურას სიცილიდ აიღებდნენ, თქვენ გამო-  
კი სამი სოფელი ჰკუდიან უმაღლესი შეიშლებოდა“. — ჩაფიქრებით, — აი, რო-  
გორი გმირი ვარ თურმე.



— „ასე გეტყვიან, სილამაზე მეში არისო...“ ახლა კი რითმად მაგ თქვენი უწყალო სილამაზისა მეც ერთ ამბავს გიაშობთ. თვალის ახელის დღიდან ჩვენს ოჯახში მარია ვასილევნა მახსოვს — ვინ იყო, რისი გამრიგე, არ ვიცი, ალბათ — ყველაფრის: თუ ვინმე ავად გავხდებოდი, ის გვადგამდა, სუნდუკები იყო გადმოსაფერთხი — ის ფერთხავდა, გადაკეთებდა უნდოდ, რამის — ის აკეთებდა, კვერცხები იყო შესაღები — ის ლეზავდა, ვალოდ გაქრებოდა, აღარ ჩანდა. გამხდარი იყო — ძვლებს დაუთვლიდი. მაგრამ თვალები ჰქონდა საოცარი, გატანჯული, ცოცხალი ტანჯვით სავსე: მუქი თაფლისფერი (შავი არა, შავი აქვთ მხოლოდ აღმოსავლელებს — ან ძალზე სულებს — მძივების დარად) — ცარიელი თვალები იყო, სახე არც კი უჩანდა. თუმც მოხუცს ჰგავდა, ბებერი მაინც არ იყო, შუაზე გაყოფილ ყონისფერ თმაში ღერი თეთრისა არ ერია, მონაზონი გეგონებოდა, კიდევ უკეთ — მოხუცი ღვთისმშობელი, ყრმისკენ დახრილი. ასედაც იყო: ვაჟი ჰყავდა — მაშინ ძალიან პატარა ვიყავ — საშკა, რეალურ გიმნაზიაში რომ სწავლობდა. ჩვენი სამზარეულოს გვერდით მიშენებული ოთახი ჰქონდა. მერე დედა და ჩვენ საზღვარგარეთ გავემგზავრეთ, ბიჭი დატლებულა. მამას სობუში გაუგზავნია. „აჰ, მუსენკა, როგორ მელოდა, როგორ მელოდა! ყოველი გემის მოსვლაზე თურმე მელოდა — არადა, უკვე სულს ლაფავდა. გემის საყვირზე — დედაჩემი ჩამოვიდაო! — ასე იძახდა. (მომვლულმა ქალმა მიაგმო მერმე.) მართლაც წავედი — მამათქვენმა ფული მომცა, ხოლო ბილეთი მეზოვემ მიყიდა და მატარებელშიც მანვე ჩამსვა, — ასე შორს პირველად მივდიოდი. ჰოდა, გავემგზავრე, ისიც მელოდა. როგორც კი ნაპირს მივადექით, გემმა საყვირი ააბლავლა. ის — წამოძვარა, ხელები გაუშვერია: ჩემი დედა ჩამოვიდაო! — და უსულოდ უკან გადავარდნილა...“ ამას იმიტომ გიყვებით, მისი სახე წარმოიდგინოთ, ვინაიდან მას შემდეგ სახე არც შეცვლია, თუნდაც ფაფა მოეხარშა ან გენერლის ცოლის ფინიებზე ეამბნა ჩვენთვის. ახლა კი იმ უწყალო სილამაზეზეც გეტყვით მისვე მონაყოლ ქალიშვილობის დროინდელ ამბავს. „შენ, მუსენკა, ეგრე ნუ მიყურებ, ცოცხალი ჩონჩხი რომ ვარ ახლა, ლიმონივით ჩაყვითლებული, კბილებმორყეული — მე, მუსენკა, ძალზე ლამაზი გოგო ვიყავი. მაშინ თხუთმეტის გავხდი სწორედ. რადიცის საყიდლად დუქანში წაველ, ფეხდაფეხ ვილაც ბიჭმა მომსდია. გამოვედი — უკან გამომყვა. შინ შევედი, ფანჯრიდან გადავხედე — დგას, ჩვენს ფარდას მოჩერებია. შავგვრემანია, თვალები — აი, ამხელა, უღვაში ჭერ არ ამწვანებია, ასე თექვსმეტის იქნება ალბათ. ღმერთმანი, თვალებით ძალიან მგავდა — მე ხომ ყურები გამიხვრიტეს ამ ჩემი თვალების ქებით, თუმცა თავადაც კარგად ვიცოდი. ვხედავ, ჩემი თვალები, ზუსტად ჩემი თვალები. მოკლედ — ძმა იყო თითქოს ჩემი. (მე დედისერთა გოგო ვიყავი.) ესაა, თქმას უფრო დიდი დრო უნდა, ვინემ დანახვას. ხელად გავწიე ფარდა. მეორე დღეს — კვლავ მივაშურე დუქანს, ის კი უკვე დგას და მელოდება. არც ამბობს რასმე, არც მესალმება, მხოლოდ მიყურებს. ასე იყო სულ, ჩრდილივით დამსდევს, ჭირკვივით კი ხმას არ იღებს. მეხუთე დღეს — ვერ მოვითმინე, თან ბრაზი მიტანს, — რად მიყურებს, თან ბრაზი მომდის — რად დუმს-მეთქი, და როგორც კი უკან გამომყვა, ასე ვუთხარი: „არც ჰვრეტა გარგებს და არც ყურყუტი — ვერაფერსაც ვერ გამოჭვრიტავ, რადგან უკვე დანიშნული ვარ და მდიდარს მივყვები“. ის ხეებქვეშ იდგა — (გაზაფხული იყო მაშინ) — ქუდი მოიხადა



და თავი მდაბლად დამიკრა. როგორც სანთელი, ისე გაყვითლდა. მეორე დღეს კი — ძილში — ყვირილი მესმის: ეგოროვების ბიჭმა ყელი გამოიჭრაო, ალბათ ღამით, ვინაიდან უკვე გაცივებული დაუხვდათო. ყველანი იქნით გაცივდნენ — მეც გავიქეცი. ჰოდა, მუსენკა, წევს ის ჩემი სულ რამდენიმე დღის ნაცნობი, ჩემი მჭვრეტელი, ოღონდაც ჩემი თვალები აღატყნებოდა — მსუხუტ-ნია...“ ვალოდერკა, თქვენი დამლაგებელი ხომ არ... ბიჭ-მეგობარი

— არა, მარინა ივანოვნა, ახლა სხვა დროა, ახლა ყველაფერმა ფასი დაკარგა, გაიფუტა. მეც... მეც ვიგრძნობდი, ასე რომ იყოს. არა, გათხოვდება — შეილებს გააჩენს.

— და ვალოდერკას დაარქმევს უფროსს.

— ეს შესაძლოა.

მსგავსი ამბებით ვასაზრდობდნენ იმ გრძელზე გრძელ ღამეებში: მოკალათებულს დივნის სიღრმეში, მე — მის ვიწრო კიდეზე მჯდომი, ლურჯი ფარნის ქვეშ, გრძელზე გრძელი დიაგონალით — ერთადერთი გზა რომ იყო ჩვენთვის ერთმანეთისკენ, გზა, რომელმაც არსად არ მიგვიყვანა.

...ახლა კი ეფიქრობ (თუმცა მაშინაც კარგად ვიცოდი!) — რომ ვალოდია თანამგზავრი იყო მარტოლენ, და გზას ერთმანეთისკენ კი არ მივყავდით, გზა ჩვენგან მიდიოდა, ერთად, თითოეულ ჩვენთაგანიდან. აქედან იყო სიხალვათე, სიმშვიდე და იმედის გრძნობა — კიდეც არაჩქარება: იჩქარი მხოლოდ იმ ძველისძველ ჩიხში, საიდანაც ერთი გზა მოდის: მხოლოდ უკან, ნაბიჯ-ნაბიჯ, როცა ყველაფერს კარგავ, რაც მიგილია, და ფეხითაც ქელავ, ფეხითაც სრისავ, ვითარცა ნიჩბით, მოსასწორებლად.

ჩემი მოჯადოება — სხვა სიტყვა არ მაქვს — იურას მიერ ვალოდიამ თუმცა იცოდა, მაგრამ არასდროს არ შეხებია, ან იქნებ მას არც შეეხებოდა. ოღონდაც როცა იურა დიდხანს აღარ ჩნდებოდა, დიდხანს იყო გადაკარგული (გადაკარგვა კი მალე დაიწყო: თითქმის მაშინვე!) გაწამებული უგულვრილესი ხმით რომ ვეტყვოდი:

— იურა რასა იქმს?

— არაფერს. თამაშობს ისევ, — მეტყვოდა ხოლმე.

მხოლოდ ამ ერთში ამჟღავნებდა ის შეწყნარებას, ჩემი პირიდან წარმოთქმული ეს სახელი მყის მაღალ კოშკზე მოაქცევდა, მე კი — კოშკის ქვეშ პატარა ბაღის უვარდისფერეს ვარდის ბუჩქში. მერედა რარიგ მსიამოვნებდა, როცა იმ სიმაღლიდან უეცრივ დამდაბლებელი (მასთან გატოლებით), პატარა გოგოდ გადაქცეული, ვარდის ბუჩქიდან ქვის ანგელოსს რომ შეეყურობდი. ვალოდიას კი, ვისთვისაც მე მაღალ კოშკზე ვიდექი მუდამ, ვისთვისაც მე თვით კოშკი ვიყავი, ცოტა არ იყოს ერცხვინებოდა ჩემი ასეთი დამდაბლება (გასულელება). იურაზე ლაპარაკის დროს — ფიზიკურად — თავს არ ასწევდა — თვალეზღაბრილი მისმენდა მხოლოდ.

და როცა ერთხელ თავს ვეღარ ვძლიე:

— ვალოდია, ალბათ როგორი ზიზლით მიყურებთ იმის გამო, რომ... — ის თითქოს ციდან ჩამოვარდაო:

— მე — თქვენ — ზიზლით? ასევე ზიზლით შეიძლება — ცასაც უყურო! მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ რომ მოვათავოთ: არის ისეთი რაღაც,



რასაც კაცი — ქალს ვერ გაუგებს. მეც კი — თქვენ ვერა. განა იმიტომ, ჩვენს გაგებას აღემატება ანდა პირიქით, საქმე ისაა, ზოგი რამ მხოლოდ შენი არსების სიღრმეიდან უნდა გაიგოს, შენი იმად იქცე. ხოლო მე ქალად ვერ გავიგე. პოდა, იმ მცირეოდენ მამაკაცურს ჩემი არსების ვერ გაუგია იმ მცირეოდენ ქალურისა თქვენი არსების, ანუ ჩემი არსების მეათასედს თქვენი არსების მეათასედის, რასაც ყოველი ქალი გაგიგებთ, ვინც უნდა იყოს და შენსა თქვენსა თქვენი არაფერი გაეგებოდეს. იურა — ეს თქვენი საერთო ქალური საიდუმლოა... — ჩაცინებით, — შეთქმულებაც კი. არ მესმის და მაინც ვიღებ, როგორც ყველაფერ თქვენსას — და თქვენგან — მივიღებ მუდამ, ვინაიდან თქვენ ჩემთვის — განსჯას არ განეკუთვნით.

— მსახიობი თუ კარგია?

— თავის როლებში, ანუ იქ, სადაც არაა ყოფნა საჭირო, მხოლოდ უნდა გამოხვიდე, გაიარ-გამოიარო, თქვა რაღაცა. ხომ ზედვით, პატიოსნად გუბნებით, არც მეტიმეტად ცაში ამყავს და არც ვამდაბლებ. თქვენ ხომ, როგორც მსახიობი, იგი არ...

— თქვენ, ვინც იცით ყველაფერი — იცით თუ არა, რომ მთელ იურას, ჩემს მისდამი მიძღვნილ მთელ ლექსებს, მთელ ჩემს ყველაფერს, რაც მისდამი მაქვს, გავწირავ და ვწირავ კიდევ თქვენთან საუბრის ერთ საათში — აი, ასე — თქვენ იმ კიდეზე, მე — ამაზე?

პასუხად მხოლოდ დუმილი.

— და არჩევანი რომ მოეცათ — იგი მთლიანად — ან ჩვენ შორის რაც არსებობს... მოკლედ, იცით თუ არა, რომ თქვენი ერთი ხელის ჩამორთმევით მას ჩემგან, ჩემი სულიდან თითქოს ხელის ერთი მოსმით მაცილებთ?

ახლაც მხოლოდ დუმილი.

— რომ თქვენ უფრო უსაზღვროდ...?!

— ვიცი, მარინა ივანოვნა.

ასე მრავალი, მრავალი დღე.

არა:

მრავალი, მრავალი ღამე...

როდის მიდიოდა? რიყრაყზე არა, ვინაიდან ზამთარში გვიან რიყრაყდება, თუმცა არსებითად მაინც დილას! ოთხზე? ხუთზე? სად მიდიოდა? რომელი ცხოვრების წიად? (ჩემ გარეშე.) უყვარდა ვინმე ისე, როგორც მე — იურა? ჩემთან ეწადა მოეძია წამალი უღირსი და უბედური სიყვარულისა? არ ვიცი და ვერც ვერასდროს გავიგებ ალბათ.

მე არასოდეს შემხვედრია სამართლიანობის ასეთი გზებით შეპყრობილი ახალგაზრდა, როცა ეს გზება თვით არსებიდან მომდინარეობს. იგი ხომ მაშინ დიდი-დიდი ოცი წლის იყო „მე რატომ უნდა მომცენ ულუფა, იმიტომ რომ მსახიობი ვარ, ის კი — არა? ეს არაა სამართლიანი“. ეს იყო მისი უმთავრესი დასაბუთება, თითქოსდა (თითქოს კი არა, ასედაც იყო!) სამართლიანობა წარმოადგენდა რაღაც სრულიად ერთაზროვან. ყველანაირ შემთხვევაში — უცილობელ, ცხად, ხელშესახებ, წონის მქონე, თვალთ უბრალოდ დასანახ რასმე მუდამ, ერთბაშად, ყოველი მხრიდან — როგორც მაცხოვრის ეკლე-



სიის ოქროს გუმბათს ხედავ ნესკუჩნის ბალის ყველაზე დაბურულ ხეივნიდან.

არაა სამართლიანი და — მორჩა, გათავდა. უკვე აღარც საგანი, აღარც ცთუნება. არაა სამართლიანი და — ლაპარაკიც არ შეიძლება. ეს თავიდან, ეს გონებიდან არ მოდიოდა, ეს ხერხემალი იყო მისი, ეს მისი ხერხემალი ჰქონდა და გამართულიც ალბათ იმიტომ დადიოდა. *მისი ხერხემალი*

არაა სამართლიანი, ისე ამბობდა, როგორც თავადი ს. მ. ვოლკონსკი — ულაშო საქციელი. სხვა — თაობა, სხვა — სიტყვარი, მაგრამ საგანი მაინც იგივე. ო, როგორ მესმის ამ ძირეული საბუთის მთელი უცილობლობა! როგორც ღატაკი — ეს ძვირიათ, როგორც საქმოსანი — არაპრაქტიკული რამ არისო — ისე ამბობდა ვალოდია: ეს სამართლიანი არააო. მის არასამართლიანობას არამართლობა დაერქმეოდა.

როგორც ყველა სხვა სტუდიელი, ვალოდიაც სტახოვიჩის მოწაფე იყო — ოღონდ ყველა სხვა სტუდიელის მსგავსად არა.

— მარინა ივანოვნა, სტახოვიჩი საუკუნეთა შედეგს გვასწავლის. თავიდათავს, სალამი ასე რატომ მისცე, და არა ისე; იმ პირველი ველურიდან ასეთ სალამამდე, ერთმანეთის კბილით გლეჯიდან, ვთქვათ, დუელამდე როგორ მოვედით, სტახოვიჩი არ გვასწავლის... — ჩაცინებით, — დრო არ გვრჩება ჟესტის ისტორიისთვის, ჩვენ გვჭირდება თვითონ ჟესტი, დროსაც ვიგებთ და შედეგსაც სწრაფადვე ვაღწევთ. გამოვალ და სტახოვიჩივით მივესალმები, გამოვალ და სტახოვიჩივით ვიფარეკავებ — მაგრამ ამას მე თვითონ ვსწავლობ, მის გაკვეთილებს — სათავეებისკენ თვითონვე ავსდევ. არადა, თავად იცით, რა ძნელია, როგორც რეინის, ისევე ჩამომავლობის სათავეების დადგინება... ჩემთვის მისი სალამი და კარგი ქცევა — კითხვაა და არა პასუხი, თანამედროვეების კითხვა — ნამყოსა და წარსულისადმი, ჩემი კითხვა იმათადმი, და მევე ვცდილობ პასუხი გავცე, ვინაიდან, მარინა ივანოვნა, — ჩაფიქრებით, — მე... არ ვიცი... მომცემდა კია თვით სტახოვიჩი ამაზე პასუხს? სტახოვიჩს ეს სალამი დაბადებითვე მონიჭებია, წინაპრებისგან აქვს მონაძლენი აკვანშივე. მე წინაპრები არა მყოლია, ჩემთვის აკვანში არაფერი არ მოუძღვნიათ, მე ამქვეყნად შიშველი მოველ, მაგრამ შიშველმაც არ შეიძლება უფიქრალად ჩამოვიცვა სხვისი სამოსი, რა გინდ ლამაზიც არ იყოს იგი. მათ თავისი ქნეს, ჩვენამდე მოიტანეს, ჩვენ გადმოგვცეს, მე ჩემი უნდა გავაკეთო — გავიაზრო. უკვე ბევრი რამ გავიკე და გავარკვიე, ისე რომ ვიტყვი, ეს ყველაზე ნაკლებ — ფორმაა, ეს უფრო მეტად არსი არის. სტახოვიჩი ჩვენ გვასწავლის, როგორნი ვიყოთ, ყოფნას გვასწავლის. მისი გაკვეთილები — ყოფნისაა, ვინაიდან — მაპატიეთ ამ უხეში მაგალითისთვის — არ შეიძლება კაცს ასე რიგად მიესალმო და მერე თავპირში ხეთქო. ამ სიტყვების არც თქმა გეგების, არც გაფიქრება, ხოლო თუ გაფიქრებაც არ გეგების — მაშ სხვა კაცი ხარ, ეს სალამი სისხლსა და ხორცში გაქვს გამჯდარი.

სტახოვიჩის სიკვდილის შემდეგ ასე მითხრა:

— მისგან ბევრით ვარ დავალებული. ზოგჯერ — მეც ხომ ახალგაზრდა ვარ, ახლა კი, ამ რევოლუციის წლებში ხშირად ტლანქ, უბირ ხალხში მიხდება ყოფნა — როცა ცთუნება მძლევს პასუხი გავცე, ვინმეს მისივე ენით ველაპარაკო, თუნდაც მუშტით — მყის თავში გამკრავს: ეს სტახოვიჩის საკად-



რისი არაა-მეთქი. და — ენა აღარ მიბრუნდება, მოსაქნევად ხელი ვეღარ ამიწევია: კი ავწევ, ოღონდ როცა დრო მოვა საამისო. თუმცა მუშტს არა! სტახოვიჩის დაკრძალვისას — უკაცრიელ ნოვო-დევიჩის ველზე:

ნოვო-დევიჩის უდაბურ ველზე  
უკან მივუვები დაუვინთულ კუბოს,  
ირგვლივ ნამქერი — ღრანტე — ნამქერი —  
მოსკოვი, მოსკოვი, წელი ცხრამეტი.



კუბოში — უებრო, უბადლო ხელები,  
გულს დაკრეფილნი თავისი ნებით.  
და გული — დიდებულ ცხოვრების წყალობით  
მომხვეჭი არყოფნის უფლების.

მიჰყვება მწუხარე ამაღა უკან!  
უგზობა — სიცივე — შიმშილი —  
ბოლო საპატაო ესკორტი  
მას მიაცილებს მოსკოვი...

ყველაზე უფრო იმ ყმაწვილებში, ვინც სტახოვიჩს მიაცილებდა, ვალოდია ჩამრჩა ხსოვნაში, წელგამართული რომ მიჰყვებოდა თავის მოძღვარს და მას-წავლებელს და უკან არ რჩებოდა ნამქერებზე სიარულისას თუ ყინულის ტევ-ვა-მსხვრევისას. ასე ალბათ უფროსი შვილიშვილი თუ გაჰყვებოდა.

კი მაგრამ — ეს რაა? ეს ვინაა? ბროლის პატარა კრისტალურ ჯვართან, ოვისი ბრკილით და სხივოსნობით რომ მოგნუსხავდა — შავი თვალები, ვარ-დისფერი პირისახე, ორი შავი ნაწნავი, თითქოსდა ჯვარზე მოხვეული — ეს სონეჩკაა, იქვე, სკრიაბინის საფლავზე მდგარი, პირველ ხილვა მისი მას შემ-დეგ, რაც სცენაზე ჩემი „ქარბუქი“ წავიკითხე, პირველი შეხვედრა მასთან ჩემი „ქარბუქის“ შემდეგ, სხვა ქარბუქის დროს, ღია სამარის თავზე რომ ბობოქრობდა, სადაც ვერა და ვერ ჩაეტიათ სამხატვრო თეატრში მკვიდრად შეკრული ბატონკაცური და ამ ორმოსთვის მეტისმეტი სიფართის კუბო. შუბლშეკრული სტუდიელები აგანივრებდნენ, ნიჩბით ამსხვრევდნენ გაყინულ მიწას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიწას ნიჩბით ერკინებოდნენ, ხოლო ნამ-ქერში ჩაჩოქილი პატარა ქალი, მეზობლად მდგარ ბროლის ჯვარზე ორივე ხელებ და ნაწნავებზემოხვეული, ცრემლებს აღვრიდა, თვალებითა და ლოყე-ბით აბრიალ-აბრჭყვიალებდა ამ ბროლის ჯვარს იმ ქარბუქიან და უმზეო დღეს.

— როგორ მინდოდა მაშინ, მარინა, იმ წამებისა და ტანჯვის შემდეგ — გახსოვთ ის შემზარავი შეძახილი: „მამაო, ჩქარა, ჭიშკარს უკვე მეორე მკვდა-რი მოადგაო!“ თითქოს თავისი ფეხით მოსულიყო, თითქოს თავისი კუბო თავისი მხრებით მოეტანოს! — როგორ მინდოდა მაშინ, მარინა — ლამის მე-კივლა და მეწივლა — სახლში წამოგყოლოდით, სული გამეთბო ამ სიკვდილის ამბების შემდეგ — სულერთია სად, რომელ „სახლში“ — ოღონდაც თქვენ-თან მარტო დავრჩენილიყავ, მუხლებზე დამედო თავი — როგორც ახლა — და მეთქვა ყველაფერი იურას შესახებ — და იქვე, მაშინვე თქვენთვის და-

1. ლექსები თარგმნა ა. ბუაჩიძემ.



მეთმო—ოღონდ კი ხელისგულებში მოგეჭციათ ჩემი სახე, ნელა, ნელა მომ-  
ფერებოდით და გეტქვათ ჩემთვის, რომ ჯერ ყველა არაა მკვდარი, რომ ჯერ  
კიდევ არც მე ვარ მკვდარი — როგორც ყველა ისინი.. ჰოი, როგორ მშურდა  
ვახტანგ ლევანოვიჩის, ხელგაყრილი რომ მოგყვებოდათ და ერთხანს მხარზე  
ხელიც დაგადოთ—მთელ იმ გრძელ გზაზე — მოგყვებოდნენ მხოლოდ მარ-  
ტო, თქვენს ყავისფერ ქურქს ქარის წყალობით ხანდახან ისეთი სიჩქარე-  
დით, ისე რომ შეეძლო კიდევ ეფიქრა, ქარი კი არა, თქვენ ახვევდით, რომ  
თქვენ და იგი ერთ ქურქქვეშ მოდიოდით, რომ თქვენ ის — გიყვართ! მერე  
ფუთხარი: „რა გულმა გიქნათ, ვახტანგ ლევანოვიჩ, არ დამიძახეთ, წამომყე-  
ვიო! ცუდი მეგობარი ყოფილხართ თურმე!“ „მაგრამ მე ხომ მარინა ივანო-  
ვნას მიყვებოდით!“ — „სწორედ იმიტომ გეუბნებით, მარინა ივანოვნას რომ  
მიჰყვებოდით“. „მე რა ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა, თუ უცბად ჩემ-  
თან სიარული მოგიწებოდათ!“ „თქვენთან არა, ველური კაცო, არამედ მასთან:  
რომ თქვენ მიჰყვებით — და არა მე!“ მაშინ ძალიან გამიბრაზდა, კომედიანტი  
დამიძახა და კიდევ რაღაც... მე კი მართალი ვუღიღინე ფუთხარი. სამაგიეროდ,—  
ნეტარებით მოჭუტული თვალები ამომცქერიან, — თრი თვის შემდეგ —  
იქნებ ზუსტად იმ დღის დამთხვევით—მე თქვენთანა ვარ, ქუჩაში კი არ მოგ-  
ყვებით, გიშხერთ, გიყურებთ, ხელებსა გხვევთ, თბილა, არ ცივა, არც არსად  
მივალთ, სადაც უნდა დაგემშვიდობოთ, ვინაიდან უკვე მოვედით და მე თქვენ-  
გან არსად — არასოდეს წამსვლელი არ ვარ...

ნოვო-დევიჩის სასაფლაო და ის გარეუბანი აღარაა, იგი ქალაქის  
შუაგულად იქცა, ბროლის ჯვარი, არც მეტყვება, სხვა სასაფლაოზე ბრჭყვია-  
ლებს ახლა, მაგრამ რა დაემართა, რა ბედი ხვდა მის მწეხობლად მდგარ მუხის  
სადა ჯვარს?

ვალოდის ყველაფერი ძველებური უყვარდა ჩემებრ, ყველა ირგვლივ-  
მყოფს მუდამ ასევე აოცებდა აზრთა „სიახლით“ და ამ „სიახლეს“ ასევე  
ბრჭყალებში მოაქცევდა. ჩაცინებით, ძველებური — ოღონდ ახალგაზრდუ-  
ლად. ძველებური — ოღონდ არა დაძველებული. მიტომაც მისი არ ესმოდათ  
არც ძველი და არც ახალი ყოფის მიმდევართ. ძველებური — ოღონდ თავი-  
სებურად, ძველი წარმოშობის — ასეთი წარმოშობის არამქონეს. კიდევ მიტო-  
მაც კარგად გრძნობდა თავს ჩემთან ყოფნისას. ჯერ კიდევ იმ ხელ და ფეხ  
თამამად მქნევ ქალბატონთან თვალი მოვკარი იმის თითზე ვერცხლის დიდსა  
და ძველებურ ბეჭედს.

— საიდან გაქვთ? თქვენი, ანუ...

ვკითხე მოგვიანებით.

— არა, მარინა ივანოვნა, საგვარეულო ეს არაა—სულ შემთხ-  
ვევით ვიყიდე იგი, ვინაიდან ვ. ა. ეწერა, პირველი ასოები ჩემი სახელის და  
ჩემი გვარის. (ერთხანს ღუმილის შემდეგ) იურა კი ცარციტ აპრილებს ხოლ-  
მე თავისას.

— და არც იცის, ზედ რა სწერია, ვინაიდან — ჩინურია. თქვენ არ გგო-  
ნიათ, ცარციტ გაპრიალემა ცოტა არ იყოს წვრილმანობაა?

— ჩემსას ცარციტ არ გაპრიალემა, არ მიყვარს, როცა ვერცხლი  
ბრჭყვიალებს, დაე ისევე შავი იყოს და დაბინდული, როგორც მისი წარმო-  
მავლობა.



(„იურა კი ცარცით აბრიალებს თავისასო... ანუ ჩემსას, რაც ვალოდიაშ  
კარგად იცოდა. ეს ცარცი უმაღლესი ცხრასტრიქონიან ლექსად იქცა:

სავარძელში ჩაჯდები ზანტი ნეტარებით,  
მე კი შენ გვერდით დავიჩოქები —  
შემდგომ ბრძანებას არ დავულოდები,



მთვლემარე სავარძლიდან გადმოყიდებ ხელს,  
ხელს, რომელსაც მე შევახებ ხელს,  
ხელს, რომელსაც გიმშვენებს ბეჭედი ჩინური.

ბეჭედი, რომელიც ცარცისგან პრიალებს,  
— ნეტა ბედნიერი ხარ? თუმცა რა შესაქმნის!  
ვასრულებ მხოლოდ ბრძანებას სიუვარულის.

1918 წლის 22 ნოემბერი.

ეს რა „შესაქმნის“ მერმე, ჩემი ხელით დაწერილ მისადმი მიძღვნილ ლექ-  
სების წიგნში, მას რომ ვაჩუქე, გადავაცეთე „რამე საქმის...“)

იურის ჩემგან — ვერცხლის, ჩინური ნაკეთობის, პავლიკს — თუჯის, შიგ-  
ნიდან ოქროსრკალიანი, ვინმე გერმანელ ტყვესა თუ მოკლულს აცლილი, —  
ოქროს რკალის ზემოდან კი თუჯის ვარდები: ოქრო-ფარული, დამალული  
ამასთან ლექსი:

მე შენ ვაჩუქებ ბეჭედს რკინისას:  
გატეხილ ღამეს — აღმადრენას — უიმედობას,  
რომ არ უცქერდე გოგოებს ჭიკურ,  
რომ დაივიწყო სინაზე — სიტყვა,

რომ შენი გრუზა, ხუტუტა თავი  
ზეადიტაცო აქაფებულ თასივით მალდა,  
რომ შენმა რკინის სპარტანელობამ  
გაქციოს ღვედფად, ფერფლად და ნაცრად,

როს ხუტუტა თმას წინასწარმეტყველის  
დაეკონება სიუვარული ნადვერდლის დარად,  
მაშინ იუუჩე, მიიტანე ბაგესთან ახლოს  
რკინის ბეჭედი, წამოცმული შავგვრემან თითზე.

მა, ავგაროში წითელ ბაგეთგან,  
რგოლი პირველი შენი ჭაჭვის პერანგის,  
დადექ მედგარად ქარტეხილებში, როგორც ბერმუხა,  
როგორც უფალი იმ თავის რკინის ქადოსნურ წრეში.

მარტი, 1919 წ.

თუ რა ბედი ეწია ჩინურს, მე არ ვიცი (მხოლოდ ის ვიცი: მე პირველ-  
მა ვჩუქნე ბეჭედი!), თუჯისას კი — შემდეგი გახლავთ.

გამოხდა ხანი. მეწვია ერთხელ — ბეჭედი ველარ დავუნახე.

— დაგეკარგათ?

— არა, გავახერხინე, რათა ორი ბეჭედი გამოსულიყო. (პავლიკ, ეგრე  
ხომ დაპატარავდა!) საქორწინო ორი ბეჭედი. ვინაიდან ნატაშა ცოლად მომ-  
ყავს.



— ღმერთმა გაბედნიეროთ! ლექსიც — ორად გახერხეთ?

შემდეგ — უკვე იშვიათად ვხვდებოდით ხოლმე — ბეჭედი ისევ არ ჰქონდა თითზე.

— ბეჭედი, ანუ ბეჭდის ნახევარი სადაა, პავლიკ?

— ვაი, მარინა ივანოვნა, ორად გახერხვის შემდეგ ძალზე წვრილი გამოვიდა. ნატაშას მისი გაუტყდა, მე კი სარდაფში რომ ჩავხედე ნახევრის ამოსატანად, იქ ჩამივარდა, და რაკი ისიც შავი იყო...

— ...რა ხანია ცეცხლში დაიწვა შინ წვნიანის გასაყეთებლად, ისე კი დიდი ფუფუნებაა — ფეტვი მოხარშო სამხედრო ტყვის თუჯის ვარდებზე, ჩემს ნაჩუქარზე!

ვალოდის ბეჭედზე კი — მის საკუთარზე — შემდეგ ვიტყვი.

ბეჭდის გარდა ძველი ნივთებიდან მას კიდევ პიშტოლი ჰქონდა „პიშპანური“, როგორც ვეძახდით, და ეს პიშტოლი მისადმი სიყვარულმა ჩემს „თავგადასავალში“ ჩამასმევინა, ჩემს (კახანოვას) ჰენრიეტას მაჩუქებინა:

— რა დამავიწყებს ესპანურ პიშტოლს,  
შენგან ნაჩუქარს!

ვინაიდან ეს „პიშტოლი“ ახალი წლის დღეს მომიტანა და დიდი ამბით საჩუქრად მიძღვნა, რადგან ჩემსავით ვერ აეტანა, შენი ნივთი სხვას გაგიჟებოთ მოეწონოს — და არ აჩუქო.

ეს პიშტოლი რუსეთში დარჩა, სხვენზე მარხია სხვისი მალტიურ დაშნასთან ერთად, რომელზედაც შემდეგ ვიტყვი, უფრო სწორად — სხეული მისი რუსეთში დარჩა, სული კი „თავგადასავლით“ გადავიტანე დროისა და ხილულობის სამანის მიღმა.

იმ ახალ წელს სამივეს ერთად ლექსი ვუძღვენი:

ო, მეგობრებო! დვიძლო სამებავ!  
მოყვრებზე უფრო ახლობელნო!  
ო, მეგობრებო, იაკობინურ —  
მარათისეულ მოსკოვში მყოფნო!

თქვენით დავიწყებ, გულფიცხო ა-სკი,  
ცივი მუწების საყვარელო,  
თქვენ ისღა გახსოვთ — მხოლოდ ის, რომ  
პოლონელ პანის სახელი მქვია.

ეს არის ბრალი — ძმური სიცივის  
და სხვა ათასი დაბრკოლებისა!  
რაც თქვენ არ გახსოვთ — არ გახსოვთ, ზ-სკი!  
მიუხედავად საოცარი მახსოვრობისა!

დაბოლოს — გმირი უთვალთმაქცესი —  
მოყოლებული დღიდან ყოფნისა  
დამვიწყებელი ყველა სახელის —  
ა-ევი! თვისიც რომ დაივიწყა!

და სიბერის ოხტატურობით  
თავს რომ იმაღავს, ვით შავ ბრილიანტს,  
მე გისმენთ ყველას სინაზით და ხევედით აღვსილი  
სიბილასა — და ეორე ხანდის დარად.



აი, სწორედ მაშინ მაჩუქა ვალოდია ა.-მ თვისი პიშტოლი — 1919 წლის ჰირველ იანვარს.

ამ ახალ ათას ცხრაას ცხრამეტ წელს მესამე სტუდიაში მათთან შეხვედრა და ყველას ერთად ბერძენი მეფის ჩემი ძველთაძველი ვერცხლის ნილაბი ვუსახსოვრე, რომელიც გათხრების დროს იყო ნაპოვნი. ნილაბი მრგვალი ტრაგედიაა, მეფის ნილაბი კი ტრაგედიაზე ტრაგედია. მახსოვს თეატრში მათი სამადლობელო სვლა საზეიმო Fackelzug-ით, ბეტინას რომ მოუწყვეს სტუდენტებმა.

...სიბილასა — და ჟორჟ სანდის დარად.

დიახ, დიახ, ყველა ისინი, ჩემზე არც ისე ბევრად უმრწამსნი თუ სულაც ჩემი ტოლნი, ისე მიმაჩნდნენ, ვით საკუთარი ვაჟიშვილები, ვინაიდან უკვე დიდი ხნის გათხოვილი და ორი შვილის პატრონი ვიყავ, მქონდა ლექსების ორი წიგნი — კიდევ ბევრი რვეული ლექსებით სავსე! — უკან ბევრი ქვეყანა მოტოვებული! მაგრამ არც შვილები, არც რვეულები, არც ქვეყნები არას ნიშნავდა — მე მახსოვდა ყველაფერი, მოყოლებული ჩემი ცხოვრების დასაწყისიდან, ხოლო ხსოვნა ყველაფრისა — ეს იგივე სიბერე არის, ისე რომ, მიუხედავად ჩემი მჩქეფარე ახალგაზრდობის, ვიყავ ბებერი, ისე ბებერი, როგორც კლდე, რომელსაც აღარც კი ახსოვს, როდის აქეთ გაჩნდა ამქვეყნად...

ისინი კი ბალები იყვნენ — თან მსახიობები, ანუ ორკეც ბალები, რომელთა ერთადერთი ოცნება, რაიც ასე იოლად, არასმაქნისად და მისდათავად მე მომენიჭა — იყო სახელი...

— ჰოი, როგორ მინდა სახელი მქონდეს! მივდიოდე და უკან ჩურჩული მომყვებოდეს: „ა-სკი მოდის!“

— ასე ხომ ქალიშვილები ჩურჩულებენ! ნუთუ ეს მოგწონთ, პავლიკ?! მე თქვენს ადგილზე უეცრივ მოვბრუნდებოდი, მივიდოდი და, ვით ძალებს, ისე შევუტევდი: „დიახ, ა-სკი ვარ! მერედა თქვენ რა?“

ვალოდიას გარდა ჩემით ისინი — თავს იწონებდნენ, მე კი მიყვარდა ყველა ისინი. განსხვავებაა.

ცხოველური (დედის) სინაზე ვალოდიასადმი არა მქონია — ვინაიდან, სიჭაბუკის მიუხედავად, არაფერი ბიჭის არ ეცხო — არც უმწეობა და არც ხიბლი ბიჭური.

ხიბლი საერთოდ არ გააჩნდა: არც ცეცხლი, სიმხურვალე და იღუმალეობა, არც ცოცხალი გამოცანა იყო ვინმესთვის — ჰქონდა ამოცანა, რაიც თავის თავს თვით დაუსახა.

ასეთს არ შეიძლება შეცივნოდა, მოშივნოდა, შეშინებოდა, არ შეიძლება ნაღველს დაეჯახნა. და თუკი ჰქონდა ეს ყველაფერი (ალბათ კი ჰქონდა), ჩემი საქმე არ იყო სიცივის, შიმშილის, შიშის, ნაღველის დასათრგუნად — ანუ გაზრდაში — სინაზით დავხმარებოდი.

ჩემი სინაზე დური სინაზე იყო, ვისაც თავისი ძმის ძალა და სიძლიერე სწამს, ვინაიდან ეს მისივე ძალა და სიძლიერეა, ვინც ყველა გზაზე ლოცვით აცილებს და ყველა გზას ულოცავს ხოლმე.

ვნების კვირის შაბათი იყო. გვიან საღამო. ადამიანთა და მეგობართა გულგრილობით, სახლისა და გულის სიცარიელით დათრგუნულმა (სონეჩკა გადაიკარგა, აღარც ვალოდია გამოჩენილა), ალიას ვუთხარი:



— ალია! როცა ადამიანებს ხალხი ჩვენსავით მარტო მიაგდებს, — ღმერთი არ უნდა შევაწუხოთ მათხოვრებით. ასეთები უჩვენოდაც ალბათ ბევრი ჰყავს! ამიტომაც არსად არ წავალთ, არც ეკლესიაში და არც ქრისტე აღსდგას ვიტყვით — დავწვებით და დავიძინებთ — როგორც ძაღლები!

— კი, კი, ცხადია, ჩემო მარინა! — მღელვარედ და დაბეჭდვით ატიტინდა ჩემი ალიაც, — ჩვენისთანებთან ღმერთი თვითონ უნდა შემთვლეს! იმიტომ რომ ჩვენ მორცხვი, მორიდებული მათხოვრები ვართ, ხომ მართალია? არ გვინდა უქმე ჩავუშხამოთ.

მორცხვები თუ არამორცხვები, ძაღლები თუ არა ძაღლები, ეს კია, მყისვე დავწეჭით ჩვენს ერთადერთ, მოსამსახურის ყოფილ ლოგინზე, ვინაიდან სამზარეულოში ვცხოვრობდით მაშინ.

ახლა ცოტაოდენ უნდა ავიხსნათ ჩვენი სახლი. საცხოვრებელი ბინა ამ ორსართულიან სახლში მეორე სართულზე იყო, თუმცა თვით ბინა სამი სართული გამოდიოდა, რატომ და როგორ — ვერ ამიხსნია, მაგრამ ასე კი იყო: ქვემოთ ბნელი წინა ოთახი, ორი ბნელი დერეფანი, ბნელი სასადილო, ჩემი და კიდევ საბავშვო ანუ ალიას დიდი ოთახი, ერთი მეორის თავზე ორი სხვენი, ისე რომ — ოთხი სართული გამოდიოდა.

ყველაფერი ვეებერთელა და ხალვათი იყო, მოშუღელი და უდაბური, სივრცესა და სიცარიელეზე გამრავლებული, ყველაფერზე კი ბატონობდა სხვენი, მეორე სხვენზე ჩამომავალი და იქიდან თვისი ელფრის მიმცემი მთელი სამყოფელისთვის ყველაზე შორეულ და თითქოსდა მალულ კუნჭულე-ბამდე.

1919 წლის ზამთარში, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ — ალიას, ირინასა და მე — ხან მზით, ხან მთვარით და ხან კი — როცა მიღები გასკდა — წყლით გავსებულ სამზარეულოში გვედო ბინა, სადაც უზარმაზარი ქურა იდგა, და-ლაქავებული გასაწები ქაღალდებით რომ ვახურებდით, დარჩენილს მცირე ხნით შემოფრენილ მდგმურისაგან (მდგმურები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, იუმც მთელ ქონებას კი გვიტოვებდნენ: ვინ — გასაწებ ქაღალდს, ვინ — ხუთ ათასამდე ფურცელს გაფუჭებული პორტრეტისა... ვინ კიდევ — ფრენ-ჩებს და გალიფეებს... ეს ყველაფერი კი — მტკრით დაფარული — ფერცვალ-დებოდა — ვინემ ქურაში დაიწვებოდა).

მაშასადამე, ვნების კვირის შაბათი ღამის თერთმეტი საათია. ალიას — ისევე ჩაცმულს სძინავს, მეც ჩაცმული ვწევარ, მაგრამ არ მძინავს, ვწევარ და ჩემს სიცოცხლეში პირველი, ქრისტე აღსდგას-ს გარეშე აღდგომის სიმწრის ცეცხლით ვიწვი, ჩემი ძალღური მარტობით... მე, რომელმაც მთელი ზამთარი ასე ვიწვალე: აქ შვილებიო, რიგებიო, ფქვილზე სადღაც გამგზავრებაო, სადაც კინალამ თავი წავავე, ნაცსახკომში მუშაობაო, შეშის ჩეხვა და ქურის დანთება, სამი პიესა — მეოთხეს უკვე საცაა ვიწყებ — ამდენი ლექსი — ისიც ასეთი კარგი — და ძაღლიც კი არა...

და უცბად — კარზე კაკუნი, მოკლე, მსუბუქი, მკვეთრი, ვითარც ბრძანე-ბა. ავდექ ერთბაშად, ხელ-ფეხ გაუშლელმა — დაგორებული ბელტივით გა-ვირბინე ჩაბნელებული სამზარეულო, კიბე, წინა ოთახი, ხელის ფათურით მი-ვაგენ ურდულს. ზღუბლზე ვალოდია დგას: ვცნობ მისი გამიჯნულობით სიბ-ნელეშიც და სიბნელიდანაც.

— ვალოდია ხართ?



— მე ვარ, მარინა ივანოვნა, ცისკრის წირვაზე წასასვლელად შემოვიარეთ.

— შემოდით, ალიას გავაღვიძებ.

ზემოთ, ჩურჩულით (ვინაიდან დიდი საიდუმლოა, ვინაიდან ქრისტე ჯერ კიდევ არ აღმსდგარა):

— ალია! ადექი! ვალოდია მოვიდა და ცისკრის წირვაზე უნდა წავიდეთ.

ხელით ვუსწორებ და მეც ვისწორებ თმას სიბნელეში. ატატებული, სირბილით ჩამყავს ღამეზე უფრო ბნელ კიბეზე...

— ვალოდია, აქა ხართ ისევ?

სასადილოდან:

— მგონი, აქა ვარ, მარინა ივანოვნა, ისე ბნელა — ჩემს თავსაც ვეღარ ვპოულობ.

გარეთ გავდივართ.

ალია იმ სიჩქარეში დაწყებულ სათქმელს ამთავრებს:

— ხომ ვთქვი, მარინა, ღმერთი თვითონ მოვა-თქო ჩვენთან. მაგრამ ღმერთი რაკი სულია და ფეხები არ აქვს, თან შიშით გული არ გაგვხეთქოდა მის დანახვაზე...

— რაო? რას ამბობს? — ვალოდიას ხმა.

ჩვენ უკვე ქუჩას მივყევით.

— არაფერია, — დარცხვენით ვამბობ, — სძინავს ისევე...

— არა, მარინა, — ქვემოდან წვრილი, მკაფიო ხმა, — სულაც არ მძინავს: რაკი ღმერთმა თვით ვერ შეიძლო ჩვენთან მოსვლა, ვალოდია გამოგვიგზავნა, რომ უფრო მეტად გვერწმუნა მისი. ხომ მართალს ვამბობ, ვალოდია?

— მართალს, ალია.

ბორისისა და გლეხის საყდარი: ჩვენი საყდარი, სეფისკვერივით თეთრი და მრგვალი. ამ საყდრის წინ სწორედ წირვის დროს მთელი ზამთარი სალდათებს ავარჯიშებდნენ. შიგ — მსახურება, გარეთ მარში ანუ იგივე მსახურება. თუმცა ახლა სალდათებს სძინავთ.

საყდარში თბილა, ხალხისა და ანთებული სანთლების ზღვაა. გალობს ქალების გუნდი, გალობს წვრილად, მთელი მონდომებითა და უძალობით, გულს დაგიმძიმებს — ისე წვრილად — სადაც წვრილია, იქ წყდება ხოლმე — ისე წვრილად, თბიქოს ბეწვია — როგორც ერთმა პროფესორმა თქვა: „თავზე ერთი ბეწვი მაქვს, სამაგიეროდ სქელი ბეწვი...“ ღმერთო შემიხდე! ღმერთო შემიხდე! ღმერთო შემიხდე!.. ამ მღვდელს ვიცნობ: ამას წინათ ხატობა ღღეს მოსულ კათალიკოსთან ერთად სწირა — კათალიკოსი შავი ეტლით მობრძანდა, სახენათელი, ღონმიხდილი... ალია პირველი მიეჭრა და ხელზე ემთხვია, იმანაც ჯვარი გადასახა...

— წავიდეთ, მარინა ივანოვნა?

ხალხს გამოვყევით — დედაბრებილა დარჩნენ შიგნით.

— ქრისტე აღსდგა, მარინა ივანოვნა!

— ჭეშმარიტად, ვალოდია!

ალია ვალოდიას მოჰყავს, მაგრამ ბავშვებს მიუჩვეველს არც მხრებზე უზის და არც მკლავზე — გაწვდილ ხელებზე უწევს. ალია ცას შესცქერის.



— ალია, როგორ ხარ?

— დიდებულად! პირველად მოვდივარ ასე — საბას დედოფალივით ტახტრევანზე მისვენებული!

ვალოდია დუმს, ასეთ პასუხს არ მოელოდა.

— მარინა, ჩემთან მოდით, მინდა რაღაცა გითხრათ! არ გაიგონოს, ვინაიდან — დიდი ცოდვაა. არა, არა, ნუ გეშინიათ, რომ გგონიათ, ის არაა! ღმერთს არ მოეწონება, თორემ ყოვლად წესიერია.

მივედი.

— მარინა! — ხმამალალი ჩურჩულით, — მონაზვნები იმ ბუხებშივით არ მღეროდნენ, ობობა რომ სისხლსა სწოვთ ხოლმე? ღმერთო შემინდე! ღმერთო შემინდე! ღმერთო, შემინდე!

— რას ამბობს?

ალია წამოიწია:

— მარინა! არ გაიმეოროთ. ვალოდიაც არ შევაცდინოთ! ვინაიდან ეს ფიქრი ეშმამ ჩამაგონა, — ვაიმე, ღმერთო, ეს რა თქვი ისევ! რა საძაგელი სიტყვა წამომცდა!

— დაწყნარდი, ალია! — ვალოდია მე მომიბრუნდა: — მუდამ ასეა?

მე:

— დაბადებიდან.

— უკვე შინა ვართ, შენ ახლა დაიძინებ, ხოლო დილას რომ გაიღვიძებ...

ხელში რაღაც მუჭი უჭირავს, თუმცა მაინც ჩანს, რომ კევრცხია.

ალია უკვე ლოგინში წევს. ჩვენ გასასვლელ კარებთან ვდგავართ.

— მარინა ივანოვნა, ალია არ გაიღვიძებს?

— არა, არ გაიღვიძებს.

გამოვდივართ. პრეჩისტენკის ბულვარს მივყევებით მდინარისაკენ. რომელიღაც სანაპიროზე (ეს ყოველივე თითქოს სიზმარში ხდება) — წყალს დავყურებთ... ახლაც კი, როცა ამას ვწერ, ასე მგონია, ზედა ნეკნებით კვლავ ისევ ვგრძნობ ქვის მოაჯირს, რომელზედაც ორივენი ისე უცნაურად გადავწოლილვართ, თითქოს დანახვა გვინდა — რისი? წარსულის? მომავლისა? თუ იმისა, რაც ამ წუთს ჩვენს გულში ხდება?

ეს იყო მოაჯირების, ხიდების ღამე, თვალთ სულ რაღაცას ვეძიებდით — და რომ ვეღარ მოვიძიებდით — მეორე სანაპიროზე, მეორე ხიდზე გადავდიოდით, თითქოსდა სადღაც იქნებოდა ის ადგილი, საიდანაც ყოველივე უცბად ნათელი გახდებოდა, ყოველივე გაირკვეოდა... ან იქნებ — ყველაფერ ამას — წყალს, ხიდებს, ჯვრებს — ერთად ვეთხოვებოდით? ასე მგონია (ან იქნებ მესიზმრა მხოლოდ). რომ ერთ-ერთ ასეთ სათვალთვალზე პავლიკი შეგვხვდა. იქიდან უკვე მომავალი. იქნებ ჩვენსავე ისიც რაღაცას დაეძებდა. (1919 წლის იმ აღდგომა ღამეს მთელი მოსკოვი ფეხზე იდგა, დაახლოებით იმ ადგილებში — კრემლის ახლოს — დატრიალებდა).

ან იქნებ ერთმანეთს — ვეთხოვებოდით? თუ რა ვთქვით, რაზე ვილაპარაკეთ იმ გრძელ ღამეს, იმზომ მრავალი საათით ერთად ყოფნისას — ღამის პირველ საათზე რომ გამოვედით, გაზაფხულის გვიანი რიყრაყის შუქზე დაე-



ბრუნდით — რა ვთქვით, რაზე ვილაპარაკეთ — აღარ მახსოვს. მთელი ეს ღამე იყო ეესტი — მისი ჩემდამი. აქტი — მისი ჩემდამი.

იმ ღამეს, ერთ-ერთ იმ ადგილზე, ერთ-ერთ იმ მოაჯირთან, ჩემთან გვერდიგვერდ მდგარმა კლდისებრ ურყევად მან გადაწყვიტა ის, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მე კი მთელ საუკუნედ — მეგობრობისა, რომლის ერთი საათისათვის, აქსაკოვის თქმისა არ იყოს, მთელ ჩემს დარჩენილ მიმქრალ დღეებს არ დავიშურებდი...

როგორ დაიწყო? (რამეთუ ახლა იმ ხიდეების მიუხედავად — მაინც დაიწყო).

ალბათ შემთხვევით, ბედნიერი და in den sternen gerschribenen<sup>1</sup> შემთხვევის მეოხებით სონიას მოსვლა — მისას დაემთხვა.

— როგორ, თქვენც აქ ხართ, ვალოდია? თქვენც მარინასთან დადიხართ ხოლმე? მარინა, უკვე ვეჭვიანობ! მაშ უჩემოდ მარტო არა ხართ?

— თქვენ რა, მარტო ხართ, როცა ჩემთან არა ხართ?

— მე! მე — რა საკითხავი ვარ, მე ყველასთან ვზივარ, სიკვდილის ისე მეშინია, როცა არავინაა და არც არავინ უნდა მოვიდეს — ასეთი საშინელი წუთებიც არის! — ღამის საბურავზე კატასთან ავძვრე, ოღონდაც მარტო არ ვიყო, ოღონდაც მარტოს არ გამძვრეს სული! ვალოდია, აქ რას აკეთებთ?

— რასაც თქვენ, სოფია ევგენიევნა.

— მაშასადამე: მარინა გიყვართ. ვინაიდან მე აქ არაფერ სხვას არ ვაკეთებ და საერთოდ ამქვეყნადაც — არ ვაკეთებ. არც ვაპირებ გავაკეთო. და არც მინდა, სხვამ — ხელი შემეშალოს.

— მაშინ წავალ, სოფია ევგენიევნა. წავიდე, მარინა ივანოვნა?

— არა, ვალოდია.

— მაშ მე წავიდე? — სონეჩკამ გამომწვევად.

— არა, სონეჩკა. (ერთხანს დუმილი.) იქნებ თავად მე წავიდე, ბატონებო?

სიცილი ამის პასუხად.

— მაშინ, მარინა, ისე მოვიქცეთ, ვითომც არც იყოს. მარინა! იურასგან მოვდივარ თქვენთან: წარმოიდგინეთ, ყბა ისევ გაუსივდა!

— მაშასადამე, ლექსი უნდა დავუწერო. იცით, სონეჩკა, მისადმი ჩემი პირველი ლექსი:

**Bea tenebreux,<sup>1</sup> დაღვრემილი და ავადა ხარ:**

არაფრად არ ღირს ეს ქვეყანა — კბილი აგტკივდათ!

ღაწვის ნიჟარას ფარავს ფულიარი — შავი, ვით ღამე...

— ფუ-ლიარი? კუბოკრული? შავი ლურჯით? ეს ხომ ჩემი ნაჩუქარია — ჯერ კიდევ ერთი წლის უკან! კარგად მახსოვს, ყელსახვევი მეხვია მაშინ — ძალიან მიყვარს ყელსახვევები, ის კი ყველაზე მეტად მიყვარდა! — მივედი მასთან — ყბა ჰქონდა გასივებული — ჰოი, როგორ მიყვარს ავადმყოფები! მეტადრე ღამაზები — მაშინ კეთილნი არიან ხოლმე... (დუმილი.) ლეოპარდი რომ სულსა დაფავს, სიკეთით სავსეა თურმე! — მას კი ისეთი საშინელი რა-

<sup>1</sup> ვარსკვლავთა მიერ დაღვრემილი (გერმ.).

<sup>1</sup> ქუშო ღამაზო შაშაყაუო (ფრანგ.).



ლაციო ჰქონდა ყბა ახვეული — გადიის მონაქსოვით — გაფიქრებაც ვერ მო-  
ვასწარი, რომ... მერე სინანულით კინაღამ მოკვდი: მამას ფულიარი იყო, მა-  
მაჩემისგან კი ისე ცოტა რაღაცა დამრჩა...

— ვინდით წავართვა? ან მოეპარო?

— რას ამბობთ, ახლა ძალიან უყვარს: ყოველ გასტუმრებაში იმით  
იხვევს!

ვალოდია, ჩაფიქრებით:

— ფლიუსს ინტელიგენტური ავადმყოფობა ვერ დაერქმევა, სოფია ევ-  
გენიევნა.

— რა? აი, სულელი!

ვალოდია კვლავ ისევ:

— ვინაიდან ეს კბილების მოუვლელობის მიზეზია, კბილების მოუვლე-  
ლობა კი ჩვენს ხანაში...

— ჯანდაბაშიც წასულხართ, აი, თუნდაც კბილის ექიმთან! „ინტელიგენტუ-  
რი ავადმყოფობა ვერ დაერქმევა!“ თითქოს არსებობს ინტელიგენტური ავად-  
მყოფობაც. ავადმყოფობა — იგივე ბედისწერაა: ადამიანი ხომ რაღაცისაგან  
უნდა მოკვდეს, თორემ მარადიულად იცოცხლებდა. ავადმყოფობა — ბედის-  
წერაა, მუდამაც ასე იყო, თქვენი ინტელიგენტობა კი ფუშინ დაიწყო და ხვალ  
გათავდება. დღეს — გათავდა. ვერ ხედავთ, როგორ ვცხოვრობთ? მარინამ ხე-  
ლით უნდა ამტკრიოს წითელი ხის კარადა ერთი ჯამი ფეტვის მოსახარშავად.  
თქვენი ინტელიგენტობა აი ეს არის!

— მაგრამ მარინა წითელი ხის კარადის მტვრევის დროსაც ინტელიგენ-  
ტი ქალი რჩება!

— რაც არასოდეს არ ყოფილა. მარინა, ხომ არასოდეს არ ყოფილხართ  
ინტელიგენტი?

— არასოდეს. ძილშიაც არა.

— ასეც ვიცოდი, ვინაიდან ეს ყველაფერი: ლექსები, თვითონ მარინა,  
ლურჯი ფარანი, მელას ფიტული — ჯადოსნურია და არა ინტელიგენტური.  
მარინა და — „ინტელიგენტი!“ ამის თქმა ისეთივე სისულელეა, როგორც  
„პოეტი ქალი“. და საძაგლობა! ვაი, რა ბრიყვი ვინმე ყოფილხართ, ვალოდია,  
რა ბრიყვი ვინმე!

— ეს წუთია, სოფია ევგენიევნა, ბრიყვი მიწოდეთ, წელან „სულელი“ —  
ბრიყვი კი სულელზე უფრო ცოტაა, ისე რომ... შთაბეჭდილებას ბევრად ამ-  
ცირებთ...

— თქვენ კი ბევრად უფრო მამრებდით. ვინაიდან ძალზე მაჯავრებს თქვენი  
აქ ყოფნა, მარინასთან ნეტა რა დაგრჩათ, თქვენ ხომ მსახიობი ხართ, თქვენი  
ადგილი სტუდიაშია... (დუმილი) მე არ ვიცი, რას წარმოადგენთ მარინასათ-  
ვის, მაგრამ მარინას მე უფრო მეტად ვუყვარვარ. არა, მარინა?

ავიღე და ხელზე ვაკიცე.

— ხომ გითხარით — უფრო მეტად ვუყვარვარ-მეთქი. იმიტომ, რომ  
მარინას თქვენთვის ხელზე არ უკოცნია ხოლო თუ კიო, იტყვიან...

ვალოდია:

— სოფია ევგენიევნა!!

— შეეცოდეთ და ალბათ იმიტომ, ვინაიდან — მამაკაცა ხართ, უტყვი  
არსება, საგანი არასულიერი, ერთადერთი არასულიერი გრამატიკაში. განა



არ ვიცი, ხელზე როგორაც გვოცნით ხოლმე. ამის თაობაზე ერთხელ და სა-  
მუდამოდ თქვა მარინამ: „ტა-ტა-ტა... შემინდე ცრემლი — ვაებავ და ღვრე-  
ბავ ჩემო!“ ოღონდ ჭერ ღვთაება და მერე ვაება! ხომ, მარინა! — ლამის ტი-  
რილით, — არადა, მე რომ ვთხოვო, მარინა გარეთ გაგაგდებოდა ხომ ვაუზა-  
დებო?

გინებოდა

მე მეორე ხელზე ვაკოცე:

— არა, სონეჩკა.

— ხოლო თუ არა, მხოლოდ იმიტომ, ზრდილი ქალია, საზღვარგარეთ  
გაზრდილი ქალი, მაგრამ გულში კი — უკვე გაგაგდოთ, რა წამსაც მე შემო-  
ვდი. და ძალიან ვთხოვთ, მანდ ნუ ზიხართ, იმიტომ, რომ ეგ ადგილი მხო-  
ლოდ ჩემია.

— სონეჩკა, დღეს მართლა ქაჯად გადაიქცეით!

— აბა გეგონათ, სულ აბრეშუმში და ხავერდი, შოკოლადი და კრემი ვარ  
სხვებთან, როგორც თქვენთან? ოპოპო. ხომ გითხრათ ჩემზე ვახტანგ ლევა-  
ნოვიჩმა, ალქაჯიანო. და ვარ კიდევ. ყოველ შემთხვევაში — ახლა გავქაჯდი.  
შეგიძლიათ გრამაფონი დაატრილოთ?

— შემიძლია, სოფია ევგენიევნა.

— მაშინ მომართეთ, პირველი რაც ხელთ მოგხვდებათ, ის დადევით.  
რომ ჩემი ხმა მე თვითონ ვერ გავიგონო.

პირველი, რაც ხელთ მოხვდა, ჰუნოს „Ave Maria“ იყო და მე ვიხილე  
სასწაული: მუსიკის ჯადო ქაჯად ქცეულზე, ვინაიდან ვალოდიას მოსვლის წა-  
მიდან კატასავით გააფთრებული, ბეწვებაშლილი და ბრჭყალებმომარჯვებუ-  
ლი ჩემი სონეჩკა ჭერ განცვიფრებულ თვალებად იქცა, ჩვენ რომ ველარ  
გვხედავდნენ, და ამ განცვიფრების პასუხად მერე — ცრემლების ღვარად.

— ღმერთო დიდებულო, ეს რაა, ეს ხომ ვიცი — თითქოს სამოთხეში  
ვარ!

— „Ave Maria“, ჩემო სონეჩკა!

— კი მაგრამ, გრამაფონში ამას რა უნდა? მე მეგონა, გრამაფონი ეს—  
„აბაშების ცეკვა“ ან უკიდურეს შემთხვევაში — ტანგოა მხოლოდ.

— ეს ჩემი გრამაფონია და ყველაფერი ეხელწიფება. ვალოდია, ფირფი-  
ტა გადააბრუნეთ.

ფირფიტის მეორე მხარეს გლინკას რომანსი იყო: „ო, ნუ მაცთუნებ  
ცუდუბრალოდ“. უკრავდა მარტო ვიოლინო, უსიტყვებოდ, მაგრამ სიტყვებ-  
ზე უფრო აშკარად და უფრო სავსედ მაინც გესმოდა ბარატინსკის უკვდავი  
ლექსი.

— მარინა! ესეც ვიცი! ამას მამა უკრავდა, როცა ჭერ კიდევ ავად არ  
იყო... ჩემს ბავშვობაში ამ სიმღერაზე ვიძინებდი! „ო, ნუ მაცთუნებ, ცუდ-  
უბრალოდ“... რა საოცარი სიტყვებია! „ცუდუბრალოდ!“ ამას აქ არაეინ ამ-  
ბობს, ამას მხოლოდ იქ ამბობენ, სადაც უკვე აღარაფერი აღარ გვჭირდება,—  
ანუ სამოთხეში! მარინა, ახლა მე სამოთხეში ვარ, ახლა ჩვენ ყველა სამოთხეში  
ვართ! მელაც სამოთხეშია, მგლის ტყავიც, ფარანიც და გრამაფონიც სამოთ-  
ხეშია..!

— სამოთხეში კი, სოფია ევგენიევნა, — ვალოდია ხმადაბლა ამბობს,—  
ეჭვიანობა არ არსებობს, სამოთხეში ყველამ ერთმანეთს ყველაფერი შეუწ-  
დო და აპატია, რაკი ნახეს, საპატიებელი და შესანდობი არცა აქვთ რამე.



ვინაიდან დანაშაულიც — არ ყოფილა... და არც ადგილუფროსობა. ყველას თავისი ადგილი აქვს. ახლა კი წავალ, მარინა ივანოვნა!

სონეჩკა ტირილით:

— არა, არა, ვალოდია, არასდიდებით, როგორ იქნება მართლაც წახვიდეთ — წახვიდეთ მარინასგან — ასეთი მუსიკის შემდეგ... — ~~მეტიერ დუძღლის მერე ძლიერ გასაგონად: — და ჩემგანაც...~~ თავს ვერასდროს ვერ ვაპატიებ დღევანდელ ჩემს საქციელს, რადგან მეგონა, რომ ფუტურო სილამაზე გაქვთ — და მარინასთან იმად მოდიხართ, რომ მან ლექსი მოგიძღვნათ, თქვენ კი მერე დაიტრაბახოთ!

— მარინა ივანოვნას ჩემთვის სტროფიც არ მოუძღვნია. ხომ მართალია, მარინა ივანოვნა?

— მართალია.

— მარინა! მაშ ეგ — არ გიყვართ?

მე ვითომ ხუმრობით:

— ისე მიყვარს, ლექსებშიაც ვერ გამომიტყვამს.

— იურაზე მეტად თუ უფრო ნაკლებ?

ვალოდია:

— სოფია ევგენიევნა!

სონია:

— დაივიწყეთ, რომ აქა ხართ: ეს მე ახლაც უნდა გავიგო.

მე:

— ვალოდია ჩემი მეგობარია, მეგობარი ჩემი მთელი სიცოცხლის, იურა კი ერთი წუთითაც ჩემი მეგობარი არ ყოფილა, ვალოდიას პირველი წუთიდან ვალოდია დავუძახე, იურასთვის იურა ერთხელაც არ დამიძახნია, მხოლოდ ბრჭყალებში და ისიც — ზურგს უკან.

სონეჩკა ჩაფიქრებით, გატანჯულად:

— არა, მეტად თუ უფრო ნაკლებ? მეტად თუ უფრო ნაკლებ?

— ვალოდია — გაცილებით უფრო მეტად. — და მორჩა.

— ახლა მართლა წავედი, მარინა ივანოვნა.

მას აქეთ ასეც წაეწყო. როგორც წინათ არასოდეს არ შეხვედრიან ჩემთან ერთმანეთს, ახლა მუდამ ხვდებოდნენ ხოლმე, იქნებ იმიტომ, რომ წინათ ვალოდია იშვიათი სტუმარი იყო, ახლა — ყოველ მეორე საღამოს ჩემთან იჯდა, ბოლოს — ყოველდღე — ვინაიდან საქმე — მათთვის გაუთვითცნობიერებელ, მაგრამ ჩემთვის გაცნობიერებულ დასასრულისკენ მიდიოდა.

გამგზავრება დაიწყო — ირინადან.

— სოფელში უნდა გამატანოთ, ქალბატონო, — ხომ ხედავთ, როგორ დაჭირიანდა... იქ სოფლის რძე გვაქვს... კარტოფილი გაუყინავი, პურიც უკირო. ირინას — აი, ასეთს ჩამოგიყვანთ!

მზე ანათებს სამზარეულოს ორივე ფანჯრიდან, ჭოკივით გამხმარ ვლადიმირელ ნადიას მკლავზე გამოპრანჭული ირინა უზის. წინ სონეჩკა დგას — გამოსათხოვრად შემორბენილი.

— აბა, ირინა, დიდი გოგო გაზრდილიყავი, ლამაზი და სვებედნიერი!

ირინა ეშმაკური ღიმილით:

— გალიდაა! გალიდაა!



— ლოყები წითლად გიღუოდეს, თვალებს ცრემლი არ ენახოს, რაზეც ხელი წაგველოს — არ გაგშვებოდეს, ფეხებს სირბილი შეძლებოდეს... არ წაექციო...

ირინა, ვისაც ცრემლი არ უნახავს, ყოველ შემთხვევაში, უბოდიშოდ ხელს უფათურებს სონიას თვალებზე, ცრემლების ბაშკებს უნდა...

— სვეელი... სვეელი... თალები სვეელი...

— კი, სველია, ვინაიდან — ცრემლებია... ჰო, ცრემლები. ოღონდ არც გამეორება და არც ცოდნა, ჩემო კარგო, არ გინდა ამის.

— სოფია ევგენიევნა, სადგურზე არ დაგვაგვიანდეს, მე და ირინა ფეხით უნდა წავიდეთ, საათზე მეტი გვინდა გზაში.

— კი კი, გადია, ცოტა მოიცა, ნეტა ისეთი კიდევ რა ვუთხრა, რომ გაიგოს? ჰო, გადია, უთუოდ ღმერთს შეეხვეწოს ყოველ დილა-სალამოს: ღმერთო, უშველე და დაიფარე მამა, დედა, ალია, გადია...

ირინა:

— გალიდაა! გალიდაა!

— ჰო, გალიდაც, ვინაიდან სონია მას ჩემთვის არასოდეს დაუძახნია, მე კი არ მინდა დამივიწყოს, მე ხომ შენსავით ჯერ ბავშვი არ მყვარებია. — ჰო, გალიდაც. (ღმერთი თვითონ მიხვდება!) — გადია, ხომ არ დაგავიწყდება?

— რას ბრძანებთ, სოფია ევგენიევნა, ირინა თვითონ მომაგონებს, ყურებს გამიხვრეტს გალიდათი...

თითქოს რაღაც გაიგო, ირინა გასაოცარი გზნებით:

— გალიდაა, გალიდაა, გალიდაა, გალიდაა... — და უკვე აშკარა გამოჩევრებით: — დალიგაა, დალიგაა, დალიგაა...

— ირინა! ბაბა-იაგა არა თქვა ახლა! თქვენ კი ამბობთ, არ მინდა დამივიწყოსო! ახლა მთელი გზა ენას არ გააჩერებს. აბა, მშვიდობით, სოფია ევგენიევნა, თორე მართლა დავიგვიანებთ!

— ჰო, ჰო, მშვიდობით, ჩემო გოგონი! აბა თათუნა მომე... მეორე თათიც... ახლა ფეხი... მეორე ფეხიც..., თვალი, მეორე თვალი, შუბლი და მორჩა, ვინაიდან ტუჩებში კოცნა არ შეიძლება და არც არავის არ აკოცნიან. გადია, ასე უთხარით — ქალბატონმა ამიკრძალა-თქო. აბა მშვიდობით, ჩემო გოგონი! — პირჯვარი სამჯერ გადასახა. — ლოცვისას ღმერთს შენზეც შევევედრები. მოიკეთე, საღსალამათი დაგვიბრუნდი, ლამაზი, ლოყაწითელი! გადია, ირინას გაუფრთხილდით!

აქვე ვიტყვი, რომ ირინას თავისი გალიდა, ხოლო გალიდას თავისი ირინა აღარასოდეს აღარ უნახავს. ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრის დღე, 1919 წლის 7 ივნისი.

მაგრამ დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ ირინას, ორი წლისა და სამი თვისა რომ დატოვა ჩემმა სონეჩკამ, თავის გალიდა ისევ ახსოვდა, რაიც ალიას 1919 წლის ნოემბრის ჩანაწერიდან ხდება ცხადი:

„ჩვენი ერთი ნაცნობი ქალი, სოფია ევგენიევნა გოლიდელი, ვინც ამჟამად მოსკოვში არ იმყოფება და ვისაც პირში სონეჩკად, პირს უკან კი სონეჩკა გოლიდელი ვიხსენიებდით, ირინამ ძალზე შეიყვარა. სონია ადრეც ხშირად წასულა, ირინას კი სულ ახსოვდა და ახლაც იხსენებს ხან სიტყვითა და ხან სიმღერით: გალიდა და გალიდაო!“



— ვალოდია, მარინასთან სამზარეულოში არ ყოფილხარ?  
 — არა, სოფია ევგენიევნა. თუმცა ერთხელ კი ვიყავი, ალბომი დღეს.  
 — ღმერთო, როგორ მებრალებით! მაშ ირინა არასდროს უნახავთ?  
 — არა, სოფია ევგენიევნა, თუმცა ერთხელ, სწორედ მაშინ, როდესაც პოლონ-  
 დაც ეძინა უკვე.

— ღმერთო ჩემო, შეიძლება კი ქალს ემეგობრო და არ იცოდეს, მის  
 შვილს რამდენი კბილი ამოუვიდა? თქვენ ხომ არ იცით, რამდენი კბილი აქვს  
 ირინას?

— არა, სოფია ევგენიევნა.

— მაშასადამე, ჭკუით მეგობრობთ, მხოლოდ მარინას თავთან მეგობ-  
 რობთ. ღმერთო ჩემო, ერთი თავი ვის ჰქონდა ნეტა?

— მე და თქვენ, სოფია ევგენიევნა.

— აი, ბრიყვი! მე ვთქვი: მარტო თავი-მეთქი, სხვა არაფერი... აჰ, ეს ხომ  
 „რუსლან და ლუდმილაშია“!.. ასეთი მეგობრობა გულს ნამდილად გამიყი-  
 ნავდა! ყინულის სახლში მომაქცევდა... რა ბედნიერი ქალი ვარ თურმე! მე  
 ქვედა მარინაც მყავს, ბროლის მარინა, კიდევ ფარნის ლურჯი სინათლის,  
 როგორც წყლის ქვეშ, ვინაიდან — აქ ზღვის ფსკერია, ყველა სტუმარი კი —  
 ურჩხული ვიღაც! — და ზედა მარინაც, ჭურასთან რომ ხან ფეტვს ხარშავს,  
 ხან ნაჯახი უჭირავს ხელში, ვისაც ყავისფერი კაბის ქობა მტვერში მოსვრია,  
 რომელსაც აი, ვკოცნი! ვისაც პატივს ვცემ და ვეთაყვანები! მხოლოდ ეს ორი  
 არის მარინა, ყველა ესენი არის — მარინა, ვინაიდან მე თქვენ მარტო სასახ-  
 ლეში, მარტო კოშკში არ გხედვთ ხოლმე, ჩემო მარინა...

— მოცლილობის დრო იქაც ალბათ ფარას ვწყემსავდი...

ვალოდია:

— და ალბათ ხმებსაც — ისმენდით.

მისი და ვალოდიას დამოკიდებულების დასაწყისმა გუმანით მიმახვედ-  
 რა, რად არ უყვარდათ იგი კაცებს. ვინაიდან, თუკი ვინმე ვერ გაუგებდა,  
 სიტყვას შეუბრუნებდა, საკუთარ აზრს გამოთქვამდა, თუნდაც უბრალოს,  
 მყის — ბრიყვო! მიახლიდა. თითქოს ეს სიტყვა მუდამ პირზე ადგა ხოლმე  
 და ნიშანს ელოდა. — რის მიზეზადაც ყველაფერი და ყოველივე გამოდ-  
 გებოდა. მასთან მოთმინება, არშემჩნევა იყო საჭირო — ვალოდიას მოთმინება  
 და არშემჩნევა.

სონეჩკას მუდამ მარჯვნივ, პოვარსკაისკენ მივაცილებდი, რომელსაც უკვე  
 რიჟრაჟი ადგა. სონეჩკა მაშინ ჩემთვის იყო ნარიჟრაჟევი პოვარსკაია, თეთრი  
 ქუჩა უღუქნებოდ, მდინარის მსგავსი, თითქოს მარცხენა მხარე არ არსებობ-  
 და, მარცხენა მხარე, ჩემს სახლს არ ჰქონდა.

მარტო ერთხელ მოხდა სხვარიგად: ღამე იყო, და უცებ თავში გამიელ-  
 ვა, სონეჩკას ჩემი შადრევანი ჯერ არ ენახა. მისთვის ჩემი შადრევანი ჯერ  
 არ მეჩუქნა.

უკაცრიელ პაწაწკინტელა მთვარიან მოედანზე — დღე რომ ძაღლების  
 მოედანი ერქვა სახელად, ახლა კი სევილიისად ქცეულიყო და სადაც სული-  
 ერი მხოლოდ ფერხულში ჩაბმული პატარა ხეები იყო, კიდევ ვერცხლის



წვრილი ნაკადი, ორმაგი ვერცხლის — ხედვის თუ სმენის — შეერთებულად...



— შადრევანია, ხომ, მარინა!

— მარინას შადრევანი! რადგან პუშკინმა ამ სახლში წაუკითხა მისი კინს თავისი „გოდუნოვი“.

— გოდუნოვი არა, დონ-ჟუანი კი ძალიან მიყვარს. ოი, რა მრგვალია აქ ყველაფერი, რა მრგვალი, მრგვალი!

და თითქოს — ქარმა გააფრინაო, — თითქოს ტალღამ გაიტაცაო — ფეხებისა და უხმარებლად — შუა მოედანზე გაჩნდა იგი.

აგერ, ასწია მკლავი ვითომ უჩინარ, ძალზე მაღალ მოცეკვავის მხარზე ჩამოსადებად, მინდობილად ვითომ ჩაუდო ხელში მარცხენა ხელი, ოდნავ გადაიხარა თავისი მეწყვილის უჩინარ მარცხენა მკლავზე, წამოიწია ფეხის წვერებზე, რადგან არ ეცვა ქუსლიანი ფეხსაცმელები, დააფრიალა თეთრი კაბა თავისა და ჩემ გარშემო... და შადრევანს ცეკვა-ცეკვით შემოუარა, თითქოს შადრევანი ურნა იყო, თითქოს ურნას, თითქოს სიკვდილს ცეკვით უვლიდა...

### Das Mädchen und der Tod<sup>1</sup>.

— მარინა, ყველაფერი კნინობითი მაქვს, ყველა კნინობითი მყავს: მე-ვობრები, საგნები, კატები და კაცებიც კი — კატენკები, კატუნიები, იუროჩკები, პავლიკები — აგერ ახლა კი ვალოდერკა... თითქოს დიდის თქმა არაფრისა არ შემძლია, მხოლოდ თქვენ მყავხართ — მარინა, ასე ვეებერთელა, ასე გრძელი. ოი, მარინა, თქვენ ხართ ჩემთვის — აღმატებითი.

ხმამალა ფიქრი სონეჩკამ ხშირად იცოდა, რასაც უმაღლესად ვხვდებოდი სადღაც შორს წასულ, საოცრად გაგანივრებულ, თითქოს მძინარე თვალთა წყალობით, როგორც მაშინ, პირველ ნახვისას: „განა არსებობს მსგავსი სიყვარული, მსგავსი ქარბუქი...“

მაშინ გარინდულს და გალურსულს ხმა ერთფეროვანი, უმეტყველო, თვალუბრით მძინარე ჰქონდა, ხმა, რომლითაც — დედები შეიღებს აძინებნენ, შვილები (და ზოგჯერ დედებიც) — თავიანთ თავს, ხოლო თუ ჩემსა და ვალოდიას რეპლიკებზე — პასუხობდა, თითქოს ანგარიშმიუცემლად, უინტონაციოდ, მთვარეულივით. ხმამალა კი არ ფიქრობდა, ხმამალა სიზმრებს ხედავდა.

— ...ვინც არასოდეს არ მყვარებია — ეს ბერია. არ მომზდენია.

— ფუი, სონეჩკა!

— არა, მარინა, მართლმადიდებელ წვერიან ბერს არ ვგულისხმობ, არა, გაბარსულს ანუ კათოლიკეს. სულ ერთია, სულ ახალგაზრდას თუ უკვე ბებერს, უშველებელ, სარდაფივით ცივ მონასტერში რომ მარტო ცხოვრობს, ვინაიდან შეემა ჭირმა ჩამოიარა და მის გარდა ყველა დახოცა, მარტო ის დარჩა — საღვთო საქმეთა საკეთებლად.. მთელი ორდენიდან ის დარჩა, და ეს ორდენი — ისაა ახლა.

— სოფია ევგენიევნა, — ვალოდიას ფხიზელი ხმა, — უკაცრავად, მაგრამ ის თქვენი მონასტერი მთელი ორდენი ვერ იქნება. ორდენი არ შეიძლება მთლიანად გაწყდეს იმის გამო, რომ მონასტერი ამოიხოცა.

<sup>1</sup> ქალიშვილი და სიკვდილი (გერმ.).



— უკანასკნელი ორდენიდან ის დარჩა მხოლოდ, ვინაიდან ყველა მონასტერი ჭირმა გაწყვიტა... ორი ათას სამას ოცდაცამეტი მონასტერი მთლიანად გაწყდა, ვინაიდან შუა საუკუნეებისა და ჭირიანობის ხანა იყო... ხოლო მე კი გლეხის გოგო ვარ, მახურავს თეთრი თავსაფარი, მაკვია ზოლიანი ქვედა კაბა, კორსაყი ჭვარედინად ბაფთებგადაჭერილი, მთელ სთფელზე ცოცხალი მელა დავრჩა—ბერებმა ყველას ჭირი გადასდეს (ოი, მარინა, რა საოცარი შიში მქვს მათი! ანუ კათოლიკეთა: რაღა ჩიტები თუ ჭინკები!) — ჰოდა, მონასტერში მისთვის — რძე დამაქვს: იმ ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ თხისა — და იმ ბერის სენაკის ღირეზე ვდგამ.

— თქვენი ბერი განა რძეს სვამს? — ვალოდია ცნობისმოყვარედ. — ზოგჯერ ხომ მარხვის დღეებიცაა...

— ჰოდა, ერთხელაც რომ მივედი — წინა დღის რძე ისევე დამხვდა. გულის ფანცქალით შევაბიჯე მის სენაკში — ბერი იწვა — მაშინ პირველად დავინახე: სულ მთლად ახალგაზრდა — ან უკვე ცოტა დაბერებული, მაგრამ გაპარსული — და მე იგი საოცრად მიყვარს — ისიც ვიცი, რომ ჭირი ჭირს.

ანაზღად ზე წამოხტა თუ ქვე ჩამოხტა, გამოფხიზლდა.

— არა, ასე არა! თორემ ამბავი დასრულდა და ჩემს შეყვარებას ვეღარც მოასწრებს, ვინაიდან შავი ჭირის დროს სიყვარულისთვის კაცს არ სცალია. არა, ასე არ შეიძლება. ჯერ სიყვარული, მერე — ჭირი! მარინა, რა ვქნა — როგორ გამოვიყვანო?

— ჭირის შეყრამდე უნდა შეხვდეთ, წინა დღეს შეხვდეთ, მის უკანასკნელ ჩვეულებრივ დღეს. დღე არცთუ ისე ცოტა ხანია!

— მაგრამ საიდან მეცოდინება, ხვალ რომ ჭირი შეეყრება? ხოლო თუ არ მეცოდინება, ხომ ვერ ვეტყვი! მე ხომ იმიტომ ვეუბნები, ვიცი, საცაა უნდა მოკვდეს და ისიც მხოლოდ იმიტომ მისმენს, ძალა უკვე გამოლევია.

ვალოდია, ჩაფიქრებით:

— ჭირი სურდოთი იწყება ხოლმე, ცხვირის ცემინებით.

— ეგ — ეჭიმების ჭირია, როცა აცემინებთ, ჩემი — პუშკინისაა, იქ არავის არ აცემინებს, ყველა სვამს და იკოცნებიან. რა ვქნა, მარინა?

— აღსარებაზე მიდით მასთან. და ყველაფერი გაუმზილეთ, ის მოგისმენთ, უნდა მოგისმინოთ. ამას უკვე ცოდვა არ ჰქვია, ეს ქრისტიანული ვალია მხოლოდ.

— ოი, მარინა! მართლა როგორი გენიოსი ხართ! მაშასადამე, სამლოცველოში მივდივარ მასთან — იგი მუხლებზე ლოცვადა დგას — ორდენიდან მხოლოდ ერთი გადარჩენილი — მის წინ ვიჩოქებ.

ვალოდია:

— ისიც და თქვენც დაჩოქილი? არაპლასტიკური რაღაც გამოვა, რადგან ერთმანეთს შუბლებს მიახლით.

— ის — ფეხზე დგება, მე, მუხლმოყრილი: „ძმავ ჩემო, მე ცოდვილი ვარ, დიდად ცოდვილი!“ იგი მკითხავს: „რატომ?“ მე კი: „ვინაიდან მე თქვენ მიყვარხართ“. იგი: „ღმერთმა გვიბრძანა, ყველა უნდა შეიყვაროთ“. მე კი: „არა, ისე არა, როგორც ყველა, არამედ ყველაზე მეტად, ღმერთზედაც მეტად!“ იგი: „ოოო! ძვირფასო დაო, სიტყვა არ მესმის, ყურებში თითქოს ქარი ჩამზუვის, ალბათ ჭირი მეც შემეყარა!“ — და უცბად დაბარბაცდება, სადაცაა უნდა წაიქცეს, მე ხელს ვაშველებ და ვგრძნობ, რა გაშმაგებით უბ-



გერს გული ანათორის ქვეშ! სამლოცველოდან გამოწყავს იგი. მაგრამ სენაკში არა, მწვანე მინდორზე მიმყავს, სადაც უკვე პირველი ხე აყვავებულია. ამ აყვავებულ ხის ძირში ვსხდებით — მის თავს მუხლებზე ვიდებ და ჩუმად ვმღერო... Ave Maria-ს. ხმა თანდათან უფრო მიწყდება, ვინაიდან ქირი უკვე მეც შემეყარა. მაგრამ ღმერთი გულმოწყალეა, არ ვიტყვით, რომ საოცრად კარგი ხმა მაქვს — ღმერთო, რა ხმა მაქვს! ახლა უკვე ჩემი ყველა ხე ჰყვავის, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ორივეს — ქირი შეგვყრია და აყვავება დააჩქარეს!.. თითქოს ჯვარს ვიწერთ, აყვავებული ხეების ისეთი ლიტანიაა! ჩვენ უკვე აღარ ვსხედვართ, ხელჩაკიდებულნი მივაბიჯებთ, ოღონდ მიწაზე, ზიზილებზე ოდნავ მაღლა რაც უფრო შორს — უფრო მეტად მაღლა, უკვე ხეების ზემოთ მივსრიალებთ. ღრუბლებს გავცდით... — ძალზე ჩუმად და შეკითხვის ხმაზე: — ვარსკვლავებსაც — ხომ შეიძლება?

თვალები მოიფშვნიტა და მთელი გულით:

— აი, მარინა, ბერიც ხომ შევიყვარე!

— ...არადა, ცხოვრება სხვებთან მიხდება, არა ასეთთან! ვინაიდან ჩემი ბერი ყველაფერს უმაღლესად — ყველაფერი უმაღლესად — ჩემ უთქმელადაც ყველაფერი გამოასწორა. მერედა, რამდენს ვლაპარაკობ, რამდენი ახსნა მჭირდება გინდა თვალებით, გინდა ტუჩებით, რამდენი ძალისხმევა, ვერავის კი ვერ ვაგვბინებ, ევგენი ბაგრატიონოვიჩსაც კი, ვინც ცნობილია თავისი „ფანტაზიით!“ თუმცა იმას მაინც აქვს რაღაც მიზეზი. დასაწყისშივე მასთან საოცრად შევრცხვი. ჩვენთან, სტუდიაში ლაპარაკი იერსახეზე ჩამოვარდა.

— იერხატზე, ჩემო სონეჩკა!

— არა, იერსახეზე. თუ როგორ უნდა შექმნა იგი. ვინ შექმნა და ვინ არა. მე ასე ვთქვი: „ევგენი ბაგრატიონოვიჩი კი პეჩორინის იერსახეა“. ყველა მეცა: „სისულულეს ნუ ლაპარაკობ! პეჩორინი ასი წლის წინანდელი ამბავია, ევგენი ბაგრატიონოვიჩი კი პირწმინდა თანამედროვეობა და მომავლის თეატრია“ და ასე შემდეგ. ჰოდა, მეც ვთქვი: „მაშასადამე, ვერ მივხვდარვარ, იდეებზე კი არ მოთქვამს, სახეზე ვთქვი — „და ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ“. ვინაიდან, ჩემი ფიქრით, ევგენი ბაგრატიონოვიჩი საოცრად ჰგავს პეჩორინს — როგორც ცხვირით და ნიკაპით, ისე ჰემოროიდული სახის ფერით“.

მე:

— რააა?

სონია, მორჩილი ხმით:

— ჰოო, ასე ვთქვი, ზუსტად ამ სიტყვებით. ატყდა, მაგრამ რა ყვირილი და ამბავი ატყდა, ყველა მეტაკა, ევგენი ბაგრატიონოვიჩიც კი: „სოფია ევგენი-ევნა, საზღვარი ყველაფერს უნდა ჰქონდეს — თქვენს ენასაც კი“. მე მაინც ჩემსას გავიძახი: „აქ ასეთი რაა საწყენი? ჩეხოვთან ბევრჯერ წამიკითხავს, აგრეთვე პოტაპენკოსთან — როცა ასეთი დიდი მწერლები...“ „ჰემოროიდული რას ნიშნავს, იცით?“ „რასა და სახეს გამწვანებულს, გამწარებულს, და გულგატეხილს — ანუ ჰემოროიდულს“. — „არა, სოფია ევგენიევნა, ეს არც გამწვანებული, არც გამწარებული და არც ამაყი სახეა კაცის, ესაა მხოლოდ და-



ავადება“. — „ღიახ, ღიახ, ავადმყოფურიც“. — „არა, სოფია ევგენიევნა, ეს ღვიძლის დაავადება კი არაა, — ნუთუ გაზეთებში არ წაგიკითხავთ“. — „წამიკითხავს, კიდეც იმაზეც...“ — „არა, გეთაყვა, თუ შეიძლება — კიდეც არ იყოს, ვინაიდან გაზეთებში — იმდენ და ისეთ სნებებზე სწერენ, ლაპარაკიც კი სამარცხვინოა. ამიტომ ჩემი რჩევაა: ვინემ რაღაცს თქმა და- აპირებთ...“ — „მაგრამ ამ სიტყვას მე ასე ვგრძნობდი! ისე ნაღვლისა და სის- ნური, თქვენსავით მწვანე — ლამის ყავისფერი მეგონა იგი!“ მერე ამიხსნეს. ოი, მარინა, თურმე როგორ მოვიჭერ თავი! რაც მთავარია, იმდენჯერ მით- ქვამს ეს სხვებისათვის, არადა, მერე ვერამც და ვერამც ვერ გავიხსენე, ვის ვუთხარი... ასე მგონია, ევგენი ბაგრატიონოვიჩმა ბოლომდე მაინც არ დაიჯე- რა, რომ — არ ვიცოდი. ანუ მაშინ კი დაიჯერა, მაგრამ შემდეგში ჩემი რატომ- ლაც აღარ სჩეროდა. როცა რამის თქმა ძალიან მინდა — რაც ხელდახელ მეტყობა ხოლმე! — ისეთი ძრახვით და მბრძანებლურად მომაჩერებდა — რო- გორც გველი ჩიტს! თითქოს ამ მზერით — პირს მიკეტავს! ხელითაც კი მო- მიკეტავდა — რომ შეძლებოდა.

— ...მარინა! ასე რად მიყვარს ცუდი ლექსები? ასე მიყვარდეს—თქვენი, პავლიკის, პუშკინის, ლერმონტოვის... „შუადღის ხვატისას“, პოი, რარიგ მწვავს ეს სიტყვები! ჩემი თავი ხან ის კაცი, ხან ის ქალი მგონია მუდამ, და- ლესტნის ველზე რომ წევს დაჭრილი და ჭრილობიდან ორთქლი ასდის, იმავე დროს კი, მარინა, მეგობრებში ვზივარ ჩაფიქრებული — სულთ მარტო...

და ჩემი ნორჩი სული უტკბეს სიზმარში,  
არავინ იცის, რადაა მუდამ ჩაძირული...

ამქვეყნად ლექსი რაც დაწერილა, — ყველა ჩემზეა, ჩემთვის, ჩემდამი! იმი- ტომაც არასოდეს გული არ მწყდება, მე თვითონ ლექსებს რატომ არა ვწერ... აბა მითხარით — როგორც პოეტმა, განა აქვს ამას მნიშვნელობა — ვინ და- წერა? (ახლა ამ წუთას შეიძლება სულელური რაღაც დავროშო, მაგრამ თქვენ — მიმიხვდებით!) მარინა, განა — ეს ყველაფერი — თქვენ დაწერეთ? ვიცი, თქვენმა ხელმა დაწერა, დავყურებ და თავს მუდამ ძალას ვატან, რომ ხალხში არ ვემთხვიო, განა იმიტომ, ის უტკუოები ამას მონობად, ინსტიტუ- ტულ გოგოობად, ისტერიკად ჩამითვლიან, იმიტომ რომ ხელი უნდა გიკოც- ნოთ კაცმა არა სამი თუ ოთხი ნაცნობის, არამედ ყველას თვალწინ, ყველას წინაშე, ვინც იყვნენ, არიან ან იქნებიან, ხოლო თუ მაშინ, იმ დიკენსისეულ ლამის შემდეგ ჩემ უნებლიეთ პავლიკის წინ ხელზე გაკოცეთ, ეს ჩემი სისუს- ტე იყო, თავი ვერ შევიკავე — მაღლიერება ვერ დავიოკე. მაგრამ პავლიკი სათვალავში არ ჩაიგდება — როგორც პოეტი — და ცოტაოდენ როგორც ძაღლი, მე მინდა ვთქვა, რომ ორვე მხარე მთლად ადამიანისა არა აქვს-მეთ- ქი... (სათვალავში არც თქვენ ჩაიგდებდით, ვალოდია: ვინაიდან როცა სამნი ვართ, ჩვენ სამნი, მე და მარინა მაინც—ორნი ვართ...) ხოლო იმ ს-ებთან — ცუდად გამომივიდა, მაგრამ თქვენ ისე საოცრად და წარბშეუხრელად მოა- კეტიხეთ ენა იმ ფოქსტერიერს... მე თქვენი მთელი არსების გამო გიკოცნით ხელებს — და არა მარტო ლექსებისთვის, გიკოცნით იმ კარადების გამოც — თქვენ რომ ამტვრევთ, ამისთვის, მგონი, უფრო მეტად! ყოველთვის მწყინს, როცა თქვენზე ამბობენ, „საოცარი პოეტიად“, კიდეც უფრო მწყინს, „გენი-



ალურს“ რომ გიწოდებენ. „გენიალური“ პავლიკია — ვინაიდან ამის გარდა სულ იქით არა აბადია რა, თქვენ კი — ყველაფერი — ანუ მთელი თქვენი არსება! თქვენთან შედარებით, იმასთან — რაც ხართ, თქვენი ყველა ლექსი ისეთი პა-ტარაა, ისეთი ცი-ცქნა — ხომ არ გწყინთ ჩემგან? ზოგჯერ კიდევაც მეცინება, როცა პოეტად გნათლავენ ხოლმე. თუმცა ამაზე დიდი ღიქნემ არც სიტყვა და არც საქმე იყოს. მაგრამ საგნები კია და ყველა ისინი — თქვენ ხართ, მარინა. რომც ლექსები არ დაგეწერათ, თუნდაც ერთი სტრიქონი, რომც ყრუმუნჯი ყოფილიყავათ, ანდა მუნჯი — როგორც მე და პატარა ალი, სულ ერთია, მაინც — ასეთი იქნებოდით: მხოლოდ პირი გექნებოდათ ამოკერილი, და ასევე მეყვარებოდით — უფრო-მეტქი, ვერ ვიტყვი, რადგან უფრო მეტი სიყვარული — არ შეიძლება, არამედ ზუსტად ასე — მუხლმოდრეკილად. — სახე უკვე ჩემს მუხლებზე აქვს: — მარინა! იცით, ჩემი ყველაზე დიდი გმირობა? უფრო დიდი, ვინემ იმ წითელცხვირასთან (მეარღნესთან), ვინაიდან უფრო ძნელია თავის შეკავება, ვინემ არ შეკავება: „ქარბუქის“ შემდეგ ხელზე მაშინ რომ არ გაკოცეთ! არა მონური შიშით, არა იმის შიშით, სხვები დამინახავდნენ — თქვენი შიშით, თქვენ რომ ერთბაშად არ დამეკარგეთ ან ერთბაშად არ დამეპყარიო (რა საძაგელი სიტყვაა, არა! დაიპყარი, შეიძინე, დაეუფლე — ერთმანეთზე უფრო უარესი!) ანდა უცებ — პირიქით არ გამოსულიყო. ეს თქვენი შიში იყო, მარინა, ღვთიური შიში, რასაც ღვთიური შიში ჰქვია, არა, ეს კიდევ არა: ის შიში — რაც გასაღების გადატრიალებას, ან საწამლავის დაღევას უძღვის — ის არ მოხდეს, რასაც მერე ვერას უშველი... შიში, ეს ჩაიღინო! „სეზამ, განიხვანე!“ ამის საპირისპირო სიტყვა კი დაგავიწყდეს! და იმ მთიდან ველარასოდეს ვერ გამოხვიდე... მთის გულში ცოცხლად დაიმარხო... რომელიც მერე შეიძლება წამოიქცეს და ქვეშ დაგიტანოს... და კიდევ — შიში თქვენი შიშის, მარინა. აბა საიდან უნდა მცოდნოდა? მთელი ჩემი დღე და მოსწრება მე ერთი ვიყავ, ვისაც სიტყვა, საქმე და ფიქრი ერთი მქონდა, მყისეული, ერთდროული, ისე რომ სიტყვა, საქმე, ფიქრი კი არადა... რაღაც დამუხტული ელვა გამოდიოდა! ასე მოხდა „ქარბუქზედაც“, როს გავიგონე, როს ჩემი ყურით მოვისმინე:

- თავადო, ცოდვია ეხა თუ სიზმარი?
- ჩემი საბრადო, დამფრთხალი ჩიტო!
- შე ვარ პირველი — ყველაზე ადრე ვინც გავიგონე ეფენის ჟღარუნი.

აი, ამ პირველმა, ყველაზე ადრე, იმ მახვილით, მე რომ ვიტყოდი, თითქოს პირიდან რომ ამომიღეს, — შინაგანად — ყველაფერი ამიცახცახა, ყველა ძარღვი ამიკანკალა, გაგეცინებათ და — მთელი მუცელი, მთელი საყლაპავი, ყველა ის იდუმალი შიგნეული, არავის რომ არ უნახავს — თითქოს ყელიდან დაყოლებით მუხლებამდე — მარგალიტებით ჩამირიკრიკა და უეცრივ — ყველა — გამიცოცხლა. პოდა, მარინა, ასე მოყვარულს თქვენი ლექსების, გააგიყვებამდე, სიგი-ყემდე, უიმედოდ, უმსგავსოდ და სამარცხვინოდ მიყვარს — ცუდი ლექსებიც, ცუდზე ცუდიც! არა ნადსონის (მე მას ვაღმერთებ!), არა აპუხტინის („შავი თვალების“ გამო), არამედ ისეთები, არავის რომ დაუწერია და მაინც—ყველამ იცის, ლექსები „დეკლამატორ-წამკითხველიდან“, მარინა, ახლა გაიგეთ?



ამოატრია წუმპედან ქალი,  
მისი გულითვის ჭურღობდა კიდევ.  
ქალი ტკბებოდა და ნეტარებდა  
და ხარხარებდა ამ სულელ გიჟზე.

ევდრებოდა კაცი ციხიდან:  
აბა, ვკვდებიო უშენობითო,  
ის კი დაძქროდა ტროიკა-ეტლით  
და ხარხარებდა ამ სულელ გიჟზე.



ბოლოს და ბოლოს კაცმა საავადმყოფოში ამოჰყო თავი —

კაცი კვდებოდა, ქალი როკავდა,  
ღვინოსა ხვამდა და ხარხარებდა.

ოო, მე კი იმ ქალს მართლა მოვკლავდი! ასე მგონია, კაცი რომ მოკვდა და  
სასაფლაოზე წაასვენეს, ქალი —

კუბოს მისდევდა — და ხარხარებდა!

თუმცა იქნებ მე მოვიგონე, ქალი რომ უფრო შემძულეობდა, ვინაიდან თავის  
დღეში არ მინახავს: კუბოს მისდევდნენ და იცინოდნენ, — თქვენ კი გინა-  
ხავთ? ან იქნებ ცუდი ლექსი გგონიათ? მაშინ აბა ეს მოისმინეთ. თი, ღმერ-  
თო, დამავიწყდა! დამავიწყდა, როგორ იწყება, მახსოვს მხოლოდ — როგორ  
მთავრდება!

ვითარც დემონი, გრაფი იყო ისე ლამაზი!

მე კი იმ ბნელში დანახ ვლესხავდი, —  
ვითარც დემონი, გრაფი იყო ისე ლამაზი!

მოიცათ, მოიცათ, მოიცათ!

და აფრიალდა წითელი ფარდა,  
და დაინახა გრაფი დასთან გადახვეული!

ჰოდა, ორივეს კლავს, ბოლო კუბლეტში კი დაია კბილებდაკრეჭილი, შემზა-  
რავი წევს, გრაფი კი მაინც ვითარც დემონი, იყო ლამაზი! „ჩაის ვარდი“ თუ  
იცით? კაცი ქალს ბაღში ნახავს ან იქნებ ეკლესიაში, ქალი თექვსმეტი წლისაა,  
თეთრი კაბა აცვია...

და ჩაის ვარდი, ვარდი ფერმკრთალი  
კანკალებდა და თრთოდა შენს მკერდზე.

რა თქმა უნდა, მერე ქალი ხელიდან წავა, კაცი მას რესტორანში ხვდება, ვი-  
ლაც სამხედროებთან. და უცებ ქალიც დაინახავს!

ო, შენს თვალებში ბრწყინავდა ცრემლი  
და იძახოდა: ღვინოო ჩქარა!  
და ჩაის ვარდი, ვარდი ფერმკრთალი  
კანკალებდა და თრთოდა შენს მკერდზე.



და გადიოდა დღეების რიგი,  
და ნადიმებში ვეძიებდი თავდავიწყებას,  
და მა, ჩემ თვალწინ წინანდელივით  
მაგ შენმა მწერამ, ხაუვარელმა, იელვა კვლავაც.

შენ ჩავითრია ოჯახის პროზამ,  
მიდიოდი და ბრბოდ გეხვია ირგვლივ შვილები.  
და ჩაის ვარდი, ვარდი ფერმკრთალი  
კანკალებდა და თრთოდა შენს მკერდზე.



მერე ქალი, მგონი, კვდება, კაცი, მარინა, კუბოსთან მიდის და ხედავს:

ო, შენს თვალებში ბრწყინავდა ცრემლი...

მერე კი აღარ ვიცი, ეს კია, რომ

და ჩაის ვარდი, ვარდი ფერმკრთალი  
კანკალებდა და თრთოდა შენს მკერდზე.

გესმით, უსულო მკერდზე ვარდი თრთოდა! არადა, სიგიჟემდე მიყვარს —  
ბრბოდ შემოხვეული შვილებიც, მისი საეჭვო თავდავიწყებაც, ჩაის ვარდიც  
და მისი სამარეც... მაგრამ ეს კიდეც არაფერი, მარინა, ეს კიდეც მაინც ასატა-  
ნია, ვინაიდან მაინც გულს დაგწყვეტს, მაგრამ მთლად სულელურზედაც რომ  
ვგიჟდები? იცით ესა?

დაიბადა,  
მოინათლა,  
დაიღოცა,  
დაოჯახდა,

დაბადა,  
მონათლა,  
დააოჯახა —  
და მოკვდა.

აი, ქალის მთელი — წუთისოფელი! ან ეს თუ იცით?

კალამი ჩემი წერდა და წერდა,  
თუმცა ვის წერდა, არ კი ვიცოდი...

მე:

გულმა კი ახე ამომჩურჩულა:  
მეგობარხო.

სონეჩკა:

გჩუქნი ფინიას,  
და ძალიან გთხოვ, რომ შეიყვარო,  
იგი გასწავლის, მეგობარი  
ვით შეიყვარო.

შეგიყვარდეს — გიყვარდეს — განა ეს ლექსია? ასე ხომ მეც შემიძლია. მე  
კი კალამსაც ვხედავ — უთუოდ ბატის ფრთისას, მთლად დაღრღნილს, ფი-



ნის კი ყურებდასუჭუჭებულს, მოვერცხლისფეროს, თითქოსდა რეალურ-  
ლიანს. მეც მაქვს ხოლმე ასეთი თვალები. ახლა, მარინა, დამყრდობისას,  
ჩემს ყველაზე საყვარელს გეტყვით. მართლა, მართლა. — გამოწვევად: —  
თქვეე-ნსაზე სა-ყვა-რელს.

მარინა  
გინგაფიქსე

ტრიალებს, ბზრიალებს ცისფერი ბუშტი!  
ცისფერი ბუშტი, იყავი ჩემთან!  
ტრიალებს, ბზრიალებს, დაცემა უნდა,  
ბარიშნას წაუვანა კავალერს უნდა!

არა, მარინა! არ შემოძლია! ეს უთუოდ უნდა გიმღეროთ!

წამოხტა, თავი გადასწია და წაიმღერა — ისევ ის ლექსი, მერე მოვიდა,  
თავზე დამადგა:

— გესმით, მარინა, ეს ყველაფერი? შეგაძლიათ კი ასეთი ვინმე შეიყვა-  
როთ? ვინაიდან ეს ლექსი ყველაზე მეტად მიყვარს, ვინაიდან ეს მე (თვალებს  
ხუჭავს) — ნეტარებას მგვრის. — რეჩიტატივით, როგორც მძინარე: — ჰაე-  
რის ბუშტი — ლურჯ ცაში — ბრუნავს, ცისფერი ბურთი მონგოლფიერი,  
აბრეშუმის ლურჯ ბადეში, ცაც-ცისფერი, ეს კი უყურებს და გული უსკდე-  
ბა, სულ არ გაფრინდეს, არ დაიკარგოს. მის მხერაზე კი ბუშტი უფროვე გა-  
მალებით ატრიალდება, ჰა, და ჰა, მიწას დაენარცხება და ყველა მონგოლფიე-  
რი დაიღუპება! ამასობაში კი, ვინემ იგი ბუშტს, ჰაერის ჭურთხის მიჩერებია...

ბარიშნას წაუვანა კავალერს უნდა!

აბა აქ რაღა უნდა მიუმატო?

— აი, ეს, სონეჩკა:

ოდნავ შეირბა მძიმე ფარდა,  
ოთახში ისმა ხმა ნაბიჯების  
ცისფერ კავალერის  
და მხახურების...

აქ ყველაფერია, გარდა ქალისა — და ბურთისა. მაგრამ ბუშტი, ბურთი —  
დედამიწა, სონია, კაცი კი ქალისგან — მიდის. ქალი უკან დარჩა, მორჩა ამ-  
ბავი, ქალი მან უკვე მოიპარა, მერე კი ნახა — მოსაპარად არც ღირდა  
თურმე.

სონია, ეჭვით:

— რატომ?

მე:

— ვინაიდან პოეტი იყო და მოპარვა არ სჭირდებოდა, ვინაიდან ქონე-  
ბა — არ სჭირდებოდა.

— ჩემგანაც წავიდოდა?

— არა, სონეჩკა.

— ოი, მარინა! როგორ მიყვარს, რამე რომ მტკივა! თუნდაც — თავის  
კბილის არ ვიცი, კბილი არასდროს არ მტკივებია, ზოგჯერ ლამის ვიტყვი,



რატომ არ მტკივა — ამბობენ, საოცარი ტკივილიაო: სულ გლრნის და გლრნისო.

— ხომ არ გაგიჟდით! ფუი, ფუი, თვალი არ გეცეთ! Malibran-ზე რა გეგიათ?

— არა.

— მომღერალი ქალი რომ იყო.

— გარდაიცვალა?

— ასიოდე წელი იქნება, ახალგაზრდა. პოდა, მიუსემ ლექსი უძღვნა — Stances à la Malibran — აბა მისმინეთ (ზოგი სიტყვა სონეჩასათვის, სონეჩასს გამო მიიღო შეეცვალა):

ვით არ უწყოდი, ვით არ ფრთხილობდი,  
შენი გულიდან აღმოსკდარი შეძახილები  
უფრო მეტ ცეცხლს რომ წაუქილებდა ჩამომდნარ ლაწვებს?  
ვით არ უწყოდი, როცა სახეს შეეხებოდა,  
ხელი დღითი დღე უფრო გიხურდა,  
და რომ ღტოლვა ტანჯვისავენ — ღვინის შეცდენაა!

...რა საოცარი დამთხვევებია ამ ქვეყანაზე. ახლა, 1937 წლის ზაფხულს ოქეანზე, როცა სონეჩასს ამბავს ვწერდი გაცხარებული, „Souvenirs“-იდან, წიგნის დუქანი და ბიბლიოთეკაც რომ იყო ერთად, ჟურნალ „Sectures“ მთელი ერთი წლის ტომი წამოვიღე 1867 წლისა — და პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო — „Ernest Legouvé. Soixante ans de souvenirs-La Malibran“<sup>1</sup>. (მიუსეს ლექსის გარდა სხვა არაფერი ვიცოდი მასზე):

„თუმცა თავად ხორცშესხმული სიცოცხლე იყო და მისი ბუნების მთავარ თვისებას მომხიბლაობა წარმოადგენდა — სიკვდილზე ფიქრი მაინც ნიადაგ არ შორდებოდა, მაინც ნიადაგ ამას იძახდა — ახალგაზრდა მოგვედებო. როცა თითქოს რაღაც გამყინავ სიცივესა და იმქვეყნიური ჩრდილის შეხებას გრძნობდა, გასაოცარი ნალველი ეუფლებოდა და გული ცრემლებით ელტობოდა. ახლაც წინ მიდგას მონაწერი მისი სიტყვები: „საჩქაროდ მოდიო! ცრემლებმა ლამის დამახრჩოს! უსაზარლესი აჩრდილები მოქარულან ჩემს სასთუმალთან — წინ კი სიკვდილი უძღვით...“

განა ეს რაა, თუ არ „ბარათი“ თვით სონეჩასი, ბარათი გაცოცხლებული?

შეხვედრები — ყოველ საღამოს ჩემთან იყო, შეუთანხმებლად, მოდიოდნენ ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თეატრებიდან თუ ცხოვრებიდან. სონეჩა მუდამ ცდილობდა კიდევ დარჩენას, მარტო, ბოლო დარჩენას, მაგრამ რაკი ეს ნიშნავდა ვალოდიას გარეშე წასვლას, ერთად წასვლას დაჟინებით მე ვთხოვდი ხოლმე.

— წადით, სონეჩა, თორემ უთოდ გაგაცილებთ და თქვენთან შევრჩები, აღია კი მშიერი უნდა იყოს — და ა. შ. წადით, ჩემო სიხარულო, დღე მალე გადის!

მიხაროდა და გულმშვიდად ვიყავ, როცა ორივეს გამთენიისას გავისტუმრებდი.

<sup>1</sup> ერნესტ ლეგუვე, „მოგონებათა სამოცი წელი — მალიბრანი“.



ზოგჯერ კი ბორისთაგლებსკისა და პოვარსკაიას კუთხემდე გავყვებოდი იმ რიერაჟის ხანს.

Aimez-vous bien, vous qui m'avez aimee tout deux, et dites-vous parfois mon non dans un baiser...<sup>1</sup>

ეროვნული

გზაურობა

— მარინა! თურმე ვალოდია ვილაცას ეტრფის! რომ შემამჩნიეს, მეც ამ დღეში ვარ — ვინაიდან სულ მასზე ვლაპარაკობ, ოღონდაც კი მისი სახელი გავიმეორო, — მეც მიაშვებს, ამ დღეებში კაფე „ელექტრიკში“ მთელი საღამო მაგადაზე მოცეკვავე ქალს თვალს ვერ წყვეტდა — ჭიქაც კი არ დაუცლიათ. მეც მაშინვე მივახალე: „არ გრცხვენიათ, ვალოდია, მარინასთან დადიოდეთ — და მოცეკვავე ქალს თვალს ვერ წყვეტდეთ! მარინას ბამბაზიის კაბის ორიც სახელოდან — ასობით ჭურია გამოიჭრება! მართლა ბრიყვი ვილაცა ყოფილხართ!“ ისიც ვუთხარი, მარინას ვეტყვი-მეთქი, — ძალზე შეშინდა, მთლად გაშავდა, გაბრაზდა, მერე როგორ გაბრაზდა! იცით, რა მითხრა? „მე მეგონა, ასეთი მხოლოდ მარინა ივანოვნისთან იყავით ხოლმე, რომ იგი — თქვენში ირეკლება, ახლა კი — ვიცი“, — და წავიდა, აბა ნახეთ, რა კუდამოძუებული მოვა თქვენთან!

კუდამოძუებული არა, მაგრამ შეწუხებული მოვიდა და მაშინვე მითხრა:

— მარინა ივანოვნა, უთუოდ სწორად უნდა გაიგოთ სოფია ევგენიევნას ის ნაამბობი, როგორც აქამდე სწორად მიგებდით.

— განა მე თქვენთვის იურას ამბავი ამიხსნია, ვალოდია? ნორვეგიელებს, მგონი, აქვთ, ერთი ზღაპარი — „ბებერი რასაც გააკეთებს, ყველაფერი კარგი არისო“. არადა, ბებერმა სისულელეები ჩაიდინა: ოქროს ზოდი ცხენზე გაცვალა, ცხენი თხაზე და ა. შ., სულ ბოლოს კი კატა ძაფზე, ძაფი ნემსზე, რომელიც სახლთან, ღობეზე გადაძრომისას, მიაკარგა, ვინაიდან ვერ მოიფიქრა ჭიშკრიდან შესვლა. ვიყოს ერთმანეთისთვის იმ ბებერივით, ანუ: ოღონდ ის — კარგად მყავდეს, ოღონდ უცნებლად დამიბრუნდეს! მეტადრე, რომ სამი წუთი მოცეკვავე ქალს თვალს ვერც მე მოვაშორებდი — თუკი ხმას არ ამოიღებდა, ხომ საძაგლობა იქნებოდა ზღაპარი პირუკუ ყოფილიყო, ანუ — ნემსი კოჭზე, კოჭი ცხვარზე გაეცვალა და ბოლოს ცხენი ოქროზე? პოი, რა საზიზღარი ბებერი იქნებოდა!

— დამძალი და საძაგელი! არა, მარინა ივანოვნა, განა იმ ქალს მიგჩერებოდი, მისი ცქერისას ფიქრმა წამილო. ავერ, დაინგრა მთელი ქვეყანა, ძველიდან აღარა დარჩა, ეს კი — მარდიული აღმოჩნდა მაინც: მავიდა — და ზედ მოცეკვავე სიცარიელე, მოცეკვავე — მიუხედავად ყველაფრისა, სიცარიელე — მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ყველა ამ გაკვეთილისა. ამბობენ, ასეთებს ეტრფიანო... მე კი, თუ ოდესმე ცოლი შევირთე, მოწყალების დას შევირთავ მხოლოდ, რომ ჩემს შვილებში — ადამიანის სისხლმა იჩქეფოს.

— მარინა, რომ იცოდეთ, რა კოცნა იცის ვალოდიამ — ისე მაგრად! ისე მაგრად, — თან უშმაკურად იღიმება, — თითქოსდა კედელი ვიყო! დღეს მთელი დღე სახე მეწვის.

<sup>1</sup> გიყვარდეთ, ერთმანეთი, ვისაც ადრე მე გიყვარდით, და ზოგჯერ კოცნისას ჩემი სახელიც მოიხსენიეთ (ფრანგ.).



ჩემდა სასიხარულოდ უნდა გამოვტყდე, რომ არასოდეს ცდილა იგი სონეჩკასა და თვასი ამბავი ჩემთვის აეხსნა. იცოდა, რომ ეს მისთვის არაფერი ბოლო ნაბიჯი იყო ჩემკენ და მე ეს ვიცი. რომ ეს — დაახლოები იყო. არა დაშორება, და მას რომ კოცნის, მეც მკოცნის მაშინ, რომ ყველაფერი მისი, მე და თავის თავს — ჩვენ სამთავეს 19 წლის გაზაფხულზე მისწავლისა, სონიას სახეზე — გვკოცნიდა იგი.

ყველა ცდა სიტყვებით ახსნის — დამცირება და დასასრული იქნებოდა.

სონეჩკა კი? სონეჩკა კი ტიტინ-ჭიკჭიკით აბრუნებდა, აუღლებდა, ატრიალებდა, ამრავლებდა და თესდა მის სახელს გარდი თუ გარდმო თავის სიტყვებში, უბრალოდ — მიაბიძგებდა და გულუბრყვილოდ — ვით ქვეყნიერების შექმნის პირველს დღეს, შეხაროდა.

ვისზედით ასე: მარცხნივ იგი, მარჯვნივ მე, შუაში სონეჩკა — ჩვენ ორს შუა სონეჩკა იჯდა, ორ უფროსს შუა — პატარა ბავშვი, მოყვარულებს შუა — თვით სიყვარული. ასე შორიდან ხელგადაჭდობილთ შუაში სონეჩკა გვყავდა, რომელიც თან გვყოფდა და თან გვაერთებდა, გვაკავშირებდა. რომელსაც თითოეულისთვის თითო მკლავი, თითოეულისთვის მთელი არსება, მთელი სიყვარული მოეძღვნა და თავისი პატარა ტანით ეერსის ოდენა მთელ იმ მანძილს ჩემსა და ვალოდიას შორის არად აქცევდა.

სონია ჩვენ შორის ისე იჯდა, ვით სავარძელში და ცოცხალ ზურგად ჩვენი გადაწული ხელები ჰქონდა, იწვა, ვით აკვანში, ვით მოსუ თავის დაწნულ კალათში ნილოსის წყალზე.

გრამაფონს კი ბნელი კუთხიდან გამოეშვირა ალუბლისფერი ხის კისერი და გვიკრავდა და გვიმღეროდა ყველაფერ იმას, რაც შეეძლო, ყველაფერ იმას, რაც ჩვენ „შეგვეძლო“: ახალგაზრდობას, სიყვარულს, ნათვლს და განშორებას.

და როცა რუსეთიდან გამგზავრების წინ იგი გავყიდე, თათარს მივყიდე, მთელი ჩემი ახალგაზრდობა და ჩემი სულის ერთი ნაწილიც გავყიდე მაშინ.

...უნეტარესი გაზაფხული — არარსებული!

ასე გვიწია სამთავეს პავლიკის ლექსმა, ოდესღაც — მთელი ერთი საუკუნის წინ — ბნელ ვაგონში რომ მოვისმინე — უკვე კარგა ხნის წინ მოკლულისა და მიწადაყრილისაგან:

უნეტარესი გაზაფხული — არარსებული!

რაიც მოცარტს და როსეთის მოაქვთ..

ლაქლაქი — თამაში — ყვავილი — ანაქრონიზმი —

უმინო გაზაფხული, სახელი მისი რომანტიზმი,

რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ჩვენი უძილო ღამეები? გრძნობის მიჩენით მთელი საუკუნე, მაგრამ იმავე გრძნობით: ერთი უსასრულო და სწრაფად გამდნარი ღამე, რომელიც, საოცარია და: არც ბნელი იყო, არც მთვარიანი — თუმცა ალბათ ბნელიც იყო და მთვარიანიც — არც ლურჯი — ფარნის შექისაგან, ვინაიდან ფარანი აღარ ენთო, გაზაფხულის დამდეგიდანვე შუქაც ჩაქრა. იყო ღამე ვერცხლისფერი, გაბნეულ-გაფანტული, სიზმარეული და



მთლიანად ნარჩურაყვევი, ბნელში მოციმციმე ჩვენი სახეებით. ან ქნებ ასე რიგად ამ ნათქვამით ჩამოჩა ხსოვნაში:

— მარინა! მივხვდი, ეს ხომ „თეთრი ღამეებია!“ რადგან ახლაც /ორი — მიყვარს. ოღონდ თავს ასე კარგად ნეტა რაღა ვგრძნობ? თქვენ ვგრძნობ?

— რადგან ორი კი არა — ჩვენ ორივე ერთად გრძნობთ! — მარინა, მეც ასევე — თქვენ ორივე. და თავს ასევე „კარგადა ვგრძნობ“. თქვენ, ვალოდია?

— მეც, — ღრმა ამოოხვრით, — კარგად, მარინა ივანოვნა!

— მძიეები რატომ არასოდეს არ გიკეთიათ?

— ვინაიდან არც მაქვს, მარინა.

— მე კი მეგონა — არ გიყვარდათ...

— ოი, მარინა! სულს გავიღებდი — მარჯნის მძივისთვის.

— გინდათ ზღაპარი მარჯნის მძივზე? აბა მისმინეთ. იყვნენ უნდინა და ჰულდბრანდი, რაინდი ვაჟი. ნიაღვარმა მიაგდო იმ ქოხს, სადაც ქალი დედობერსა და ბერიკაცთან ერთად ცხოვრობდა. ნიაღვარი კი ქალის ძია ნაკადი იყო, ვინც ღვართქაფად იმიტომ იქცა, რომ რაინდი ქოხში მიეგდო, ქოხი კი კუნძული გაეხადა, რათა ვაჟს თავი ველარ დაეღწია. იმავე ღვართქაფმა მიაგდო ქოხს ბერი პატერიც, ქალ-ვაჟს ჯვარი რომ დასწერა და ქალი გააცოცხლა. გაყინული გული გაუთბო. და ყველაფერი მყის შეიცვალა: უგულო ანუ ბედნიერი გაუბედურდა, ანუ სიყვარულმა უბედური გახადა იგი. თუმცა ზღაპარში არ წერია, მწამს და მჯერა, რომ მაშინვე ვაჟს სიყვარული გაუჩნდდა. მერე ქალი თავის კოშკში წაიყვანა — იქ ტრფობის ალი თანდათან უფრო შეუმცირდა — და ბერტოლდა, ჰერცოგის ქალი შეიყვარა. ჰოდა, სამივე ნაკით ვენას გაემგზავრა — დუნაის წყლით, ბერტოლდა წყალში თავის მარგალიტის მძივს ათამაშებდა, — უცებ წყლიდან ხელი ამოიმართა და სატანისეული ხარხარ-ხორხოცით მძივი წარსტაცა! მთელი წყალი ანაზღეულად ღინგებით დაიფარა, ნავი ლამის გადაყირავდა. რაინდი გაწყრა, რისხვით აღიქსო, უნდინამ კი პირზე ხელი ააფარა, შეემუდარა, აქ ნუ შემოიხსავ, ვინაიდან ჩემს ნათესავებს ამ წყალში დიდი ძალა მოსდგამთო. რაინდმა რისხვა დაიოკა, უნდინა კი წყალზე დაიხარა, დიდხანს ალერსით და ფერებით რაღაცა ელაპარაკა და ანაზღად იქიდან — აი, ეს ამოიტაცა!

— ოი, მარინა! ეს რა არის?

— მარჯანია, უნდინას მძივი.

...ეს მარჯანი წინა დღეს ჩემმა ძმამ ანდრეიმ მისაჩუქრა.

— მარინა! აი, რა მოგიტანე?

მისი ხელიდან მაგიდაზე და მაგიდის მიღმაც ჩანჩქერივით გადმოიღვარა ვეებერთელა, ალუბლისფერ-ღვინისფერი, ბავშვის ბაგესავით პრილა და პატარა კასრების მსგავსი — ქვადქცეული ყურძნის მარცვლები.

— ერთ ოჯახში იყიდებოდა და შენთვის ავიღე, — თუმცა ქერა ხარ, მაგრამ მაინც უნდა ატარო. მეორე ასეთს ველარ შეხვდები.

— ეს რა ქვაა?

— მარჯანია.

— განა ასეთი მარჯანიც არის?

აღმოჩნდა — არის. მაგრამ მყისვე ისიც აღმოჩნდა: ასეთი რამ არ შეიძლება ჩემი იყოს. მთელი საღამო ხელიდან აღარ გამიშვია. ხელში ვწონი-



დი და ვმარცვლავდი ვაპრიალეზდი, ლოყიდან ტუჩებამდე ვასრიალეზდი და კრილოსანივით ტუჩებითვე ვითვლიდი მერე — მთელი საღამო გმთხოვე-ბოდი, ვიცოდი რა, თუ ამქვეყნად მის პატრონად შეიძლება ცინმა რაოდენო, მხოლოდ...

— ოი, მარინა! ეს მარჯანია? ამხელები? ასეთი მუჭი? *მარჯანა*

— არა.

— აფსუს. აბა ვისა?

— თქვენი, სონეჩკა, მხოლოდ თქვენი.

არც... ჩაუკითხავს, არც პირი მოუკუმავეს, განცვიფრებისგან ოდნავ ღიად დარჩენილი, მოკლედ — გაქვავებულმა, ვისაც არც მე და არც არაფერი აღარ ახსოვდა, ორივე ხელით მძივი გულდაგულ და ხელდახელ — ჩამოიკიდა.

ალბათ ასევე გამოართვა კოზეტამაც ჟან ვალჟანს მისი დედოფალა და ალბათ ასევე დაამუნჯა გრძნობათ სისავსემ.

— ოი, მარინა! ეს ხომ ლამის მუხლამდე დამთრევს!

— დაიცათ, მოხუცდებით და მიწამდე დაგთრევდეთ იქნებ.

— სჯობს არ მოვხუცდე, განა შეიძლება დედაბერმა ეს ატაროს? მა-რინა! არასოდეს არ მესმოდა, თუ რა იყო ბედნიერება. წვრილი კალმით მო-ხაზული წრე — ცის კაბადონის ხელა, და შიგ — სიცარიელე. ახლა კი ბედ-ნიერება — მე თვითონ ვარ. მე და მარჯანი მიმატებულნი ვუდრით — ბედ-ნიერებას. და ამოცანაც ამოხსნილია.

მერე მუჭში მოიმწყვდია — თითქოსდა მის მუჭს შათი მომწყვდევა შეი-ლებოდა. და ამ მძივებით დაფარულმა, გაღვარულმა, გაგიჟებულმა — შესმა, შეჭამა უნდოდა მათი? — კოცნა დაუწყო.

და მაშინ მითხრა გასაოცარი ის სიტყვები:

— მარინა! ვიცი, უკანასკნელად ვცოცხლობ ახლა.

რაც მარჯანი იყო მისთვის — ჩემთვის იგივე იყო სონეჩკა.

— იმ უნდინას მძივს რაღა დაემართა?

— ბერტოლდას მისცა — იმ მძივის ნაცვლად, რაინდმა კი ხელიდან გა-მოვლიჯა, წყალში ისროლა უნდინასა და მისი სანათესავოს წყველა-კრულვით. უნდინა ნავში ველარ დარჩა, არ შეეძლო... არა, დასასრული მეტისმეტად სამწუხაროა, ამიტირდებით... ოღონდ იცოდეთ, ეს მძივი, ღუნაიდან ამოლე-ბული და ღუნაიშივე ჩაბრუნებული, მძივია დაძლეულ ეჭვის, კუბოს კარამდე ერთგულების და... მამაკაცის მადლიერების...

ის მარჯანი გამოთხოვების ნიშანი იყო. ის მარჯანი მისდათავად გამოთხოვებას ნიშნავდა უკვე. არამც და არამც არ აჩუქო და არ უძღვნა იმას, ვინც გუ-ლით გიყვარს, მეტისმეტად ლამაზი რამე. ვინაიდან ხელი გამლები და ხელი მიმლები უცილობლად დაცილდებიან, როგორც დაცილდნენ გალებისა და მი-ლებისას ხელი, რომელიც დაცარიელდა, და ხელი, რომელიც აივსო უკვე. დი-აბ, უთუოდ დაცილდებიან და ამ მიღება-გალების ჟამს დარჩენილ ადგილს და-იკავენ მთელი სივრცე.

ხელიდან ხელში თვითონვე აძლევ ამ საწინდარს დაშორება-დაცილებისა და ამ მარჯნების ცრემლებით ტირი...



ჩვენ ხომ ამ „მარჯნებს“ — ჩვენ ნაცვლად ვჩუქნით, რამეთუ საკუთარი თავის ჩუქება — არ შეგვიძლია, ვჩუქნით ჩვენდა საზღაურად, ამ მარჯნებით სხვას. ჩიუნს თავს ვართმევთ. ასეთი საჩუქარი ღალატსაც ნიშნავს და იმიტომაც ასე უფრთხიან მას გულთმისანნი: „ნეტა რა გინდა ჩემგან წარღო, ამას რომ მჩუქნი?“ ეს მარჯნები — თავის გამოსყიდვაა. ამიტომ მარჯნები ყველავთან ანანასი, შავ ორმოში თან რომ არ ჩაჰყვნენ. ამიტომ მიაქვთ ვარდები კატორღელთან, რათა ციმბირში თან აღარ წაჰყვნენ.

— მარინა! მე სტუდიასთან ერთად მივდივარ.

— ჰო? რამდენი დღით? სადმე მიდიხართ სათამაშოდ?

— ძალიან შორს და მთელი ზაფხულით.

„მთელი ზაფხული“ — ხომ მთელი სიცოცხლეა, როცა გიყვარს.

ასეთ საჩუქრებს მუდამ გამოთხოვების უამს უძღვნიან: გამგზავრების, ქორწილის ან დაბადების დღეს (რაიც გამოთხოვებას ნიშნავს ასევე საყვარელი არსებისა მავან ასაკთან; სიყვარულისა მავან წელთან) — ეს საჩუქრები — მისდათავად განშორების მომხმობად იქცნენ. მის თანმხლებლიდან ჯერ სიმბოლოდ, მერე ნიშნად, მერე კი მის მომხმობად თავისი მხრიდან.

ვინ იცის — ის მარჯანი სონეჩკასთვის რომ არ მჩუქნა...

თხუთმეტი წლის შემდეგ, როცა პარიზში Rue du Bac-ზე მივდიოდით, რომელიღაც კუთხის წაღოში, ანტიკვარული მაღაზიის ვიტრინაში — ანაზღეულად ამ მარჯნის მძივს მოგვკარი თვალი და გულში თითქოს ტყვია მომხვდა: რამეთუ იმ ხავერდის გულისპირიდან, რაზეც მძივი იდო — ყლორტივით ყელმა და პაწია ვარდისფერმა, შავთვალა სახემ გამოანათა მუქ ალუბლისფერ-შინდისფერ ბაგით, იმ ქვების დარად ზოლ-ზოლ სინათლით დასერილმა.

ეს იყო — წამით, და როცა ისევ დაეხედე — მხოლოდ ხავერდის გულისპირი — მუქი მწვანე, და ზედ ფასის იარლიყი დაეინახე ოთხნიშნა ციფრით.

მარჯანს კაბებიც მიყვა, ფაიასი და ატლასისა.

ეს მოხდა ასე. ბნელი ტალანით გასასვლელისკენ მივდიოდით და უცებ თავში რაღაცამ გამკრა:

— სონეჩკა, წამით მოიცათ, არ გაინძრეთ!

დავიხარე და უზარმაზარი გარდერობის ბნელ სტომაქში უმაღ ჩავეკინთე, მყის სამოცდაათსა და შვიდი წლის უკან ამოვყავ თავი, არა სამოცდაჩვიდმეტისა, არამედ სამოცდაათის და — შვიდი წლის უკან. ხელით მოვსინჯე — სიზმარეული შეუცდომლობით — რაღაც ძველთაძველი, სიმძიმისაგან დაცვენილი, დაღვენთილი, დატბორილი აბრეშუმში, და მხრებამდე შიგ გავეხვიე.

— სონეჩკა! აჰა, დაიჭით!

— ოი, მარინა, ეს რა არის?

— ცოტა კიდევ მოიცათ!

ისევ ჩავეკინთე შავ ფსკერზე, ხელი ისევ ტბორს წაეტანა, მაგრამ უკვე ვერცხლისწყალივით მოსრიალეს, მუქში მოუმწვვდეველს. თითებში წყალივით გამსხლტომს, ვინაიდან პირველი თუ სიმძიმემ ჩამოაცურა. მეორე — საკიდურიდან — ვით ტოტიდან — სიმჩატემ ჩამოაფრინა.



პირველი, სიმძიმისაგან დაცვენილი აბრეშუმით — ბებიაჩემის დედის, გრაფ ლედუხოვსკის მეუღლის, მისი ასულის — ჩემი ბებულის — მარია დუკინიჩნა ბერნაცკაიასა და მისი ასულის — დედაჩემის, მარია ალექსანდროვნა მეინის მიერ შეუკერავი, მაგრამ შეილთაშვილის — ჩვენს პოეტურ გვარში პირველ მარინას ანუ ჩემ მიერ შვიდი წლის უკან, ვიდრე შეკერილი ბებიაჩემის დედის თარგზე: ლიფი კონცხით, ქვედაწელი — ზღვის ტალღებით...

— სონეჩკა, აბა გაუძელით!

ქალთა ოთხი თაობის სიმძიმისაგან უკვე მოხრილ, ლამის წაქცეულ სონეჩკაზე — ყავისფრის ზემოთ — ლაქვარდისფერი, თურქულ-ვაჭრული, პაწაწინტელა ალისფერ ყვავილებით მოჩითული ქუთაზე შემშლელი კაბა — ყვავილი.

— მარინა! — ბარბაცებს იგი, რაც მთავარია, ვერ ხვდება და ვერაფერს ხედავს, ვერც მეორის სილაქვარდეს და ვერც პირველის სიწაბლისფერეს, ვინაიდან ბნელი ტალანი კუბოა და გარდერობი — შავი მღვიმე... (ჰოი, ჩემი ბინების ბნელო კუნჭულნო — ნამყოს, აწმყოსი თუ მყოობადის... ჰოი, ბნელო სახლებო... იქნებ სულაც აქედან მოდის ჩემი ლექსების მთელი ბნელებითი? Ich glaube an Nächte!)

ვით ქანდაკებას გორგოლაქებზე, ისე მივასრიალებ გაქვავებულს, კაბებში ჩაფლულს, კაბების ქვეშ გაუჩინარებულს ბნელი ტალანით ოდნავ განათებულ სასადილოში, სადაც „ზემო შუქი“ აგერ უკვე ორი წელია არ გაწმენდილა და იმქვეყნიურ შუქად ქცეულა — სასადილოდან შემდგომ ტალანით — სუნდუკების შავი ხეობისა და როიალის შავი ზღვის გავლით — ალიას ოთახში — სადაც, ღვთის მადლით, სინათლეა!

დაბარბაცებული და ჩემი სახლის სიბნელით გაბრუებული, სამარესავით დამუნჩებული, კედლის სიმაღლე უზარმაზარ სარკესთან მიმყავს:

— პა, გაისინჯეთ!

თითქოს ახლა გაიღვიძაო, თვალებს ხუჭავს, უციმციმებს შავი წამწამნი, არ ვიცი — გაიცინებს თუ ტირილს დაიწყებს...

— ეს კაბებია, უნდა გაისინჯოთ!

წამიერი ზმანება — სითეთრისა და სიღარიბის: გულამოჭრილი თეთრი პერანგი და ღარიბული მაქმანები: ქვედაკაბის ფურჩალი, პერანგის გულისპირი — წამიც და ყველაფერს ფარავს დატალღული უზარმაზარი ქვედაკაბა და რიყრაყისეულ სარკის მომწვანო წყალში: რიყრაყისა და სარკის ორმაგ მწვანეში — სულ სხვა ზმანება: ქალწულისა, ანუ ბებიაჩემის დედის ასი წლის წინათ.

გულდასმით იყრავს შემოსალტული ლიფის თორმეტსავე ღილს, ხელით ასწორებს და ისწორებს ყველა ნაოჭს ქობის ვეება ტალღებამდე...

თვალები — ბედნიერებით გაბრწყინებულნი, თუმცა არა — გასაოცარი ბავშვური მზერა, სიღინჯით სავსე, სარკის წინ მდგარი გოგონასი, შემმოწმებული, რაც მიემადლა (თუ არ მიემადლა!), კოლუმბის, არქიმედის, ნანსენის მზერა, მზერა, რომელიც გრძელდება ლამის — ერთი საათი?

და ბოლოს:

1 მე მჯერა ლამის (გერმ.).



— საო-ცრებაა, მარინა! ოღონდაც ცოტა გრძელია.

(ცოტა კი არა, ძალზე გრძელია: არ უჩანს იმ უკუღმართი „უთოების“ ცხვირებიც კი.)

დგას უკვე ბედნიერი, სახე უბილბილეს, სარკეში თავის თავს ესაღმება, მერე სამი ნაბიჯით უკან იხევს, ოდნავ ზემოთ სწევს სიმკრძალო-გმბეკვებულ კაბის გვერდებს — და ბებიის ბებიისეულ დროის რევეროანსით დაბლა იხრება.

— ეს კაბა მთელი მეჭლისია! უკვე — მიეცურავ! არ ვიძვრი, მაგრამ თავად მისრიალვს! ვალსს — არა, მენუეტს ცეკვავს! მათხოვებთ კია ჩასაც-მელად?

— როგორ გგონიათ?

— კი, კი, მათხოვებთ! ამით დავდგები იმ ჩემს სკამთან — რა ლატაკები ვიყავით თურმე მე და ის სკამი! თუმცა ძალზე მდიდრული არც ამას ეთქმის, კეთილშობილური კაბაა მხოლოდ. ამ კაბით იყო „სევილიელი დალაქის“ მოსასმენად ჩემი ნასტენკა. ეს ჯერ კიდევ ბებიას ეცვა, მის ბებიას! (ეს უთუოდ უნდა ჩავუბრუნო!) დღეს ხომ მათხოვებთ? ვინაიდან დამოკლება უნდა მოვასწრო.

— დღესაც — ხვალაც — და სამუდამოდ.

— რაო? ეს — მე? მაგრამ ეს ხომ სამოთხეა, ასეთს ხომ მარტო სიზმარში ნახავ. გჯერათ, მარინა, ჩემი პირველი აბრეშუმის კაბა რომაა: ჯერ პატარა ვიყავ, მერე მამა მომიკვდა, მერე — რევოლუცია... ბლუზები მქონდა, კაბა არასდროს. (დუმბილი). მარინა! როცა მოგვკვდები, ამ კაბაში დამასაფლავეთ. ვინაიდან ასეთი ბედნიერება ახლა პირველად მაღირსა ღმერთმა... მუდამ მეგონა, თეთრი მიყვარდა, ახლა კი ვხედავ. ეს უნიჭობა და სიღარიბე ყოფილა მხოლოდ. ვინაიდან სხვა არ გამაჩნდა. ეს კი — ჩემი ფერია, ჩემი ყაიდის, თქვენი თქმისა არ იყოს. თითქოს ქვაბში ჩამაგდეს — თვალთან-თმთან-ლოყთანად წამომადუღეს და — ეს გამოვედი. როგორ ფიქრობთ, ვთქვათ და გავ-თხოვდი ამ ზაფხულს პროვინციაში — არა, ვიცი, ეს არ მოხდება, მაგრამ. ვთქვათ, მოხდა — შეიძლება ლურჯში ჯვრისწერა? ვინაიდან — როგორც მი-ამბეს — ქალები ახლა თურმე სალდათურ სამოსშიაც იწერენ ჯვარსო. ერთს გალიფეშიც დაუწერია. ანუ — უნდოდა დაეწერა, მაგრამ მღვდელს არ უქნია და მაშინ ქალსაც უარი უთქვამს — საეკლესიო ჭორწინებაზე. მორჩა! მარინა! ჯვარს ლურჯში ვიწერ, კუბოში კი შოკოლადისფერ კაბაში ვწევები!

კაბების მერმე ყვითელ სუნდუკზე მიდგა ჯერი.

რომ გავიგე, მიემგზავრება, თითქმის აღარ მოვშორებივარ, ალიასთან ერთად დილიდანვე მასთან ვიყავი ამ დარჩენილი დღეების ხანს. (საიდანღაც, სმენის სიღრმიდან ამიტევტივდა სიტყვა *règne*.<sup>1</sup> კანადა, სადაც *vie*-ს<sup>2</sup> ნაცვლად დღემდე *règne*-ს ამბობენ ხოლმე, თუნდ სულ უჩინო, თუნდ მჩეხავი ან მეტივე იყოს კაცი, მაინც *règne*. *Mon règne*. *Ton règne*.<sup>3</sup> ისე რომ ფრანგულ-კანადურზე სონეჩკას ეს დარჩენილი წუთისოფელი, მათ კვალ-

<sup>1</sup> საუფლო (ფრანგ.).

<sup>2</sup> სიციცხლე (ფრანგ.).

<sup>3</sup> ჩემი საუფლო, შენი საუფლო (ფრანგ.).





ბაზე, règne იყო, la fin de son règne.<sup>1</sup> და არც არავინ მიიჩნევდა მას პიპერ-ბოლად. დიდი ბაზი, ვინც სიცოცხლეს ასე უწოდებს.

— აბა, მარინა, მე დღეს ბარგი უნდა ჩავაწყო!

რაფაზე ვზივარ. მწვანე სავარძელი — ცარიელია. როგორც ყოველთვის კნუტები, ერთი ადგილიდან ისე გადააქვს მეორეზე რაღაც მინუსებს, კოლოფები... თავი ახადა ყვითელ სუნდუკსაც. მიველ — რომ ბოლოს მეც მენახა მისი მზითველი.

სუნდუკი — ცარიელია, ფსკერზე მოჩანს ახალთახალი და პრილა მოწითალო ბავშვის წაღები, სხვა არაფერი.

— სონეჩკა, აბა მზითველი?

ორივე ხელში უკავია ცალ-ცალი წალა, კიდევ უფრო ვეება რომ ჩანს პატარა ხელში.

— აი, ესაა! სტუდიაში შემთხვევით ჰყიდდნენ, ვილაცის დისა თუ ძმისა იყო. ჰოდა, ვიყიდე, თავი დავაჭერე, ძალიანაც გამომადგება-მეთქი ასეთი სქელძირები... მაგრამ არა, არ შემიძლია: მეტისმეტად მაგრებია, თანაც ცხვრების ნაცვლად ახალი ღინგები აქვთ, უტიფრები და ბრწყინვალეები! მთელი სიცოცხლე რომ ვერ დავხვე, კუბოს ფიცრამდე! ახლა მიინდა გავყიდე.

რამდენიმე დღე რომ გავიდა:

— რა ჰქენით, თუ გაყიდეთ ის ფეხსაცმელი?

— ვერა, მარინა, მითხრეს, ამას რა უნდაო: წალი და დადექ, უმაღლესიდან გამოგლეჯენო. გამოგლეჯით კი მართლა მგლეჯდნენ, ლამის ხელებიც მიაცილეს, მაგრამ, მარინა, ეს ისეთი სატანჯველია: ისე ხეპრულად ლაზღანდარობდნენ, ისეთი უტიფარი დედაკაცები და ისეთი ჟამი გლეხები იყვნენ, მაშინვე ლანძღვას იწყებდნენ, ლანჩები მუყაოსია და ტყავსაც არა ჰგავს, გამოუყვანელი ტყავიაო... ავტირდი — და წამოვედი, თავის დღეში სმოლენსკსზე აღარაფერს აღარ გავყიდი.

ერთი დღის შემდეგ, ისევ რომ ვკითხე:

— ოი, მარინა! ქალი გავბედნიერდი! ეს-ესაა გავასაჩუქრე. დიასახლისის თორმეტი წლის გოგოს მივეცი — რაღაც გაიხარა! ზუსტად მოერგო ფეიქრობდი, ალიას მივცემ-მეთქი, მაგრამ ალიამ ექვსი წელი უნდა უცადოს — მისთანა ღინგებს, ცხარე ცრემლებს რომ აღვრევივნებს! დიასახლისის მანკა კი ბედნიერია.

გამგზავრების წინა დღეებში მასთან ერთი უშველებელი სალდათი დამხვდა, მორცხვად რომ იჯდა პიკეს გადასაფარებლის კიდევ და დიდი ტორები მუხლებზე ეწყო...

— ეს, მარინა, სენიაა, ჩემი მოწაფე: კითხვას ვასწავლი.

— მერადა როგორ მიღის საქმე?

— დიდებულად, ყველაფერს მაშინვე იგებს, — არა, სენია?

— აბა რა გითხრათ, სოფია ევგენიენა...

— ჩამარცვლაზე ხართ თუ ისევ ასობს არჩევთ?

— სენია! — სონეჩკამ გადივისკისა. — მარინა ივანოვნას — ვინაიდან ამ მოქალაქეს მარინა ივანოვნა ჰქვია სახელად, იგი მარინა ცვეტაევაა — ცნობილი მწერალი ქალი, თუ შეიძლება დაიმახსოვრეთ! მარინა ივანოვნას ეგო-

<sup>1</sup> საუფლო, დასასრული მისი სიცოცხლის (ფრანგ.).



ნა, რომ ანბანს ვასწავლით! მე კი გამოთქმით კითხვას ვასწავლი... ვინაიდან ჩვენ წერა-კითხვა დიდი ხანია უკვე ვიცით, არა, სენია?

— ორი წელია, სოფია ევგენიევნა.

არასოდეს დამავიწყდება, რა აღტაცებული მზერა ესროლა ჩემსაკენ ამ „ჩვენ“-ის თქმაზე...



— „ამხანაგო“ და „ამხანაგო“... მე კი ქუჩაში ამხანაგს არვინ მეძახის, არც — მოქალაქეს, მუდამ: „პაწია მოქალაქევ“ — და უმაღ რითმას მოაყოლებენ, პაწია და შავტუხაო, თუმცა შავტუხა სულაც არა ვარ, წიოვლი ლოყები მაჩენს ასე, ანდა: „საყვარელო“, ერთმა კიდევაც მომიღეჭსა:

პაწია მოქალაქევ,

აქ დამიჭექ სკამზე,

ხელს ნუ მიკრავ ბლითზე!

„ბლითი სადაა? რომ დამპირდი — მომეცი კიდევ!“ — ვუთხარი უმაღ. „ისე ვითხარით, მოქალაქევ, მისაღეჭსად, თორე სადაა ბლითი, იმ ძაღლიშვილმა კოლჩაკმა ყველანი ასე დაგვამშია, ხოლო სხვა დრო რომ ყოფილიყო, ცხვრის რქასავით მოგრესილ ბლითს კი არადა — მთელ ცხვრის ფარას მოგირეკავდით — მაგ ლამაზი თვალების ეშხით, ვინაიდან თვალები გაქვთ იმისთანა...“ რა დაიჩემეს ეს თვალები, განა მართლა — ასეთი საოცარია? ანდა ნეტა სალდათებსა და კიდევ ბებრებს რად მოვწონვარ, ინტილიგენტებს კი — არასოდეს?

ბევრჯერ ვახსენე, ჩემს სახელს ვაბმით როგორ ამბობდა... (ოი, მარინა... აჰ, მარი-ინა!) მაგრამ მარინას სხვანაირადაც ამბობდა ბოლშე, მოკლედ, ნაწყვეტად, ზედა ტუჩის ათრთოლებით, და ყოველთვის რაღაც სასაცილოს წინ: „მრნა (ფრანგ. Marne-ს მსგავსად), ვერ შეამჩნიეთ, რა ქნა, როცა თქვენ უთხარით...“ და ისევ ჩემი სახელი, უკვე სიცილით აკანკალებულ, უკვე სიცილად ქცეული ხმით, ასე ვთქვათ, რულადის დასაწყისი, ბევრებით — ტუჩქვეშ აბუშტულით.

ჩემი სახელით მღეროდა, ჩემი სახელით ჩიოდა და ცოდვებს ინანიებდა, ჩემი სახელით დარდობდა და ჩემი სახელით — კისკისებდა.

გამგზავრების წინ ალიას საჩუქრად მოუტანა „ბავშვობა, ყრმობა“, წითელყდიანი, საკუთარი, თავისი პატარაობის დროინდელი, ყდაზე ეხატა ლურჯთვალეზა, მუხლგადატყაული სერიოზა ივინი და მთელი გვერდი გავსებული იყო საალერსო სახელებით.

— ოი, მარინა! როგორ მინდოდა თქვენთვის ჩემი „ნეტოჩკა ნეზვანოვა“ მეჩუქებინა, მაგრამ მომპარეს: წაიღეს და არ დამიბრუნეს. მარინა, თუ ოდესმე სადმე ნახოთ, იყიდეთ ჩემდა სამახსოვროდ, იქნა ჩემი ყველაფერი — რაც თქვენდამი მაქვს, ვინაიდან ეს მოთხრობა ჩვენ ორივეზეა და ჩვენი ამბის ღარად — არც ისაა დამთავრებული...

მერე უკანასკნელი სადამო იყო, უკანასკნელი გრამაფონი, უკანასკნელი ჯდომა ჩვენ სამის, უკანასკნელი წასვლა — უკანასკნელი რიყრაყისას.



ცარიელი მოედანი — რა სადგურის წინ? ასე მგონია — ღვთისგანაც კი დაიწყებულის, იქნებ — ბრიანსკისა? ალბათ — ხის იყო. იყვნენ გლეხები, დედაკაცები, სალდათები — ტომრებიანად, და მაინც ჩანდა ცარიელი მოედანი მზე, ლაქვარდი ცა — იმ კაბაზე უფროსე ლურჯი.

ვდგავართ — მე, სონეჩკა და ის სალდათი.

— ეს გოგონა კი, მარინა, ჩემი მოწაფეა!

მარინა  
მეგობრული

თავზე გვადგას — და ფეხებით ათეულობით მოკირწყლული ქვა დაუ-  
მალავს — ქალი კოლოსი, გოგო კოლოსი, მაჯის სიმსხო ქერა ნაწნავით, მუხ-  
ლამდე ლურჯი ქვედა კაბით, რომლის ქვემოთ მიწამდე კიდევ ნახევარო საყე-  
ნია, ეგზომ კვასკვასალოყებიანი, სონეჩკაც კი ფერმკრთალი მოჩანს.

ჩემს გაოცებულ შეხედვაზე სონეჩკა ასე მპასუხობს:

— დიახ, დიახ, თექვსმეტი წლის ვართ. ერთი წელია, რაც სოფლიდან  
ჩამოვედით. სცენაზე გვინდა. მაშ-მაშ, ასეთი სასწაულები ხდება რუსეთში!  
ფეხის წვერებზე დგება და ისე ვალერსება.

მოწაფე გოგო, კიდევ უფრო გაწითლებული, თუმცა ამის წარმოდგენაც  
ალბათ ძნელია, ძალუმი ბასით:

— საგზალი მოგიტანეთ, სოფია ევგენიევნა. — და ვეება ტომარა ამო-  
აძვრინა, — მთელი ერთი თვე საჭმელი არ მოგაკლდებათ.

ბაქანზე ვართ. სონეჩკა უკვე ვაგონშია. ცრემლებს პირდაპირ ბაქანზე  
აფრქვევს.

— მარინა! მარინა! მარინა! მარინა!

ალარ ვიცი, რით ვანუგეშო:

— სონეჩკა! იქ მდინარე იქნება ალბათ და კიდევ თბილი.

— უგულო ციყვი ხომ არ გგონივართ? — ტირილით, — უთქვენოდ თხი-  
ლიც არ მეთხილება!

...ალიას — აკოცეთ!

...ჩემს გრამაფონს!

...და ვალოდიას!

# 1

„მარინა, ჩემო ძვირფასო!

თავი მაინც ვერ შევიკავე — ტირილ-ტირილით გავიარე დილას ესოდენ  
განათებული პოვარსკაია — თუმცა კი ვიცი, რომ ბევრჯერ გნახავთ და ბევრ-  
ჯერ ვიტირებ — მაგრამ ასე — არასდროს და არასოდეს —

უსაზღვროდ მადლიერი ვარ თქვენთან ყოფნის ყოველი წუთის და ძალზე  
ენანობ იმ წუთებზე, სხვებს რომ ვუთმობდი, — ძალიან გთხოვთ მაპატიოთ,  
ვალოდიას რომ ერთხელ ვუთხარი — ჩემთვის შენა ხარ ყველაზე ძვირფასი-  
მეთქი!

ყველაზე უფრო ძვირფასი — მხოლოდ თქვენა ხართ.

თუ არ მოვკვდი და კვლავ მომენატრა — შემოდგომა და თეატრი — ეს  
მხოლოდ თქვენი სიყვარულის გამო იქნება, მის გარეშე, უკეთ, თქვენ გარეშე  
ალბათ მოვკვდები, ვინაიდან ცოდნა იმისა — თქვენ ხართ ამქვეყნად, იგივეა,  
სიკვდილმა არ იარსებოს. ვალოდიას ღონიერ მკლავებს განა ძალუძთ სიკ-  
ვდილს ხელიდან გამომგლიჯონ?



ათასჯერ გოცნით იმ ზელებზე, რომელთაც მხოლოდ კოცნა ეგებით, მაგრამ კარადებს დაათრევენ, სიმძიმეს წევენ — პოი, რაოდენ მკვებრს ისინი ამ ამბის გამოც.

ალარ ვიცი, მეტი რა გითხრათ — ათასი სიტყვა დამწერს სათქმელი — მაგრამ უნდა წავიდე. მშვიდობით, და — არ დამავიწყდეს — მთელი ზაფხული თქვენი მოგონებით. დავიტანჯები, — მარინა, მარინა — ამ სახელს, ჩემთვის ძვირფასს, ვის დავუძახებ?

მარადიულ და უსასრულო გზაზე თქვენი — და მხოლოდ თქვენი სონია გოლიდელი (ჩემი გვარი — ირინას, ჩემი გოგონას ხათრით მიყვარს)“.

2

„ბარგი ჩავაწყვე — აბა, მშვიდობით, ჩემო სიცოცხლევ! — რამდენი დილა დამთენებია მარტოდმარტოს ჩემს სავარძელში თქვენზე — ფიქრში. აქ ყველაფერი ძალიან მიყვარს, — იმ მიზეზით, თქვენ აქ იყავით.

გულისტკივილით მივალ აქედან — იმავე მიზეზით.

მარინა — ჩემო საყვარელო და მშვენიერო — წერა არ ძალმიძს, ესაა, სულელივით ვტირი და ვტირი.

მშვიდობით — ჩემო გულო.

თქვენი სონია“.

3

(აღიას)

„გოცნით, პაწაწინა წვრილო მკლავებო, რომ მეხვეოდით, — გოცნით და გოცნით. — ნახვამდის, ჩემო აღია, — კვლავ როდის გნახავ?

მიჯაღოვე ბედნიერება და სიყვარული დიდზე დიდი — მე, პატარას და არცთუ ბედნიერს.

შენი სონია“.

4

„20 ივნისი (7-ძველი სტილით), 1919 წელი.

მარინა, ჩემო ძვირფასო — ჩემო გულო — ცეცხოვრობ უზომო აღიაქოთში — არის სიმღერა, სტვენა, ვნიასი და ქირქილ-ხითხითი — აზრი ვეღარ მომიკრებია — მაგრამ ზომ იცის გულმა, როგორ მიყვარხართ და დღისით თუ ღამით ამ ფიქრით დავალ.

მარინა, ძალზე ცუდად ვარ, არ მიხარია არც პაერი, ასე დიდებული, არც ტყე და არც ტოროლები — ყველაფერ ამას მაშინ ვგრძნობ და ეს ყველაფერი მაშინ მესმის, როცა ჩემთან ხართ თქვენ, ვალოდია, ჩემი იურა — გრამაფონიც კი — რომ არა ვთქვა რა შოპენზე და „მეთორმეტე რაფსოდიაზე“, — როცა ჩემთან იგივეა, ვისაც ჯერ არ ვიცნობ — და ვისაც ალბათ არც არასოდეს არ შევხვდები.

მე შემიძლია 150 მაჯისცემითაც ვიყო ცოცხალი, თუ წამით მაინც ვისიმე თვალებს შევეფეთე (მათ გაღიმებას ვერ ავუკრძალავ!) — აქ კი მარტო ვარ — თუმცა ვუყვარვარ, აგიჟებით სოფლის ვოგოებს — მაინც მარტო ვარ ტე-



ლეგრაფის ბოძების დარად რკინიგზის ხაზის გაყოლებაზე. გუშინ დიდხანს მოვდიოდი მოსკოვის მხარეს და ვფიქრობდი: როგორ აღარდებოდა მარტოობა, როგორ სწყინდებოდა ალბათ მარტოობისგან — ტელეგრაფებიც რომ აღარ მოდის! — მარინა, მოგწერთ უბრალო ამბავს, მაგრამ იცინებთ და მიხვდებით — დღეს რად ვარ ასე გულდარდიანად.

ვზივარ გუშინ ევგენი ბაგრატიონოვიჩთან და ერთ სოფელში ქალს ხუმრობით ვებაასები:

დედაკაცი: ლამაზო, პაპიროსებს ქმარს უტენი?

სონია: კი.

დედაკაცი: თეთრი შარვალი რომ აცვია, იმას, არა?

სონია: კი, იმას.

დედაკაცი: მაშ რატომ იმის ქოხში არ ცხოვრობ?

სონია: ვინაიდან გამომაგდო, მითხრა, ძალიან დაუშნოვდით — პაპიროსების დატენა კი მაინც მიბრძანა — ამიტომაც მოვდივარ ხოლმე. ახლა სხვა ქალი მოიყვანა.

იმავე დღის საღამოა.

დედაკაციმა ვახტანგოვი გამოიჭირა და ეუბნება:

— ცოლი რატომ შიატოვე, ვისზე ვაცვალე? მზეთუნახავი ცოლის მაგიერ ვინ მოიყვანე? — არა გრცხვენია? — ცოლთან იცხოვრე!

იმავე დღის ღამეა უკვე.

წინკარში ვდგავარ და პირს ვიბან. ვახტანგოვი შემოდის ჩემთან.

— სოფია ევგენიევნა, ბავშვი ხართ თუ ავანტიურისტი? — და მიამბო, დედაკაციმა რა უთხრა თურმე.

გავიქეცი ვახტანგოვისგან და საოცრად მწყდება გული, რომ არა მასთან ერთად.

ეს ყველაფერი სისულელეა. — მარინა, ჩემო სიხარულო, მომწერეთ ხოლმე. ხვალ გადავდივარ ცალკე ოთახში და თქვენთვის დღიურის წერას დავიწყებ, ჩემო ძვირფასო. — გემუდარებით, მომწერეთ ხოლმე, თვითონ არ ვიცი, უთქვენოდ ნეტა რა მაძლებინებს...

მარინა, ბარგი გადააქვთ — წერილი უნდა წავიღო — არ დამივიწყოთ. გემუდარებით — მომწერეთ ხოლმე.

პოი, რამდენი ცრემლი ვღვარე თქვენი უკანასკნელი წერილის გამო. პოი, რარიგ მიყვარხართ. — გიჟოცნით ძვირფას ხელებს, გოროზ ბუდეშურ თვლებს და — რომ კოცნა შეიძლებოდეს — მაგ თქვენს მომხიბვლელ და მსუბუქ ხმას.

მაცოცხლებს მხოლოდ თქვენი წერილის მოლოდინი. ალია და ირინა დამეოცნეთ. — ჩემი გრამაფონიც — ნეტა სადაა ეს ყველაფერი?

თქვენი ს.

5

(უკანასკნელი)

„1 ივლისი (20 ივნისი ძველი სტილით), 1919 წელი. მიყრუებული ქალაქი შიშვენი.“



მარინა, — გრძნობთ კია ამ სახელით, — სად ვიმყოფები?! მიყრუებულ შიშვევში ვარ — უბადრუკი სახლები და ქოხმახები, სიბინძურე და სილატაკე. ტყე კი ისე უსაშველოდ შორს, ორი კვირაა ვერ მივაღწიე. — უნდა მაწამებს, საღამოობით დარდი მახრჩობს, ასე მგონია, დილამდე ვეღარც გავაწევ.

ღამდამობით დღიურს ვწერდი, მაგრამ სანთელი გამიჩქვანდა, სიბნელეში დიდხნობით ვზივარ და თქვენზე ვფიქრობ. — რომ მოულოდნელი სიხარული მომანიჭა თქვენმა წერილმა. — ღმერთო ჩემო, ტირილით ვკოცნი წერილს და გიკოცნით მაგ ძვირფას ხელებს მისი დაწერისათვის.

მარინა, მე რომ მოვკვდები, ჯვარზე ეს თქვენი ლექსი წამიწერეთ:

უკანასკნელად ამოიმღერა:

„ჩემო პაწიაჲ!“

და სულიც დალია.

რა გასაოცარი ლექსია მართლა.

მარინა, ჩემო გულო, რა უთავბოლოდ და დაბნეულად გწერთ. დღეს ყველაზე ლურჯი და ცხელი დღეა — თანაც ისეთი ჟრიაბული, ფიქრი არ ძალბძის. — გწერთ ჰაიპარად, ვინაიდან ვახტანგ ლევანოვიჩი მოსკოვს მოემგზავრება — ნახევარი საათი დამრჩა მხოლოდ. მარინა, გემუდარებით, ჩემო გულო, ჩემო სიცოცხლე, ყირიმში 1 აგვისტომდე არ გაემგზავროთ, პირველში მე ჩამოვალ. რომ არ გნახოთ, მოვკვდები ალბათ, — რით უნდა ვისულდგმულო, თუ ერთხელ კიდევ აღარ გნახეთ.

მარინა, ჩემო საყვარელო, ჩემო ოქრო, არ გაემგზავროთ — აღარ ვიცი, მეტი რა გითხრათ.

მიყვარხართ ყველაფერზე და ყველაზე მეტად, და — რაც არ უნდა ვთქვა — ყველაფრის მიუხედავად.

მარინა, საყვარელო, ნახო, ძვირფასო, გკოცნით თქვენ, თქვენს თვალებს, ხელებს, ვკოცნი ალიას და მის თათუნებს წერილის გამო, — მეზიზღება მამა, შვილი და მისი უნიჭო სიყვარული „ვინმე თავადის ცოლისადმი“, — მწყინს, ვალოდია რომ არა მწერს, მართლა გულით მწყინს.

მარინა, გულო ჩემო, არ დამივიწყოთ.

თქვენი სონია.

დღიურს თქვენთვის ვწერ.

რუზაევკაში გამგზავრებისას ერთ-ერთ სადგურზე ვალოდიას დებუშა გავუგზავნე:

გიგზავნით კოცნას

ასი და ასი

კილომეტრს იქით!

ტელეგრაფისტს რომ მივეცი, ამ ტელეგრამას სასწრაფოდ ვერ გავაგზავნი, — ასე მითხრა — ვინაიდან საქმიანი არააო. ხვეწნით ძლივას დავიყოლიე.

გკოცნით.

ვლოცულობ თქვენთვის!

P.S. — ჩემი სახლის წინ საყდარია, სადაც დავდივარ ცისკრის ლოცვაზე და ვტირი და ვტირი.

სონია“.



წავიდა სონია და სულმოკლეობამ წამიყვანა დარჩენილ კვალზე მის საძიებლად. ანაზდად ასე წარმოვიდგინე — ანაზდად ჩემს თავს ეუბნებოდა, რომ უჩვეულო არა არის რა და მის წრეში — ყველა მისთანა იქნება მეთქი.

მაგრამ ჩემდა გასოცრად და გასაკვირველად სულ მალე აღმოვაჩინე, სონიას თითქოს ვერავინ მიცვლის, ზუსტად ისე, როგორც, პაპიროსი როცა არა გაქვს, უნებლიეთ პირში იჩრი ყველა გრძელ საგანსა, რაც მოგხვდება — ფანქარსა თუ კბილის ჯაგრისს — ერთხანს თითქოს კიდევ მშვიდდები, მაგრამ შემდეგ, თავს როცა ისევ ცუდად იგრძნობ, ხვდება, თურმე ის არაა, თურმე ის — არ აგილია.

მისი სიყვარულის კვალობაზე სტუდიელები კარგად მხვდებოდნენ, გულთადად, ერთმა ქალმა ისიც კი მითხრა, ირინა რომ დაბრუნდება, მე წავიყვანო რომელიღაც სხვა სოფელში... მე და ის რამდენჯერმე კიდევაც შევხვდით — მაგრამ იგი ქერა იყო, ცისფერთვალება — და სულ მალე აშკარა გახდა, რომ აქ სონეჩა არაფერ შუაში იყო. იგი ჩემი უცხო ნაცნობი იყო მხოლოდ.

როგორც წიგნშია — „გაგრძელება მოჰყვებაო“, აქ გაგრძელება — არ მოჰყოლია.

გაგრძელება მოჰყვა — ვალოდიასთან, იმის გაგრძელება, რაც სონეჩამდე იყო და რაც სონეჩას არც უფრო ახლო და არც უფრო შორი გაუხდია, რომ თითქოს უფრო ბუნებრივი იქნებოდა: ჩვენ შორის ამ პაწაწინა არსების ფიზიკური არსებობის გაქრობის შემდეგ ამ პაწაწინა არსების ფიზიკური არარსებობა უფრო მეტი დაახლოებით რომ შეგვევსო, ჩვენი — შეგვევსო, ანუ უბრალოდ გვერდიგვერდ დავმსხდარვიყავით. მაგრამ თითქოსდა შეუთანხმებელ შეთანხმებით ჩვენ შორის მისი არყოფნის შემდეგ — გადავსხედით — იგი თავის შორ კუთხეში, მე — ჩემს შორ კიდეზე, ერთმანეთისგან დაშორებულნი მთელი ერთნახევარი სონეჩას სიგრძით. ჩვენ შორის იმ პატარა შავთმიანი თავის გაქრობამ ჩვენი თავები სულაც არ დაახლოვა. თითქოსდა ეს ყველაფერი, რაც სონეჩასთან ერთად იყო, მხოლოდ გვესიზმრა და მხოლოდ მასთან შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სიზმარში.

მაგრამ აქ უნდა წარმოითქვას ერთი სახელი: მარტინ იდენი.

— ეს — გაცილებით უფრო დიდია, ვინემ თქმა შეიძლება: ნაწარმოებიც, მირიც, ავტორიც. უფრო დიდი, ვინემ მე შემიძლია ამის გამოთქმა... როდესაც, როცა დავშორდებით... „მარტინ იდენი“ წაიკითხეთ, და როცა იმ ადრესს წააწყდებით, სადაც ქერა მხედარი თეთრ ცხენზეა ამხედრებული, — გამიხსენეთ და — გამიგეთ მაშინ.

ცხრამეტი წლის, არა, ცხრამეტნახევარი წლის შემდეგ 1937 წლის ნოემბრის წვიმიან დღეს პარიზის ერთ პატარა უცნობ ქუჩაზე მივდიოდი ჩემს თანამგზავრ კოლიასთან ერთად — მაშინდელ ვალოდიაზე ცოტა უფროსი რომ იქნებოდა.

— მარინა ივანოვნა! აგერ ძველი წიგნები — ამ წვიმაში — იქნებ დაგელოთ?

ბრეზენტი გადავხადე და მარტინ იდენის თვალებს წავაწყდი.

ახლა განვმარტავ, საოცრება იქნებოდა ვისმე ეფიქრა, რომ ვალოდიას



ის ანდერძი — მე დაევიწყე, მე, ვისაც მხოლოდ იცნება და ხსოვს მასულ-  
დგმულეზღა.

მაგრამ შეშეძლოთ კი ასე უბრალოდ შევსულიყავი დღეში „მარტინ  
იდენი“ მომეთხოვა?



ვით ვალოდია ოდესღაც ჩემს ცხოვრებაში — თავისი მშვენიერება, ვით  
ყველა და ყველაფერი მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში მსგავსი მსგავსი  
და — ან არ მევლინებოდა, ისე მარტინიც თავისით უნდა მომვლინებოდა.

ასედაც მომევლინა იმ წვიმაში, ჩემი თანამგზავრის შემთხვევით ნათქვამ  
სიტყვის წყალობით.

ასეც წარმოსდგა.

მე დამრჩენოდა მხოლოდ ხელი გამეწვდინა — წვიმაში ჩამხრჩვალისა და  
ამვლელთა გულგრილობისგან განწირულისთვის (მოვიგონოთ მარტინ იდე-  
ნისა და თვით ჯეკ ლონდონის აღსასრული!)

ყოველად ჩვეულებრივ და წესიერ წიგნის ფარდულში — ახალი, ჯერ  
გაუქრელი თუ სულ ერთია როგორი „მარტინ იდენის“ ყიდვა — თვით ვა-  
ლოდიას ღალატი იქნებოდა, სამკეც ღალატი: ჯეკ ლონდონის, მარტინ იდე-  
ნის და ვალოდიასი, იმ *la Chose Etablie*<sup>1</sup>-ის გამარჯვება, ვის წინააღმდეგ  
ბრძოლასაც სამივემ თავი შესწირა.

ასე კი — ამ წვიმაში — ბრეზენტიდან, — დახურვამდე სულ ბოლო წამ-  
ში — გულგრილ მოვაჭრე ქალის ხელიდან — მისი გამოტაცება — ეს უბრა-  
ლოდ, მარტინ იდენისა და ვალოდიას ხსოვნის ხსნა კიყო. აქ მარტინ იდენს  
გქირდებოდი — აქ მას სამეველად ხელს ვუწოდებდი, აქ ის მართლაც ჩემმა  
ხელმა — გადაარჩინა.

და აი, ამ უკვდავი წიგნის ბოლოში — არა, ქერა მხედარი არც მოძებ-  
ნია და არც მოველოდი, ვიცოდი რა, თავად, თვითონ წარმოსდგებოდა — თა-  
ვის დროზე და თავის სტრიქონზე! — იმ ჰიმნის ბოლოს, მარტოეულ შრომას  
და განვითარებას, მარტოობას რომ უმღეროდა, წარმოსდგა ჩემთან მოვ-  
ლინების მეთორმეტე საათს...

ზმანება თეთრი, ოღონდ არა მხედრის, მენიჩისა, მოცურაის,  
წყნაროკეანელ თეთრი კელურის, ნაფოტზე მდგარის, ვისშიაც ის ქერა მხე-  
დარი (მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მეხსიერებაში არსებული) — უმაღლესი  
ცან.

ცნობილი წლის შემდეგ მარტინ იდენმა ვალოდია — მე დასტურმიქნა.

ერთხელ ჩემი უბის წიგნაქიდან ეუკითხავდი — იურას, პავლიკის, ჩემსა  
და სონეჩკას ამბებს, კიდევ რიგებში მოსმენილსა და გაგონილზე, კიდევ ჩემს  
ფიქრებს თუ სხვას — და მახაც ვითომ ზუმრობით, მაგრამ ოდნავი წყენით:

— მარინა ივანოვნა, მაინც ვული მწყდება — ჩემზე რატომ არაფერია?  
ჩვენ — შესახებ? ჩვენის — შესახებ?.. ხომ იცით, გარე სამყაროში, ცხოვ-  
რებაში, არავისა და არაფრის მიმართ თქვენზე არ ვექვიანობ, მაგრამ ფიქრის  
სამყაროში — ნეტა კიდევ როგორ გამოვთქვა? მე თავად არაფერს ვიწერ  
ხელიც ბავშვური მაქვს — ვიცი მხოლოდ, რომ ყველაფერი — მარადია, ჩემ-  
ში — მარადი, რომ ყველაფერი დარჩება და საჭირო დროს მკვდრეთით აღ-  
სდგება, ყველაფერი, ყოველი სიტყვა, ჩემი და თქვენი, მგონია კიდევ.

<sup>1</sup> დაღვნილ წესი (ფრანგ.)



რომ ჩაწერისას რაღაცით თითქოს ჩრდილს მიეყენებ, დავამცირებ... მაგრამ  
თქვენ — სხვა ხართ, მწერალი ხართ...

— ოდესმე, ამ ჩვენი მეგობრობის ხანს, ერთხელ თუ მაინც შეგიძნელ-  
ვიათ, ვალოდია, ეს ამბავი?

ჩაიცინა:

— სხვები — მეუბნებოდნენ...

— დაიცათ, ვალოდია! მე მაქვს თქვენზე — ორი სტრიქონი ლექსის ბო-  
ლოში, დაუწერელში:

**თქვენ რომ ხელმწიფედ ღმერთს დაესვეთ,  
აღბათ შეგრააცხდნენ უწყინარესად.**

შევატყვე, ლექსი გულში ჩაიბრუნა და იქ უსმენს. მერე ჩაიცინებთ:

— მარინა ივანოვნა, ასეთი მშვიდი — მხოლოდ თქვენთან ვარ.

მის ღიმილზე ჯერ არსად მითქვამს — ღიმილზე მორცხვზე, იშვიათზე,  
წამით გამკრთალზე მუდამ ძირს დახრილ თვალების ქვეშ — შემწყნარებელ და  
მოწყალებითაც კი მზირალნი, უკეთ, არმზირალნი რომ იყვნენ მუდამ, როცა  
იურაზე ვლაპარაკობდი, ღიმილი — ანუ თითქმის გაყრილ ბაგეთა ძალათი შეყ-  
რა, ძველ ადგილზე დაბრუნება — ანუ არსიცილი. საოცარია, მაგრამ მართა-  
ლი და ძალიან გთხოვთ შეამოწმოთ: ასე იღიმის ორი წლის ბაილი, ჯერ რომ  
ენა არ გაუტეხავს, უთუოდ ბაგეთა გაყრით, ხანდახან კი — თვალის დახუჭ-  
ვით. დიახ, ღიმილი ვალოდიას ბალღური ჰქონდა, იმ დანარჩენის გამოკლე-  
ბით, ბავშვურს რომ ახლავს.

და კიდევ — ამ ღიმილს — (ფარულ ზეიმის და ცხადლივ დარცხვენის გა-  
მომხატველს) ახალგაზრდა მამებს შეამჩნევ — პირმშო ვაჟის დაბადებისას.  
თუ ძალათი შეყრილ ტუჩებზე მორცხვი ღიმილი უკრთით ხოლმე, თვალებ-  
ში — ზეიმი უდგათ.

ჰოი, ვალოდია, თუკი ოდესმე ვისმე სახეზე — ეს იქნება — ორი წლის  
ბაილი სადმე ბაღში თუ ორმოცი წლის კაპიტანი რომელიმე კინოფილმში —  
ამ ღიმილის დასაწყისს ვამჩნევ — აღარც ბაღია, აღარც ფილმი, აღარც ბავ-  
შვი და კაპიტანი — ყოველივე თქვენი ღიმილით მთავრდება მუდამ.

და ყველაფერი ისეა — როგორც მაშინ იყო.

სონეჩაზე არასოდეს არ ვლაპარაკობდი. ვიცოდი, სხვანაირად უყვარს  
იგი, არა ისე, მე რომ მიყვარს, რომ სონეჩასაც ისე არ უყვარს, მე რომ ვუყ-  
ვარვარ, და ამ ამბავში ხმას ერთმანეთს ვერ შევუწყობდით, რომ მის თვალში  
ჩემი სონეჩა უფრო მცირე ჩანს, რადგან სონეჩა თავს უფრო მცირედ აჩვე-  
ნებდა, ვინემ ნამდვილად იყო, რადგან მთელი არსებით — ჩემთან იყო,  
ხოლო მთელი არსებით ორთან ცალ-ცალკე ვერ იქნება, ეს შეიძლება როცა  
ორთან ანდა სამთან ერთად ხარ, როგორც ჩვენ სამის ერთად ყოფნის დროს  
იყო ხოლმე, ეს კი — დასრულდა. ისიც არ ვიცი, წერდა თუ არა წერილს სო-  
ნეჩას.

ჩვენ რომ მასზე გველაპარაკ, დავა და არა ლაპარაკი გამოვიდოდა,  
გგრძნობდი, არ ჰქონდა გასაღები სონეჩას სულის — და ბარემ ყველაფერს  
ვიტყვი: ის მეტისმეტად ყმაწვილი იყო, მეტისმეტად ყმაწვილი და ახალ-  
გაზრდა სონეჩას ბალღურ საქციელისთვის, რომლის მიღმაც ოცი წლის ბიჭს



არ შეეძლო ეგრძნო ბედი და უბედობა სონეჩკასი. ვალოდიასთვის სიყვარული — ლოცვას ნიშნავდა, მაგრამ აბა როგორ ელოცა — ასეთ პატივს არსებაზე, ეს წინაშე დახოჭილიც კი მაინც მაღალი და უფროსი ჩანდა?

დადუმდა ჩვენი გრამაფონიც, რომელიც თურმე მარტო სონეჩკას ხმა ყოფილა, ის მეორე ხმა, რომლის არქონას ასე ხშირად დასვენებულ ჩიოდა ჩემთან.

სონეჩკა მისი გრამაფონით, მწვანე საყარძლით, გაუყიდავი ფეხსაცმელით, მისი იურათი, ვალოდიასი და კიდევ ჩემით, ანუ მისი რაც იყო ჩემში, თვისი ყველაფრით და მთელი თვისი არსებით მთლიანად გულში გადმოშისახლდა და მეც — ამ მისით სავსე გულით — მომავალში გადავსახლდი, ჩვენი შეხვედრის დღის მოლოდინში, რაიც ურყევად და მტკიცედ მწამდა.

უმისოდ მთელი ეს დღეები — თითქოს ვიდექით ერთ ადგილზე, თითქოს მიმდვრად მყოფ გლეხის ქალივით ხელმოჩრდილული გავყურებდი — მოდის თუ არა? ან მეძინა, როგორც გოგოს, ახალ თოჯინას რომ შეპირდნენ — და მასაც სძინავს, ადგება — სძინავს, წევს — ისევ სძინავს, — ოღონდ როგორმე დრო გაათრიოს! ან — ვით ტუსადი, ყოველდღეობით კედელზე კიდევ ერთ ხაზს რომ წაშლის. ან როგორც ვისმე შესაგებებლად მიდიან ხოლმე — ასე ვცოცხლობდი მის შესახვედრად, მივდიოდი შესაგებებლად — ჩემი ყოველი ფეხის ნაბიჯით, დღის ყოველ წამით, შუბლის ყოველი ფიქრით — ზუსტად ისევე, როგორც ის მაშინ, მოსკოვისაკენ — ანუ ჩემკენ ლიანდაგებს რომ მოჰყვებოდა.

არა, მოწყენით უმისოდ არ მომწყენია — ისე უსაზღვრო დიდ სიხარულს მგვრიდა იგი!

აი, ნახმევი — იმ დღეებისა ჩემი უბის წიგნაკში:

„ჩემ წინ ახლა ალიას გრძელი ფეხები და მუხლებია. სახურავზე წევს, ფეხები რაფაზე ჩამოუშვია. — მარინა! ღრუბელი მოსრიალებს, — იქნებ დედათქვენის სულია იგი? — მარინა, იქნებ ჩვენს სახლს ალი უახლოვდება — აი ის, სამასი წლისა რომაა? (და პირჯვარს იწერს ქუჩიდან მუსიკის გაგონებაზე.) — მარინა! მარინა! ღმერთო, კვამლი როგორ მოფრინავს, ღმერთო, ეს კვამლი ყველგან დაფრინავს! მარინა, იქნებ ეს იმ მატარებლის კვამლი არის, რომელსაც სონეჩკა მოჰყავს? — მარინა, იქნებ იოანას კოცონის კვამლია იგი? იმ სიმაღლეზე ალბათ რამდენი სულია, არა?“

...„ქალებზე არაფერს ვიტყვი, ვინაიდან ყველა მათგანს მადლიერებით ვიხსენიებ, მაგრამ ვინც მიუყვარს, ეს მხოლოდ სონეჩკა გოლიდეთა“.

— მარინა ივანოვნა! დღეს ჩვენი უკანასკნელი საღამოა, ხვალ მივემგზავრები.

— უკანასკნელი... თან ხვალ... კი მაგრამ, გულმა როგორ გავიძლოთ, აქამდე როგორ...

— მარინა ივანოვნა! — ხმა იმდენად დადინჯებული, თითქოს სადღაც კიდევ მაფრთხილებს. — ნუ მათქმევინებთ, რის მოსმენაც თქვენ არ გეგებათ, მე კი — თქმა მისი. მაგრამ გწამდეთ, მიზეზი ფრიად დიდი მქონდა.

— მე დამიძალოთ დასასრული! იაროთ, ვითომც არაფერი, თავად კი გულში მარტომ იცოდეთ?



— თუ გადაჭრით ასე გნებავთ...

— არც გადაჭრით, არც გადაუჭრელად, უბრალოდ — არაფერი მე არ მნებავს, ღმერთმა კარგად გამყოფოთ! უბრალოდ — ეს ყველაფერი — და-მესიზმრა, ერთხელ კიდევ — ყველაფერი სიზმარი იყო!

— მარინა ივანოვნა! თქვენ და მეც — ადამიანები ვართ, ეჭვიანობა უნდა გვქონდეს — ყოფნა კი ნიშნავს — ტკივილი იგრძნო. ხოლო თქვენთვის, ვინც გეგონებოდა, სიხარული მე მომანიჭა, დროზე ადრე გული რატომ უნდა მეტკინა? ისიც კმა-როდა, მე რომ მტკიოდა.

— ვალოდია, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი?

— ჩემოდანი უკვე ჩავაწყვე.

— მარტო მიემგზავრებით?

— არა, რამდენიმე ვართ — სტუდიელები. მერე იმათაც ჩამოვცილდები.

— სწორად მიგიხვდით?

— დიახ.

— ხოლო — მშობლები?

— მათ ჰგონიათ — თეატრს მივყვები, ყველას ჰგონია — თეატრს მივყვები. და უკანვე დავბრუნდები. მარტო თქვენ იცით. როცა სხვები ცხოვრობენ, ცხოვრება ვითამაშო, არ შემიძლია, მე არა ვარ მსახიობი.

— ეს მე მუდამ ვიცოდი.

— ახლა კი ყველაფერი დავივიწყოთ და სადამო ისე გავატაროთ, როგორც ყოველთვის.

როგორც ყოველთვის — სადამომ ისე გაიარა. გაიარა — როგორც ყოველთვის გადის ხოლმე.

რომელიღაც წუთს თითქოს თვალთაგან ბინდი მომცილდა:

— ანგელოსი კი თურმე — თქვენ ყოფილხართ, ვალოდია!

— რა? — და რა მიხვდა, დამორცხვებით: — აჰ, იმაზე ამბობთ... — და უკვე — მტკიცედ: — არა, მარინა ივანოვნა, ანგელოსი მე არა ვარ: ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ოდესმე მაინც ადამიანად გახდომა იყო.

მერე იმავე, არა თავისი — სონეკას ნამძინარევი, თითქოს ძილში წასული ხმით, — საკუთარ თავს და არა მე:

— ან იქნებ მეტისმეტად პატიოსანი ვინმე ვიყავი.

და ცოტა ხნის შემდეგ:

— კარლოს დიდმა თქვა — ან იქნებ ის არ იყო: „ელაპარაკე ღმერთს ლათინურად, მტერს — გერმანულად, ქალს კი — ფრანგულად...“ — ერთხანს დუმილი. — ჰოდა, ზოგჯერ — ასე მგონია — რომ ქალებთან ლათინურად ვლაპარაკობდი...

(თუკი მაშინ არ მოვეხვიე... მაგრამ არც ჩემგან — და არც თავისი მხრიდან მას ეს არ სწადდა...).

რომ მიდიოდა, თუმცა ჯერ კიდევ ოთახში იყო — სადაც თითქმის ნათელი იდგა:

— მარინა ივანოვნა, მუდამ მოგწონდათ ჩემი ბეჭედი. გამომართვით! პირველივე წუთიდან თქვენთვის მინდოდა მეჩუქებინა, მას აქეთ — თითქმის ყოველი შეხვედრის დროს ჩუქნა მინდოდა, მაგრამ სულ თითქოს — რაღა-



ეს — ველოდებოდი ახლა დრო მოვიდა, ეს საჩუქარი არაა ჩემგან —  
ეს ხარკია.

— ვალოდია! მგონი, პირველად მჩუქნიან ბეჭედს, მუდამ თვითონ  
ჩუქნიდი ხოლმე. — წავიდვრე და ხელში მიჭირავს, — და თუ ამდენი არ გა-  
ჩუქეთ — მარტო იმიტომ, იურასა და პავლიკისთვის უკვე ნაჩუქნი მქონდა,  
მანამდე კი — ვინ იცის, რამდენისათვის! არ მინდოდა სხვათა ჩუქნილობა-  
რიყავით.

— არადა, როგორ მშურდა! ახლა შემოძლია გამოტებით ვთქვა —  
თქვენ ი ხელიდან რომ ჰქონდათ იურას და პავლიკს — ასე მკვიდრნი, ასე  
გამძლენი! პირდაპირ, — სიცილით, — შურით ვკვდებოდი! არა, მარინა ივა-  
ნოვნა, უნდა მაჩუქოთ, ამით — სხვების რიგში არ აღმოვჩნდები...

ალტაცებით ათვალიერებს:

— თან არაფერი არ აწერია, ისე ვარ მიჩვეული ამას თქვენს ხელზე,  
რომ ჩემი ხელი თქვენი მეგონება ამიერიდან. — გასწია, განზე დაიჭირა. —  
იურასი უფრო პატარაა, იურასი — ჩინელი ქალისაა, ჩემი — ჩინელი კაცის,  
ჩინელი ბრძენის ნაქონი.

— უბრალო ყულის, ვალოდია.

— თუკი ყულისა... სოციალური საკითხიც გადაწყვეტილა!

ვხუმრობთ ვითომ, გულს კი ნაღველი თანდათან უფრო ერევა...

— თუ იცით, პოეტები რად არსებობენ, ვალოდია? რომ არ შერცხვენს  
ადამიანს თქმა — ყველაზე სანუკვარიანა:

**და ამ ჩემს გზებზე მარად დარჩება  
კვალი ამ შენი ნაფეხურების.**

ვდგავართ ჩემი ალგების ძირას, ოდესღაც ბაცი მწვანე რომ იყვნენ,  
ახლა კი ისე გადავერცხლილან, არც ტოტები, არც ტანი უჩანთ.

— არა, არა, მარინა ივანოვნა, არ გეგონოთ, აღარ მოვალ, ხვალ — ანუ  
დღეს ისევ მოვალ — ბავშვების სურათებისთვის — და საბოლოოდ გამოსათ-  
ხოვრად.

როცა „მეორე დღეს“ ისევ მოვიდა, მაშინდელი, ანუ მთელი საუკუნის  
წინანდელი პირველი და უკანასკნელი დღისით გასეირნების შემდეგ მზის  
სინათლეზე რომ დავინახე, საბტად დავრჩი:

— ვალოდია! ეს რას ნიშნავს? შავი თმა კი არადა, ქერა გქონიათ.

— ღია ქერაც, მარინა ივანოვნა.

დმერთო, მთელი წელიწადნახევარი კი მე შავთმიანთან ვმეგობრობდი!

იქნებ ისიც თქვამთ, თვალებიც შავი გაქვთო? — ოდნავ დაღონებით.

აი, პოლურგო-ნაცრისფერი, ეს მუდამ ვიცოდი და ნაცრისფერებ-  
თან ვმეგობრობდი... მაგრამ თმა კი — არა, ეს რაღაც სიზმარია!

— მარინა ივანოვნა, — ხუმრობის კილოს აშკარად დაჰკრავს მწარე  
ნაღველი, — ეშიშობ, რომ ჩემში სხვა დანარჩენსაც თქვენებურად ხედავდით  
მხოლოდ! არაოთუ ამას, — თმისაკენ ზიზღით აქნეულ ხელით, — მე მთლიან-  
იად!

— თუნდაც ასე — განა ცუდად გხედავდით?

— არა, მარინა ივანოვნა, მეტისმეტად კარგადაც კი, იმატომაც მაშინებს



ისე — დღის სინათლე, აგერ უკვე ქერა აღმოჩნდი, ხვალ კი — ვინძლო მო-  
საწყენი მოგჩვენებოდით. იქნებ სჯობს კიდევ, მე რომ მივემგზავრება?

— ვალოდია! თავი არ დამაკარგვინოთ, ჩემი უკანასკნელი, ჩვენი უკანასკნელი მოთმინება არ გამიწყვიტოთ! თორემ არც თავად გაგეხარდებათ —  
ვინ იცის, იქნებ აღარც წახვიდეთ! გესმით, პირთამდე უკვე სავსე ვარ, ვინც  
თამდე-მეთქი — და შეიძლება ამ ყოველივემ აქვე გამგუდოს!

— ნუ, ნუ, მარინა ივანოვნა!

სხვენის ოთახში ვსხედვართ, საიდანაც ალია ჩემთან სახურავზე ამოდრო-  
მას აპირებდა.

— ალექსა! ერთი თხოვნა მაქვს: დედას ლექსები წამიკითხე!

— ახლავ, ვალოდეჩკა!

მორბის და მოაქვს ყოლოსფერი პატარა წიგნი, სამზარეულოში ბალიშის  
ქვეშ რომ უდევს მუდამ.

შენი ნაცარა პატარა ვირი  
პაკუნ-პაკუნით წინ მიაბიჯებს,  
არც ხრამები და არც ღელეები მას არ აშინებს...  
შობის ძვირფასო ქალბატონო,  
მეც წამიყვანე მაღლა ღრუბლებში!  
ჩემს პატარა ვირს რათა პური ჩამოვუტანო...

წკრიალებს ხმა...

— მარინა ივანოვნა, საჩუქრად ჩემი საყვარელი წიგნი მოგართვით —  
ქანა ღარკი მარკ ტვენისა — არ იცით? დიდებულია.

გავშალე: წარწერაა. არ წამიკითხავს — ისე დავხურე.

— მარინა ივანოვნა, მუდამ ვტრაბახობდი, ჩემი იარაღის საწყობი —  
ჩემი მუზეუმი — ჩემი ბიბლიოთეკა მაქვს-მეთქი. — არც არავისთვის მიჩვე-  
ნებია, ვინაიდან მქონდა მარტო: ესპანური პიშტოლი, ბეჭედი და ორი წიგნი:  
„მარტინ იდენი“ და — ეს, ახლა — მთელი ჩემი არსენალი — ჩემი მუზე-  
უმი — ბიბლიოთეკა — თქვენთანაა, მე — განწმენდილი ვარ.

— მარინა! — ალიას ხმა. — შეიძლება მეც ვაჩუქო ვალოდიას ჩემი  
„ჯადოფარანი“? რომ ვაგონში წაიკითხოს, თუკი სალდათებმა მეტისმეტი  
გინება შექნეს. ვინაიდან გაოცებისგან დაცხრებიან, მერე კი დაიძინებენ. ვი-  
ნაიდან სოფლელებს ლექსებს როცა უკითხავ, მუდამ ძილი ერევათ ხოლმე...

ვალოდიამ ხელზე და იმ ხელში წიგნსაც აკოცა.

— სალდათებთან არ ვიქნები, ალია, გიყვებთან ერთად ვიქნები — ამბო-  
ბენ — მშვიდი გიყვებიც არიანო, მაგრამ ახლა მშვიდი გიყი აღარ არსებობს,  
ახლა ყველა შმაგი ვიყია.

— ვალოდია, მე და მარინამ წერილები დაგიწერეთ, როგორც ოდესღაც  
მამას ვუწერდით, ვაგონში რომ წაეკითხა. ეს გამოსათხოვარი ხმებია ჩვენი.

— მატარებელი როდის გადის?

— მალე. უკვე უნდა წავიდე.

— გაგაცილოთ?..

— არა, მარინა ივანოვნა, აქ მიხდა — დაგემშვიდობოთ.



— ახლა წასვლის წინ წუთით ჩამოვსხდეთ.

წითელი ხის ვიწრო დივანზე გვერდიგვერდ ვსხდებით. აქა ხმამაღლა ლოცვას იწყებს:

— ღმერთო, მშვიდობით ჩაიყვანე და აპოვინე, რასაც ეძებს. მერე მოსკოვში დააბრუნე, რომ ყველა ცოცხალი დახვდეს ჩვენს სახლიც კვლავ ისევ იდგეს. ამინ.

პირველი გადავისახეთ და მეზონინის ვიწრო კიბეს ჩავეყვით ნიადაგ ბნელ ტალანში. როგორც ყოველთვის, მინდა გავაცილო: ის კი:

— ნულა გამომყვებით. წასვლა გამიჭირდება.

ბოლო წამი. ვეტყვი თუ არა? მეტყვის თუ —

ისე უბრალოდ, თითქოს მთელი ცხოვრება სხვა არაფერი უკეთებია, თავზე ხელი მომხვია, გულში ჩამიკრა, მაკოცა შუბლზე და ტუჩებში.

მე სამჯერ ჯვარი გადავსახე შუბლზე, მხრებზე და გულმკერდზე, ჯვარი, რომელსაც სახე უგავდა.

დაიხია: უკვე ზღურბლს გადაღმია და ზღურბლიდან, ხელის გამოუწვდენლად:

— მშვიდობით, მარინა... — თითქოს მთა გადაყლაპაო, — ივანოვნა.

„საყვარელი ვალოდია!

გისურვებთ, ვაგონი დახუთული არ იყოს, საჭმელი გქონდეთ, კარგად მოგექცნენ, თავი არავინ გაგაბეზროთ, სარკმელი ღია იყოს. მინდა მთელი გზა წინანდელივით კარგი და აღფრთოვანებული გქონდეთ. თქვენ წახვედით, ჩვენო უკანასკნელო ნამდვილო მეგობარო.

ვალოდია! ახლა თავი ავწიე და ლამის ტირილი მოვრთე. ძალიან ვდარდობ, უკანასკნელს თქვენ გიყვარდით ასე ნამდვილად, ასე ნაზად, ასე კარგად ისვენდით ლექსებს, თქვენთანაა მარინას ბავშვობის წიგნი. წაიკითხავთ და გაგახსენდებათ, თუ ამ წიგნს როგორ გიკითხავდით, მალე ალბათ ისევ ვინმე წამოვა კიევში და ისევ წერილებს მოგწერთ.

ვალოდია. ვერ დავიჯერებ, რომ მალე არ ჩამოხვალთ. ოი, ღმერთო! მაგ ვაგონებს ცეცხლს არავინ წაუკიდებს, ვინაიდან ყველა მგზავრი უცოდველია. შეეცადეთ თვალში არავის მოხვდეთ და რამე კარგი ავადმყოფობა მოიგონეთ. შეიძლება მოხდეს საშინელება...”

აღიას ეს წერილი მგზავრობის საშინელებებზე — არ დარჩენილა, ვინაიდან იმავე წუთს ვალოდიამ კარზე დააკაკუნა და ამ წერილის ჩემს რვეულში გადატანა ბოლომდე ვერ მოვასწარი. შემდეგ მოსდევდა, ვგონებ, იმის აღწერა, როგორ გადმოსვეს ვალოდია კიევის სადგურზე გიყების ვაგონიდან და ფურგონში ჩასვეს, როგორც ყველაზე საშიში გიყი.

უანა დ' არკის წიგნზე კი ასე ეწერა:

„ჩვენ ორივეს ერთი რამ გვიყვარს“.

შემდეგ მხოლოდ ერთადერთი წერილი იყო, რამდენიმე სტრიქონი მხოლოდ.

წერილი ასე თავდებოდა: „მჯერა და მწამს, რომ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით. ამ იმედითლა ვისულდგმულე“.



მერმე იყო — დუმილი. და კვლავ დუმილი.

კარზე კაცუნი გავაღე — სონეჩკა შემრჩა.  
გამეხარდა? არა, თითქოს მეხი დამეცა, ლამის წავიქეც.  
ყურში კი — საყვარელი ხმის ნიაღვარი:



მარინა...

— მარინა... — და კიდევ რაღაც სიტყვები, მერე ისევ: — მარინა...

მხოლოდ თანდათან გამოიკვეთა ამ ნიაღვრიდან: — მარტო ერთი საათი, მარტო ერთი საათი დავრჩები თქვენთან! ეს წუთია ჩამოველ და ისევ მივემგზავრები... ერთი საათი დავრჩა! მარტო თქვენთვის ჩამოველ — ერთი საათი! კიბეზე ჩემს მდგმურებს ვხვდებით, ჩამოდიან.

სონეჩკა:

— მე სოფია ევგენიევნა გოლიდელი ვარ. ორი სიტყვა მაქვს თქვენთან სათქმელი.

მამა და შვილი მორჩილად ამოჰყვნენ კიბეს. კიბის ბაქანზე შეეჩერდით ყველა.

— საძაგელი ბალხი ყოფილხართ! ასე როგორ ჩაგრავეთ ქალს, უქმროდ დარჩენილს, ორი შვილით?!

— ჩვენ ხომ... ჩვენ ხომ...

— სამზარეულოში ძალით ეჭრებით, როცა სძინავს, დასაბანად... — ფრუტუნებს ისე, სამი კატა ვერ იფრუტუნებს... — ონკანის ქვეშ! თითქოს ეს გაგბანო! უყიდით საათს, ფულს კი არ აძლევთ! მის ოთახში, სადაც თავისი წიგნები და რვეულები აქვს, ტურტლიან საცვლებს გასაშრობად უკიდებთ ხოლმე!

— უკაცრავად... სოფია ევგენიევნა, — ვაჟი წყენით, — ჩვენ სუფთა საცვლებს ვკიდებთ მხოლოდ!

— სუფთაც რომ იყოს — მაინც ტურტლიანია. სხვენზე აძრომა კი გეზარებათ.

— იქ იატაკი დამპალია, კოჭები ლამის თავზე დაგვეცეს...

— ძალიან კარგი, თუ დამპალია, ძალიან კარგი, თუ დაგეცათ...

— ბოლოს და ბოლოს მარინა ივანოვნამ ჩვენ ეს ოთახი — მოგვაქირავა.

— მაგრამ ქირა კი ერთხელაც არ გადაგიხდიათ.

— ფული არა გვაქვს და იმიტომ. უარს ხომ არ ვამბობთ...

— მოკლედ, ეს — უნიჭობაა, თქვენი ყოველი საქციელი მარინასთან — უნიჭობაა. ბოროტებაა კი. როცა ეზო სალდათებით იყო სავსე, განა თქვენ არ გააღვიძეთ შუადამისას? კარის ღრუში რაღაც სულელური მემუარები და სურათები არ შეაჩერეთ — და მალტიური დაშნაც კიდევ?

— მარინა ივანოვნამ თვითონ გვითხრა, თუკი საჭირო შეიქნაო...

— ვიცო, რომ თვითონ, თქვენ კი — სარგებლობთ, არადა, რომ დაეხვრიტათ?

მამა ჩუმად დგას და მძიმედ ქშინავს, გულში ალბათ თანახმაცაა.

— მოკლედ, იცოდეთ: ახლა მივემგზავრები. მაგრამ დაბრუნებისას თუ შევიტყვე — ხომ გამიგეთ? რაღაც უბედურებას შეგყრიოთ — ტიფს, ქეცს თუ რაც იქნება — ან უბრალოდ, შეგაჩვენებთ.

(უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ პოლონელები მოჰყვინდნენ, თუმცა



როგორც კი ცოტა აცივდა — გადავიდნენ. დავამატებ, ურიგო ხალხი სულაც არ იყო, ეს მე ვიყავ მხოლოდ სულელი.)



ვსხედვართ ზემოთ, იმ დივანზე, რომელზედაც ვალოდიაც ვამოგვითხოვე. ცრემლებისაგან მზის სხივები შევეულად მოჩანს.

— მარინა, რაღაც უცნაური გრძნობა მიტანს — თითქოს უკვე მკვდარი ვიყო და ადგილების სანახავად დავიარები. გრამაფონი — თუ უკრავს კიდევ?

— მას აქეთ აღარც მომირთავს.

— ვალოდიაც არაა აქა. ის კი არა, რომ არაა — ხშირად ხომ არც იყო ხოლმე — ის, რომ უკვე აღარ შემოვია... ერთი კვირის წინ გაემგზავრა? რა საწყენია...

მცოდნოდა, ასე საშინელი იქნებოდა ეს ყველაფერი, მაშინ პირველად თქვენთან იქნებ არც მოვსულიყავ!

...კატა აქედან მოძვრებოდა, ფანჯრის ამ ხვრელით? ყოველ საღამოს — რომელ საათზე? თუმცა იქნებ ეს ჩემი სიკვდილი იყო — კატას ხომ ვალერიანის სუნი ასდიოდა? — როცა კვდებოდა, აკი ეთერის სუნი ასდიო... ვინაიდან რატომ უნდა შემომძვრალიყო, თუკი საჭმელი არ დახვდებოდა? ჩემს წასაყვანად იყო მოსული, ჩვენ ორის წასაყვანად, რომ ყველაფერი მორჩენილიყო... ბაცი, ბაცი ნაცრისფერი, უჩინარი — როგორც რიყრაქი? თან ღუფი ჩამოსდიოდა? ფუი, რა საძაგლობაა! რა თქმა უნდა, კატა არ იყო, რაღაი ასე მორჩილად... მე კი ამ დროს არ მეძინა და ისე ვტიროდი თქვენზე, ჩემზე...

...მარინა, თუ ოდესმე ვინმემ გითხრათ, რომ მეგობარი ქალები მყავს, თუნდაც ერთი მეგობარი, — არ დაიჯეროთ: ამის მიზეზი ჩემი მუდმივი შიშია ხოლმე მარტოობისა, ეს საშინელი სისუსტე ჩემი, თქვენ რომ არა და არ იჯერებდით. ან თუ კაცზე თქვან — არც ეს იწამოთ. ვინაიდან ეს ყოველთვის ბურანი იყო — ან სიბრაღული — მოკლედ, თავდავიწყება. თქვენ კი, მარინა, სრული გონით და მეხსიერებით, მუდამ მიყვარდით — გაგიყებამდე. მარინა, ეს ჩემი ანდერძია.

...გვიანდერძებთ კიდევ იურასაც, არც ისეთი კნინი ვინმეა, როგორიც ჩვენც კი გვგონია, არც ისეთი უსულგულო... არ ვიცი, ახლა ქალაქში თუა, ერთი საათი დრო მაქვს მარტო და ეს საათი — მხოლოდ თქვენი — არა, კი არ გთხოვთ, ამას ვერ შემოგბედავთ, მაგრამ გემუდარებით... იურა არ მიატოვოთ! ზოგჯერ მაინც კეთილი გულით იფიქრეთ მასზე... ხოლო თუკი სამთარში შეგბვდათ (რა თქმა უნდა, საშემოდგომოდ აქ ვიქნები), ასე უთხარი, ოღონდ პირდაპირ არა — ეს არ უყვარს — თუმცა თქვენ შეძლებთ! — რომც გავთხოვდე, ანგელოსებში იგი მაინც ყველაზე უფრო მეყვარება... ხოლო ვალოდია მთელი სიცოცხლე პოი, როგორ მეყვარებოდა, თუმც კი მან ჩემი შეყვარება ვერ შეიძლო, არ შეიძლო — მხოლოდ კოცნა შეიძლო — და ისიც (წამით ჩაიკისკისა) რაღაც უნდილად, ნაძალადევად, იმიტომაც მკოცნიდა ალბათ ისე მაგრად, გული რას გითქვამთ — დაბრუნდება კია ოდესმე?

...არც ალია, ჩემი ალია... გეთაყვა, ასე გადაეცით, როცა იმ თავის კრილატსკოედან დაბრუნდება (რა დიდებული სახელია!), მხოლოდ მისთანა



შვილს ვინატრებდი, მისთანა გოგოს — თუმცა კი ვიცი, შვილი არასდროს არ მეყოლება. რად შევიყვარე თქვენი ყველაფერი, უკანასკნელ აბლაბუდ-ან-ბზარიანად ამ თქვენს სახლში? განა იმიტომ, რომ ყველაფერი დამე-  
კარგა?

...ნეტა რომელი საათია? აჰ, ამას ხომ თქვენს „თავგადასავალს“ უნდა ჰქონდეთ დაუწუმ კითხულობს ქალი: ნეტა რომელი საათია! მერე ისევ: ნეტა რომელი საათია? მაგრამ პასუხს არავინ აძლევს, ვინაიდან საათს კი არა, იმას კითხუ-  
ლობს — ნეტა სიკვდილი როდის მოვაო? მარინა, ვითომ არ შეიძლება ყვე-  
ლაფრის უკან დაბრუნება? აიღო და შენი ხელით მდინარესავით პირი უქცოთ? უკან — გაუშვა? რომ ისევ ზამთარი იყოს — ისევ ის სცენა — თქვენ ისევ „ქარბუქს“ კითხულობდეთ. რომ უკანასკნელად კი არადა — პირველად იყოს?

ოო, მაშინ რომ ჩემთვის ეთქვათ, ყველაფერი ასე დამთავრდებაო! თქვენ-  
თან კი არა, ამ ქვეყანაზეც არ მოვიდოდით...

და მაინც — რომელი საათია? არა, უკვე მართლა ვკითხულობ, ვინაი-  
დან თქვენთანაც კი — არ მიშვებდნენ, ხვეწნით ძლივს დავიყოლიე, პატიო-  
სანი სიტყვა მივეცი, ზუსტად ოთხზე სადგურზე ვიქნებიმეთქი...

მარინა, ნეტა რისთვის მივდივარ? ხომ არავინ არ მოკვდება — ჩემი წაუსვლელობით? მარინა, გამიგეთ კია? ახლა გტოვებთ, თქვენგან მივდი-  
ვარ, ვინც ჩემთვის — ყველაფერია — ვინაიდან სიტყვა მივეცი, რომ ოთხზე სადგურზე ვიყო. მაგრამ — რისთვის? ვინ მოაწყო ეს ყოველივე?

არა, მარინა, მოყოლა არ ღირს — არც დროა უკვე საამისოდ. (ნეტა რო-  
მელი საათია?) იყო ყველაფერი — როგორც ყველგან და ყოველთვის იყო და  
უთქვენოდ იქნება კიდევ: — ანუ არ იყო, მე არ ვიყავი, არ იყო არაფერი.  
ახლა, ამ წუთს (ქვითინებს), ამ თვის მანძილზე პირველად ვცოცხლობ, ჩემი  
სიცოცხლის უკანასკნელ საათს — ვცოცხლობ, და კიდევ რამდენსაც არ ვი-  
ცოცხლებ — უკანასკნელი საათი ჩემი ეს იქნება.

ავდექით და მივდივართ. სამზარეულოს ზღურბლზე შევჩერდით.

— არც ჩემი ირინაა. კი ვიცოდი, არ იქნებოდა, მაგრამ ცარიელ საწოლს  
მაინც არ მოველოდი. — თავისთვის, დაბნეულად: — გალიდაა, გალიდაა...  
მარინა, მინდა თქვენთან შევიდე, ფარანს, გრამაფონს გამოვეთხოვო... ვაი,  
სულ დამავიწყდა — პოლონელები და მათი „სველი სუფთა“ საცვლები რო-  
მეა იქა... მარინა! არ გამაცილოთ! კიბეზეც კი! დე ისე იყოს, როგორც მაშინ,  
პირველად რომ თქვენთან მოვედი: მე — ზღურბლის აქეთ, თქვენ — ზღურბ-  
ლის იქით, ეგ საყვარელი თქვენი სახე — დერეფნის ბნელში... მე ხომ „მე-  
ორე პარტიას“ უნდა გავყვე, — ცრემლიანი სიცილით, — ვით კატორღელი!  
სონკა-კატორღელი. თქვენ შემდეგ მათთან რა დამარჩენს! ან იმათ მოვკლავ,  
ან ფანჯრიდან თვითონ გადმოვვარდები! — ჩუმად, თითქმის ჩურჩულით:

სიუყვარულით დადაგული  
მატარებლით თუ წავედი —  
კვამლს დაიხვევს ორთქლმავალიც,

და მის ავბედით გუგუნში  
მეგონება, მეგონება,  
რომ თვით ეშვამ გამიტაცა



შენი თბილი ღიმილისგან,  
შენს თათმანიან ხელთაგან,  
შენი სახის ზილვისაგან —

შენს ბობოქარ სიტყვათაგან  
შენს ჩქარ-ჩქარა ნაბიჯთაგან  
ჩემი სახლის ჩაღვლის ხანსა..



მარინა! რა საშინლად ახლა ყველაფერი! ვინაიდან თავად ეშმას მივ-  
ყავარ თქვენგან...

უკანასკნელი მისი სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის:  
— მარინა! შემოდგომაზე დავბრუნდები! შემოდგომაზე!

— არ ნახეთ განა თქვენი სონეჩკა?

— სონეჩკა? როდის?

— როგორ როდის? გუშინ, ცხადია, რაკი გუშინვე გაემგზავრა. ნუთუ  
აღარ შემოგიარათ? რა ორგული ვინმე ყოფილა.

„არ ვიცი, რატომ და ჩემი ოთახი დაბერებული მომეჩვენა, კედლები და  
ქერი გახუნებული, ყველაფერი ეამისფერი, ფერგადაცლილი, აბლაბუდებიც  
უფრო მეტი, ჩემი ფანჯრის წინ მდგარი სახლიც ასევე დაძველებული და  
უფერული. სვეტებს ბათქაში ჩამოცვენილი, ხასხასა მუქი ყვითელი კედლები  
აჭრელებული.“

იქნებ ლეგა ღრუბლებიდან წუთით გამოჭიატებული მზის მიმალვამ გა-  
აფერულა ყველაფერი ჩემს თვალში, იქნებ თვალწინ გამიელვა ჩემი მომავ-  
ლის მკმუნვარე სურათმა და ჩემი თავი თხუთმეტი წლის შემდეგ ზუსტად  
ისე დაბერებული დამანახა, როგორც ახლა ვარ, ისევ ამ ოთახში, ისევ მარ-  
ტოხელა...“<sup>1</sup>

ამ პირველი ლახვრის შემდეგ, რასაც პასუხად გაქვავებული მკერდი შე-  
ვაგებე, გული მომაკვდინებელი, შუბლი — მოუკვდინებელ სიცვიით გაყი-  
ნული კეისრისამებრ (სასაცილო არაფერია!), „შენც, ბრუტეს?“ რაიც საყვე-  
დურად კი არადა — შემბრალე შეწყნარებად ჩამესმის ყურში: თითქოს ძირს  
ბრუტუსი — გდია, კეისარი კი — მისკენ დახრილა...

ანუ მოკლედ და უბრალოდ რომ ვთქვა: ვერ მივხვდი — მაგრამ მივიღე  
კია, როგორც იღებენ ლახვრის დარტყმას: ვინაიდან შენ — სხეული ხარ და  
ეს სხეული მას გზად შემოხვდა.

რუსეთიდან ჩემს წასვლამდე, 1922 წლის აპრილის თვემდე, ანუ მთელი  
სამი წელი სონეჩიას ადგილ-სამყოფელი არც ერთხელ არ მომიძევია, მთელი  
სამი წელი იმავე ქვეყანაში მყოფი ვით მკვდარზე, ვით გარდასულზე ვფიქ-  
რობდი მუდამ იმ ამბის შეტყობის წუთიდანვე ბოლო სიტყვების გავო-  
ნებამდე:

— აქ იყო და გაემგზავრაო.

„მაგრამ, ნასტენკა, შენზე წყენა ჩავიდო გულში?“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ფ. დოსტოევსკი, „თეთრი ღამეები“.

<sup>2</sup> ფ. დოსტოევსკი, „თეთრი ღამეები“.



წყენა არ იყო.

კარგად ვიცოდი; მისი არ მოსვლა, მისი არყოფნა მორჩილებითი იყო მხოლოდ, განა იქნება იმის არმოსვლა, ვინც მუდამ შენში და შენთანაა, როგორც ძარღვებში სისხლი, იმის არყოფნა — ვინც შენს გულში მჩქეფარე სისხლზე უფრო ადრე ვერ იხილავს ქვეყნიერებას? ~~მეჩვენებდა~~

ხოლო თუ თავში ბრაზმა და აღშფოთებამ ერთად შემოიპყრო, მხოლოდ ზერელედ, ზედაპირულად — მის საქციელზე — რათა ამ ჩემს აღშფოთებას ყველაფერი ჩვეულებრივ ამბად ექცია: საბედისწერო აუცდინა (თუ სონეჩკაზე გავბრაზდი და ნაწყენი დავრჩი — მაშასადამე, იგი არსებობს).

მაგრამ წამითაც სულის სიღრმეში არა მჯეროდა, რაღაცის გამო არ მოვიდა, ისე — არ მოვიდა ან ვერ მოვიდა.

ხოლო რაც უფრო მეტად — მითანაგრძნობდნენ: „უმაღური, ქარაფშუტა, გაუტანელი“ — მით უფრო ღრმად და მარტო ჩემთვის გულში — ვიცოდი, ერთმანეთს უნდა დავშორებოდით. მე რომ კაცი ვყოფილიყავი — ეს ბედნიერზე ბედნიერი სიყვარული იქნებოდა — ასე კი — უნდა დავშორებოდით, რამეთუ ჩემი სიყვარული ხელს შეუშლიდა — უკვე უშლიდა — სხვა შეეყვარა, ვინც მუდამ ჩრდილად დარჩებოდა, ვის ჩემთან მუდამ უღალატებდა, როგორც იურას და ვალოდიას ის ღალატობდა.

მიტმაც უნდა მომწყდომოდა — უთუოდ უნდა მოსწყდომოდა ჩემს დათვის სულს — ხორციანად.

იგი მე მომწყდა — თავის ქალურ ბედს რომ სწეოდა. მისი ჩემთან არმოსვლა მორჩილებით აიხსნებოდა, ქალური ბედის მორჩილებით: რომ მამაკაცი შეჰყვარებოდა — ვინ, სულ ერთია — და კუბოს კარამდე ვერთგულა.

არც ერთ ცნებას — ჩემი მისადმი, მისი ჩემდამი სიყვარული, ჩემი და მისი სიყვარული — არ უდგებოდა. ეკლესიაში ჩვენზე გალობა არ ყოფილა და სახარებაში არაფერი არ წერილა.

თავისი წასვლით მან უბრალოდ და პატიოსნად აღასრულა მოციქულის ნაქადაგევი: „დასტოვე მამა და დედა შენი...“ მე მისთვის მამაზე და დედაზეც მეტი ვიყავი, მიჯნურზე მეტიც, მაგრამ მოვალე იყო ის, ჯერ უცნობი, ჩემს თავს ერჩია. ვინაიდან ქვეყნიერების შექმნის დღიდან ასეთნაირად დაადგინა უფალმა ღმერთმა.

ჩვენ მხოლოდ „ადამიანების“ წინააღმდეგ მივდიოდით, ღმერთის და კაცის წინააღმდეგ — არასოდეს.

მაგრამ ვით გინდა შეუთავსო საკუთრების ნეტარი გრძნობა, სონეჩკას საკუთრების, ხელშესახების და განურინებლის, თითზე წამოცმულ ბეჭდის გრძნობა — იმას, რომ ხელიდან წაგივიდა, რომ ხელიდან გაუშვი და ცარიელი დაგრჩა ხელები?

როცა ასე ფლობ — მხოლოდ ასე შეიძლება თურმე დაკარგო.

გახსოვს, მკითხველო? — „თითთან ერთად მოეწყვიტოსო...“

მე სონეჩკა გულთან ერთად მომწყვიტეს.

გონიერ ნადირს როცა სიკვდილის ეამი მოუწევს, ტანი უგრძნობს — და ბალახებით აღარ მკურნალობს. მეც გონიერი ნადირის მსგავსად მყის შე-



ვიცან — ჩემი სიკვდილი, და ბალახებსა თუ სხვა რამ წამლებს არ გავეცაო. არა, არც ჩემი სიყვარული და არც სონეჩკა არ მომკვდარა. სონეჩკა ჩემი ცხოვრებისთვის მოკვდა მხოლოდ, ანუ ჩემ შიგნით დაიბუდა, იმ მომენტში, იმ მღვიმეში, რისიც წინასწარ გულთმისნურად მას ეშინოდა.

მთელი ჩემი სასწაული აკი ის იყო — რომ ჩემ გარეთ ვერსად, არა შიგნით, არა პროექცია ჩემი ოცნებისა და ნატვრისა იყო იგი, არამედ მისდათავად არსებული რამ საგანი, არა ჩემი მონაგონი, ვარაუდი, არა შეთხზული ოცნებებით და სიმღერებით, არა ჩემს გულში — არამედ ჩემს ოთახში — მყოფი და არსებული, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც არათუ რაღაც წავემატე და მოვიგონე, არამედ — ძლივას დავეუფლე, ანუ მომეცა იგი — მთელი სისავსით გაცემ-მიღების.

იგი მომეცა — ხელისგულებში დასაჭერად, გულში ჩასაკრავად, ბავშვი რომ ხელში დავიჭირე, ამით იგი — ჩემად არ იქცა და მას შემდეგ ხელები ავლავ ისევ ცარიელი მაქვს.

ბავშვს დასაჭერად დედა — გაძლევს და დედა — გართმევს. სონეჩკას დედას — ბედისწერა ერქვა სახელად.

წყენა? ღალატი?

მისი არმოსვლა უკანასკნელად იგივე იყო, რაც ვალოდიას ჩემთან მოსვლა — უკანასკნელად, ორივე იგივე წონის: მთელი არსებით, და იგივეს ნიშნავდა ზუსტად.

ისე, როგორც ვალოდია მოვიდა ჩემთან, ის — არ მოვიდა, ისევე მთელი არსებით არ მოვიდა, როგორც იგი — მოვიდა.

სონეჩკას ჩემთან არმოსვლა იყო — სიყვარულის დადასტურება.

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში მისი არყოფნის, ჩემი ცხოვრებიდან მისი წასვლისთვის გადადგმული პირველი ბიჯი, მისი უბმო და ამქვეყნიური არსებობის, ჩემში — ჩასახლების — პირველი წუთი.

სონია ჩემთან არ მოვიდა მარტო იმიტომ, რომ — ტირილით მოკვდებოდა, ცრემლად დაიღვრებოდა, მისგან მარტოდენ — ცრემლების გუბე დარჩებოდა. ან გული ძგერას შეუწყვეტდა ჩემი სახელის ბოლო ბგერაზე.

ვალოდიამ გამოუთხოვრად წასვლა ვერ შეძლო და — მიტომ მოვიდა. სონეჩკამ გამოთხოვება ვერ შეძლო და მიტომ — აღარ მოვიდა.

არ მოვიდა კიდევ ერთი მიზეზით: არ მოვიდა — ვინაიდან უკვე გარდაიცვალა, აღარ იყო.

ასე არ მოდიან — მხოლოდ გარდაცვლილები, ვინაიდან არ შეუძლიათ, ვინაიდან მიწა არ უშვებთ. მაგრამ დიდხანს, დიდხანს მქონდა ისეთი გრძნობა, თითქოს ჩემ გვერდით იყო, თითქმის ხელის გაწვდენაზე, სავსებით ისე, როგორც გარდაცვლილსა გრძნობ, რომლის ხელსაც ხელებში თუ არ იმწყვდევ, მხოლოდ იმიტომ, — არ შეიძლება, ვინაიდან ამით დაარღვევ საყოველთაოდ ცნობილ კანონს: ანუ იგივე შიშის გამო: სიცარიელე არ შეგრჩეს ხელში და კიდევ — ხელი.

ბოლოს და ბოლოს სონეჩკას მხოლოდ ვერ ვხედავდი, მხოლოდ მისი ხმა არ მესმოდა.



„პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ...“

არა, პური არსობისა — სონეჩკა ჩემთვის არ ყოფილა: მე — ვინ ვარ, ასეთი რამ — ანუ პური არსობისა — ჩემთვის მოეცათ? ამას არასდროს დაუშვებდა ჩემი **humilite**<sup>1</sup>. არა პური არსობისა, არამედ სასწაული იყო ის ჩემთვის, ასეთი ღოცვა კი „სასწაული არსობისა მოგვეც ჩვენი...“ არსებობს. მას არ ჰქონდა არსობის პურის მთელი სიმძიმე, არც მისი გარდუვალი და უცილობელი საჭიროება, არარა „ოფლითა შენითა“ მოპოვებისა... განა სონეჩკას მოპოვება — ოფლით შეიძლებოდა? თუნდაც მთელი სიცოცხლე ოფლი გელვარა? არა, ასეთი რამ მხოლოდ საჩუქრად მიეცემა ადამიანებს.

ვით კორდელიამ — ჩემი ბავშვობის შექსპირის წიგნში — მეფე ლორზე თქვა — ვით მარილიო, ასევე ვიტყვი მეც სონეჩკაზე — ვით შაქარი, და ისეთივე თავმდაბლობით: ის ჩემთვის მართლა შაქარივით იყო საჭირო. ყველამ ვიცით, რომ შაქარი აუცილებელი როდი არის, რომ უშაქროდ გაიძლება და რევოლუციის მთელი ოთხი წელი უმისოდ ვძლებდით, ბადაგს, გახეხილ ჭარბალს, სახარის ვატანდით ხოლმე ან უარაფროდ ვსვამდით ჩაის. უშაქროდ არვინ არ მომკვდარა...

უმარილოდ სურავანდის წერა გახდები. უშაქროდ — სევდის.

შაქრის ცოცხალი მთელი ნატეხი, აი, რა იყო ჩემთვის — სონეჩკა.

ტლანჭი თქმაა? ისევე ტლანჭი, ვით კორდელიასი: „მე თქვენ მიყვარხართ, როგორც მარილი, არცა მეტად, ხელმწიფეო, და არცა ნაკლებ“. ბებერი მეფე შეიძლება მარილივით გიყვარდეს მართლა, მაგრამ... პატარა გოგო? არა, კმარა მარილი. დაე ერთხელ მაინც ითქვას ამ ქვეყანაზე: მე შაქარივით მიყვარდა იგი რევოლუციის ხანებში და — ამით მოვრჩები.

Kannst Du dem Augenblicke sagen:

– Verweile noch! Du bist—so schön...<sup>2</sup>

არა, ეს ჩვენ არ გვქონია. იყო სხვა, პირუკუ და უფრო დიდი:

Behüt Dich Gott! – es wär zu schön gewesen.

Behüt Dich Gott! – es nicht sollen sein<sup>3</sup>.

იყო დიდი პოეტური კავშირებითი, ერთადერთი პოეტური საკუთრება და მფლობელობა: ასე რომ იყო ს.

იყო — ილბალი. და რუსული „უიღბლობა“, არაილბალი.

გავიხსენოთ დავით მეფის სიტყვები:

„წელნი კაცთა ღვთისა მიერ სამეოცდაათნი, ხოლო უმეტეს ამის — წყალობით ღვთისა“.

მე და სონეჩკას ბედმა მოგვცა მხოლოდ სამი თვე, თუმცა არა! მთელი სონეჩკა, მასთან სამთვლიანი მარადისობა უკვე უმეტეს იყო, ვინემ ადამიანის სიცოცხლე და მისი გული.

<sup>1</sup> მოკრძალება (ფრანგ.).

<sup>2</sup> მაშინ შემეძლო შემეძახა: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“ (გერმ.).

<sup>3</sup> ღმერთო მიხსენი! მშვენიერი იყო ყოველი.

ღმერთო მიხსენი! ასე არც უნდა ყოფილიყო. (გერმ.).

ღმერთო მიხსენი! ასე არც უნდა ყოფილიყო. (გერმ.).



მარია... მირანდა... მირეი... — მისთვის კმაროდა, როგორც იყო, რომ — ყველა ერთად ყოფილიყო.

ასედაც ახლა გულშავიწყ პავლიკის გულთმისნური ის სიტყვები: /  
...ის ერთადერთი, ათას სახელით...

მარინა

ჩემთვის ახლა. მაგრამ არა მარტო სახელებმა შეისხენ ჩემს გულს.

მთელმა ლირიკამ პოეტ კაცების, აქამდე უობიექტომ ან პირუკუ — ობიექტით თვით პოეტისა — რამეთუ მთელი პოეტური სიყვარული მისად მექცია, შიგ — ჩემი თავი მომექცია, ვით სარკეში, ეს არ ძალმიძდა, ვინაიდან თავად მინდოდა სიყვარული და თავად ვიყავ მე პოეტი — მთელმა ლირიკამ პოეტ კაცების ჩემთვის სონეჩკას სახე შეისხა. ყველა ეს ცარიელი შენ თუ იგი — ყველა ენაზე რომ შეიძლო მიეცა და აძლევდა კიდევ მთელ სისავსე პოეტის გულის და მისი მესი, უცბად გაცოცხლდა, სონეჩკას სახედ გადაიქცა. სიყვარულის თუ ნოლის წრეში პოეტების ყველანაირი ქალის ხატისა — სონეჩკას სახე ისე ჩაჯდა, ვითარც მედალიონში.

თუმცა არა, ლენაუს უფრო ვრცლად და უფრო უკეთ აქვს ნათქვამი!

Es braust der Wald, am Himmel ziehn  
Des Sturmes Donnerflüge,  
Da mal'ich in die Wetter hin.  
— O Mädchen! Deine Züge!

ყველა ხალხის ყველა სიმღერა — სონეჩკაზეა, ყველა ველური მთვარიან ღამეს, ყირგიზი თუ ტაიტელი — სონეჩკას უმღერს, გოეთეს, ლენაუსა თუ ყველა პოეტის მთელი დარდი და ნაღველი — სონეჩკაზეა, ყველა ხელეებს მისკენ — იწვდის, ყველანაირი განშორება მისგან მოდის...

იმის დამატება, რომ მის შემდეგ ქალთაგან არვინ მყვარებია და ვერც შევიყვარებ, მგონი, საჭირო აღარაა, ვინაიდან სიყვარული უფრო და უფრო ნაკლებ ძალმიძს და ჩემი გულის მთელ დარჩენილ გზნებას მათთვის ვინაიდან, ვისაც უკვე ვეღარ გაათბობს.

1919/20 წლის ზამთარი იყო. კარზე უკვე აღარ აკაკუნებენ, — ვინაიდან კარი აღარ იკეტება: საკეტი მოიშალა. მაშასადამე, კაკუნის ნაცვლად — ქვემოთ ბრახუნი, ჩექმიდან ვიღაც თოვლს იფერთხავს, და ხმა:

— აქ ცხოვრობს მარინა ივანოვნა ცვეტაევა?

— აქ. გეთაყვა, კიბეზე ამობრძანდით.

შემოდის ვიღაც უცხო ჭაბუკი. ვიცი: მე იგი არასოდეს არ მინახავს. ისიც ვიცი: მტერი მეწვია.

— მე ვ. ა-ვის ძმა გახლავართ. მისგან ამბავი ხომ არ მოგსვლიათ?

— დიდი ხნის წინათ ერთი წერილი. თითქმის მაშინვე.

— ჩვენ — არასოდეს — არაფერი.

— მხოლოდ ორიოდ სიტყვა, რომ კარგადაა და იმედი აქვს კვლავაც შევხვდებით.

— მას აქეთ?

<sup>1</sup> ტყე აიჭაგრა.

მიწის ზედა მიქროლავენ ჭექა-ქუხილნი,  
მე დავასრულებ ამ სამყაროს დაბატვას შენით,  
შენი სახით და ნაკვთებით, პოი, ასულო! (გერმ.)



— არაფერი.

— ნებას მომცემთ ერთი რამ გკითხოთ, თუმცა წინასწარ ბოდიშს გიხდით. ჩემი ძმისადმი რა გრძნობა გქონდათ? გეკითხებით მხოლოდ იმით, რომ — ჩვენ ყველანი, მთელი ოჯახი ერთმანეთს დიდად ვმეგობრებდით. მაშინ, იმ უკანასკნელ აღდგომა დღეს — თქვენთან წამოვიდეთ და ვიჯიყნებოდა. სავით თითქოს ნერწყვი ძლივს გადაულაპა, — უკანასკნელი საღამოც — თქვენთან დაჰყო... რა იყო, მეგობრობა? სიყვარული? თუ სიახლოვე?

— სიყვარული.

— რა საოცრად თქვით! როგორ გავიგო?

— ისე, როგორც გითხარით. და — სიტყვას არ დავამატებ. დუმს. თვალს არ მაშორებს. არ ვუცქერი, ძირს ვიყურები. მე:

— მისამართი დამიტოვეთ, თუ, ვთქვათ და...

— არ იცით ჩვენი მისამართი?

— არა. თვითონ მოდიოდა ხოლმე ყოველთვის. მე არასოდეს მიმიწერია...

— ჩვენზე, მშობლებზე, ძმებზე არასდროს არა უთქვამს რა?

— ვიცოდი, რომ ოჯახი ჰყავდა და რომ ყველა ძალზე უყვარდა.

— რა სიახლოვე იყო კაცთათვის ასე... უჩვეულო?

ვდუმვართ ორივე.

— მაშასადამე — არასოდეს არ გყვარებიათ — ასეც მეგონა — ვინაიდან საყვარელი არსებისაგან არავინ მიდის — იმისგან — ვისაც უყვარხარ...

— იფიქრეთ ისე, როგორც გენებოთ, ოღონდ იცოდეთ — და დედ-მამასაც გადაეცით: ცუდი მისთვის არ მიქნია — არასოდეს — და არაფერი.

— საოცარია, საოცარი. თუმცა იგი მსახიობია, თქვენ — მწერალი... თუ შეიძლება მაპატიეთ ჩემი სიმკვახლე, თავს ველარ ვძლიე, ამას არ მოველოდი... ვიცი, ქალთან ასე მოქცევა არ შეიძლება. დიდი სიკეთე გამოიჩინეთ, რომ არ გამაგდეთ. მაგრამ ჩვენები — ისე სწუხხან. თქვენი ფიქრით — ცოცხალია?

— ცოცხალია.

— მაშ რატომ აღარ იწერება? დიდი ხანია წერილი არ მოგსვლიათ?

— გვწერს — მეც და თქვენც, ბევრჯერ მოგვწერა — ოღონდ არ მოგვდის.

— ხომ არ გგონიათ, რომ — დაიღუპა?

— ღმერთმა გვაშოროს!

— ასეც ვეტყვი დედას და მამას, გჯერათ, იგი რომ ცოცხალია, ღვთის წყალობით! (პირჯვარი ფართოდ გადაისახა) — იწერება — და რომ... ახლა კი წავალ. ხომ მაპატიეთ?

— მე არც მწყენია.

უკვე კართან:

— ასე კარლია როგორ ცხოვრობთ? არც ღამით კეტავთ? რა უცნაური ბინა გქონიათ: ბნელი და დიდი, თან ამდენი ტალანი და გადასასვლელი... ხანდახან შეიძლება შემოგიაროთ?

— მთელი გულით გამიხარდება.

— აბა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

— თქვენც — ასევე!



აღარასოდეს აღარ მოხუცდა.

ბარემ იურაზეც დავამთავრებ. რუსეთიდან გამგზავრების წინ, 1922 წლის აპრილის თვეში, რომელიღაც დაწესებულებაში რაღაც საბუთების-თვის შევიარე. ქვის განიერ დიდ კიბეზე შევხვდი უკანასკნელ მეგობარს-დი, იგი ჩამოდიოდა. წამით შევჩერდი. გავილტურეთ — უხმოდ შევცქერო — როგორც მაშინ, როგორც ყოველთვის — ქვემოდან ზემოთ, და კვლავ — კიბეზე! სახე — მახეში გაბმულ ფრინველს — მთლიანად თითქოს გაბ-მული — და ფრინველივით — ფრთებს ჩამოყრილი.

— არ იფიქროთ, თქვენ ვერ გამოგეთ, ისე ვერ გამოგეთ... ყველაფერი ისე რთული და დახლართულია... არა უბრალო...

— პო, პო, ცხადია, ვიცო, დიდი ხანია — უკვე ვიცო... მშვიდობით, იურა, სამუდამოდ გემშვიდობებით, ამ დღეებში სამუდამოდ — მივემგზავრები... კიბეს მალლა ავყევი, ის — დაბლა დაძვავა და ჩვენი გზებაც გაიყარა.

მოკლედ ვიტყვი ამ ამბის მოქმედ პირებზე:

ბავლიყ ა.-ს ცოლი ჰყავს, ორი ქალიშვილი (ერთი მათგანი — იქნებ სონეჩკას ხსოვნის აღსანიშნავად? — ძალზე ლამაზი), იბეჭდება, წიგნებს ატყევენებს. იური ზ.-ს ცოლი და ვაჟიშვილი ჰყავს, კვლავ მსახიობობს. მისი და ვერა, ვისაც პარიზში შევხვდი და ვისი ამბავიც ცალკე მოსაყოლია, 1930 წელს იალტაში ტლექით გარდაიცვალა. სიკვდილის წინ დღეს უკანას-კნელი, ფანქრით ნაწერი ბარათი გამომიგზავნა: „მარინა! ისე მენატრებით, თქვენი ნახვის სურვილი ისე დიდია, როგორც ეს სპილო!“<sup>1</sup>.

...სინი და-ძმანი იყვნენ, ღმერთმა ორივეს ერთი გული აოგუნა წილად და ეს გული მთლიანად დას მიაჩიქა...

ვალოდია უფრო-უკვლოდ დაიკარგა — 1919 წლის იმავე ზაფხულს.

ირინა, ვალიდა, ვალიდაო, რომ მღეროდა, 1920 წელს ბავშვთა სახლ-ში — გარდაიცვალა.

ევგენი ბაგრატიონოვიჩი დიდი ხნის წინათ რუსეთში მოკვდა.

ვახტანგ მჭედელიშვიც ასევე დიდი ხნის წინ რუსეთში გარდაიცვალა.

იურა ნ.-ზე (ვისთან ერთად სახურავზე ვძვრებოდი ხოლმე) — არა კიცი რა.

ალია 1937 წელს მოსკოვს გაემგზავრა, მხატვარია.

სახლი ბორისოგლებსკის შესახვევში — ისევ ისე დგას. ჩემი ორი აღ-ვიდან ერთიღა დარჩა.

მოქმედ პირებზე-მეთქი, რომ მოგახსენეთ, სინამდვილეში მოქმედი პირ-ნი ამ ჩემს ამბავში არ ყოფილან, იყო სიყვარული, და პირებად ის — მოქმე-დებდა.

რამდენად უფრო მეტად გაცოცხლებთ, იმდენად მეტად მე თავად ვკვდები, თქვენში — ვკვდები. რამდენად უფრო გაახლოვებთ — სიაქაოს, იმდენად უფრო ვუახლოვდები მე — სიაქიოს. თითქოსდა ზღუდე ვკვდები-ცოცხლებს

<sup>1</sup> ბარათზე სპილო ეხატა.



შორის მოიშალა, თითქოს ერთნიც და მეორენიც დრო და სივრცეში თავისუფლად მიდი-მოდიან და პირიქით. ჩემი სიკვდილი — თქვენი სიცოცხლის საზღვარია, ჰადესის ჩრდილებს გასაცოცხლებლად ცოცხალი სისხლი უნდა შეასვა. მე ოდისევესზე მეტი ვქენი, მე საკუთარი სისხლი შეგასვით.

1922 წლის აპრილის, რუსულ აპრილის ოცი რიცხვი — ბრძოლის მუხრან მდებარეობდა ვამბობდი და ვწერდი კიდეც. ერთი საათის შემდეგ საზღვარგარეთ მივემგზავრები. ყველაფერი შორია, გათავდა.

კარზე აკაკუნებენ. ზღუბლზე — პავლიკია, ვინც არ მინახავს რამდენი ხანი? ერთი წელი?

შიშისგან გაგანივრებული, კიდეც უფრო დიდი თვალები, უზარმაზარი, მოხეიბე. ხმაც შესაფერი (ხმა მჭექარე, გასაოცარი — ასეთ პატარა ტანისათვის), მაგრამ ამ ჯერზე კიდეც უფრო მეტად მჭექი, ჰადესის ბნელი ტალღის გამჭედლი.

— მითხრეს... ე. ია-მ. მითხრა, დღეს თურმე... საზღვარგარეთ მივემგზავრებით?

— პო, პავლიკ.

— მარინა ივანოვნა, ნებას დამრთავთ?..

— ვერ დავრთავთ. გამგზავრებამდე — საათი დამრჩა. აზრები უნდა... მოვიკრიბო, ადგილებს გამოვეთხოვო...

— თუნდ... ერთი წუთით?

— წუთი უკვე გავიდა, პავლიკ.

— მაგრამ მე მაინც გეტყვით, უნდა გითხრათ, — ნერწყვი გადაყლაპა, — მარინა, უსაზღვროდ ვნანობ ყოველ წამს და წუთს, რომლებიც თქვენთან არ გავატარე...

(თმა ყალყზე ამდის: სიტყვები სონეჩკას წერილიდან... მაშასადამე, ეს სონეჩკა მეთხოვება თავისი პოეტის პირით?!)

— პავლიკ, დრო აღარ დამრჩა, ოღონდ დამპირდით: თუ ოდესმე — სულ ცოტა მაინც. — გყვარებივართ, სონეჩკა გოლიდელი მომიძებნეთ.

შეურაცხყოფისგან მოგუდული ხმით:

— პირობას გაძლევთ.

ამის შემდეგ — დიდი ტირე! ტირე — სამი ათასი ვერსისა და შვიდი წლის სიგრძის: ორი ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი დღისა.

მე და ჩემი ორი წლის ბიჭი ბელევიუს პარკში დავსეირნობთ — Observatoire-ს გვერდით, მეორე მხარეს, ჩემს ორი წლის ბიჭს ნაბიჯ-შეწყობით პავლიკ ა-ი მოსდევს. ვახტანგოვის სტუდიას ჩამოჰყოლია. მას უკვე ორი ქალი და (მგონი?) ერთი ვაჟი ჰყავს.

— ჩემს სონეჩკაზე რაღას... შეტყვით?

— გოლიდელი გათხოვდა და პროვინციაში მსახიობობს.

— ბედნიერია?

— ამაზე ვერაფერს გეტყვით.

ეს იყო და — ეს.

კიდეც ტირე — და კიდეც იმაზე უფრო გრძელი: მთელი ათი წლის სიგ-



რძის. 1937 წლის 14 მაისის პარასკევი დღე. მე და მური (უკვე თორმეტი წლის) ჩვენს მეტრო „Marie d'Issy“-სკენ მივემართებით. დახლოებით Provence-ის დუქანთან მე — უფრო სწორად — თავის თავს ეუბნება:

— „American Sunday“ ეს ხომ ამათი „Dimanche Illustre“-ა!<sup>1</sup>

— Holiday — რას ნიშნავს, იცი?

— თავისუფალ დღეს, საერთოდ — არაადეგებს.

— ეს ნიშნავს — დღესასწაულს. ასე ერქვა ქალს, რომელიც ყველა ქალზე მეტად მიყვარდა. იქნებ საერთოდ — ყველაზე მეტად. მგონი — ყველაფერზე უფრო მეტად. სონეჩკა გოლიდეს. ნეტა ასეთი ცოლი შეგხვდეს, მურ!

ის — აღშფოთებით:

— დე-და!

— მე არ მოთქვამს: უთუოდ იგი, ის ახალგაზრდა აღარაა, ჩემზე სამი წლით უმცროსია.

— ბებერი ცოლი სულაც არ მინდა! საერთოდაც ცოლი არ მინდა.

— ბრიყვო. მე ხომ არ გეუბნები: სონეჩკა გოლიდესი იყოს-მეთქი, მხოლოდ სონეჩკას მინდა ჰგავდეს. თუმცა ნუ ღელავ, ისეთები არ არიან, საერთოდაც მისი ღირსი არავინაა.

— დედა! მე ხომ მას არ ვიცნობ: ლაპარაკობთ ისეთ რაღაცაზე, რაც თქვენ იცით, — რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მომიყვეთ კიდეც...

— მაგრამ რომ არ — გაინტერესებს...

მურის ფიქრები Raspail ბულვარის კუთხეში მღვარ გაზეთის კიოსკისკენ ქრის, სადაც ამერიკული მიკეები.

— არა, ძალიან მაინტერესებს...

— მურ, ის იყო პატარა გოგო და ამასთან... — სიტყვის მონახვა მიჭირს, — ჭინკა, ალქაჯი! გრძელზე გრძელი წაბლისფერი ორი ნაწნავით. (მური — უნებლიეთ საჩეს მანქავს: „au temps des cheveux et des chevaux!“<sup>2</sup> და ტანითაც გაცილებით შენზე დაბალი (მურს სახე უფრო ემანჭება), ვინაიდან შენ უკვე ჩემზე მაღალი ხარ... გამოთხოვებისას ასე ვუთხარ: „რაც უნდა მომივიღეს, ვინემ თქვენ ხართ — ყველაფერი კარგად იქნება“. მასზე ლამაზი ცხოვრებაში არაფერი არ მინახავს, მისებრ ტკბილი ცხოვრებაში არაფერი არ მიგეშია... (მური: „ფუი, დედა!“) იგი წერილებს მიგზავნიდა, ერთ წერილში კი, უკანასკნელში, ასე მწერდა: „მარინა! რარიგ მიყვარს თქვენი ხელები, რომლებიც მხოლოდ კოცნის ღირსია, ისინი კი კარადებს დაათრევენ და ფუთობით სიმძიმეს სწევენ...“

— ეს უკვე — რომანტიზმია! ვითომ რატომ — კოცნის ღირსი?

— ვინაიდან... ვინაიდან... Prenant l'offensive<sup>3</sup>, — კი მაგრამ, საწინააღმდეგო რა გაქვს მაინც?

— არაფერი, მაგრამ, მაგალითად, რომ მოეწერა... — წამით დუმილი, სიტყვას ეძებს, — მხოლოდ ყვავილები უნდა ყნოსონო..

თუმცა თვითონვე მიხვდა და შემცბარს თვითონვე გაეცინა.

<sup>1</sup> საკვირაო ილუსტრირებული გამოშვება (ფრანგ.)

<sup>2</sup> ნაწნავებისა და ცხენების დრო (ფრანგ.).

<sup>3</sup> შემტევი კილოთი (ფრანგ.).



— კი, კი, მურ, ყოველ თითზე ორი-ორი ნესტო! სულ რამდენი ნესტო გამოდის?

ორივე ვიცინით. მე განვაგრძობ:

— და კიდევ ესეც მითხრა: „მარინა! ცოდნა იმისა, თქვენს კარგულ-მკაცრულ ნად — ნიშნავს, სიკვდილმა — არ იარსებოს“.

— და თქვენც flateur?<sup>1</sup>

— ეს რა შუაშია?! უბრალოდ ის თქვა, რაც არის, რაც მაშინ იყო, ვინაიდან ჩემგან სიცოცხლის ისეთი ძალა მოდიოდა.. ახლაც კი მოდის, ოღონდ არავის არ სჭირდება!

— კი, კი, მესმის, მაგრამ მაინც...

— ალიას უთუოდ უნდა მივწერო, რომ მოძებნოს, ვინაიდან მინდა იცოდეს, ჩემს სიცოცხლეში მასზე უფრო რომ არავინ არ...

ჩვენ უკვე მეტროსთანა ვართ და ლაპარაკიც, ცხადია, შეწყდა.

პატარა ტირე — მხოლოდ ერთი დღის სიგრძის:

1937 წლის 15 მაისის შაბათი დღე. რუსეთიდან წერილი მომდის — ავითი — კარგა სქელი. გავხსენ და — პირველი, რასაც თვალი ვკარ წერილის ბოლოს: სონეჩკა გოლიდეიო — და უკვე მივხვდი

აი, ის, რასაც — უკვე მივხვდი:

„დედა! მოწერა დამავიწყდა! სონეჩკა გოლიდეის კვალს მივაგენი, თქვენი სონეჩკასი, — მაგრამ ძალზე დაგვიანებით. თურმე შარშან გარდაცვლილა ღვიძლის კიბოთი — ტკივილებს არ გაუტანჯავს. არ ვიცოდი, კიბო თუ ჰქონდა. ყველაზე კარგ მხატვრულ მკითხველად ითვლებოდა თურმე პროვინციაში. მოსკოვში მხოლოდ ორი წლის წინათ ჩამოსულა. ამბობენ, წარმოუდგენელი ნიჭიერი ვინმე იყო...“

კიდევ — მეორე ცნობა, უფრო ვრცელი, რაიც ჩემს ალიას სონეჩკას მეგობარი ქალის დამ უთხრა, ალიამ კი ჩაიწერა და გამომიგზავნა:

„იგი ცოლად პროვინციული თეატრის დირექტორს გაჰყვა, რომელსაც ძალზე უყვარდა და ძალზე ერთგულიც იყო მისი. მთელი ეს წლები — 1924-დან სიკვდილამდე — პროვინციაში გაატარა, თუმცა მოსკოვში ხშირად ჩამოდიოდა. ყველანი ვეუბნებოდით, მოსკოვში რომ დარჩენილიყო, მაგრამ რატომღაც ვერ მოახერხა. ვახტანგოვი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მისი ცხოვრება, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირად მოეწყობოდა... მხოლოდ უნდა ეკითხა, მხოლოდ წამკითხველი ყოფილიყო, მაგრამ თეატრს ვეღარ მოწყდა! აქტივით იწეწებოდა. თეატრი კი, ცხადია, — უფრო ძნელია. პროვინციული თეატრების კოლექტივებში... მარგალიტივით ირჩეოდა! მაგრამ კარგი როლები იშვიათად ხვდებოდა წილად. მარტო კითხვას დაჟერებოდა — სცენაზე ერთი გამოსულიყო — წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა? კი, პატარა, ძალზე პატარა ტანის იყო. ბავშვებს ხშირად თამაშობდა. ო, თეატრი როგორ უყვარდა! ან როგორ თამაშობდა — თუმცა არათუ კარგად თამაშობდა (მე არც ისე ბევრჯერ მინახავს, მეტწილად პროვინციაში იყო ხოლმე) — ჭეშმარიტი გმირიც იყო

<sup>1</sup> გემათ (ფრანგ.).



ამ რამდენიმე წლის წინათ კუჭი საშინლად ატკივდა თურმე. კულისებში სათბურით იჯდა, მერე სცენაზე გამოდიოდა, ითამაშებდა და, რაწა? ფარდას დაუშვებდნენ, ისევ სათბურას მიიკრავდა.

— როგორც კი ტკივილი იგრძნო, ეჭიმთან რატომ არ წავიდა ან სხვებმა არ წაიყვანეს?

— მოსკოვში ჩამოსვლისას ძალიან კარგ ჰომეოპათთან მივიდა თურმე. მან რაღაც წამლები მისცა და ტკივილებიც მყისვე გაუქრა. შემდეგ მხოლოდ ამ ჰომეოპათთან დადიოდა. ოთხი წელი თავს კარგად გრძნობდა. მოსკოვში უკანასკნელად ჩამოსვლისას ძალზე გამხდარი მომეჩვენა, თვალებადღა იყო ქცეული, სახე მთლიანად გალეოდა. ძალიან შეცვლილი ჩანდა, მაგრამ თვითონ არ იცოდა, სარკეშიაც — ვერას ამჩნევდა. მისმა ქმარმა მიიხრა მერე, ველარაფერს ველარ ჰამსო. ეჭიმი მოვუყვანეთ. მან გვითხრა, ქირურგს აჩვენეთო. ქირურგმა კარგად გასინჯა და ჰკითხა, თქვენს ოჯახში კიბო ვისმე თუ ჰქონიაო. უთხრა, არაო. მაშინ ქირურგმა საავადმყოფოში დაწოლა ურჩია, რა თქმა უნდა, ყველა ვუმაღავედით, თუ რა სჭირდა. თავს იკლავდა, არ უნდოდა საავადმყოფოში წასულიყო, სულ ტირიდა და იძახდა: „ეს იგივე კუბოა! იგივე — კუბო!“ მაგრამ საავადმყოფოში დაწყნარდა და გამხიარულდა, ათასნაირ გეგმებს აწყობდა, ოპერაცია ძალზე დაგვიანებული აღმოჩნდა თურმე, ეჭიმებმა თქვეს, მხოლოდ რამდენიმე დღე იცოცხლებსო.

ქმარი და ჩემი და სულ ნახულობდნენ. არ იცოდა, თუ კვდებოდა. სულ იმაზე ლაპარაკობდა, ასე და ასე ვიცხოვრებო და ამას და ამას გავაკეთებო. ჩემმა დამ სიკვდილის დღეს ნახა, ქმარიც იქ იყო და კიდევ ვიღაც. სოფია ვვგენიევნას არეულობა არ უყვარდა, ჩემს დას თხოვა, პალატა მიაღაგო (იგი ცალკე ოთახში იწვა). უამრავი ყვავილი მოუტანეს. ჩემმა დამ ყვავილები წყალში ჩააწყო, იქაურობა მიაღაგა. სონიამ თქვა: „ახლა კი დავიძინებ“. გადაბრუნდა და დაიძინა. ასე ძილშივე დალია სული.

არ მახსოვს, რა რიცხვში და რომელ საათზე მოკვდა. მაშინ მოსკოვში არ ვიყავი, დას აღბათ ემახსოვრება. მგონი, — საღამო ხანი იყო. წლის რა დრო? ვითომ ზაფხული? დიახ, ზაფხული. ჩელუსკინელები სწორედ მაშინ ჩამოფრინდნენ.

დედათქვენს ხშირად იგონებდა, ხშირად ჰყვებოდა მასა და თქვენზე, ხშირად გვიკითხავდა იმის ლექსებს — არა, დედათქვენი არასდროს არ დავიწყებია“.

...მისი სიკვდილის შემდეგ ქმარი სადღაც გადაიკარგა. მისი ასავალ-დასავალი კაცმა არ იცის.

სონია — დაწვეს.

ჩელუსკინელები სწორედ მაშინ ჩამოფრინდნენო... მაშასადამე, 1934 წლის ზაფხული იყო. მაშასადამე, ერთი წლის კი არაა, სამი წლის უკან. მაგრამ გინდაც ერთი თუ სამი წლის უკან, ანდა სამი დღის წინ — მე მას უკვე ველარ ვნახავ — რაიც მუდამ ვიცოდი — და ვერც ის გაიგებს, მე რარი-გად...

არა! მან ეს მუდამ — იცოდა.



ჩელუსკინელები სწორედ მაშინ ჩამოფრინდნენ — ისმის ისე, როცა  
ბერცლები მოფრინდნენ... ანუ ბუნების მოვლენასავით და ვანა აქ სჯობს  
ეს ლაღი, უბრალო, თითქმის მდებარეობა — თუნდაც გარკვეული რიგისა  
და რიცხვს?

ვინაიდან ჩვენი სიბნელოვე ხომ ამა და ამ რიცხვს — არ დაწვეს და  
„როცა ფოთლები გამოიშალა...“

დიახ, გული მეწვება, იგი რომ — დაწვეს და თავთან არც ჭეარო უდგას —  
ამის წასაწერად — რაც თვითონ მთხოვა:

უკანასკნელად ამოიმღერა:

„ჩემო პაწიაჲ!“

და სულიც დალია.

მაგრამ — მას ცეცხლში გხედავ, არა — მიწაში! რადგან არ ჰქონდა ის  
მთმინება და მორჩილება, რაც ერთნაირად მოეთხოვება სხეულს გარდა-  
სულს და მარცვალს არმოსულს.

არაფერი მარცვლისა მას არ ეცხო, მთლიანად იყო:

Ja! ich weih woher ich stamme  
Vnersattlich wie die Flamme  
Nähr ich und verzehrich fasse,  
Kohle-Alles, was ich lasse,  
Flamme bin ich sicherlich!

ვიცი, ვინა ვარ — ვისი შოდგმისა.  
ცეცხლი ვარ, ცეცხლი გაუძლომელი,  
ვარ ჩემი თავის საზრდოც, სიკვდილიც,  
რასაც ხელთ ვიგდებ — არის ცეცხლი.  
რასაც გაღვისვრი — მხოლოდ ნაცარი.  
ცეცხლი ვარ, ცეცხლი მე ჰეშმარიტი!

ცხადია, გულზე ცეცხლი მედებო, რომ ვერ მივალ — თუკი ეს მოხდა —  
და ვერ დავდგები, დასადგომი არსად მექნება. რომ სონეტკა აღარაა, ძვლებიც  
კი არა. მაგრამ ისა — და ძვლები... არა და არა!

ინფანტა, გწამდეს, მზად ვარ შევდგი ყოველ კოცონზე...

პირველი, რაც მასზე მესმა, იყო კოცონი, უკანასკნელი — დასწვესო იგი.  
პირველი, რაც მასზე მესმა, იყო — კოცონი და უკანასკნელიც იყო — კო-  
ცონი.

ოდონდ ვიცოდე, რომ წამებას ჩემსას უმზერენ  
შენი თვალები...

მაგრამ ვაი რა უცნაურად, რა პირუკუ ახლა პავლიკის ეს სტრიქონები:

ვინაიდან ინფანტას სწვავენ — და მისი ჭუჭა ამას უცქერდა. მას, მა-  
რად ნორჩსა და ახალგაზრდას, ვისაც სწვავენ, მაგრამ ვერ კი დასწვავენ-  
ენ, უცქერდა — უკვე ჭაღარა და ჭკუილამჭდარი ინფანტას ჭუჭა!

არადა, ჩემთვის რომ ეკითხათ — მის ფერფლს ყველაზე მაღალი მთიდან



(ბედმა თუკი მალისა) — მთელ ქვეყანაზე მოვაბნევი — ახლანდელი თუ მომავალი მიჯნურებისათვის, ვინდაც ვორობიოვის გორებიდან (რომელიც მეც ასევე ვერ მოვახერხეთ: მე — შვილების, რიგების გამა... ზან — სიყვარულსა...).

მაგრამ იქნებ ამას კიდევ ვაკეთებ? — არა მთიდან, არა გორიდან, არა მდინარისგულიდან ოკეანის კუნძულისა მის ფერფლს ანუ — სიყვარულს ვაბნევ ყველა თქვენთვის, ჯერ არყოფილნი და მომავალნი?

...ახლა — მშვიდობით, ჩემო სონეჩკა!

„დე სამუდამოდ კურთხეულ იყავ, რომ წამით მაინც მიანიჭე ნეტარება და ბედნიერება მეორე ობოლ და მადლიერ გულს!“

ღმერთო ჩემო, განა ცოტაა ნეტარების თუნდაც წამი ადამიანის წუთი-სოფლისთვის?...“<sup>1</sup>

Lacanau-Océan. — 1937 წელი, ზაფხული.



<sup>1</sup> ფ. დოსტოევსკი, „თერთი ლამეები“.





პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

### მედეა

მესამე მოქმედება

კრეონის ციხესიმაგრე. სცენის სიღრმეში მოჩანს მეფის სასახლის შესასვლელი. კედლიდან მარჯვნივ აღმართულ სვეტებზეა შესასვლელს მედეას სამყოფლისკენ მიეყვართ. მედეა დგას, მის უკან შორიახლოს კი გორა მეფის მსახურს ესაუბრება.

გორა: ხელმწიფეს მოახსენე,

მედეა უმისგან პიტაკს არ კადრულობს-თქო;

თუ მისი გადაბირება სურს,

მეფე თავის ფეხით მოვიდეს,

ეგების მას მოუსმინოს.

(მსახური გადის).

გორა (წინ წამოდგება):

იმათ ჰგონიათ, შენ ეახლები,

თითქოს დვარძლი გაგნებოდე

და შურისგების გრძნობა დაგცბრომოდეს.

უეუერები!

იქნებ კიდევ გსურს? ეგებ გწადია?

ფიქრობ, ეგრე მოქცეულიყავ,

რადგან შენ მედეა ხომ აღარა ხარ,

კოლხი მეფის შთამომავალი,

გამობრძმედილი დედის ბევრისმნახველი ქალიშვილი;

ანდა ამდენ ხანს, აქამომდე

ვით მოითმინე, როგორ გაძელი?

მედეა: გეუბრებათ, დიღო ღმერთებო? აქამომდე და

ამდენ ხანს ვით მოითმინე, როგორ გაძელო!

გორა: გირჩევ, გამაგრდე,

მოითმინო სუველაფერი,

რადგან თავგზააბნეული

და მანში გაბმული ხარ;

სანამ თავზე უარესი დაგტყდომია,

რაც წინასწარ უკვე განვკვირბე.

დაუვავებით გეუბნები: დარჩი-მეთქი!

მათ კოლხ ასულს არ უნდა დასცინონ,

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ 1986 № 6.





ჩემი მეფის სისხლი სისხლთაგანი  
მასხარად არ უნდა აიგდონ,  
დაგვიბრუნონ პატარები,  
დაცემული მუხის ნორჩი უღორტები;  
ან არადა ბნელსა და უკუნ ღამეში  
სიკვდილი გიჭობს!  
სად მიკუნქე შენი ნივთები?  
საბოლოოდ რა გადაწყვიტე?

მედეა: ჭერ ბავშვები ხელში ჩავიგდო,  
შერე გზა თავისით გამოჩნდება.

გორა: მაშინ კი წახვალ?

მედეა: ჭერ არ ვიცი.

გორა: უმაღლე სიცილს დაგაუჩიან!

მედეა: ეგრე გგონია? ვერ დამცინებენ!

გორა: ბოლოს და ბოლოს რა განიზრახე?

მედეა: ვმცდები სურვილს განვერიდო და მარტოდმარტომ  
მდუმარ უფსკრულთან მოვიფიქრო უკუნ ღამეში.

გორა: და თუ გაქცევა გადაწყვიტე, საით მოუსვამ?

მედეა (შეძრწუნებული):

რამდენჯერ უნდა შემეცითხო: საით, საითო?

გორა: ამ ქვეყანაში არ აღმოჩნდა ჩვენთვის ალაგი;  
ისეთნაირად ეზიზღები აქაურ ბერძნებს,  
ერთხელაც ბოლოს მოგიღებენ, არ დაგზოგავენ!

მედეა: ეგენი ვერას დამაკლბენ, მე კი მიფრთხილდნენ!

გორა: ჩვენს სამშობლოში, კოლხთ მიწაზეც რომ საფრთხე გველის?

მედეა: ოი, კოლხეთო, მშობლიურო ჩემო მამულო!

გორა: ხომ უკვე გითხრეს, მამაშენი რომ მიიცვალა?

როცა კოლხეთი მიატოვე, აქეთ წამოხველ,

მაშინ არ იყო, შენმა ძმამ რომ სული დალია?

მე კი გგონია, მწუხარება ვერ აიტანა

და წედან რომ ვთქვი, სული კი არ დაუღვეია,

გაშმაგებული შეეგება თავადვე სიკვდილს.

მედეა: შენ რა, ჩემს მტრებთან პირი შეჭარ და გულს მიკოდავ?

გორა: დამიგდე უური: ხომ გითხარი, ხომ გაგაფრთხილე;

გიკვირებდი, უცხოელებს ჩამოეცალე,

განსაკუთრებით მათ მეთაურს უფრთხილდი-მეთქი,

მაგ ფარისეველს, პირმოთნეს და მოღალატეს-თქო.

მედეა: მაგ ფარისეველს, პირმოთნეს და მოღალატესო,  
ასე მითხარი?

გორა: მო, გითხარი.

მედეა: არ დაგიჭრე?

გორა: არ დამიჭრე და მახეშიც მიტომ გაები;

რაკილა ერთხელ გზა-კვალს ასცდი, მორჩა, გათავდა.

მედეა: ფარისეველი და პირმოთნე აროდეს გითქვამს,

ეგრე რომ გეთქვა, ვიღონებდი უთუოდ რამეს;

შენ იძახოდი, მტერია და მეზიზღებაო,

ის კი ღამაში ვაეკაცია, კეთილშობილი

და ამიტომაც მე იგი არ შემეზიზღებია!

გორა: მაშ ახლაც გიუვარს?

მედეა: რაო, გიუვარსო?

დასანახავად მეჭავრება და მეზიზღება,

ვით ყველა ქლესა, იშვილბაში და მოღალატე,

ჩემი თავივით უკეთური და საძულველი!

გორა: მაშ აზღვევინე და მიაგე სამაგიერო.





შური იძიე მამისა და ძმის გულიხათვის,  
არ აპატიო ჩვენი მიწის, ჩვენი ღმერთების,  
ჩვენი ადამის შებღალვა და შეურაცხყოფა.

მედეა: რამენაირად ჭერ ბავშვები ჩავიგდო ხელში,  
დანარჩენს მერე ბნელი ღამე მიჩქმალავს თვითონ.  
როგორ გგონია, როცა ის  
ნიშნის მოსაგებად საცოლესთან  
საქმის გასაჩარხად გაეშურება,  
ვინც ასე მძულს  
და მე პირისპირ შევეყრები  
განრისხებული, აღგზნებული...

გორა: აი, ეგ იქნება შურისძიება!

მედეა: ან კიდევ ოთახის ზღურბლიდან  
საცოლე რომ სიხხლში ცურავდეს,  
მის გვერდით კი ბავშვები —  
იაზონის შვილები უხულოდ ეყარონ.

გორა: ეგრე მოქცევით შენ იქნები შურისძიები.

მედეა: მე მას ვუყვარდი, შიტომ მსურდა  
მისი გულიხათვის ყველა ტანჯვა გადამეტანა,  
მან კი. ის ყალბი, და ვითომ უცოდველი,  
ჩემს თავს არჩია!

გორა: ახლა კი მიზანს მიუახლოვდი!

მედეა: ჩუმალი ჩუმალი  
საიდან გაჩნდა გონებაში ასეთი აზრი,  
თავიდან მომწყდო, ფიქრო ჩემო, და შეუერთდი  
ამ ბნელ ღამეს და მარადიულ, მუდმივ სიჩუმეს!  
(მოსასხამს თავზე გადაიფარებს).

გორა: არგონავტების ლაშქრობაში ვისაც წვლილი აქვს  
და მხლებელთაგან ვისაც ცოდვა ჩაუდენია,  
ყველას თავისი მიუზღე და შური იძიე,  
გადაუხადე უსათუოდ სამაგიერო:  
ქველი ღმერთები არავის არ აპატიებენ,  
სირცხვილნაქამნი საბოლოოდ სიკვდილს შპოვებენ.  
ის ჭერ აქ არის და როდემდის დაიგვიანებს?  
ყოველდღიურად მეყურება სხვების ნათქვამი  
აღსასრულის დღე ვის დაუდგა, ვინ განისვენა,  
უფალს ჩაბარდნენ საბერძნეთის მამაცი შვილნი,  
კოლხთა მიწიდან განძი ვინაც გამოიტაცეს.  
ორფევსი მოკლეს თრაკიელმა ქალიშვილებმა,  
ხოლო ჰილასი ზღვის ტალღებმა შთანთქმეს უეცრად;  
პერიითონემ და თევზისმა ჩაყვინთეს ზღვაში,  
მერე მადესის ბნელით მოცულ სადგომს მიაღწენ,  
რათა აჩრდილთა ძალოვანი მეუფისათვის  
ლამაზი ცოლი — პერსეფონე რომ მოეტაცათ,  
მაგრამ შეიპყრო მომხდურები, ჭაჭვი დაადო  
და მიუსაჯა სამუდამოდ ბნელეთში ყოფნა.

მედეა (უცებ სახიდან მოსასხამს გადაიძრობს):  
რადგან მივიდნენ იმ დიაცის გასატაცებლად?  
ძალიან კარგად მოქცეულა, რომ დაუსჯია!

გორა: როცა ბერაკლემ თავის ცოლი სხვაზე გაცვალა,  
რომელმაც იგი სიყვარულით მოაქადოვა,  
თანამეცხედრემ შურისგების და მტრობის მიზნით  
მეუღლეს ზელად გაუგზავნა ტილოს ხალათი;  
ჩაცმისთანავე უქიფოდ შეიქნა კაცი.





მწვავე ტყვილმა ავბედითი შიში აღუძრა  
და ეს იმითომ, მისმა ცოლმა ის სელის ტილო  
უკურნებელი, სასოვდელი შხამით გაპოხა.  
ვიღაცეებმა ტუის ფერდობზე დალანდეს იგი  
ხანძარში როგორ აორთქლდა და გაუჩინარდა.

მედეა: თავისი ხელით მოუქსოვა ცოლმა ხალათი?  
თან სასოვდელი?

გორა: თავისი ხელით!

მედეა: თავისი ხელით!

გორა: ო, მელეაგრეს უხეშო ძალავე;

კალიდონში გარეული ტახის მოკვლისთვის  
აღთმა საკუთარ შვილს იმეტებს წოსაკლა!

მედეა: ისიც კმარა მიატოვა?

გორა: არა, მან ძმა მოუტლა.

მედეა: ვინ, კმარა?

გორა: არა, ვაჟმა!

მედეა: ეს რომ ჩაიღინა, თვითონაც თან მიჰყვა?

გორა: არა, ცოცხალია.

მედეა: საშინელება ჩაიღინა და ცოცხალია?!

ბევრი რამ ჩემთვის ნათელია, იმდენი ვიცი,  
რომ მუხანათი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.  
თუ რა მოხდება, არ ვიცი, და, არც მსურს ვიცოდე!  
გულისწყრომის და რისხვის ღირსია,  
მაგრამ სუსტია ადამიანი;  
ღროის დინებას არ ინანიებს!

გორა: სინანულიო? აბა მკითხე, თუ ინანიებს;

ჩქარი ნაბიჯით, მგონი, იგი გვიახლოვდება.

მედეა: ორნი არიან; მეფე, ჩემი მოსისხლე მტერი

და იაზონის შემტყუებელ-წამქეზებელი.  
სჯობს განვერიდო, პირზე ზიზღი რომ არ შემატყოს!  
(ჩქარი ნაბიჯით შინისკენ გაემართება).  
იაზონს არ სურს, ერთხელ მაინც მომესაუბროს?  
მე შინ დავხვდები, გადავცო, მარტო მოვიდეს,  
აქვე არ მინდა მუსაიფი გაუზა რადგან  
ჩემი მტრის გვერდით სკა-ბაასი უადგილოა.  
ახლოვდებიან. მაშ, წავედი  
(ოთახში შეაბიჯებს).

გორა: ის კი გაშორდა!

მე რა ვიღონო, სხვა გზა არ მაქვს, იმ ადამიანს  
უნდა გავუბა საუბარი, ვინც ჩემი შვილი  
დასაღუპავად გაიმეტა სამარადისოდ.  
ისეთნაირად წარიმართა ჩემი ცხოვრება,  
რომ სხვის მიწაზე აღმომხდება ტნჭული სული,  
ცხარე ცრემლების ღვრა მომიწევს მხოლოდ ფარულად,  
რათა არავინ გაიღიშოს ნიშნის მოგებით.  
(შემოდის მეფე და იაზონი).

მეფე: რატომ გაგვირბის ქალბატონი, არაფერი სურს?

გორა: მითომ წავიდა, ეზიზღები დასანახავად.

მეფე: ჩემთან მოუხმე!

გორა: იუარებს.

მეფე: ვალდებულია!

გორა: გაბედულება თუ გეყოფა, შენ თვითონ მიდი.

მეფე: ვინ ვარ და ხად ვარ, უცხოელი ველური ქალი  
მეფის წინაშე რომ ჩიუტობს და ამდენს ბედავს?





მოახლოე ქალი ჭეშმარიტად ქალბატონს მოგვებს,  
ორივენი კი ბნელ ქვეყნიდან მოვიდნენ ჩვენთან.  
აბა ერთხელაც მოუხმე ჩემკენ!

გოგრა (იპოვნის მონიშვნებს):

თუ გულადია,  
აი, ახლაც შენ ესტუმროს და ესაუბროს.

იპოვნი: ახლაც გახწი გაბედულად და გადაეცე.

დაუყოვნებლივ აქ მოვიდეს შენივე მსგავსი.

გოგრა: რატომ კადრულობ, რა მაქვს მასთან მიმსგავსებული,

თუ ეს გაიგო, ვაი მაშინ სუუველას ბრალი!

იპოვნი: მსურს, ეესაუბრო.

გოგრა: მაშ, ესტუმრე.

იპოვნი: ეს არ იქნება!

გოგრა: ჭანდაბას, წავალ, ოღონდ დიდხანს შენ არ გიყურო,

შე კი გადავცემ დანაბარებს, მაგრამ ამაოდ.

წინასწარ ვიცი, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის,

რადგან ვერ იტანს ვერავისგან შეურაცხყოფას.

(ოჯახში შეაბიჯებს)

მეშე: მან კორინთოში კარგა ხანი დაჟყო, მგონია.

სიავის გარდა, რას მოელო, რა უნდა გვითხრას,

რაც მდაბიოებს და უაზნოთ სჩვევიათ მუდამ;

მის სიბლღვეს ჩვენი ყოფნა სახიფათოა!

შენი გუშანი, ვიმედოვნებ, შიადწევს მიზანს.

იპოვნი: დიდი მეფეო, როგორც ბრძანე, ისე იქნება!

ან დიდხანს აღარ შეუძლებს გვერდით, რადგანაც

შენი სასჯელი ბრძნულია და ღმობიერია.

ეს მაიმე ხედილი რაჟი ბედმა აგრე მარგუნა,

მასზე ნაკლები დამნაშავე არც შე ვარ მაშინ.

მიყრუებული ადგილიდან გამოჰყვა ჩვევა

და ტვირთჩამოხსნილ კვიცივით ხტის, ველარ ისვენებს,

სულ იმას ცდილობს, არ დაფაროს თავის სიკერპე,

შე კი უჩუმრად ავიტანო ხალხის გაკილეა.

რა მოსაწყენად გვეჩვენება გარდასული დრო.

მეშე: თუ დაშიჭერებ, ძველებურად კვლავ ამოლდები;

როგორც მშვილდიდან მოსხლეტილი სწრაფი ისარი,

ზუსტად რომ ხედება ამოღებულ მიზანში ბოლმე.

მშვილდს მოღუნავს და მერე ისევ წელში გაშართავს,

ეგ მოიშორე და შენც წელში გაიშართები.

იპოვნი: დიდი ხანია გამივიდა მაგისი უავლი.

დაკარგული მაქვს სახელი და ძველი დიდება,

იპოვნის ხომ აჩრდილი ვარ, სხვა არაფერი.

მეშე: ქვეყანა შენზე მართალია და პირუთვნელი.

მოწიფულ კაცის მცდარი ბიჭი დამლუპველია,

ქაბუკის მარცხი — დროებითი დაცდენა ფეხის,

რადგან შემდგომში სუუველაფერს გამოასწორებს.

ქაბუკობისას, რაც კოლბეთში მოიმოქმედე,

გადაივიწყე და გვიჩვენე კაცურკაცობა.

იპოვნი: მსურს დაგარწმუნო, ბედნიერი ვიქნები მაშინ.

მეშე: როცა თავიდან მოიცვილებ, მერე მიხვდები.

ამფიქტიონთა სასამართლოს შე წარვუდგები

და შენი საქმის დამცველადაც გეგულებოდე,

მსაჯულებს მოვდრეკ, დაფაქრებ, დავიუოლიებ,

რასაც ისინი გაბრალებდნენ, ქვეყანას მოვდებ,

რომ უველაფერში დამნაშავე არის მედეა,





ბნელი ზრახვების მოსურნე და ჩამგონებელი.  
ძველ განაჩენს რომ დაარდევინ, საქმარისია,  
კვლავ აღზევდე და დაიბრუნო ძველი უფლება.  
ოქროს ბაირადს ზე აღმართავ, ააფრიალებ,  
რაც შენ შორეულ მიწა-წყლიდან ვაი-ვაგლაბით  
შენს ქვეყანაში ჰაიზარად ჩამოიტანე;  
ნიაღვარივით მოგაწყდება ახალგაზრდობა,  
თავს მოიყრიან საბერძნეთის გოგო-ბიჭები,  
ახლადაღვლენილ, უცოდველის, შეურევლის,  
ოქროს საწმისის ჩამოშტანი ვბირის გარშემო.  
ხოშ შენს ხელთაა?

იაზონი: ოქროს საწმისი?

მეფე: რა თქმა უნდა!

იაზონი: ოქროს საწმისი, სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არაა!

მეფე: მაშ პელაისის სასახლიდან მან გაიტაცა?

იაზონი: იმას ექნება!

მეფე: ვალდებულია, დაგვიბრუნოს.

შენი დიდება მომავალში მასზე ჰქონია.

შენ უოვლის შემძლედ და მორკმულად უნდა გადიქცა.

ძველი მეგობრის ერთადერთი უღელა შვილი!

ძალა-უფლება მეფე კრეონს, და განძეული,

საქმარისი აქვს თავის სიძეს რომ უნაწილოს.

იაზონი: ხოშ მე დამრჩება მამაჩემის მემკვიდრეობაც.

რომელიც ჰერეთ ბიძაშვილმა დაისაკუთრა.

მოგეხსენება, უქონელი არც მე გახლავარ.

მეფე: ხელის შემშლელი მოაბიჯებს, გვიახლოვდება.

დროა, დროულად მოვახდინოთ მოსახდენელი.

(მეფე გაშლის ოთახიდან მის გორა მოსდევს).

მეფე: ჩემგან რას ითხოვ?

მეფე: მოახლე რომ გამოგიგზავნე,

მკვებე სიტყვებით გაისტუმრე შენი ბინიდან,

და იმის ნაცვლად, შეასრულო ჩემი ბრძანება,

მავალდებული, უოველივე პირადად გითხრა.

მეფე: ბარემ მოთხარი.

მეფე: ახალს ვერაფერს მოგახსენებ.

გაგიშვებ ერთხელ კიდევ და დავუმატებ,

რომ დღესვე უნდა აიბარგო ჩემი ქვეყნიდან.

მეფე: მაინცდაშაინც რაღა ეს დღე აიკვიატე?

მეფე: რაკი ჩემს ასულს ექადნები და ეშუქრები,

რახან ვერ მიტან დასანახად და გეზიზღები,

რადგან თავიდან არ გცოდნება ავი განზრახვა.

შენს გვერდით უოფნა სარიდოა და სახიფათო.

მიტომ მსურს დღესვე მიატოვო ჩემი სახლ-კარი.

მეფე: აქაურობას დღესვე დავთმობ თუ ბავშვებს მომგვრი.

მეფე: შენ გზას გაუდექ, ბავშვები კი აქ დარჩებიან!

მეფე: რაო, ბავშვები მივატოვო? ვიღას რა ვუთხრა?

ან ვის შევჩივლო? ქმართან მაინც მაღაპარაკე!

მეფე (იაზონს მიმართავს):

გსურს, ესაუბრო?

მეფე (იაზონს სთხოვს):

მომისმინე, გემუდარები!

იაზონი: ჩანი გავარდეს, ვისაუბროთ, რაც არის არის.

იცოდე, შენი ლაილას არ მეშინია.

ნება გვიბოძე, ვისაუბროთ, დიდო მეფეო.





მეფე: გული არ მიწევს, არ მსურს, მაგრამ რა გაეწყობა.  
ოინაზია, ცხიერი და მოხერხებული.  
(მეფე გადის).

მეფე: აი, წავიდა, ხელს ვერავინ შეგვიშლის უკვე,  
ცოლ-ქმრის საქმეში აღარავინ არ ჩაერევს;  
ვიშუხაფოთ ისე, როგორც გული გვკარნახობს.  
გამომიტყდი, მაინც რას ფიქრობ?

იანონი: შენ უკეთ იცი.

მეფე: შენ რაც გწყურია, კარგად იცი, ფიქრით კი... რა ვთქვა...

იანონი: პირველი რაც თქვი, საკმარისზე საკმარისია.

მეფე: მაშ, ავიბარგო?

იანონი: წასვლა გიჭოხს!

მეფე: დღესვე წავიდე?

იანონი: ეგრე გერჩივნოს!

მეფე: მოთხარ, მაგ სიტყვებს როგორ ამბობ აუღელვებლად,  
გვერდით მიდგახარ, არც თვალებს ხრი და არც წითლდები?

იანონი: მე მაშინ უნდა ვწითლდებოდე, ახე რომ არ ვთქვა.

მეფე: კარგი იქნება, სულ რომ ეგრე ილაპარაკო,  
მაგრამ თუ სხვებთან ღირსეულად იქცევი ხოლმე,  
რამე გჭირდება ჩემთან თავის მოკატუნება!

იანონი: შიშით შეპურობილს შენ თვლი თავის მოკატუნებად?  
ქვეყანა განგსჯის და ღმერთები შეგარჩენებენ,  
მეც შენი თანამონაწილე ვიქნები მაშინ.  
შენ მაგის ღირსი რომ არ იყო, არცნ შეგლაბავს.

მეფე: ის ღვთისნიერი შენ ხარ, ვისაც ვესაუბრები?  
შენ ხარ იანონ გამკითხავი და მწყალობელი?  
მადლისმყოფელი, კოლხეთში შენ არ ჩამოხვედი  
და სისხლის ფასად არ ჩაიგდე მეფის ასული?  
შემხრალბელო, ჩემს ძმას შენ არ მოუღე ბოლო?  
მამაჩემს შენ არ შეუმოკლე სიცოცხლის დღენი?  
ხელს შენ არ იღებ მოტაცებულ მეფის ასულზე,  
შე ვაიქველო, ეინიანო და სამაგელო!

იანონი: ლანძღვა-გინება შენგან მაინც არ მეკადრება.  
როგორ მოიქცე, კარგად იცი, გემშვიდობებ!

მეფე: რაჟი ვერ ვწვდები, მიტომ ვრჩები, რომ ამოვიცნო.  
იუუჩე ცოტა, მეც შენსავით მშვიდად ვიქნები.  
მე კი თავიდან მიშორებენ, შენ რა მოგეღის?  
განა შეროლდის განაჩენი შენ არ გეხება?

იანონი: უმალ გაირკვა, იმ ცოდვაში არ მიღევს ბრალი,  
ბიძის სიკვდილი ჩემს მოკვდავს არღვევს ქანონით.

მეფე: ამერიდან განცხრომით და მშვიდად იცხოვრებ?

იანონი: როგორც ავბედით კაცს შეშფერის, ისე ვიქნები.

მეფე: მე რა მომეღის?

იანონი: საკუთარ ხედს როგორც წარმართავ.

მეფე: შენ უცოდველი გამოდიხარ.

იანონი: და ვარ კადევაც!

მეფე: მაშ, ბიძაშენის საბოლოოდ მიძინებაში,  
ისე გამოდის, ბელი სულაც არ გირევია.  
შენ არა მთხოვე?

იანონი: არა, ხელი არ შემეწყვიდა!

მეფე: არ გამაბრუვე, მასზე ჩემი ხერხი მეხმარა?

იანონი: გასაგებია, სიძულვილი გალაპარაკებს,  
მაგრამ უოველთვის როდი უნდა გამოიყენო.

მეფე: ოდესღაც თავად ვიშვიშებდი და წუწუნებდი.





ახლა დრო დადგა, აღიარო დანაშაული.  
 იაზონი: ავი ფიქრის და განწრაზვისთვის კი არვის სჭიან,  
 ისჯება მხოლოდ ბოროტი და ავის ჩამდენი!

მედეა (ფიცბლავ):

მე ხომ ისეთი არაფერი ჩამიდენია?!

იაზონი: მაშ, ეგებ მითხრა, ვინ ჩაიდინა?

მედეა: მე არა-მეთქი!

ჩემო მეუღლე, ჭერ მომისმინე

და მერე ისე გამასამართლე:

გამოქვაბულის კარს მივაღეპი

ოქროს საწმისის მოსატაცებლად;

მეფე თავის საწოლში წევს.

უცებ მესმის საჩარელი ყვირილი;

შემოვბრუნდი და რას ვხედავ,

ცხენივით უალუწე შემდგარი

თავშებვეული კაცი

ღრილით ლოგინიდან მოხტუნაობს.

მოდო ძმაო, მოდი,

შური იძიე ჩემზე, შური!

შენ ერთხელ კიდევ უნდა მოკვდე,

კიდევ ერთხელ!

ჩემკენ გადმოხტება და იმ ხელში მწვდება,

რომელშიც საწმისი მიჭირავს.

მე ვცახცახებ და ვწივი,

დახმარებას ვთხოვ ჩემს ღმერთებს.

საწმისი ფარივით მიჭირავს.

გიჟური გამომეტყველებისა და

კბილებდაკრეჭილის დანახვით ანაზღად შეკრთება.

ერთს დაიხავლებს და შეხვეულ ნაიარევს დაიგლეჯს,

კრილობებიდან სისხლი მოთქრიალობს;

გაოგნებულმა და გამოყუყულებულმა

როცა ირგვლივ მიმოვიხედე,

დავინახე, უკვე გაყინული, უხულო მეფე

ჩემს ფერთხით ეგდო

და საკუთარ სისხლში ცურავდა.

იაზონი: მე მეუბნები ყოველივეს, გულშემწარავო?

როცა ვიყურებ, მაცახცახებს და მაფრიალებს,

დროა, აქედან წაეთრიო, შე ჯადოქარო!

მედეა: დანახვისთანვე სულ იოლად ჩაწვდი ყველაფერს,

განსაკუთრებით, როცა მხარში ამოგიდებე,

იმ დღიდან ჩემკენ მოილტვოდი, მოისწრაფოდი.

იაზონი: ქაბუკი ვიყავ გულადი და თავქარიანი,

უმაწვილს რაც მოხწონს, ჭეღვს აღარ ეპიტნავება.

მედეა: პატარაობის ოქროს ხანას ნუ გამახსენებ!

თავი — ფიცხელი, გული — მუდამ კეთილმოსურნე!

რა კარგი იყო, ცოტა ხნით რომ დამბრუნებოდა!

იმ დიდებულ დროს ოდნავ მაინც მიმაახლოვე,

როცა ფაჩისის ნაპირებზე მწვანე ბალახში

ლამაზ ყვავილებს დავეძებდი ღმანკობი.

რა გულახდილი იყავი და რა გულმართალი,

მე კი პირქუში, ბუტია და გულჩათხრობილი,

ამ დროს გამოჩნდი, სასიყვითოდ გამოასხივე

და ეს გონებაც გამინათე, გამიცისკროვნე.

შენ ჩემი იყავ და მე შენი, ჩემო იაზონ!





სანატრელი დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს,  
სახლ-კარზე წრუნვაც აღარ გინდა, აღარ გპირდება,  
სახელისა და დიდებისთვის მთლად შეიწირე  
ახალგაზრდობის გაფურჩქნილი ტკბილი ნაყოფი.  
სადა ხარ ახლა, ნორჩო ხეო, აუვავებულო?  
აღბათ ჩემსავით მიცემული სასოწარკვეთას;  
მშორად ვოცნებობ გაზაფხულის იმ მწყაზარ დროზე  
და ნაწი სიოც საამურად მენანავენა.

მაშინ ხომ ვიყავ ძვირფასი და გამორჩეული,  
ჩარიგად ვიქეც საფრთხობელად და შეხაზარად?  
ხომ დამეძებდი, მომძებნე და წამომიყვანე  
როგორიც ვიყავ, შემოფარე, ჩანაირიც ვარ!

იანონი: იმაზე რატომ არას ამბობ, რაც მერე მოხდა!

მედეა: შესაზარიო, რომ იძახი, დასტური მითქვამს,  
რაც მამაჩემს და ძმას დავმართე, ეჰ, ისიც კმარა,  
ამით წინასწარ გავითხარე ხაფლაფი ჩემთვის  
და ამისათვის დავიხაჭე კიდევაც, მაგრამ  
მსურს ჩადენილი ცოდო-ბრალი გამოვისყიდო,  
შენ კი, იანონ, ამ საქმისთვის არ უნდა მსჯიდე,  
რადგანაც შენმა ხიყვარულმა გამაბედინა!  
მოდი, შორეულ ქვეყანაში გავიქცეთ ერთად!  
უვლელ მიგვიღებს, გვიმასპინძლებს.

იანონი: რომელში? სადა?

მედეა: როგორ თუ სადა?

იანონი: რად მაცოფებ და რად მაცეცხლებ,  
ჩვენი გაქცევა ხომ ფუჭი და საარაკოა.  
თვითონ ღმერთებმა შეჩვენეს ჩვენი კავშირი  
მაშინვე, როცა ერთ შემზარავ, მხეცურ საქციელს  
მოჰყვა მეორე, უფრო დიდი დანაშაული.  
წარმოვიდგინოთ, თითქოს მეფე შენ არ მოგეკლას,  
გვერდით ვინ გედგა, ვინ დაგლანდა, ვინ დაგიჭერებს?

მედეა: შენ ერთადერთი!

იანონი: ეგრეც რომ იყოს, რა შემოძლია?  
მოდი, შევეშვათ, ბედისწერას ვერსად წავუვალთ!  
თითოეულმა თავის ცოდო გამოისყიდოს,  
შენ იმისათვის, ამ მიწიდან აკვრა რომ გიწევს,  
მე კი იმისთვის, აქ დარჩენა რომ მწადდა გულით.

მედეა: ეგრე გამოდის, იოლი გზა აგირჩევია!

იანონი: ნუთუ იოლად მიგაჩნია, როცა უცხოელს  
უცხო ბინაში უთანაგრძნობს თვით უცხოელი?

მედეა: თუ ეგრე გიმძიმს, გაქცევაზე რად ამბობ უარს?

იანონი: საით და როგორ?

მედეა: უწინ ამაზე არ წრუნავდი,  
როცა სამშობლო მიატოვე, კოლხეთს ჩამოხველ,  
უცხო მიწაზე დიდებისთვის მარჯვედ იღვწოდი.

იანონი: ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, ძალაც მღალატობს,  
გულოვანობა, რა ხანია, გულს ჩამემარხა.  
მადლობელი ვარ გარდასულის გახხენებისთვის,  
რომელიც გულზე ლოდად მაწევს და სულს მიხუთავს,  
რიდით და შიშით თვალი ვეღარ გამიხელია.  
მას შემდეგ უკვე ის ჭაბუკი კაცად გადაიქცა,  
გაშლილ უვავილებს უმაწვილურად აღარ შეჰხარის  
და მწიფე ნაყოფს ეტანება მხოლოდ და მხოლოდ.  
შვილები შენთან ვერ წამოვლენ, დე, ჩემთან დარჩენ,





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩემს შვილიშვილებს ქონება ხომ უნდა ვუბოძო.  
როგორ გვინდა, იაზონის შთამომავლები  
არ უნდა იდგნენ გადამხმარი მანანებივით  
სუუველგან გზებზე და უარიბებს ეჩებოდნენ?  
როცა გიყვარდი, ხომ ვიყავი შენთვის ძვირფასი,  
იხეტნაირად მოიქეცი ახლაც ვითომდა  
მშობელ მიწაში არ ინანებ ჩემთვის სამარეს!

მედეა: თუ საქორწინო სარეცელი მშობელ მიწაზე?  
ასეა, არა?

იაზონი: რის თქმა გინდა?

მედეა: ხომ მოვისმინე,

ჭერ ნათესავად მოგნათლა და შემდგომში ვაჟად,  
ბოლოს კი უკვე სასიძოდაც გამოგაცხადა.  
იმიტომ რჩები, კრეუზა რომ გეკურკურება?  
გამოტყდი რაღა, ხომ ასეა? ხომ გამოგტყბენ?

იაზონი: არც არასოდეს გამოვმტყუდარვარ, არც გამოვტყუდები.

მედეა: სეტნაირად ვინდა, ცოდვა მოინანიო?

ამიტომ გინდა, მედეა რომ შორს გადიხვეწოს?  
გაჭირვების უამს გვერდიდან ხომ არ გცილდებოდი,  
ასე სასწრაფოდ გაგვისხლტა დრო თვალს და ხედს შუა,  
უოველ ნაბიჯის გადადგმაზე ტკბილად ვიყავით,  
განა იმიტომ, მოგონებად დარჩენილიყავ?  
აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, არსად არ წავალი!

იაზონი: როგორც უოველთვის, არასწორად იქცევი ახლაც,  
კერპო, უფშურო!

მედეა: არასწორად ვიქცევი, არა?

მის ცოლად შერთვას არ აპირებ? მაშ თქვი, არა-თქო!

იაზონი: ერთ მუუდრო ადგილს დავჭერდები, თავი რომ შევრგო,  
შერე ღმერთი რას გაიმეტებს, თავად არ ვიცი!

მედეა: მე კი წინასწარ კარგად ვიცი, ასეც მგონია,  
ღმერთი უთუოდ თავის კალთას გადაგაფარებს.

იაზონი: შენ ხომ არ ძალგიძს, კაცს რომ წუნარად ელაპარაკო,  
კარგად იყავი  
(მიდის)

მედეა: იაზონ!

იაზონი (შემობრუნდება):

კიდევ რას მტყუნი?

მედეა: უკანასკნელად ვხედებით აღბათ, ჩემო იაზონ.

ეს საუბარიც, ვგონებ, არის უკანასკნელი!

იაზონი: ჰოდა, უჩუმრად გავეყაროთ ერთიმეორეს.

მედეა: ჭერ სიუყარული შემატყუე, ახლა გამირბი?

იაზონი: სხვა გზა არა მაქვს.

მედეა: მამაჩემი ხომ მოინდევ,

ახლა ქმარს მტაცებ?

იაზონი: იძულებით, ჩემს უნებურად.

მედეა: შენი მიზეზით დამელუპა ერთადერთი ძმა,

შენ კი არაფრად ჩააგდე და გამომიტაცე!

იაზონი: სიმართლეს გიტყვი, მის სიკვდილში არ გვიდევს ბრალი.

მედეა: სამშობლო მიტომ მივატოვე, შენ გამოგყევი.

იაზონი: ნება-სურვილით გამოგყევი, ისე კი არა,

თუ გული გწუდებოდა, უკან გიშვებ სიამოვნებით!

მედეა: ქვეყანა მწყევლის, არად მაგდებს შენი გულისთვის,

მე ჩემი თავი მეზიზღება შენს გადამკიდეს

და შენ კი მტოვებ?





იანონი: მე კი არ გტოვებ, უმაღლესი

განაჩენი მაიძულებს რომ გავიყაროთ.

შენ თუ დაკარგე ბედ-იღბალი, ჩემი სადღაა?

შეცვალე ტანჯვა ჩემი უბედურებით!

მედეა: ვაი, იანონ!

(მუხლებზე დაეცემა).

იანონი: კიდევ რა გსურს? კიდევ რას მეტყვი?

მედეა (წამოდგება):

ო, აღარაფერს, აღარაფერს არ გეტყვი უკვე!

გათავდა, მორჩა, მაპატიეთ, მამა-პაპანო!

ქედმოდრეკისთვის თქვენ შემინდეთ, თქვენ შემეწიეთ,

ჩემი კოლხეთის მწვანობარო დიდო ღმერთებო.

უკანასკნელად გავიბრძოლე და მომიტევეთ!

(იანონი შებრუნდება წასასვლელად).

მედეა: იანონ, საით!

იანონი: ნუ იფიქრებ, გული მომიღბო!

მედეა: უნდა ვეცადო. დამიბრუნე ჩემი შვილები!

იანონი: ო, არა, ბავშვებს ვერასოდეს ვერ დაგიბრუნებ!

მედეა: ისინი ჩემი ნაშობია, დედის არიან!

იანონი: ჩემი ჭილაგი თანდათან ხომ უნდა გამრავლდეს;

მაშ, იანონის მისხის მისხი ველურად იქცეს?

ჯობს, რომ აღვწარდო აქაური ადამ-წესებით.

მედეა: გსურს მიუმატო დედინაცვლის შთამომავლებიც?

ამ ქვეყანაზე მე კი მარტო ეგენი მყვანან!

იანონი: არა უშავს რა, თანაგრძნობა თუ ზიზღად შექცა,

ნუ აღელდები, შენი ხვედრი შემიმსუბუქებს!

მედეა: კეთილი! ახლა ერთი თხოვნით მინდა მოგმართო:

ჩემო მეუღლე! თუმცა მეუღლე აღარა ხარ...

სატრფოვი მიწნურში თუმცა არასოდეს არ ყოფილხარ...

მაშ, მამაკაცო! გერქვა, მაგრამ გატეხე სიტყვა...

ფუი, შენს სახელს, მოღალატე და გამყიდველო...

როგორ მოგიხმო? შესაწარო, სათნოვ, კეთილო!

მოშეც ბავშვები და მზადა ვარ, გზას რომ გავუდგე!

იანონი: არ შემიძლია, ხომ გითხარი, არ შემიძლია!

მედეა: ასე უხეშად რად მპასუხობ? ცოლი ხელს იღებს

თავის ქმარზე, მაგრამ დედა კი თავის ნაშობს ითხოვს!

იანონი: კეთილი, რადგან სამართლიან კაცად ჩამთვალე,

დე, ეგრე იყოს, ერთ-ერთ მათგანს დაგიტოვებ ჩემით!

მედეა: მხოლოდ ერთს მითმობ?

იანონი: ეგეც კმარა, მეტს ნუ მოითხოვ!

ბეწვისოდენაც კი მილახავს მოვალეობას.

მედეა: რომელს იმეტებ?

იანონი: დე, ბავშვებმა ამოგირჩიონ.

მათგან რომელიც დაგთანხმდება, ის წაიყვანე.

მედეა: დიდი მადლობა, გულკეთილო და მადლცხებულო!

უდავოდ ცდება, მოღალატეს ვინც დაგიძახებს.

(შეშობის მეფე).

იანონი: მობრძანდი, მეფე!

მეფე: რა ქენით, საქმე მოაგვარეთ?

იანონი: მიდის, ოღონდაც, ერთ ბავშვს ვუთმობ, ასე შევპირდი.

(ბიჭს მიმართავს, რომელიც მეფეს გამოჰყოლია):

წადი ახლავე, ის პატარაც აქ მოიყვანე!

მეფე: მაშინ რას იზამ, თუ ორივე აქ დარჩებიან?

მედეა: მე რომ მცირედად მიმაჩნია, ბევრი გგონია?





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- შენი სიმკაცრით ღმერთებიც კი შიშობენ, კრთიან!
- მეფე: ცოდვის ჩამდენსაც უშეცდომოდ სჯიან ღმერთები.
- მეფე: მათ მანვით თვალეზ არაფერი დაეშალებათ.
- მეფე: ბოროტ განზრახვას ბოროტებად მიიჩნევს უმაღლ.
- მეფე: თუ ბოროტებას წინ აღუდგა, იმას არად თვლი?
- მეფე: რადგან ჩემ თავზე ხუთ ერთთავად მსჯავრი გამომაქვს,  
ამიტომ სხვაზეც ასე ვფიქრობ, ასე მწადია.
- მეფე: მაშ, დამნაშავეს დანაშაულის ბრალდებად უთვლი?
- იანონი: გულქვაობა რომ არ დამწამოს, მიტომ ვთავაზობ,  
ამოიჩიოს, რომელიც სურს ნანატრი შვილი —  
ჭირსა და ღმერთი სიკვდილამდე დედის ნუგეში.  
(კრეუზა ბავშვებითურთ შემოდის).
- კრეუზა: ეს უმაწვილები ამედევნენ, ჩამცილებიან,  
რა ამბავია, რა ხდებოდა ჩვენ გარეშეშო?  
ხუთ ახლახან არ ჩამოვიდნენ, მაგრამ შეხედეთ,  
ისე ვუხვარვარ, თითქოს შუდამ ერთად გვეცხოვროს.  
ამ საბრალოდებს ტკბილი სიტყვა ჭერ არ სმენიათ,  
ეგებ მოვიგო მოფერებით მაგათი გული.
- მეფე: ერთი მათგანი დედას უნდა გაჰყვას უცდილოდ.
- კრეუზა: ჩვენ მიგვატოვებს?
- მეფე: მამამისმა ასე ისურვა!  
(იქვე მდგომ, ფიქრებში ჩაძირულ მეფეს მიმართავს):  
აჰ, ბავშვებიც აქ არიან, ამოიჩიე!
- მეფე: მო, აქ არიან, აქ არიან ჩემი შვილები,  
დედის იმედად დარჩენილნი ამ ქვეყანაზე!  
რაც გავიფიქრე, მაპატიეთ, დიდო ღმერთებო,  
და ორივენი მომაკუთვნეთ, ვერც ერთს ვერ დავთმობ!  
მერე წავალ და თქვენს სიკეთეს ხოტბას შევახამ,  
მოვიბოდიშებ, თუმცა არა, ღირსად არ ჩავთვლი!  
აქეთ გაშვებო, რას დამდგარხართ, ჩემო შვილებო,  
ჩემი მტრის უდიდეს მკერდს უზრუნველად რას ეხუტებით?  
იციო, რა ბრიკი მოიგონა, რა მიხიმანკლა?  
თქვენი პატარა ხელები და სუსტი თითები  
ისეთნაირად აღქურვა, რომ ემატ ბრკუალებით  
ნაკუნ-ნაკუნად უქცევს სხეულს, რომ მიყრდნობიხართ.  
ნუთუ ეგრე გადაგიბრათ? სწრაფად მოსცილდით!
- კრეუზა: დაჭერილები კი არ მყვანან, შე უბედურო.
- მეფე: გაკვაშულები კი არ გყვანან, მაგათი მამაც  
ფარისევლური, მოთნე მზერით არ დაატყვევე?  
იცინი არა? მაღე სატირლად გაგიბდებო  
საქმე, იცოდე!
- კრეუზა: ოი, ღმერთებო, სიცილისთვის მკაცრად დამსაჭეთ!
- მეფე: ნუ განრისხდები, ნურც გავკიცხავ, წუნარად, დიაცო,  
რაც შეგთავაზეს, შეიფერე, ან გაგვეცალე!
- მეფე: სიმართლეს ამბობ, ო, მეფეო, სამართლიანო,  
თუმცა არც ისე სასიკეთოს და საამებელს.  
რანაირადაც უნდა ითქვას, ეგ ხუთ ერთია!  
ჩემო შვილებო, თქვენი თვალით ხედავთ ყველაფერს,  
კაცმა არ უწუის, ჩამდენი ზღვის და ზმელეთს იქით  
დაუფარავად აძევებენ ზედშავ დედათქვენს.  
კეთილმა ხალხმა, მამათქვენმა და ქველმა მეფემ  
სამართლიანად ნება დაგართოთ ორივე უმაწვილს,  
ერთი თქვენგანი, ერთადერთი, დედას რომ გაჰყვას —  
დიდო ღმერთებო, გუურებათ? ორიდან — ერთი —





ჩემთან ერთად რომ გავუყურო გრძელსა და ძნელ გზას!  
რომელსაც უფრო მაგრად ვიყვართ მშობელი დედა,  
რაცო ორივეს არ გვიძლევათ ამის უფლება,  
ერთმა თქვენგანმა გადმოადგით ნაბიჯი ჩემკენ.  
რადე თქმა უნდა, რომ მეორე ნაბიჯს დარჩება  
და ცხიერ კაცის თვალთმაქცისა და მზავარ ქალიშვილის  
მოისმინეთ? რატომ აუოვნებთ?

მეფე: რომ ზედავ, არ სურთ!

მეფე: სტუდი, შეფიქრე, უსამართლოვ, ფარისეველი!

ბავშვებს კი უნდათ, შენმა შვილმა გადაიბირა  
არ გვეუბრებათ, უკეთურნი და შემწარაცნი?  
ქოქოლას გაუჩიოთ დედათქვენი, მამაიღებო!

იანონი: რომ ზედავ, არ სურთ!

მეფე: აბა, გაუშვით ერთი წამით!

ბავშვებს ვუყვარვარ! მე რა, მათი დედა არა ვარ?  
თქვენ კი პირიქით აქეზებთ და აგულისხმებთ.

პრეზიდენტი: რაკილა იტვობ, გავაცდებო აქაურობას.

მეფე: მოხვალთ თუ არა ჩემთან ახლოს, გველის წიწილნი!  
(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მათკენ, მაგრამ  
ბავშვები სრულწასკენ გაიქცევიან).

მეფე: ზედავ, კიდევაც გაშირზიან!

მეფე: ახლა რომ მაინც

უკვლავურში თვითონ დარწმუნდი, ამიტომ, წადი!

მეფე: არ სურთ მოსვლა? ნუთუ შეიძლება,

შვილებს დედა არ უნდოდეთ?

დაუჭერებელია! შეუძლებელია! —

ეწონ, ჩემო უფროსო ბიჭო, ჩემო საყვარელო!

უურად იდე, დედა გახშობს, მოდი ჩემთან!

გულქვად და მკაცრად არ მოგეპყრობი!

შენ უნდა იყო ჩემთვის უძვირფასესი,

სიკეთის ერთადერთი განახიერება!

შეისმინე დედის მუდარა და მოდი! —

არ იმძრევა უფროსაც არ იბერტყავს! —

შე უმადუროს შე მამაიღავ!

შენც მამაშენივით შელაძუა ჩარ

და მახავით გეწიწლები!

ამიერიდან შეილადა აღარ გთვლი! —

შენა აბსარტუს, ჩემო სატყუარო,

დატირებულნი ბიძაშენის ორეულო,

მახავით მშვიდო და მადლიანო,

შეზე, დედაშენი მუხლებზე და ცეცხლად

და გვედრება.

უარს ნუ შეტყვი,

მოდი ჩემთან, ჩემო აბსარტუს,

დედასთან მოდი! —

იგვიც აუოვნებს! —

არც შენ გინდევარ? —

თქვენი და ჩემი გულის გახამობად

აბა ხაჭაღს ვინ მომაშავებს?

(სწრაფად წამოხტება).

იანონი: მადლობა უფალს, შენ თვითონ რომ ნიჩი წავიხდა

და პატარები შენკენ მაინც ვერ მოაქციე.

ბავშვების მსჭავრი თვით ღმერთების განაჩენია!

იხინა ფარჩენ, შენ კი გიჭობს ახლავ წახვიდე.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მედეა: მაშ ერთხელ კიდევ მომისმინეთ, ლაწირაქებო!

იანე: შეხედე ერთი, არ გახმენენ, არად გადებენ!

მედეა: ბავშვებო-მეთქი!

მეშე (კრეუზას მიმართავს):

კვლავ სახალღეში დააბრუნე;

მაგ დედამ შობა და ამიტომ არ უნდა სძაგდეთ.

(კრეუზა ბავშვებიანად გასასვლელისკენ შებრუნდება).

მედეა: ხედავთ, გარბიან, გაშირბიან ჩემი შვილები!

მეშე (იანეს მიმართავს):

რადას ვუდგავართ, აშაოა თითზე კბენანი!

(მიდიან).

მედეა: ჩემი შვილები! სად წავიდნენ ჩემი შვილები?!

გორა (უცებ გაჩნდება):

ჯობს დაიუურო ტკივილები, შენი წუხილით

შენს მტრებს ზედშეტად ნუ მოაღებენ, ნუ გააზარებ!

მედეა (იატაკზე დაეცემა):

მწარედ დავმარცხდი, გავითელე, მთლად გავნადგურდი.

ისინი კი გაშირბიან, გაშირბიან,

ჩემი შვილები გაშირბიან!

გორა (მისკენ დაიხრება):

სიცოცხლეს ძალით ნუ მოისწრაფები!

მედეა: ნეტავ სიკვდილი მაღირსა!

ვაი, შვილებო!

(ფარდა ეშვება)

სიმონ

(დისასრული იქნება)





ქველბერძნულიდან

თარგმნა და შენიშვნები დაურთო აკაკი ურუშაძე

ქართველი მკითხველი ალბათ იცნობს ძველი ბერძნული საისტორიო და საფილოსოფიო პროზის გამოჩენილი დიდოსტატის პლატარქეს (ახ. წ. 46-120) „პარალელურ ბიოგრაფიებს“, რომლის I ნაწილი მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიაში გამოქვეყნდა (პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები. თბილისი, 1975). ამჟამად გამოსაცემად მზადდება ხსენებული თხზულების II ნაწილი. „საუნჯის“ მკითხველებს ამ ნაწილიდან ვთავაზობთ ანტიკური ეპოქის ორი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ათენელი თემისტოკლესა და რომაელი მარკუს ფურიუს კამილუსის ბიოგრაფიების წყვილის თარგმანს.

### თემისტოკლე

1. თემისტოკლეს ისეთი ჩამომავლობა როდი ჰქონდა, მისი სახელის აღზევებას შეშველებოდა. მამამისი ნეოკლე წარმოშობით ლეონტიის ფილის ფრეარეს დემიდან გახლდათ<sup>1</sup> და ათენის წარჩინებულთა ფენას არ მიეკუთვნებოდა; დედის მხრივ კი, როგორც გადმოგვცემენ, ნაბუშარი იყო<sup>2</sup>:

აბროტონონი --- თრაკიელი ქალი ვარ, მაგრამ

ამაყად შეთქმის: თემისტოკლე ვუშვი ბერძენთა,<sup>3</sup> ---

უთქვამს დედამისს.

ფანია წერს: თემისტოკლეს დედა თრაკიელი კი არა, კარიელი ქალი იყო და სახელად ევტერპე ერქვა და არა აბროტონონიო. ნეანთე თავის მხრივ დასძენს: ამ ქალის სამშობლო ქალიკარნასიაო.

უკანონოდ შობილნი ჩვეულებრივ თავს იყრიდნენ კინოსარგესში (ეს გახლავთ ქალაქგარეთ მდებარე, პერაკლესადმი შეწირული გიმნასიონი: პერაკლეს ხომ ნამდვილ ღმერთებს არ მიერიცხებოდა; იგიც უკანონოდ შობილად ითვლებოდა, რაკი დედამისი მოკვდავი ქალი იყო<sup>4</sup>). თემისტოკლემ წარჩინებული წარმომავლობის ზოგი ახალგაზრდა დაარწმუნა, იმათაც კინოსარგესში ევლოთ და სავარჯიშოდ ტანი მასთან ერთად დაეზილათ. ისინი აგრეც იქცეოდნენ. ამ ხერხით თემისტოკლემ, ჩანს, უკანონოდ შობილთა და წარჩინებულთა შორის არსებული ზღვარი მოსპო. ამასთანავე, სრულიად აშკარაა, იგი დაკავშირებული იყო ლიკომედების გვართან. სიმონიდეს გადმოცემით, თემისტოკლემ აღადგინა და მოახატვინა ფლიელთა ქალაქში მდებარე ლიკომედების საგვარეულო ტაძარი, რომელიც ბარბაროსებს გადაეწვათ.



2. ერთხმად აღიარებენ, რომ თემისტოკლე ბალლობაშივე აღსავსე იყო მგზნებარებით; გამოირჩეოდა ბუნებისაგან მიმადლებული ჰერკულით და სიქმეთა ხელმძღვანელობით და საზოგადო მოღვაწეობისაკენ ლტოლვით. მეცადინეობათა შეწყვეტისა და დასვენების ჟამს სხვა ყმაწვილებივით დასვენებულად და ლაზღანდარობას კი არ უნდებოდა, არამედ ასეთ დროს უფროაღივით განმარტობებული და რაღაც-რაღაც სიტყვათა შედგენითა და წარმოთქმით გართული. ეს სიტყვები მისი ზოგიერთი ამხანაგი ბალების გასამტყუნებელი თუ დასაცავი სიტყვები ყოფილა. სწორედ ამიტომ მოძღვარი ხშირად ეტყოდა თურმე: „შენ, ყმაწვილო, პატარა კაცი როდი დადგები; ან დიდი სიკეთის მატარებელი იქნები მთლად, ანდა ბოროტებისა“.

ზნეობის გასაწვრთნელ, ასევე განცხრომისა და ლალი გართობისათვის გამიზნულ საგნებს თემისტოკლე ზანტად და უხალისოდ სწავლობდა; მაგრამ იმას, რაც ცოდნას უნერგავდა და საქმეს აჩვენდა, ცხადზე ცხადი იყო, საკუთარ ბუნებას მინდობილი, თავისი ასაკისათვის უჩვეულო გულისყურით ეკიდებოდა. შემდეგ ხანებში, როცა ეგრეთ წოდებული ნატიფი და საგანგებოდ დახვეწილი გართობების დროს დასცინოდნენ ისინი, ვისაც თავი განათლებულ ხალხად მოჰქონდათ, იგი იძულებული იყო თავი დაეცვა და უკმეხად ეთქვა: მართალია, ჩანგის აწყობა და ბარბითზე დაკვრა არ ვიცი, მაგრამ თუ უმნიშვნელო და უსახელო ქალაქს ჩამაბარებენ, მე მას სახელს გავუთქვამ და აღვაზევებო! სტესიმბროტე<sup>1</sup> კი გვიმტკიცებს: თემისტოკლე ანაქსაგორას უსმენდა და მელისე ფიზიკოსთანაც<sup>2</sup> მეცადინეობდაო; მაგრამ იგი აქ დროში ცდებოდა. საქმე ის გახლავთ, როცა პერიკლემ<sup>3</sup> ხამოსელებს ალყა შემოარტყა, მის წინააღმდეგ სწორედ მელისე სტრატეგოსობდა; პერიკლე კი თემისტოკლეზე ბევრად უფრო გვიან დაიბადა და ანაქსაგორაც მისი თანამედროვე იყო. ამიტომ აჯობებს, თუ კაცი დაუჯერებს იმას, რომლებიც ამბობენ: თემისტოკლე იყო ბეჯითი მოწაფე ფრეარელი მნესიფილესი, ვინც არც რიტორი ყოფილა და არც იმ ფილოსოფოსთაგანი, რომელთაც ფიზიკოსებს უხმობენ. მისი ხელობა გახლდათ ის ეგრეთ წოდებული „სიბრძნე“, რაიც სხვა არა იყო რა, თუ არა სახელმწიფოს მართვის ოსტატობა და საქმიანობისათვის გამოსაყენებელი ცოდნა. მნესიფილემ იგი მემკვიდრეობით მიიღო სოლონისაგან, დახვეწა, დაიცვა და მოძღვრებად აქცია. მერმე ეს მოძღვრება ახალმა მოღვაწეებმა სამოსამართლო მქვერმეტყველებას შეურიეს, საქმეს დააცილეს და ცუნდრუქსიტყვაობისაკენ წარმართეს. ამ მოღვაწეთ სახელად სოფისტები შეერქვათ. თემისტოკლე სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული კაცი იყო უკვე, როცა მნესიფილეს დაუახლოვდა.

ახალგაზრდობაში, პირველ მისწრაფებათა ჟამს, თემისტოკლე მერყევი, დაუდევარი ხასიათისა გახლდათ. იგი ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ ბუნებას, რომელიც გონების მოწოდებისა და აღზრდის საფუძვლის გარეშე დიდ-დიდ ცვლილებებს იწვევდა მასში: ხან აქეთ ეწეოდა, ხან — იქით; უპირატესად კი ავი საქმისაკენ მიდრეკდა. ამას თვითონაც აღიარებდა მერმე და ამბობდა: ყველაზე ურა და დაუოკებელი კვიციებიც კი საუკეთესო ბედაურებად იქცევიან შესაფერი აღზრდისა და გახედნის შედეგად. ხსენებული ხასიათის გამო ზოგიერთებმა შეთხზეს გადმოცემა, თითქოს მამას საჯაროდ მოეკვეთოს თემისტოკლე, ხოლო დედას, შვილის უზნეობით შეწუხებულს, თავი მოეკლას. მე მგონი ეს მოქორილი ამბავია. არიან ისეთებიც, რომლებიც პირიქით იმას



გვიმტკიცებენ, მამა საზოგადოებრივი საქმიანობისაგან შვილის ჩამოშორებას ცდილობდა ზღვის სანაპიროზე უყურადღებოდ მიყრილ ძველ ტრიტონებზე უთითებდა: სწორედ ასე ექცევა ხალხი სახელმწიფო მოღვაწეებს, როცა ისინი უსარგებლონი ხდებიან.

3. მიუხედავად ამისა სახელმწიფო მოღვაწეობამ, ჩანს, აღრევდა მისი ლი მგზნებარებით გაიტაცა თემისტოკლე, ხოლო სახელისათვის სწრაფვამ მთლად დაიმორჩილა. ამ გარემოებით და პირველობის მოპოვების მძაფრი სურვილით აღტყინებული იმთავითვე გაბედულად დაუპირისპირდა სახელმწიფოში ყველაზე ძლიერ და ყველაზე გავლენიან თავკაცებს, განსაკუთრებით კი — არისტიდეს, ლისიმაქეს ძეს, ვინც მუდამ მისი საწინააღმდეგო გზით მიემართებოდა. მათი მტრობა, ჩანს, ფრიად ბალღური საბაბით დაწყებულია. როგორც ფილოსოფოსი არისტონი მოგვითხრობს, ორივეს შეპყვარებია სილამაზით განთქმული ტეოსელი სტესილეოსი და ამიერიდან ურთიერთ ქიშპობა საზოგადო საქმიანობაშიც გაუგრძელდებათ. მათი ცხოვრების წირისა და ხასიათთა სხვაობა, ეტყობა, კიდევ უფრო მეტად ზრდიდა არსებულ უთანხმოებას. არისტიდეს ბუნებით წყნარი და ფაქიზი ზნეობის კაცი, სახელმწიფო მოღვაწეობას მადლობისა და სახელისათვის კი არ ეწეოდა, არამედ უკეთესი საქმისათვის — საზოგადო უშიშროებისა და სამართლიანობისათვის. ამიტომ იძულებული იყო ხშირად დაპირისპირებოდა თემისტოკლეს და მისი აღზევებისათვის ხელი შეეშალა, ვინაიდან იგი დღენიადავ აღელვებდა ხალხს და ახალ-ახალ გარდაქმნებს ახვევდა თავს. ამბობენ, თემისტოკლე სახელისათვის ისე იყო გაგიჟებული და პატივმოყვარეობის გამო დიდ-დიდ საქმეთ ისე ეტრფოდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ჟამს, როცა მარათონში ბარბაროსებთან ბრძოლა დამთავრდა და მილტიადეს სამხედრომთავრო წარმატებები ყველას პირზე ეკერა, მეტისმეტად ღრმა ფიქრებს მიეცა, ღამეებს უძილოდ ატარებდა და ჩვეულებრივ სმასა და ღრეობაზე სრულიად აიღო ხელი. იმათ, ვისაც მისი ცხოვრების წირის შეცვლა უკვირდათ და ამის თაობაზე ეკითხებოდნენ, ასე უპასუხებდა: მილტიადეს სამხედრო წარმატება არ მასვენებსო.

მარათონში ბარბაროსთა დამარცხებას თითქმის ყველა მიიჩნევდა ომის დასასრულად; თემისტოკლე კი ამ საქმეს კიდევ უფრო დიდ-დიდ ბრძოლათა დასაწყისად თვლიდა და, რაკი მომავალს წინასწარ ჰკრეტდა, მათ საწარმოებლად მთელი ელადის ხსნისათვის თვითონაც განუწყვეტლივ ემზადებოდა და ქალაქსაც ბეჯითად წვრთნიდა.

4. ათენელებს იმთავითვე წესად ჰქონდათ ლავრიონის ვერცხლის საბადოთა შემოსავლის დანაწილება. თემისტოკლე ერთადერთი კაცი გახლდათ, ვინც გაბედა, წინადადება შეეტანა სახალხო კრებაში, გაეუქმებინათ ხსენებული დანაწილება და ამ ფულით აეგოთ საბრძოლო ხომალდები ეგინელებთან საომრად. ეს ომი კი უკვე გაჩაღებული იყო ელადაში და ეგინელები ხომალდთა სიმრავლის წყალობით ზღვაზე ბატონობდნენ. თემისტოკლემ ადვილად დაარწმუნა ათენელები ისე, რომ არც დარიოსით და არც სპარსებით არ დაუშინებია (ისინი მეტისმეტად შორს იმყოფებოდნენ და მათგან თავდასხმის შიშისათვის მყარი საფუძველი არც არსებობდა). აუცილებელი სამზადისისათვის მან მარჯვედ გამოიყენა მაშინ თანამოქალაქეთა რისხვა და მეტოქეობა ეგინელების მიმართ. საბადოებიდან შემოსული ფულით მართლაც ააგეს ასი



ტრიერი, რომლებიც მერმე საზღვაო ბრძოლაში შეებნენ ქსერქსეს, ათენელთა გულისყური ამიერიდან ნელ-ნელა ზღვისკენ წარმართა თემისტოკლემ: ხმელეთზე მეზობლებსაც კი ვერ უმკლავდებოდა, ხომალდთა ძალით ბარბაროსებსაც მოიგერიებდა და ელადაზე მბრძანებლობაც შეგეძლებოდათ უფრონის სიტყვით, თემისტოკლემ ათენელები, რომლებიც მედგარე მამლები იყვნენ, მეხომაღდეზად და მეზღვაურებად აქცია. ამის გამო ცილიც დასწამეს: თემისტოკლემ ათენელ ხალხს შუბი და ფარი წაართვა და სახოფე მერხებზე და ნიჩბებთან მიუჩინა ადგილიო. სტესიმბროტეს გადმოცემით, თემისტოკლემ თავისი გაიტანა და დაამარცხა მილტიადე, რომელიც მას ეწინააღმდეგებოდა. აენო თუ არა თემისტოკლემ თავისი ღონისძიებით სახელმწიფო წყობილების სიმწყობრესა და სიწმიდეს? ეს ფილოსოფიურად გამოსადიებელი საკითხია! მაგრამ ელინები რომ მაშინ ზღვამ დაიხსნა და ათენელთა ქალაქი სწორედ იმ ტრიერების წყალობით კვლავ ფეხზე დადგა, ეს, სხვა ამბებთან ერთად, ქსერქსემაც დაადასტურა. სახმელეთო ძალები, მართალია, უვნებლად გადაურჩა, მაგრამ ზღვაზე ხომალდთა დამარცხების შემდეგ, რაკი ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდა, ქსერქსემ გაქცევით უშველა თავს. მარდონიოსი, ჩემი აზრით, ელადაში დატოვა მან არა ბერძენთა დასამორჩილებლად, არამედ მათგან დევნის შესაჩერებლად.

5. ზოგიერთი ამბობს, თემისტოკლე თავისი ხელგამლილობის გამო ყოველთვის თავგამოდებით ცდილობდა ფულის შოვნასო; ძალიან უყვარდა მსხვერპლის შეწირვა და უცხოელთა დიდი პატივით მიღება, რაც აურაცხელ თანხას მოითხოვდაო. სხვები კი, პირიქით, მეტისმეტ ხელმომჭირნეობასა და სიძუნწეს სწამებენ: ძღვნად მიართმეულ საჭმელსაც კი ჰყიდდაო.

ერთხელ თემისტოკლემ მეჯოგე ფილიდეს კვიცი სთხოვა. ამან არ მისცა. მაშინ თემისტოკლე დაემუქრა: სულ მალე შენ სახლ-კარს ხის ცხენად ვაქცევო<sup>10</sup>. ამ სიტყვებით იმას გულისხმობდა, რომ ფილიდესა და მისი ოჯახის წევრთა შორის შინაურ შფოთსა და დავას ატებდა.

პატივმოყვარეობით ხომ ყველას აღმატებოდა. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა და გამოუჩენელი კაცი იყო, როცა ათენელთაგან ფრიად პატივდებული ჰერმიონელი<sup>11</sup> კითარისტი ებიკლე თხოვნით აიკლო: გინდა თუ არა, ჩემთან იმსახურო. დიდ ღირსებად მიაჩნდა, მრავალი და მრავალი დანატრებოდა მისი ქერის სტუმრიანობას და ბევრი მიმომსვლელი ჰყოლოდა.

ერთხელ ოლიმპიას ეწვია და კიმონს შეეჯიბრა ღვინთა მოწყობაში<sup>12</sup>, კარავთა გამართვაში და ასევე სხვა პეწსა და საგანგებო მზადებაში. ბერძნებს ეს არ მოეწონათ. ასეთ საქმიანობას ახალგაზრდა და დიდი ოჯახის ნაშინერი კიმონისათვის სრულიად შესაფერისად თვლიდნენ, ხოლო ჯერ კიდევ სახელმოუხვეჭელი თემისტოკლე, ვისაც დამსახურებაცა და სახსარიც აქლდა და აღმადლებას მაინც იჩემებდა, გაყოყნებულ კაცად მიიჩნიეს. ერთხელაც ტრაგედიათა ქორეგოსად მყოფმა გამარჯვება მოიპოვა. ამ შეჯიბრს მაშინ უკვე ახლდა დიდი დამაბულობა და პატივმოყვარეობა. ძლევის აღსანიშნავად დაფა აღმართა წარწერით<sup>13</sup>: „თემისტოკლე ფრეარელი ქორეგოსობდა, ფრინიქე<sup>14</sup> მოძღვრობდა, ხოლო ადიმანტი არქონტი იყო“.

ხალხის დიდი ნაწილისათვის თემისტოკლე მაინც სასიამოვნო პიროვნება გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ მოქალაქეს სახელდებით მიმართავდა და იმიტომაც, რომ სადავო საქმეებში მიუკერძოებელი მსაჯული ჩანდა. ასე,



მაგალითად, როცა სტრატეგოსი იყო, სიმონიდე კოსელმა<sup>15</sup> რაღაც არაკანონიერი სთხოვა; თემისტოკლემ უთხრა: როგორც შენ არ იქნები კარგი პოეტი, ჰანგის დარღვევით რომ იმღერო, ისევე მე არ ვიქნები ზეირიანი მმართველი, ვინმეს გულის მოსაგებად რომ უკანონობა ჩავიდინო. ერთხელაც დასცინოდა სიმონიდეს და ეუბნებოდა: შენ ჭკუა არა გაქვს, რაკი დიდ ქაზანქანს მჭვრავდი კორინთელებს ლანძღავ და თან, ეგზომ მახინჯი გარეგნობის პატრონი, მასებს დახატვის შეკვეთას აძლევო. ბოლოს, როცა დიდებას მიაღწია და ხალხის მოწონებაც დაიმსახურა, აჯანყებით გაიმარჯვა და არისტიდეს ოსტრაკისმოსით ათენიდან განდევნა<sup>16</sup>.

8. როცა მიდია სალაშქროდ დაიძრა ელადის წინააღმდეგ, ათენელებმა ბჭობა გამართეს სტრატეგოსის ასარჩევად<sup>17</sup>. ამბობენ, საფრთხის წინაშე შიშის გამო ყველა ნებაყოფლობით განუდგა განზე მხედართმთავრის მოვალეობას. მხოლოდ ეპიკიდე ეგფემიდეს ძემ, მჭევრმეტყველებლაში გაწაფულმა დემაგოგმა, მაგრამ სულით მხდალმა და ფულის მოყვარულმა კაცმა მოინდომა ამ თანამდებობის მოპოვება და მოსალოდნელიც იყო, კენჭისყრაში გაიმარჯვებდა. იმის შიშით, სახელმწიფოს საქმენი მთლად არ დაღუპულიყო, თუ მეთაურობას ეპიკიდე ჩაიგდებდა ხელთ, თემისტოკლემ პატივმოყვარეობისაკენ მისწრაფება მისგან თანხით გამოისყიდა. ასევე ქებით მოიხსენიება თემისტოკლეს საქციელი ორ ენაზე მეტყველი იმ ერთი კაცის მიმართ, რომელიც მიწისა და წყლის გამოსათხოვად სპარსთა მეფის მოციქულებში იმყოფებოდა. ეს თარჯიმანი თემისტოკლემ შეიბყრო და სახალხო გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯა, რამეთუ ბარბაროსულ დავალებათა გადმოსაცემად ბერძნული ენის გამოყენება გაბედა. ქებითვე მოიხსენიებენ მის მოქმედებას ართმიოს ძელეელის<sup>18</sup> მიმართ. თემისტოკლეს წინადადებით ათენელებმა იგი, მისი შვილები და საერთოდ მისი მოდგმა პატივყარილთა ნუსხაში ჩაწერეს, რადგან ამ ართმიოსმა მიდიიდან ბერძნებთან ოქრო ჩამოიტანა. თემისტოკლეს ყველაზე დიდი დამსახურება კი ის გახლდათ, რომ ბერძენთ შორის ბრძოლებს ბოლო მოუღო. შინ მოდავე სახელმწიფონი დაარწმუნა, უკუეგდოთ მტრობა და შერიგებულიყვნენ სპარსებთან საზიარო ომის გამო. ამბობენ, ამ საქმეში მას დიდი შემწეობა აღმოუჩინა ქილეოს არკადიელმაო<sup>19</sup>.

7. როგორც კი მიიღო ძალაუფლება, თემისტოკლემ მყისვე დაიწყო ცდა, დაეყოლიებინა მოქალაქენი, ტრიერებში ჩამსხდარიყვნენ და ქალაქი დაეტოვებინათ, რათა ელადიდან რაც შეიძლება მოშორებით შეხვედროდნენ ბარბაროსს ზღვაში. რაკი ამ განზრახვას მრავალი აღუდგა წინ, დიდძალი ჯარი ლაქედემონელებთან ერთად ტემპეს ხეობაში<sup>20</sup> ჩაიყვანა, რათა აქ ბრძოლით დაეცვა თესალია, რომელიც, ჩანდა, ჯერ კიდევ არ იყო გადასული სპარსთა მხარეზე. მაგრამ იქიდან ხელმოცარული დაბრუნდნენ: თესალიელები სპარსთა მეფეს შეუერთდნენ და მთელი მხარე ვიდრე ბეოტიამდე მიდიელო მიემხრო. მაშინ ათენელებმა უკვე გაიზიარეს თემისტოკლეს რჩევა საზღვაო საკითხში და ხომალდთა კრებულით იგი არტემისიონთან გაგზავნეს სრუტის დასაცავად<sup>21</sup>. ელინებმა აქ წინამძღოლობა ევრიბიადესა და ლაქედემონელებს დააყისრეს. მხოლოდ ათენელები არ თვლიდნენ ღირსეულ საქმედ დამორჩილებოდნენ სხვებს მაშინ, როცა ხომალდთა სიმრავლით უკლებლივ ყველა სხვა ბერძენს აღემატებოდნენ. რაკი თემისტოკლემ ამ ამბის საშიშროება განჰკრიტა, მეთაურობა თვითონვე დაუთმო ევრიბიადეს, ხოლო ათენელები შე-



პირებით დააშოშმინა: თუ ომში კარგ ვაჟკაცებად გამოიჩენთ თავს, ისე ვიქმ, ელინები სამომავლიოდ მხოლოდ თქვენ დაგემორჩილონო. ამ ამის გამო მიაჩნიათ თემისტოკლე ელადის ხსნის უმთავრეს მიზეზად; ათენელებსაც სწორედ მან გაუთქვა სახელი იმით, რომ მტრებს ვაჟკაცობით, ხოლო მოკავშირეებს კეთილგონიერებით აჯობეს. როცა ბარბაროსთა ფლოტი ელადის მიადგა და პირისპირ განლაგებულ ხომალდთა სიმრავლით ისედაც შეძრწუნებულმა ევრიბიადემ ისიც შეიტყო, კიდევ ორასი გემი სკიათეს გადაღმა მხრიდან უელის გარსო, მოისურვა, რაც შეიძლება სწრაფად გაბრუნებულიყო ელადის სიღრმეში; უნდოდა პელოპონესს მისდგომოდა და თავისი გემთ კრებული ქვეითი ჯარითაც გაემაგრებინა; თუმცა, მისი ფიქრით, მეფის საზღვაო ძლიერების გადალახვა სრულიად შეუძლებელი საქმე იყო. მაშინ ევბეელები დაშინდნენ — ბერძნებმა მთლად არ მიგვატოვონო — და თემისტოკლესთან უჩუმრად მოლაპარაკება გამართეს, თან პელაგონტიც მიუგზავნეს დიდძალი ფულით. პეროდოტეს გადმოცემით, მან ეს ფული მიიღო და ევრიბიადეს გადასცა<sup>23</sup>. მაგრამ ათენის მოქალაქეთაგან მის წინააღმდეგ მეტისმეტად გაილაშქრა წმიდა ხომალდის ტრიერარქმა<sup>24</sup> არქიტელემ, რომელიც მეზღვაურებისათვის გადასახდელი ფულის უქონლობის გამო ცდილობდა აქაურობას სწრაფად გასცლოდა. თემისტოკლემ კიდევ უფრო მეტად აამხედრა მის წინააღმდეგ თანამოქალაქენი, რომლებიც მიცვივდნენ კიდევ მასთან და ვახშამი წარსტაცეს. ამის გამო სასოწარკვეთილსა და მეტისმეტად გამწყრალ არქიტელეს თემისტოკლემ ვახშმად კალათით გაუგზავნა პური და ხორცი, რომელთაც ქვეშ ვერცხლის ტალანტი ამოუდო, თან შეუთვალა: ახლა ამით ივახშმე, დილით კი შენს მეზღვაურებს მიხედე, თორემ მოქალაქეებს მოვდებ — მტრისგან ქრთამი აიღო-მეთქი!

ამას გადმოგვცემს ფანია ლესბოსელი.

8. ბარბაროსთა ხომალდების წინააღმდეგ სრუტეში გამართულ მაშინდელ ბრძოლას საერთო ვითარებისათვის დიდი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ თავისი მცდელობით მეტად სასარგებლო გამოდგა ელინებისათვის. საფრთხის ჯამს შესრულებული საქმის წყალობით მათ შეიგნეს, რომ იმ ვაჟკაცებისათვის, რომელთაც უწყიან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა და მტრის გაბედულად მოგერიება, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ არც ხომალდთა სიმრავლე და მათი ბრწყინვალე მორთულობა და არც ქედმაღლური ყიყინი და ბარბაროსული პეანები<sup>25</sup>. რომ საჭიროა ყველაფერ ამას ათვალწუნებით შეხედონ, მთელი არსებით გაეშურონ და მოწინააღმდეგეს პირისპირ საბრძოლველად ეკვეთონ. როგორც ჩანს, პინდარე კარგად ჩაწვდა ამ ამბავს და სწორედ არტემისიონთან მომხდარ ბრძოლაზე თქვა:

ათენელ ხალხის მძლე შვილებმა აქ ჩაუყარეს  
თავისუფლებას საძირკველი უბრწყინვალესი!

მართლაც: გულადობა გამარჯვების დასაწყისია! არტემისიონი ევბეას სანაპირო კონცხია; იგი ჰესტიეას<sup>26</sup> ზემოთ მდებარეობს და ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული; სწორედ მის პირისპირ ძევს ოლიძონი იმ მხარეში, რომელსაც ოდესღაც ფილოქტეტე განაგებდა<sup>27</sup>. არტემისიონზე არის არტემიდეს ერთი პატარა ტაძარი, რომელსაც „აღმოსავლეთის ტაძრის“ სახელით მოიხსენებენ. ირგვლივ ხეებია შემოჯარული და თეთრი ქვისაგან ნათალი სვეტები დგას, ეს



ქვა, თუ ხელს წავუსვამთ, ზაფრანის ფერსა და სუნს მიიღებს. ერთ-ერთ სვეტზე ასეთი ელევგიური ლექსი იყო წარწერილი:

აზიის მხრადან ნაირნაირ მოდგმის ხალხები,  
აქ შემოსულნი, ათენელთა შვილებმა სძლიეს  
საზღვაო ომში და როს მოსპეს მელების ჯარი,  
ეს სამახსოვროდ არტემიდე ღმერთქალს დაუდგეს.<sup>28</sup>



სხვათა შორის, აქ, სანაპიროზე, უჩვენებენ ადგილს, სადაც დიდძალი ქვიშის სიღრმიდან იფრქვევა ფერფლის მსგავსი შავი მტვერი, თითქოსდა წვის შედეგად გაჩენილი; ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ადგილას დაწვეს ხომალდთა ნამსხვრევები და ბრძოლაში დახოცილთა გვამები.

9. როცა არტემისიონს თერმოპილესთან<sup>29</sup> მომხდარი ამბები ეუწყა და შეიტყვეს: ლეონიდა ბრძოლაში დაეცა და ქსერქსემ ხმელეთის გასასვლელები დაიკავაო, ბერძენთა საზღვაო ძალებმა ელადის შუაგულისაკენ დაიწყეს უკან დახევა. მაშინ ათენელები ჩამკეტ რიგში ჩამწყრივდნენ და თავიანთი წარმატებით ამაყობდნენ.

სანაპიროს გასწვრივ ცურვის დროს, როგორც კი დალანდავდა ისეთ ადგილს, რომელიც იძულების ქამს მტერს ნავმისადგომად და თავშესაფარად გამოადგებოდა, თემისტოკლე იქ მსხვილი ასოებით წარწერებს კვეთდა ქვებზე: ზოგ ქვას შემთხვევით იქვე პოულობდა, ზოგს კი საგანგებოდ თვითონვე დგამდა ხომალდთა სადგურებთან და ჭებთან. ამ წარწერებით იგი იონიელებს მოუწოდებდა, თუ შესაძლებელი იყო, გადმოსულიყვნენ ათენელების, თავიანთი მამების<sup>30</sup> მხარეზე, რომლებიც ყველაზე მეტად დებდნენ თავს მათი თავისუფლებისათვის; ან არადა ბრძოლების ქამს ზიანი მაინც მიეყენებინათ ბარბაროსული მხედრობისათვის და არეგდარევა შეეტანათ მის რიგებში. თემისტოკლე იმედოვნებდა, ეს წარწერები ან გადმოიბირებდა იონიელებს, ან ეჭვით აღგზნებულ ბარბაროსთ შეაშფოთებდა<sup>31</sup>.

ამასობაში ქსერქსე ზემო დორიდიდან ფოკიდაში შემოიჭრა და ფოკიელთა ქალაქებს წვადა და ანადგურებდა. ელინებმა საშველად ხელი არ გამოიღეს, თუმცა ათენელები ეხვეწებოდნენ: ატიკის დასაცავად ბეოტიაში შეეგებეთ მტერს და მოიქეცით ისე, როგორც ჩვენ ვიქცეოდით, როცა ზღვაზე დაგეხმარეთ არტემისიონთანო მაგრამ მათ არავინ ყურს არ უგდებდა; ყველა პელოპონესზე ფიქრობდა; უნდოდათ, საბერძნეთის მთელ ძალას ისთმოსში<sup>32</sup> მოეყარა თავი და ისთმოსის გასწვრივ ზღვიდან ზღვამდე კედელი აეგოთ. ეულად დარჩენილი ათენელები ცალკე ღალატით გამოწვეულმა რისხვამ შეიპყრო, ცალკე სასოწარკვეთილებამ და ბოლმამ. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, შებრძოლებოდნენ მტრის ასეთ აურაცხელ ლაშქარს; აწმყო ვითარება მათ ერთადერთ აუცილებელ პირობას უდებდა: დაეტოვებინათ ქალაქი და მხოლოდ ხომალდებს მინდობოდნენ. მაგრამ მრავალრიცხოვან ხალხს ამის მოსმენაც არ სურდა: არც ისეთი გამარჯვება გვჭირდება და არც ისეთ თავდახსნას ჩავთვლით ხსნად, რომელთა გულისთვისაც ღმერთების ტაძრები და მამათა საფლავები უნდა მივატოვოთ!

10. რაკი თემისტოკლეს გაუძნელდა ადამიანური განსჯით ხალხის გადმოიბრება, ღვთაებრივ სასწაულებსა და მისნობათ მიმართა, — თითქოსდა „ტრაგედიაში მანქანა ასწიაო“<sup>33</sup>, სასწაულად მიიჩნია მან, მაგალითად, იმ დღე-



ებში ათენას სალოცავიდან შეწირული გველის გაუჩინარება. ქურუმები ხალხს უამბობდნენ, რომ მათ სრულიად ხელუხლებელი იხილეს ის სამსხვერპლო საკვები, რომელიც ამ გველისათვის ყოველდღიურად მიჰქონდათ. ამით ისინი საბაბს აძლევდნენ თემისტოკლეს, ეთქვა: ღმერთქალმა ქალაქი დატოვა და ჩვენ გზას ზღვისკენ გვიჩვენებსო.

ბიზანტიუმიკა

რაც შეეხება მისნობას, იგი თემისტოკლემ კვლავ ხალხის ასაყოლიებლად გამოიყენა. მან თქვა: ღვთის მიერ ნახსენები ხის ზღუდე, სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა ხომალდებს; ამის გამო სალამინსაც ღვთაებრივს უწოდებს ღმერთი და არა საზარელსა და ბედკრულს, ვინაიდან სწორედ იგი შეარქმევს სახელს ბერძნებისათვის საბედნიერო ამბავსო<sup>35</sup>. როგორც კი გაიმარჯვა თავისი მოსაზრებულობით, თემისტოკლემ შეადგინა გადაწყვეტილება, რათა ქალაქი ჩაებარებინათ ათენელთა მფარველი ღმერთქალის ათენასათვის, ხოლო ყველა, ვისაც იარაღის ტარება ძალუძდა, ტრიერებზე ასულიყო და თითოეულს, შეძლებისდა მიხედვით, გადაერჩინა ბავშვები, ქალები და მონები. როცა გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, ათენელთა უმრავლესობამ მშობლები და ცოლები ტროიძენში<sup>36</sup> გაგზავნა. აქ ისინი ტროიძენლებმა დიდის პატივით მიიღეს. გადაწყვიტეს: საზოგადო ხარჯით ეკვებათ და საამისოდ თითოეულისათვის ყოველდღიურად ორ-ორი ობოლი მიეცათ; აგრეთვე ბავშვებისათვის ნება დაერთოთ, ნებისმიერ ადგილზე ხილი დაეკრიფათ; გარდა ამისა — მათ გამო მასწავლებლებისთვის გასამრჯელო ეხადათ. ეს გადაწყვეტილება შეადგინა ნიკამორამ.

რადგან სახელმწიფო ხაზინაში ათენელებს ფული არ ჰქონდათ, არისტოტელეს გადმოცემით<sup>37</sup>, არეოპაგის საბჭომ თითოეულ მოლაშქრეს რვა-რვა დრაქმა მისცა და ამგვარად შეიქმნა იგი მიზეზთა მიზეზი ტრიერების სრულად დატვირთვისა. მაგრამ კლიდემე<sup>38</sup> ამასაც თემისტოკლეს მოხერხებას მიაწერს. იგი ამბობს: როცა ათენელები პირველში ჩავიდნენ, ღმერთქალის ქანდაკებიდან უცბად გაქრა ფარი, რომელზედაც გორგოს თავი იყო გამოსახული<sup>39</sup>. თემისტოკლემ დაკარგულის ძეხნის საბაბით გადაქექა ყველაფერი და ყოველ ბარგში იპოვა გადამალული დიდძალი ფული. ამ ფულს საზოგადო სარგებლობისათვის ერთად მოუყარეს თავი და ხომალდებზე ამსვლელი ჯარისკაცები აქედან სრულად მარაგდებოდნენ იმით, რაც საგზაოდ იყო საჭიროო.

როცა მთელი ქალაქი ზღვაში გადიოდა, ეს სანახაობა ზოგში სიბრაღულს იწვევდა, ზოგში კი გაოცებას ასეთი გულადობის გამო. ათენელი ვაჟკაცები ახლობლებს სხვაგან აგზავნიდნენ, თვითონ კი, გაუტეხელნი მშობელთა გმინვის, ცრემლებისა და ხვევნა-აღერსის წინაშე, კუნძულზე<sup>40</sup> გადადიოდნენ. მაგრამ მრავალი მოქალაქე, რომელთაც სიბერის გამო ტოვებდნენ, მაინც დიდ თანაგრძნობას აღძრავდა. გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ ეაცთან შეზრდილი შინაური ცხოველები, რომლებიც საბრალო ყმუილით დარბოდნენ ხომალდებზე ამსვლელი გამომზრდელების გარშემო. სხვათა შორის, გადმოგვცემენ, რომ მათ შორის იყო პერიკლეს მამის ქსანთიპეს ძალლიც, რომელმაც პატრონისაგან დაცილება ვერ აიტანა, ჩაბტა ზღვაში, მიჰყვა ცურვით ტრიერს და სალამინის სანაპიროზეც გავიდა, მაგრამ სუნთქვაშეკრული მყისვე მოკვდა. ამბობენ, იქ, სადაც აქამდე უჩვენებენ ძალლის სახელობის ძეგლს — „კინოსემას“, სწორედ მისი საფლავი არისო.

11. დიადნი არიან ხსენებულნი საქმენი თემისტოკლესი. არის კიდევ ასე-



თი: მან იგრძნო, თანამოქალაქეებს გული შესტკიოდათ არისტოკრატებს და შიშობდნენ, რისთვის გამო (იგი, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, თემისტოკლესაგან დაძლეული, ოსტრაციისმოსის საფუძველზე გააძევეს ათენიდან) ბარბაროს მეფეს არ მიმხრობოდა და საბერძნეთის საქმენი თავდაყირა არ დაეყენებინა. ამიტომ თემისტოკლემ შეადგინა გადაწყვეტილება, რათა იმ დროის მთავარი მოქალაქეებთან ერთად სიტყვითა და საქმით ელაღის სიკეთეზე ეზრუნათ.

სპარტის განსაკუთრებული ღირსების გამო საზღვაო ძალების მეთაურობა მინდობილი ჰქონდა ევრიბიადეს, საფრთხის უამს სუსტი ნებისყოფის კაცს. მან მოინდომა, ღუზა აეხსნა და ისთმოსისაკენ გაეცურა, სადაც თავმოყრილი იყო პელოპონესელთა ქვეითი ჯარი. თემისტოკლე ამ განზრახვას წინ აღუდგა და, ამბობენ, სწორედ ამის გამო იქნა წარმოთქმული ღირსახსოვარი სიტყვა: „თემისტოკლევ, — მიმართა თურმე ევრიბიადემ, — იმათ, ვინც შეჯიბრებებში დათქმულ დროზე ადრე გამოდიან, სცემენ!“ — „დიახ, — მიუგო თემისტოკლემ, — მაგრამ არც ჩამორჩენილებს აღგამენ გვირგვინებს!“ გაცხარებულმა ევრიბიადემ ჯობი აღმართა დასაბრტყელად. თემისტოკლემ უთხრა: „დამარტყი, მაგრამ მომისმინე!“ მისი სიმშვიდით გაოცებულმა ევრიბიადემ სათქმელის თქმა უბრძანა. თემისტოკლემ კვლავ სცადა, ევრიბიადე თავის აზრზე გადაეყვანა. ვილაცამ შესძახა: იმ კაცს, რომელსაც საკუთარი ქალაქი აღარა აქვს, არ ძალუძს სწორი რჩევა მისცეს ქალაქთა მფლობელებს; იგი არ უნდა არწმუნებდეს მათ, მიატოვონ და ბედის ანაბარა დააგდონ მშობლიური ადგილების! თემისტოკლემ მაშინვე შეუბრუნა სიტყვა: „ზნედაცემულო! დიახ, მივატოვეთ ჩვენ სახლები და კედლები იმიტომ, რომ უსულო საგნები არ ვარჩიეთ მონობას! მაგრამ ჩვენ ახლა გვაქვს ბერძნულ ქალაქთა შორის ყველაზე დიდი და უმტკიცესი ქალაქი; ესაა ორასი ტრიერი, რომლებიც თქვენდა დასახმარებლად დგანან აქ, თუ, რა თქმა უნდა, ისურვებთ, მათი წყალობით დაიხსნათ თავი! მაგრამ თუ თქვენ წასვლას აპირებთ, რათა მეორეგზის ჩაიდინოთ ღალატი, იცოდეთ, ვინმე ბერძენთაგანი დაუყოვნებლივ შეიტყობს, რომ ათენელებმა მოიპოვეს თავისუფალი ქალაქიც და მიწა-წყალიც, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება იმას, რაც დაკარგეს!“<sup>41</sup> თემისტოკლემ რომ ეს წარმოთქვა, ევრიბიადე ათენელებზე ფიქრმა და შიშმა შეიპყრო: მართლა არ მიგვატოვონ და არ წავიდნენო! ხოლო როცა ერეტრიელმა სცადა, თავისი სიტყვით წინააღმდეგობა გაეწია თემისტოკლესათვის, ამან უთხრა: „ნუთუ თქვენც მსჯელობთ ომზე, თქვენ, ვისაც ტევთიდებივით<sup>42</sup> ხმალი გაქვთ და გული კი არა!“

12. ზოგიერთები მოგვითხრობენ: თემისტოკლე რომ თავისი ხომალდის ერდოზე მდგარი ამას ლაპარაკობდა, დაინახეს ბუ, რომელმაც გემებს მარჯვენა მხრიდან შემოუფრინა და ანძის წვერზე შემოჭდა<sup>43</sup>. სწორედ ამის გამო ბერძნებმა თემისტოკლეს აზრი ირწმუნეს და საზღვაო ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს. მაგრამ როცა მტრის საზღვაო ძალა ფალერონთან ატივას მიაღწა და სანაპირო ირგვლივ დაფარა, როცა თვითონ მეფეც ზღვის ნაპირზე ქვეითი ლაშქრით ჩამოვიდა და მთელი თავისი აურაცხელი ძალებით თავმოყრილი გამოჩნდა, თემისტოკლეს სიტყვებმა ელინებში თავისი ძალა დაკარგეს; პელოპონესელებმა კვლავ ისთმოსს მიაპყრეს მზერა და გული მოსდიოდათ, თუ ვინმე სხვა რამეს იტყოდა. გადაწყდა, ღამითვე გასულიყვნენ და



მესაქეებს გაცურვის ბრძანება მიეცათ. თემისტოკლე მეტისმეტად წუხდა: ვაითუ ხელიდან გაუშვან ბერძნებმა ამ ადგილისა და სრუტის სიკეთე და სხვადასხვა ქალაქში დაიფანტნონო. მაშინ მან მოიფიქრა და სიკინესთან ერთად განახორციელა ხრიკიანი საქმე. ეს სიკინე წარმოშობით იყო სპარსი, ტყვედ ჩავარდნილი, მაგრამ თემისტოკლეს ერთგული და მისი მტრების მამამძღვე<sup>44</sup>. თემისტოკლემ იგი ფარულად გაგზავნა სპარსის მფარველადანაბარებით: ათენელთა სარდალი თემისტოკლე ამიერიდან მეფის მხარეზე გადმოდის და პირველი აუწყებს მას, რომ ელინები გაქცევას ლამოზენ, რის გამოც ურჩევს, არ მისცეს მათ მოკურცხვლის საშუალება და ახლავე, სანამ ქვეითი მხედრობის უყოლობის მიზეზით შეშფოთებული არიან, თავს დაესხას და მათი საზღვაო ძალა გაანადგუროს.

ეს უწყება ქსერქსემ კეთილი ზრახვით ნათქვამად მიიღო, სიხარულით იცხო და მყისვე უბრძანა ხომალდთა მეთაურებს, მშვიდად ჩაესხათ ხალხი გემებში, ხოლო ორასი ხომალდი ახლავე აეხსნათ და სრუტე ყოველმხრივ ალყაში მოექციათ, ხოლო კუნძულებს<sup>45</sup> გარს შემორტყმოდნენ, რათა მტერთაგან ვერცერთს აქედან თავი ვერ დაედწია.

დაიწყო თუ არა საქმეთა აღსრულება, ყველაზე უწინარეს ეს ამბავი არისტიდემ შენიშნა ლისიმაქეს ძემ და მაშინვე თემისტოკლეს კარავს მიაშურა, თუმცა თემისტოკლეს მეგობარი არ იყო და, როგორც ითქვა, ოსტრაციზმოსის საფუძველზე მისი წყალობით იქმნა განძევებული. როგორც კი გამოვიდა თემისტოკლე კარვიდან, არისტიდემ მაშინვე აუწყა: ალყაში ვართ მოქცეულიო. თემისტოკლემ კარგად იცოდა ამ კაცის სრულყოფილი კეთილშობილობა და ახლა მისი აქ ყოფნა მეტად გაუხარდა. უამბო სიკინეს მეშვეობით განხორციელებული საქმე და მოუწოდა: დამეხმარე ელინების აქ დაკავებაში და ვითარცა ნდობით აღჭურვილმა პირმა ჩემთან ერთად ყველაფერი იღონე, რათა მათ ბრძოლა აქ, სრუტეში, გამართონო. არისტიდემ თემისტოკლეს გეგმა მოიწონა, ჩამოუარა სხვა სტრატეგოსებსა და ტრიერარქებს და ბრძოლისთვის აქეზებდა. ისინი ერთხანს არ უჩერებდნენ, მაგრამ უცბად გამოჩნდა მტრისგან თავდაღწეული ტენოსური ტრიერი<sup>46</sup>, რომელსაც პანეტიოსი წინამძღოლობდა და რომელმაც ალყის ამბავი მოიტანა. მაშინ აუცილებლობასთან ერთად მორეულმა რისხვამაც აამოძრავა ელინები, საფრთხის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ.

13. გათენდა თუ არა, ქსერქსე ერთ მაღლობ ადგილზე დაბრძანდა და აქედან საზღვაო ძალასა და მის წყობას ათვალიერებდა. ფანოდემეს<sup>47</sup> სიტყვით, ეს იყო ჰერაკლეს ტაძრის ზემოთ, იქ, სადაც კუნძული სალამინი ვიწრო ყელით ატიკისაგან გამოიყოფა, აკესტოდორეს სიტყვით კი — ეგრეთ წოდებულ „რქებს“ ზემოთ, მეგარიდის საზღვართან<sup>48</sup>. აქ მას ედგა ოქროს სავარძელი და გარს ეყენა მრავალი მწერალი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, აღეწერათ ბრძოლის ქამს გარდამხდარი საქმენი.

თემისტოკლე საზღვაო ძალთა წინამძღოლის ტრიერზე მსხვერპლშეწირვით იყო გართული, როდესაც მიუყვანეს მეტად ლამაზი შესახედაობის, ტანსამოსითა და ოქროს სამკაულებით გამორჩეულად მორთული სამი ტყვე. მოახსენეს: მეფის დის სანდაკესა და არტაიკტეს ვაჟები არიანო. როგორც კი იხილა ისინი მისანმა ევფრანტიდემ, შესაწირავ მსხვერპლთაგან ავარდა დიდი კაშკაშა ალი; ამასთანავე მარჯვენა მხრიდან ვილაყამ დააცემინა და კე-



თილუწყება დაადასტურა. მისანმა თემისტოკლეს ხელის ჩამორთმევით მიულოცა და ურჩია, სამივე ტყვე-ჭაბუკი ალექსის დადებით დიონისე-ომესტესათვის<sup>49</sup> მსხვერპლად შეეწირა: ეს ბერძნებს ხსნასა და გამარჯვებას მოუტანსო. ასეთმა არაჩვეულებრივმა და საზარელმა ნასწარმეტყველებამ თემისტოკლეს თავზარი დასცა. მაგრამ მისი დიდი ბრძოლისა და მძიმე ვითარების ქამს ხსნის იმედს ჩვეულებრივ განსაცდლობაზე უფრო ამყარებს, ვიდრე გონივრულ მოქმედებაზე, უმრავლესობამ ერთხმად გამართა ღალადი ღმერთის მიმართ, ტყვეები საკურთხეველთან მიიყვანეს და ვითარცა მისანმა ბრძანა, მათი მსხვერპლად შეწირვა ძალდატანებით აღსრულდა.

ასე გადმოგვცემს ამ ამბავს ფანია ლესბოსელი, კაცი ფილოსოფოსი და საისტორიო თხზულებებშიც ჩახედული.

14. ბარბაროსულ ხომალდთა რიცხვის თაობაზე პოეტი ესქილე ტრაგედია „სპარსებში“ ვითარცა მოწმე დამარწმუნებლად ამბობს შემდეგს:

ვუწყი, რომ ქსერქსეს გემთა რიცხვი ათასი იყო,  
ხოლო ამაზე უფრო სწრაფი, უფრო მოძრავი,  
როგორც ამბობენ, ორას შვიდი დათვლებოდა.<sup>50</sup>

რაც შეეხება ატიკურ გემებს, მათი რიცხვი ას ოთხმოცი იყო. თითოეულ მათგანზე იმყოფებოდა ერთოდან მეზობლი თვრამეტი კაცი, რომელთაგან ოთხი მშვილდოსანი იყო, დანარჩენები კი პოპლიტები იყვნენ. თემისტოკლემ, ეტყობა, მარჯვედ შეარჩია ბრძოლის დრო და ადგილი და მანამდე არ დაუყენა პირისპირ ცხვირით ტრიერები ბარბაროსულ ხომალდებს, სანამ არ დადგა ის ქამი, როცა ძლიერი ქარის ქროლა განუწყვეტლივ მოაქანავებს ხოლმე სრუტიდან ზღვაზე აგორებულ ტალღას. ეს ტალღა ბერძენთა ბრტყელძირიან და დაბალ გემებს ვერაფერს ვნებდა, მაგრამ ბარბაროსთა კიჩოაწეულსა და მაღალერდოიან ხომალდებს, რომელთაც სიმძიმის გამო მოძრაობა უჭირდათ, დარტყმის ძალით მიმართულებას უცვლიდა, გვერდულად აყენებდა და ბერძენთა მძაფრი იერიშის წილად ხდიდა. ბერძნები მთელ ყურადღებას აპყრობდნენ თემისტოკლეს, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე კარგად ხედავდა, რა იყო ხელსაყრელი, რადგან სწორედ მის წინააღმდეგ იდგა ქსერქსეს ნავარქოსი არიამენე დიდი ხომალდით, საიდანაც, როგორც ციხესიმაგრიდან, ისარებსა და შუბებს უშენდა. არიამენე კარგი ვაჟკაცი და მეფის ძმათაგან ყველაზე მამაცი და სამართლიანი იყო. ამ არიამენეს ხომალდი და გვერდიგვერდ მცურავი ამინია დეკელიელისა და სოსიკლე პედიელის ხომალდები ცხვირებით ერთმანეთს შეეჯახნენ და სპილენძის წვეტიანი ქიმები ერთმანეთს დაატაკეს<sup>51</sup>. არიამენე მოწინააღმდეგის ტრიერზე გადახტა, მაგრამ ამინია და სოსიკლე წინ დაუხვდნენ, შუბები აძგერეს და ზღვაში გადააგდეს. მისი გვამი ხომალდის ნამსხვრევთა შორის შეიკნო არტემისიამ<sup>52</sup> და ქსერქსეს წაუღო.

15. ამ ბრძოლის ქამსო, ამბობენ, ელევსინიდან დიდებული ალი აკიაფდა. თრიასიონის ველი<sup>53</sup> ზღვის სანაპირომდე გამოძახილმა და ხმაურმა მოიცვა, თითქოსდა მრავალი კაცი ერთდროულად მიაცილებდა იდუმალ იაკხოსს<sup>54</sup>. კაცთ ჟრიაშისაგან დედამიწის ზედაპირიდან ნელ-ნელა ღრუბელი დაიძრა ზემოთ და, როგორც ჩანდა, მერმე კვლავ დაქანდა ქვემოთ და ტრიერებს გადაეფარა. ზოგიერთებს ეგონათ, რომ შესცქეროდნენ მოჩვენებათა სახით გა-



მოცხადებულ იარაღში ჩამსხდარ ვაჟკაცებს: მათ ხელები აღეპყროთ ეგინადან ბერძენთა ზომალდების წინ; ვითარც ეჩვენათ, ესენი იყვნენ ეპიკურე<sup>55</sup>, რომელთაც ლოცვა-ვედრებით შემწედ მოუხმეს ბრძოლის დაწყებამდე.

პირველი, ვინც მტრის ზომალდი იგდო ხელთ, იყო ათენელი ვაჟკაცი, ტრიერარქთაგანი ლიკომედე. მან ზომალდს საგანგებო მორთვა<sup>56</sup> დაეწესა და დაფნოსან აპოლონს შესწირა.

სხვა ბერძნებმა, რაოდენობით რომ ბარბაროსთ ეთანაბრებოდნენ, უკუაქციეს ვიწრო სრუტეში ნაწილ-ნაწილ შეტევაზე გადმოსული და დაბინდებამდე შეუპოვრად მებრძოლი მოწინააღმდეგე, რომლის ზომალდებიც არეულობაში ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ამგვარად, როგორც სიმონიდემ<sup>57</sup> ბრძანა, ბერძნებმა „ზეალმართეს ლამაზი და ხმადარხეული გამარჯვება“, რომელზე უფრო ბრწყინვალე საზღვაო საქმე არც ელინებს და არც ბარბაროსებს არ შეუხსრულებიათ! ეს ბრძოლა, მართალია, ზღვაზე მეომართა საერთო მამაცობისა და თავგამოდების წყალობით იქნა მოგებული, მაგრამ სული და გული გამარჯვებას თემისტოკლემ ჩაუდგა<sup>58</sup>.

16. ხსენებული საზღვაო ბრძოლის შემდეგ მარცხის გამო გამწყრალმა ქსერქსემ სრუტე ჩახერგა და სცადა, ვიწარბილით გადაეყვანა სალამინზე ქვეითი ჯარი, რათა ბერძნებს თავს დასხმოდა. თემისტოკლემ არისტიდეს გამოსაცდელად ჰელესპონტისაკენ ზომალდებით გაცურვისა და იქ ხიდის დაშლის აზრი შესთავაზა: „ეს იმიტომ, რომ აზია ევროპაში შევიპყროთო“. არისტიდემ ეს აზრი შორს დაიჭირა და მიუგო: „ჩვენ ახლა ომი გვქონდა განცხრომაში მყოფ ბარბაროსთან; იგი რომ ელადაში ჩავკეტოთ და ვსოდენ დიდი ძალების პატრონი კაცი შიშით იძულებით ვითარებაში ჩავაყენოთ, ოქროს საჩრდილობელში მშვიდად მჯდომარე კი აღარ დაუწყებს ბრძოლას ცქერას, არამედ ყოველ ღონეს იხმარს, ყველა საფრთხეში თვით მიიღებს მონაწილეობას, გაასწორებს შეცდომებსა და მთელი ვითარებისათვის უფრო ბრძნულ გადაწყვეტილებას მიიღებს. ამიტომ, თემისტოკლე, — დასძინა არისტიდემ, — არსებული ხიდი კი არ უნდა დაეანგრიოთ ჩვენ, არამედ, თუ შესაძლებელია, მეორეც ავაგოთ და უსწრაფესად განვდევნოთ ეს კაცი ევროპიდან!“

„რაკი გგონიათ, ეს სარგებლობას მოიტანს, — თქვა თემისტოკლემ, — დროა ყოველივეს აზრის თვალი გადავაგვლოთ და ყველაფერი ვიღონოთ, რათა, რაც შეიძლება, სწრაფად გასცილდეს იგი ელადას!“ მიიღეს თუ არა ეს გადაწყვეტილება, თემისტოკლემ ტყვეებში გამოძებნა სამეფო კარის ერთი საჭურისი, სახელად არნაკე. იგი მან მეფესთან გაგზავნა დავალებით მოეხსენებინა შემდეგი: საზღვაო ძალაზე გამარჯვებულმა ბერძნებმა გადაწყვიტეს გასცურონ ჰელესპონტისაკენ და დაანგრიონ შემაერთებული ხიდი; რაკი თემისტოკლე მეფის ბედზე ზრუნავს, ურჩევს მას, სწრაფად გასწიოს თავისი ზღვისაკენ და გადალახოს იგი: „მანამდე მე ჩემს მოკავშირეებს გავართობ და დევნას დავაყოვნებო“. როგორც კი ისმინა ეს, ბარბაროსი მეფე მეტისმეტად შეშინდა და უმაღლესად დაიწყო უკან დახევა. თემისტოკლესა და არისტიდეს გონიერება მარდონიოსთან ბრძოლამ დაადასტურა: ბერძნები, მართალია, პლატეასთან<sup>59</sup> ქსერქსეს ძალის უმცირეს ნაწილს შეებნენ, მაგრამ თავი მაინც უდიდეს საფრთხის წინაშე ჰქონდათ დადებული.

17. ჰეროდოტე ამბობს, რომ ყველაზე მეტად თავი ეგინელთა ქალაქმა გამოიჩინაო<sup>60</sup>. პიროვნებებში კი პირველობა, მართალია, შერის გამო უხა-



ლისოდ, მაგრამ მაინც თემისტოკლეს მიაჩნო, რომ სტრატეგოსები ისტომოსს დაბრუნდნენ და საკუთრებელიდან საარჩევნო კენჭს იღებდნენ, ყოველი მათგანი სიმამაცეში თავისთავს აცხადებდა პირველ ადგილზე. ზოლო მეორეზე, საკუთარი თავის შემდეგ, თემისტოკლეს აყენებდა. ლაკედემონელებმა, როცა სპარტაში ჩაიყვანეს, სიმამაცის ჭილდო ევრიბინას უწიეს, ზოლო მას სიბრძნის ჭილდოდ ზეთისხილის შტოსაგან დაწნული გვირგვინი უბოძეს და ქალაქში ყველაზე საუკეთესო ეტლით დაასაჩუქრეს. გარდა ამისა, საზღვრამდე ვასაცილებლად სამასი ახალგაზრდისაგან შემდგარი საზეიმო დასი გააყოლეს. გადმოგვცემენ, როცა მომდევნო ოლიმპიური თამაში გამართეს და საასპარეზო მოედანზე თემისტოკლე მოვიდა, დამსწრეებმა შეჯიბრებაში მონაწილენი უყურადღებოდ დატოვეს და მთელ დღეს მას დაუწყეს ცქერა; თან გაოცებითა და ტაშისცემით უთითებდნენ ისინი უცხოელებს თემისტოკლეზე. თემისტოკლე თავადაც გახარებული მეგობრებს ეთანხმებოდა იმაში, რომ ელადისათვის გაწეული შრომის ნაყოფს იმკიდა.

18. ბუნებით თემისტოკლე მეტისმეტად პატივმოყვარე გახლდათ. ამას მისი გამონათქვამებიც გვიმოწმებენ.

როცა იგი ათენის ნავარქოსად აირჩიეს, არც ერთ საქმეს, არც კერძოსა და არც საზოგადოს, ნაწილ-ნაწილ ხელი არ მოჰკიდა; ყველაფერი ზღვაში გასვლის დღისათვის გადადო. ეს იმიტომ რომ, რაკი ყოველივეს ერთი ხელის მოსმით გააკეთებდა და მრავალი უფროს ხალხს გამოელაპარაკებოდა, დიდი და მრავლის შემძლე კაცის სახელი მოეხვეჭა.

ზღვის სანაპიროზე გამორიყულ გვამთა დათვალიერების უამს, როცა ოქროს სამაჯურები და ყელსაბამები დაინახა, თვითონ გულგრილად აუარა გვერდი, მხლებელ მეგობარს კი მათზე მიუთითა და უთხრა: „აიღე შენთვის, შენც ხომ თემისტოკლე არა ხარ!“

ერთი, თავის დროზე ლამაზ ქაბუკებში გამორჩეული ანტიფატე, თავდაპირველად აგდებულად ეპყრობოდა თემისტოკლეს, მერე კი — სახელმოხვეჭილს ფერება და ლაქუცი დაუწყო: „ყმაწვილო, — უთხრა თემისტოკლემ, — ჩვენ ორივენი, შენცა და მეც, გვიან მაგრამ მაინც მოვეგეთ ჭკუასო!“

იგი ამბობდა: ათენელები პატივისცემითა და აღფრთოვანებით კი არ მეკიდებიან, არამედ ისე მექცევიან ვითარცა ჭადარს, რომელსაც ავდარსა და საფრთხის უამს თავს აფარებენ, დარში კი ჯიჯვნიან და ტოტებს უმტვრევენო.

ერთმა სერიფოსელმა<sup>1</sup> უთხრა: შენ სახელი შენი თავის მეშვეობით კი არა, შენი ქალაქის წყალობით მოიხვეჭეო. „მართალი ხარ, — მიუგო თემისტოკლემ, — როგორც მე ვერ გავხდებოდი სახელოვანი, სერიფოსელი რომ ვყოფილიყავ, ისე შენც, — ათენელობა რომ გხვედროდა წილად!“

ერთ-ერთი სტრატეგოსი, რომელმაც, ეტყობა, რაღაც სასარგებლო საქმე გააკეთა ქალაქისათვის, თემისტოკლესთან თავხედობდა და თავის დამსახურებას იმის მიერ აღსრულებულ საქმეთ უდარებდა. „ერთხელ, — უთხრა თემისტოკლემ ამ სტრატეგოსს, — დღესასწაულს შეედავა მომდევნო დღე: შენ მოუსვენრობითა და მოქანცულობით ხარ სავსე, მე კი ის მახასიათებს, რომ ყველანი მშვიდად ტკბებიან იმით, რაც მოამზადესო. დღესასწაულმა მიუგო თურმე: მართალს ამბობ, მაგრამ მე რომ არ ვყოფილიყავ, არც შენ იქნებოდიო. ასევე, — განაგრძო თემისტოკლემ, — მე რომ მაშინ არ ვყოფილიყავ, ნეტავ სად იქნებოდიო ახლა თქვენ?“



თემისტოკლეს ნებიერი ვაჟი ჰყავდა. მას დედა ანებივრებდა იმით, რომ ყოველ სურვილს უსრულებდა და მამამისსაც ამასვე აკეთებინებდა. თემისტოკლე დაცინვით იტყოდა ხოლმე: „ჩემი ვაჟი ყველაზე ძლიერი პიროვნებაა ბერძენთა შორის, რამეთუ ბერძნებზე ათენელები მბრძანებლობენ, ათენელებზე მე ვბრძანებლობ, ჩემზე ჩემი ვაჟის დედა, დედაზე კი ჩემი ძმები“.

თემისტოკლეს სურდა, ყოველ საქმეში თავისებური ყოფილიყო. პერთხელ, როცა ადგილ-მამულის მონაკვეთს ყიდდა, მაცნეს უბრძანა, ხმა დაერხია: ამ მონაკვეთს მეზობელიც კარგი ჰყავსო.

ქალიშვილის მთხოვნელთაგან თემისტოკლემ სიძედ აირჩია არა მდიდარი, არამედ კეთილშობილი ვაჟკაცი: მე ვეძებ კაცს, რომელსაც ფული სჭირდება და არა ფულს, რომელსაც კაცი სჭირდებაო.

აი ასეთი კაცი იყო თემისტოკლე თავისი ნაკვეთების მიხედვით.

19. როცა ხსენებულ საქმეთაგან გათავისუფლდა, თემისტოკლემ მყისვე მიჰყო ხელი ქალაქის აღდგენასა და კედლებით გამაგრებას. თეოპომპეს გადმოცემით, ფულით დაიყოლია ეფორები<sup>62</sup>, წინააღმდეგობა არ გაეწიათ; უმრავლესობა კი ამბობს: მან ისინი მოატყუაო. ელჩობის საბაბით თემისტოკლე სპარტაში ჩავიდა. სპარტელებმა ჩივილი დაიწყეს: ათენელები ქალაქს გარშემო კედლებს ავლებენო. თემისტოკლეს ბრალს დებდა ეგინადან საგანგებოდ გამოგზავნილი პოლიარქე. თემისტოკლე ბრალდებას უარყოფდა და წინადადებას იძლეოდა, ათენში დამთვალეირებლები გაეგზავნათ. დაყოვნების ამ ხერხით იგი ათენელებს კედლის შენებისათვის დროს აძლევდა და თანაც სურდა, თავისი თავის სანაცვლოდ მათ ხელთ ჰყოლოდათ მიგზავნილები. ასეც მოხდა. როცა ლაკედემონელებმა სიმართლე შეიტყვეს, წყრომა გულში ჩაიკლეს და თემისტოკლე ხელდაუქარებლად გაუშვეს.

ამის შემდეგ თემისტოკლე პირველის<sup>63</sup> მოწყობას შეუდგა. მან ადრევე შენიშნა პირველის ნავსადგომთა<sup>64</sup> სიმარჯვე. იგი ცდილობდა, ათენი მთლიანად საზღვაო ქალაქად ექცია. ასეთი პოლიტიკით იგი ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა ათენის ძველ ბასილევსებს. როგორც ამბობენ, ისინი დაუცხრომლად მოქმედებდნენ, რათა მოქალაქენი ზღვისაგან განერიდებინათ და აჩვევდნენ, ეცხოვრათ არა როგორც მეზღვაურთ, არამედ როგორც მიწის მუშაკებს. საამისოდ გაავრცელეს ამბავი, თითქოს ათენა ედავებოდა პოსეიდონს ქვეყნის გამო: მან მსაჯულებს უჩვენა ზეთისხილის წმინდა ხე და გაიმარჯვაო. ერთი სიტყვით, თემისტოკლემ პირველი კი არ „მიაწება ქალაქს“, როგორც ამას არისტოფანე კომიკოსი ამბობს<sup>65</sup>, არამედ ქალაქი მიუსადაგა პირვეს და ხმელეთი — ზღვას. ამით მან წარჩინებულთა ფენის საწინააღმდეგოდ დემოსი განადიდა და მხნეობით აავსო. ძალა გადავიდა მეზღვაურთა, მეხოფურთა წინამძღოლებისა და მესაჭეთა ხელში. სწორედ ამის გამო პნიქსზე<sup>66</sup> მდებარე ტრიბუნა, რომელიც ისე იყო ნაკეთები, რომ პირით ზღვისკენ იმზირებოდა, შემდეგში ოცდაათმა ტირანმა<sup>67</sup> ხმელეთისაკენ შეაბრუნა. ისინი თვლიდნენ, რომ ზღვაზე მბრძანებლობა დემოკრატიის წარმოშობის წყაროა, ხოლო მიწათმოქმედებს, ასე თუ ისე, ნაკლები უკმაყოფილებით გადააქვთ ოლიგარქიული მმართველობა.

20. თემისტოკლეს კიდევ უფრო დიდი გეგმა ჰქონდა მოფიქრებული საზღვაო ძალის გაზრდის თაობაზე. როცა ბერძენთა ფლოტი ქსერქსეს უკუქცევის შემდეგ პაგასეს ნავსადგომში<sup>68</sup> შევიდა და იქ გამოზამთრება იწყო, თემისტოკლე ათენელთა თავყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და თქვა, რომ არის



ერთი გასაყეთებელი საქმე, ათენელებისათვის მეტად სასარგებლო და მხსნე-  
ლი, მაგრამ მრავალთა წინაშე უთქმელი. ათენელებმა წინადადება მისცეს,  
მხოლოდ არისტიდესათვის გაენდო განზრახული და თუკი იგი მოიწონებდა,  
აღესრულებინა. თემისტოკლემ არისტიდეს აუწყა, რომ განზრახული საქმე  
ბერძენთა ფლოტის გადაწვა. არისტიდეს ხალხის წინაშე გამოვიდა და განუცხადა  
ხადა: არაფერია იმ საქმეზე უფრო სასარგებლო და ამავე დროს უფრო მსადაბნო  
მართლო, რომლის შესრულებაც თემისტოკლემ განიზრახაო. ათენელებმა  
ამის გამო თემისტოკლეს უბრძანეს, ხელი აეღო თავის ზრახვაზე.

ამფიქტიონების თავყრილობაზე ლაკედემონელებმა წინადადება შეიტა-  
ნეს, ამფიქტიონიდან<sup>69</sup> გაერიცხათ ის ქალაქები, რომელთაც მონაწილეობა არ  
მიუღიათ საერთო ბრძოლაში მიდიელთა წინააღმდეგ. იმის შიშით, ლაკედემო-  
ნელებს მართლა არ გაეძევებინათ კავშირიდან თესალიელები და არგოსე-  
ლები, აგრეთვე თებელეები, არ დაპატრონებოდნენ მთლიანად არჩევნებში ხმის  
მიცემას და არ მომხდარიყო ის, რაც მათ ხელს მისცემდა, თემისტოკლე ხსე-  
ნებულ ქალაქების დასაცავად გამოვიდა და პილაგორებს<sup>70</sup> აზრი შეაცვლევინა.  
მან ყველას შეაგონა, რომ ომში მონაწილეობდა მხოლოდ ოცდათერთმეტი  
ქალაქი და ამათაგან უმრავლესობა სრულიად წვრილ-წვრილი: საშინელება  
იქნება, თუ ორ ან სამ ყველაზე დიდ ქალაქს დარჩება კავშირზე გამგებლო-  
ბა, ხოლო დანარჩენი ელადა გაირიყება მისგანო. სწორედ ამით მიაყენა თე-  
მისტოკლემ ყველაზე მეტად დიდი წყენა ლაკედემონელებს. ამის გამო დაუწყ-  
ეს პატივისცემა კიმონს და სახელმწიფოს გამგებლობის საქმეში იგი თემის-  
ტოკლეს დაუპირისპირეს.

21. თემისტოკლე ეჭაგრებოდათ მოკავშირეებსაც, რადგან მათ კუნძუ-  
ლებზე მოგზაურობდა და მათგან ფულის გამოძალვას ეწეოდა. ასე, მაგალი-  
თად, პეროდოტე ამბობს: როცა მან ანდროსელებს ფული მოსთხოვა და სა-  
განგებო სიტყვაც უთხრა, პასუხიც საგანგებო მოისმინაო<sup>71</sup>. მან მათ განუც-  
ხადა, რომ ჩამოვიდა და თან მოიყვანა ორი ღმერთი, პეიო და ბიო, —  
დარწმუნება და იძულება. ანდროსელებმა მიუგეს: ჩვენც გვყავს ორი დიდი  
ღმერთი, პენიო და აპორიო, — სილატაჟე და გაჭირვება, რომლებიც  
გვიკრძალავენ შენთვის ფულის მოცემასო. როდოსელი მგოსანი ტიმოკრე-  
ონტი<sup>72</sup> ერთ-ერთ სიმღერაში მწარედ კიცხავს თემისტოკლეს იმის გამო, რომ  
სხვებს ფულით განძევებიდან სამშობლოში დაბრუნების საქმე გაუკეთა, იგი  
კი, თავისი სტუმარი და მეგობარი, ფულზე გაჰყიდა. აი, ასე ამბობს ტიმოკ-  
რეონტი:

„შენ შეგიძლია აქო პავსანია ან ქსანთიბე, ანდა ლევტიჭიდა? მე კი  
ხოტბას შევასხამ არისტიდეს — წმინდა ათენიდან მოსულ ერთ საუკეთესო  
ვაჟკაცს! ლატოს<sup>74</sup> ეზიზღება თემისტოკლე ცრუ, უსამართლო და მოღალატე!  
ბინძური ფულით მოსყიდულმა თავისი სტუმარი ტიმოკრეონტი არ დააბრუნა  
მშობლიურ იალისოსში. სამი ვერცხლის ტალანტი მიიღო და ზღვით წაეთრა  
ჯანდაბაში: ზოგიერთები უსამართლოდ დააბრუნა, ზოგიერთები განდევნა, ზო-  
გიერთებს კი სიცოცხლე მოუსწრაფა ფულით პირთამდე აღსავსემ ისთმოსში  
სასაცილო მასპინძლობა გაუწია ყველას ცივი ხორციით. მიწვეულნი მიირთ-  
მევდნენ და ვედრებას წარმოუქვამდნენ: გაზაფხულს ნუ მოესწრებაო თემის-  
ტოკლე!“

იმის შემდეგ, რაც თემისტოკლე განძევებით დასაჯეს, ტიმოკრეონტმა კი-



დევ უფრო მეტად თავბედური და დაუფარავი ლანძღვა-გინება გამოიყენა მის წინააღმდეგ ლექსში, რომლის დასაწყისიც, აი ასეთია:

მუზავ, ამ სიმღერის ქება-დიდება  
განამტკიცე ელინთა შორის,  
რადღა ეს სამართლიანად დაიმსახურა!



ამბობენ, სპარსთა მხარეზე გადასვლისათვის ტიმოკრეონტის სამშობლოდან განძევებით დასჯაში თემისტოკლე მონაწილეობდაო. ხოლო როცა თემისტოკლესაც დასდეს ბრალი მიდიელებისკენ გადახრაში, ტიმოკრეონტმა მის წინააღმდეგ ასეთი რამ შეთხზა:

არა! მხოლოდ ტიმოკრეონტი  
არ შეკრულა მიდიელებთან ფიცის ქვეშირათი!  
სხვებიც არიან ბილწნი; მარტო მე როდი ვარ,  
უკულო მეც. სხვებიც არიან გაიძვერა მელიები!

22. თანამოქალაქენი შურის გამო უკვე სიამოვნებით ისმენდნენ ცილისწამებებს თემისტოკლეზე. ეს მას აიძულებდა, სახალხო კრებებზე შემაწუხებელი სიხშირით მოეგონებინა ხოლმე მათთვის თავის მიერ შესრულებული საქმენი. იმათ, ვინც ამის გამო, უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ეუბნებოდა: „კი მაგრამ, თქვენ რატომ ირჩებთ ხოლმე და ერთსა და იმავე პირთაგან რატომ ღებულობთ ხშირად სიკეთეს?“

მოქალაქეთა დიდი ნაწილი მან გაანაწილა არტემიდეს ტაძრის დაფუძნებით ამ ტაძრის სახელად არისტობულე — „საუკეთესო მრჩეველი“ დაარქვა იმის აღსანიშნავად, რომ თითქოს თვითონ მისცა საუკეთესოზე საუკეთესო რჩევა ქალაქსა და ყველა ბერძენს. ეს ტაძარი მან ააგო თავისი სახლის მახლობლად მელიტეში<sup>25</sup>, სადაც ჯალათნი ახლა სიკვდილით დასჯილთა გვამებს ჰყრიან და სადაც გააქვთ თავჩამოხრჩობილთა და მოკლულთა სამოსი და თოკები. „არისტობულეს ტაძარში“ ჯერ კიდევ ჩვენ დროში იდგა თემისტოკლეს მცირე ქანდაკება, რომლის მიხედვითაც ჩანს, თემისტოკლეს არა მარტო სული, არამედ იერ-სახეც გმირისა ჰქონდა.

ათენელებმა ბოლოს და ბოლოს თემისტოკლეს ოსტრაციზმოსი მოუწყვეს და სამშობლოდან გააძევეს, რათა დაემდაბლებინათ მისი ღირსება, და პატივი; მოექცნენ ისე, როგორც ექცეოდნენ ჩვეულებრივ ყველას, ვის ძალასაც მიიჩნევდნენ მძიმე ტვირთად და დემოკრატიული თანასწორობისათვის შეუსაბამოდ. ოსტრაციზმოსი დასჯა კი არ იყო, არამედ დაცხრომა და დაშოშმინება შურისა, რომელიც ხარობს ხოლმე აღზევებულთა დამდაბლებით და მტრობას სწორედ მათი დაკნინებამდე მიყვანით გამოხატავს.

23. ათენიდან განძევებული თემისტოკლე არგოსში ცხოვრობდა, როცა მტრებს მის წინააღმდეგ ამხედრების საბაბი მისცა პავსანიასზე მიტანილმა ეჭვმა. ღალატში თემისტოკლეს ბრალს დებდა ალკმეონის ძე ლეობოტე აგრაველი; მასთან ერთად ბრალმდებლები იყვნენ სპარტელებიც. პავსანია, რომელიც ღალატის გეგმებს აწყობდა, პირველ ხანებში ამას თემისტოკლეს უძღვავდა, თუმცა იგი მისი მეგობარი იყო. მაგრამ როცა სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზიდან დამხობილი და ამის გამო გულმოსული იხილა, გაჰბედა და მოუწოდა, მონაწილეობა მიეღო წამოწყებულ საქმეში. ამასთან სპარსთა



მეფის წერილებს ჟღერებდა და აქებებდა ელინების, როგორც წამხდარი და უმადური ხალხის წინააღმდეგ. თემისტოკლემ პავსანიას წინადადება არ მიიღო და შეთქმულებაში მონაწილეობა გადაჭრით უარყო. მაგრამ პავსანიას საუბრის თაობაზე არავისთან არაფერი უთქვამს და წამოწყებული საუბრის ამბავი არ გაუმხელია. შესაძლოა, ეგონა, პავსანია ან თვითონვე შეწყვეტდა საუბარს, ანდა სხვა გზით გამოძევავენდებოდა ის, რაც განუსჯელად ემყარებოდა და უაზრო და უგუნურ საქმეს ეტანებოდა.

როცა პავსანია სიკვდილით დასაჯეს, შეთქმულების თაობაზე აღმოჩნდა ზოგიერთი მიწერ-მოწერა და ბარათები, რომლებმაც თემისტოკლე საეჭვო კაცად აქციეს. მის წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა, ლაკედემონელები აყვირდნენ, ხოლო ბრალმდებლებად გამოვიდნენ ათენელთაგან ისინი, ვინც მის მიმართ შურით იყვნენ აღესილნი, თემისტოკლე ამ დროს ათენში არ იმყოფებოდა და თავს წერილებით იცავდა უპირატესად თავდაპირველი ბრალდებებისაგან. მტერთაგან ცილდაწამებული თანამოქალაქეებს სწერდა: მე მუდამ დავეძებდი გამგებლობის უფლებას; მორჩილებაში ყოფნისთვის არ დაებადებულვარ და ამიტომ არასოდეს არ მქონია სურვილი, ელადასთან ერთად საკუთარი თავი ბარბაროსებისა და მტრების ხელში ჩამეგდოთ.

მიუხედავად ამისა ბრალმდებელთაგან დარწმუნებულმა ხალხმა საგანგებო პირები გაგზავნა ბრძანებით, შეეპყროთ თემისტოკლე და ბერძენებისათვის გასასამართლებლად ჩამოეყვანათ.

24. თემისტოკლემ ეს იგრძნო და გადავიდა კერკირაზე. ამ ქალაქს მან თავის დროზე კეთილი საქმე უყო: კერკირელებმა მაშინ იგი აირჩიეს მსაჯულად იმ დავაში, რომელიც კორინთელებთან ჰქონდათ. თემისტოკლემ მათ მტრობას ზღვარი დაუდო; საქმე ისე გადაწყვიტა, რომ კორინთელებს უნდა გადაეხადათ კერკირელებისათვის ოცი ტალანტი, ხოლო ლევკადა საერთო გამგებლობაში უნდა ყოფილიყო როგორც ორივე მხარის კუთვნილი ახალშენი.

კერკირიდან თემისტოკლე ეპირში გაიქცა. ათენელთაგან და ლაკედემონელთაგან დევნილმა თავი მისცა საშიშსა და ფუჭ იმედებს: სცადა, თავი შეეფარებინა ადმეტესთან, ვინც მოლოსთა<sup>1</sup> მეფე იყო. ამ ადმეტემ ერთხელ რაღაც სთხოვა ათენელებს, მაგრამ შეურაცხყოფელი უარით გამოისტუმრა თემისტოკლემ, რომელიც იმ დროს სახელმწიფო მოღვაწეობის აღზევებულ დონეზე იმყოფებოდა. ადმეტეს სამუდამო რისხვა ჰქონდა გულს ჩაბუდებული. ამიტომ ცხადი იყო, თუ თემისტოკლე ხელთ ჩაუვარდებოდა, შურს იძიებდა. მაგრამ მაშინდელ ლტოლვაში თემისტოკლეს თანამოქალაქეთა ახლად აღძრული შურის მეტი შიში ჰქონდა, ვიდრე მეფის ძველი წყრომისა. ამიტომ ამ წყრომას მისცა კიდევ თავი და ადმეტეს წინაშე მავედრებლად დადგა, ოღონდ თავისებურ, არაჩვეულებრივ ყაიდაზე. მან ხელთ აიყვანა მეფის პატარა ვაჟი და კერასთან ჩაიჩოქა, რამეთუ მოლოსები ვედრების ამ სახეს ყველაზე უდიდესად და იმ ერთადერთ ვედრებად თვლიან, რომელსაც უარი არ ეთქმის. ზოგიერთები ამბობენ, მეფის მეუღლე ფთიამ შეაგონა თემისტოკლეს ვედრების ეს სახე და თავისი ვაჟი მასთან ერთად დასვა კერასთან. სხვები კი გადმოგვცემენ, თვითონ ადმეტემ მოაწყო და საგანგებო წარმოდგენის ელფერი მისცა ამ ვედრებას, რათა მღევართა წინაშე ისეთ წმიდა საქმედ წარმოეჩინა ის, რომელიც ვაჟკაცის გაცემას კრძალავდა.

სტესიმბროტე თასოსელი მოგვითხრობს: ეპიკრატე აქარნელმა ათენიდან



უჩუმრად გამოუყვანა ცოლ-შვილი თემისტოკლეს და გაუგზავნა იქ აღმეტეს-  
თან; ამის გამო შემდეგში კიმონმა ეპიკრატე გაასამართლა და სიკვდილით  
დასაჯა. მერმე კი, ოღონდ არ ვიცი როგორ, სტესიმბროტეს დაავიწყდა,  
რაც თქვა, აუ თემისტოკლემ დაივიწყა ხსენებული ვითარება სტესიმბროტე  
ამბობს; იგი სიცილიაში გაემგზავრა და ტირან ჰიერონს ჰადასმეცხსისათვის  
ცოლად. სამაგიეროდ დაჰპირდა, რომ ბერძნებს მორჩილად გაუხდიდა. როცა  
ჰიერონმა ამაზე უარი უთხრა, თემისტოკლე აზიისაკენ გაემართა.

25. დაუჯერებელია, ეს ამბავი ასე მომხდარიყო. თეოფრასტე თავის  
წიგნში „მეფეთათვის“ მოგვითხრობს შემდეგს: როცა ჰიერონმა ოლიმპიაში  
შეჯიბრებაზე თავისი რაშები გამოგზავნა და იქ მდიდრულად მორთული კა-  
რავიც დასცა, თემისტოკლემ სახალხო კრებაში ბერძენთა წინაშე წარმოთქვა  
სიტყვა იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო ტირანის კარვის დარბევა და მის  
ცხენთა განრიდება შეჯიბრებისაგან. თუკიდრიდე კი ამბობს, რომ თემისტოკლე  
მეორე ზღვასთან ჩავიდა და პილნადან გაემგზავრა<sup>77</sup>. არც ერთმა თანამგზავრმა  
არ იცოდა, ვინ იყო იგი, სანამ სატვირთო ხომალდი ქარის ქროლამ არ წაიყ-  
ვანა ნაქსოსისაკენ, რომელიც მაშინ ალყაშემორტყმული იყო ათენელებისა-  
გან. შეშინებულმა თემისტოკლემ თავი გაუმელავნა ხომალდის პატრონსა და  
მესაქეს. იგი მათ ეუბნებოდა: ათენელებთან დაგაბეზლებთ და ცილს დაგ-  
წამებთ, რომ გემზე თავიდანვე ამიყვანეთ ქრთამის წყალობით და არა ისე,  
თითქოს არ იცოდით, ვინ ვიყავიო. ერთი სიტყვით, თხოვნა-მუქარით თემის-  
ტოკლემ ისინი აიძულა კუნძულისათვის გვერდი აეცლოთ, და აზიის სანაპი-  
როს მიდგომოდნენ.

მეგობართა მეშვეობით ფარულად გამოტანილი ქონების დიდი ნაწილი თე-  
მისტოკლეს ზღვით მიუვიდა აზიაში; ხოლო მისი ის თანხა, რომელიც ათენე-  
ლებმა აღმოაჩინეს და ბაზინაში შეიტანეს, თეოპომპეს სიტყვით, შეიცავდა  
ას ტალანტს, თეოფრასტეს თქმით კი — ოთხმოც ტალანტს, მაშინ როცა —  
სახელმწიფო მოღვაწეობის დაწყებამდე თემისტოკლეს ქონება სამი ტალანტის  
ღირებულებას არ აღემატებოდა.

26. როცა თემისტოკლე კუმეში<sup>78</sup> ჩავიდა, შენიშნა, ზღვის სანაპიროს მრავ-  
ალი მოსახლე შესაპყრობად უსაფრდებოდა, განსაკუთრებით კი ერგოტელესა  
და პითოდორეს ირგვლივ შემოკრებილნი ცდილობდნენ ამას<sup>79</sup> (ეს ნადირობა  
მეტად ხელსაყრელი იყო ყველაფერში სარგებლობის მაძებართათვის, რადგან  
მეფეს ორას ტალანტად შეეფასებინა თემისტოკლეს თავი). ამის გამო თემის-  
ტოკლე ეოლიის პატარა ქალაქ ეგეში გაიქცა, სადაც არავინ იცნობდა, გარდა  
ნიკოგენე მასპინძლისა, რომელიც ეოლიელებში ყველაზე დიდძალ ქონებას  
ფლობდა და ზემო აზიის დიდებულებთანაც ახლო ნაცნობობა ჰქონდა. თე-  
მისტოკლემ ამასთან ფარულად გაატარა რამდენიმე დღე. ბოლოს, ნავახშ-  
მევს, როცა მსხვერპლი შეწირეს, ნიკოგენეს ბავშვების გამდელმა ოლბიოს-  
მა, რომელიც ღვთაებრივმა შეგონებამ აიტაცა, ზომით გამართული ასეთი რამ  
წარმოთქვა:

„მიეც ღამეს ხმა,  
მიეც ღამეს რჩევა,  
მიეც ღამეს გამარჯვება!

ამის შემდეგ თემისტოკლემ თავი ძილს მისცა და იხილა სიზმარი, თით-  
ქოს მუცელზე გველი შემოესვია და მერმე ყელისაკენ გაცოცდა: შეეხო თუ



არა სახეს, მყისვე არწივად იქცა, შემოახვია მძლავრი ფრთები თემისტოკლეს, ზე აიტაცა და შორს წაიღო. ბოლოს, სამაცნეო ოქროს კვერთხი გამოჩნდა, არწივმა ზედ მტკიცედ დააყენა თემისტოკლე, რომელიც საზარელი შიშისა და შფოთისაგან გათავისუფლდა. ნიკოგენემ საგანგებო ხერხს მიმართა და თემისტოკლე შემდეგნაირად გაამგზავრა.

ბარბაროსულ მოდგმას მთლიანად, განსაკუთრებით კი სპარსთა ტომს, ახასიათებს ქალის გამო თანდაყოლილი ველური და სასტიკი ეჭვიანობა. საერთოდ ბარბაროსები, კერძოდ კი სპარსები, არა მარტო საკუთარ ცოლებს, არამედ მონა-ქალებსა და ხარჭებსაც მკაცრად დარაჯობენ, რათა ვერც ერთმა გარეშე პირმა მათ თვალი ვერ დაჰკრას. შინ ისინი ჩაკეტილი ჰყავთ, მგზავრობაში კი ირგვლივ შემოფარდგული ჩარდახიანი ურმებით დაატარებენ. აი ასეთი ურეში გაუკეთეს თემისტოკლეს და მასში ჩასმული მიჰყავდათ. შემომხვდურთა კითხვებს მხლებლები ასე უპასუხებდნენ: ბერძენი ქალი მიგვყავს იონიიდან სამეფო კარის ერთ დიდებულთან.

27. თუკიდიდე<sup>80</sup> და ქარონ ლამფსაკელი გადმოგვცემენ, ქსერქსე გარდაცვლილიყო და თემისტოკლეს მის ვაჟთან მოუხდა შეხვედრაო. მაგრამ ეფუროსი, დინონი, კლიტარქე, პერაკლიდე<sup>81</sup> და კიდევ სხვანი მრავალნი ამტკიცებენ, სწორედ ქსერქსესთან მივიდაო. ეტყობა, ყველაზე უფრო შეთანხმებულად დროის მონაცემთ თუკიდიდე გადმოგვცემს, მაგრამ მათშიც არის შეუსაბამობანი.

როცა თემისტოკლე მძიმე გარემოებაში აღმოჩნდა, უწინარეს ყოვლისა, ათასისთავს, არტაბანეს, მიმართა: მართალია, ბერძენი ვარ, მაგრამ მსურს შევხვედდე დიდთა საქმეთა გამო თქვენს მეფეს, რომელთა თაობაზეც თვითონაც წუხსო. არტაბანემ მიუგო: „სტუმარო, ადამიანთა კანონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველა თავთავის კანონებს მიიჩნევს მშვენიერ კანონებად. ყველასთვის უმშვენიერესი მაინც შინაური ადათ-ჩვევების პატივისცემა და დაცვა არისო. თქვენზე, ბერძნებზე, ამბობენ ყველაზე მეტად თავისუფლებასა და თანასწორობას აფასებენო. ჩვენ მრავალი მშვენიერი კანონი გვაქვს, მაგრამ მათგან უმშვენიერესია მეფის პატივისცემისა და მის წინაშე, ვით ყოვლის მხსნელი ღმერთის წინაშე, პირქვე დამხობის წესი<sup>82</sup>. თუ შენ იწონებ ჩვენს ადათ-წესებს და განერთხმები თაყვანისცემად, მაშინ შეგიძლია იხილო მეფე და ისაუბრო მასთან; მაგრამ თუ სხვაგვარად ფიქრობ, შუამავალ მაცნეთა შემწეობით მოგიწევს მასთან ურთიერთობა, რამეთუ ჩვენს მშობლიურ ადათებს არ ეგუება, მეფემ მოუსმინოს იმ კაცს, ვინც მის წინაშე პირქვე არ განერთხმება!“

ეს რომ მოისმინა თემისტოკლემ, მიუგო: „მე, არტაბანე, თქვენი მეფის სახელისა და ძლიერების განსადიდებლად მოველ აქ; ამიტომ, ცხადია, თქვენს კანონებს დავემორჩილები, რაკილა ასეთია სურვილი სპარსთა აღმაშენებელი ღმერთისა. ამიერიდან ჩემი მეშვეობით კიდევ უფრო გაიზრდება მიწაზე განრთხმით თქვენი მეფის თაყვანისმცემელთა რიცხვი! ასე რომ არავითარი დაბრკოლება არ უნდა ექნეს იმ საუბარს, რომლის გაბმაც მსურს მასთან“.

„კი მაგრამ, — უთხრა არტაბანემ, — რა მოვახსენოთ მეფეს შენზე, ბერძენთაგან ვინ მოვიდაო, — რა ვუთხრათ? შენ ხომ შენი გონებითა და აზრებით ჩვეულებრივი კაცი არ უნდა იყო!“



„მეფეზე უწინარეს ეგ არავინ არ უნდა შეიტყოს!“ — მიუგო თემისტოკლემ.

ასე მოგვითხრობს ფანია, რაც შეეხება ერატოსთენეს, იგი თავის თხოვრებაში „სიმდიდრისათვის“ დამატებით გადმოგვცემს, ათასწლეულები შემდეგ რისა და ურთიერთობის საშუალება თემისტოკლეს მიეცა მისი მხატვრული დიაციის წყალობით, ვინც ათასისთავის საყვარელი იყო.

28. თემისტოკლე მეფეს წარუდგინეს, მან მეფეს ქვეგანრობით თაყვანი სცა, მერმე ფეხზე წამოდგა და დუმილით შესცქეროდა. მეფემ თარჯიმანს უბრძანა, სტუმრისათვის ვინაობა გამოეკითხა, როცა თარჯიმანმა დავალებული იკითხა, თემისტოკლემ უპასუხა: „ათენელი თემისტოკლე მოვსულვარ შენთან, მეფეო, ელინთაგან დევნილი ლტოლვილი. ჩემი წყალობით სპარსებმა ბევრი ვნება იგემეს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სიკეთეც ნახეს, ვინაიდან მათი დევნა შევაჩერე, როცა ელადა მშვიდობაში აღმოჩნდა და შინაურმა თავდახსნილობამ საშუალება მომცა, თქვენთვისაც გამეწია სამსახური. ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში კი ყველაფერი შეიძლება შემხვდეს; ამიტომაც მომზადებული მოველ, მივიღო წყალობა, თუ სიკეთის ქმნისკენ ხარ გადახრილი და გთხოვო რისხვის შეწყვეტა, თუ ხსოვნაში სიამე ჩაგრჩენია. ჩემი მტრები შენ იმ სიკეთეთა მოწმეებად უნდა ჩათვალო, რომლებიც სპარსთათვის გამიწევია. ხოლო ჩემი ხვედრი, გიჯობს, შენი კთილმოწყალების საჩვენებლად გამოიყენო, ვიდრე შურის საძიებლად. შენ ძალგის, გადაარჩინო შენთან ვედრებად მოსული კაცი, ანდა დაღუპო იგი, ელინთა მტრად რომ გარდაქცეულა!“

ამ სიტყვებს თემისტოკლემ ღვთაებრივი ძალის მისანიჭებლად იმ სიზმრის ამბავი დაუმატა, ნიკლეონეს სახლში რომ იხილა და თან მისნობაც მიაციოლა დოდონელი<sup>24</sup> ზევსისა, რომელმაც უბრძანა მისულიყო იმასთან, ვინც ღვთის სახელს ატარებდა; მაშინ იგი მიხვდა, ზევსი მეფესთან გზავნიდა, რომ ორივენი დიადზე დიადნი არიან და მეფეებად იწოდებიან.

სპარსთა მეფემ თემისტოკლეს სიტყვა მოისმინა, მაგრამ არაფერი არ უპასუხა, თუმცა მისმა გონიერმა მსჯელობამ და სიმამაცემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. მან ნეტარად შერაცხა თავისი თავი მეგობართა წინაშე ამ დიდი ბედნიერების გამო და არიმანიოსს<sup>25</sup> შეევედრა, მუდამ ასე შეეგონებინა მისი მტრებისათვის საუკეთესო თანამოქალაქეთა სამშობლოდან განდევნის აზრი. მერმე, როგორც ამბობენ, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და მაშინვე ღრეობა გამართა. ღამით კი, შუაძილში, სიხარულისგან სამგზის წამოიძახა თურმე: „თემისტოკლე ათენელი ჩემს ხელშიაო!“

29. დილით ადრე მეფემ მეგობრებს უხმო და შემოაყვანინა თემისტოკლეც, რომელმაც სიკეთის ყოველგვარი იმედი დაკარგა, როცა კარის დიდებულნი იხილა. საქმე ის გახლდათ, მისი სახელის გაგონებაზე ესენი მტრულად განეწყვნენ და ლანძღვა დაუწყეს. ამას ისიც დაემატა, რომ როცა მეფე უკვე ტახტზე იყო დაბრძანებული და ყველანი გარინდულიყვნენ, ათასისთავმა როქსანემ, ვისაც მეფისკენ მიმავალმა თემისტოკლემ ჩაუარა, დაიგმინა და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ბერძენო ტრელო გველო, შენ აქ ჩვენი მეფის კეთილმა დემონმა მოგიყვანა!“

მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, როცა თემისტოკლე მეფის პირისპირ წარდგა და კვლავ ქვე-განრობით თაყვანი სცა, მეფე მას მიესალმა და



ალერსით უთხრა: მე შენი უკვე ორასი ტალანტი მმართვეს; რაკი შენი თავი შენვე მოიყვანე, სამართლიანად უნდა მიიღო მომყვანისათვის გამოცხადებული თანხაო. გარდა ამისა, მეფე თემისტოკლეს ხსენებულზე მეტ გახამრჩელოს შეჰპირდა, გაამხნევა და უბრძანა, გულახდილად მოეთხორო, რაც სურდა, ბერძენთა საქმეების თაობაზე. თემისტოკლემ უპასუხა: ადამიანებს ვერაფერს ჰგავს ჭრელ-ჭრელ ხალიჩებს, ერთიცა და მეორეც, თუ მათ გაეშლან, ისინი თავის მოხაზულობათ გვიჩვენებენ, თუ დავახვევთ და შევკუმშავთ, ხსენებულ მოხაზულობებს ფარავენ და ამახინჯებენ<sup>86</sup>. ამიტომ მე დრო მჭირდებაო.

მეფეს მოეწონა შედარება და უბრძანა, დაეთქვა დრო. თემისტოკლემ ერთი წელი გამოითხოვა და სპარსულ ენაზე ლაპარაკი ისე ისწავლა, რომ მეფესთან უშუალოდ საუბრობდა. გარეშე მყოფთ მან შეაგონა, რომ ეს საუბრები ბერძენთა საქმეებს ეხებოდა, მაგრამ იმ ხანებში ბევრი სიახლე დატრიალდა სასახლეში და მეფის დამოკიდებულებაც შეიცვალა მეგობრებისადმი. ამან შური და ეჭვი აღუძრა დიდებულებს; ისინი დარწმუნებული იყვნენ, თემისტოკლე გაბედულად მსჯელობდა მათ შესახებ მეფესთან. მართლაც, პატივისცემა, რომელსაც აქ თემისტოკლეს მიმართ იჩენდნენ, სრულიად არ ჰგავდა სხვა სტუმრებისთვის განკუთვნილ პატივისცემას. თემისტოკლე თავისუფლად მონაწილეობდა მეფესთან ერთად ნადირობაში, სასახლის შინაურ საქმეებშიც ერეოდა და თვით მეფის დედასთან პირისპირ წარდგომისა და მასთან ახლო ურთიერთობის უფლებაც მიეცა; მეფის ბრძანებით მან იქაურ მოგვთა მოძღვრებაც კი შეისწავლა.

ერთხელ მეფემ სპარტელი დემარატე<sup>87</sup> დასასაჩუქრებლად მიიწვია. ამან საჩუქრად მოითხოვა კიტარისი<sup>88</sup> მინდა, მეფეთა მსგავსად სარდელში ცხენზე ამხედრებულმა გავიაროო. მეფის ბიძაშვილმა, მითროპავსტემ, დემარატეს ხელზე ხელი წაავლო და უთხრა: „მაგ კიტარისს დასაფარავად ტვინი არ გააჩნია; შენც ვერ იქნები ზევსი, თუნდაც ხელთ ელვა და მეხი იპყრო!“ ხსენებული თხოვნის გამო გაწყრაღმა მეფემ დემარატე თავიდან მოიშორა და ასე ჩანდა, მის მიმართ უღმრთელო იქნებოდა; მაგრამ თემისტოკლემ თხოვნა-მუდარით აზრი შეაცვლევინა.

გადმოგვცემენ, მომღვეწო ხანების მეფეთა დროს, რომელთა გამგებლობაშიც სპარსებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენებთან, როცა კი ვინმე ბერძენი ვაჟკაცი დასჭირდებოდათ, მას წერილობით უთვლიდნენ, რომ მეფესთან თემისტოკლეზე უფრო მეტი პატივით იქნებოდა მიღებული.

ამბობენ, როცა თემისტოკლე აღზევებული იყო და მრავალნი ცდილობდნენ მის სამსახურში ჩადგომას, აი მაშინ, ერთ დღეს ბრწყინვალე სუფრასთან შემომსხდარ შვილებს უთხრა: „შვილნო ჩემო, ჩვენ უთუოდ დავიღუპებოდით, რომ არ დავღუპულიყავით!“

უმრავლესობა ამბობს, თემისტოკლეს სამი ქალაქი ებოძა პურის, ღვინისა და სანოვაგისთვისო. ორ ქალაქს — პერკოტესა და პალესკეფსისს ღვინისა და ტანისამოსისათვის უმატებენ ნეანთე კიზიკოსელი და ფანია.

80. როცა თემისტოკლე საბერძნეთის საქმეების გამო ქვემოთ ზღვისაკენ გაემგზავრა, ერთმა სპარსმა, სახელად ეპიქსიემ, ვინც ზემო ფრიგიის სატრაპი გახლდათ, ავი განუზრახა. მას კარგა ხანია მომზადებული ჰყავდა ვილაც-ვილაც პისიდიელები მის მოსაკლავად მაშინ, როცა იგი ღამის გასათევად ქალაქ ლეონტოკეფალოსში<sup>89</sup> დაისადგურებდა.



გადმოგვცემენ, შუადღით ძილს თავმიცემულ თემისტოკლეს სიზმრად ღმერთების დედა გამოეცხადა და უთხრა: „თემისტოკლე, ერიდე ლომთა თავებს, რათა ლომს არ ჩაუვარდეს ამ გაფრთხილების სანაცვლოდ. შენ გთხოვ მსახურად დამიყენო მნესიპტოლემ“. შეშფოთებულმა თემისტოკლემ ღმერთქალს მადლი შესწირა, შარავას თავი მიანება, სხვა ვერაფერი უთხრა, სახიფათო ადგილს განერიდა და რაკი უკვე ღამემ მოუსწრა, მთავე ნებლად დაბანაკდა. გზაში ერთ-ერთი იმ გამწევ პირუტყვთაგან, რომელთაც კარავი მოჰქონდათ, მდინარეში ჩავარდა. თემისტოკლეს მსახურებმა კარვის დასველებული ფარდაგები გასაშრობად გაშალეს. სწორედ ამ დროს მოვარდნენ მახვილამოწვდილი პისიდიელები; მთვარის შუქზე მათ კარგად ვერ გარჩიეს გასაშრობად გაშლილი ფარდაგანი; ეგონათ: ეს თემისტოკლეს კარავია და მას მძინარეს ვიპოვით შიგო. როცა ახლო მივიდნენ და ფარდაგნი ასწიეს, მათ თავს დაესხნენ მცველები და ყველანი შეიპყრეს. რაკილა საფრთხეს ასე გადაურჩა და ღმერთქალის გამოცხადებით გაოცებული იყო, თემისტოკლემ მაგნეზიაში დინდიმენეს<sup>90</sup> ტაძარი ააგო და მის ქურუმად თავისი ასული მნესიპტოლემა დააყენა.

31. სარდესში ჩასული თემისტოკლე თავისუფალ დროს ტაძართა ნაგებობებსა და აურაცხელ შესაწირავებს ათვალიერებდა. ღმერთთა დედის ტაძარში მან იხილა ორი წყრთის სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, ეგრეთ წოდებული „წყლის მზიდავი გოგონა“ — ჰიდროფოროსი. როცა თემისტოკლე ათენში წყალთა ზედამხედველი იყო, შეიპყრო წყლის ორი მიმტაცებელი, რომელთაც საზოგადო წყალი თავისკენ გადაეგდოთ. სასჯელად აღებული თანხით სწორედ ხსენებული ქანდაკება გააკეთებინა და ღმერთებს შესწირა. თემისტოკლემ ან იმიტომ, რომ ღმერთებისადმი შეწირული საგნის ტყვეობამ შეაწუხა, ანდა ათენელთათვის სურდა ეჩვენებინა, რა პატივი და ძალა ჰქონდა სამეფო კარზე, ლიდის სატრაპს თხოვნით მიმართა, გაეგზავნა ქალწულის ქანდაკება ათენში. ბარბაროსი გაწყრა და თემისტოკლეს დაემუქრა: მეფეს ამის თაობაზე წერილს მივწერო. თემისტოკლე შეშინდა, თავი პარამხანას შეაფარა, იქაური ხარკები ფულით დაასაჩუქრა და ბარბაროსი სატრაპიც მოაღმობიერა. ამიერიდან ფრთხილად იქცეოდა და ბარბაროსთა შურსა და ეჭვს ერიდებოდა. როგორც თეოპომპე ამბობს, თემისტოკლემ აზიაში ხეტიალს თავი მიანება; იგი მაგნეზიაში ცხოვრობდა, დიდ-დიდ საჩუქრებს ღებულობდა და სპარსთა დიდებულების მსგავს პატივში იმყოფებოდა. ცხოვრებას საკმაოდ კარგა ხანს უშიშრად ატარებდა, ვინაიდან მეფე ზემო აზიის საქმეებით იყო გართული და საბერძნეთისათვის მაინცდამაინც არ ეცალა. მაგრამ ათენელთა დახმარებით ეგვიპტის განდგომამ, ბერძნული ტრიერების ცურვამ კვიპროსსა და კილიკიამდე და ზღვაზე კიმონის ბატონობამ მისი ყურადღება მიიპყრო და აიძულა, ბერძენთა წინააღმდეგ ხელი გამოეღო და მათი ძლიერების ზრდა, რაც მას უპირისპირდებოდა, დაებრკოლებინა. დაიწყო ჯარების მოძრაობა და სტრატეგოსების მიმოგზავნა. თემისტოკლესთან მაგნეზიაში მაცნეები ჩამოდიოდნენ და მეფის ბრძანებას აუწყებდნენ: დაღებული პირობა შეასრულე და საბერძნეთის საქმეებს მოჰკიდე ხელიო. მაგრამ თემისტოკლე თანამოქალაქეთა წინააღმდეგ წყრომით ანთებული როდი გახლდათ და არც ახლანდელი პატივი და ძალა ეწეოდნენ ომისაკენ. შესაძლოა, ფიქრობდა, ხსენებულ საქმეში გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იყო, მეტადრე მაშინ, როცა ელა-



დას დიდებული სარდლები ჰყავდა და მათ შორის კი მონი, რომელსაც საგანგებო წარმატებები ჰქონდა საბერძნეთისათვის გაწეულ სამსახურში.

მთავარი მაინც ის იყო, რომ თემისტოკლემ თავისი საქმიანობით მოპოვებული წარმატებების პატივისა და სახელის დასაცავად საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო: სიცოცხლისათვის შესაბამისი საზღვარი დაედო. მან უფრო მეტს მსხვერპლი შესწირა, მეგობრებს თავი მოუყარა, ყოველ მათგანს მსხვერპლი ჩამოართვა და, ყველაზე უფრო გავრცელებული გადმოცემის თანახმად, დალია ხარის სისხლი<sup>91</sup>. ზოგიერთები კი ამბობენ, სწრაფად მომქმედი შხამი მიიღო. გარდაიცვალა თემისტოკლე მაგნეზიაში. იცოცხლა სამოცდახუთი წელი, რომელთაგან დიდი ნაწილი სახელმწიფო საქმიანობასა და ჯარის წინამძღოლობაში გაატარა. როცა მეფემ მისი სიკვდილის მიზეზი და გზა გაიგო, ამბობენ, კიდევ უფრო მეტი მოწიწება იგრძნო ვაჟკაცისადმი და მის მეგობრებსა და შინაურებს განუწყვეტლივ კეთილმოწყალებით ეკიდებოდა.

32. ალოპეკელ ლისანდრეს ასულ არქიპესაგან თემისტოკლეს დარჩა სამი ვაჟი: არქებტოლისი, პოლიევქტე და კლეოფანტე. კლეოფანტეს, სხვათა შორის, მოიხსენებს ფილოსოფოსი პლატონი<sup>92</sup>, როგორც საუკეთესო ცხენოსანს, მაგრამ სხვა რაიმე ღირსებით გამოურჩეველ კაცს. უფროს ვაჟთაგან — ნეოკლე ბავშვობაში ცხენმა დაკბინა და მოკვდა, ხოლო დიოკლე პაპა ლისანდრემ იშვილა. ქალიშვილები თემისტოკლეს უფრო მრავლად ჰყავდა. ამათაგან: მნესიპტოლემა, რომელიც მეორე ცოლისაგან შეეძინა, შეირთო გერმადმამ არქებტოლისმა; იტალია შეირთო პათოიდე ქიოსელმა; სიბარისი — ნიკომედე ათენელმა. ხოლო ნიკომაქე — თემისტოკლეს ძმისშვილმა ფრასიკლემ, რომელიც მაგნეზიაში მაშინ ჩამოვიდა, როცა ნიკომაქეს მამა გარდაეცვალა. იგი ძმებმა დააქორწინეს. ფრასიკლემ გამოზარდა. სხვათა შორის, თემისტოკლეს ყველაზე უმცროსი შვილი სახელად ასია.

თემისტოკლეს დიდებული აკლდამა მაგნეზიელებს მოედანზე აქვთ მოწყობილი<sup>93</sup>, რაც შეეხება თემისტოკლეს ნეშტს, მხარს ვერ დავუჭერთ ანდოკიდეს<sup>94</sup>, რომელიც „მეგობრებთან საუბრებში“ ამბობს, თითქოს ათენელებს გვამის ნაშთები მოეპაროთ და მიმოეფანტოთ (ამ ტყუილით ანდოკიდეს სურს, ოლიგარქიის მომხრენი აამხედროს ხალხზე). ფილარქემ<sup>95</sup> თავის ისტორიაში ტრაგედიის მსგავსად მანქანა ამოქმედა და გამოიყვანა თემისტოკლეს შვილები — ნეოკლე და დემობოლისი იმ მიზნით, რომ ტრაგიკული განცდა და პათოსი გამოიწვიოს, მაგრამ ყოველი კაცი მიხვდება, რომ ეს შეთხზული ამბავია.

დიოდორე პერიეგეტე თავის თხზულებაში „სამარხავთათვის“ უფრო სავარაუდოდ, ვიდრე გადაწყვეტით, ამბობს, რომ პირველის ნავსადგომთან, ალკიპოსის პირდაპირ მდებარე კონცხს აქვს იდაყვივით მოხრილი შვერილი, სადაც ზღვა მშვიდია და წყნარი; შიგნითა ნაწილში არის ვრცელი მოედანი, სადაც დგას ბომონის მსგავსი აკლდამა თემისტოკლესი. დიოდორე ფიქრობს, რომ მის გადმოცემას ადასტურებს კომიკოსი პლატონი<sup>96</sup> ამ ლექსში:

შენი სამარე მდებარეობს ლამაზ მიწაზე;  
იგი ყოველმხრივ მოგზაურებს მიესალმება;  
ხედავს ხომალდებს ზღვაში გასულთ თუ მომავალთა,  
უჭერტს როდესაც ერთმანეთში დავას იწყებენ.



თემისტოკლეს ჩამომავალნი ჯერ კიდევ ჩვენ დრომდე პყავდათ პატივში. ამ პატივის ნაყოფს იძვიდა, მაგალითად, ათენელი თემისტოკლე, რომელიც ჩვენი მახლობელი და მეგობარი გახდა ფილოსოფოს „ამონიკოსის“ სკოლაში.

# შენიშვნები

ერყენული  
ზიზღიქმე

1. ფრეარე — ატიკის ერთი ნაწილი ლეოტიკის მხარეში.
2. ათენის კანონიერ მოქალაქედ ითვლებოდა ის, ვინც დედითაც და მამითაც ათენელი იყო.
3. თემისტოკლეს დედის ეს სიტყვები პლუტარქეს მოაქვს ანფიკრატე პოეტის ჩვენამდე მოუღწეველი პოეტიდან „გამოჩენილ ვაჟაკათათვის“.
4. ლეგენდარული გმირის პერაკლეს მამა ზევსი იყო, დედა კი — მოკვდავი ქალი ალკმენე.
5. ფლიე — ქალაქი ატიკაში, კეკროპისის დემში.
6. სტესიმბროტე თახოხელი — ძვ.წ. V საუკუნის მწერალი.
7. „ფიზიკოსს“ ძველი ბერძნები უწოდებდნენ იმ ფილოსოფოსს, რომელიც ბუნებასა და მის მოვლენებს იკვლევდა (ბერძნ. ფიზიკ — ბუნება).
8. ბერძნ. სოფია — სიბრძნე.
9. პლატონი, „კანონები“ IV, 706b.
10. ტროას ციკლის თქმულებათა თანახმად ბერძნებმა ოდისეოსის შეგონებით უზარმაზარი ხის ცხენი ააგეს და მის მუცელში რჩეული აქაველი მეომრები შესხეს. ტროელებმა ეს ხის ცხენი ქალაქში შეიტანეს, ღამით ცხენის მუცლიდან ბერძნები გამოხდნენ, ტროას ციხესიმაგრე აიღეს და დაარბიეს.
11. პერმიონე — სანაპირო ქალაქი არგოლიდაში.
12. მდიდარი პირები ღარიბ მოქალაქეებს უფასო ლხინებს უმართავდნენ „ელიმპიურ“ თუ სხვა პანელინურ დღეობებზე.
13. ათენში მდიდარ მოქალაქეებს შეწერილი ჰქონდათ ლიტურგიის (სამსახურის) ვადისათვის. ლიტურგიის მთავარი სახეები იყო: ტრიერარქია (სამხედრო ხომალდთა აღჭურვა); ქორეგია — გუნდის (ქოროს) მომზადება ტრაგიკული აგონის (ე. ი. ტრაგედიების წარმოდგენათა) და მუსიკალური შეჯიბრებებისათვის; გიმნასიარქია — გიმნასტურ შეჯიბრებათა მოწყობა. ლიტურგიაში გამარჯვებულ მდიდარ და წარჩინებულ მოქალაქეს გვირგვინით აჯილდოებდნენ. გამარჯვებული პირი დიონისე ღმერთის ტაძარში თავისი გამარჯვების აღმსუსხველ დაფას დგამდა. თემისტოკლეს ასეთი დაფა დაედგა ძვ.წ. 476 წელს.
14. ფრინიქე — ბერძენი ტრაგიკოსი, ესქილეს უფროსი თანამედროვე.
15. სემონიდე კეოხელი — ქორიკული (საგუნდო) ლირიკის ერთ-ერთი კლასიკოსი; მოღვაწეობდა ძვ.წ. VI ს-ში.
16. იხ. პლუტარქე, „არისტოტელე“ VII. ოსტრაქისმოსი — თიხის ფირფიტებზე აღწუსებული კენჭის ყრით ბრალდებულის განძევება პოლისიდან.
17. იგულისხმება სპარსთა ლაშქრობა ქსერქსეს წინამძღოლობით ძვ.წ. 480 წ. ათენში სტრატეგოსთა კოლეგიას ირჩევდნენ ათი კაცის შემადგენლობით (თითო კაცს უოველი ფილედი).
18. ძელე — მცირე აზიის ქალაქი კაპადოკიასა და შავ ზღვას შორის.
19. ქილეოსი იყო არკადიის ქალაქ ტეგეედი. მან დაარწმუნა ლავედემონელები შეერთებოდნენ ათენელებს სპარსებთან საომრად.
20. ტემპე — ხეობა თესალიაში ოლიმპოსა და ოსას მთათა შორის, მდინარე პენეოსის გასწვრივ.
21. არტემისიონი — ეგზეის კონცხი (აწინდელი ეგრიბო). ძვ.წ. 480 წელს აქ მოხდა პირველი საზღვაო ბრძოლა ბერძენთა და მომხდურ სპარსთა შორის.
22. აფიკე, ნავსადგური თესალიის სამხ. ნაწილში. აქედან გამოემგზავრა „არგო“ კოლხეთისაკენ.
23. პეროდოტე, VIII, 4.
24. ტრიერარქი — სამხედრო ხომალდის მეთაური; წმიდა ხომალდი — სახაზო, სახელმწიფო-სარიტუალო დანიშნულების ხომალდი.



25. პენი — გამარჯვების სიმღერა.
26. პეტრე — ევბეის ჩრდ. სანაპირო ქალაქი.
27. ოლიმპი — ქალაქი მაგნეზიის სანაპიროზე (მც. აზიაში).
28. ამ ელენგურ ლექსს ანუ ეპიგრამას ანტიკური ტრადიცია ძვ.წ. VI საუკუნის ქორეოს პოეტს, სემონიდეს კეოსელს, მიაწერს.
29. თერმოპილე — თესალიიდან ცენტრალურ ელადში ერთდერთი შესახვევით ქალაქი. სადაც ძვ.წ. 480 წელს სპარტელი სარდალი ლეონიდა სამასი ვაჟაკით დაუხვდა მთელს სთა მრავალრიცხოვან ჯარს.
30. ათენი იონიელთა ქალაქების მეტროპოლიად ითვლებოდა; მაგრამ სპარსელებმა მცირე აზიელი ბერძნები და უწინარეს ყოვლისა, იონიელები თავიანთ მონაწილედ გაიხადეს.
31. თემისტოკლე თავის მოწოდებებში იონიელ ბერძნებს ასე მიმართავდა: „თქვენ უმართებულოდ იქცევით, როცა ებრძვით თქვენსავე ძმებს და მამებს და მტერს ეხმარებით მშობლიური ელადის დამონებაში. გადმოდით ჩვენთან; ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, დაბრუნდით უკან თქვენს სახლებში და თანვე წაიყვანეთ კარიელებიც. მაგრამ უკეთუ ბარბაროსთა უღელი ისე მაგრად გზოქავთ, რომ არც ერთის და არც მეორის გაკეთება არ შეგიძლიათ, მაშინ, მაინცდამაინც თავგამოდებით ნუ შეგვებრძოლებით ჩვენ, თქვენს ძმებსა და ნათესაებს!“
- თემისტოკლე ამბობდა: თუ გადმოვლენ ჩვენგან იონიელები, ხომ კარგი, თუ არადა, ამ წინადადებათა წაკითხვისას სპარსეები ხომ მაინც უნდოთ თვალთ დაუწყებენ მათ ცქერას... (იხ. ლ. ხანიკიძე, სამას-სამასი. თბილისი, 1971 წ. გვ. 40-48).
32. ისთმოსი — კორინთოს ვიწრო ყელი — ცენტრალური საბერძნეთიდან პელოპონესზე გადასასვლელი.
33. იგულისხმება ტრაგიკოს ევრიპიდეს მიერ შემოღებული დრამატული ზერხი *deus ex machina*: მეტად დახლართული კვანძის გამოსახსნელად ტრაგედიის ფინალურ ნაწილში თეატრალური აპყვეი მანქანით სცენის ზემო მონაკვეთში გამოჰყავდათ რომელიმე ღვთაება.
34. აკროპოლისზე, ღმერთქალ ათენას ტაძარში, მუდამ ჰყავდათ წმიდად შერაცხული გველი, რომელიც მკვიდრი გმირის ერიხოთონიოსის სულის განასახიერებდა.
35. ამ მისნობას იმოწმებს პეროდოტე: „აქ ყველაფერს დაიმორჩილებენ, რასაც კი მოიცავს კერპობის მთა და ღვთაებრივი კითერონის ქალა, მაგრამ ყოვლისმხედველი ზევსი ტრიტონგენეას (ღმერთქალ ათენას) მისცემს ხის ზღუდეს, რომელიც გადაურჩება დანგრევას... ღვთაებრივო საღამინო, შენ დალუპავ ქალების ნაშობთ...“ (პეროდოტე, VII, 141; იხ., აგრეთვე, VII, 142, 143, 144).
36. ტროიძენე — ქალაქი არგოლიდაში.
37. არისტოტელე, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ 23,1.
38. კლიდემე ანუ კლიტოდემე „ატიკის ისტორიის“ ავტორი.
39. იგულისხმება ღმერთქალ ათენას ქანდაკება, რომელიც ათენელებმა თან წაიღეს. გორგო ანუ გორგონა — მედუზა, რომელსაც თავზე თმების ნაცვლად გველები ესხა.
40. იგულისხმება კუნძული სალამინი.
41. პეროდოტეს „ისტორიაში“ თემისტოკლე პირდაპირ ასახელებს იტალიის ქალაქს — სირისს (VIII, 62).
42. ტევთიდები — ზღვის მცირე თევზები, რომელთაც წაწვეტებულ რქაში მღებავი სითხე აქვთ. ერეტრიის მონეტებზე მათი გამოსახულება იყო აღბეჭდილი.
43. ბუ ქალაქ ათენის მფარველი ღმერთქალის — ათენასადმი შეწირული ფრინველი იყო. მისი მარჯვენა მხრიდან შემოფრენი კეთილი ამბის მათუწყებლად ითვლებოდა.
44. სიკინეს სპარსობა საექვოა. ეტყობა, პლუტარქე, რომელიც არასწორ წყაროს ეყრდნობოდა (მდრ. პეროდოტე VIII, 75).
45. კუნძულები: სალამინი, ფსიტალია, კეოსი, ეგინა, კინოსურა.
46. ტენოსი — კიელადთაგანი კუნძული.
47. ფანოდემე — პლუტარქეს თანანედროვე ისტორიკოსი, „ატიკის ისტორიის“ ავტორი ანუ ატიდოგრაფოსი.
48. „რქები“ — „კერატა“ — მთაგრეხილი ატიკისა და მეგარიდის საზღვრის გასწვრივ.
49. „ომესტეს“ — უმი ხორცის მჭამელი, „უმოწყალო“, „მძვინვარე“.
50. ესქილე, „სპარსები“ 341. ტრაგიკოსი ესქილე სალამინის ბრძოლის მონაწილე იყო.
51. დეკელია და პედიეია ცენტრალური საბერძნეთის (ატიკის) დემებია (ათენის მახლობლად). ამინია დეკელიელი იყო ტრაგიკოს-პოეტის ესქილეს ძმა.
52. არტემისია — ლიგდამიისის ასული, პალიკარნასის დედოფალი, რომლის ამბავს პეროდო-



ტე გადმოგვცემს („ისტორიის“ VII და VIII წიგნებში). იგი არ უნდა ავუროთ კარიის დედოფალში (შდრ. Плутарх, Сравнительные жизнеописания, I, М., 1961, Применения: стр. 486, 37).

53. თრიახონის ველი — ატიკის დაბლობი ათენსა და ელევსინს შორის.
54. იაკხოხი — ღმერთ დიონისე-ბაქქოსის (ბახუსის) საკულტო-მისტიკური ზედწოდება.
55. ეაკიდები — ეგინას მკვიდრი გმირები, ეაკოსის (ეაკეს) ჩამომავლები. იხილეთ: „ისტორიის“ VII და VIII წიგნები.
56. იგულისხმება ზომალდის ცხვირის მორთულობა.
57. სიმონიდე კეოსელი — ლირიკოსი პოეტი.
58. სალამინის ბრძოლა, რომლებშიც ბერძნებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, მოხდა 75-ე ოლიმპიადის პირველ წელს (ე. ი. 480 წელს) ბოედრომიონის თვის 20 რიცხვში (დაახლ. — 23 სექტემბერს). ქსერქსემ აქ დაკარგა 200 ზომალდი და 50.000 მეზღვაური.
59. პლატეა — ქალაქი სამხრეთ ბეოტიაში.
60. პეროდოტე, VIII, 93.
61. ხერიფოხი — კუნძული ეგეოსის ზღვაში, კიკლადთაგანი.
62. ეფორები — სახელმწიფოს სამმართველო ორგანოების წარმომადგენლები.
63. პირეხი (პირეესი) — ათენის ნავსადგური.
64. პირეხის ნავსადგომები: აფროდისიონი, კანთაროსი და ძეა.
65. არისტოფანე — კომედია „მხედრები“ 812.
66. პნიქსე — ბორცვი ათენის აკროპოლისის დასავლეთით, სადაც სახალხო კრებები იმართებოდა.
67. ოცდაათი ტირანი — პელოპონესის ომის შემდეგ ათენის სახელმწიფო მმართველები (ძვ.წ. 404 წლიდან 8 თვის მანძილზე).
68. პაგასე — მაგნეზიის სანავსადგურო ქალაქი.
69. ამფიკტიონია — ბერძნულ სახელმწიფოთა კავშირი.
70. პილაგორები — ამფიკტიონიის დელეგატები თერმოპილში.
71. პეროდოტე, VIII, 111. ანდროსი — კუნძული ეგეოსის ზღვაში — კიკლადთაგანი.
72. ტიმოკრეონტი — ძვ.წ. IV საუკუნის ლირიკოსი პოეტი.
73. პავსანია, ქხანთიპე, ლევტიქიდა — ძვ.წ. 479 წ. პლატეასა და მიკალეს კონცხთან გამართულ ბრძოლებში გამარჯვებულნი.
74. ლატო-ლეთო — ღმერთქალი, აპოლონისა და არტემიდეს დედა.
75. მელიტე — ატიკის დემთაგანი კეკროპისში (ათენის ერთ მონიკეეთში).
76. მოლოხები — ტომი, ეპირში.
77. მეორე (სხვა) ზღვა — ეგეოსის ზღვა; პიდნა — მაკედონიის ქალაქი.
78. კუმე — ეოლიის ზღვის პირა ქალაქი.
79. ერგოტელე და პითოდორე თემისტოკლეს პოლიტიკური მტრები იყვნენ.
80. თუკიდიდე, I, 137.
81. ეფოროსი, დინონი, კლიტარქე, პერაკლიდე კუმელი — ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსები, რომლებიც ბერძენებისა და სპარსთა ომის თაობაზე წერდნენ.
82. აქ იგულისხმება ე. წ. პროსკინესიზი — აღმოსავლეთი ქვეყნების დესპოტების წინაშე ქვეშევრდომთა მიწაზე განროხება.
83. ერეტრია — ევბეის ქალაქთაგანი.
84. დოდონე — ეპირის ქალაქი ზევსის ტაძრით.
85. არიმანიოსი (არიმანი) — წყვდიადისა და ბოროტების სპარსული ღვთაება.
86. თემისტოკლე აქ მეფესთან თარჯიმნის მეშვეობით ურთიერთობას გულისხმობს. მისი აზრით, თარჯიმნის მეშვეობით საუბარი სინამდვილეს ვერ გადმოსცემს.
87. დემარატე — სპარტიდან ლტოლვილი მეფე, რომელმაც თავი სპარსებს შეაფარა.
88. კიტარიისი ანუ კიდარიისი — ტიარა ძველ აღმოსავლეთში მეფეთა მაღალი, წვეტიანი თავსაბურავი.
89. ლეონტოკეფალოსი — „ლომის თავი“.
90. დინდიმენე — მც. აზიური ღვთაება, ღმერთთა „დიდი დედა“, კიბელე (კიბეზე).
91. ხარის სისხლი მომაცდინებელ შხამად მიაჩნდათ.
92. პლატონი, „მენონი“ 93 ქ.
93. თუკიდიდე, I, 138.



94. ანდოკიდე, გამოჩენილი ათენელი ორატორი.

95. ფილარქე, ძვ.წ. III ს-ის ბერძენი ისტორიკოსი.

96. კომიკოსი პლატონი — არისტოფანეს თანაშემწე ათენელი კომედიოგრაფი.

97. ამონიოსი — პერიპატეტიკოსი, პლუტარქეს მასწავლებელი ფილოსოფოსი.

ერეკლე  
ბიზანტი

## კამილუსი

1. ფურიუს კამილუსის<sup>1</sup> თაობაზე არსებულ მრავალ და დიდ-დიდ გადმოცემებში ყველაზე მეტად თავისებური და უცნაური, როგორც ჩანს, ის გარემოება გახლავთ, რომ ეს კაცი — მრავალგზის ჯარების წინამძღოლად წამოვიდა და დიდ გამარჯვებათა მომპოვებელი, ხუთგზის დიქტატორად არჩეული და ოთხგზის ტრიუმფგადახდილი, ხოლო აღწერილობებში „რომის მეორე დამფუძნებლად“<sup>2</sup> მიჩნეული, არც ერთხელ კონსული არ ყოფილა! ამის მიზეზი სახელმწიფოს მაშინდელი მდგომარეობა იყო: სენატთან უთანხმოების გამო ხალხმა კონსულების არჩევნებზე უარი თქვა და მხარი დაუჭირა წინამძღოლობისათვის სამხედრო ტრიბუნების ხმის მიცემით დანიშვნას. მართალია, საკონსულო ძალა-უფლება მთლიანად ამათ ხელში გადავიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტრიბუნთა რიცხოვნობი შემაღლენლობა მათ გამგებლობას აუტანელს არ ხდიდა. სახელმწიფო საქმეთა სათავეში ახლა ორი კაცი კი აღარ იდგა, არამედ ექვსი. ეს ვითარება ნუგეშს აძლევდა ოლიგარქიული მმართველობით გაწამებულ ხალხს. სწორედ ამ დროს ემთხვევა კამილუსის სახელის აღზევება და მისი საქმიანობის წარმატებანი. კამილუსმა ხსენებული ვითარების მიზეზით არ მოინდომა ხალხის სურვილს დაპირისპირებოდა და კონსულის თანამდებობა მოეთხოვა, თუმცადა, დროის იმ შეუალეღში, საკმაოდ ხშირად იმართებოდა საკონსულო არჩევნებისათვის დანიშნული თავყრილობანი. სხვა მრავალ და ნაირნაირ საგამგებლო თანამდებობაზე ყოფნის ქაშს კი იგი ისე იქცეოდა, ძალა-უფლება, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა, საერთო ჩანდა, ხოლო სახელის პატრონი ყოველთვის თვითონ იყო, მაშინაც კი, როცა მეთაურობა სხვებთან ჰქონდა გაზიარებული. პირველი ვითარების მიზეზი მისი შურს მოკლებული, ზომიერი წინამძღოლობა გახლდათ, მეორისა კი — საღი გონება, რომლის წყალობითაც, საერთო აზრის თანახმად, კამილუსს ქვეყანაში პირველი ადგილი ეჭირა.

2. ფურიუსების გვარი ჯერ კიდევ არ იყო დიდად გამოჩენილი, როცა კამილუსმა, პოსტუმიუს ტუბერტუსის დიქტატორობის ქაშს, თავისი ღვაწლით პირველმა მოიხვეჭა სახელი ექვებისა და ვოლსკების წინააღმდეგ გამართულ დიდ ბრძოლაში<sup>3</sup>. კამილუსი მაშინ ლაშქრის თავში მიაგელვებდა თავის რაშს. იგი თედოში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა არ მიატოვა, ჭრილობაში ჩარჩენილი სათხედი ამოიგლიჯა, მტრის რჩეულ მეომრებთან ხელჩართულ შეტაკებაში ჩაება და მოწინააღმდეგე უკუაქცია. ამის გამო სხვა ჯილდოებთან ერთად წილად ხვდა ცენზორის თანამდებობაც, რასაც იმ დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცენზორის თანამდებობაზე მისი ყოფნის დროიდან მოიხსენიებენ ერთ კეთილ საქმეს: ცალკერძ სიტყვიერი დარწმუნებით, ცალკერძ სასჯელის მუქარით, მან აიძულა უცოლოები, შეუღლებოდნენ დაქვრივებულ ქალებს, რომლებიც ომების მიზეზით ძალზე ბლომად იყვნენ. გარდა ამისა, აუცილებლობის გამო, დაბეგრა ობლებიც, რომლებსაც მანამდე არაფერს ახდე-



ვინებდნენ. ამისი მიზეზი იყო განუწყვეტელი ლაშქრობები, რომლებიც დიდ ხარჯს მოითხოვდნენ; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მსხვერპლი იქონიდა ვეს ალყას. ამ ქალაქს ზოგიერთები ვეიენტანთა-ს უწოდებდნენ. იგი ტირენი-ს მძევება გაზღდათ; იარაღის რაოდენობით და მეომართა სიმრავლით რომს როდი ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებულად ბრწყინავდა მარცმენა და ცხოვრებისეული ნეტარებით, ფუფუნებით და არაჩვეულებრივი სიუხვით. რომაელებთან გამართული ომების უამს მან მრავალი და სასახელო ბრძოლა გადაიხადა დიდებისა და ძალაუფლებისათვის. მაგრამ დიდ-დიდ შეტაკებებში განცდილი დამარცხებების გამო ამ ხანად მისი პატივმოყვარეობა ერთგვარად დაიშრიტა. მოსახლეობამ ქალაქს დიდი და მტკიცე ზღუდე შემოავლო, აღჭურვა იგი იარაღით, სატყორცნო მოწყობილობებით და პურით, აგრეთვე ყოველგვარი სხვა მარაგით. ხანგრძლივი ალყა მას საკმაოდ მშვიდად გადაჰქონდა. ეს ალყა თვით მეთაურობისა და არაჩვეულებრივი საზრუნავი და მძიმე საქმე იყო. რომაელები დაჩვეულნი იყვნენ გარე ლაშქრობანი მხოლოდ ზაფხულობით, ესე უგი არცთუ ხანგრძლივი დროის მანძილზე, გაემართათ; ზამთარი კი შინ გაეტარებინათ. ახლა კი პირველად გახდნენ იძულებულნი ტრიბუნთა წინამძღოლობით სიმაგრენი აეგოთ, ბანაკისათვის ზღუდე შემოევლოთ და მტრის ქვეყანაში ზაფხულიც და ზამთარიც დაეყოთ. არადა უკვე თითქმის მეშვიდე წელი სრულდებოდა ომისა. ის მეთაურები, რომლებსაც ბრალად დასდეს ალყის სისუსტე, ხელმძღვანელობიდან გადააყენეს და ომის საწარმოებლად ახალი წინამძღოლები აირჩიეს. მათ შორის იყო კამილუსიც, რომელსაც მეორეგზის მოუხდა სამხედრო ტრიბუნის მოვალეობის აღსრულება. საილყო საქმეში მაშინ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რადგან წილად ხვდა ბრძოლა ფალერელებისა და კაპენებთან, რომლებიც რომაელთა მოუცლევლობით სარგებლობდნენ. მათ მხარეს ხშირად აწიოკებდნენ და ტირენისთან მთელი ომის მანძილზე განუწყვეტლივ აწუხებდნენ. კამილუსმა ისინი სასტიკად დასაჯა, მრავალი დახოცა, დანარჩენები კი თავთავის ქალაქთა ზღუდეებს შიგნით შერევია.

3. ვახილებული ომის უამს ალბანის ტბაში უბედურება დატრიალდა, რომელმაც დაუჯერებელ სასწაულოზე ნაკლები როდი დააშინა ყველა, ვინაიდან მისი მიზეზი საყოველთაოდ გაუგებარი იყო და ვერ იხსნებოდა იმით, რომ ზუნებრივი მოქმედება ედო საფუძვლად. შუა შემოდგომა იდგა. ზაფხული კი ისე დამთავრდა, რომ არც შეტისმეტად წვიმიანი ამინდებით და არც სამბრეთის ძძლავრი ნესტიანი ქროლით არ გამოირჩეოდა. იტალიის მრავალრიცხოვან ტბებში, მდინარეებსა და წყაროებში წყალი ან სულ ამოშრა, ანდა ძლივსღა ფარავდა ფსკერს, მდინარეთა კალაპოტები ხანგრძლივი სიცხეების გამო გამეჩხვრდა და დაეხინდა. რაც შეეხება ნაკოფიერი გორაკებით შემორკალულ ალბანის ტბას, იგი, ალბათ ღვთაებრივი მიზეზით, ვინაიდან სხვა მიზეზი არ არსებობდა, შესამჩნევად გაიზარდა, აღიღდა და გორაკთა ძირებს მიაწყდა, მერე კი, ღელვისა და ტალღების გარეშე ზიანებული, მალლობთა მწვერვალებსაც მიწვდა. თავდაპირველად ამ მოვლენამ მწყემსები და მეჯოგენი გააოცა; მაგრამ როცა წყალდიდობის სიმძიმემ დაბლობისაკენ ტბის გადამლობი ყელი გაარღვია და უზარმაზარი ნაკადი ნახნავეებსა და ნარგავებზე გადავლით ზღვისკენ დაეშვა, მაშინ მხოლოდ რომაელები კი არ შეძრწუნდნენ, არამედ იტალიის მთელმა მოსახლეობამ მიიჩნია, რომ ეს მცირე სას-



წაულის ნიშანი არ იყო! ამის თაობაზე განსაკუთრებულად დაირბა ხმა ვეის მეალყეთა ბანაკში და ალყაში მოქცეულთათვისაც ცნობილი გახდა ტბის ამ-ტყდარი უბედურება.

4. ხანგრძლივი ალყის უამს სამტროდ დაპირისპირებულთა შორის მყოფი რო კავშირი მყარდება და საუბრებიც იმართება ხოლმე. და აი, მოხდა ისე, რომ ერთმა რომაელმა ალყაშემორტყმული მოქალაქეთაგანი გაიცნო და მას გულახდილი საუბარიც გაუმართა. ეს მოქალაქე მიჩნეული გახლდათ ძველისძველ მისნობებში ჩახედულ კაცად, რომელმაც მარჩიელობის წყალობით სხვებზე მეტი იცოდა. ამას გაეხარდა ტბის ადიდების ამბავი და რომაელთა ალყას დაცინვა დაუწყო. ამაზე რომაელმა უთხრა: აწმყო დრომ ჩვენ, რომაელებს, მარტოოდენ ეს სასწაული როდი მოგვივლინა, კიდევ უფრო მეტად სასწაულებრივი ნიშნებიც გამოგვიჩნდა; იმათაც ხალისით გაუწყებ შენ. თუკი შეძლებ ამ საერთო უბედურებაში ჩვენი საკუთარი ხვედრის შემსუბუქებასო. გაცნობილი კაცი ყურადღებით უსმენდა და თვითონაც ებმებოდა საუბარში, რათა რაღაც-რაღაც საიდუმლოებანი შეეტყო. რომაელმა კი იგი ამ მუსაიფით ნელ-ნელა გარეთ გაიტყუა; როცა ქალაქის ჭიშკარს კარგა მანძილით გასცდნენ, ეს მასზე უძლიერესი ვაჟკაცი მიწიდან აიტაცა და ბანაკიდან მოვარდნილ მშველელთა დახმარებით დაძლია, დაიმორჩილა და სარდლებს გადასცა. რაკილა ასეთ იძულებით ვითარებაში აღმოჩნდა და მიხვდა, რაც ბედით ეწერა, ამას ვერ გაექცეოდა, შეპყრობილმა თავისი სამშობლოს შესახებ საიდუმლო წინასწარმეტყველება მტერს გაუმჟღავნა: ქალაქს ვერ აღებთ, სანამ ნაპირებზე გადმოსულ და სხვადასხვა მიმართულებით მდინარე ალბანის ტბის წყალს უკან არ დააბრუნებთ და გზის გადაღობვით ხელს არ შეუშლით, ზღვას შეუერთდესო.

ეს ამბავი სენატმა რომ შეიტყო, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა და ყველაზე კარგ ზომად მიიჩნია დელფოში ღმერთისაგან მისნობის შემტყობი ელჩობის გაგზავნა. ელჩებად მივლენილმა სახელოვანმა და მაღალი რანგის პირებმა — კოსუს ლიკინიუსმა, ვალერიუს პოტიტუსმა და ფაბიუს ამბუსტუსმა საჭირო მისნობისათვის ზღვა გადაცურეს, ღმერთს დაეთათვირნენ და უკან დაბრუნდნენ. თან მოიტანეს სხვადასხვაგვარი წინთქმა: რომაელებს ნაკლები მზრუნველობა უნდა გაეწიათ წინაპრებისეული დღეობების, ეგრეთ წოდებული ლათინური ზეიმების,<sup>8</sup> აღსასრულებლად; ალბანის წყლისათვის უნდა გადაეკეტათ გზა და, თუკი შეძლებდნენ, ზღვიდან ძველი კალაპოტისაკენ დაებრუნებინათ; თუ ამას ვერ იღონებდნენ, თხრილებით და არხებით ველზე უნდა გადაეგდოთ და სარწყავად დაეხარჯათ.

როცა ეს ამბავი ეუწყათ, ქურუმებმა მსხვერპლთა შეწირვა დაიწყეს, ხალხი კი მუშაობას შეუდგა, რათა წყლისთვის საჭირო მიმართულება მიეცათ.

5. ომის მეათე წლისთავზე სენატმა გააუქმა ყველა საგამგებლო თანამდებობა და დიქტატორად კამილუსი დანიშნა<sup>9</sup>. ამან ცხენოსანი ლაშქრის მეთაურად კორნელიუს სციპიონი აირჩია და უწინარეს ყოვლისა ღმერთებს დაუდო აღქმა, თუ ომი სახელოვნად დასრულდებოდა, დიდი სანახაობანი მოეწყო და ღმერთქალისათვის, რომელსაც რომაელები დედა მატრუტას ეძახიან, ტაძარი შეეწირა. ამ ღმერთქალისადმი აღსრულებადი წმიდა სამსახურის მიხედვით თუ კაცი იმსჯელებს, შეიძლება ღვთაება ლევკოთეად ჩათვალოს<sup>10</sup>. ქალებს მის ტაძარში შეჰყავთ ხოლმე მსახური დედაკაცი და ლოყებზე ხელებს



უტყაპუნებენ, შემდეგ გარეთ აგდებენ და საკუთარი შვილების ნაცვლად დების შვილებს ეხვევიან. მერმე მსხვერპლშეწირვას ისეთ მოქმედებათ მოიყობენ, რომლებიც დიონისეს აღმზრდელთა და ხარჭა ქალის გამო ინოს ტანჯვათა მოგონებებს შეეფერება<sup>11</sup>.

აღთქმათა დადების შემდეგ კამილუსი ფალისკების სამფლობელოში წაიღო და დიდ ბრძოლაში ისინიც დაამარცხა და მათ საშველად მოსული კაპუნელებიც. მერმე ვეის ალყას მიუბრუნდა და რაკი დაინახა, პირდაპირი იერიში ძნელი და მძიმე საქმე იყო, შეუდგა მიწისქვეშა გასასვლელის თხრას, რადგან ქალაქის ირგვლივ მდებარე ადგილები იძლეოდა თხრილის ამოღებისა და ისეთ სიღრმეში შეღწევის საშუალებას, სადაც მტრისათვის შეუმჩნევლად იმუშავებდნენ. და აი, როცა წარმატების იმედმა წინ წაიწია, თვითონ კამილუსმა გარედან მიიტანა ქალაქზე იერიში და მტერი კედლებზე ამოიტყუა. ამასობაში სხვები მიწაში გათხრილი გასასვლელით გაემართნენ წინ და შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ ციხე-სიმაგრეში ჰერას ტაძრის ქვეშ, რომელიც ქალაქში ყველაზე დიდი და ყველაზე საპატიო ტაძარი იყო. ამბობენ, ზუსტად იმ დროს ტირენების მეთაური მსხვერპლშეწირვით იყო გართული. ქურუმმა მსხვერპლთა შიგნეულს რომ დახედა, ხმამაღლა წარმოთქვა: ღმერთი გამარჯვებას ანიჭებს მას, ვინც ამ მსხვერპლშეწირვას განაგრძობსო. როცა ეს ხმა მიწისქვეშ მყოფმა რომაელებმა გაიგონეს, მსწრაფლ ამოანგრიეს იატაკი და ყვირილითა და იარაღის ჟღარუნით ზევით ამოცვივდნენ. თავზარდაცემული მტერი უკუიქცა, რომაელებმა კი სამსხვერპლო შიგნეულს ხელი სტაცეს და კამილუსს მიუტანესო. ეს ამბავი, კაცმა რომ თქვას, ზღაპარს ჰგავს.

ქალაქი ძალის წყალობით აღებული იქნა. რომაელებმა მისი უთვალავი სიმდიდრის დატაცება და გატანა დაიწყეს. როცა ეს მოქმედება კამილუსმა ციხე-სიმაგრეიდან დაინახა, ჯერ გაშეშდა და თვალებზე ცრემლი მოადგა, ხოლო მერმე, როს იქ მყოფთაგან მილოცვები მოისმინა, ხელები ღმერთებისაკენ აღაპყრო და ვედრება წართქვა: „დიდო იუპიტერო და თქვენ, სხვა ღმერთებო, კარგსა და ავ საქმეთ რომ თვალყურს ადევნებთ, დაგვემოწმეთ რომაელთ, რომ ჩვენ არა სამართლის საწინააღმდეგოდ, არამედ თავდაცვისათვის აუცილებლობის გამო ვსჯით ჩვენს მტერთა და უკანონოდ მოქმედთა ქალაქს! მაგრამ თუ აწინდელი წარმატებისათვის ჩვენც უნდა ვზღოთ სამაგიერო, ვვედრებ თქვენდა, რათა იგი ააცილოთ რომაელთა ქალაქსა და მის ჯარს და მცირეოდენი ზიანით საზღაური მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე აღასრულოთ!“ წართქვა თუ არა ეს, ლოცვად და თაყვანისცემად დამდგარ რომაელთა ადათის თანახმად მარჯვნივ მიტრიალდა, მაგრამ მიბრუნებისას წაიქცა. დამსწრენი შეშფოთდნენ, მაგრამ კამილუსმა ფეხზე წამოდგომა მაშინვე მოახერხა და თქვა: „ყველაფერი ჩემი ვედრების თანახმად აღსრულდა — დიდი ბედნიერების ჟამს მცირეოდენად წავიბოროდიკეთ!“

6. ქალაქის დარბევის შემდეგ კამილუსმა გადაწყვიტა, აღთქმის თანახმად, ჰერას ქანდაკება რომში გადაეტანა. ამ საქმის აღსასრულებლად ოსტატები შეიკრიბნენ. კამილუსმა მსხვერპლი შესწირა და ღმერთქალს შევედრა, მათი მგზნებარე სურვილი შეეწყნარებინა და რომაელთა წილხვედრი ღმერთების კეთილი თანამოსაგრე გამხდარიყო. ამბობენ, ქანდაკებამ წყნარად ჩაილაპარაკა, რომ მას ამის სურვილი აქვს და განზრახულ საქმეს აქებს. ლივიუსი გადმოგვცემს: კამილუსი ღმერთქალის გამოსახულებას ხელით ეხებოდა



და ისე ევედრებოდა, ხოლო ზოგიერთი დამსწრე ვედრებაზე უპასუხებდა, რომ ღმერთქალი თანახმაა, აქებს განზრახულს და ხალისით გაჰყვება რომაელებსო. ისინი, ვინც მტკიცედ იცავენ თავისას, სასწაულის მეტყველ დიდ მოწმედ იშველიებენ თვით რომის ქალაქის ბედს; ეს ქალაქი მცირე და უმნიშვნელო საწყისიდან ღვთაების გარეშე ვერ შეძლებდა ეგზომ სხეულებსა და ძლიერ წინსვლას, რაიც მრავალი დიდი მოვლენით გამოიხატებოდა. იმ მოწმეებმა სხვა მსგავს სასწაულებსაც — ქანდაკებიდან ხშირად თვლის დაღვრას, გმინვა-კვნესის გამოცემას, კერბების თავისთავად შებრუნებასა და თვალების დახუჭვას. ამ ამბებს წარსული დროის მწერალთა არცთუ მცირე რიცხოვანი რაოდენობა მოგვითხრობს: ბევრი რამ, რაც გაოცების ღირსია და რომელთა უგულებელყოფაც შეუფერებელი საქმეა, ჩვენ დროშიც გავვიგონია თანამედროვეთაგან. ასეთი ამბების მეტისმეტად დაჯერებაც და ძლიერი უნდობლობაც საფრთხილოა ადამიანის უძლურების გამო. მან ხომ არ იცის საზღვარი და ვერ იმორჩილებს თავის თავს, როცა მიისწრაფის ცრურწმენისა და ფუჭი წარმოსახვების მხარდასაჭერად, ანდა როცა უგულებელყოფს და აკნინებს ღმერთებისადმი ნდობას. ყველაფერს სჯობს სიფრთხილე და ზომიერება<sup>12</sup>!

7. აღსრულებული საქმის სიდიადემ, იმან, რომ ალყის მეათე წელს აიღო რომის მოწინააღმდეგე ქალაქი, აგრეთვე მრავალთაგან ნეტარ კაცად შერაცხვამ, კამილუსი მეტისმეტად ქედმაღალი და ამაყი გახდა, რაც ყოველად აუტანელი იყო კანონიერი სახალხო ძალა-უფლების მქონე პირის მხრივ. მან ფრიად ზვიადური ტრიუმფი გადაიხადა: რომის ქუჩებში გაიარა ოთხ-თეთრცხენშებმულ ეტლზე ამხედრებულმა. ასეთი რამ არ უქნია არც ერთ მხედართმთავარს არც მანამდე და არც შემდეგ, ვინაიდან ოთხ-თეთრცხენიან ეტლს თვლიან მეფისა და ღმერთთა მამისათვის მიძღვნილ წმიდა შეწირულებად. ზვიადობასა და ფუფუნებას მიუჩვეველი მოქალაქენი ამიერიდან ზიზღით ეკიდებოდნენ კამილუსს. მეორე მიზეზი თანამოქალაქეთა მხრივ რისხვისა ის იყო, რომ კამილუსი ქალაქის განსახლების კანონის წინააღმდეგ წავიდა. სახალხო ტრიბუნებმა წინადადება წამოაყენეს, ხალხი და სენატი ორ თანაბარ ნაწილად გაეყოთ, რათა ერთ ნაწილს იქვე რომში ეცხოვრა, მეორე კი, რომელსაც წილად ხვდებოდა, გადასახლებულიყო დაპყრობილ ქალაქში. ამით ხალხი უფრო შეძლებული გახდებოდა და ორი დიდი და მშვენიერი ქალაქის ფლობით მიწასაც და სხვა სიკეთესაც უკეთ დაიცავდა. იმ დროისათვის რომის მოსახლეობა გაიზარდა და დაღარიბდა, ამიტომ ხალხმა ხსენებული წინადადება მოიწონა, საორატორო ტრიბუნას შემოეხვია და კენჭისყრა მოითხოვა. სენატი და მოქალაქეთა წარჩინებული ნაწილი თვლიდნენ, რომ სახალხო ტრიბუნებს განზრახული ჰქონდათ რომის არა გაყოფა, არამედ მისი დამხობა. ამიტომ სენატმა და წარჩინებულებმა დახმარებისათვის კამილუსს მიაშურეს. კამილუსი აშკარა ბრძოლას მოერიდა, სხვადასხვა საბაბი და ხალხისათვის გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა და მათი წყალობით წარმოდგენილი კანონის მიღებას განუწყვეტლივ აბრკოლებდა. ეს მას არასასიამოვნო პიროვნებად ხდიდა.

ყველაზე უფრო აშკარა და უდიდესი ზიზღი მისადმი ხალხში გამოიწვია ნადავლის მეათედი ნაწილის საკითხმა. საბაბი, რომელსაც ხალხი ჩაეჭიდა, თუ გონივრული არ იყო, არც სამართლიან საფუძველს იყო მთლად მოკლებული.



როგორც ჩანს, როცა კამილუსი ვერს მიადგა, მან აღთქმა დადო, თუ ქალაქს აიღებდა, იქაური ნადავლის მეათედი ღმერთისათვის შეეწირა. მაგრამ როცა ქალაქი მართლაც აიღეს და გაძარცვეს, ან იმიტომ რომ მოქალაქეთა განაწყენებას მოერიდა, ანდა იმისი გამო, რომ მიმდინარე საქმეთა გამო დავიწყებაში მოიკცა, ნადავლი ახალ მოსარგებლეთ შეატოვა. შემდგომში კი მსგებლობის რწმუნების ვადა რომ გაუვიდა, ხსენებული ამბავი უნდა იქნებოდეს. ამავე დროს მისნებმა განაცხადეს: მსხვერპლშეწირვა გვიჩვენებს ღმერთების რისხვას, ისინი მოღმობიერებასა და მათთვის საამო სამსახურს მოითხოვენო.

8. სენატმა კენჭისყრით დაადგინა, ნადავლი არ გადანაწილებულიყო (გადანაწილება ძნელზე ძნელი იქნებოდა), მაგრამ ვისაც თავისი წილი მიღებული ჰქონდა, მეათედი ფიცდადებით თვითონვე უნდა დაებრუნებინა სახელმწიფოსათვის. ეს დადგენილება მეტად შემაწუხებელი და ძალდატანებითი გამოდგა ჯარისკაცებისათვის — ღარიბი და ბევრჭირგადანახილი ადამიანებისათვის, რომლებიც იძულებულნი ხდებოდნენ, რაც მოიხვეჭეს და რისი ნაწილიც უკვე მოიხმარეს, გადაწყვეტილი რაოდენობით დანიშნულებისამებრ შეეტანათ. მათი საყვედურებით აფორიაქებულმა კამილუსმა, თავდასახსნელად უკეთესი საბაბი რომ ვერ მოიხაზა, სრულ უაზრობას ჩაეჭიდა: აღთქმა დამავიწყდეთო. მისგან განაწყენებულნი კი უსაყვედურებდნენ: მაშინ აღთქმა დასდე, რომ მტრის ქონების მეათედს შესწირავდი ღვთაებას, ახლა კი მოქალაქეთა საკუთრების მეათედი მიგაქცხო.

ასე იყო, თუ ისე, ყველამ შეიტანა კუთვნილი გადასახადი და ისიც გადაწყვიტეს, დელფოში გასავზავნად ოქროს კრატერი გაეკეთებინათ<sup>13</sup>. მაგრამ ქალაქში ოქროს ნაკლებობა იყო და ხელისუფლების წარმომადგენელნი ერთ ფიქრში იყვნენ, სით მოეძიათ იგი. მაშინ ქალებმა ერთმანეთში მოიღობარაყეს და ყოველმა მათგანმა მოიხსნა ტანიდან ოქროს მორთულობა შესაწირავისათვის. ამ გზით თავმოყრილი ოქროს წონა რვა ტალანტი გამოდგა<sup>14</sup>. ქალებისათვის სამაგიერო და შესაფერი პატივის მისაგებად სენატმა დაადგინა, სიკვდილის შემდგომ მათი ხსოვნის აღსანიშნავადაც წარმოეთქვათ ხოლმე შესაქები სიტყვა (უწინ არ იყო მიღებული მიცვალებული ქალის შესამკობად საჯარო სიტყვის წარმოთქმა).

წარჩინებულ მოქალაქეთაგან წმინდა ელჩებად აირჩიეს სამი კაცი, მერმე გრძელი სამხედრო ზომალდი საზეიმო მორთულობით და შემადგენლობით აღჭურვეს და გაისტუმრეს. ზღვაზე ქარიშხალიც და წყნარი ამინდიც ზოგჯერ ერთნაირად სახიფათოა. ეს ხსენებული ელჩების მოგზაურობამ დაადასტურა. ისინი დაღუპვის პირზე იყვნენ მისულნი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გადარჩნენ, ეოლოსის კუნძულებთან ისინი მეკობრეებად მიიჩნიეს და როცა ქარი ჩაღვა, მათ თავს დაესხნენ ლიპარას ტრიერები. რომაელმა ელჩებმა თხოვია-ვედრებით ხელობი აღაპყრეს და ლიპარალებმაც მათ ზომალდს შეჯახება ააცილეს, მაგრამ ბაგირი გამოაბეს, სანაპიროზე ჩაიყვანეს და გასაყიდად გამოაცხადეს მისი ქონებაც და მასზე მყოფი მეკობრეებად მიჩნეული ადამიანებიც. მხოლოდ ერთმა იქაურმა კაცმა, სარდალმა ტიმესიოთეოსმა, თავისი მეგობრისა და გავლენიანი ძალის წყალობით, ძლივძლივობით დაარწმუნა ლიპარალები, გაეთავისუფლებინათ ელჩები. მან მათ თავისი გეგმებიც შეაშველა და მათთან ერთად მიიღო მონაწილეობა წამოღებულ საჩუქრის შეწირვაში. ამის გამო რომში შესაფერი პატივისცემაც დაიბასახურა.



9. სახალხო ტრიბუნებმა კვლავ აღძრეს საკითხი განსახლების კანონის თაობაზე, მაგრამ სწორედ ამ დროს მოესწრო ამ ამბავს ფალსიკებთან ამტყდარმა ომმა. ამან შესაძლებლობა მისცა წარჩინებულებს, თანამდებობის პირები საკუთარი აზრის შესაბამისად აერჩიათ. რაკი ვითარება მოითხოვდა არა მარტო გამოცდილების მქონე, არამედ ღირსებითა და სახელითაც შეწყვეტილ წინამძღოლს, სხვა ხუთ პირთან ერთად სამხედრო ტრიბუნად აირჩიეს. მისცა თუ არა ხალხმა ხმა, კამილუსმა ძალაუფლება აიღო და ფალსიკების მხარეში შეიჭრა. აქ ალყა შემოარტყა ომისათვის ყოველმხრივ მომზადებულ გამაგრებულ ქალაქ ფალერეს. იგი თვლიდა, რომ მცირე გარჯითა და დროით ქალაქს ვერ აიღებდა, ამიტომ გადაწყვიტა, თანამოქალაქენი დაძაბულ მოქმედებაში ჰყოლოდა, რათა შინ უქმად არ დამსხდარიყვნენ და წამქეზებელთა სიტყვებს შფოთის ასატეხად არ დაჰყოლოდნენ. რომაელები, ვითარცა მკურნალი ექიმები, ყოველთვის მიმართავდნენ ხოლმე ამ შესაფერ წამალს და შფოთის ავადმყოფობას სახელმწიფოდან აძევებდნენ.

10. რაკი ციხე-ქალაქი ყოველი მხრიდან გამაგრებული ჰქონდათ გულდანდობილი ფალერელები რომაელთა ალყას აგდებით უყურებდნენ. იმათ გარდა, ვინც ქალაქის კედლებს დარაჯობდნენ, ყველანი ტოგებში იყვნენ გამოწყობილი, ხოლო მოქალაქეთა ბავშვები სასწავლებელში დადიოდნენ და მასწავლებლის წინამძღოლობით ხშირად კედლის გარეთაც აბერებდნენ გასვლას სასერიზოდ და სავარჯიშოდ. ფალერელები ელინების მსგავსად მხოლოდ ერთ საერთო მასწავლებელს ეყრდნობოდნენ, ვინაიდან სურდათ, ბავშვები იმთავითვე ერთად გაზრდილიყვნენ და ერთად ყოფილიყვნენ. და აი, ამ მასწავლებელმა ბავშვები გამოიყენა და ვერაგობა მოუწყო ფალერელებს. მას ყოველდღე ჩაჰყავდა ბავშვები თავდაპირველად კედლების საძირკვლის მახლობლად და ვარჯიშის შემდეგ უკან — ციხესიმაგრის შიგნით აბრუნებდა. მერმე თანდათანობით უფრო შორს დაიწყო მათი გაყვანა და ნელ-ნელა ისე დააჩვია, რომ ბავშვები გათამამდნენ, თითქოს სრულ უსაფრთხოებაში იმყოფებოდნენ. ბოლოს ყველა ბავშვი რომაელ დარაჯებთან მიიყვანა, გადასცა მათ და ითხოვა, ყველანი კამილუსთან წაეყვანათ. როცა იგი მის წინაშე წარდგა, ასე მოახსენა: მე აღმზრდელი და მასწავლებელი ვარ, მაგრამ ბაღლების სამართლიანად მოპყრობას მირჩევნია შენ გაგიწიო სამსახური; აი, მოველ შენთან და ამ ბაღლების სახით მათი ქალაქიც მომიერთმევიაო. კამილუსმა ეს კი მოისმინა. მაგრამ მასწავლებლის მოქმედება საზარელ საქციელად ჩათვალა მან იქ მყოფთ მიმართა: ომი მძიმე საქმეა და მრავალ უსამართლობასა და ძალადობას იქმს, მაგრამ ზნეკეთილი ვაჟკაცები ომშიც იცავენ რაღაც კანონებს. რაოდენ მისადევარი საქმეც არ უნდა იყოს გამარჯვება, სიკეთის წყაროდ ბოროტება როდი უნდა გამოვიყენოთ; — დიდმა სარდალმა სხვის ბოროტ საქციელზე კი არა, საკუთარ ქველობაზე დაყრდნობით უნდა იმოქმედოს ბრძოლისა და ლაშქრობის ქამსო! კამილუსმა ქვეშევრდომებს უბრძანა მასწავლებლისათვის სამოსი შემოეგლიჯათ, ხელები ზურგსუკან გაეკოჭათ, ხოლო ბავშვებისათვის როზგები და მათრახები დაერიგებინათ, რათა გამცემი ცემა-ცემით ისევ შეეგდოთ ციხე-ქალაქში.

როგორც კი შეიტყვეს ფალერელებმა მასწავლებლის გამცემლობა, ქალაქი ესოდენი უბედურების გამო, როგორც ხდება ხოლმე, საერთო გლოვამ მოიცვა. მამაკაცებიცა და ქალებიც თავდაკარგულნი დარბოდნენ ქალაქის



კედლებისა და ჭიშკარისაჲს ამ დროს გამოჩნდნენ ბავშვებიც, რომლებიც შიშველსა და გაკოჭილ მასწავლებელს მოათრევდნენ და თან კამილუსს მხსნელად, მამად და თვით ღმერთად ხმობდნენ. ამის მხილველ ~~რომ~~ მარტო მშობლებს, არამედ ყველა სხვა მოქალაქესაც აღფრთოვანება და სიყვარული მოჰგვარა კამილუსის სამართლიანობამ. მათ სასწრაფოდ მოეყრეს უღადო სახალხო კრებაზე და კამილუსს ელჩები მიუგზავნეს: გნებდით თუ არა ჩვენი ელჩები რომს გაგზავნა. ისინი სენატს წარუდგნენ და განაცხადეს: რომაელებმა იმით, რომ გამარჯვებაზე მეტი პატივი სამართლიანობას დასდეს, ჩვენ შეგვაგონეს, თავისუფლებას დამორჩილება ეამჯობინოთ, არა იმდენად საკუთარი ძალის ურწმუნობის შეგნებით, რამდენადაც მოწინააღმდეგის უკეთესი ზნეობის აღიარებით. საკითხის საბოლოო განსჯა და გადაწყვეტა სენატმა კამილუსს მიანდო. ამან ფალერელებს ხარკი გადაახდევინა, რის შემდეგ ყველა ფალისკელთან მეგობრობა დაამყარა და უკან დაიბრუნდა.

11. ჯარისკაცებმა, რომელთაც ფალერეს გაძარცვის იმედი ჰქონდათ, მაგრამ რომს ცარიელი ხელებით დაბრუნდნენ, კამილუსს სხვა მოქალაქეთა წინაშე ბრალად დასდეს ხალხის სიძულვილი და ღარიბთათვის სასარგებლო საქმის ხელის შეშლა. მალე სახალხო ტრიბუნებმა კვლავ წამოაყენეს განსახლების კანონი და ხალხს ხმის მისაცემად მოუხმეს. კამილუსი არ დაერიდა არც ერთ მტრულ და გულახდილ გამოთქმას და ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია უმრავლესობის სურვილს. ხალხი იძულებული გახდა, წამოყენებულ კანონის წინააღმდეგ მიეცა ხმა, მაგრამ კამილუსზე ისე გაწყრნენ, რომ პირად მწუხარებაშიც კი არავითარი თანაგრძნობა არ გაუწიეს (მაშინ ავადმყოფობამ ერთ-ერთი ვაჟიშვილი გამოსტაცა ხელიდან კამილუსს). ბუნებით მშვიდმა და კეთილმა კამილუსმა ეს ტანჯვა სასოწარჟვეთილად ვერ გადაიტანა, როცა სამართლოში უხმეს, გარეთ ვერ გამოვიდა და მთელი ის დრო შინ ჩაკეტილმა მგლოვიარე ქალებთან ერთად გაატარა.

12. მისი ბრალმდებელი იყო ლუკიუს აპულეუსი, ხოლო ბრალდება ტირენიაში ქონების გაქურდვას გულისხმობდა. ლაპარაკი იყო დატაცებული სპილენძის კარებზე, რომლებიც თითქოს ბრალდებულს დაუნახეს. ხალხი მრისხანებდა და ცხადი იყო, ნებისმიერი საბაბის საფუძველზე კამილუსის წინააღმდეგ მისცემდა ხმას. კამილუსმა თავი მოუყარა თავის მეგობრებსა და თანამოღაშქრეებს. (სასარგებლო თანამდებობებზე მასთან ერთად მყოფ პირებსაც), რომელთა რიცხვიც არცთუ მცირე იყო. მან შეკრებილთ სთხოვა არ დაეშვათ მისი დასჯა უსამართლოდ, ცრუ ბრალდებით. არ გაეხადათ იგი მტრების დასაცინად. მეგობრებმა იმსჯელეს, ერთმანეთს მოელაპარაკნენ და კამილუსს უპასუხეს: სასამართლოში, როგორც ვფიქრობთ, ვერაფრით დაგებმარებით, მაგრამ მოსჯილი ჯარიმის ნაწილს გადავიხდითო. ეს კი ველარ აიტანა კამილუსმა და გამწყრალმა გადაწყვიტა, გადგომოდა და განშორებოდა ქალაქს. იგი გამოეთხოვა ცოლსა და ვაჟიშვილს და შინიდან გასულს ქალაქის ჭიშკრებამდე ხმა არ ამოუღია. იქ კი გაჩერდა, უკან შემობრუნდა, ხელები კაპიტოლიუმისაკენ გაიშვირა და ღმერთებს შეევედრა: თუ უსამართლოდ, ხალხის თვითნებობისა და შურის საფუძველზე ვარ პატივყარილი და განდევნილი, დაე რომაელებს სულ მალე სანანებლად გაუხდეთ ეს და ყოველი კაცისათვის ცხადი გახდეს, რაოდენ ვჭირდები მათ და როგორ მნატრობენო!



13. კამილუსმა, ისე ვით აქილევსმა<sup>15</sup>, წყველა-კრულვა დაუტოვა თანამოქალაქეებს და ქალაქი დატოვა. მას დაუსწრებლად მიუსაჯეს ჯარში თხუთმეტი ათასი ასარიონის<sup>16</sup> რაოდენობით, რაც ვერცხლის ფულზე გადაყვანით შეადგენს ათას ხუთას დრაქმას: ათი ასარიონი უდრიდა ერთ ვერცხლს ერთეულს, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელი „დენარიუსი“. ამის შემდეგ შორის არავინაა ისეთი, რომელსაც არ სჯეროდეს, რომ ბრძანების ღმერთქალმა დიკემ სწრაფად შეისმინა კამილუსის ვედრება და მიაგო, მართალია, სამწუხარო და არასასიამოვნო, მაგრამ სახელოვანი და ყველასათვის ცნობილი საზღაური. რომს მაშინ თავს დაატყდა ისეთი შურისძიება, ისეთი დამღუპველი საფრთხე და ისეთი შერცხვენა, რომ ან ბედი შეუტრიალდა, ანდა ეს იყო საქმე რომელიდაც ღმერთისა, რათა სიკეთისათვის უმადურობა უპასუხოდ არ გადარჩენილიყო!

14. დიდი უბედურების პირველნიშნად მიიჩნიეს იულიუს ცენზორის გარდაცვალება. რომაელები საერთოდ დიდ თაყვანს სცემენ ცენზორთა ძალაუფლებას და მას წმიდათა წმიდად თვლიან. მეორე ნიშანი შემდეგი გახლდათ: კამილუსის ლტოლვამდე ერთმა გამოუჩენელმა და არა სენატორმა, მაგრამ სხვამხრივ წესიერ და პატიოსან ადამიანად მიჩნეულმა კაცმა მარკუს ცედიციუსმა სამხედრო ტრიბუნების ყურადღების ღირსი საქმე აუწყა. მან თქვა, რომ წინა ღამით მას ეგრეთ წოდებულ „ახალ ქუჩაზე“ მიმავალს, ვიღაცამ დაუძახა. იგი შებრუნდა, მაგრამ ვერავინ ვერ დაინახა. მაშინ გაცილებით უფრო ძლიერმა ხმამ, ვიდრე ადამიანს აქვს, აი, რა უთხრა: „აბა, მარკუს ცედიციუსო, დილაადრიან გასწი უფროსებთან და აუწყე: მცირე ხანში გალებს დახვდით-თქო!“ ამის მოსმენაზე სამხედრო ტრიბუნებმა ერთი სიცილი და ხუმრობა ატეხეს. სწორედ მცირე ხნის შემდგომ დატრიალდა ამბები კამილუსის გარშემო.

15. გალები კელტური წარმომავლობის ხალხია. გადმოგვცემენ, ვინაიდან მოსახლეობის სიმრავლის გამო ყველას გამოკვება არ ძალუძდა, გალებმა მოატოვეს საკუთარი მიწა-წყალი და სხვა მხარის საძებნელად გაემართნენ. ლაშქარი შეიცავდა მრავალ ათეულ ახალგაზრდა, საბრძოლოდ გამოსადეგ კაცს, რომელთაც თან მიჰყავდათ კიდევ უფრო მეტი ბავშვი და ქალი. ნაწილმა გადალაზა რიპკოსის მთები, მიაშურა ჩრდილოეთ ოკეანეს და ევროპის უკიდურესი მხარენი დაიკავა; ნაწილი კი პირენეს მთებსა და ალპებს შორის ჩასახლდა და მრავალი ხნის მანძილზე სენებისა და კელტორების<sup>18</sup> მახლობლად ცხოვრობდნენ. გალებმა ძალზე გვიან, მხოლოდ მაშინ იგემეს პირველად ღვინო, რომელიც იტალიიდან ჩამოიტანეს. ამ სასმელმა ისინი ისე აღაფრთოვანა, რომ მანამდე განუცდელი სიამისაგან ყველამ ჭკუა დაკარგა. მათ იარაღი აიხსეს, თან გაიყოლეს ოჯახები და გაემართნენ ალპებისაკენ, რათა მოეძებნათ ის მიწა, რომელიც ასეთ ნაყოფს იძლევა; ყველა სხვა მხარეს კი ამიერიდან უნაყოფოდ და უდაბურად თვლიდნენ.

პირველი, ვინც მათ ღვინო მიუტანა და იტალიაში შეჭრა შეაგონა, ამბობენ, იყო არონ ტირენელი<sup>19</sup>, კაცი გამოჩენილი და ბუნებით წაუხდენელი, მაგრამ ასეთნაირ უბედურებას გადაყრილი: იგი იყო მეურვე ერთი ობოლი, ოღონდ თანამოქალაქეთა შორის სიმდიდრით უპირველესი, მეტად ლამაზი შესახედაობის ყმაწვილისა, რომლის სახელიც ლუკუმონი გახლდათ. ის თავიდანვე არონთან ცხოვრობდა და როცა სიმწიფეში შევიდა, მეურვის სახლი



როდი მიატოვა: ისე იქცეოდა, თითქოს ხარობდა მასთან ერთად ყოფნით. სინამდვილეში კი დიდი ხნის მანძილზე ფარავდა იმას, რომ მისი უნების ცოლი წაბილწა, თუ — თვითონვე იქნა ქალისაგან შეცდენილი. როცა მათი ვნებები წინ და წინ წაჰყვინძვრებოდა და უკვე აღარ ძალუძდათ ურთიერთ-სიყვარულის არც უკუგდება და არც დაბალვა, ყმაწვილმა კაცმა ქმარს გაუზიარა თავი და აშკარად დაეპატრონა. ქმარმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ ლუკაშონის მეგობრების სიმრავლისა და მის მიერ უხვად დახარჯული ფულის წყალობით ძლეულმა მიატოვა თავისი მხარე. როცა მან გალების ამბავი შეიტყო, მივიდა მათთან და ისინი იტალიაზე სალაშქროდ წაიყვანა.

16. შეიქრნენ თუ არა დათქმულ ქვეყანაში, მყისვე დაიკავეს ის მხარე, რომელსაც ძველისძველ ხანაში ტირენები ფლობდნენ, რომელიც ალბებიდან ორივე ზღვამდეა გადაშლილი, რასაც მათი სახელებიც გვიდასტურებენ. ჩრდილოეთით მდებარე ზღვას ადრიატიკისას უწოდებენ, ტირენიის ქალაქის ადრიას სახელისაგან, ხოლო მის გადამა მდებარეს და სამხრეთით მოქცეულს ტირენიის ზღვა ჰქვია. მთელი ეს მხარე ტყიანია, უხვი საძოვრებითაა დაფარული და დასერილია მდინარეებით. მას ამშვენებდა თვრამეტი ლამაზი და დიდი ქალაქი, კეთილმოწყობილი სახელოსნოებისა თუ ნებიერი ცხოვრებისათვის. ეს ქალაქები ტირენების განდევნის შემდეგ დაიკავეს გალებმა. მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა ბევრად დიდი ხნით ადრე.

17. ახლა კი სალაშქროდ დაძრულმა გალებმა ალყა შემოარტყეს ტირენულ ანუ ეტრუსკულ ქალაქ კლუზიუმს. კლუზიუმელებმა დახმარებისათვის მიმართეს რომაელებს: ბარბაროსებთან ელჩები და რწმუნების ბარათები გაგზავნეთო. გაგზავნეს ფაბიუსის გვარიდან სამი სახელმწიფოეპილი და ქალაქში დიდი პატივის მქონე კაცი. გალებმა ისინი კეთილად მიიღეს რომის სახელოვნების გამო, ქალაქის კედლებთან ბრძოლაც შეწყვიტეს და მოლაპარაკება გამართეს. მათ ჰკითხეს, თუ რა დაუშავეს კლუზიუმელებმა ისეთი, რომ მათ ქალაქის თავს დაესხნენ. გალების მეფემ ბრენოსმა გაიცინა და უპასუხა: „კლუზიუმელები უსამართლოდ გვექცევიან იმით, რომ დაპატრონებული არიან ვრცელ მიწა-წყალს. ამუშავებენ კი მეტად მცირეს, ხოლო ზვენი, უცხო ხალხს, მრავალრიცხოვანსა და უბოვარს, არაფერს გვითმობენ! განა, რომაელებო, თქვენც ასე უსამართლოდ არ გექცეოდნენ უწინ ალბანები, ფიდენატები და არდეატები, ხოლო ახლანა — გეიელები, კაბანები და ფალისკებისა და ვოლსკების მრავალი წარმომადგენელი? თუ ისინი ქონების ნაწილს არ გითმობენ, თქვენ ილაშქრებთ ხოლმე მათ წინააღმდეგ, მონებად აქცევთ მათ, ძარცვავთ და არბევთ მათ ქალაქებს, მაგრამ ამით არაფერ საშინელებასა და უსამართლობას არ სჩადიხართ: თქვენ უბრალოდ მიჰყევით კანონთაგან უძველეს კანონს, რომელიც დაძლეულთა ქონებას აძლევს ძლიერს, ვინც განაგებს ყველას — დაწვებულს ღმერთისაგან და დამთავრებულს მხეცებით. მხეცებშიც კი ბუნებითაა გამჭდარი სურვილი მძლავრი ფლობდეს მეტს, ვიდრე მასზე სუსტები. ამიტომ დაანებეთ თავი ალყაშემორტყმულ კლუზიუმელების სიბრაღეს, რათა არ ასწავლოთ გალებს, სიკეთითა და ღმობიერებით მოექცნენ რომაელებისაგან უსამართლოდ დაჩაგრულებს!“

ამ სიტყვებით რომაელები მიხვდნენ, ბრენოსი არაფერს დათმობდა. ამიტომ ისინი კლუზიუმში მივიდნენ და იქაურებს გამხნევება და წაქეზება დაუწყეს, მათთან ერთად აღმდგარიყვნენ ბარბაროსთა წინააღმდეგ, რომაელებს



ამით ან მათი ძალის გამოცნობა სურდათ, ანდა თავისი საკუთარის ჩვენება. კლუზიუმელები ციხე-ქალაქიდან გამოხტნენ და როცა კედლებთან ბრძოლა გაჩაღდა, ერთმა ფაბიუსთაგანმა, კვინტუს ამბუსტუსმა, თავისი ცხენი ზედ მი- აგდო ერთს ახოვანსა და ლამაზი გარეგნობის გაღს, რომელიც სხვებზე ბევ- რად წინ მოაგელვებდა თავის რაშს. დასაწყისში მოწინააღმდეგე მხარე შეჯახებისა და იარაღის ბრწყინვალეების გამო რომაელს სახეზე გამოეჩინა და იგი ვერც იცნეს. მაგრამ როცა ხელჩართულ ბრძოლაში მან მოპირისპირე დასძლია, ძირს დასცა და იარაღის აყრა დაუწყო, ბრენოსმა მაშინ იგი შეიც- ნო და ღმერთებს მოწმედ მოუხმო: სად გაგონილა ყველა ხალხში აღიარე- ბულ წმიდა და სამართლიანი საერთო ადათწესის ასე გადალახვა და ელჩად მოსული კაცის მებრძოლად ქცევა! ბრენოსმა მყისვე შეწყვიტა ბრძოლა, კლუზიუმელებს მშვიდობა უსურვა და ლაშქარი რომისაკენ დასძრა. მას არ სურდა, ჰკონებოდათ, თითქოს გალები ომის საბაბს წყენინების გამო ეძიებ- დნენ. ბრენოსმა რომაელებთან კაცი აფრინა, სამაგიეროს მისაზღვევად ის ფა- ბიუსი გამოისურვა, თვითონ კი ნელ-ნელა წინ გაემართა.

18. რომში სენატი შეიკრიბა. უმრავლესობა ბრალს სდებდა ფაბიუსს. ქურუმთაგანნი, რომელთაც ფეცილებს ეძახიან, ასევე მკრეხელობად მიიჩ- ნევდნენ მომხდარს და მოითხოვდნენ, სენატს დანაშაული ერთისათვის — ჩამდენისათვის დაეკისრებინა და ამ გზით ყველა სხვა განეწმინდა. ეს ფეცი- ალები მეფეთა შორის ყველაზე სათნო და ყველაზე სამართლიანმა ნუმა პო- პილიუსმა დააყენა მშვიდობის დარაჯებად; მათვე მიანდო განესაჯათ და და- ემტკიცებინათ საბაბი, რომელიც სამართლიანად იძლეოდა ომის აღძვრის ნე- ბას. როცა სენატმა საქმე ხალხს გადასცა და ქურუმებმა კვლავ დასდეს ბრალი ფაბიუსს, ბრბო ისე აგდებით და დაცინვით მოექცა ღვთიურ კანონებს, რომ ფაბიუსი და მისი ძმები სამხედრო ტრიბუნებადაც კი აირჩია. გაიგეს თუ არა ეს, კელტები გაშმაგდნენ, ყოველგვარ დაყოვნებას თავი ანებეს და მთელი სისწრაფით ლაშქრად დაიძრნენ. ხალხები, რომელთა მიწა-წყალზეც ისინი გა- დადიოდნენ, შეძრწუნებულნი იყვნენ მათი სიმრავლით და აღკაზმულობის ბრწყინვალეებით, მათი ძალითა და შემართებით. ყველას ეგონა საკუთარი მიწა- წყალი უკვე დარბეული და ქალაქები სულ მალე დასაღუბავად განწირული. მაგრამ მოლოდინის წინააღმდეგ კელტები არავითარ უსამართლობას არ ჩადი- თდნენ, მინდორ-ყანებიდან არაფერს არ იტაცებდნენ და ოდეს ქალაქთა მახ- ლობლად მოუწევდათ ჩავლა, ყვიროდნენ: რომზე მივემართებით, მხოლოდ რომაელებთან გავმართავთ ომს, ყველა სხვას კი მეგობრებად ვთვლით.

ბარბაროსთა ასეთი სწრაფი მოქმედების საპირისპიროდ სამხედრო ტრი- ბუნებმა საბრძოლველად გაიყვანეს რომელი ჯარისკაცები არცთუ მცირე რა- თდენობისა, — მარტო სრულად შეიარაღებული მეომრების შემადგენლობა ორმოც ათასს აღწევდა. ოღონდ უმრავლესობა გაუწვრთნელი იყო და ბევრმა იარაღი მხოლოდ მაშინ დაიჭირა პირველად ხელში. ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ უგულებელყვეს ღვთაებრივი ადათ-წესები, არ დაელოდნენ მსხვერპლ- შეწირვის კეთილ ნიშნებს და არც მისნებს დაჰკითხებიან, რაც მოსალოდნელი საფრთხისა და ბრძოლის წინ ეგზომ შესაფერისია. საკმაოდ აურ-დაურიი საქმე მრავალუფლებს. უწინ, ბევრად უფრო მცირე ბრძოლის წინაც კი, ხში- რად ირჩევდნენ ხოლმე ერთ მბრძანებელს (რომაელები მას დიქტატორს ეძა- ხიან), რადგან ესმოდათ, რაოდენ სასარგებლოა საფრთხის უამს ერთი აზრისა



და გადაწყვეტილების აღსასრულებლად იმის მორჩილებაში ყოფნა, ვისაც ხელთ უპყრია შეუზღუდავი ძალა-უფლება და სამართალი. ამას გვხვდა, მცირე ვნება როდი მოუტანა საქმეს კამილუსის წყენინებამ. განსაკუთრებით იგრძნეს ეს ახლა, როცა საშიში გახდა ჯარის მართვა მისი მოფერებისა და გულის მოგების გარეშე. ქალაქიდან ოთხმოცდაათი სტადიონის მანძილზე შემდეგ რომაელები დაბანაკდნენ მდინარე ალიასთან, რომელზეც სწორედ მანაკის მახლობლად ერთვოდა ტიბრს. მალე აქ ბარბაროსები გამოჩნდნენ; რომაელები მათთან ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ სამარცხვინოდ იბრძოდნენ და უწყესრიგობის გამო უკუგდებულ იქნენ. მათი მარცხენა ფრთა კელტებმა მყისვე მიაგდეს მდინარესთან და მოსპეს. მარჯვენა ფრთამ მტრის მოწოლის გამო ველიდან გადაუხვია, ბორცვი დაიკავა და შედარებით ნაკლებად დაზარალდა. ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილი მტერს ხელიდან დაუსხლტა და ქალაქისაკენ ვაეშურა. ზოგიერთები კი გადარჩნენ იმის გამო, რომ მტერს მობეზრდა ხოცვა-ჟლეტა. გადარჩენილთა ეს ნაწილი ვეის ციხე-სიმაგრისაკენ გაიქცა: ეგონათ, რომი დაეცა და იქ ყველაფერი განადგურდა.

19. ეს ბრძოლა მოხდა საზაფხულო მოქცევისა და მთვარის გავსების ეამს, სწორედ იმ დღეს, როცა ფაბიუსებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს: მათი გვარიდან მაშინ სამასი ვაჟკაცი მოსპეს ტირენებმა<sup>20</sup>. მერე მარცხის აღსანიშნავად საბედისწერო დღემ<sup>21</sup> მდინარისგან მიიღო სახელი და აქამდე „ალიას დღედ“ იწოდება.

რაც შეეხება კვიმატ დღეებს, საჭიროა მათი დადგენა, თუ მართალია ჰერაკლიტე, როცა კიცხავს ჰესიოდეს<sup>22</sup>: ამან არ უწყის, რამეთუ ყოველი დღის ბუნება ერთია და ზოგს კარგ დღედ მიიჩნევს, ზოგს კი თარსადო; — აი ეს რთული საკითხი სხვაგან გვაქვს განხილული<sup>23</sup>. მაგრამ წინამდებარე ნაშრომშიც რომ დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი, ურიგო არ იქნება.

ბეოტიელებს, მეხუთე დღე რომ დადგა ჰიპოდრომიონის თვისა, რომელსაც ათენელები ბოედრომიონს უხმობენ, წილად ხვდათ ორი ყველაზე გამოჩენილი გამარჯვება, რომლებმაც ბერძნებს თავისუფლება მოუტანეს. ერთი იყო ლევქტრასთან, მეორე კი — ორასი წლით ადრე — კერესოსთან, როცა თესალიელები და მათი წინამძღოლი ლატამია დაამარცხეს. ელინებმა სპარსები დაამარცხეს ბოედრომიონის მეექვსე დღეს მარათონში, მესამე დღეს პლატეასა და ასევე მიკალესთან, ხოლო მეხუთე დღის დამლევს — არბელესთან. ბოედრომიონის თვეშივე, სავსე მთვარას ეამს, ათენელებმა ნაქსოსთან გაიმარჯვეს საზღვაო ბრძოლაში, რომელსაც ხაბრია წინამძღოლობდა, ხოლო მეოცე დღეს სალამინზე იმძლავრეს, რაც ნაჩვენები გვაქვს წიგნში „დღეთათვის“. თარგელიონის თვემაც აშკარად ბევრი უბედურება მოუტანა ბარბაროსებს<sup>24</sup>. სწორედ თარგელიონის თვეში დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა გრანიკოსთან მეფის<sup>25</sup> სარდლები; ამ თვის მეშვიდე დღის გასულს დასასლია კართაგენელები სიცილიასთან ტიმოლეონტმა; თარგელიონის ამ დღეს ვარაუდობენ ილიონის აღებასაც, როგორც გადმოგვცემენ ეფოროსი, კალისტენე, დამასტე და თილარქე.

რაც შეეხება მეტაგეიტნიონის თვეს, რომელსაც ბეოტიელები პანემონს უწოდებენ, იგი არ გამოდგა ელინებისათვის კეთილი. ამ თვის მეშვიდე დღეს ბეოტიელები კრანონთან ბრძოლაში<sup>26</sup> დამარცხდნენ და სავსებით შეიმუხრნენ ანტიპატრესაგან, ხოლო უფრო ადრე მათ ქერონეაში ფილიპეს წინააღმდეგ



ბრძოლის უამს დაატყდათ თავს უბედურება იმავე წლის მეტაგეიტნიონის თვის იმავე დღეს არქიდამეს მეთაურობით იტალიაში გადასული ბერძნები მოისვრნენ იქაურ ბარბაროსთა ხელით. კართაგენელები ხსენებული თვის მეცხრე დღის მიწურულს ერიდებიან, ვითარცა მათთვის ყველაზე მრავალ და დიდ უბედურებათა მომტანს. ჩემთვის ცნობილია რომ ალექსანდრემ მძევს-თან გაასწორა თებე წმიდა საიდუმლოებათა აღსრულების უამს, ~~ამის შემდეგ~~ შემდეგ ათენელებმა მაკედონელთა მცველი რაზმი მიიღეს ქალაქში ბოედრო-პიონის თვის ოცი რიცხვისათვის, სწორედ იმ დროს, როცა წმიდა საიდუმ-ლოების აღსასრულებლად იაკხოსის გამოსახულება გამოაქვთ ხოლმე. ამის მსგავსადვე რომაელებმა ერთსადა იმავე დღეს — ჯერ იყო და — კიმბრებ-თან ბრძოლაში დაკარგეს ცეპიონის გამგებლობაში მყოფი ბანაკი, ხოლო მერმე — უფრო გვიან — ლუკულუსის წინამძღოლობით დაამარცხეს არმენები და მათი მეფე ტიგრანი. მეფე ატალე და პომპეუს დიდი თავიანთი დაბადების დღეს დაიხოცნენ. საერთოდ მრავალი მაგალითის ჩვენება შეიძლება, როცა კაცს ერთი და იგივე დღე ორივე მხრივ — კეთილადაც და ავადაც შემო-ბრუნებია.

ასეა თუ ისე, ზემოხსენებული დღე რომაელთათვის ყველაზე უფრო სა-ბედისწეროდ ითვლება და ასეთივეა ყოველი თვის მომდევნო ორი დღე, ვი-ნაიდან თავს დატეხილი შიში და ცრურწმენა ჩვეულებრივზე მეტად გაფარ-თოვდა. ეს ამბავი საფუძვლიანად არის მოთხრობილი „რომაულ ძიებებში“<sup>28</sup>.

20. ხსენებული ბრძოლის შემდეგ გალები რომ მაშინვე ლტოლვით გას-დევნებოდნენ, ვერაფერი ვერ გადაარჩენდა რომს სრული აღგვისაგან და შიგ-თავშეფარებულთ სრული მოსპობისაგან, ლტოლვილებმა მაშინ ქალაქში დამხდურთ მეტისმეტი შიში მოჰგვარეს და თვითონაც საშინლად იყვნენ შეძ-ძრწუნებულნი და გონებადაკარგულნი. საქმე ის გახლდათ, რომ ბარბაროსები რწმენით ვერ მოეკიდნენ მაშინდელ დიდ გამარჯვებას და არც დიდი სიხარული განუცდიათ. ისინი ხალისით მხოლოდ ბანაკში ნადავლად ჩაგდებული ქონების განაწილებას შეუდგნენ და ამით ქალაქიდან დაძრულ ბრბოს უადვილესი გაქ-ცევის, ხოლო დარჩენილთ — იმედისა და მომზადების საშუალება მისცეს.

ქალაქში დარჩენილმა რომაელებმა რომის ყველა ნაწილი ბედის ანაბარა მიაგდეს და მხოლოდ კაპიტოლიუმს ამაგრებდნენ კედლებით და ამარაგებდ-ნენ სატყორცნი იარაღით. უწინარეს ყოვლისა კაპიტოლიუმში დააბინავეს ზოგიერთი წმინდა საგანი, ხოლო ღმერთქალ ვესტას<sup>29</sup> ცეცხლი გაიტაცეს ქურუმებთან ერთად ქალაქიდან ლტოლვილმა ქალწულებმა<sup>30</sup>.

ზოგიერთები გადმოგვცემენ, რომ ვესტას მსახური ქალწულები არაფერს არ იცავენ მარად ჩაუქრობელი ცეცხლის გარდა, რომლის თაყვანისცემაც, ვითარცა ყოვლის საწყისისა, ჯერ კიდევ მეფე ნუმამ დაადგინა. მართლაც, ბუნებაში ყველაზე უფრო მოძრავი სწორედ რომ ცეცხლია, წარმოშობა და არსებობაც ერთგვარი მოძრაობა ანდა მოძრაობასთან დაკავშირებული მოვლე-ნაა. ნივთიერების ყველა სხვა ნაწილი, რომელიც მოკლებულია სითბოს, გვა-მების მსგავსად უმოძრაოდ და ფუჭად ძევს და ნატრობს ცეცხლის ძალას, ვით სულს. როგორც კი დაეუფლება ეს ძალა რაღაცნაირად საგანს, საგანი იგი მაშინვე მიიქცევა მოქმედებისა და მგრძნობელობისაკენ. სწორედ ამიტომ ნუ-მამ, არაჩვეულებრივად გამორჩეულმა და, როგორც ამბობენ, სიბრძნის წყა-ლობით მუზებთან წილნაყარმა ვაჟკაცმა, ცეცხლი წმინდანად აღიარა და ბრძა-



ნა ფხიზლად დაეცვათ იგი, როგორც ყოვლის მომწესრიგებელი მარტყოფილი ძალის გამოსახულება.

სხვა მწერლები გვამცნობენ, რომ ეს ცეცხლი, ისევე როგორც ბერძნებთან, ტაძრის წინ ანთია ვით გამწმენდი ძალა, ხოლო ტაძრის შიგნით დაფარულია წმიდა საგნები, რომელთა ხილვა ძალუძთ მხოლოდ დამწმინდულ ვესტალებად წოდებულ ქალწულებს, ვინც ზემოთ მოვიხსენიეთ. განსაკუთრებით კარბობს გადმოცემა იმის თაობაზე, თითქოს ტაძრის შიგნით ინახებოდეს ენეასის მიერ იტალიაში ჩამოტანილი ტროას პალადიუმი<sup>21</sup>.

არიან ისეთებიც, რომლებიც ზღაპრისებრ მოგვითხრობენ, თითქოს დანოსმა ტროაში ჩამოიტანა სამოთრაციული კერპები და როცა ქალაქი დააფუძნა, მას შესწირა სინი და წმიდა საიდუმლოებათა აღსრულების წესიც დაადგინა. ტროას აღების შემდეგ ხსენებული კერპები ენეასმა გაიტაცა და იტალიაში დასახლებამდე იცავდა მათ. ისინი კი, რომელთაც სურთ ზოგი რამ დაუმატონ ამ ამბავს, რაკი მეტი ცოდნა აქვთ, ამბობენ, რომ ტაძარში დგას არც თუ დიდი მოცულობის ორი თიხის კასრი, რომელთაგან ერთი ღიაა და ცარიელი, მეორე კი სავსე და დაბეჭდილი. მათი ხილვა ძალუძთ მხოლოდ ზემოხსენებულ წმიდა ქალწულებს. ზოგიერთი ფიქრობს, ამ გადმოცემაში არის შეცდომა, რაც გამოიწვია იმან, რომ ქალწულებმა ტაძრის კუთვნილი ბევრი საგანი ჩაყარეს თიხის ორ კასრში, რომლებიც მერმე კვირინუსის ტაძრის ქვეშ ჩაფლეს. ამ ადგილს ჯერ კიდევ ახლაც მეტსახელად „პითისკოსი“ — ანუ „კასრეთი“ ეწოდება.

21. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დიადი წმიდა საგნები ქალწულებმა თან წაიღეს და მდინარის სანაპიროთი გარბოდნენ. ქალაქიდან გაქცეულთა შორის იყო ერთი უბრალო წარმოშობის კაცი ლუციუს ალბინუსი, რომელსაც ურმით მიჰყავდა პატარა ბავშვები, ცოლი და მიჰქონდა აუცილებელი საგნები. როგორც კი დაინახა ამან მის გვერდით მიმავალი, მიუსაფარი და ტანჯული მსახური ქალწულები, რომლებსაც უბით ღმერთთა კუთვნილი წმიდანოვები მიჰქონდათ, მყისვე გადმოსვა ურმიდან ცოლ-შვილი, გადმოზიდა ნივთებიც და ურემი ქალწულებს დაუთმო, რათა ზედ დამსხდარიყვნენ და რომელიმე ბერძნულ ქალაქამდე მიედწიათ. ყველაზე უმძიმეს დროს ალბინუსის მიერ გამომცლავნებული ღეთისმრეშობისა და კეთილშობილების მოუხსენებლად გვერდის ავლა არ იქნებოდა ღირსეული საქმე!

სხვა ღმერთების ქურუმებმა, ხანში შესულმა კონსულყოფილებმა და ტრიუმფატორებმა ქალაქი ვერ დატოვეს; სავედრებელ წმიდა და ბრწყინვალე სამოსში გამოწყობილებმა ქურუმთუხუცესის ფაბიუსის წინამძღოლობით ღმერთების მიმართ აღთქმა აღავლინეს, რომ სამშობლოს გულისათვის საკუთარ თავებს უზენაესის წინაშე მსხვერპლად დებდნენ. საგანგებოდ მორთულნი ამის შემდეგ ფორუმზე სპილოს ძვლისაგან ნაკეთებ სავარძლებში ჩასხდნენ და თავიანთ ბედს დაელოდნენ.

22. ბრძოლის მესამე დღეს ბრენოსი თავისი ჯარით რომს მიადგა. ქალაქის ტიშკარი რომ ღია და ზღუდენი უდარაჯონი იხილა, ჯერ შეშინდა: ჩასაფრებასა და ვერაგობას არ ჰქონდეს ადგილიო. არ სჯეროდა, რომ რომაელები ასე ხელაღებით მიატოვებდნენ წინააღმდეგობას. მერმე კი, როცა სინამდვილე შეიტყო, „კოლინის ტიშკრით“<sup>32</sup> რომში შევიდა და ქალაქი აიღო. მოხდა ეს ამბავი სამას სამოც წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ დაარსებიდან



ქალაქისა, თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ დროთა აღრიცხვის სიზუსტეს, მეტადრე, როცა სადაოა გაცილებით უფრო ახალ ხანათა ამბების ვადის განსაზღვრაც გაურკვეველობის გამო<sup>33</sup>.

უბედურებისა და ქალაქის აღების ამბავის თაობაზე რაღაც მსჯელობამ, ეტყობა, მაშინვე მიაღწია ელადას. პერაკლიდე პონტოელის<sup>34</sup> წიგნში<sup>35</sup> არცთუ დიდი ხნის შემდგომ ცხოვრობდა, თხზულებაში „სულისათვის“ ამბობს, რომ დასავლეთიდან დაირხა ხმა, თითქოს გადამა მდებარე ჰიპერბორეებიდან მოვიდა ლაშქარი და აიღო სადღაც იმ მხარეში, დიდი ზღვის სანაპიროზე დასახლებული ელინური ქალაქი რომი. მე სრულიადაც არ მიკვირს, ამ მეზღაპრე და ამბავთა შემთხვევლმა პერაკლიდემ რომ ქალაქის აღების თაობაზე ჭეშმარიტ გადმოცემას ტრაბახობისათვის ჰიპერბორეები და დიდი ზღვა მიაკერა. ცხადია, რომ ფილოსოფოს არისტოტელეს კელტების მიერ ქალაქის აღების თაობაზე ზუსტი ამბავი აქვს მოსმენილი: ოღონდ ესაა, ამბობს: რომი ლუციუსმა დაიხსნაო. სინამდვილეში კამილუსი მარკუსი იყო და არა ლუციუსი; თუმცა, უნდა ითქვას, სახელი ვარაუდზეა მოხსენებული.

დაიკავა თუ არა რომი, კაპიტოლიუმის გარშემო ბრენოსმა დაცვა ჩააყენა, თვითონ კი ფორუმზე ჩავიდა და გაცილებით შესცქეროდა სავარძელში მდუმარედ ჩამსხდარ, საგანგებოდ მორთულ პირთ, რომლებიც ფეხზე არ წამოდგომიან მოსულ მტრებს და არც ფერფური შეცვლიათ სახეზე. აუღელვებლად და უდრტვინველად დაყრდნობოდნენ ისინი თავიანთ კვერთხებს და მშვიდი მზერით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ამ საოცარმა სანახაობამ გალები დააბნია და კარგა ხანს ვერ გაბედეს მიახლოება და ხელის ხლება; ვაითუ ყოვლისშემძლენი არიანო. ბოლოს ერთმა გალთაგანმა მხნეობა მოიკრიბა, ახლოს დაუდგა მარკუს პაპირიუსს, ნაზად მიუტანა ხელი ნიკაპთან და გრძელ წვერს ეჭაჩებოდა. პაპირიუსმა მას კვერთხი დაჰკრა და თავი გაუხეთქა. ბარბაროსმა მახვილი იშიშვლა და პაპირიუსი სიცოცხლეს გამოასალმა. ამის შემდეგ გალები თავს დაესხნენ დანარჩენ მოხუცებს და ამოხოცეს. მერმე კი კლავდნენ ყველას, ვინც ხელთ ჩაუვარდებოდათ და ძარცვავდნენ სახლებს. მრავალი დღის ძარცვა-გლეჯის შემდეგ მათ გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს ქალაქი კაპიტოლიუმის დამცველებზე განრისხებულებმა: ამათ უარყვეს დამორჩილების წინადადება და თავდასაცავი ბრძოლებით მომხდურებს დიდ ვნებას აყენებდნენ. ამის გამო დაარბიეს გალებმა ქალაქი და ამოჟლიტეს ყველა ტყვე განურჩევლად, კაციცა და ქალიც, მოხუცებიც და ბავშვებიც.

28. ქალაქის ალყა მეტად გაგრძელდა. გალებს სურსათის მომარაგება დასჭირდათ. ამიტომ დაიყვნენ: ერთი ნაწილი მეფესთან დარჩა და კაპიტოლიუმს დარაჯობდა, მეორე ნაწილი კი ქვეყანას აოხრებდა: თავს ესხმოდნენ და არბევდნენ სოფლებს, მაგრამ ყველანი ერთად კი არა, არამედ ცალ-ცალკე რაზმებად დაყოფილნი სხვადასხვა კუთხისათვის. წარმატებით გაყოყობებულნი სრულებათ უშიშრად მოედვნენ იქაურობას. მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად იცავდა წესრიგს, დაიძრა არდეელეების ქალაქისაკენ<sup>36</sup>, სადაც რომიდან ლტოლვის შემდეგ ცხოვრობდა კამილუსი. იგი ვითარცა კერძო პიროვნება, საერთო საქმეში არავითარ მონაწილეობას არ ლებულობდა. მაგრამ იგი როდი ცდილობდა როგორმე დამალვოდა და დასხლტომოდა მტერს. პირიქით, იმედოვნებდა და გეგმავდა მასთან შეხვედრას; ფიქრით ნატრობდა დროს, როცა მოიგერიებდა მას.



იგი ხედავდა, არდეელები საკმაო სიმრავლისანი იყვნენ, მაგრამ სარდალთა გამოუცდელობისა და უნებისყოფობის გამო აკლდათ მხნეობა და გამბედაობა. თავდაპირველად მან სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს: „მეგონიათ, რომაელთა უბედურება კელტების მამაცობის მიზეზი იყოს; იმ ვნებას, რაც ვითარების ცუდად განმსჯელთ მოუვიდათ, სრულიად ნუ მწყვეთელნი გამარჯვებულს მისეულ საქმედ. იგი ბედისწერის გამოვლენად უნდა მიიჩნიოთ, სასახელოა, თუნდაც დიდი საფრთხის ფასად, იმ უცხო-ბარბაროსული ტომის ბრძოლის მოგერიება, რომელიც ძლევის საზღვრად, ისე ვით ცეცხლი, დამარცხებულთა სრულ მოსპობას თვლის. მიუხედავად ამისა, თუ მხნეობას მოიგრებთ და სულიერ სიმტკიცეს გამოიჩენთ, დაგიდგებათ დრო და სრულიად უსაფრთხოდ მიაღწევთ გამარჯვებას!

ეს სიტყვები ახალგაზრდებმა ხალისიანად აიტაცეს, ხოლო კამილუსი არდეელთა გამგებლობისა და მათი საბჭოსაკენ გაეშურა. ესენი კამილუსს დაეთანხმნენ და მანაც იარაღი აასხა ყოველს, ვისაც კი ბრძოლა ძალუძდა, მაგრამ შეკრებილნი ქალაქის ზღუდეთა შიგნით დააკავა იმ ზრახვით, რომ ახლოს მყოფ მტერს მზადების ამბავი არ გაეგო. ამასობაში ცხენებზე ამხედრებულმა გალებმა მთელი მხარე დააწიოკეს და დატაცებული მძიმე ნადავლით უკან დაბრუნებულნი ველზე დაცემულ ბანაკში უზრუნველსა და უდარდელ განსვენებას მიეცნენ. როცა ღამე კარგად ჩამოწვა და შეზარხოშებულ ბანაკს სრული ღუმილი დაეუფლა, მზვერავთაგან გაფრთხილებულმა კამილუსმა არდეელები გარეთ გამოიყვანა. მან მშვიდად გამოიარა მთელი გზა და შუალამის ქამს მტრის ბანაკს შეერია. ყოველმხრივ ამტყდარმა განუწყვეტელმა ყიჟინმა და ბუკთა ხმამ თავზარი დასცა მოწინააღმდეგეს; სიმთვრალისა და ღრმა ძილისაგან გაოგნებული მეომრები კარგა ხანს ვერ მიხვდნენ საერთო შეშფოთების მიზეზს — მხოლოდ მცირეოდენნი გამოფიზლდნენ შიშისაგან, დაიქსაქსნენ და კამილუსის ხალხს წინააღმდეგობის გაწევა დაუწყეს, მაგრამ მალე ბრძოლაში დაიხოცნენ. გალების უმრავლესს ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ ღვინისა და ძილის ძალას ჰყავდა შებოჭილი, არდეელები მოულოდნელად დაესხნენ თავს და უღმობელად დაუწყეს ქლეტა იარაღთსხმელთ. იმ მეომართა მცირე რაოდენობა, რომლებიც ღამით გაიქცნენ ბანაკიდან და მიმოიფანტნენ, ცხენოსნებმა დაიხელთეს და ერთიანად მოსპეს.

24. ხმა შესრულებული საქმის თაობაზე სწრაფად დაირხა ქალაქებში და ბრძოლად ადაგზნო მრავალი კაცი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. ყველაზე მეტად ამ ხმამ ააღელვა ის რომაელები, რომლებიც ალიასა და ვეისთან გამართულ ბრძოლებს გამოექცნენ. ისინი ერთმანეთს შესჩიოდნენ: „რანაირი სარდალი წარსტაცა ღვთაებამ რომს; კამილუსის საბრძოლო წარმატებებით მან არდეელები შეამკო მაშინ, როცა ამ ვაჟკაცის შემქმნელი და იამზრდელი ქალაქი დაეცა და ეიშუსრა! ჩვენ, უმხედართმთავრებოდ დაშთ, აღნი და იტალიის ბედზე მიმტოვებელნი სხვის ზღუდეთ შევფარვივართ! მოდით, გავგზავნოთ არდეელებთან კაცები და გამოვითხოვოთ მათი სარდალი, ანდა ავისხათ იარაღი და ჩვენ თვითონვე წავიდეთ მასთან! კამილუსი ხომ უკვე ლტოლვილი აღარ არის და არც ჩვენ ვართ მოქალაქენი, რადგან ჩვენი სამშობლო აღარ არსებობს, რამეთუ მას მტერი დაეუფლა!“ აგრე გადაწყვიტეს და აფრინეს კაცები კამილუსთან თხოვნით — მიეღო გამგებლობა. ამან განაცხადა, რომ მა-



ნამდე არ შეასრულებდა თხოვნას, სანამ კაპიტოლიუმზე მყოფი მოქალაქენი გადაწყვეტილებას კანონით არ მიიღებდნენ: მე მათ სამშობლოს მხსნელებად ვთვლი და მათ ბრძანებას ხალხით დავემორჩილები, ხოლო მათი სურვილის გარეშე თითსაც არ გავანძრევო! კამილუსის წინდახედულობამ და ზნეკეთილობამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია; მაგრამ მეტად ძნელი იქნა ამ ამბის მიტანა კაპიტოლიუმზე. საერთოდ შეუძლებელი ჩანდა მათწყებლის შეღწევა ციხესიმაგრეში, როცა მთელი ქალაქი მტრებს ეკავათ.

25. რომაელ ჭაბუკთა შორის იყო ერთი ახალგაზრდა პონტიუს კომინიუსი, წარმოშობით საშუალო ფენის მოქალაქე, მაგრამ დიდი სახელისა და პატივის მოყვარე. აი ამ ახალგაზრდამ იკისრა ძნელი საქმის შესრულება. კაპიტოლიუმის დამცველებთან მას წერილი არ წაუღია იმიტომ, რომ თუ შეიპყრობდნენ, კამილუსის განზრახვა მტრებს ამ გზით არ გაეგოთ. სამოსელი უბრალოზე უბრალო ეცვა და შიგ კორპის ხის კანის ნაჭრები ეწყო. ძირითადი ნაწილი გზისა დღისით უსაფრთხოდ განვლო და შებინდებისას უკვე ქალაქს მიუახლოვდა. მდინარეზე ხილით გადასვლა შეუძლებელი იყო, რადგან მას ბარბაროსები დარაჯობდნენ. პონტიუსმა თავისი მცირე და მსუბუქი ტანსაცმელი თავზე მოიხვია, კორპის ნაჭრების მეოხებით წყალზე თავი შეიმაგრა; მდინარე გადალახა და ქალაქში ავიდა. შუქისა და ხმაურის მეოხებით გაფრთხილებული, იგი განუწყვეტლივ უვლიდა გვერდს ფხიზლად მყოფ დარაჯებს და მიემართებოდა კარმენტის ჭიშკრისაკენ, რომელიც უმშვიდესი ადგილი იყო. კაპიტოლიუმის ბორცვი აქ ყველაზე მეტადაა დაფერდებული და გარშემორკალურია ციცაბო კლდეებით. ამ ფერდობზე აცოცდა შეუმჩნევლად პონტიუსი და ზღუდის უვიწროესსა და ძნელად მისადგომ ადგილის მცველთ შერია. იგი მათ მიესალმა, დაუსახელა თავისი თავი და მათი თანხლებით ხელისუფალთ წარუდგა. სასწრაფოდ შეიკრიბა სენატი. პონტიუსმა სხდომას კამილუსის გამარჯვების უცნობი ამბავი აუწყა და ჯარისკაცთა გადაწყვეტილების თაობაზე მოუთხრო. შემდეგ მან სენატს სთხოვა, დაემტკიცებინა კამილუსის ძალაუფლების რწმუნება: ქალაქგარეთ მყოფნი მხოლოდ და მხოლოდ მას დაემორჩილებიანო. სენატმა მოსმენილი განსაჯა და კამილუსი დიქტატორად დანიშნა, პონტიუსი კი იმავე გზით უკან გაგზავნა. ამას ბედმა კვლავ გაუღიმა: მან შეუმჩნევლად აუქცია გვერდი მტერს და ქალაქგარეთ მყოფ რომაელებს სენატის გადაწყვეტილება აუწყა.

26. ეს რომაელები ხსენებულ გადაწყვეტილებას ხალხით შეეგებნენ და როცა კამილუსი მათთან მივიდა, თრი ათასი კაცი იარაღსხმული დახვდა.

მეორეგზის დიქტატორად არჩეული და ვეის ციხესიმაგრეში მისული კამილუსი ჯარისკაცებს შეხვდა და მერმე მოკავშირეთაგან დამატებითი ძალების შეკრება დაიწყო, რათა მტერზე იერიში მიეტანა. სწორედ ამ დროს რომში რამდენიმე ბარბაროსმა შემთხვევით იმ ადგილს ჩაუარა, საიდანაც პონტიუსი ღამით კაპიტოლიუმზე აბობლდა. ბარბაროსებმა მრავალგან შენიშნეს ხელფეხის კვალი, — პონტიუსი ხომ ცოცვის ჟამს ყველაფერს ეკიდებ-ებლაუქებოდა; ციცაბოებზე მრავლად იხილეს აგრეთვე გადაგლეჯილი მცენარეები, ამოჩიქნილი მიწა და ეს ამბავი თავიანთ მეფეს აუწყეს. მეფე აქ მოვიდა, ყველაფერი დაათვალიერა, მაგრამ მაშინ ხმა არ ამოუღია, სადამო ჟამს კი თავი მოუყარა ყველაზე მარდსა და მთებზე ასვლაში ყველაზე უფრო დაოსტატებულ გალებს და ასე უთხრა: „გზას, რომელიც ჩვენთვის უცნობი იყო, მტრები



გვიჩვენებენ. იგი სრულიადაც არ ყოფილა გაუვალი და ადამიანისათვის ფეხ-დაუდგმელი. დიდი სიოცხვილი იქნება, დაწყებული საქმე შესრულებლად მივატოვოთ და დავაგდოთ ეს ადგილი ვითარცა გაუვალი მაშის, როცა თვითონ მტერი გვასწავლის ვით ავიღოთ იგი! სადაც ძნელია შესრულებისათვის, სრულიადაც არ არის ძნელი მრავალი კაცისათვის — განსაკუთრებით: ერთმანეთის შედგომა და შემწეობა დიდ ძალას მისცემს საქმეს! სამაგიეროდ გამოჩენილი მამაცობისათვის თითოეული დაჯილდოვდება საჩუქრებითა და შესაფერისი პატივით!“

27. გალები ხალხით დაეთანხმნენ მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, შუალამისას მრავლად მოიყარეს თავი კლდესთან და უჩუმრად ზეალსკლა დაიწყეს. მართალია, ადგილმდებარეობა, რომელზედაც ბობლვით აღიოდნენ, მეტად დაქანებული იყო და ძნელად დასადლქვი, მაგრამ გაცილებით უფრო მისაწვდომი შეიქმნა, ვიდრე მოელოდნენ. წინ მყოფნი, რომლებმაც მწვერვალს მიაღწიეს, უკვე ემზადებოდნენ კედელზე გადასასვლელად, რათა მიძინარე მცველებს თავს დასხმოდნენ არც კაცსა და არც ძალს არაფერი არ უგრძნია.

იუნოს ტაძარს იმ ხანებში ჰყავდა შეწირული ბატები, რომელთაც უწინ უხვად კვებავდნენ, ახლა კი, როცა ხალხს თვითონ აკლდა საქმელი, ისინი უყურადღებოდ დარჩნენ და შიმშილობდნენ. ბატი ბუნებით საერთოდ ძალზე მხდალი და მგრძნობიარე სულდგმულია და ტაძრის ბატებმაც, რომელთაც შიმშილისაგან ძილი და მოსვენება დაკარგული ჰქონდათ, მყისვე იგრძნეს გალების მოახლოება. ისინი საშინელი ყიფინით გაეშურნენ მომხდურებისაკენ და ატეხილი ხმაურით ყველა გააღვიძეს. ბარბაროსები მიხვდნენ, რომ დაფარული მოქმედებით ვერაფერს გახდებოდნენ და ამიტომ უკვე ძალდატანებით ამკარა იერიშზე გადავიდნენ. რომაელებმა, ვისაც როგორ მოუხდა, ხელი სტაცეს იარაღს და მტერს თავისი ძალა დაახვედრეს. რომაელთაგან მტერს პირველი შეეგება მალიუსი, კონსულად ნამყოფი კაცი, ძლიერი აღნაგობისა და სულიერი სიმტკიცით გამოჩენილი. იგი ორ ბარბაროსს წააწყდა ერთად და პირველს, რომელმაც უკვე აღმართა მახვილი, თავისი ხმლით მარჯვენა მოკვეთა, მეორეს კი ფარი დაჰკრა სახეზე და უკანვე კლდეზე გადააგდო. მალიუსი ზღუდეზე დადგა და მისაშველებლად მოსულ რომაელების დახმარებით უკუაგდო დანარჩენი გალებიც, რომლებიც კლდეზე არცთუ მრავლად ამოსულიყვნენ და ვერც საჭირო გამბედაობით მოქმედებდნენ. ასე აიცილნენ საფრთხე თავიდან რომაელებმა, ხოლო გამთენიისას დარაჯთა მეთაური კლდიდან მტრებთან გადააგდეს, მალიუსი კი ვაეკაცობისათვის დააჯილდოვეს. ჯილდო უფრო მეტად საპატიო იყო, ვიდრე ნივთიერად სასარგებლო. სახელდობრ: ყოველმა მიუტანა მალიუსს თავისი წილი დღიური საზრდო — იქაური ჰემილიტროსი პური (რომაულად ამ წონას „სემილიტერი“ ეწოდება) და მეოთხედი ბერძნული კოტილე ღვინო.

28. ამ ამბის შემდეგ კელტთა საქმენი უკან-უკან წავიდა. შემთავლდათ სურსათი, რადგან კამილუსის შიშით ჩაკეტილნი იყვნენ და მარაგისათვის გარეთ გაჰკრა აღარ ძალუძდათ, თან შემმუსვრელი ავიდმოყოფობაც შეეყარათ ნანგრევებთან დადგმული კარვების გარშემო დაზვავებული ჯაშუებიდან. დამწვარ ლეშთა სქელი ფერფლი ქარის ქროლითა და სიციხით გამოშრობლი, აქოთებულ ჰაერს წამლავდა და სასუნთქავად უვარგისს ხდიდა. გახსაკუთრებით გაუჭირდათ ჩვეული ცხოვრების წირის შეცვლა: ჩრდილოვანი და ზაფხულის



სიცხისაგან მრავალი და მარჯვე თავშესაფარის მქონე ადგილებიდან ისინი ახლა აღმოჩნდნენ დაბლობ და ამ შემოდგომის ჟამსაც არეული ამინდის მხარეში; აწუხებდა მათ აგრეთვე კაპიტოლიუმთან ხანგრძლივი და უქმი ჯდომა; შეშვიდე თვე იყო, რაც მის ალყას იცავდნენ, ბანაკი სრული შემუსვრის მდგომარეობაში იყო; დახოცილებს სიმრავლის მიზეზით უკვე ვეღარ მარხავდნენ.

არც ალყაში მოქცეულთა მდგომარეობა გახლდათ უკეთესი. შიმშილი ძლიერდებოდა. გუნება-განწყობილებას უფუჭებდათ კამილუსის შესახებ ცნობების უქონლობაც, ვინაიდან მისგან ვერავინ ვერ აღწევდა მათთან, ისე ბეჯითად იცავდნენ ბარბაროსები ქალაქს. რაკილა ორივე მხარე მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა, მათ შორის დაიწყო მოლაპარაკება. მოლაპარაკება უწინარეს ყოვლისა დაიწყო დარაჯებმა, რომლებიც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. როცა ეს ხელისუფლებმა გაიგეს, მერმე უკვე სამხედრო ტრიბუნმა სულპიცისმა გამართა მოლაპარაკება ბრენოსთან. შეთანხმდნენ, რომ რომაელები გადაიხდიდნენ ათას გირვანქა ოქროს, ხოლო გალები, როცა დათქმულს მიიღებდნენ, მყისვე გაშორდებოდნენ ქალაქსა და საერთოდ რომაელთა ქვეყანას. პირობა ფიცით განამტკიცეს და ოქროც მოიტანეს, მაგრამ კელტებმა სასწოროთა ჯერ დაფარულად, მერმე კი აშკარა მრუდობა დაიწყეს და საპირწონეს თავისკენ ხრიდნენ, რაზეც რომაელები წყრომით უპასუხებდნენ. ბრენოსმა ქედმაღლურად და დაცინვით მახვილი იშიშვლა, ქამარიც შემოიხსნა და ორივე სასწოროს ცალ მხარეს დააგდო. „რა არის ესო?“ — ჰკითხა სულპიცისმა. „რა უნდა იყოს, თუ არ დამარცხებულთა ვაი-უბედურება?!“<sup>36</sup> ეს პასუხი მერმე ანდაზად იქცა. რომაელთა ერთი ნაწილი ბოზოქრობდა და თვლიდა, რომ საჭირო იყო ოქრო უკან წაეღოთ, დაბრუნებულიყვნენ და ისევ ალყაში დარჩენილიყვნენ; მეორე ნაწილი კი რჩევას იძლეოდა, დაეთმოთ ეს უმნიშვნელო უსამართლობა, არ ეთქვათ უარი გასაცემის წამატებაზე და არ ჩაეთვალოთ ეს სამარცხვინოდ, რაკი მათ ვითარება ხდიდა იძულებულს და არა კეთილი საბაბი — ხარკი გაეცათ.

28. იმ დროს, როცა რომაელები ხსენებული ამბის გამო კელტებთან და ერთმანეთშიც დაობდნენ, კამილუსი თავისი ლაშქრით ქალაქის ქიშკარს მოადგა. როცა მან გაიგო, რა ხდებოდა, თავისიანებს უბრძანა, მწყობრად და დინჯი ნაბიჯით მიჰყოლოდნენ მას, თვითონ კი წარჩინებულთა თანხლებით მაშინვე გაეშურა რომაელებისაკენ. გამოჩნდა თუ არა იგი, მყისვე ყველამ გზა უტია და ისეთი წესრიგიანი დუმილით მიიღეს, როგორიც ერთმმართველს ეკადრებოდა. კამილუსმა სასწოროიდან ოქრო ჩამოიღო და ლიქტორებს გადასცა, ხოლო კელტებს წინადადება მისცა, სასწორო თეფშებ-გირებიანად აეღოთ და იქაურობას გასცლოდნენ. თან დაუმატა: რომაელებისათვის მამაპაპეული წესია, სამშობლო რკინით დაიხსნან და არა ოქროთი. ბრენოსი ამაზე გაწყრა და გაიძახოდა: შეთანხმების დარღვევით უსამართლობას სჩადიხართო. კამილუსმა უპასუხა: „თქვენი ხელშეკრულება უკანონოა და ამიტომაც ძალა არა აქვს. — იმის შემდეგ, რაც მე დიქტატორად ამირჩიეს, სხვისი მმართველობა კანონით აღარ არსებობს. ხელშეკრულება დადებულია იმათთან, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდათ. ახლა კი, ვისაც სურვილი აქვს, გაშოთქვას თავისი აზრი: კანონმა მე მომანიჭა უფლება, შევიწყალო, ვინც პატიებას მოხვს და დავსაჯო ისინი, რომელთაც დანაშაულის მონანიება არ სურთ!“

ამ სიტყვებზე ბრენოსი რისხვით აენთო და ბრძანა, ბრძოლა დაეწყოთ.



ორივე მხარემ მახვილები იშიშვლა, მაგრამ ერთმანეთს ხეირიანად ვერ შე-  
ეზნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ სახლთა შორის ვიწრო შუკებში დაბრ-  
მვასა და ბრძოლის გაშლას ვერ ახერხებდნენ. ბრენოსი სწრაფად მიხვდა ამას  
და მცირეოდენი დანაკლისით კელტები ბანაკში გაიყვანა. ღამით კი ყველა აპ-  
ყარა, ქალაქი დატოვა და სამოცი სტადიონი მანძილის გავლის შემდეგ გაში-  
ნის გზაზე დაბანაკდა. გამთენიისას მას ბრწყინვალედ შეიარაღებული კამი-  
ლუსი წამოეწია მაშინ უკვე მხნეობამოკრებილი რომაელებით. მძაფრი და  
ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კამილუსმა მრავლად ამოხოცა და განდევნა  
მტერი, ხოლო მისი ბანაკი აიღო. უკუქცეულთა ნაწილი მდევრებმა მყისვე  
მოსპეს, დიდი ნაწილი კი, რომელიც იმ მხარეში მიმოიფანტა, მახლობლად  
მდებარე სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობამ ამოეღო.

30. ასე მოულოდნელად აღებულ იქმნა რომი და კიდევ უფრო მოუ-  
ლოდნელად გადარჩა. სულ შვიდი თვის განმავლობაში იყო იგი ბარბაროსთა  
მორჩილებაში. ისინი აქ მოვიდნენ კვინტილისის თვის იდებზე რამდენიმე დღით  
გვიან, ხოლო დატოვეს თებერვლის იდების მახლობელ ხანებში. კამილუსმა  
გადაიხადა ტრიუმფი, როგორც ეკადრებოდა უკვე დაღუპული სამშობლოს  
მხსნელს, რომელმაც ქალაქი თავის თავს დაუბრუნა. კამილუსთან ერთად ქა-  
ლაქში დაბრუნდნენ ლტოლვილნი ცოლ-შვილითურთ. მათ შეეგებნენ კაპი-  
ტოლიუმის ალყაში მყოფნი, რომლებიც კინაღამ დაიღუპნენ შიმშილისაგან,  
მათ არ სჩეროდათ დამდგარი ბედნიერებისა და ტირილით ხვდებოდნენ ერთ-  
მანეთს. ქურუმებმა და ღმერთთა სხვა მსახურებმა საჩვენებლად გამოიტანეს  
გადარჩენილი წმიდა ნივთები, რომელთა ნაწილი ლტოლვის უამს აქვე დაემა-  
ლათ, ნაწილი კი თან პქონდათ წაღებული. მოქალაქეთათვის ეს სასურველი  
სანახაობა იყო და სიხარულითაც მიიღეს იგი, თითქოს თვით ღმერთები დაბ-  
რუნებულიყვნენ რომში.

კამილუსმა ღმერთებს მსხვერპლი შესწირა; მერმე საქმის მცოდნეთა შემ-  
წეობით ქალაქი გაწმინდა, უწინ არსებული ტაძრები აღადგინა, ხოლო ის  
აღგილი, სადაც ღვთაებრივმა ხმამ მარკუს ცედიციუსს ღამით ბარბაროსთა  
ლაშქრობის ამბავი აუწყა, თვითონ იპოვა და იქ წინასწარმეტყველებისა და  
წმიდა მოწოდების სავანე ააგო.

31. მართალია, ძნელი საქმე გამოდგა, მაგრამ კამილუსის პატივმოყვა-  
რეობისა და ქურუმთა დიდი შრომის წყალობით იქნა ნაპოვნი ნატაძრალი აღ-  
გილები. ახლა საჭირო გახდა მთლიანად დანგრეული ქალაქის აღდგენა. იმ  
საქმის წარმოდგენაც კი გუნება-განწყობას უფუჭებდა ხალხს, რადგან იგი  
აღკვეთილი იყო ყველაფერს; მას არც ფული პქონდა, აღარც ძალ-ღონე და  
იმუამად, ამდენი უბედურების გადატანის შემდეგ, რაღაცნაირად მოსვენება  
და ამოსუნთქვა ჭირდებოდა და არა დამქანცველი შრომა და გამოფიტვა. ამის  
გამო ნელ-ნელა კვლავ მიუბრუნდნენ ვეის, ყველაფრით შემკობილსა და თავ-  
შენახულ ქალაქს. ხალხის გულის მოსაგებ ლაპარაკს მიჩვეულ პირებს ამან  
ახალ წაქეზებათა საბაბი მისცა. გაისმა კამილუსის წინააღმდეგ მოწოდების  
ხმები: ეს კაცი პატივმოყვარეობისა და საკუთარი სახელის გულისათვის თა-  
ნამოქალაქეებს ხელიდან ართმევს მზამზარეულ ქალაქს და აიძულებს, აღად-  
გინონ ნანგრევებად ქცეული და ნახანძრალი შენობები. მას სურს, უკუაგდოს  
რომულუსის სახელი და თვითონ არამარტო წინამძღოლად და სარდლად, არა-  
მედ რომის დამფუძნებლადაც იწოდებოდეს!



მოსალოდნელი შფოთვის შიშით სენატმა მთელი იმ წლის მანძილზე ნება არ მისცა კამილუსს, თავიდან მოეხსნა თანამდებობრივი რწმუნება, თუმცა არც ერთ დიქტატორს ეჭვს თვეზე მეტ ხანს არ გადაუცილებია იგი, რომ შეეხებოდა ხალხს, სენატი მას ამხნევებდა, ლმობიერი სიტყვებით არწმუნებდა და ეფერებოდა: მიუთითებდა გმირთა საფლავებსა და მამა-პაპათა სამარხებზე და უხსენებდა წმიდათა წმიდა ადგილმდებარეობათ, რომლებიც რომულუსს მისწამებდა და მასზე მეფეთაგანმა ღმერთებს შესწირეს და დასაცავად მათ, რომელთა დაუტოვეს, სენატის წევრებს მაგალითად მოჰყავდათ, უწინარეს ყოვლისა, ღვთიური სასწაული — კაპიტოლიუმის დაფუძნების უამს მოვლენილი ახლად მოჭრილი თავი, როგორც ნიშანი იმისა რომ კაპიტოლიუმს ბედით ეწერა იტალიის თავად გახდომა. ასევე მიუთითებდნენ სენატორები ხალხს ღმერთქალ ვესტას ცეცხლზე, რომელიც ვესტას მსახურმა ქალწულებმა ომის შემდეგ კვლავ დააგზნეს. ამ ცეცხლს — ამბობდა სენატი, — ჩაანელებენ და ჩააქრობენ მოქალაქენი, თუ ისინი რომს მიატოვებენ. მათთვის სამარცხვინო იქნება იმის ცქერაც, რომ ქალაქი გარედან მოსული უცხოელებით დასახლდებოდა და ისიც, თუ იგი დაცარიელდა და ცხვრის ფარის საძოვრად იქცა!

აი ასეთი გულისმომკვლელი სიტყვებით მიმართავდნენ განუწყვეტლივ სენატის წევრები სათითაოდ ყოველს და საერთოდ მთელ ხალხს, მაგრამ ამავე დროს თვითონვე წუხდნენ იმის გამო, რომ ხალხი დასტიროდა ინქამად შექმნილ თავის მძიმე ვითარებას და მოითხოვდა, არ გაეხადათ იგი იძულებული, ვით ჩაძირული ზომალდიდან გადარჩენილი გატიტვლებული და გაჭირვებული მეზღვაურები, დაზარალებული ქალაქის ნაშთები შეეკოწიწებინათ მაშინ, როცა აქვე იყო მეორე — ხელუხლებელი და მზამზარეული.

32. კამილუსმა გადაწყვიტა, სენატის სხდომა დაენიშნა, სხდომაზე ბევრი ილაპარაკა მან და მსმენელთა საშობლოს დასაცავად მოუწოდა. ბევრი ილაპარაკეს სხვებმაც ისე, როგორც კამილუსს სურდა. მერმე ფეხზე წამოდგა და ბრძანა, ლუციუს ლუკრეციუსს, ვინც ჩვეულებრივ ყოველთვის პირველი ამბობდა, ზოლმე გუნებით განზრახულს, თავისი აზრი პარველს გამოეთქვა, ზოლო შემდეგ რიგრიგობით — ყველა დანარჩენს. როცა ღუმილი ჩამოვარდა და ლუკრეციუსმა ის-ის იყო სიტყვის თქმა დააპირა, შემთხვევით გარედან შემოიჭრა ხმა ცენტურიონისა, რომელმაც თავისი დღის საღარაჯო რაზმით გვერდით ჩაიარა. მან ხმამაღლა უბრძანა მეწინავე მედროშეს, იქ გაჩერებულიყო და დროშაც იქვე დაედგა: ყველაზე მშვენიერი ადგილია დასაჯდომად და მოსასვენებლადო. ეს სიტყვები სწორედ თავის დროზე გაისმა და ბუნდოვან მომავალზე არსებულ ფიქრსა და აზრს უბასუხებდა. ლუკრეციუსმა ღმერთს თავყვანი სცა და თქვა, რომ ემორჩილება მის აზრს. ყველა დანარჩენი სათითაოდ მიჰყვა ლუკრეციუსს. საოცარი ცვლილება მოხდა ხალხის განწყობილებაშიც: ერთმანეთის მოწოდებით ყველამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ყოველგვარი დანაწილებისა და ტერორის გარეშე, ვისაც როგორ მოუხდა და მოესურვა, ისე დაეუფლნენ ადგილმდებარეობათ, ქალაქი აჩქარებული სიბეჭითით აღადგინეს; ამის გამო იგი უმწყობრო გამოვიდა ვიწრო შუკებით და არეუდარეულად ნაგები სახლებით. ამბობენ: ქალაქის ზღუდენი და თავისი სახლები რომაელებმა ერთი წლის განმავლობაში აღადგინესო.

ვინაიდან ქალაქში ყველაფერი ერთმანეთში იყო აღრეული, კამილუსმა ზოგიერთებს დაავალა, დაეძებნათ და განესაზღვრათ წმინდა მონაკვეთები. როცა ესენი პალატიუმს გარს უვლიდნენ, მიადგნენ მარსის ტაძარს. რომელიც



ვით ყველა ტაძარი, ბარბაროსებს დაენგრიათ და გადაეწვათ. ამ აღგილის და-  
თვალიერებისა და გაწმენდის დროს წააწყდნენ რომულუსის სამისწო კვერთხს,  
რომელიც ფერფლის სქელი ფენით იყო დაფარული. ეს კაპიტოლიუმში მხრივ  
მოკაუჭებული ჯოხი, რომელსაც ეწოდება ლიტინი<sup>37</sup>. მას იყენებენ ფრინველ-  
თა ფრენაზე მისნობის ეაშს ზეცაზე ოთხკუთხედების შემოსაწვრთმად. სწორედ  
ასე იყენებდა ამ კვერთხს რომულუსი, ვინც ყველაზე დიდ მომადლობას  
იმ დღიდან, როცა ხალხში წყოფი რომულუსი უეცრად გაუჩინარდა, ქურუმე-  
ბმა ეს კვერთხი აიღეს და სხვა წმინდა ნივთებთან ერთად შეინახეს ვით ხელუ-  
ხლებლად დასაცავი საგანი. ყველაფრის შემშუსვრელ მოსპობას გადარჩენილი  
კვერთხის პოვნამ რომაელებს საამო იმედები შთაუწერა რომის ბედის გამო.  
ნიიჩნიეს, რომ ეს ნიშანი ამტკიცებდა მის შარადიულ ხსენასა და სიკეთეს.

33. ხსენებულ საქმეთაგან ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსვენებული რომაელები,  
როცა ერთდროულად დაატყდათ თავს ომი რომის სამფლობელოში შემოჭრილ  
ექვებთან, ვოლსკებსა და ლათინებთან, აგრეთვე ტირენებთან, რომლებმაც ალ-  
ყაში მოაქციეს რომაელთა მოკავშირე ქალაქი სუტრიუნი. როცა ლათინებმა  
ალყა შემოართყეს მარკიუსის მთასთან დაბანაკებულ ჯარს და ამ ჯარის წინა-  
მძღოლმა სამხედრო ტრიბუნებმა, რომელთაც ბანაკის დაკარგვის საფრთხე  
ემუქრებოდა, რომში მაცნე აფრინეს; აი მაშინ კამილუსი მესამეგზის დანიშნეს  
დიქტატორად.

ხსენებული ომის თაობაზე ორგვარ ამბავს გადმოგვცემენ. მე ამათგან ჯერ  
უფრო ზღაპრულად გადმოცემულს გიამბობთ, გადმოგვცემენ კი შემდეგს: ლა-  
თინებმა ან ჩხუბის საბაბისათვის, ანდა მართლაც იმისათვის, რომ კვლავ თავი-  
დან დამოყვრებულიყვნენ, მაცნეთა პირით რომაელებს ცოლებად მოსთხოვეს  
თავისუფლად შობილი ქალიშვილები. რომაელებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ:  
თან ომის ეშინოდათ, რადგან ჯერ კიდევ არ იყვნენ ფეხზე მტკიცედ დამდგარ-  
ნი და ვერც ძალ-ღონე აღედგინათ, თანაც ეჭვობდნენ, რომ ლათინები ქალებს  
მოითხოვდნენ მძევალ-ხასებად, ხოლო ლაპარაკი წათთან ქორწინებაზე უბრა-  
ლოდ კეთილი საბაბი იყო. და აი მაშინ ერთმა მონა ქალმა, სახელად ტუტუ-  
ლამ, ანდა როგორც სხვები უწოდებენ ფილოტიდამ, ხელისუფალთ ურჩია, იქ  
მე გამგზავნეთ და თან გამაყოლებთ მონათაგან ყველაზე ახალგაზრდა, შე-  
სახედაობით თავისუფალთა მსგავსი ქალიშვილები, საპატარძლოდ კეთილშო-  
ბილებივით მორთულნი, დანარჩენი კი ჩემზე იყოსო. ხელისუფალნი დათან-  
ხმდნენ, აირჩიეს მსახურ ქალთაგან ისეთები, როგორიც ტუტულამ სცნო ვარ-  
გისად, მორთეს ისინი სამოსით და ოქროს საწკაულებით და გადასცეს ლათი-  
ნებს, რომლებიც ქალაქიდან არცთუ ძალიან მოშორებით დაბანაკებულიყვნენ.  
ლამით საპატარძლოებმა მტრის მახვილები დაიტაცეს, ტუტულა თუ ფილოტი-  
და კი ერთ მაღალ ლედვის ხეზე გავიდა, ზურგსუკან წამოსასხამი გაშალა და  
ჩირალდნით რ. მს ნიშანი ნისცა, როგორც შეპირებული იყო ხელისუფლებთან.  
ამ ნიშნის თაობაზე სხვა მოქალაქეებმა არაფერი იცოდნენ, ამიტომ ჯარისკა-  
ცები, რომელთაც მეთაურები აჩქარებდნენ, არეულ-დარეულად გამოდიოდნენ,  
ერთმანეთს მოუხმობდნენ და ძლივძლივობით შწყრივდებოდნენ. ისინი მოუა-  
ხლოვდნენ უდარდელად მძინარე მტრის მიწაყრილს, აიღეს ბანაკი და შიგ  
მყოფთა უმრავლესობა დახოცეს. მოხდა ეს ამბავი ახლა ივლისად, მაშინ კი  
კვინტილისად წოდებული თვის ნონებში<sup>38</sup>. ამ ამბის ნოსაგონარია დღესასწაუ-  
ლი, რომელიც დღესაც იმართება: უწინარეს ყოვლისა ქალაქის ჭიშკრიდან თავ-  
მოყრილად გამოსულნი ხმამაღლა გაიძახიან იქაურ გავრცელებულ სახელებს,



როგორცაა — გაიუსი, მარკუსი, ლუციუსი და სხვა ამდაგვიანი. ამით პბაძა-  
ვენ მაშინდელი ფუნდუსის, დროს, ერმანეთის ხმობას, შემდეგ სასტიკოდ გა-  
მოდიან. საგანგებოდ მოითუდეს, მან ქალები და შემხვედრით მოსწრ/ბულად  
დასცინიან, მერე იმართება ბრძოლის გათქმაშება. მონა ქალთ შორის  
აღსანიშნავად, რომ ნათ თავის დროზე მოუხდათ ლათინებთან რომი ჩაბმა.  
ლზინის სუფრის უსხდებიან ლელვის ხის ჩოდილში და ამ დღეს მტრებს ლელვის  
ნონებს“ ეწოდებენ, როგორც ვარაუდობენ, იმ ლელვის ხის მცენარეობის  
ქალიშვილმა ჩირადიანი აღმართა; ლელვის ხეს კი რომაელები „კაპრიფიკუსს“  
ეძახიან. უმრავლესობა ამბობს, ხსენებულ მოქმედებათა და გადმოცემათა დი-  
დი ნაწილი რომულუსის თავსგადამხდარ ამბავს უკავშირდებათ. სწორედ ან  
დღეს, ირგვლივ წყვდიადისა და ქარიშხლის დადგომის ეამს, ხოლო როგორც  
სხვები ფიქრობენ, მზის დაბნელების დროს, ჭიშკრის გარეთ გაქრა რომულუ-  
სი; ხოლო ამ დღეს იმ ადგილის მიხედვით „კაპრატინის ნონები“ იმიტომ ეწო-  
და, რომ „კაპრა“ თხის აღმნიშვნელი სიტყვაა. ხალხთან მოსაუბრე რომულუსი  
კი სწორედ ეგრეთ წოდებულ „თხის ქაობთან“ გაქრა, როგორც ეს მის ცხოვ-  
რებაშია აღწერილი<sup>39</sup>.

34. მეორე ამბავს, მწერალთა უმრავლესობა რომ მისაღებ ამბოდ მიიჩნევს,  
ასე გადმოგვცემენ:

მესამე გზის დიქტატორად დანიშნულმა კამილუსმა როგორც კი შეიტყო  
სამხედრო ტრიბუნების წინამძღოლობაში მყოფი ქარი ლათინებისა და ვოლსკე-  
ბის ალყაშია მოქცეულიო, იმუდების გამო საჭირო ასაკიდან უკვე გასული მო-  
ქალაქეებიც შეაიარაღა. მან შორიდან შემოუარა მარკუსის მთას და მტრისგან  
უჩუმრად მის ზურგს უკან დააბანაკა ქარი. მერმე მრავალი კოცონი დაანთო და  
რომაელებს ამით თავისი მოსვლა აუწყა. ალყაში მოქცეულები გამხრევდნენ და  
განიზრახეს, ალყა გაერღვიათ და მტერს შებმოდნენ. მტრისგან ორპირივ გან-  
საცდელში მყოფმა ლათინებმა და ვოლსკებმა, იმ შეგნებით, რომ შინიდან  
სხვა დამხმარე ძალის მოსვლასა და აგრეთვე ტირენების შემწეობას დაელო-  
დებოდნენ, თავისიანებს მიწაყრილის შიგნით ნოუყარეს თავი, ბანაკი კი ხშირი  
მესერით გადალობეს და ყოველი მხრიდან გაამაგრეს. კამილუსმა ეს გაიგო და  
იმის შიშით, თვითონვე არ აღმოჩენილიყო მის მიერ ალყაშემორტყმული მტრის  
განსაცდელში, ყოველ ღონეს მიმართა, ხელსაყრელი ვითარება რომ გამოეყე-  
ნებინა. რაკი მტრის ღობე ხისა იყო და განთიადზე მთებიდან ძლიერი ქარი  
უბერავდა, კამილუსმა ცეცხლმტყორცნი იარაღი მოამზადებინა. დილაადრიან  
კი მან თავისი ძალები გამოიყვანა, რომლის ნაწილს უბრძანა, ცალი მხრიდან  
ყვირილით ესროლათ მტრისათვის შუბ-ისრები, ხოლო უშუალოდ მის ხელ-  
მძღვანელობაში მყოფი მეორე ნაწილი, რომელსაც ცეცხლის ტყორცნა ევალე-  
ბოდა და ის მხარე ეჭირა, საიდანაც ქარი ჩვეულებრივ ძლიერ აწყდებოდა  
მტრის მიწაყრილს, თავის ეამს დალოდებოდა, როგორც კი დაიწყო ბრძოლა,  
მზე ამოვიდა და ქარმაც მძლავრად დაუბერა. კამილუსმა თავდასხმის ნიშანი  
მისცა და მტრის მიწაყრილს უხვად დასცხო ცეცხლოვანი ისრები. ცეცხლის  
ძლიერი ალი სწრაფად მოედო ხის ღობეს და ირგვლივ გავრცელდა. ლათი-  
ნებს კი არავითარი საშუალება არ გააჩნდათ მის ჩასაქრობად და მთელი ბანაკი  
უკვე ცეცხლმა მოიცვა. ჯერ ერთ მცირე ადგილას მოიყუვნენ ლათინები, მაგ-  
რამ მალე იძულებული გახდნენ, იქედან გამოცვენილიყვნენ და მიწაყრილთან  
გამწერივებულ შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთ ხელთ ჩავარდნოდნენ. მათგან  
მცირეოდენნი გადარჩნენ, ხოლო ბანაკში დარჩენილები ერთიანად დაიღუპნენ



ცეცხლში, რომელიც მერვე რომაელებმა ჩააქრეს, რათა ნტერს ქონება დაე-  
ტაცათ.

ანებულ ამბავთა შემდეგ ტყვეთა და ნადვლის დასაცავად ამი-  
ლუსმა ბაჰაჭში დატოვა თავისი ვაჟი ლუციუსი, თვითონ კი მტრის სამფლობე-  
ლოში შეიჭრა; აიღო ექვების ქალაქი, დაიმორჩილა ვოლსკებმა და მათგან წაი-  
ყვანა მხედრობა სუტრიუმისაკენ. კამილუსმა ჯერ კიდევ არამტკიცის მხარე-  
ეწიათ სუტრიუმელებს, ამიტომ ჩქარობდა, დახმარება აღმოეჩინა ტირენების  
მხრივ ჯერ კიდევ საფრთხესა და ალყაში მყოფთათვის. სუტრიუმელებს კი ქა-  
ლაქი უკვე მტრისთვის ჩაებარებინათ, ხოლო თვითონ გამოერეკათ ყოველივეს  
აღკვეთილნი და იმის ანაბარა, რაც ტანზე ემოსათ. ისინი ცოლ-შვილით შეხვ-  
დნენ გზად კამილუსს და თავიანთ ბედს დასტიროდნენ. მათ შემხედვარე კამი-  
ლუსს თვითონაც აუყუჩდა გული და როცა დაინახა აქვითინებული და მომ-  
ხდარი ამბის გამო აღშფოთებული რომაელები, რომელთაც სუტრიუმელები  
მჭიდროდ ეკონებოდნენ, გადაწყვიტა, შურისძიება არ გადაედო და დაუყოვნე-  
ბლივ, იმავე დღეს წაეყვანა ჯარი სუტრიუმისაკენ. იგი ფიქრობდა, რომ ხალხს,  
რომელმაც ახლაზან აიღო სიკეთით და სიმდიდრით სავსე ქალაქი და შიგ არც  
ერთი მტერი არ დატოვა და არც გარედან მოელოდა მოწინააღმდეგეს, მთლიანად  
მოშვებულსა და დაცვაზე ხელაღებულს წააწყდებოდა. კამილუსის ფიქრი ზუს-  
ტი გამოდგა. მან არა თუ ის მხარე გადაიარა შეუმჩნევლად, არამედ შეუმჩნე-  
ვლადვე მიადგა ქალაქის ქიშკარს და მისი ზღუდეც შეუმჩნევლადვე დაიკავა.  
არც ერთი მცველი არ ჩანდა: ყველანი სახლებში იყვნენ მიმოფანტულნი და  
ღვინის სმაში ატარებდნენ დროს. როცა ტირენები მიხვდნენ, ნტერს უკვე გაე-  
მარჯვნა, ღორბუცელობისა და სიმთვრალისაგან ისე იყვნენ წამხდარნი, რომ  
ბევრს თავის დაღწევაც არ უცდია. და ან სახლებში დაშთენილნი დაიხოცნენ  
სამარცხვინოდ, ანდა მტერს ჩაბარდნენ. სუტრიუმელთა ქალაქს ამგვარად წი-  
ლად ხვდა ერთ დღეში ორგზის აეღოთ: ახალმა პატრონებმა იგი დაკარგეს, ხო-  
ლო ძველმა პატრონებმა კვლავ დაიბრუნეს კამილუსის წყალობით.

36. ამ წარმატებათა გამო გადახდილმა ტრიუმფმა კამილუსს წინანდელ  
ორ ტრიუმფზე ნაკლები სახელი და აღიარება როდი მოუტანა. ის მოქალაქენიც  
კი, რომელთაც მეტისმეტად შურდათ მისი და სურდათ ყველა მისი წარმატება  
ბედნიერი შემთხვევით აეხსნათ და არა მამაცობის მიზეზით, კამილუსის საგმი-  
რო საქმეებმა აიძულეს, ვაყაყის სიჩაუქე და ძალის სიმტკიცე დაძსახურებუ-  
ლი სახელით შეეცნოთ. მის მოწინააღმდეგეთა და მეშურნეთა შორის ყველაზე  
გამოჩენილი კაცი იყო მალიუსი, ვინაც პირველმა გადაყარა კაპიტოლიუმის  
მწვერვალიდან ღამით თავდამსხმელი კელტები და ვისაც ამის გამო კაპიტო-  
ლიუმელი შეარქვეს.

მას დიდი სურვილი ჰქონდა, მოქალაქეებში უპირველესი ყოფილიყო, მაგ-  
რამ კამილუსის სახელის გადალახვა წესიერი საშუალებით ვერ შეძლო. ამი-  
ტომ გაცვეთილსა და ჩვეულ გზას დაადგა, რომელიც ტირიანიის საფუძველს  
ქმნიდა. მან ბრბოს გულის მოგება დაიწყო ყველაზე მეტად იმით, რომ ნოვა-  
ლეებს გამოექომაგა; ნაწილს მევახშეთაგან იცავდა სასამართლოში, სხვებს კი  
ძალით გამოსტაცებდა ხოლმე ხელიდან მმართველობას და მათ მიმართ კანო-  
ნის აღსრულებას აბრკოლებდა. მაღე მის ირგვლივ თავი მოიყარა მრავალმა  
ლარიბ-ლატაკმა, რომლებიც თავხედურად იქცეოდნენ და ფორუმზე წესრიგს არ-  
ღვევდნენ. საუკეთესო მოქალაქეებს ეს დიდ შიშს ჰგვრიდა. არეულობის  
ბოლოს მოსაღებად დაინიშნა დიქტატორი — კვინტუს კაპიტოლინუსი, რო-



მელმაც საპყრობილეში ჩასვა მალიუსი. მოხდა თუ არა ეს, ხალხმა სამოსი შეიცვალა, რაც ჩვეულებრივ დიდი და სახელმწიფოებრივი უბედურების უამს ხდებოდა. სენატს შფოთის ატეხის შეეშინდა და ბრძანა, მალიუსი გაეთავისუფლებინათ. ციხიდან გამოშვებული მალიუსი უკეთესი როდი გახდა: იგი კიდევ უფრო მეტი თავზედობით იბირებდა ბრბოს და აშფოთებდა ქალაქს. მაშინ კამილუსი კვლავ აირჩიეს სამხედრო ტრიბუნად<sup>40</sup>. მალიუსი სასამართლოში წიხს ცეს, მაგრამ ბრალმდებლებს მეტისმეტად უშლიდათ ხელს ხედი. საქმე ის გახლდათ, რომ ადგილი, სადაც მალიუსი გავიდა და ღამით კელტებს ბრძოლა გაუმართა, ფორუმიდან კაპიტოლიუმზე მოჩანდა და შემყურეთ სიბრალულს ჰგვირდა. თვითონ მალიუსმაც აღაპყრო ხელები იქითკენ და თვალეზე ცრემლმორცულმა მოიგონა თავისი ბრძოლები. მოსამართლენი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ბევრჯერ გადადეს საქმის გარჩევა; არც გათავისუფლება უხდოდათ მალიუსისა და ვერც კანონს იყენებდნენ მის წინააღმდეგ: ხსენებული ხედის ცქერისას ყველას თვალწინ ედგა ბრალდებულის საგმირო საქმე. ამას კამილუსი მიხვდა და სასამართლო ქალაქგარეთ, პეტელიუმის ქალაქში, გადაიტანა, საიდანაც კაპიტოლიუმი არ მოჩანდა. ახლა კი ბრალმდებელმაც წარმოთქვა საბრალდებო სიტყვა და მოსამართლეებმაც დაივიწყეს ბრალდებულის ყოფილი წარმატება და თავის რისხვა ახლანდელი დანაშაულისაკენ მიმართეს. მალიუსს სიკვდილი მიუსაჯეს, კაპიტოლიუმზე წაიყვანეს და კლდიდან გადააგდეს. აი, ასე გახდა ერთი და იგივე ადგილი უბედნიერესი წარმატებისა და უდიდესი წარუმატებლობის ძეგლი. რომაელმა მალიუსის სახლი დაანგრიეს, იქ ააგეს ტაძარი იმ ღმერთქალისა, ვისაც ნონეტას უწოდებენ<sup>41</sup> და დაადგინეს, ამიერიდან არც ერთ პატრიციუსს არ ეცხოვრა ციხესიმაგრეში.

37. კამილუსს მეექვსე გზის მოუხმეს სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე, მაგრამ იგი ამაზე უარს აცხადებდა და მიზეზად უკვე ხანდაზმულობას აცხადებდა. თანაც, ეტყობოდა, ეშინოდა გადაკიდებისა და შურისძიებისა, რაც ჩვეულებრივ ასეთ სახელსა და წარმატებას ახლავს.

უმთავრესი მიზეზი მაინც სხეულის უძლურება გახლდათ: სწორედ იმ დღეებში კამილუსი ავად იყო. ხალხი არ ეშვებოდა ყვირილით უხმობდა: არც ცხენზე ამხედრება დაგჭირდება და არც ბრძოლაში იარაღით მოქმედება, მხოლოდ რჩევა და ბრძანება გვინდა შენით!

ერთი სიტყვით მაშინ კამილუსი აიძულეს, ეკისრა თანამდებობა და თანამმართველთან — ლუციუს ფურიუსთან ერთად მყისვე წაეყვანა ლაშქარი მტრების წინააღმდეგ<sup>42</sup>. ესენი იყვნენ პრენესტინელები და ვოლსკები, რომლებიც დიდი ძალებით რომაელთა მოკავშირეებს არბევდნენ.

კამილუსმა ჯარი წაიყვანა და მტრების პირისპირ დაბანაკდა. მისი აზრით, დრო თავისთავად მოუღებდა ომს ბოლოს და გადაწყვიტა, თუ ბრძოლა მაინც დასჭირდებოდა, მაშინ გაემართა, როცა ჯანმრთელობას აღიდგენდა. მაგრამ ჯარის მართვაში მისი ამხანაგი ლუციუსი, სახელის მოხვეჭით აღტყინებული, შეუპოვრად მიისწრაფოდა საფრთხისაკენ და ცენტურიონებსა და რაზმთა სხვა მეთაურებსაც აქეზებდა. მისი შიშით, ვინმემ ახალგაზრდების წარმატებისა და სახელის შურისმაძიებლობა არ დამწამოსო, კამილუსმა თავისი სურვილის წინააღმდეგ ლუციუსს საბრძოლველად ჯარის დარაზმვის ნება მისცა, თვითონ კი, შეუძლოდ ყოფნის გამო, მცირერიცხოვან რაზმთან ერთად ბანაკში დარჩა.

ლუციუსი თავდავიწყებით გადაეშვა ბრძოლაში, მაგრამ ძლეულ იქნა. გაიგო თუ არა რომაელთა უკუქცევა, კამილუსმა თავი ველარ შეიკავა, ლოგი-



ნიდან წამოიჭრა, თავის ამალასთან ერთად ბანაკის ქიშკართან უკუშეცუვით დახვდა და მღვერე მტრის მიმართულებით დაიწყო გზის გააფხვრება უკუშეცუვითა ნაწილი ქაშინვე გაბრუნდა და კამილუსს მიჰყვა, ისინი კი რომლებიც გარედან კამილუსისაკენ გამოვლინდნენ, მის წინ ჩერდებოდნენ, თუ ვინ ამჟღავნდნენ და ერთმანეთს მოუწოდებდნენ, არ ჩამორჩენილხარ, ჩამორჩენილხარ, მაშინ კი მტრებმა თავი ანებეს რომაელთა დევნას. მტრებს კამილუსმა ჯარი გამოიყვანა, ბრძოლა გამართა და მტრის ძალა მთლიანად შემუსრა. მერმე ბანაკი აიღო, ლტოლვილი მოწინააღმდეგენი შიგ შერეკა და უმრავლესობა ამოჰლიტა. ამის შემდეგ, როცა შეიტყო, ქალაქი სატრია ტირენებს აეღოთ და რომელი მოსახლენი მთლიანად ამოეხოცათ, თავისი ჯარის დიდი და მოუქნელი ნაწილი რომს გაგზავნა, ყველაზე უფრო ნარჯვე და მგზნებარე მეომრებთან ერთად კი ქალაქის მპყრობელ ტირენებს თავს დაესხა. მან ისინი დაამარცხა: ნაწილი განდევნა, ნაწილი კი მოაკვდინა.

38. დიდძალი ნადავლით რომს დაბრუნებულმა კამილუსმა დაამტკიცა, რომ ყველაზე გონიერები იყვნენ ისინი, რომლებიც გამოცდილი და მამაცი წინამძღოლის ავადმყოფობასა და სიბერეს არ შეუშინდნენ და, მისი უარისა და სწეულების ნიუხედავად, სწორედ იგი აირჩიეს და არა ახლაგაზრდა ვინმე, ვინც დაუოკებლად მიისწრაფოდა გამგებლობისაკენ. ამიტომ, როცა ზმა დაიწყო, ტუსკულუმები გადაგვიდგნენ, კამილუსს უბრძანეს მათ წინააღმდეგ გალაშქრება. კამილუსმა ხუთ თანასარდალში ერთი შეიამხანაგა, ნართალია ხუთივეს დიდი სურვილი ჰქონდა, მას გაჰყოლოდა, მაგრამ კამილუსმა დანარჩენებს უარი უთხრა და ყველასაგან მოულოდნელად აირჩია ლუციუს ფურიუსი. ეს ის კაცი იყო, ვინც კამილუსის აზრის წინააღმდეგ წავიდა, მცირე ხნის წინ დიდი მგზნებარეობით ბრძოლა გამართა და ბედგაუღიმებლად წააგო! კამილუსს, ეტყობა, ამ სამწუხარო შემთხვევის მიჩქმალვა და ვაჟკაცისათვის სირცხვილის ჩამოცილება სურდა; ამიტომაც მისცა მას უბრაატესობა ყველას წინაშე. ამასობაში ტუსკულუმლებმა თავიანთი შეცდომის გამოსწორება მოინდომეს და ხერხს მიმართეს: როგორც კი დაიძრა მათ წინააღმდეგ კამილუსი, მიწოდორველი, ვით მშვიდობიანობის დროს, მიწის მუშაკებით და მწყემსებით გაავსეს, ქალაქის ქიშკრები ფართოდ გააღეს, ბავშვები სასწავლებლებში ჩვეულებრივ დადიოდნენ, სახელოსნოებში კი მომუშავე ოსტატები მოჩანდნენ; განათლებული მოქალაქენი ტოგებში გამოწყობილი დასვირნობდნენ მოედანზე, ხოლო ხელისუფალნი ათავსებდნენ რომაელებს სადგომებში; ერთი სიტყვით ისე იქცეოდნენ, თითქოს არავინ აეს არ მოელოდა და ავი საქმისა არავინ არაფერი იცოდა. ასეთი მოქმედების მიუხედავად იქაურთა მოღალატური საქციელი კამილუსს არ განოპარვია. მაგრამ ლალატის მონანიებამ თანაგრძნობა აღუძრა და ტუსკულუმლებს ერჩია სენატს ზღებოდნენ და რისხვის დაცხობა გამოეთხოვათ. მერმე თვითონვე დაეხმარა მთხოვნელებს, რათა მათი ქალაქი ყველა ბრალდებისაგან დახსნილიყო და მოქალაქეობრიობის უფლება აღდგენოდა.

ასეთი გახლდათ კამილუსის ყველაზე გამოჩენილი საქმენი ნეექსეჯერ მისი სამხედრო ტრიბუნად ყოფნის ეამს.

39. აღნიშნულ ამბავთა შემდეგ ლიცინიუს სტოლონმა რომის ქალაქში დიდი შფოთი ატეხა. აღელვებული ხალხი სენატისაგან მოითხოვდა, ორ კონსულში ერთი უსათუოდ უბრალო ხალხისაგან ყოფილიყო და არა ორივე — პატრიციუსი.

სახალხო ტრიბუნები უკვე აირჩიეს, მაგრამ კონსულთა არჩევნების დამ-



თავრებას ხალხი აბრკოლებდა. უხელისუფლებიანობა სახელმწიფო საქმეებს უფრო დიდი შფოთისაკენ მიაქანებდა; ამიტომ სენატმა კამილუსს მეოთხე-გზის დანიშნა დიქტატორად<sup>43</sup> ხალხის სურვილის წინააღმდეგ და არც თვითონ კამილუსს ჰქონდა საამისოდ დიდი ხალხი. ნას როდი სურდა დაირის-პირებოდა იმათ, რომელთაც მრავალი და დიდი გადახდილი ბრძოლა უფლებას აძლევდა, მასთან თავისუფლად ელაპარაკნათ. მის საქმეთა უმჯობესი ნაწილი შესრულებული იყო სწორედ ამ ხალხთან ერთად ბრძოლებში და არა პატრიციუსებთან ერთად სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე. პატრიციუსებმა იგი ახლა შურის განო აირჩიეს დიქტატორად, რათა დაეძლია ხალხის მღელვარება, ანდა თუ ვერ გაიმარჯვებდა, თვითონ დამხობილიყო. კამილუსი მაინც ცდილობდა, შექმნილი მდგომარეობისათვის ეშველა. მან გაიგო დღე, როცა სახალხო ტრიბუნება კანონის გატარება ჰქონდათ მოსაზრებული და თვითონ ამავე დღისათვის ჯარის შეკრება დანიშნა. საამისოდ ხალხს მოუწოდა ფორუმ-ნიდან ველზე ჩამოსულიყო: ვინც არ დაემორჩილებოდა, მას დიდი ჯარიმით ემუქრებოდა, თავის მხრივ ფორუმ-ნიდან კამილუსს კვლავ აღმხედრდნენ სახალხო ტრიბუნები და ფიცით ემუქრებოდნენ: ორმოცდაათი ათასი ვერცხლის ფულური<sup>44</sup> დაგაჯარიმებთ, თუ კანონისათვის ხმის მიცემისაგან ხალხის განრიდებას არ შეწყვეტო. იმის შიშით კვლავ არ გამასამართლონ და არ გამდევნონ, რაც ესოდენ დიდსაქმეთა შემსრულებელი მისი ასაკის კაცისათვის შეუფერებელი იქნებოდა, ანდა სულაც იმიტომ, რომ არ ძალუძდა და არც სურდა ბრბოს დაუძლეველ ძალას შებრძოლებოდა. კამილუსმა თავი სახლს შეაფარა. მომდევნო დღეებში კი ავადმყოფობის მომიზეზებით თანამდებობაზე ხელი აიღო. სენატმა სხვა დიქტატორი დანიშნა. ამან მხედართა წინამძღოლად<sup>45</sup> თვითონ შფოთის თავი სტოლონი დაიყენა და კანონიც გაატარებინა, რითაც მეტისმეტად დაამწუხრა პატრიციუსები. მანვე ბრძანა, არვის ჰქონოდა მფლობელობაში ორმოცდაათ იუგერუმზე<sup>46</sup> მეტი მიწა. სტოლონმა ხმის მიცემაში გამარჯვებით მაშინ ბრწყინვალე სახელი მოიპოვა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, როცა თვითონ შეიძინა იმდენი მიწა, რამდენსაც სხვას უკრძალავდა, თავისივე კანონის საფუძველზე დაისაჯა.

40. სადაო რჩებოდა კონსულების არჩევნების საკითხი — შფოთის ყველაზე მძიმე და პირველი მიზეზი, რომელიც ხალხთან უთანხმოებაში ბევრ ძნელ საქმეს უჩენდა სენატს. სწორედ ამ დროს მოაღწიეს ზუსტმა ცნობებმა: ადრიატიკის ზღვის სანაპიროებიდან კვლავ აღდგა კელტთა მრავალათასიანი ლაშქარი და რონისაკენ მოისწრაფისო. ამ ხმას თან მოჰყვა ავი საქმენი. მტერი არბევდა ქვეყანასა და მოსახლეობას, რომელსაც უჭირდა რომში შეხიზვნა და მთებში იფანტებოდა. ომის შიშმა შინაგანი შფოთი შეწყვიტა და ბრბოცა და წარჩინებული მოქალაქენიც ერთ აზრს დაადგნენ; სენატმა და ხალხმა კამილუსი ერთსულოვნებით აირჩია მეხუთეგზის დიქტატორად<sup>47</sup>. იგი ამ დროს ძალზე ნოხუცი გახლდათ, ოთხმოც წელს ცოტადა უკლდა; მაგრამ რაკი დაინახა აუცილებლობა და მოსალოდნელი საფრთხე, წინანდებურად აღარ გამოუყენებია საბაბ-მიზეზნი, მაშინვე შეუდგა მთავარსარდლობას და ჯარის შეკრება დაიწყო. მან იცოდა, რომ ბარბაროსთა უმთავრესი ძალა იყო მახვილი; რომელსაც ყოველგვარი ხელოვნების გარეშე მართლაც ბარბაროსულად იყენებდნენ და მოწინააღმდეგეს უპირატესად მხრებსა და თავში ურტყამდნენ. სწორედ ამიტომ ბრძანა, ქვეითებისათვის გამოეჭედათ მთლიანი რკინის მუზარადები გლუვი და სწორი ზედაპირით, რათა მახვილი აესხლიტათ, სულაც



გადაეტეხათ. ფარები ირგვლივ სპილენძის ზოლით შემოაჭედინა, რადგან მარტო ხისაგან ნაკეთები ფარი მეომარს დარტყმისაგან ვერ დაიცავდა. კამილუსმა ჯარისკაცებს ასწავლა ხელჩართულ ბრძოლაში გრძელი შუბლები ხმარება და მათი დახვედრით მტრის მახვილთა ცემის თავიდან აცილება.

41. როცა კელტები მოახლოვდნენ და მდინარე ანიონთან მდებარე ბანაკი, რომელიც სავსე იყო მძიმე და აურაცხელი ნადავლით, კამილუსმა ჯარი გამოიყვანა და მრავალი ხევით დასერილ ტყიან ბორცვზე დააბანაკა ისე, რომ ძალთა უდიდესი ნაწილი დაფარული იყო, ხოლო ისინი, რომლებიც ჩანდნენ, თითქოს შიშით იყვნენ ჩაქეტილნი მალლობ ადგილებზე. კამილუსი მოწადინებული გახლდათ, მტრებს ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ. ამიტომ იგი ნათ მიერ ველზე გამართულ რბევას ჯერხნობით არ აბრკოლებდა. თავისი ბანაკი მან მიწაყრილი გაამაგრა და ადგილიდან არ იძვროდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ მტრის ნაწილი საკვების მოსაპოვებლად იყო მიმოფანტული, ნაწილი კი ბანაკში იჯდა და მთელ დროს გაუთავებელ ჭამა-სმაში ატარებდა.

და აი მაშინ, ღამით, კამილუსმა წინ გაგზავნა მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, რათა ბარბაროსებისათვის საბრძოლველად დამწყრივებაში ხელი შეეშალათ და უეცარი თავდასხმით მათში არევ-დარევა გამოეწვიათ. თვითონ კი დილაადრიან ჩაიყვანა ქვემოთ და ვაკე ადგილზე მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი, მრავალრიცხოვანი და მამაცური და არა რიცხვმცირე და გაუბედავი, მტერი რომ მოელოდა. ამან იმთავითვე გატეხა კელტთა ზვიადობა, რომელთაც ეგონათ რომაელები; თავს ვერ დაესხმოდნენ. შემდეგ წინ გამოიჭრნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები და განუწყვეტელი იერიშების მიტანით აიძულეს მტერი ბრძოლაში ჩაბმულიყო, სანამ ჩვეული წესით დალაგდებოდა და რაზმებად დამწყრივდებოდა. ბოლოს კამილუსმა მძიმედ შეიარაღებული მებრძოლები გამოიყვანა; კელტებმა ნახვილები იშინველეს და ხელჩართული ბრძოლის გასაჩაღებლად გაეშურნენ, მაგრამ მათ რომაელები მეეგებნენ შუბლებით და რკინისაგან გამოჭედილი თორმუხარადებით. რომაელთა იარაღი მტრის დარტყმას უკუეხილტდა და კელტები არცთუ მტკიცე და სუსტად ნაწრთობი მახვილები სწრაფად ილუნებოდნენ და იბზარებოდნენ, ხოლო მათ ფარებს დაძვერებული შუბლები ხვრეტდნენ და სიმძიმისაგან ზნექდნენ. ამიტომ კელტებმა საკუთარი იარაღი გადაყარეს, რომაელთა შუბებს ხელებით ეჭიდებოდნენ და ცდილობდნენ მათთვის მიმართულება შეეცვალათ. დაინახეს თუ არა რომაელებმა უიარაღო კელტები, სტაცეს ხელი მახვილებს და წინა რიგებში მებრძოლი მრავალი მოწინააღმდეგე შეშუსრეს, გადარჩენილები კი ველზე მიმოიფანტნენ. მათ იცოდნენ, რომ კამილუსს ბორცვები და სხვა მალლობი ადგილები ადრევე დაეკავებინა და რომ თავიანთი ბანაკი, რომელიც სიმამაცის იმედით გაუმაგრებელი ჰქონდათ, არცთუ ძნელი ასაღები იყო.

ამბობენ, რომ ეს ბრძოლა მოხდა რომის აღების ცამეტი წლის შემდგომ<sup>48</sup> და რომ ამ ბრძოლამ შეაგონა რომაელებს მტკიცე აზრი თავიანთი უპირატესობისა კელტებზე. მანამდე მათ ძალზე ეშინოდათ ბარბაროსებისა და ფიქრობდნენ, რომ პირველად ისინი ავადმყოფობისა და მოულოდნელი შემთხვევის გამო დამარცხდნენ და არა რომაელთა ძალისა და მანაცობის მიზეზით. ეს შიში ისეთი ძლიერი გახლდათ, რომ კანონიც კი გამოსცეს, რომლის ძალითაც ქურუმები, გალებთან თმის შემთხვევის გარდა, ყოველგვარი ლაშქრობისაგან თავისუფლდებოდნენ.



42. ხსენებული ბრძოლა კამილუსის სამხედრო ლაშქრობათა დასასრული იყო. ამ ბრძოლის შემდეგ კამილუსმა ველიტრელთა ქალაქი გავლით აიღო; ბრძოლის გარეშე დაუთმეს მას იგი. ყველაზე დიდი და მძიმე ბრძოლა დარჩენილი იყო სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე; ეს გახლდათ მოსალოდნელი ბრძოლა გამარჯვებით დაბრუნებულ და ძალმიცემულ ხალხსა და მელიც დაჟინებით მოითხოვდა ერთი კონსული მათი ფენიდან გამოსვლა. ეს დამკვიდრებულ კანონს არღვევდა და სენატის სურვილის წინააღმდეგ იყო ნიშნად. სენატმა კამილუსს ნება არ ღართო, რწმუნება მოეხსნა, რადგან ფიქრობდა, მისი თანამდებობის ძალითა და დიდი უფლებებით უკეთ შეიძლებოდა არისტოკრატიის საქმისათვის ბრძოლა.

ერთხელ კამილუსი ფორუმზე მჯდარი რაღაცა საქმით იყო გართული. ამ დროს მასთან მივიდა სახალხო ტრიბუნების ნიერ გამოგზავნილი მსახური, რომელმაც უბრძანა გაჰყოლოდა და წასაყვანად ხელი ჩასჭიდა. ფორუმზე მანამდე გაუგონარი ყვირილი და ხმაური ატყდა. კამილუსის ანაღა ზემოდან იმ მსახურის გადავდებაც ლამობდა, ხოლო ქვემოთ მყოფი ბრბო დიქტატორის ძალით ჩამოთრევას მოითხოვდა. კამილუსი მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ რწმუნება მაინც არ მოიხსნა და სენატორებთან ერთად სენატისაკენ გაემართა. სანამ შიგ შევიდოდა, კაპიტოლიუმისაკენ მიბრუნდა და ღმერთებს შეევედრა, აწმყო ვითარება კეთილად დაესრულებინათ, თან აღთქმა დასდო, თუ შფოთი დაწყნარდებოდა თანხმობის ტაძარს ააგებდა<sup>49</sup>. სენატში დიდი დავა გაიმართა. მოპირისპირე აზრთაგან გაიმარჯვა ყველაზე მშვიდობიანმა რომელიც ხალხს უთმობდა და ნებას რთავდა, ერთი კონსული თავისი ფენიდან აერჩიათ. ეს გადაწყვეტილება ხალხს დიქტატორმა გამოუცხადა. როგორც მოსალოდნელი იყო, გახარებული ხალხი მყისვე შეურიგდა სენატს, ხოლო კამილუსი ტაშისცემითა და აღფრთოვანებული ყიჟინით გააცილეს სახლამდე. მეორე დღეს რომაელები შეიკრიბნენ და დაადგინეს: თანხმობის ტაძარი, კამილუსის აღთქმისამებრ, და მომხდარი ამბის აღსანიშნავად, ფორუმისა და სენატის პირისპირ აეგოთ; ეგრეთ წოდებულ ლათინურ ზეიმთათვის დაეპატებინათ კიდევ ერთი საზეიმო თარიღი, რომელიც ოთხ დღეს უნდა გაგრძელებულიყო; ყოველ რომაელს დაუყოვნებლივ შეეწირა მსხვერპლი და გვირგვინებით შემკობილიყო.

კამილუსის წინამძღოლობით გაიმართა არჩევნები, რის შედეგადაც კონსულები გახდნენ: ნარკუს ემილიუსი — პატრიციუსებისაგან და ლუციუს სექსტიუსი — პირველად ხალხისაგან.

ამით დამთავრდა კამილუსის საქმიანობა.

43. მომდევნო წელს რომს თავს დაატყდა გადამდები სენი, რომელმაც აურაცხელი უბრალო ხალხი და თანამდებობის მქონეთა ნაწილი შემუსრა<sup>50</sup>.

გარდაიცვალა კამილუსიც. მან სიცოცხლე დაასრულა ისეთ ასაკში, რომელსაც ადამიანთაგან ზოგიერთი ვინმე თუ მიაღწევს.

კამილუსის აღსასრულმა რომაელები უფრო მეტად შეაწუხა, ვიდრე იმ დროს ავი სენით შემუსრული ყველა პირის სიკვდილმა.



1. მარკუს ფურიუს კამილუსის (Marcus Furius Camillus, გარდ. ძვ.წ. 364 წელს) — პატრიციული წარმომადგენლობის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის შესახებ ცნობები დაცული აქვს ანტიკური ხანის სხვა ავტორებსაც (ტიტუს ლივიუსს, დიოდორე სიცილიელს, ევტროპიუსს, სვეტონიუსს...).
  2. რომის პირველ დამფუძნებლად რომულუსია აღიარებული.
  3. ძვ.წ. 431 წელს. ეჭვები და ვოლსკები — ძველიტალიური ტომები.
  4. ვეი — ტირენიის ანუ ეტრურიის უძველესი ქალაქთაგანი, რომელიც რომს დაუმორჩილა კამილუსმა ძვ.წ. 396 წელს.
  5. კამილუსის მეტაფორად არჩევის თარიღია ძვ.წ. 398 წელი.
  6. ფალერე და კაპენა — ეტრურიის ქალაქები.
  7. ღმერთის (აპოლონის) სახელით დელფოში მისწობას იძლეოდა ქურუმი ქალი პითია.
  8. ლათინური ზეიმები — ლაციუმის ქალაქთა კავშირის მიერ ყოველწლიურად გამართული ზეიმები იუპიტერის პატივსაცემად.
  9. ძვ.წ. 396 წელს.
  10. დედა მატრუა — ძველიტალიური ღვთაება, განთიადის ღმერთქალი, რომელიც მერმე ბერძნულ დემეტრეას (ინოს) გაუთანაბრეს.
  11. ბეოტიის გამგებლებმა ათამანტმა და მისმა მეუღლემ ინომ გამოზარდეს დიონისე. ამის გამო პერამ ისინი ქეტიდან შეშალა: ათამანტმა ერთი თავისი ვაჟთაგანი მოკლა, ხოლო ინო მეორესთან (მელიკერტესთან) ერთად ზღვაში გადაყარდა. ინო პოსეიდონმა შეიფარა და ღმერთქალ ლევკოთეად აქცია. სხვა ვერსიით ინომ თვითონ მოკლა საკუთარი ვაჟი ათამანტზე ეჭვიანობის გამო.
  12. ზე ევლაბია კაი მედენ აგან არისტონ (ლათ. ne quid nimis).
  13. კრატერი — ღვინისა და წყლის შესაზავებელი თასი.
  14. ტალანტი — ფულისა და წონის მსხვილი ერთეული. 1 ტალანტი-დაახ. 26 კგ.
  15. იხ. „ილიადა“ I, 233 და შმდგ.
  16. ასარიონი უდრის ლათინურ ფულის ერთეულ ასს.
  17. დენარიუსი „ათის შემცველი“ (1 ბერძ. დრაკმა).
  18. იკითხვისები: კელტები, კელტიბერები.
- ბიტურნიგები?**
19. ტერმინი „ტირენელი“ იგივეა, რაც — „ეტრუსკი“.
  20. ძვ.წ. 477 წელს.
  21. გამოანგარიშებით ეს ამბავი უნდა მომხდარიყო ძვ.წ. 390 წლის 18 ივლისს. „საბედის-წერო დღე“ — ბერძნ. აპოფრას ჰემერა (dies nefastus).
  22. პესიოდე „სამუშაონი და დღენი“, 760 შმდგ.
  23. პლუტარქეს თხზულება „დღეთათვის“, რომელიც „ეთიკაში“ შედიოდა, არ შემონახულა.
  24. თვეთა ძველბერძნული სახელებია: პიპოდრომიონი, ბოედრომიონი, თარგელიონი...
  25. „მეფე“-„დიდი მეფე“ — სპარსთა მეფე.
  26. კრანონი — თესალიის ქალაქი.
  27. იგულისხმება ღმერთქალ დემეტრესადმი მიძღვნილი ელევსიის მისტერიები.
  28. პლუტარქე „რომაული ძიებები“, XX XV.
  29. რომ. ვესტა ბერძნ. პესტია — კერის მფარველი ღმერთქალი.
  30. იგულისხმება ვესტის ტაძრის მსახური ქალიშვილები, ე.წ. „ვესტალები“ (Vestales).
  31. პალადიუმი (ბერძნ. „პალადიონი“) — ღმერთქალ ათენას გამოსახულება, რომელიც თითქმის ზეციდან ჩამოვარდა ტროას ქალაქში ვით სიმბოლო მარადიული უძლეველობისა.
  32. კოლინის კიშკარი — Porta Collina-„ბორცვის კიშკარი“, რომის შვიდ ბორცვთაგანის — კვირინალის კიშკარი.
  33. ქალაქ რომის დაფუძნებას ანტიკური ტრადიცია ძვ.წ. 753 წელს დებს. ასე რომ გალუ-ბის მიერ რომის აღება ძვ.წ. 390 წელს უნდა მომხდარიყო.
  34. არდეა — ქალაქი რომის მახლობლად.
  35. „ხემილიბერი“ — დაახ. 136 გრამს; კოტილე — დაახ. 0,27 ლიტრს.
  36. ბერძ. ნენიკემენოსის ოდინე — ლათ. vae victis! „ვაი-უბედურება დამარცხებულთ!“
  37. ლათ. lituus „ავგურთა (მისანთა) კვერთხი“.



38. ნონები (nonnae) — რომაული თვის მეშვიდე ან მეცხრე დღე.
39. იხ. პლუტარქე, „რომულუსი“, 27.
40. ძვ.წ. 384 წელს.
41. მონეტა — ღმერთქალ იუნოს ეპითეტი, რომელიც „კეთილ მრჩეველს“ ალნიშნავს. სიტყვა მომდინარეობს ზმნისაგან moneo („გურჩევ“, „ვაქებებ“). ღმერთქალ მონეტას ტაძარში მზადდებოდა ლითონის ფული. აქედანაა ამ ფულის სახელიც — „მონეტა“.
42. ძვ.წ. 381 წელს.
43. ძვ.წ. 368 წელს.
44. ე. ი. 50.000 დენარიუსით.
45. ე. ი. დიქტატორის თანამემწედ.
46. ჰუგერუმი — 2.500 კვ. მეტრი.
47. ძვ.წ. 367 წელს.
48. უფრო ზუსტად: ოცდასამი წლის შემდეგ.
49. თანხმობის ტაძარი — ბერძნ. „ჰომონოია“, ლათ. „კონკორდია“.
50. ძვ.წ. 365 წელს.





ფრანგულიდან

თარგმნა მამუკა სალუქვაძე



## ვიქტორ ჰიუგო

1802—1855

### ჯინები

და როგორც ცაზე გაწეილი გუნდი წეროთა,  
ირწეოდა და გულსაკლავად მიიმღეროდა,  
მიბარბაცებდა გრძელი კვნესით გამწკრივებული,  
ფრთათა ქარიშხალს აყოლილი ჩრდილთა კრებული.  
დანტი

ვჭვრეტ მკვდარს  
ზღვის პირს.  
ვგრძნობ ქარს,  
სუსტ ბრიის,  
როს ქრის  
და თრთის,  
ზღვას გრილს  
ძილს ჰგვრის.

რალაც ხმა  
რარიგ ჰგავს  
ლამის ღრმა  
სულის თქმას,  
ოდეს სულს  
აღმოსულს,  
აღს რომ ჰსურს,  
ცეცხლი ნთქავს.

ეს ხმა არის  
ფარი ზარის;  
ჯუჯათ ჯარის  
ჩორთით ჩქარით,

ზღვა ბრუნდება  
და დუნდება,  
და ბრუნდება  
ზურგის ქარით.

ექოთა მზარი  
ხმაურით დაძრწის,  
ეს გახლავთ ზარი  
დაწყევლილ ტაძრის.  
ხმაური ხალხის  
მომწყდარი ტალღის,  
დუმილი ალყის  
და შიში დაძვრის.

ღმერთო! ხმა ჯინების!  
სამარით წყეულით  
კიბე განჩინების  
აღმოვა ხვეული;  
ჩაქრალი სანთლებით  
ნაშობი ლანდების  
რხეულ გირლანდებით  
რიკულ მორღვეული.



ისეთ ტკაცა-ტკუცს იწვევს  
ჯინების სრბოლა მალი,  
თითქოს ფიჭვნარში წიწვებს  
მოჰკიდებოდეს ალი  
და ქარბორბალაც ისევ  
ზეცას ჩაივლის ისე,  
როგორც მარაგი მქისე,  
უფერული და მკრთალი.

უთუოდ სიშორის  
და სივრცის ბრალია,  
ფრთების შარიშური  
ისეთი მკრთალია;  
ცა გადაიფრინეს,  
თუ ველი ბიბინებს,  
თუ ჩუმად წრიპინებს  
ხმაწვრილი კალია.



ხმა მზარავს, ახლოს არიან;  
დარაზეთ სახლის კარები;  
ეს ხომ ვამპირთა ჯარია,  
ურჩხულთა სისხლ შენარევი.  
დედაბომ გამონაცალი,  
ვით ყანა გამონაცელი,  
გადმოიქცევა საბძელი  
ღირე-ძელ ნაზანზარები.

რა საოცრებით  
ხართ გაჩენილნი?  
ბავშვის ოცნებით  
ხილვად შეთენილნი.  
და წინაპრების  
შეთხზულ ზღაპრების  
ოქროს ლამპრებით  
გადარჩენილნი.

ხმა ჯოჯოხეთით! ჯგრო შემზარავი!  
მოთქმა, გოდება, ოხვრა, ღრიალი.  
ზეცავ! მემხოზა თავზე კარავი,  
ოჰ, ეს გრიგალი ოხერ-ტიალი.  
ჭალი ზანზარებს, ჭერი ჭრიალებს  
და როცა ისევ ჩაიგრიალებს,  
სახლს ფოთოლივით ააფრიალებს  
და გაიტაცებს ბრუნვა-ტრიალით.

წყვედიადს ჰკაფავს  
ჯინთა ჯარი  
და სულს ჰლაფავს  
ბოდმით, ჯავრით.  
ბნელ ღამეში  
ისე ხვწეშის  
როგორც თქეში  
უჩინარი.

ოღონდაც ეშმა მარიდე,  
მისანო მიხსენ! დამინდე!  
და ვფიცავ რომ ჭეშმარიტად  
მოვალ და სანთლებს დაგინთებ.  
ოღონდ დამხსენი წყეულნი,  
ფრთებდაკლანჭული სხეულნი  
და მათი გმინვა სნეული  
დაადუმე და გაკმინდე.

ჯინები  
გაქრნენ და  
ჩრდილები  
გაქრთენ და  
ცამ როცა  
კვლავ ლოცვა  
გამოსცა,  
გათენდა.

წავიდნენ! ხილვა ლამის  
ვგონებ დასრულდა ღმერთო.  
ჩამომიქციეს ლამის  
სახლი — კარი და ერდო.  
მძიმე ჯაჭვების რხევით,  
ბებერ მუხების რყევით,  
ტყის ცეცხლის ალში ხვევით,  
მიჰყვება ურდო ფერდობს.

ამენ!  
ახდა.  
ღამე  
გახლდათ  
და ხმა  
აღმა,  
გაღმა,  
გაზდა.



ანტუან ვინსენტ არნო

1766—1834

ფოთოლი



ჩეროს ჩამონაცალო,  
ფოთოლო ფერნაცვალო,  
საით მიხვალ? — არ ვიცი.  
მუხა მეხმა დამეხა  
და აწ ვარ აღარვისი:  
ქროლით თავბრუ დამეხვა;  
ნიავესა თუ ბორიასს  
ბეტიალს, თუ ბორიალ  
დავყვები, დამარწევნ,

როდის რა ბედს ვეწევი;  
როდის მთა-ბარს მაწვევენ,  
როდის ტყე-ველს ვეწევი.  
თუმცა ნატანჯ-ნაწვალი,  
ფერ და სახე ნაცვალი,  
ვრჩები სულით უცვლელი...  
და იქ მივალ ობოლი,  
სადაც დაფნის ფოთოლი,  
ანდა ვარდის ფურცელი.

მარლ ლეკონტ დე ლილი

1818—1894

ეკვატორის ძველეთ

სივრცე და რიცხვი და ჟამი,  
ზღვაში რომ ჩაცვივდნენ ციდან,  
იდგა ზღვა მშვიდი და ჟამი.

ღამე — ჩრდილ სიჩუმის ჯამი  
დაიქცა და დაიწრიტა  
სივრცე და რიცხვი და ჟამი.

დაიფლო აერთა შლამით  
სული — ცის ნატეხი ციდა.  
იდგა ზღვა მშვიდი და ჟამი.

დაინთქა მღუმარე ღამით  
ხსოვნა და ყოველი წმინდა,  
სივრცე და რიცხვი და ჟამი.  
იდგა ზღვა მშვიდი და ჟამი.



**აოლ ვერლენი**  
1844—1896

**შემოდგომის სიმღერა**



შემოდგომდება,  
გული ღონდება,  
რომ აგონდება:

გათანგულ ჩანგთა,  
მწუხარე ჰანგთა  
მოთქმა-გოდება.

როს დაჰკრავს ზარი,  
სულისა მზარი,  
მეცვლება ნირი;

გარდასულ დღეთა  
აჩრდილებს ვხედავ  
და მწარედ ვტირი.

და ვარ თანახმა,  
აღმა და დაღმა  
ვიქროლო ქარით;

ქარების კოჰორტს  
დავყვები, როგორც  
ფოთოლი მკვდარი.

**ფრანსუა კოპე**  
1842—1908

**კვდომა ჩიტების**

მწუხრის ჟამს, ხშირად ვფიქრობ მწუხარედ ბუხართან მკდარი,  
რომ სადღაც ტყეში, მიუსაფარი წევს ჩიტი მკვდარი.  
ზამთარში, ქარში, როდესაც ხეთა თრთიან რტოები  
და ბუდეები სამუდამოდ მინატოვები,  
რომ ირწევიან ვით საქანელნი ნელნი, ცისანი.  
კვდომა ჩიტების, ნუთუ ეს არის ზამთრის მიზანი?!  
კვდებიან, მაგრამ, ნეტავი ნეშთი მათი სად ქრება?  
ველარსად ნახავთ, როცა აპრილის ჩაივლის თქვენი  
და ნაწვიმარზე გამობრძანდებით იის საკრეფად.  
აღმათ თვით სიკვდილს ემალებიან ჩიტები ტყეში.



თარგმნა მარი აბრამიშვილმა



### რალაც სხვა

რა დამემართა?  
რად აღარ ძალმიძს,  
ლექსად ამოვთქვა გულისთქმა ჩემი?  
წელიწადია, წამერთვა კალმის  
ოსტატის ნიჭი და მუნჯად ვრჩები,  
თქვენ აღბათ მეტყვით; აგერა, აქვე  
სტროფია უკვე და ლექსიც მოდის,—  
მაგრამ ამაში როდია საქმე,  
გაწაფული ვარ წერაში ოდით,  
ამ სამუშაოს ასრულებს ხელი,  
ადრე კი... ადრე რა იყო ნეტავ?  
რალაც ჩნდებოდა წვითა და ღელვით,  
რაც დამეკარგა და ველარ ვხედავ;  
|  
რაც დამავიწყდა, რაც აღარ ვიცი,  
რაც ისე ლალად ავლენდა გრძნობებს,  
რასაც სიცილიც უგავდა სიცილს,  
ტირილიც — ტირილს,  
ტიროდა ოდეს.

მოდო, გულგრილად შემხედე,  
ამაოდ ნუ გეყვარები,  
ნუ შეეხები ჩემს ხელებს  
აგრე კეთილი თვალებით.

ნუ ეძებ გაზაფხულობით  
ჩემს კვალს — ჩაკარგულს ტბორებში,

მოეშვი ჩემს ბედს უღმობელს,  
ამაო ძებნას მოეშვი.

შენ არ იფიქრო, არ ღირს ხარ,  
იმად გაგირბი ღვენილი, —  
ო, არა სიამაყისგან —  
სიმწრით ვარ თავადერილი.



## ახალი რვეული



შიშით და კრძალვით დავცქერ ფურცელს —  
 ჯერაც ფერუცვლელს,  
 ქათქათას, სუფთას, ჯერ დაუწერელს.  
 ასე — მძარცველი, გატეხს ვიდრე,  
 ტაძრის კარს უცქერს,  
 ასე — ქალწულის უსპეტაკეს სახეს უცქერენ!

ახალ რვეულში ბავშვები ხომ ხალისით წერენ,  
 დავებარბები ახალ რვეულს მოწაფესავით,  
 რომ უმოწყალოდ კალმის წვერით დავჩხვლიტო მერე,  
 ოღონდ არ დამრჩეს თავში აზრი გაულექსავი.

ო, სუფთა წერის გაკვეთილი სულ მალე გავა  
 და სიხარულიც გათავდება რაღაც წამებში;  
 გადავშლი ფურცელს —  
 დააკვდება თეთრ მინდორს შავად  
 სირცხვილნაქამი ჩემი ხელის ავად თარეში.

რვეულში, როგორც ტყის სიღრმეში, საკუთარ ხელით  
 მე ვიძირები, მიმაქანებს ნება ჩემივე  
 და მოქათქათე ფურცლებს შორის მარტოკა შთენილს  
 დამაქვს სასჯელი უმძიმესი და მოზეიმე.





მ. თ. რ. ბ. ა.

თარგმანი მზია კობახიძე

დევრჯერ გამიგონია, შვილიშვილი შვილზე უფრო საყვარელიაო. არ მჯეროდა... თურმე მართლა ასე ყოფილა. ალბათ იმიტომ, რომ შვილიშვილი მაშინ მოგვევლინება, როდესაც სიკვდილსა და ავადმყოფობაზე უფრო მეტად მარტოობისა გვეშინია.

ლიზაც სწორედ ასეთ დროს გაჩნდა — მე სამოცს ვიყავი მიახლოებული. ჩემმა ვაჟმა, ვალოდიამ, და მისმა მეუღლემ, კლავამ, წინასწარ გამაფრთხილეს, რომ ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმა ჩემი იმედით გადაწყვიტეს, უჩემოდ ვერ გაბედავდნენ. როცა ლიზა შინ მოიყვანეს, ვალოდიამ და კლავამ მითხრეს, რომ მის ბედს მთლიანად მე მანდობდნენ, რადგან ოცდათხუთმეტი წელი სკოლაში გავატარე.

— არც ერთ ჩვენთაგანს არ ჰყოლია აღმზრდელად პედადოგი ასეთ პატარა ასაკში, — მითხრა ერთხელ ვალოდიამ.

ქმარს კლავაც დაეთანხმა.

როდესაც ლიზა ერთი წლისა გახდა, ვალოდია და კლავა გათხრებზე წავიდნენ: სადღაც ძველთაძველი ყორღანი აღმოეჩინათ. ისინი მომავალს კი არა, უძველეს წარსულს იკვლევდნენ — ორივენი არქეოლოგები იყვნენ. ამიტომაც უფრო ლოგიკური იყო ლიზასთვის მე მიმეხედა.

თავს ვალდებულად ვთვლიდი, ჩემს შვილიშვილს თანატოლებზე ადრე დაეწყოთ ლაპარაკი, სხვებზე ადრე ესწავლა კითხვა და აღექვა გარემო, რადგან შვილმა გადაკვრით მითხრა, პენსიონერი შენ ხარ და არა შენი პედაგოგიური სტაჟიო.

ქმარს კლავაც დაეთანხმა.

ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლიზას აღზრდაში ოცდათხუთმეტი წლის გამოცდილება დამუხმარებოდა და საოცარ შედეგს გამოიღებდა.

მაგრამ ჩემი გამოცდილება ლიზას ხასიათს შეეჯახა...

ლიზას რომ მტკიცე ხასიათი ჰქონდა, მაშინვე მივხვდი: ის თითქმის არ ცდილობდა. სალიანაც რომ ტკენოდა რამე ან ჩასველებული ყოფილიყო, ხმას არ ამოიღებდა! ეს ზედმეტ სიჩვეულებს მიქმნიდა.

როდესაც სამწლიანხვედრისა გახდა, ავუხსენი, რომ მისი სრული სახელია ელიზავეტა, რომელიც უფრო საზეიმოდ ჟღერს. ამის შემდეგ „ლიზას“ დაძახებაზე არ პასუხობდა. არ პასუხობდა და მორჩა! ვცადე დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლება პატარა გოგოს ელიზავეტა დაუძახო, ხალხი სიცილს დაიწყებს-მეთქი.

— მერე რა, დე იცინონ, — მიპასუხა მან.



მაშინ ავუსენი, რომ მართო სახელს, მამის სახელის გარეშე, მხოლოდ დედოფალს ეძახდნენ. მას შემდეგ ლიზამ დედოფლის დიდებული და მამაყი იერი მიიღო. მე კი მის მშობლებს, რომლებიც საიდნაღაც, სამვალეებიდან და ყორღანებიდან გვირეკავდნენ, ვეუბნებოდი: „ელიზავეტას სძინავს... ელიზავეტა ლამის ქოთანზე ზის...“

ჩემმა შვილიშვილმა თავის ცხოვრებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ჩემს ოთახში, საწოლის თავზე, იმ მოსწავლეთა სურათები ეკიდა, რომელთაც რუსულ ლიტერატურასა და ენას ვასწავლიდი და კლასის ხელმძღვანელიც ვიყავი. სურათებზე პირველ რიგში ნახევრად წამოწოლილი იყვნენ, მეორეში — ისხდნენ, მესამესა და მეოთხეში, ჩვეულებრივ, იდგნენ. სახის გამომეტყველება ყველას არაბავშვური, დადინჯებული ჰქონდა. იქნებ იმიტომ, რომ იქვე, მეორე რიგის შუაგულში, მასწავლებლები ვისხედით.

ელიზავეტას სურათების დათვალიერება უყვარდა. თითხან ერთს დაადებდა, ხან მეორეს და შეკითხებოდა: „ეს ვინ არის? ესა?...“

რამდენადაც სკლეროზის მთავარი თვისებაა — გახსოვს, რაც დიდი ხნის წინ იყო, გავიწყდება მხოლოდ ახლახან მომხდარი, ყოფილი მოსწავლეების სახელსა და გვარს მაშინვე ვასახელებდი.

მხოლოდ ერთ სურათზე იყო ხუთი რიგი... წითური ბიჭი, რომელიც შავთეთრ სურათზე ქერად გამოიყურებოდა, სხვებისაგან განსხვავებით, ილიმებოდა. ის მარცხნიდან მესამე იყო მეხუთე რიგში.

ჩემს შვილიშვილს ვუთხარი, ეს ვანია ბელოვიკი — მის გვერდით კი — მამაშენი — ვალოდია დგას-მეთქი. ვანიამ იმ დღეს სანაძლეო დადო, რომ ერთიმეორეზე შედგმულ სკამებზე შეძლებდა დადგომას. ასე წარმოიშვა მეხუთე რიგი, რომელიც არც ერთ სხვა სურათზე არ იყო.

ელიზავეტას მამამაც მიბაძა მეგობარს, თუმცა თავის შემაგრება უჭირდა, უჭირდა იმიტომ, რომ დაბადებიდან მარჯვენა ფეხით კოჭლობდა. სენია გოლუბკინიც, რომელიც მუდამ სხვაზე მაღლა დგომაზე ოცნებობდა, რამდენჯერმე კინალამ ჩამოვარდა.

ვანია ბელოვიკი კი ილიმებოდა...

ის იყო ჩემი სულთამხუთავი. მის ოინებზე ელიზავეტას იმიტომ ვუყვებოდი, რომ თავის სიცოცხლეში მსგავსი რამე არასოდეს ჩაეღინა.

ერთხელ ვანია ბელოვიკი ყველას თვალწინ მესამე სართულის ლავგარდანს გაჰყვა, ჩვენი კლასის ფანჯარაში თავი შემოჰყო და იკითხა:

„შეიძლება შემოვიდე?“

— ეს როგორ მოხდა? — იმავე დღეს მკითხა დირექტორმა.

— ვანია ბელოვისგან რა უნდა გაგვიკვირდეს? — ვუპასუხე მე.

მეორეჯერ შიმშილობა გამოაცხადა... ჩათვალა, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს უსამართლოდ დაეუწერე ორიანი.

შესვენების დროს ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— ვერა მატვეენა, თქვენ ხომ არ დაგივალეხათ, რაც მას გამოჰკითხეთ.

— მან კარგად არც ის იცოდა, რაც დაგავალეთ.

— კარგად? შეიძლება... მაგრამ ამისთვის ორიანს არ წერენ.

— საკლასო ჟურნალში უკვე ჩავწერე!

— გადასწორება შეიძლება!

— არა, არ შეიძლება!



— უნდა გადაასწოროთ!

— არასოდეს...

— მაპატიეთ, ვერა მატვეევნა, მაგრამ მე პროტესტს ვაცხადებ.

— როგორ?

— ვაცხადებ შიმშილობას!

მე გამეღიმა და ხელი ჩავიქნიე.

შევამოწმე: იმ დღეს ბუფეტში არ ყოფილა. არც მეორე დღეს...

— შიმშილობ? — ვკითხე ვითომდა გულგრილად.

— ვშიმშილობ.

— კიდევ დიდხანს აპირებ?

— სანამ ორიანს არ გადაასწორობთ, — მერე მიმოიხედა და ჩუმად მი-  
თხრა: — ნუ გეშინიათ, ამის შესახებ არავინ იცის. არადა, მოგიწევთ ბუფე-  
ტის დაკეტვა.

სალამოს ვანიას მშობლებს შინ ვეწვიე.

ბელოვები სკოლის ახლოს, ქუჩის მეორე მხარეს ცხოვრობდნენ. საბედ-  
ნიეროდ, ვანია შინ არ იყო. ვანიას მშობლები სასიამოვნო, მორიდებული  
ადამიანები იყვნენ. ვანიას გაბედულებისა და ურჩობისა მათ არაფერი ეც-  
ხოთ.

— ხომ არაფერი მომხდარა? — მკითხა დედამისმა და გულზე ხელი  
მიიღო, — რა ჩაიდინა?

— არაფერი, ნუ ღელავთ, — ვცადე მათი დამშვიდება.

— როგორ არ ვიღელვოთ. ჩვენ ხომ მაგის მეტი არავინ გაგვაჩნია.

ოთახის ყველაზე მყუდრო ადგილას, მაგიდაზე ვანიას ჩანთა (მე ის მა-  
შინვე ვიცანი), რვეულები და წიგნები ელაგა. კედელზე გაკვეთილების  
ცხრილი და ის სურათი იყო გაკრული, რომელზეც ვანია მესამე იდგა მებუ-  
თე რიგში.

— ნუ ღელავთ, კარგად სწავლობს, მათემატიკის ოლიმპიადაზე წარვად-  
გინეთ — ვუთხარი მე.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა დედამ.

გავბედე და პირდაპირ ვკითხე:

— მითხარით, შინ სადილობს?

— რატომღაც უარი თქვა... — მიპასუხა ვანიას დედამ. — მარტო  
წყალს სვამს, პურსაც კი არ ეკარება, ვკითხე, იქნებ მუცელი გტკივა-მეთქი.  
მან კი მიპასუხა, მაღა არ მაქვსო. უკვე მეორე დღეა...

„ასე ხომ ყველაფერს გამომძალავს, რასაც მოისურვებს!“. — გავიფიქრე და  
მეორე დღესვე ვანიას თანდასწრებით ორიანი სამიანად გადავასწორე.

— რატომ გადაასწორე? — მკითხა ელიზავეტამ, როდესაც ამ შემთხ-  
ვევის შესახებ ვუამბე. მაშინ უკვე ექვსი წლისა იყო. — შეგეშინდა, ვანია  
შიმშილით მოკვდებაო?

— არა, იმ მოსწავლის გამო გადავასწორე.

არ მითქვამს მხოლოდ, რომ ის მოსწავლე მამამისი იყო.



2.

დიახ, ვალოდია ჩემს კლასში სწავლობდა. ასე მოხდა... როდესაც დირექტორი ცდილობდა ჩემს დაყოლიებას მეექვსე „ბ“ კლასის ხელმძღვანელი ვყოფილიყავი, მითხრა:

— უარს ნუ ამბობთ, თქვენს მიუკერძოებლობაში ეჭვი ვის შეეპარება? მე დავთანხმდი. და სამი წელი ვამტკიცებდი იმ მიუკერძოებლობას, რომელშიც, დირექტორის თქმით, ეჭვი არავის შეეპარებოდა. როგორღაც ჩემდა შეუმჩნევლად, ეს გადაიქცა ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარ ამოცანად. ძალიან ვცდილობდი ყველას დაენახა, რომ შვილისადმი მკაცრი, დაუთმობელი და მომთხოვნი ვარ. როგორ გაუძლო ვალოდია, ახლაც არ ვიცი.

არც ერთ პედაგოგიურ სახელმძღვანელოში არ წერია, როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, როდესაც ცხვირწინ, პირველ მერხზე შვილი უზის.

ვალოდია პირველ მერხზე სწორედ იმიტომ იჯდა, რომ ჯდომა ბოლოში უყვარდა.

მისი თხზულების მაგალითზე ვუხსნიდი მთელ კლასს, როგორი გრამატიკული და აზრობრივი შეცდომებია ყველაზე მეტად დამახასიათებელი, დაფასთან დიდხანს ვაჩერებდი და, კუდრიავეცევო-მეთქი, გვარით მივმართავდი, როდესაც სხვა ბავშვებს სახელს ვეძახდი.

გამოდრიოდა, რომ მაინც გამოვყოფდი. თუმცა გამოვყოფდი მის უარყოფით თვისებებს.

ვალოდია ვალდებული იყო, ლიტერატურაში ბრწყინვალედ ებასუხა. ერთხელ შევამჩნიე, რომ გაკვეთილი მტკიცედ არ იცოდა და განგებ ვკითხვის, რაც სკოლაში არ უსწავლიათ. ვალოდია დადუმდა, მე კი ხმამაღლა ვაუწყე მას, უფრო სწორად, მთელ კლასს:

— კუდრიავეცევო! ორიანი!

სწორედ მაშინ გამოაცხადა ვანია ბელოვმა შიმშილობა.

— მუდამ გახსოვდეს, რომ ჩემი შვილი ხარ! — ვუნერგავდი მას. — გთხოვ, სწორად გამიგო...

მას ახსოვდა, ესმოდა და არ სწყინდა. მაგრამ ვანია ბელოვს არ სურდა ამის გაგება! ჩემსა და ჩემი შვილის ურთიერთობაში ერეოდა და ყველაფერს მიფუშავდა!

ვალოდიას ვუხსნიდი, რომ არ კმარა მარტო ისტორიითა და უძველესი თიხის კრამიტებით დაინტერესება, რომ მათემატიკის საკონტროლოზე კარნახითა და შპარგალკით სარგებლობის უფლება არ აქვს.

ვანია ბელოვი კი, პირიქით, არწმუნებდა, რომ მათემატიკა არასდროს გამოადგებოდა და საკონტროლო წერის დროს ეხმარებოდა.

მე ვუმტკიცებდი, რომ ზუსტი მეცნიერებანი აუცილებელია ტვინის სავარჯიშოდ, ვანია ეუბნებოდა, რომ ნორმალური ადამიანი ვარჯიშს დღეში მხოლოდ ოც წუთს თუ უთმობს. ჩვენ კი გაკვეთილები და გამოცდები გვაქვს, რაღა ვარჯიშიაო.

ვიცოდი, რომ ჩემი და ჩემი შვილის ურთიერთობას, ვანიას გარდა, თვალს აღევნებდა სენია გოლუბკინიც.

არიან ადამიანები, ახალ კაბას რომ შეგამჩნევენ, კი არ მოგილოცავენ,



გეტყვიან: რა სულ ახალ-ახალი გაცვიანო. შვებულებიდან დაბრუნებულს გნახავენ და თავს გადააქნევენ, — სულ ისვენებთო, ხოლო თუ კარგად გამოიყურები, ამოიოხრებენ და, როგორ გაფურჩქნულხარო, გეტყვიან. სენია გოლუბკინის დანახვაზე სწორედ ასეთი ადამიანები მახსენდებოდა. სწორედ ასეთი ფარმატებას ვერ იტანდა.

ყველგან გამორჩენა და პრივილეგია ეჩვენებოდა. ვინმეს ავადმყოფობას რომ გაიგებდა, იტყოდა: „გასაგებია... დასვენება გადაუწყვეტია! — საშინაო დავალებში ვინმე ხუთიანს მიიღებდა და — „რაო, დედიკო და მამიკო გაისარჯენ?“

აზრის ზუსტად ჩამოყალიბება სენკასთვის ტანჯვა იყო. ამის გამო არც ლიტერატურა უყვარდა, არც მე.

გოლუბკინს ბავშვებმა ყორანი შეარქვეს. ის თითქოს კლასს თავზე დასტრიალებდა, ყველაფერს აკვირდებოდა და ყველაზე ეჭვიანობდა.

მე შვილის სიყვარულს მწამებდა.

როდესაც ვალოდია კოჭლობით დაფისკენ მიდიოდა, გოლუბკინი უნდობ მზერას აყოლებდა: ხომ არ იგონებს, რაიმე უპირატესობის გამოძალვა ხომ არ უნდაო.

ძნელად იბოვიდით ორ ისეთ განსხვავებულ ადამიანს, როგორიც ვანია და სენკა იყვნენ. ორივე ძალიან მირთულებდა ისედაც ძნელ მდგომარეობას.

კლასს სიკეთისაკენ რომ მოვუხმობდი, სენკას თვალებში ვამჩნევდი უდიდეს სურვილს — ვალოდია ამ გზას ასცდენოდა. მაშინ სენკას შეეძლებოდა ეთქვა დიდი ხნის წინ მოფიქრებული სიტყვები: ჯერ შვილი აღზარდეთ.

გშიშობდი, ვალოდიას ჩემი ქადაგებისა და დარიგების საწინააღმდეგო არაფერი ჩაედინა. მაგრამ ეს მაინც მოხდა...

მერვე „ვ“ კლასს მათემატიკაში საკონტროლო ელოდა, რთული გეომეტრიული ამოცანის ამოხსნა ვალოდიასთვის ისევე ძნელი იყო, როგორც სენია გოლუბკინისთვის — მოთხრობისა და რომანის განსხვავება.

იმ დილით სკოლაში რომ მივდიოდით, ვალოდია ნატრობდა, მათემატიკის მასწავლებელს რაიმე დაემართოსო. მე ვუთხარი, ასეთი ნატვრა უაღამიანობაა-მეთქი.

— მაშინ სადმე მაინც გაეჩხიროს და თუნდაც თბუთმეტი წუთი შეაგვიანდეს. ცოტა რამ ხდება ქალაქში! მერე კი გვიანი იქნება საკონტროლოს ჩატარება...

— კი მაგრამ, შენ ხომ ისწავლე?

— ეს არ მშველის!

მათემატიკის მასწავლებელი ქალი ერთ-ერთი ის მცირე გამონაკლისი გახლდათ ჩვენს სკოლაში, ვინც თავის გარეგნობას დიდ ყურადღებას აქცევდა. ელოდებოდა, სანამ ყველა გავიდოდა სამასწავლებლოდან და სარკესთან კეკლუცობდა, თავის სახესა და თმას ამოწმებდა. თუ დარწმუნდებოდა, ყველაფერი რიგზეაო, მერე მიდიოდა უფროსკლასელებთან შესახვედრად.

იმ დილითაც მოთმინებით ელოდა სამასწავლებლოს მაგიდიდან ყველა საკლასო ჟურნალის აკრეფას. სარკესთან მივიდა... და ამ დროს ჩაკეტეს, დერეფნის მხრიდან გასაღები გადაატრიალეს. ვალოდიას ოცნება ასრულდა: მათემატიკის მასწავლებელს შეაგვიანდა.



მხოლოდ ოცი წუთის შემდეგ გაიგონა დამლაგებელმა სუსტი კაკუნები: მათემატიკის მასწავლებელს აურზაურის ატეხვა არ უყვარდა. საკონტროლო წერა ჩაიშალა.

მივხვდი, სენკა გოლუბკინს აღდგომა გაუთენდებოდა! მათემატიკის მასწავლებელი ამ „საქმის“ გარჩევას არ დასწრებია. სასა-ცილო მდგომარეობას თავს არიდებდა, იქ კი დაცინვა არ ასცდებოდა. იგი ლამაზი ქალი იყო და არავის დაცვა არ სჭირდებოდა.

— კუდრიავეცეს ვთხოვ, აგვიხსნას თავისი საქციელი! — ვთქვი და თან სენია გოლუბკინს შევხედე.

სენიას თვალები აღარ უბრწყინავდა, აფორიაქებული ჩანდა. მე თვით ვდებდი ბრალს ჩემს შვილს, ამიტომ სენიას ჩემი დადანაშაულება აღარ შე-ეძლო.

უცებ ბოლო მერხიდან ვანია ბელოვის ხმა გაისმა:

— ვალოდია კუდრიავეცევი რა შუაშია. კარი მე ჩავკეტე.

— შენ? შენ შეგეშინდა მათემატიკის საკონტროლოსი? — ვკითხე გაკ-ვირვებულმა.

— არსებობს კოლექტიურობის გრძნობა! — მიპასუხა ვანია ბელოვმა და დაჯდა.

სენია გოლუბკინის თვალებში სასოწარკვეთილება და წუხილი გამოი-ხატა.

— ვანია, შენ ბოდიში უნდა მოუხადო, ირინა გრიგორიევნას, — დაბნეუ-ლად ვთქვი მე.

— როცა ვკეტავდი, მაშინ ვუთხარი, ბოდიშს გიხდით-მეთქი.

— მას არ გაუგონია. გარდა ამისა, ახლა ხუმრობის გუნებაზე სულაც არ ვარ!

— არც მე, — თქვა ვანია ბელოვმა.

— საჩქაროდ მოუხადე ბოდიში! პირისპირ მოუხადე... — მათემატიკის მასწავლებელს ასეთ წარმოდგენებში მთავარი გმირის როლის შესრულება არ უყვარდა. — ალბათ იმათაც უნდა შერცხვეთ, ვისი გულისთვისაც ბელოვ-მა ეს ჩაიდინა! — ვთქვი და სენია გოლუბკინს მივაჩერდი.

სკოლის დირექტორმა გამომიძახა.

— რა, ისევ ვანია ბელოვია?

— ისევ. მაგრამ მეორეს მხრივ...

— დროა, ზომები მიიღოთ! — შემაწყვეტინა მან.

— დროა, — დავეთანხმე მე.

სასწავლო წლის დამთავრებას დაველოდე და ვალოდიასთან ერთად სხვა სკოლაში გადავედი. სკოლა ჩვენი სახლიდან შორს იყო. სამაგიეროდ ვანია ბე-ლოვსაც მოვშორდით. ერთი წლის შემდეგ საცხოვრებელი ადგილიც შევიც-ვალეთ. — ქალაქის მეორე ბოლოში გადავსახლდით.

### 8.

ადრე მეგონა, კაცობრიობის „მშვენიერი ნახევარი“, რომელსაც ოდესღაც მეც ვეკუთვნოდი, იუმორის გრძნობით მაინცდამაინც არ გამოირ-ჩევა. მაგრამ ჩემი შვილიშვილი, ელიზავეტა, თავისი ქცევით მუდამ ამ რწმე-ნას მიბათილებდა.



იგი წამდაუწუმ მთხოვდა, გამეხსენებინა ვანია ბელოვის ოინები, მრავალი წლის შემდეგაც რომ მაოცებდნენ, ელიზავეტა კი მყის დივანზე გაგორდებოდა და აკისკისდებოდა.

ვილაც მოზრდილისაგან ძმაბიჭური გამოთქმა — „მისმინე!“ ისწავლა და ყოველ ფრაზას ამით იწყებდა.

— მისმინე! — მეტყოდა ხოლმე და წინასწარ გადაკოტრილდებოდა დივანზე. — პირდაპირ ფანჯარაში შემოყო თავი და ასე თქვა — შეიძლება შემოვიდეო?

— ჰო, ასე, პირდაპირ!.. მაგრამ ის კი არ უფიქრია, რა მოხდებოდა, მესამე სართულიდან რომ გადავარდნილიყო! საერთოდ იშვიათად ფიქრობდა.

— როგორ არ ფიქრობდა, თუკი ფანჯარაში გამოჩენა მოიფიქრა.

ექვსი წლის ბავშვისთვის ელიზავეტა დიახაც ლოგიკურად მსჯელობდა.

— სულაც არ წუხდა იმ ადამიანებზე, რომლებიც მის მაგიერ აგებდნენ პასუხს, — ვუხსნიდი მე, — მხოლოდ თავისი თავი და ოინები ახსოვდა.

ვანიას მხოლოდ ერთი დანაშაულის, ჩემი აზრით, მთავარი დანაშაულის შესახებ არც ელიზავეტასა და არც სხვებისთვის არაფერი მითქვამს...

პატარები მუდამ საყვარელი წიგნის რამდენჯერმე წაკითხვას და ზღაპრის თხრობას გთხოვენ. ელიზავეტას კი ვანია ბელოვის ოინების მოსმენა უყვარდა.

ერთხელ, როდესაც ჩვენი სტუმრები მაგიდას უსხდნენ და ვალოდია პირველი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ადგა, ძველებური კარადის კარი გაიღო და დაკიდებული კაბებიდან ელიზავეტა გამოვიდა, მიყუჩებული სტუმრები მოათვალიერა და თქვა:

— შეიძლება შემოვიდე?

მაშასადამე, ჩემს მიზანს მივალწიე: მან ვანია ბელოვი შეიყვარა!

თუმცა შეიძლება ითქვას, ელიზავეტა ვანიას დაბადებამდეც იცნობდა. ამას ყველაფერი მოწმობდა, იგი ორი კვირით ადრე დაიბადა, ვინემ ველოდით, თანაც მამამისის დაბადების დღეს. ვალოდიას მეგობრები ხუმრობდნენ: რა კარგი იქნებოდა, ყველა ცოლი რომ მიაართმევდეს ქმარს ასეთ საჩუქარს, ორი დაბადების დღეს ერთად რომ გადაიხდი, არც ისე დაიხარჯებიო.

ახალდაბადებულ ელიზავეტას, ჩემდა გასახარად, საოცრად შავი თმა ჰქონდა, ჩვენი საგვარეულო ფერი, შავი ნაწნავი ექნება-მეთქი ვამბობდი.

მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ თმა გაუღიავდა.

კიდევ ერთი სამწუხარო თვისებაც აღმოაჩნდა, წამლებს ვერ იტანდა.

— ალერგიაა, — გვითხრა ექიმმა, როდესაც ელიზავეტას ერთი აბი ასპირინის გამო წითლად გამოაყარა. — უარესიც შეიძლება მომხდარიყო... მაგალითად შეშუპება, შეიძლებოდა შეშუპებოდა თვალები, სახე.

ადამიანები წამლებისაგან იკურნებიან, ელიზავეტა კი — იწამლებოდა!


საოცრად ინდივიდუალური თვისებები ჰქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ საბავშვო ბაღში მიგვებარებინა. თუმცა მის მშობლებს ჩემი პედაგოგიური გამოცდილების იმედი ჰქონდათ, ელიზავეტა მაინც საბავშვო ბაღში მივაბარეთ.

პირველ ხანებში აღმზრდელები და ამხანაგები მის სრულ სახელს არ ცნობდნენ, მაგრამ ბალის გამგემ, რომელსაც პატარა გოგოსათვის ალიონა ერ-



ქვა, თქვა, რომ ასეთი სახელი ადამიანებს ბევრს ავალებს, პასუხისმგებლობის გრძნობას უღვივებსო.

და ელიზავეტაც სამეფო ტახტზე დარჩა.

ერთხელ, საბავშვო ბაღიდან დაბრუნებულმა, ელიზავეტამ  ვახშაშზე უარი თქვა.

— არ გშია?

— მშია, მაგრამ არ შევჭამ.

— მუცელი ხომ არ გტკივა? — ვკითხე შეშინებულმა. მისი ავადმყოფობა არ შეიძლებოდა. ის ხომ წამლებს ვერ იტანდა.

— არაფერიც არ მტკივა. ვშიმშილობ!

— შიმშილობ?

— მე და კიდევ ერთი გოგონა.

— რა, შიმშილობა გამოაცხადეთ?

— ჰო, დღეს დღლით.

მივხვდი, რომ ვანია ბელოვმა ჩვენი ოჯახის საშუალებით საბავშვო ბაღამდეც მიაღწია.

— რა მიზეზით თქვით ჭამაზე უარი?

— ალიონა ჩვენგან მიდის.

ლამაზი ქალები მიყვარდა, როგორც ხელოვნების ნიჭიერი ქმნილებები უყვართ ხოლმე, მაგრამ საოცრად ნაზი და ქალური ბალის გამგე ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი ქმნილება არ იყო, იგი გარემოებისა და მიხედვით მაინც იცვლებოდა. ბავშვებს არასოდეს უჭავრებოდა, რადგან ძალიან უყვარდა. მშობლებს კი ხშირად შეახურობდა ხოლმე. თანაც ისე ნაზად და მიმზიდველად, რომ ყველა ემორჩილებოდა. განსაკუთრებით — მამები... ბოლო ხანს მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინეს სკოლამდელთა აღზრდის პრობლემებისადმი. ბაღშიც მათ მიჰყავდათ ბავშვები და წასაყვანადაც ისინი მიდიოდნენ. უკმაყოფილო დედები კი შეტევითი ემზადებოდნენ.

ერთ-ერთმა დედამ გაიხსენა, რომ საბავშვო ბაღში ალიონა შემთხვევით ძოხვდა. გამგის თანამდებობაზე მიიწვიეს კულტურის სახლში გამართული ნაძვის ხის ზეიმის შემდეგ. იმ დღეს თოვლის ბაბუა ავად გახდა. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტმა ალიონამ, რომელიც კულტმასობრივი მუშაკის როლს ასრულებდა, ისე ამაღელვებლად უამბო ბავშვებს წელკავიან თოვლის ბაბუაზე, რომ ზოგმა იტირა კიდევ.

— ბავშვები მარტო თავისი გადატყაული მუხლის გამო კი არა, სხვისი ტკივილის გამოც უნდა ტიროდნენ, — ამბობდა ის.

ალიონას წინადადებით ბავშვებმა თოვლის ბაბუას წერილი მისწერეს. მერე კი შესანიშნავად გაერთნენ.

ალიონამ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარის ყურადღება მიიქცია. იმ ინსტიტუტში ვალოდია და კლავა მუშაობდნენ. ადგილკომის თავმჯდომარე მოხრილი, გამხდარი ქალი იყო და ძველმოდური პენსნე ეკეთა. ზეპირად იცოდა ახალი სიმღერები და ჰქონდა პირველი თანრიგი ჭადრაკში. სწორედ მან მიიწვია ალიონა საბავშვო ბაღში.


შემდეგ გამოირკვა, რომ თავმჯდომარეს მარტო საჭადრაკო დაფასთან კი არა, საბავშვო ბაღში გამართულ კრებაზეც შეუძლია ბრძოლა.

დედები შეუპოვრად უტევდნენ.



— ის კულტმუშაია, — თქვა ერთმა.

— ბავშვების ცხოვრება კი ნაძვის ხის ზეიმი სულაც არ არის, მათ აღზრდა ჭირდებათ! — მხარი დაუჭირა მეორემ.

მამებს ალიონას დაცვა უნდოდათ, მაგრამ ვერ ბედავდნენ —  — რესად არ გავაფუჭოთო.

მხოლოდ ორი სამოც წელს გადაცილებული ქალი <sup>მეჩვენებოდა</sup> ~~ჩვენებოდა~~ ადგილკომის თავმჯდომარე და მე.

— ჰკითხეთ თქვენს შვილებს, უნდათ კი ალიონასთან დაშორება? — წამოვიძახე მე.

— მათ რა ესმით?

— ასე ნუ ამბობთ, — პენსნე გაისწორა ადგილკომის თავმჯდომარემ. — მე მახსოვს ჩემი ბავშვობა... მაშინ უფრო უკეთ ვარჩევდი ადამიანებს და ჩემი მოტყუებაც უფრო ძნელი იყო!

მერე ისევ მე წამოვდექი.

— ენდეთ ჩემს გამოცდილებას: სკოლაში ოცდათხუთმეტი წელი ვიმუშავე.

— ჰოდა, თქვენ დაგნიშნავთ!

— არა, სკოლის პედაგოგობა და საბავშვო ბაღის აღმზრდელობა სულ სხვადასხვა ნიჭს მოითხოვს.

— ნიჭს?

— დიახ, როგორც ლიტერატურაში... პოეტი და პროზაიკოსი ორივე მწერალია, მაგრამ უანრია სხვადასხვა.

— ალიონას ყველაფერი ეხერხება!.. — განაგრძობდა ადგილკომის თავმჯდომარე, — ცეკვავს, მღერის. ლექსებს კითხულობს. ბავშვებსაც როგორ აჭმევს!

ისევ მე წამოვდექი.

— ჩემი შვილიშვილი მეორე დღეა ალარ ჭამს, მადა დაკარგა.

— მარტო მას რომ დაეკარგა, რა გვიჭირდა! — შხამი გადმოანთხია ვილაყამ.

— ბავშვებს უყვართ ლამაზი აღმზრდელები! — წამოვარდა ადგილკომის თავმჯდომარე. — ეს მათ მშვენიერების აღქმაში ეხმარებათ.

— განა მარტო ბავშვებს? — გაიმეორა იგივე ხმამ.

— ასე რატომ გეშინიათ მისი? — წამოვიძახე ვანია ბელოვის შეუპოვრობით.

— თქვენთვის ადვილია ლაპარაკი, — მითხრა ერთ-ერთმა დედამ, როდესაც შინ ვბრუნდებოდით, — თქვენი შვილი, თავის ცოლთან ერთად სადღაც შორს არის და ყორღანებს თხრის...

ალიონა საბავშვო ბაღში დარჩა.

ორი დღის შემდეგ შინ დამირეკა და მითხრა:

— ვერა მატყეევნა, არ იღელვოთ... მხოლოდ გთხოვთ, სასწრაფოდ მოხვიდეთ!

— რა მოხდა?

— ჩვენი ექიმი კონფერენციაზე გამოიძახეს. ელიზავეტას კი სიცხემ აუწია. წამალი მივეცი. მე უნდა მცოდნოდა, უნდა მცოდნოდა! ტყუილად მი-



ცავდით, ვერა მატვეევნა! სასწრაფო გამოვიძახე. ნუ იღელვებთ. მაპატიეთ! არ იღელვოთ!..

4.



ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი დღე და საათი, როდესაც ყველა წინანდელი უბედურება არარაობად გეჩვენება. ასეთი იყო ის დღე ჩემთვის.

ჩემი შვილიშვილი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. მეც თან გავყევი. მანქანა ჩქარობდა, წითელ შუქზე მიჰქროდა.

სავადმყოფო იმ სკოლის მახლობლად იყო, რომელშიც ვალოდია სწავლობდა. მე კი რუსულ ლიტერატურასა და ენას ვასწავლიდი. ჩვენ დიდი ხნის წინათ, ომამდე, გადავედით სხვა რაიონში საცხოვრებლად. მაგრამ ცხოვრებამ მძიმე წუთებში კვლავ იქ დამაბრუნა.

„რატომ მაინცდამაინც აქ? განა ქალაქში ცოტაა სავადმყოფო? რა საოცარი დამთხვევაა“... — ვფიქრობდი მე.

დამთხვევას ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. მაგრამ მხოლოდ იმათ ვიმახსოვრებთ, რომელთაც სიხარული ან უბედურება მოაქვთ.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ბავშვებს ხშირად უკვირდათ, რომ დაქრილი ანდრეი ბოლკონსკი და ანატოლი კურაგინი გვერდიგვერდ საოპერაციო მაგიდებზე აღმოჩნდნენ. მე ვუხსნიდი, რომ ცხოვრება ხშირად ისეთ დამთხვევებსა და მოულოდნელ ამბებს გვჩუქნის, როგორსაც ყველაზე მძაფრი ფანტაზიაც კი ვერ დაუშვებს. ამის დასამტკიცებლად საკუთარი ცხოვრების მაგალითებიც კი მომყავდა.

„ახლაც დამთხვევა! ახლაც საოპერაციო მაგიდა..“ — ვფიქრობდი მე.

ბევრის მომსწრე თეორხალათიანი ქალები და მამაკაცები აღელვებულნი დაწრილებდნენ. ვგრძნობდი, რომ დაგვიანებისა ეშინოდათ.

„სასწრაფოდ მაგიდაზე! — მესმოდა მე. — ყელის შეშუპებაა. სასწრაფოდ მაგიდაზე!“

სავადმყოფოსაკენ მიმავალი ელიზავეტა არ ტიროდა, არ ყვიროდა, მას სუნთქვა უჭირდა.

რამდენჯერ მინატრია, ყველა მისი ავადმყოფობა მე შემეყაროს-მეთქი, მაგრამ ყველას თურმე თავისი კუთვნილი ერგება.

ალიონას უნდოდა ბავშვებს ტირილი შეძლებოდათ საკუთარი თუ სხვისი ტკივილის გამო. რა თქმა უნდა, ადამიანს თანაგრძნობა უნდა შეეძლოს, მაგრამ ტანჯვა არ არის საჭირო. განსაკუთრებით ცხოვრების დასაწყისში, როდესაც არც ისე ბევრი სიხარული განუცდია.

„თვით თუ არ განიცადე, სხვას ვერ გაუგებ!“ — თქვა ერთხელ, მაგრამ არ დავეთანხმე. სხვას რომ თანაურძნო, სულაც არ არის საჭირო ტანჯვა გამოცადო. „არც ჩემს შვილიშვილს ჭირდება ასეთი გამოცდილება!“ — ვფიქრობდი მე.

გაფრთხილებით კი ვერ გავუფრთხილდი.

ავედი მესამე სართულზე, სადაც საოპერაციო იყო მოთავსებული.

ელიზავეტა შეიყვანეს... ჩემთვის არავის ეცალა.

საოპერაციოს კარს ზევით ეკიდა მრგვალი საათი, რომელიც სამის შვიდ წუთს უჩვენებდა. დერეფანში, მაგიდასთან, ახალგაზრდა მორიგე მედდა იჯდა მოდურად დავარცხნილი თმით და საყურეებით.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თითქოს ჩემს შვილიშვილს არაფერი დამართოდეს!  
მან პირველმა შემნიშნა და მკითხა:  
— ვინ გნებავთ?  
— შვილიშვილს მოვყევი...  
სიბრაღულით შემომხედა და თქვა:  
— ბედი გქონიათ... დღეს ბელოვია მორიგე. განყოფილების გამგეა, მა-  
გრამ დღეს მორიგეობს. არა, ყველა ქირურგი ძალიან კარგად, მაგრამ ივან  
სერგეევიჩი...

— ვანია ბელოვი?

— თქვენ იცნობთ?

ამ დროს საოპერაციოდან თავი გამოჰყო თეთრხალათიანმა ახალგაზრდა  
კაცმა, რომელსაც დოლბანდის სახვევი შავ წვერზე ჰქონდა ჩამოშვებული, და  
დაიყვირა:

— მაშა! ჩქარა... ჩქარა!

მედლა წამოხტა და გაიქცა. გრძელი საყურეები ლოყებზე ეხეთქებოდა.  
„იმის მამას სერგეი ერქვა. რა თქმა უნდა, სერგეი! მახსოვს!...“ — გა-  
ვიფიქრე მე.

მაშა საოპერაციოდან გამოვარდა, ტელეფონს ეცა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— ანა ივანოვნა სასწრაფოდ საოპერაციოში მოვიდეს! — ჩასძახა ყურ-  
მილში.

— ბელოვი უკვე იქ არის? ბელოვი იქ არის? — ვეკითხებოდი მაშას.

— იქ არის... გინდათ ვალერიანის წვეთები დაგისხათ?

— რამდენი წლისაა?

— ოცდათხუთმეტისა იქნება.

მან მენზურა გამომიწოდა.

— აქვე ცხოვრობს, არა?

— აქვე, სულ ახლოს, დალიეთ...

— რა თქმა უნდა, აქვე, ჩემი ყოფილი სკოლის მეორე მხარეს.

— სადილად შინ მიდის ხოლმე. თქვენ რა, იცნობთ?

— ვიცნობ...

სახიფათო და უიმედო წუთებში ადამიანი იმედს ებლაუტება. ჩემი შვი-  
ლიშვილის ბედი ჩემს შეგნებაში ვანია ბელოვის სახეს შეერწყა. მინდოდა  
ეს ხსნად მერწმუნა... და ვირწმუნე კიდევ.

„რა ბედნიერებაა, რომ სწორედ ის არის“. — რატომღაც ასე გავიფიქრე.

დერეფნის ბოლოდან მსუქანი, ხანში შესული ქალი მორბოდა.

— ეს ანა ივანოვნაა, — შვებით ამოისუნთქა მაშამ. — მისი თხოვნით  
მოდიხ... მადლობა ღმერთს! — თან სარკეში ჩაიხედა. — რას დავმსგავსები-  
ვარ! — და პუდრი წაისვა.

საათი ისევ სამის შვიდ წუთს უჩვენებდა.

ვანია ბელოვი... რატომ მაინცდამაინც ის დამჭირდა მაშინ? ადრე ხომ  
ვერიდებოდი, ვალოდიაც ძალით დავაშორე.

სკოლიდან იმიტომ გავიქეცი, რომ თავი დამედწია ვანიას შეუპოვრობი-  
სა და გამბედაობისათვის. სწორედ იმ თვისებებისათვის, რომლის იმედიც  
ახლა მქონდა.



ამ უბედურების დროს საღად შევხედე ვანიას ოინებს. ყველაფერი მახსოვდა... ის მთავარიც კი, რომლის შესახებაც ჩემს შვილიშვილს ვერ ვუამბე.

— მისმინე! რატომ მყავს ორი ბებია და ერთი ბაბუა? — მკითხა ერთხელ ელიზავეტამ.

— მეორე არც გყოლია.... — დაბნეულად ვუპასუხე მე. ერქვეშული

ჩაფიქრებულმა მთელი ბინა შემოიარა და ისევ ჩემთან მჯდომი იყო. მეცხლეტი

— მისმინე! მაშინ საიდან გაჩნდა მამაჩემი?

სინამდვილეში ბაბუა ჰყავდა. ისევე როგორც მე ოდესღაც ქმარი, ვალოდიას კი — მამა. მას გენადი ერქვა, გენა... პროფესიით ზოოტექნიკოსი იყო, შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, სადაც ერთმანეთს გავიცანი. მის პროფესიულ საქმიანობას „ოთხფეხიანებით გატაცება“ ვუწოდებ. ცხოველები ბავშვობიდან უყვარდა. სულ მათზე ფიქრობდა და ლაპარაკობდა. მე არ მოვითხოვდი, ორიდან ერთ-ერთის სიყვარული აერჩია, მაგრამ ყოველთვის ხაზს ვუსვამდი ჩემი, როგორც პედაგოგის, დანიშნულების სიდიადესა და სილამაზეს მის მიწიერ, ყოველდღიურ საქმიანობასთან შედარებით. მის დასამცირებლად ვიშველიებდი ლიტერატურას, რომელიც ასე ამაღლებს ადამიანს. და ამას შეუგნებლად ვაკეთებდი.

ზოოლოგიის მასწავლებლის ოჯახის უფროსობას არასოლიდურად ვთვლიდი. ამიტომ ოჯახის უფროსად მე ვიქეცი. მინდოდა გენადის ყოველდღიური საქმიანობა და გატაცება სხვადასხვა ყოფილიყო. ისიც დამემორჩილა. მაგრამ მის არსებაში ჩაქრა ის მთავარი სხივი, რომელიც ასე აღანთებდა. საშინელი მოწყენილობა ვიგრძენი. სხივის არსებობა მისი ჩაქრობის შემდეგ შევამჩნიე.

მაშინ არ ვიცოდი, რომ სწორედ ასეთ კეთილშობილ ფანატიკოსებს ეყრდნობა სამყარო; რომ ამ ფანატიზმის წართმევა ცეცხლზე წყლის დასხმას უდრის...

როდესაც ვალოდია წლინახევრისა გახდა, მე და გენადი ერთმანეთს გავეყარეთ. ის ცხრამთას იქით, შორეულ აღმოსავლეთში წავიდა. გამოთხოვებისას ვთხოვე, თავი არაფრით შეეხსენებინა, შვილიც დაევიწყნა. ამაშიც დამემორჩილა.

მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ მუშაობა მეცხოველეობის მეურნეობაში დაუწყია, დიდი სპეციალისტი გამხდარა. „ოთხფეხებით გატაცებას“ წარმატება მოუტანია — მეცნიერებათა დოქტორი ინსტიტუტის დირექტორად დაუნიშნავთ.

„რა ბედნიერია გენადი, რომ გავეყარე!“ — ვფიქრობდი ამას, ალბათ სინდისის დასამშვიდებლად.

მაგრამ ვალოდიასთვის ასეთი მამის დაკარგვა არ შემეძლო. ერთხელ გავიგე, გენადი მოსკოვში იყო ჩამოსული სამეცნიერო კონფერენციაზე, და ისინი შევახვედრე.

ვანია ჩვენთან ხშირად არ დადიოდა, მაგრამ ამჯერად მოვიდა და, როგორც იტყვიან, „მოლაპარაკებაში მიიღო მონაწილეობა“.

შინ გვიან დავბრუნდი. მოლაპარაკება დაემთავრებინათ და გენადი და ვანია ერთად წავიდნენ.

ვალოდია დაბნეული იყო და დამნაშავესავით გამოიყურებოდა. დაახ-



ლოებით ისე, როგორც ერთგული, მოყვარული ქმარი, რომელმაც სხვა ლამაზი ქალი დაინახა და მისი უპირატესობა შეამჩნია.

თურმე გენადი მოსკოვში იშვიათად ჩამოდიოდა. მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო შორეულ, მაგრამ საყვარელ მხარესთან. ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ვალოდია ზამთრისა და ზაფხულის არაერთხელ მამასთან გაატარებდა.

ეს გადაწყვეტილება მოვეწონე. მაგრამ ვალოდია მამასთან არ გამგზავრებულა... ვანია ბელოვმა გადაათქმევინა. თუმცა ისინი ძველებურად აღარ მეგობრობდნენ, ვალოდია მაინც განიცდიდა ვანია ბელოვის ჯადოსნურ გავლენას. ამისი ძალიან მეშინოდა.

— რატომ ურჩიე, არ წასულიყო? — ვკითხე ვანიას. მას ხომ მამა ელოდება...

— მამამისი ძალიან ჭკვიანია! — პირქუშად მიპასუხა ვანიამ.

— ეს რა, ცუდია?

— როგორ გითხრათ... თვითონ ჩამოვიდეს, თუ მოუნდება...

მე ვთვლიდი, რომ ვანიამ დანაშაული ჩაიდინა. ვალოდია რომ დაიყოლია. ვალოდია წასვლაზე უარს არ ამბობდა, მაგრამ არდადეგების დაწყებისას ყოველთვის პოულობდა მიზეზს, ჩემს გვერდით დარჩენილიყო.

„მამამისი ძალიან ჭკვიანია!“ — თქვა მაშინ ვანიამ.

მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ვანიამ ეს ჩემი გულისთვის გააკეთა. მას არ უნდოდა, ჩემი და ჩემი შვილის სიყვარული ისეთ ადამიანს გაეყო, რომელიც შეძლებდა ვალოდიას გულის მონადირებას და, ვინ იცის, შემდეგ წართმევასაც.

ყოველ შემთხვევაში, ვანიას უნდოდა, მამა-შვილი ერთმანეთს ჩემგან მოშორებით არ შეხვედროდნენ.

— მითხარით, მას სახეზე ჰქონდა აქვს? — ვკითხე მაშას.

— სწორედ ახლაბან თქვა: შემომხედეთ და მიხვდებით, რომ გაზაფხული დადგაო.

— თუ შეიძლება, კიდევ დამალევინეთ ვალერიანის წვეთები.

— დაგალევინებთ... მხოლოდ დაბრძანდით, გეთყვამ! სულ დადიხართ, დადიხართ.

საათი ისევ სამის შვიდ წუთს უჩვენებდა.

საოპერაციოდან ისევ ის ახალგაზრდა კაცი გამოვიდა.

ნილაბი ისევ შავ წვერზე ჰქონდა ჩამოშვებული.

— მაშა! მთელი ბრიგადა... მთელი ბრიგადა! — დაიყვირა და მაშინვე მიიმალა.

— რომელი ბრიგადა? — ვკითხე მე.

მაშა ტელეფონს მივარდა.

— რომელი ბრიგადა?

მან ყურმილი ბერკეტზე დაახეთქა:

— დაკავებულია. იბოვეს რა სალაპარაკო დრო!

— რომელი ბრიგადა? — უაზროდ ვიმეორებდი შეკითხვას.

მაშა დერეფანში გარბოდა. მაღალ ქუსლებზე სირბილი რომ გაუჭირდა, ფეხსაცმელი გაიხადა, იქვე დაყარა და ისე გაიქცა.



შემდეგ იქითა მხრიდან სამი თეთრხალათიანი და ქუდიანი მამაკაცი გამოჩნდა. მათ მაშას გაუსწრეს და საოპერაციოში მიიმაღლნენ.

მაშა შეჩერდა, ფეხსაცმელი აიღო, თავის მაგიდასთან მივიდა და მხოლოდ მაშინ ჩაიცვა.

— რომელი ბრიგადა? — ისევ ვკითხე მე.

— ისე, ჩვეულებრივი, თქვენ ნუ ლელავთ. ჩვენთან სტუდენტები სწავნი პრაქტიკაზე. იშვიათი ოპერაციაა. ბელოვს უნდა, მათაც აჩვენოს. ყველაფერი კარგად იქნება, რადგან იქ ივან სერგეევინია...

მან სარკე ამოიღო.

— მესმის. რადგან ვანია ბელოვია...

მინდოდა რაიმე კარგი გამეხსენებინა ვანიას შესახებ, ამაში იყო ჩემი იმედი, ხსნა. და მეც გამახსენდა.

ერთხელ, როდესაც ვალოდია და ვანია მეექვსე კლასში იყვნენ, „სარაიონო კარნახით წერა“ დაიწყო. ჩვენი რაიონის მოსწავლეთა განათლების შემოწმება გადაწყვიტეს. ეს კი ძალიან რთული იყო, რადგან აბსოლუტურად განათლებული ადამიანი არ არსებობს, მეც კი გამიჭირდებოდა მისი უშეცდომოდ დაწერა.

სენია გოლუბკინზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო! ის შიშმა მოიცვა. ორიანო რომ მიეღო, კლასში დარჩებოდა.

იმ დროს ვანია ისე კარგად არ იცნობდა გოლუბკინის ფსიქოლოგიას და თანაუგრძნობდა. როდესაც დაბნეული და დაძაბული სენია ბრმასავით მიყვებოდა ბავშვობიდან ყველასათვის ნაცნობი ლექსების ლაბირინთებს, ვანია იტანჯებოდა. მე ამას ვხედავდი და, თუკი შემეძლო, თითქოს ვერ ვამჩნევდი ვანიას კარნახს. გაკვეთილების შემდეგ კი აყლაყუდა გოლუბკინი პატარა ტანის ვანიას საყვდურობდა, რატომ უფრო მკაფიოდ არ მკარნახობდიო. „თვითონ ხომ კარგად ისწავლე! შენ ხომ ყველაფერი იცი!...“

ამასაც მალულად ვადევნებდი თვალს.

საკონტროლო კარნახის შემდეგ სენკა დერეფანში დარბოდა და თანაკლასელებს ეკითხებოდა:

— როგორ იწერება დიდი ხნის, ერთად თუ ცალ-ცალკე?

— ცალ-ცალკე. — პასუხობდნენ მას.

— ერთი შეცდომა უკვე მაქვს! — თან თითი მოლუნა, — შენ თვითონ როგორ დაწერე, არ შეგშლია?

თუ აღმოჩნდებოდა, რომ ამხანაგმა სწორად დაწერა, სენკა აწკმუტუნდებოდა.

— რა თქმა უნდა, შენ კარგად დაწერდი!

სხვისი მიღწევები გულს უკლავდა. ეჩვენებოდა, რომ ყველა მის ხარჯზე აღწევდა წარმატებას. შურიანობა, რომელიც მუდამ ადამიანურ სისუსტედ და მანკად მიაჩნდა, სენკას მოსვენებას უკარგავდა.

— ესეც ასე... კიდევ ერთი შეცდომა! — ამბობდა ის და შემდეგ თითს ღუნავდა. თანაც ისე, თითქოს მის შეცდომაში ბრალი ყველას მიუძღოდა.

ვალოდია არასდროს მიმხელდა მეგობრების საიდუმლოს, მაგრამ სენკას სცენებს ისე ანსახიერებდა, თითქოს მე თვით ვუყურებდი.

„სარაიონო კარნახის“ შემდეგ სენკას თითები აღარ ეყო შეცდომების



ჩამოსათვლელად. თორმეტი შეცდომა დაუშვა სასვენი ნიშნების ჩაუთვლელად...

შესვენებაზე ჩემთან ვანია ბელოვი მოვიდა:

— ვერა მატვეევნა, გოლუბკინი მეორე წელს უნდა დარჩეს?

— არ ვიცი, ნაწერები ჯერ არ შემოიმოწმებია.

იმ დღეს მხოლოდ ორი გაკვეთილი მქონდა. სამასწავლებლომასწავლებელმა მაგიდას მივუჭექი რვეულების გასასწორებლად. აღმოჩნდა, რომ ექვსი ნამუშევარი გაქრა. მათ შორის სენია გოლუბკინის, ვალოდიას და ვანიასი.

დიდ დასვენებაზე მე და დირექტორმა გოლუბკინის სინდისზე შეგდება ვცადეთ. მაგრამ ამაოდ.

სწორედ ამ დროს ფანჯარაში თავი შემოჰყო ვანია ბელოვი და იკითხა:

— შეიძლება შემოვიდე?

ჩვენ ხმა ჩაგვიწყდა. ვანია მიტრიალდა, თვალით მოზომა მანძილი მესამე სართულიდან ტროტუარამდე, ისევ შემოტრიალდა და მშვიდად თქვა:

— მოვედი, რომ მართლმსაჯულებას ჩავნარდე.

არ მჯეროდა, რომ ნაწერები მან წაიღო. კიდევ რომ მოფიქრებოდა, ჩემი ვაჟის ნაწერს ხელს არ ახლებდა. იმიტომ, რომ ის მასწავლებლის შვილი იყო... აი, სენკას კი სწორედ ამიტომ შეეძლო ვალოდიას ნაწერის აღება.

მაგრამ ამის დამტკიცება არ შემეძლო.

დირექტორი მაშინ დიდ ყურადღებას არ აქცევდა ვანია ბელოვის ოინებს. ის მხოლოდ დაეთანხმა ჩემს ვერსიას, მაგრამ თქვა, რაინდობასაც საზღვარი აქვს და სასკოლო ოთახის გადაქცევა გამომძიებლის კაბინეტად არ ღირსო. სინდისის დასამშვიდებლად ვანიას მაინც ვუთხარი:

— არ მჯერა, რომ შეგიძლია ასე თავხედურად მოიქცე.

— მესამე სართულის ლავგარდანზე გავლა არ არის თავხედობა?

მაშინ მივხვდი, რატომ გამოჩნდა ფანჯარაში. მას უნდოდა დავერწმუნებინეთ, რომ ყველაფრის გაკეთება შეეძლო!

გაკვეთილების შემდეგ იმ ექვსეულს კარნახი ისევ დავაწერინე. სენია გოლუბკინმა სამიანი მიიღო, რადგან შესვენებაზე აღმოაჩინა თავისი შეცდომები. იგი მეშვიდე კლასში გადავიდა.

ვანია ბელოვისათვის მადლობა არ უთქვამს. პირიქით, მას შემდეგ შეიძულა. არ აპატიო კეთილშობილება, როგორც ცოდნას არ პატიობდა მათ, ვინც შეცდომების გამოსწორებაში მასვე ეხმარებოდა.

ვანია ბელოვი ამას მიხვდა...

როცა სენკამ ისევ აწყენინა თავის მხსნელს, ვითომ და სხვათა შორის, ვანიას ვკითხე:

— მიხვდი, რომ სიკეთე დაუსჯელი არ რჩება?

არ მინდოდა ვანიას გულუბრყვილო ვგონებოდი და ეფიქრა, რომ ფანჯრის რაფიდან ნათქვამი დავიჯერე.

ვანია მოიკუნტა. მოკუნტა არა ჩემმა მხილება, არამედ სიკეთისათვის დასჯამ.

— მერე რა, ცოტა რამ ხდება ამქვეყნად? ამიტომ აღარავის დავუჯეროთ? — თქვა მან.



ეს საუბარი ახლა გამახსენდა, როცა ვანია ბელოვის რწმენა დამჭირდა. მაგრამ რატომ აღარ აოცდებოდა ამას მნიშვნელობას?

ვანიას ენერგია რომ კეთილად გამოეყენებინა, კედლის გაზეთის რედქტორად დავნიშნე.

ვანიამ გამოაქვეყნა ანკეტა: — „რას ფიქრობენ ჩვენზე მასწავლებლებმა? მე დავწერე, რომ ყველა მიყვარს (ორმოცდასამივე!), რომ ამიტომ ვარ ხოლმე უკმაყოფილო და მკაცრი მათდამი და, რომ ყველას ბედნიერებას ვუსურვებ.“

შემდეგი ანკეტა იყო. — „რას ვფიქრობთ ჩვენ მასწავლებლებზე?“ იმ ნომერში ვანია შემეკამათა — არ შეიძლება გიყვარდეს ყველა ადამიანი, რადგან ჩვენც ადამიანები ვართ. მე, მაგალითად, სენკა გოლუბკინის შეყვარება არ შემიძლიაო.

პირდაპირ ასე დაწერა. სენკასი არ შეეშინდა. მე კი მისი მუღამ მეშინოდა...

— რამდენი წლისაა თქვენი შვილიშვილი? — მკითხა მაშამ.

— ექვსნახევრის.

— შემოდგომაზე სკოლაში უნდა წასულიყო?

„რატომ უნდა წასულიყო? ის წავა სკოლაში... — ვამბობდი ჩემთვის, — ვანია ბელოვი გადაარჩენს. მით უმეტეს ახლა, როდესაც ყველაფერი ბოლომდე გავიგე და ვენდობი... არ შეიძლება არ გადაარჩინოს!“

საათი ისევ სამის შვიდ წუთს უჩვენებდა.

„მას მხოლოდ თავისი თავი და თავისი ოინები ახსოვდა“, — ვუთხარი ერთხელ შვილიშვილს.

ვცდებოდი. ის სხვებზე მეტს ფიქრობდა, ვიდრე მასზე — სხვები. მაგრამ ვანია ამას ყურადღებას არ აქცევდა. თავისი „მასველი ექსპედიციების“ საფასურად არაფერს ითხოვდა.

ახლა ჩემს შვილიშვილზე ფიქრობდა, ის უნდა გადაერჩინა.

„თავგანწირულთა უგუნურებას ყველა ვუგალობთ ქებათა-ქებას! — უყვარდა ხოლმე ხუმრობა. მაგრამ საკუთარი თავისთვის ასე არასდროს იტყოდა.“

რატომ მაინცდამაინც საავადმყოფოში შევძელი ამის გაგება?

ნუთუ უბედურებაა აუცილებელი რომ მიხვდე, ვინაა შენი მხსნელი? ამ დიდი უბედურების დროს მინდოდა აღსარება მეთქვა ჩემი თავისთვის, მომენანიებია ჩემი ცოდვები.

მახსოვდა ბრძენი მონტენის სიტყვები: „არ მეგულება ამქვეყნად სხვა თვალი, ასე დაჟინებით რომ მითვალთვალებდეს“.

იმ დღეს მეც დაჟინებით ვუთვალთვალებდი ჩემს თავს და... უკმაყოფილო დავრჩი.

როდესაც გავიგე, რომ ჩემი ყოფილი ქმარი, გენადი, მეცნიერებათა დოქტორი და დიდი მეცნიერი ვახდა, ვიფიქრე, წინათ ალბათ თავის ნიჭს მიმაღავდა-მეთქი, სინამდვილეში თურმე მე ვჩქმაღავდი მის ნიჭსა და ხასიათს. მინდოდა ჩემი შეხედულებები და მრწამსი მისთვის კომპასივით ყოფილიყო.

მაგრამ ცხოვრებისეულმა კომპასმა შეიძლება ერთს სამსახური გაუწიოს,



მეორე კი გზიდან ააცდინოს. მინდოდა ჩემს ქმარს სამყაროსთვის ჩემი თვალე-  
ბით ეცქირა და ჩემი მოწოდებით ეცხოვრა. ვისაც უყვარხარ, უნდა  
მოექცე, დამორჩილებით დაგემორჩილება, მაგრამ საკუთარ მე დეკარგავს.

ზოგჯერ შვილსაც ასე ვექცეოდი. მეგობრებს მე ვუწოდებდი. ვანია ბე-  
ლოვს მე დავაშორე. ვუყვარდი და მემორჩილებოდა, მეტყურო, მწუხრდი, გატან-  
ჯულმა, შეირთო კლავა, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ქმარს ეთან-  
ხმებოდა.

ადამიანი თავის თავში რომ დარწმუნდეს, ზოგჯერ უნდა გააღმერთო და  
წაახალისო. ვალოდია ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, ჭუჭყიან კრამიტებს რომ  
აგროვებდა და ყოველგვარ ძველ ხარახურაში „უძველესი კულტურის“ ნიშ-  
ნებს ეძებდა. მას ყველა დასცინოდა, ვანია ბელოვი კი აღტაცებული იყო.

მაინც რატომ დავაშორე ერთმანეთს?

ვანიას მტკიცე ხასიათი ჰქონდა, დამორჩილება არ უყვარდა. მე კი, არც  
ვუფიქრებოდი, ისე ვცდილობდი ორმოცდასამი ხასიათის ერთი მნიშვნე-  
ლით გაერთიანებას. და ეს მნიშვნელი მე ვიყავი.

მოსწავლეთა შესახებ ყველაფერი მინდოდა მცოდნოდა: ვინ იყვნენ მათი  
მშობლები, რა პირობებში ცხოვრობდნენ, როგორ ამზადებდნენ გაკვეთი-  
ლებს... მაგრამ გამოირკვა, რომ მათი ცხოვრება უფრო ადვილი შესასწავლი  
იყო, ვიდრე ხასიათი. ამას კი არც შევეცადე!

მინდოდა მოსწავლეები ჩემი დამჯერი ყოფილიყვნენ და ყველაფერი ჩემ-  
გან ესწავლათ. ვანიას კი თვით შეეძლო ჩემთვის ჭკუის სწავლება.

— საოპერაციოში შევიხედავ, — მითხრა მაშამ.

სარკე კვლავ ამოიღო, თმა შეისწორა და წავიდა. მერე დაბრუნდა და  
მაცნობა:

— არაფერია... ივან სერგეევიჩი იღიმება. ყველაფერი კარგად იქნება.

ვალერიანი დაასხა, მე ხელი გავუწოდე. მაგრამ მან თვით დალია „ნეტა-  
ვი როგორ დაინახა, რომ იღიმება? ქირურგს ხომ ნილაბი უკეთია. როგორ შე-  
ეძლო... მაგრამ იქ, ჩემს შვილიშვილთან ხომ ვანია ბელოვია! ესე იგი მართლა  
ყველაფერი კარგად იქნება. მე მჯერა ვანია ბელოვის!“..

ადრე მისგან მხოლოდ საგანგებო შემთხვევებს ველოდი. რა მოხდება,  
ყველამ რომ მიბაძოს-მეთქი, ვფიქრობდი შეშინებული. მაგრამ მიბაძვა არავის  
შეეძლო. ამისთვის ვანიას ხასიათი იყო საჭირო.

ჩემი არქეოლოგი-შვილი ყოველთვის მარწმუნებდა, რომ წარსულის  
გავლენა აწმყოსა და მომავალზე დიდზე დიდია.

„ვანიამ სენია გოლუბკინის გადასარჩენად მესამე სართულის ლავგარდან-  
ზე გავლა შეძლო. მისმა წარსულმა ქირურგი გახადა. ქირურგიც ხომ უნდა  
დაეხმაროს გაჭირვებულთ, მიუხედავად მათი ღირსებისა — გოლუბკინებსაც და  
ჩემს შვილიშვილსაც“, — ვაიმედებდი თავს.

ძველი ნაცნობები შეხვედრისას მეუბნებოდნენ:

— როგორ გაგტეხა ცხოვრებამ... როგორ გაგტეხა!

სინამდვილეში ცხოვრებამ მასწავლა, რომ ადამიანის დათრგუნვა არ შე-  
იძლება; სიკეთე ყველამ თავისებურად უნდა თესოს; მესამე მეხუთე რიგში  
არ უნდა გავდეს მეხუთეს მესამე რიგში. და მე, მასწავლებელი, უნდა ვხე-  
დავდე არა „რიგებს“, არამედ ადამიანებს, სულერთია, ახლოს დგანან ისინი



ერთმანეთთან თუ შორს. ხასიათების სხვადასხვაობა კი შეუთავსებლობად არ უნდა შივიჩნოთ...

ამ გამოცდილების დაგროვებამ, სამწუხაროდ, ჩემგან მსხვერპლის გამოება მოითხოვა. ეს კი არ უნდა დამჭირებოდა.

მასწავლებელს, ისევე როგორც ქირურგს, შეცდომის უფლება არ აქვს. თუმცა ზნეობრივი არასიჯანსაღე ფიზიკურ სიკვდილს არ იწვევს.

„სად წავიდა შენი სიმკაცრე, შეურიგებლობა?“ — მეკითხებოდნენ. შეურიგებლობა... განა საჭიროა ასეთი იარაღის გამოყენება ახლობლებთან? ადამიანს აქვს ისეთი თვისებანი, რომელნიც, ქირურგის სკალპელივით, ყოველდღიურ ურთიერთობაში არ გამოდგება.

„მე მაძრწუნებს ხოლმე იმ ადამიანის რისხვა, რომელსაც წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეუძლია განრისხება“. — თქვა ერთმა იმათგანმა, ვისი გამონათქვამის დამახსოვრება ღირს.

მე მგონია, რომ შეურიგებლობის შესახებაც შეიძლება იგივე ითქვას.

„კარგი იქნებოდა, ეს ქეშმარიტება ახლა კი არ შემეგნო, სამოცდასამ წელს, როდესაც სამოცდასამი წლისა გავხდი, არამედ მაშინ — ოცდაცხრამეტი წელს, როდესაც ვანია ბელოვს გავეჩეცი და შესაბამისად, მეც ოცდაცხრამეტი წლისა ვიყავი“, — ვფიქრობდი მე.

ეს დამთხვევა (ისევ დამთხვევა!) ვალოდიას მუდამ ართობდა.

— დედიკო, რამდენი წლისა ხარ ახლა? — მეკითხებოდა ხოლმე. — ჰო, მართლა! ახლა ხომ „ფრიადოსანი“ წელია — ორმოცდამეთხუთმეტე. ესე იგი შენც ორი ხუთიანი გაქვს!

წელსაც ხუმრობით მომაგონა, რომ კალენდრის სამოცდასამი წელი ჩემი სამოცდამესამე გაზაფხულს ემთხვევა.

ამ ხუმრობას მიჩვეული ვიყავი და გამეღიმა, მაგრამ არა ისე მხიარულად, როგორც მეოთხედი საუკუნის წინათ.

ვანიას თავისი თავისთვის არასდროს უღალატია. ამიტომ მჭეროდა, რომ ჩემი შვილიშვილი შემოდგომაზე სკოლაში წავიდოდა.

„აი, რისთვის იყო საჭირო დღევანდელი დამთხვევა, — ვფიქრობდი მე. — ვანიას ჩემი შვილიშვილი უნდა გადაერჩინა, მე კი მისთვის მეტქვა, რომ ჩემთვის ყველაფერი ნათელია. არა, ცხადია ახლა არა, მერე...“

ახლა მხოლოდ მადლობას ვეტყვი.

— ივან სერგეევიჩ! — წამოიყვირა მაშამ და გაიქცა უშველებელი კაცის შესახვედრად, რომელიც საოპერაციოდან გამოდიოდა. მან დოლბანდის ნილაბი მოიხსნა და შუბლი შეიმშრალა.

მე ნაბიჯი ვერ გადავდგი... მაშას მაგიდას ჩავეჭიდე. ფეხები დამიმძიმდა. იგი თვით მოვიდა ჩემთან.

— გამოფხიზლდა თქვენი დედოფალი.

„რისგან გამოფხიზლდა?“ — მინდოდა მეკითხა, მაგრამ ლაპარაკი არ შემიძლო.

— მამამისს პეტრე ხომ არ ჰქვია?

მე ვერაფერი ვუპასუხე და ავტირდი. მან ხელი ნაზად გადამისვა.

— ქორწილში ხომ დამპატიებთ?

— მადლობთ ექიმო.



მერე ისევ მომეფერა. მას გრძელი და მაგარი თითები ჰქონდა. დაჭორ-ფლილ სახეზე შუბლიდან ოფლი ჩამოსდიოდა.

მაშას ყველაფერი გამოვკითხე ბელოვის შესახებ, სწამალობის დადგენა კი და... უცდა. ვანია ხომ პატარა ტანისა იყო...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

5.

ივან სერგეევიჩმა მთხოვა, ელიზავეტასთან არ შევსულიყავი.

— ხვალ ან ზევ ესტუმრეთ. ახლა მასთან ლაპარაკი არ შეიძლება...

საათი ისევ სამის შვიდ წუთს უჩვენებდა. როგორც იყო, მივხვდი, რომ საათი არ მუშაობდა.

მაშამ დერეფნის ბოლომდე მიმაცილა.

— ბედი გქონიათ, რომ ბელოვი აქ იყო. ის იშვიათად მორიგეობს. ოპერაცია იშვიათი იყო. რთული არა, მაგრამ ალერგიული შოკი ჰქონდა.

— ეს რას ნიშნავს?

— ახლა შემიძლია გამოგიტყდეთ, რომ ძალიან ცუდად იყო.

მაშა მეფერებოდა, მეხვეოდა. გრძელი საყურეები უფლარუნებდა.

— დილამდე აქ ვიქნები და მივხვდავ, — ჩვენ დერეფნის ბოლოში მივალწიეთ — ივან სერგეევიჩმა მდგომარეობის შესამოწმებლად სახელი ჰკითხა. ელიზავეტაო, — უპასუხა.

— თქვენც ასე დაუძახეთ, — ვთხოვე მე. — თორემ არ გიპასუხებთ. მაშ, ისინი სტუდენტები არ იყვნენ?

მან არ მიპასუხა.

მე ქვევით ჩავედი.

„რა ხალხი არ მინახავს, მაგრამ ეს ორნი — ივან სერგეევიჩი და მაშა სამუდამოდ დამამახსოვრდება, ვანია ბელოვიც. ისიც ჩემ გვერდით იყო. მის მამას კი ანდრეი ერქვა და არა სერგეი. როგორ დამავიწყდა? ისეთი სასიამოვნო, მორიდებული კაცი იყო. სულ პალტოს გახდას მთავაზობდა. მე კი ვეუბნებოდი, მცირე ხნით შემოვიარე-მეთქი. ვანიას დედაც, ისიც სასიამოვნო და მორიდებული, ქმარს საყვედურობდა: — „რა მოგივიდა, ანდრიუშა, შესთავაზე პალტოს გახდა“... მერე მანაც ისევ შემომთავაზა.

უცებ ალიონა დავინახე. საავადმყოფოსთან, გრძელ სკამზე იჯდა. წვიმა მოსაწყენად ცრიდა.

— როგორაა საქმე, ვერა მატვეევნა?

თავი ვერ შევიკავე, ისევ ავტირდი. ცრემლებსა და წვიმის წვეთებს თბილი, რბილი თითებით მიმშრალებდა. ალბათ ბავშვებსაც ასე ამშვიდებდა.

— გამოფხიზლდა... უკვე გამოფხიზლდა! — ვუთხარი თვალცრემლიან-მა. — ბედი გვქონია, ბელოვი მორიგეობდა! ქორწილში მოვალო, — თქვა. თქვენ რატომ ხართ ქუჩაში?

— ვესტიბიულში ხან შევდიოდი, ხან გამოვდიოდი. ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი... მე ვარ დამნაშავე, ვერა მატვეევნა!

— არ შეცდეთ და საბავშვო ბაღში არ გაიმეოროთ! — უცებ გამოვერკვიე და ტირილი შევწყვიტე. — თქვენ მასწავლებელი ხართ და არა შორსმჭვრეტელი. მე თვით უნდა გამეფრთხილებინეთ.

— თქვენ ხომ გაგვაფრთხილეთ! — რბილად, მაგრამ ჩიუტად მიპასუხა მან.



— მე ექიმი გავაფრთხილე და არა თქვენ.

— ექიმისგან უნდა გამეგო. ყველაზე ყველაფერი უნდა შემეტყო!

— ხომ შეიტყუეთ... გამოცდილება მსხვერპლს მოითხოვს, დამიჯერეთ.

— მაგრამ არა ასეთს.

— რომ ვიცოდეთ, სად დავეცემით, ჩალას დავიფენდით, ესეც შეუძლებელია. დღეს გამახსენდა.

ალიონასთვის ჩემი გამოცდილებით ჭკუის სწავლებას არ ვაპირებდი, მხოლოდ მისი დამშვიდება მინდოდა. და ვუამბე ჩემი ქმრის, ვალოდიასა და ვანია ბელოვის შესახებ.

მამაკაცები ჩვენ გვიყურებდნენ. მე ხმას დავუწიე, მაგრამ ისინი მაინც გვიყურებდნენ.

შინ რომ მივედი, ვალოდიას და კლავას წერილი მივწერე. დეპეშა არ გამიგზავნია. წერილშიც ყველაფერი არ ჩამიწერია. არაფერი მითქვამს იმ საშინელებაზეც, ჩვენ რომ გვემუქრებოდა. ჩვეულებად მქონდა, სხვისთვის ამეცილებინა ის განცდები, რომელიც მე შემეძლო გადამეტანა. მით უმეტეს, რომ ქარიშხალი გადავლილი იყო.

ელიზავეტას ავადმყოფობა რომ მიმეჩქმალა, ყურადღება ვანია ბელოვზე გადავიტანე.

„მე შევცდი, მაგრამ შენ როგორ დაივიწყე? მერე რა, რომ ქალაქის სხვა მხარეს ვცხოვრობდით“.

წერილის საპასუხოდ კლავა ჩამოფრინდა.

დაწვრილებით მიაშვო, როგორ განიცადა ვალოდიამ ელიზავეტას ავადმყოფობა. აგრეთვე ჩემი საყვედური ვანია ბელოვის გამო. თავის განცდებზე არაფერი უთქვამს. მაგრამ ვიცოდი, რომ ის ყოველთვის ვალოდიას გრძნობებს იზიარებდა. ამას შეჩვეული ვიყავი.

უსიამოვნო ამბის გაგებისას კლავა თვალებით ვალოდიას ეძებდა ხოლმე, სხვა ქალაქშიც რომ ყოფილიყო, „განა დრო არ არის, მამაკაცად იქცე?“ — ვეუბნებოდი ადრე შვილს. კლავას უმწეობამ იგი მფარველად, ესე იგი მამაკაცად აქცია.

„მე და ვალოდია“... — ასე იწყებდა საუბარს კლავა. თუ იტყოდა: ვალოდია ძალიან დაღლილია და სამხრეთში დასვენებაზე ოცნებობსო, — ვიცოდი, რომ დასვენება მასაც სჭირდებოდა. მარტოკას არ შეეძლო არც დაღლა, არც ოცნება და არც ღელვა. მხოლოდ ქმართან ერთად.

ისიც შევამჩნიე, რომ ზოგჯერ მარჯვენა ფეხს ითრევდა, იმიტომ რომ ვალოდია ასე დადიოდა.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჩემი შვილი უფრო ძვირფასი იყო მისთვის, ვიდრე ჩემი შვილიშვილი, გასაოცარია, მაგრამ მიხაროდა... შვილიშვილი, მისი სიცოცხლე და მომავალი ჩემი ცხოვრების უკანასკნელი მიზანი იყო.

როდესაც ამ მთავარ მიზანს სიკვდილის საშიშროება ემუქრებოდა, ჩემთან ვანია ბელოვი გაჩნდა. არა მარტო იმიტომ, რომ მისი გვარი და სახელი ჭირურგისას დაემთხვა. ვანია ბელოვი იმისთვის იყო დაბადებული, რომ აღამიანებს გაჭირვებისას დახმარებოდა.

კლავამ მაინც მაიძულა მეამბნა მისთვის ავადმყოფობასა და ოპერაციაზე.



ის შეტრიალდა, ვალოდიას ეძებდა, რომ ვერ დაინახა, ჩემს მხარზე აქვითინდა.

— რა შეიძლებოდა მომხდარიყო? — ჩურჩულებდა ის.

მე ვთხოვე: ვალოდიას ყველაფერს ნუ ეტყვი. უკვე ყველაფერი ჩავლილია, თორემ ისიც ჩამოფრინდება-მეთქი.

შემპირდა და საავადმყოფოსაკენ გაქანდა.

მე კი კლავას ჩამოტანილი ვალოდიას წერილი გავხსენი. ჯერ, დიდად შეწუხებული, ელიზავეტას ავადმყოფობაზე იწერებოდა. შემდეგ კი წერდა: „ვანია მეც მომაგონდა, ყველაფერი მომაგონდა! ისიც, რაც შენც კი არ იცი. მან მთხოვა, არ მეთქვა. მაგრამ ოც წელზე მეტი გავიდა... ახლა შემიძლია გამოგიტყდე: მათემატიკის მასწავლებელი მე ჩავკეტე! როგორღაც თავისთავად მოხდა. ჭუჭრუტანაში შევიხედე. ვხედავ, სარკესთან კობწიაობს. სხვა არავინ იყო. გეფიცები, ახლაც არ ვიცი, როგორ გადავატრიალე გასაღები. ალბათ ძალიან მეშინოდა საკონტროლოსი. ვანია მარწმუნებდა: — შენ კლასის ხელმძღვანელის შვილი ხარ და მასწავლებლის ჩაკეტვის უფლება არ გქონდაო. მე დავუჯერე, მერე კი სინდისი მქენჯნიდა. ალბათ ამიტომაც აღარ ვურეკავდი. შემდეგ ჩვენ გადავსახლდით... როდესაც დავბრუნდები, აუცილებლად ვიპოვი“.

ესე იგი ვანიამ ისევ სხვისი დანაშაული იკისრა?

დარწმუნებული ვარ, ეს მსხვერპლი იმიტომ გაიღო, რომ სენკას კლასში დარჩენა, ხოლო მე სკოლაში შერცხვენა მელოდა. და როგორც ქირურგს, უნდა გადავერჩინეთ. მე კი მას ჩემს სულთამხუთავად ვთვლიდი...

როდესაც ლაპარაკი გოლუბკინზე იყო, თავი არ მომიტყუებია, ვიცოდი, რომ სენკა ვანიამ იხსნა.

ვალოდიასთან დაკავშირებით კი დავიჯერე. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა — ვანია ბელოვი მათემატიკოსი იყო და ირინა გრიგორევენას ჩაკეტვა სულაც არ ჭირდებოდა. ვანიამ ჯერ ვალოდია დაარწმუნა, შემდეგ — მეც.

ნუთუ ადამიანი ყველაფერს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შეიცნობს? არა, ვანია ბელოვი ამის უარყოფაა. შვილის დაბრუნებას არ დაველოდები. ვანიას მე თვით ვიპოვი!

## 6.

ის შესახვევი, სადაც ვალოდია და ვანია ოდესღაც სწავლობდნენ, ძნელი საცნობი იყო. ახალი სახლები კოხტად გადმოჰყურებდნენ დაბალ, ძველ შენობებს. ასე მეგონა, დიდი ხნის წინ მიტოვებულ ახლობელ ოჯახს დავუბრუნდი, სადაც ყველაფერი შეცვლილიყო:

ბავშვები დაზრდილიყვნენ, შვილიშვილები გაჩენილიყვნენ. წარსულს მხოლოდ ოჯახის უხუცესი წევრები მაგონებდნენ. სწორედ ისინი იყვნენ ჩემთვის ძვირფასნი...

ოჯახის ასეთ უხუცეს წევრად მომეჩვენა ვანიას სახლიც, რომელიც სკოლის პირდაპირ, მეორე მხარეს იდგა. საბედნიეროდ, შემონახულა. გაკვეთილების შემდეგ აქ ჩავლიდნენ ხოლმე ბავშვები. ბიჭუნები, როგორც ყოველთვის, კვიმატობდნენ, გოგონები კი თავს ისე იჭერდნენ, ვითომ არც ესმოდათ.



კარგად მახსოვს, რომ ბელოვები პირველ სართულზე ცხოვრობდნენ.

ჩემთან ერთად სადარბაზოში ქერათმიანი და ჭორფლიანი გოგონა შემოვიდა და სწორედ იმ ბინისკენ გაემართა.

„ნუთუ ეს ვანიას გოგონაა? — გავიფიქრე, — ალბათ ცამეტ-თოთხმეტი წლისა იქნება. ადვილი შესაძლებელია!“

— შენ ბელოვა ხომ არ ხარ? — ვკითხე მე.

— ბელოვა?

და გაეცინა. მის ასაკში გოგონები სულ იცინიან... რა აცინებთ, ვერ გაიგებ.

— რა ხანია ბელოვები გადავიდნენ. მე არც კი მახსოვს.

— სხვა ქალაქში გადავიდნენ? — ვკითხე შეშინებულმა.

— არა, სხვა უბანში, — კარი თავისი გასაღებით გააღო, — დედას მათი მისამართი უწერია, მაგრამ სამსახურშია, მე ვნახავ. მგონი, ბლოკნოტში ჩაწერა.

გოგონა საქმიანი და სიტყვაძუნწი ჩანდა. არ უკითხავს, ვინა ვარ, რატომ ვეძებ. უბმოდ გადაფურცლა წიგნაკი, რომელიც ტელეფონის მახლობლად იდო. თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აი, ისიც... ვიცოდი, რომ იქნებოდა!

მერე მისამართი გადაწერა და მომაწოდა.

ფურცელი გამოვტაცე. მან ისევ გაიცინა, ალბათ გაკვირვებისაგან.

— შენი დიდი მადლობელი ვარ, — ვუთხარი, თან ნაწერს თვალი გადავაგლე და გავიგე, რომ ბელოვები ფილის რაიონში ცხოვრობდნენ.

ქუჩაში გამოვვარდი. მისამართი ხელში მეჭირა. ახლა უკვე ვიცოდი ვანიას მისამართი და მოთმინება აღარ მყოფნიდა, მინდოდა მალე მენახა...

შეიძლებოდა ავტობუსით ან მეტროთი წასვლა. მაგრამ ტაქსი გავაჩერე. მძღოლს ვუამბე, რომ ამდენი წლის შემდეგ ვიპოვე შესანიშნავი ადამიანი, ტაქსის მძღოლები მგზავრებისაგან ყოველდღე ათასნაირ ამბავს ისმენენ, ზოგი გულგრილად, ზოგიც — თანაგრძნობით. ჩემმა მძღოლმა დიდი ყურადღებით მომისმინა და თვითონაც გაიხსენა მსგავსი შემთხვევა. ის ცდილობდა ჩვენი შეხვედრა დაეჩქარებინა.

„ვანია ალბათ სამსახურში იქნება, მოხუცებს მაინც ვნახავ. მათთან დაველოდები, თუ ცოცხლები არიან“, — ვფიქრობდი მე.

დიდი ხნის უნახავ ადამიანებთან შეხვედრისას გამჩნევთ მხოლოდ, რას ნიშნავს წელთა სვლა. ვისაც ყოველდღე ვხედავთ, გარეგნობასა და ხასიათში ცვლილებებს ისე ვერ ვატყობთ.

ბელოვები ძალიან მოტეხილიყვნენ. წლებს მოეხარა ისინი და გამოეშრო მათთვის სახე. ეს რომ დავინახე, სარკეში მეც ჩავიხედე, მათაც ვერ მიცნეს. ვანიას მამამ წინანდებურად მთხოვა ლაბადის გახდა.

— ნათესავეებთან გადმოვსახლდით, — მიხსნიდა ვანიას დედა. — ანდრიუშას ძმასთან ერთად ვცხოვრობთ.

— მაპატიეთ, რომ აქამდე არ გინახულეთ. ვანია როგორ არის? სად არის?

მათ მეორე ოთახში გამიყვანეს.



იგივე მაგიდა ისევ მყუდრო ადგილზე იდგა, თითქოს ვანია <sup>ქალაქ</sup> მოს-  
წავლე იყო. მაგიდის ზევით იგივე სურათი ეკიდა, სადაც <sup>ქალაქ</sup> ვანია <sup>ქალაქ</sup> მესამე იყო  
მეზუთე რიგში. იქვე ვანიას კიდევ ერთი სურათი ჩამოეკიდებოდა, <sup>ქალაქ</sup> მხოლოდ  
გაკვეთილების ცხრილი აღარ იყო გაკრული.

— როგორ არის ვანია? — ისევ ვკითხე მე.

ვანიას დედა მაგიდასთან მივიდა, უჯრა გამოღო და ნაცრისფერი, ხე-  
შეში პატარა ფურცელი მომცა, სადაც ეწერა: 1945 წლის 27 აპრილს მათი  
ვაჟი, ივან ანდრეევიჩ ბელოვი, დაეცა მამაცთა სიკვდილით ქალაქ პენცლაუ-  
სათვის ბრძოლაში.

ასეთი ქალაქი არასოდეს გამოვიდა...





თარგმან ავთანდილ ხარაიშვილმა



### 1.

სალამო — კუპრი.  
თეთრი ავდარი.  
ქარი, ქარქუფრი!  
ფებს ვერ იკიდებს ყინულზე კაცი.  
ქარი ქრის, ქარი —  
მთელ ქვეყანაზე მარჯვნივ თუ  
მარცხნივ!

მიადრენს ქარი  
ფარფატა ფანტელს.  
ფიფქნარში — ნათელს  
აბრწყინებს ყინვა, გიჭირს...  
სრიალი,

ყველა სავალი ყინულის სალტეს  
შეუკრავს — ვაი, საწყალის ბრალი!

შენობებს შორის  
ორ თოქშუა პლაკატს  
ერთი აზრი აკრავს:

„მთელი ძალაუფლება  
დამფუძნებელ კრებას!“

დედაბერი ცრემლებად იღვრება,  
ვერ გაერკვა რა ჯანაბა ხდება,  
რას ხმარდება ამხელა პლაკატი,  
ამგვარი ტილო ასეთი სიგრძის?  
ფებს გაითბობდა ბაღლების რიგი,  
რამდენ ფებსახვევს ეყოფა იგი!..

როგორც ქათამმა — გაფორთხა მყისვე  
შემოქარული ნამქერთ რიგები,  
დედაო, ღვთისა, ამ დღიდან გვიხსენ!

კუბოს ჩაგვრეკენ ბოლშევიკები!  
ქარის სუსხი ძალას იკრებს!  
ფარ-ხმალს აღარც ყინვა ყრის!  
ბურჟუა გზაჯვარედინზე  
საყელოში იყოფს ცხვირს.

ეს ვინლაა? — გრძელი თმებით  
რომ საუბრობს ნახევარხმით:

— გარეწარნი!  
დაიღუპა რუსეთი!  
აღბათ. მწერალი —  
ვიტია...

აგერ, ნამქრის ქარულზე  
გრძელი კაბით ქანაობს...  
აჲლაღ იმხიარულებ,  
ამხანაგო, მამაო?

გახსოვს, როგორ წინადლით  
გზას იკვლევდი წირვაზე,  
ჭვრიან მუცლით ბწყინავდი  
შენ იმ ხალხის წინაშე?

ქალბატონიც — კარაკულში  
ჰყვება... სულ არ დაიხათრა,  
რა ცრემლებიც ღვარა გუშინ...  
გაცურდა და...  
გაიშხლართა!

ვაი, ვაი, — შლის ხელებს!  
ამწით ხალხო, — მიშველეთ!

მხიარული ქარი,  
ავი, კეთილნება,



ვინც გამვლელი არი,  
ფერხთ რომ ეფინება  
ხევს წარწერის ცნებას —  
დიდ პლაკატზე ჩნდება:

„მთელი ძალაუფლება  
„დამფუძნებელ კრებას!“

მოაქვს სიტყვების წყებას:

ჩვენთანაც იყო კრება...  
... ა, იმ სახლში, ხედავთ?...  
... გვექონდა ბჭობა —  
დავადგინეთ:  
თუმნად მხოლოდ წუთი...  
ლამე — ოცდახუთი...  
... ნაკლები რაღა იქნება...  
... წამოდი დასაძინებლად...

გვიანლამე არი,  
ცარიელ გზად მარტო

ერთი მაწანწალა  
მისთვის მიუარყატობს  
... ისევ უსტვენს ქარი...

ერყენული  
ჰერი, ღვთის გულში  
ჩემებრს ვის ნახავ —  
მოდო, გაკოცო...  
პური!  
წინ რა აქვს წადილს?  
გაიარ, წადი!  
წავზე შავია ცა.

ბოლმა, მოწყენის ბოლმა  
გულში აღუღებულა...  
შავი და წმინდა ბოლმა...

ძმაო, — დაკვირვებულად,  
დღეს სხვაგვარი დრო დოგმავს!

## 2.

ნავარდობა ქარი, თეთრ წვერს  
ივარცხნის,  
გამოჩნდა,  
მოდის თორმეტი კაცი.

შაშხანებს შავი თასმები აკრავს,  
ცეცხლია, ცეცხლი, ცეცხლია კვლავ  
გარს...

კბილებს — ციგარკა... ჰმუჭნილ  
კარტუზით,  
ზურგს მოუხდებათ აგურის ტუზი!

თავისუფლება, თავისუფლება,  
ეჰ, ეჰ, უჯვაროდ!

ტრა-ტა-ტა!

ცივა, ამხანაგებო, ცივა!

— ვანკა კატას — სამიკიტნოში...  
უთქვლევს თუ რამე შემორჩა გროში!

ვანუშას ახლა მდიდრად აცვია,  
იყო ვანკა და, ჯარისკაცია!  
— ვანკა, ბურჟუა, ღდინძალლობ როცა,  
გაბედე ჩემი გულსწორის კოცნა!

თავისუფლება, თავისუფლება,  
ეჰ, ეჰ, უჯვაროდ!

კატკა ვანკასთან ნებივრობს —  
რისთვის და რატომ ნებივრობს?...  
ტრა-ტა-ტა!

გარს — ხანძარს — ხანძარს,  
ხანძარს თუ ნახავ...  
მხრებს — იარაღთა ღვედები ახლავთ...

რევოლუციის გქონდეთ ნაბიჯი  
არ თვლემს ვერაგთა თავნება ნიჭი!

ამხანაგო, შაშხანა და შიში?  
წმინდა რუსეთს დავუშინოთ ტვინში!—



წელკავიანს,  
სქელგავიანს,

სქელტანიანს!  
ეპ, ეპ, უჯვაროდ!



## 3.

ჩვენს ბიჭებს ახლად ბადებდა  
წითელ გვარდიაში ყოფნა —  
წითელ გვარდიაში ყოფნა —  
სიცოცხლის არად ჩაგდება!

ჩემო ძველო, მწარე დარდო,  
მინდა ტკბილად მოგიხსენო!

დაკონკილო თბილო პალტო...  
ავსტრიულო თოფო ჩემო!  
ყველა ბურჟუას ხალისით  
მსოფლიო ხანძარს მივცემთ.  
მსოფლიო ცეცხლი გვაქვს სისხლში —  
მაცხოვარო,  
შენ დაგვიხსენ!

## 4.

თოვლში იხვევა მეეტლე ჩქარი,  
ვანკა კატკასთან ფრინავს, ვით ქარი.  
ელექტრონული შუქის ფარანი  
ცბიერ ღამეს ცრის...

ანთებს მეომრულ ფარაჯას  
ვანკას ბრიყვეული იერი,  
იგრებს შავ ულვაშს კარგახანს,  
იკვანის კოხტად, სათუთად...  
და უწყებს თითის თათუნსა...

ასე, ვანკა — მზრიანო,  
ვანკა — ენაწყლიანო!  
კატკას ისე ჩატმასნია,  
მასაც მოსთხოვს, საცაკია...

კატკა სახეს გვერდზე უქცევს —  
კბილებს მარგალიტი უნთებს...  
აჰ, შე კატია, ჩემო კატია,  
ჭამა სახეზე როგორ გატყვია...

## 5.

ბროლის ყელზე ჩემო კატო,  
ახლაც მოჩანს დანის კვალი.  
მაგ შეერდსქვემო, ჩემო კატო,  
ის ნაკაწრი ჩანს ცინცხალი!

ცეკვით შემომიარე!  
უნდა გულის იარებს!

მაქმანთა მარაოში —  
გახსოვს ატლას-ფარჩები?  
ოფიცრების ნალოშნი —  
ყველას ოხრად დარჩები!

მიდი, მიდი, რაც არი!  
ჩამიჭრე ეს ხანძარი!

გახსოვს კატო, ოფიცერი —  
ვერ გაექცა დანის წვერს...  
თითქოს — არა, რო იქცევი...  
არ სჯობს ცოცხლად დამიწდე?

გაიხსენე წარსული,  
დავწვეთ, ამომხდა სული!

რუხ გეტრებით ანცობდი,  
შოკოლადებს ხეთქავდი,  
იუნკრებში ნამყოფი  
რიგითებში შესახლდი?

ჰო, შერე რა, შესცოდე,  
სულს რაც უნდა ესოდენ!



6.



... ისევ პირისპირ მოგელავს ოთხით,  
შმაგი მეეტლე ყვირილის, შფოთის...

შესდექ, შეჩერდი! მიშველე ანდრი!  
პეტრი, ეტლს ქვემოთ შემოუვარდი!..

ტრაბ-ტარარაპ-ტაპ-ტაპ-ტაპ!  
ბუქის სვეტი კამარას კრავს!..

ვანკა მეეტლეს თან გაჰყვა, ახმახს,  
დროა, ესროლო! გამოჰყარ ჩახმახს!..

ტრაპ-ტარარაპ! ეს როგორ ხარ,

. . . . .

კრდე ივლი სხვის გოგოსთან!..

ერქუნული

გაძვრა სავარძელში, ზრუნის კაპტემდის?  
მოიცა, ხვალვე გაგისწორდები!

კატკა სადღაა? — მკვდარია, მკვდარი!  
გახვრეტილ შუბლით სწერია ჯვარი!

რაო კატკა? — ველარ ხტუნავ ახლა?  
ეგდე მძორო თოვლზე, შე ღვთის  
გლახა!

რევოლუციის გეჭიროთ ბიჭი!  
არ თვლემს ვერაგთა ცბიერი ნიჭი!

7.

მიდიან კვლავაც თორმეტნი,  
მთელი ჟინით და სიმკაცრით.  
მკვლელიც მიჰყვება კოლექტივს,  
ფერწასული და პირქარცი...

მუნჯ ნაბიჯით წინ-წინ ჩქარობს  
წინ მიუწევს საწყალს გული.  
კისერს ცხვირსახოცით ფარობს —  
სიმწრით ცივოფლგადასხმული.

— რაო, ძმაკაც, შენ და დარდი?  
— ხომ არ შეგეყარა ჭირი?  
— რაო, პეტრი, რად დანადრდი,  
შეგებრაღა, კატკას სტირი!

ძმანო, იგი ჩემად ვცან მე,  
ალალ გულით მყვარებია...  
ბევრი ბნელი, ჭუფრი ღამე  
მასთან გამიტარებია...

— მისი კოცნა, მისი ხვევნა,  
ცეცხლოვანი, მწველი თვალი,  
მარჯვენა მხარს — შავი ხალი...  
მე დავლუბე მე, ის ქალი,  
აეაქმე!.. ეპ, ჩემი ბრალი!

— რას ლაქლაქებ აგრე ურცხვად,  
ვით დიაცი მუდამ ყბედი?  
— ამოდერლო ასე უნდა  
ყველაფერი გულსნადები?  
— ვინც ჭუჭყუნებს, რა ბიჭია!  
— უნდა მიხვდე, გლახის ჭია!

— ახლა ძველი დრო არ არი,  
თავზე გისვან თბილი ხელი,  
ტანჯვა მოგველის სხვაგვარი,  
ბიჭო, და ვინღა გიშველის!

პეტრუხამაც დადინჯებით  
შეანელა ნაბიჯები...

თავი იგდო მხარულად  
ისევ გამხიარულდა...

ჰეი, ჰეი, არა! —  
რაც შესცოდა, კმარა!

გადარაზეთ სართულები;  
ღამე დამდგარა ჭურღების!

გამოაღეთ სარდაფები —  
მოვლენ ღარიბ-ღატაკები!



8.

ოჰ შე, უბედურებაჲ!  
წყენა, გულის სიძმარე,  
სასიკვდილო სიმწარე!

გავატარებ მეც ჩემს დროს,  
ამით ვინ რას მომკითხავს...

გეტყვი, არ დამაყუდრონ,  
ჩემთვის თუ კინჩხს მოვიფხან...

მზესუმზირის მარცვლებს როს  
ჩაგვკნეტ მთელი გრძნობითა.

მტერი ავსერ-დავსერო  
მართლაც ნაღდი ნდომიდა!



ქრისტეშული  
გიგაშვილის

იფრინე, ბურჟუა,  
ჩიტის ფრიალით!

დავლევ მე შენს სისხლს  
ჩემი ტრფიალის  
შავწარბა გოგოსთვის...

უფალო, განუსვენე სულსა მონისა  
შენისასა...

გული გაილია!

9.

უკვე არ ისმის ქალაქის შფოთი,  
სიმშვიდე სუფევს კოშკურზე ნევის,  
პოლიციელიც არ მიდი-მოდის —  
აბა, ბიჭებო, დრო დადგა ლხენის!

გზაჯვარედინზე ბურჟუას ეწვის  
ცხვირი, საყუდლოს იფარებს მალვით,

ფერხთ ეხრუკება ბინძური ბეწვის,  
კუდამოკრული მის ბედის ძაღლი.

და დგას ბურჟუა — ძაღლი მშიერი,  
დგას ჩუმად, როგორც კითხვის ნიშანი.  
უკან — ძველი დრო, ძუკნას იერის —  
ამოძუებულ კუდზე ვიცანი.

10.

უცხად გაერთო ჩქარი ნამჭერი,  
ჰოი, ნამჭერო, ჰოი, ნამჭერო!  
არ ჩანს არავინ, არც არაფერი  
ოთხ ნაბიჯს შერე, ტყვილად გავცქერი!

დატრიალდა თოვლი ძაბრად,  
ბუჭი სვეტად აღიმართა...

— ოჰ, ქარბუქო, გეყო კმარა!  
— აბა, პეტკა, წარამარა  
ღმერთს რო შესთხოვ, რას გიშველის,

თუ არ გახლავს თავი შენი?  
დამიჯერე, გეუბნები,  
ნუ გამიგებ შეუგნებლივ —  
მოხდა, თუ არ მოხდა ღვთისით,  
ცოდვად გაწევს კატკას სისხლი.

რევოლუციის გეჭიროთ ბიჭი!  
ახლოა მტერის უმცხრალი იჭვი!

წინ, წინ, შორს თუ ახლო,  
შენ, მშრომელო ხალხო!

11.

მიდიან, არ წამს აქ არცერთს ღმერთი,  
თორმეტნი შორეთს მავალ გზაშია,  
რომ გაიტანენ ყველაფერს მკერდით,  
სიბრალული კი რა შუაშია...

შაშხანები აქვთ მართლაც ფოლადის,  
არ შეარჩენენ სულს უჩინარ მტერს...  
ყრუ გასახვევში გზა ძლივს რო გადის,  
სადაც ნამჭერი ახრიალებს მტვერს...



სადაც ქარბუქის ჩანს ბორცვით  
წყება  
და ჩექმას უჭირს წვერის გაღწევა...

თვალში ხედებათ წითლად  
დროშა დაეინებით.

მოკუხს ყოველ მხრიდან  
მწყობრი ნაბიჯები.

ჰა, აღვიძებს ფლოიდს  
მტერი ავთისებრს...



ერყუნული  
თვალთ ნამქერს  
და სხვა არაფერი,  
ვერაფერი ნახო...

წინ, წინ, შორს თუ ახლო,  
შენ, მშრომელთ ხალხო!

## 12.

... კვლავ ჰექს ნაბიჯები მწყობრში...  
— იქ, ვინ დარჩა? ჰაბარდა!

ქარი ჩანდა წითელ დროშით,  
წინ —  
წინ გაინავარდა...

წინ — ნამქერის ცაშვეული.  
— გამო, ხული გამწარდა!  
ძოლოდ ძაღლი დამშეული  
უკან წამოწანწალდა...

მოწყდი, თორემ გაგისროლე,  
გინდა ხიშტიის ზიკინი!  
... დროც მიჰყვეს ამის ცოდვებს,  
... ღირს ბევრი ღლიცინი.

... ღილი უღრკენს მშიერ მგლისა —  
... ასე მოგვსდევს კუდმიმხმარი —  
... თვისტომო, ცივი, ქლესა...  
— ე, ხმა გაგვეც, მანდ ვინ არი?  
— იქ ვინ იქნევს წითელ დროშას?  
— გაიხედავ, ბნელა, ბნელა!  
— ჩქარ ნაბიჯებს იქ ვინ როშავს.  
ახლისაზლ რო გვემაღლება?

— მოგნახავთ, მაინც ერთია,  
სჯობს შეიბრალო თავი შენ!  
— ინანებ, მოწმე ღმერთია,  
— გამოდი, ტყვიას დაგიშენთ!  
ტრაპ-ტაპ-ტაპ-სროლა ჩქარჩქარი —  
სხვა ხმა ღუმს სასაჩლეებსა,  
მხოლოდ ქარბუქის ხარხარი  
ეხურვის თოვლის შრეებსა.

ტრაპ-ტაპ-ტაპ!  
ტრაპ-ტაპ-ტაპ!

... ასე მიდიან — ნაბიჯთ ძგრიალი —  
უკან -- მშიერი ძაღლის სახება,  
წინ — დასისხლული დროშის  
ერიალით,

ბუქში რომ არ ჩანს თვალსაწიერი,  
ტყვიით უვნები, სუბუქ იერის,  
უფაქიზეს ჰაეროვან ფრთების,  
ფანტელების მარგალიტთა თვლებით,  
თოვლის ვარდების გვირგვინ-

სანთლებად,—  
წინ ქრისტე-ღმერთი მიემართება.



# ფ. სკოტ ფიცჯერალდი

## პარიზის ახალი ამბები — თხუთმეტი წლის წინ



ინგლისურიდან

თარგმნა მარინე ხოსიტაშვილმა

ერთი მხრიდან არ უნდა წამოვსულიყავით“, თქვა რუთმა. „ის-  
ეღაც ქვეყნის ხალხმა იცის, ერთ სასტუმროში რომ ვართ“.   
ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა ჰენრი ჰევენ დელს, მერე ორივეს გაეცინა. აპრი-  
ლის კაშკაშა დილა იდგა და მათ ის-ის იყო გაუხვიეს ელისეის მინდვრებიდან  
ინგლისური ეკლესიისაკენ.

„იქით გადავალ“, თქვა კაცმა, „მერე კი კარებთან შევხვდეთ“.

„რას ამბობ, იქ ახლოსაც ვერ გავეკარებით ერთმანეთს. რა სალაპარაკოა,  
მაგრამ მე ხომ გრაფის ცოლი ვარ და მეტიც არ უნდათ, გულმოდგინედ აღნუ-  
სხავენ ყოველ ჩემს ნაბიჯს იმ წყეულ „ბულვარდიერში“.

უეცრად შედგნენ.

„მე ვერ ავიტან შენთან განშორებას“, თქვა კაცმა. „საოცრად მომხიბლა-  
ვი ხარ“.

„მეც ძალიან მიმძიმს“, წაიჩურჩულა ქალმა. „თურმე რა კარგი ყოფილ-  
ხარ. ახლა კი ნახვამდის“.

კაცმა შუამდე გადაკვეთა ქუჩა და შეჩერდა, ისე დასჭექქეს მანქანის საყ-  
ვირებმა დებიუსის რაღაც მელოდია.

„ერთად ვსაუზმობთ“, გასძახა ქალს.

ქალმა თავი დაუკრა, მაგრამ ისე განაგრძო გზა, მისკენ აღარც გამოუხე-  
დავს. ჰენრი ჰევენ დელმა ქუჩა გადაჭრა და ნაბიჯს აუჩქარა, თან მაღიმაღ ბე-  
დნიერი თვალებით გახედავდა ხოლმე ქუჩის გაღმა მხარეს მიმავალ ქალს.

ნეტა ეკლესიებში ტელეფონი თუ აქვთ, გაიფიქრა. ჯვრისწერის შემდეგ  
ნახავს.

უკანა რიგში იდგა, დროდადრო თვალს თვალში გაუყრიდა ხოლმე რუთს,  
არ ეშვებოდა. მართლაც დიდებული ჯვრისწერა გახლდათ. ნეფე-დედოფალი,  
ეკლესიიდან რომ გამოდიოდა, პატარძალმა მკლავში გაუყარა ხელი და ქუჩა  
ერთად ჩამოიარეს.

„რა არ ხდება“, თქვა პატარძალმა, „გახსოვს, ჰენრი, კინალამ შენ გამოგ-  
ყევი ცოლად“.

ქმარმა გაიცინა.

ჰენრიმ კი გაიფიქრა: ალბათ, ასეც მოხდებოდა, შენ რომ ნამდვილად ის  
ყოფილიყავი.

თუმცა ხმამაღლა მხოლოდ ეს თქვა:

„სანამ წვეულება დაიწყება, უნდა დავრეკო“.



„სასტუმრო სავსეა ტელეფონებით. მოდი, გვერდით დამიდექი. მსურს, პირველმა შენ შეიტყო“.<sup>1</sup>

ტელეფონთან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოხვდა.

„პარიზი“<sup>2</sup> აგვიანებს“. აუწყა ტრანსატლანტის კომპანიაში მსახიობი დროს ვერ გეტყვით, ალბათ, ოთხამდე არ იქნება“.

„არა, მესიე, არა მგონია ოთხამდე იყოს“.

კეთილი. ფოიეში მექორწილეთა ჯგუფს შეუერთდა და რიცის ბარს მია-  
შურა, სადაც მამაკაცებს მოეყარათ თავი. სულ ქალებთან რა გაგაძლებინებს.

„პარიზში რამდენ ხანს დაჰყოფ, ჰენრი?“

„ძნელი სათქმელია. ყოველთვის ზუსტად გეტყვი, რამდენ ხანს გავჩერ-  
დები ნიუ-იორკში ან ლონდონში“.

ორი კოქტეილი დალია — ორივე სხვადასხვა მაგიდასთან. ჯერ პირველი არ გამზდარიყო და არეულობამ და ხმაურმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. გა-  
რეთ გამოვიდა. კამბონის ქუჩაზე მანქანას ვერ გააჩერებდი — შვეიცარები  
დე რივოლის ქუჩამდე გამწკრივებულიყვნენ ტაქსის გასაჩერებლად. უცებ  
ერთი ტაქსი მოადგა სასტუმროს, რომლის საფეხურზე შვეიცარი შემომხტა-  
რიყო. ტაქსის ბაც მწვანეში გამოწყობილი პატარა, მომხიბლავი, შავგვრემანი  
მანდილოსანი უცდიდა.

„ერთი წუთით“, სთხოვა ჰენრიმ. „შემთხვევით ბუასკენ ხომ არ გაივ-  
ლით?“ თან ჩაჯდა. ფრაკმა თითქოს გაქრაო. ქალმა თავი დაუკრა.

„სწორედ იქ ვსაუბრობ“.

„ჰენრი დელი“, გაეცნო, შლაპა ოდნავ მოიხადა.

„ო, ეს თქვენა ხართ — ძლივს არ გნახეთ!“ მგზნებარედ თქვა ქალმა.

„მე ბესი უინგი ვარ — ჩემი ქალიშვილობის გვარი ლეიტონია. მთელ  
თქვენს ნათესაობას ვიცნობ“.

„რა სასიამოვნოა“, წარმოთქვა კაცმა, ქალიც დაეთანხმა.

„საუბრეზე ნიშნობის ჩაშლას ვაპირებ“, თქვა ქალმა „და თქვენ დაგაბ-  
რალეზთ“.

„ნუთუ?!“

„კაფე დოფინში — პირველიდან ორამდე“.

„მეც იქ ვიქნები — დროდადრო გამოგხედავთ“.

„ერთი ეს მითხარით — ამის შემდეგ უნდა გამაცილოს შინ? ემილი პოს-  
ტი<sup>3</sup> ხომ არა ვარ, რომ ვიცოდე“.

კაცმა სხარტად მიუგო:

„არა, მე წაგიყვანთ. იქნებ ცუდად გახდეთ, ან კიდევ, რა ვიცი. თვალი მე-  
ჭირება“.

ქალმა იუარა.

„არა — დღეს არ შემეფერება“, თქვა მან. „მაგრამ კარგა ხანს იქ ვიქნები“.

„დღეს შუადღისას“, თქვა კაცმა, „გემი ჩამოდის ჰავრში“.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ქალმა უბასუხა:

„ჰენრი, მე თითქმის ვიცნობ. რა გაეწყობა, ასე იყოს. თუ დაინახავ, რომ

1. შაბლონური ფრაზა, რომლითაც ქალი ძველ შეყვარებულს ატყობინებს თავისი ნიშნო-  
ბის ან ქორწინების ამბავს.

2. „პარიზი“ — საოკეანო ლაინერი.

3. ემილი პოსტი (1873-1960) — ცნობილი სახელმძღვანელოს „ეტიკეტის“ ავტორი.



ელაპარაკობ და თან კოვზს ვათამაშებ, იცოდე, ხუთ წუთში რესტორნის წინ შეგხვდები“.

რუთი მაგიდასთან ელოდებოდა. ათი წუთის განმავლობაში უხალისოდ ებაახებოდა მას ჰენრი. ხან მის სახეს უყურებდა, ხანაც მაგიდაზე გადაჰქრებოდა და მზერა, რომელსაც გაზაფხულის შუქი დასთამაშებდა. მერე ვიფიქრებოდა: შორის მიმოიხედა და ბესი უინგს შეავლო თვალი, რომელიც უხალისოდ ელოდა წლის, ე. ი. ჰენრის ხნის კაცთან საუბარში იყო გართული.

„ეს შუადღეც და მორჩა“, თქვა რუთმა.

„ალარც ეს შუადღე დაგვრჩა“, ღრმა მწუხარებით წარმოთქვა კაცმა, „ერთ საათში მატარებელს ვხვდები“.

„საწყენია, ჰენრი. არადა, ხომ კარგად ვიყავით ერთად?“

„არაჩვეულებრივად“, გულწრფელად დალონდა.

„არა უშავს“, ცოტა ნაძალადევად უპასუხა რუთმა, „მაინც მკერავთან ვიყავი წასასვლელი. დღეისათვის დამიბარა. ოპერაში თუ წახვალ ან სენ-ჟერმენის გარეუბანში მოხვდები, უსათუოდ გამიხსენე“.

„ყველაფერს ვიღონებ, ოლონდ დაგივიწყო“.

„ცოტა ხანში კოვზის თამაში შენიშნა“.

„მოდო, ჯერ მე ავდგები“. თქვა კაცმა. „გამიძნელდება, აქ რომ ვიჯდე და გიყურო, როგორ მიდიხარ“.

„კარგი, მაშინ დავრჩები და ვიფიქრებ“.

ბესი რესტორნის წინ უცდიდა, მსხლის ძირში — გამოპარული ბავშვებით უმაღლეს ტაქსში შეეცვივნენ.

„გაგიჭირდა?“ ჰკითხა კაცმა. „თვალყურს გადევნებდით. იმას თვალეები აუცრემლიანდა“.

ქალი დაეთანხმა.

„ძალიან გამიჭირდა“.

„რატომ ჩაშალე?“

„იმიტომ, რომ ჩემმა პირველმა ქორწინებამ არ გამიმართლა. იმდენი კაცი მეხვია გარს, რომ, როცა გავთხოვდი, არც კი ვიცოდი, ვინ მიყვარდა. ასე რომ, სულ ერთი იყო. ალბათ, ხვდები, რასაც ვამბობ. მაშ რაღა მაინცდამაინც ჰეშელ უინგის ცოლი ვყოფილიყავი?“

„ამ კაცზე რაღას იტყვი?“

„იგივე გამეორდებოდა, მაგრამ ამჯერად დამნაშავე მე ვიქნებოდი, რადგან წინასწარ ვიცი, რაც იქნება“.

ისინი გრილ ამერიკულ სასტუმრო ოთახში ისხდნენ — ქალის ბინაში და ყავას მიირთმევდნენ.

„შენისთანა ლამაზი ქალის ცხოვრებაში“, თქვა კაცმა, „ალბათ, ხშირად ხდება ასე, არიან კაცები — კაცი კი არა“.

„ერთხელ იყო კაცი“, თქვა ქალმა, „მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი. შენ გგავდა. არ ვუყვარდი“.

ჰენრი სავარძლისაკენ გაემართა და ქალს გვერდით მიუჯდა.

„ასეც ხდება“, თქვა ჰენრიმ. „ალბათ ყველაზე უსაფრთხოა: გემი გემს რომ ჩაუვლის ღამით“.<sup>1</sup>

ქალი ცოტა თავს იკავებდა.

<sup>1</sup> ციტატა ლონგფელოს ნაწარმოებიდან „გზისპირა სასტუმროს მოთხოვნები“.



„ჩამორჩენილობაში არ ჩამოშორდება, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცნობთ ერთ-მანეთს“.

„როგორ არა — გაიხსენე — დღეს დილას არ შეხვდით?“  
ქალმა გაიცინა.

„მალამო ჩაშლილი ნიშნობისა, არა?“

„განსაკუთრებული მალამო“, — დააზუსტა კაცმა.

ოთახში სიჩუმე იყო. აპრილის ქარი ფარდანე დახატულ ფარშევანგებს აფრიალებდა.

მოგვიანებით ხელიხელგაყრილი იდგნენ აივანზე და ტრიუმფალურ თაღმდეგ ზღვადდარბეულ ფოთლებს შესცქეროდნენ.

„ტელეფონი სადაა?“ უცბად იკითხა კაცმა. „ხო, თუმცა, ვიცი“.

შევიდა და მისი საწოლის გვერდით მდგარი ტელეფონის ყურმილი აიღო. „Compagnie Générale“-ია?...<sup>1</sup> როდის ჩამოდის მატარებელი, რომელიც „პარიზს“ უნდა დახვედროდა?“

„ო“, გემი ჯერ პავრშიც კი არ შემოსულა, მესიე. რამდენიმე საათში დარეკეთ. საუთჰემპტონში შეაგვიანდა“.

კვლავ აივანზე რომ დაბრუნდა, თქვა:

„რა გაეწყობა, მოდი, გამოფენაზე წავიდეთ“.

„მე ისედაც წასასვლელი ვარ“, თქვა ქალმა. „მერი ტოლივერზე რომ გელაპარაკებოდი — ერთადერთი ადამიანია, ვისთანაც მიმესვლება იმის შემდეგ, რაც საუზმეზე ჩავიდინე. ის გამიგებს“.

„არც ჩვენი ამბის გაგება გაუჭირდება?“

„ამას ვერასოდეს გავუმხელ. თექვსმეტი წლიდან მერი ჩემი იდეალია“.

ბესიზე ბევრით უფროსი არა ჩანსო, გაიფიქრა ჰენრიმ, როცა კრიიონის<sup>2</sup> ფოიეში შეხვდნენ ერთმანეთს — ბრინჯაოსფერი ქალი იყო, უაღრესად ელეგანტური და, ფრანგები რომ იტყვიან, „soignée“, რაც ნიშნავს მოვლილს და კიდევ ცოტა მეტს. ამერიკელი მხატვარი და ავსტრიელი მოქანდაკე ახლდნენ ქალს. ალბათ უყვართ, დაასკვნა ჰენრიმ, ან შეიძლება ფულის გულისთვისაც დასდევნო. მის ფულზე კი „რენოც“ მეტყველებდა, ქალაქური მანქანა, რომლითაც სენას სანაპიროზე გამართულ დეკორატიული ხელოვნების გამოფენაზე მოვიდნენ.

დაათვალიერეს გამოფენა, ჩაუარეს ქრომის მოაჯირებს, ბრწყინვალე ნიმუშს ფოლადის ეკონომიისას, რაც მომავალში უთუოდ შეუცვლიდა ელფერს ეპოქას. ერთ დროს ჰენრი „პარვარდ ლემპუნის“ ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და მხატვრული აღლო არ აკლდა, მაგრამ ამჯერად არ ჩაერია მხატვრისა და მოქანდაკის საუბარში. შემდეგ, როცა აპერიტივისათვის მაგიდას მიუსხდნენ, ბესი გვერდით დაუჯდა, ძალიან ახლოს — მერი ტოლივირმა გაიღამა და გუჟანით მიხვდა ყოველივეს. დაკვირვებით შეათვალიერა ჰენრი.

„დიდი ხანია იცნობთ ერთმანეთს?“ ჰკითხა.

<sup>1</sup> Compagnie Générale (ფრ.) — სარკინიგზო კომპანიის ძველი სახელი.

<sup>2</sup> ფეშენებელური სასტუმრო პარიზის ცენტრში.

<sup>3</sup> „პარვარდ ლემპუნი“ — პარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტური ჟურნალის სახელწოდება.



„მრავალი წელია“, თქვა ჰენრიმ. „ბესი დაა ჩემი. უკაცრავად, ახლა უნდა დაგტოვოთ. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ყოფნა“.

ბესიმ საყვედურით შეხედა და თვითონაც დააბირა ადგილი, მაგრამ თავი შეიკავა.

„ხომ გითხარი, მატარებელი ჩამოდის-მეთქი“, მშვიდად აუტყნა ჰენრიმ „გემი“, შეუსწორა ქალმა.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ჰენრიმ დაინახა, როგორ დაიკავა მისი სკამი ბესის გვერდით მხატვარმა.

„პარიზი“ კვლავ საუთჰემპტონში იდგა. ჰენრიმ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. როცა უსაქმობას მიეჩვევი, ძნელია შეავსო თავისუფალი დრო. ბევრად უფრო ძნელი, ვიდრე იმისათვის, ვინც მუშაობს. შინ რაღაც საქმე გამოგიჩნდება — აქ კი მაგიდებთან მსხდომთა სახეებს შესჩერებიხარ და სულ მუდამ ასე იქნება.

— ეს რა უქნარა გავხდი, გაიფიქრა, აუტანელი უქნარა. არც კი მახსენდება, რაიმე მოვალეობა თუ მაქვს.

ტაქსით მარცხენა სანაპიროზე გავიდა — ნოტრ-დამ დე შამპის ქუჩაზე, ბავშვი უნდა მოენახულებინა, რომელსაც ომის შემდეგ პატრონობდა. მაშინ პატარა მშვენიერი თბილი გოგონა გაფე დიუ დომთან მათხოვრობდა, ახლა კი უკვე მესამე წელი იწურებოდა, რაც ჰენრიმ სამონასტრო სკოლაში მიაბარა. ყოველ ზაფხულს ერთი-ორჯერ ჩააკითხავდა ხოლმე ჰენრი — ახლა კი მთელი წელი ისე გავიდა, არ ენახა.

„ელენი გასულია“, უთხრა ახალმა კონსიერჟმა; ჰენრი არ იცნობდა მას. „მე რა ვიცი, სად არის? კაფე დე ლილაში? ან იქნებ ლიპში?“

ჰენრი ცოტა არ იყოს აღელდა — შემდეგ დაწყნარდა, როცა ლიპში იბოვა ელენი. ეს ლუდხანა უფრო რესპექტაბელური იყო როტონდთან შედარებით. ქალმა ორი ამერიკელი მაგიდასთან დატოვა და ჰენრის მორცხვად გადაეხვია.

„რას აპირებ, ელენ?“ მზრუნველად გამოჰკითხა. „რა საქმეს გასწავლიან მონაზვნები?“

ქალმა მხრები აიჩეჩა.

„გავთხოვდები“, თქვა მან. „მდიდარ ამერიკელს გავყვები, თუ მოვახერხე. აი, თუნდაც იმ ყმაწვილს, ახლა რომ დავტოვე, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ შტატშია“.

„რეპორტიორები მდიდრები არ არიან“, არ მოუწონა, „ესეც არა ჩანს ღიდი იმედისმომცემი“.

„ო, ახლა ნასვამია“, თქვა ელენმა; „ხან ისეთია, უკეთესს ვერ ინატრებ“.

სულ რაღაც ოთხი წლის წინ — ომის შემდეგ, ჰენრი რომანტიული ადამიანი იყო. ფიქრადაც არ გაუვლია, ამ გოგონას იმიტომ ვზრდი, რომ მერე შევირთოო, ან რაიმე ამდაგვარი. მაგრამ გუნებაში, ეტყობა, მაინც ეს ჰქონდა. ვინ იცის, რა მშვენიერი ქალი დამდგარიყო ელენი. და ახლა ქალს რომ შეხედა, ეჭვიანობის გესლით აივსო რეპორტიორის მიმართ.



# ოსკარ უაილდი

## კეთილისმეტყველი

ლექსი პროზად

ინგლისურიდან თარგმნა მარინე ხოსიტაშვილმა



ბნელოდა. მარტო იყო.  
და სადღაც შორს დაინახა კედლები მრგვალი ქალაქისა და იქით წავიდა.

რა მიუახლოვდა, გალავანს იქიდან მოესმა ხმა ხალისიანი ნაბიჯებისა, სიცილი მხიარული ბაგე-კბილისა და ჰანგი მრავალთა მუღნთა. დააკაკუნა. კარიბჭე გაუღეს მცველთა.

და დაინახა სასახლე მარმარილოსი, წინ მარმარილოსავე მშვენიერი სვეტებით. სვეტებს გირლანდები ამშვენებდა, ხოლო გირლანდებში აქა-იქ კედლის ლამპრები ანათებდა. და იგი შევიდა სასახლეში.

რა განვლო ქალცედონის დარბაზი, იასპის დარბაზი და მიაღმა გრძელ სანადიმო დარბაზს, ზღვისფერ-მეწამულ ტახტზე მიწოლილი იხილა ის, ვის თმასაც წითელი ვარდები ამკობდა და ვისი ტუჩებიც ლალისფრად დაეფერა ღვინოს.

ზურგსუკან დაუდგა, მხარზე შეავლო ხელი და უთხრა: „ასე რად ცხოვრობ?“

ჭაბუკი მოტრიალდა, იცნო იგი და მიუგო: „კეთროვანი ვიყავ და შენ განმკურნე. სხვაგვარად როგორ ვიცხოვრო?“

დატოვა სასახლე და კვლავ ქუჩაში გავიდა.

და უცებ ქალს მოჰკრა თვალი, ვისაც სახე და სამოსი მოხატული ჰქონდა, ფეხებზე კი მარგალიტები აესხა, უკან მოჰყვებოდა ახალგაზრდა კაცი ორფერი მოსასხამით, ფრთხილად, ვითარცა მონადირე. ახლა ქალის სახე კერპის მშვენიერ სახეს ჩამოჰგავდა, კაცს კი თვალები წადილით უელავდა.

და იგი მსწრაფლ აედევნა ყმაწვილ კაცს, ხელზე შეეხო და უთხრა: „ამგვარად რად შეჰყურებ ქალს?“

ყმაწვილი მოტრიალდა, იცნო და თქვა: „ერთ დროს ბრმა ვიყავ და შენ თვალნი ამიხილნე. სხვას რას ვუცქირო?“

და წამოეწია იგი ქალს, მის მოხატულ სამოსს შეეხო და უთხრა: „ნუთუ არ არსებობს სხვა გზა, გარდა ცოდვისა?“

ქალი შემობრუნდა, იცნო, გაიცინა და თქვა: „შენ ხომ მომიტევე ცოდვები, ეს კი სასიამოვნო გზაა“.

და იგი გაშორდა ქალაქს.

და როცა გაშორდა, ყმაწვილ კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც გზისპირას იჯდა და ტიროდა.

მიუახლოვდა, ხელი შეახო გრძელ კულულებზე და უთხრა: „რა გატირებს?“

ყმაწვილმა კაცმა აიხედა, იცნო იგი და უპასუხა: „მკვდარი ვიყავი ერთ დროს და შენ აღმადგინე მკვდრეთით. მაშ რა ვქნა, რომ არ ვიტურო?“



**ი**ნდოელი ხალხის გენიისაგან კაცობრიობა დავალებულია უმდიდრესი და უბრწყინვალესი ლიტერატურით, ხოლო პირველ რიგში — ვედებით, რაც საკაცობრიო აზროვნების საუნჯესა და ერთ-ერთ ქვეყნთხედს წარმოადგენს. ვედები (სიტყვასიტყვით — „ცოდნა“) ინდოეთის უძველესი ლიტერატურული ძეგლია, რომლის შექმნის პერიოდი, სწავლულთა აზრით, მოიცავს დაახლოებით ათასწლეულს: მეორე ათასწლეულისა და პირველი ათასწლეულის შუა მიწნებს (ჩვენს ერამდე); ვედები დაწერილია ძველინდურ ენაზე (ვედური სანსკრიტი) და მოიცავს ოთხ წიგნს: 1. რიგვედა: — ჰიმნების კრებული; 2. სამავედა: — საგალობლები, უმთავრესად რიგვედას იგივე ჰიმნები, რომელსაც თან ერთვის დამოძღვრანი; 3. იაჯურვედა: — სამსხვერპლო ფორმულები, მოღწეული ორი რედაქციით — „შაფი“ და „თეთრი“; 4. ათარვავედა: — მაგიური ფორმულები და შულოცვები.

თავის მხრივ, ყოველი ვედა იყოფა ოთხ ნაწილად: 1. სამჰიტები: — საკუთრივ ჰიმნები და სარიტუალო ფორმულები; 2. ბრაჰმანები: — სარიტუალო-მითოლოგიური განმარტებანი და მიწოდებები ჰიმნებზე; 3. არანიაქები: — დამოძღვრანი განდევილთათვის, რომელთაც მიატოვეს სახლი და გარდაიხვეწნენ ტყეში. 4. უფანიშადები: — დამოძღვრანი, არა იმდენად სარიტუალო-პრაქტიკული ხასიათისა, რამდენადაც გონმკვრივ-განყენებული ბუნებისა. ასე რომ, ყოველ ვედას თავისი უფანიშადა შეესაბამება: რიგვედას — აითარეია და ქაუშითაქი უფანიშადა, სამავედას — ჩჰანდოგია და ქენა უფანიშადა; იაჯურვედას — ქათა, შაითრი, თაითირია, შამანარაიანა, შვეთაშვათარა, ბრაჰმადარანიქა და იშა უფანიშადა; ათარვავედას — მუნდაქა, ფრაშნა და მანდუქია უფანიშადა.

უფანიშადები თავისებური ალეგორიული განმარტებანია ვედური მითებისა და რელიგიური წეს-მსახურებისა; უფანიშადების ცალკეული ტექსტები შეთხზულია სხვადასხვა, და ხშირად, უსახელო, ავტორთა მიერ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა თემზე. ყოველი ნაკვეთი წარმოადგენს ფილოსოფიურ-რელიგიური აზრის მეტაქლებად მოკლე გადმოცემას იმ ლეგენდარული თუ ნახევრადლეგენდარული ბრძენკაცისა, ვინაც ხან ავტორად, ხანაც პერსონაჟად გვეცხადება. უფანიშადები შეიცავს იმ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მოძღვრებებს, რომლებიც მომდევნო ხანაში განვითარდნენ მთელი სისტემების სახით და რომელთა მნიშვნელობაც განუზომელია ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების ისტორიაში.

უფანიშადები, რომლებიც მოიცავს საკმაოდ დიდ ისტორიულ პერიოდს, იყოფა „ადრეულ“ და „გვიანდელ“ უფანიშადებად. ადრეულს ანუ უძველესს, განეკუთვნება ჩჰანდოგია უფანიშადა, რომელიც მნიშვნელოვანი ძეგლია ინდუიზმისა.

გთავაზობთ ჩჰანდოგია-უფანიშადას პირველ და მეორე ნაწილს აუცილებელი შენიშვნებითურთ.

მთარგმნელი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

1. ომ! — აჰა, სიტყვა თაყვანსაცემი, ვითა უდგითჰა. უდგითჰას საგალობელს ამ სიტყვით იწყებენ.

აჰა, განმარტება მისი:

2. არსი ყოველთა არსთა — მიწაა. არსი მიწისა — წყალია. არსი



წყალისა — მცენარეა. არსი მცენარისა — ადამიანია. არსი ადამიანისა — მეტყველება. არსი მეტყველებისა — რიჩია. არსი რიჩისა — სამანია. არსი სამანისა — უდგითპა.

3. არსი ყოველთა არსთა, უმაღლესი, უუმაღლესი, მერვე. აჰა, უდგითპა!

4. რაა რიჩი? რაა სამანი? რაა უდგითპა? აი, რაა მცენარეა.

5. რიჩი — მეტყველება, სამანი — მშვინვა, უდგითპა — ომ! მეტყველება და მშვინვა: — რიჩი და სამანი — შეიქმს ლუწს.

6. ეს ლუწი თანაშეერწყმის ომ-ს. ჭეშმარიტად! ოდეს რიჩი და სამანი თანაშეერწყმის: — ურთიერთ აღსრულებენ საწადელთ.

7. ჭეშმარიტად! ვინცა ეს უწყის, თაყვანი სცა ომ-ს, ვითა უდგითპას და აღისრულნა საწადელი.

8. ჭეშმარიტად! სიტყვა ომ — ჭეშმარიტყოფაა. უკეთუ ოდეს რაიმეს ჭეშმარიტყოფენ, აღავლენენ: — ომ! ხოლო ჭეშმარიტყოფა აღასრულებს საწადელთა. ჭეშმარიტად! ვინცა ეს უწყის, თაყვანი სცა ომ-ს, ვითა უდგითპას და აღისრულნა საწადელი.

9. ჭეშმარიტად! ომ — დასაბამია სამმაგი ცოდნისა. „ომ!“ — ღაღადებს ადჰვარიუ. „ომ!“ — აღმოთქვამს ჰოთარ. „ომ!“ — გალობს უდგათარი, გალობს — მისი დიდებისას და არსისას.

10. ვინცა ეს უწყის, და იგიცა, ვინცა ეს არ უწყის, ორთავენი მეოხე-ბითა მისითა იღწვიან. ხოლო ცოდნა სხვაა, არცოდნა — სხვა. რამეთუ რასაცა ცოდნით, რწმენითა და ფიქრით აღისრულებენ — უძლეველია.

ჭეშმარიტად! აჰა, ახსნა ამა სიტყვისა.

### თავი მეორე

1. ოდეს ღმერთნი და ასურნი, — ორთავენი შობილნი ფრაჯათით, — ბრძოლად აღეძრნენ ერთურთს, ღმერთნი უდგითპას დაეფლნენ. და ღაღადყვეს: „მეოხეებითა მისითა ვსძლევთ ასურთ“.

2. ღმერთებმა თაყვანი სცეს უდგითპას, ვითა საყნოსელს. ხოლო საყნოსელი ასურთა ბოროტით წაბილწეს. ამად იყნოსენ საყნოსელით ერთსაც და მეორესაც: ჰამოსურნელსაც და ავსურნელსაც, — რამეთუ საყნოსელი წაბილწულ იქმნა ბოროტით.

3. ამისა შემდგომად, ღმერთებმა თაყვანი სცეს უდგითპას, ვითა მეტყველებას. ხოლო მეტყველება ასურთა ბოროტით წაბილწეს. ამად უბნობენ პირ-მეტყველნი ერთსაც და მეორესაც: ჭეშმარიტებასაც და სიცრუესაც, — რამეთუ მეტყველება წაბილწულ იქმნა ბოროტით.

4. ამისა შემდგომად, ღმერთებმა თაყვანი სცეს უდგითპას, ვითა სახედველთ. ხოლო სახედველნი ასურთა ბოროტით წაბილწეს. ამად უჭვრეტენ სახედველნი ერთსაც და მეორესაც: სიმშვენიერესაც და სიმახინჯესაც, — რამეთუ სახედველნი წაბილწულ იქმნა ბოროტით.

5. ამისა შემდგომად, ღმერთებმა თაყვანი სცეს უდგითპას, ვითა სასმენელთ. ხოლო სასმენელნი ასურთა ბოროტით წაბილწეს. ამად ისმენენ სასმენელნი ერთსაც და მეორესაც: ღირსს სასმენელთა და უღირსსაც, — რამეთუ სასმენელნი წაბილწულ იქმნა ბოროტით.

6. ამისა შემდგომად, ღმერთებმა თაყვანი სცეს უდგითპას, ვითა გონე-







ლებული ტანში, — მეტყველება. ამად მეტყველებენ თვინიერ ჩამშვინვისა და თვინიერ აღმომშვინვისა.

4. მეტყველება — რიჩ. ამად ლაღადებენ რიჩს თვინიერ ჩამშვინვისა და თვინიერ აღმომშვინვისა. რიჩ — სამანია. ამად გალობენ სამანს თვინიერ ჩამშვინვისა და თვინიერ აღმომშვინვისა. სამანი — უდგეჭყუ ნამდვი გალობინ უდგითჰას თვინიერ ჩამშვინვისა და თვინიერ აღმომშვინვისა.

5. ხოლო ამად იმ საქმეთაც, რანიცა ძალას ითხოვს: ხაზუნით ცეცხლის გაჩაღებას, ჭირითში ასპარეზობას, დაჭიმულ მშვილდთა მოზიდვას, — აღასრულებენ თვინიერ ჩამშვინვისა და თვინიერ აღმომშვინვისა. ამა მიზეზთა გამო უნდა ვსცეთ თაყვანი უდგითჰას, ვითა მშვინვას, განცხოველებულს ტანში.

6. ჭეშმარიტად! თაყვანი უნდა ვსცეთ უდგითჰას მარცვალთა: „უდ“, „გი“, „თჰა“. მშვინვაა: — „უდ“, რამეთუ წყალობითა მშვინვითა კაცნი ცოცხლობენ. მეტყველება — „გი“, რამეთუ მეტყველებას სიტყვებით ლაღადყოფენ. საზრდელია — თჰა“, რამეთუ საზრდელითა მკვიდრობს ყოველი არსი.

7. ცაა — „უდ“, ჰაერისა სივრცენი — „გი“, მიწა — „თჰა“; მზეა — „უდ“, ქარი — „გი“, ცეცხლი — „თჰა“; სამავედაა — „უდ“, იაჭურვედა — „გი“, რიგვედა — „თჰა“. ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა უდგითჰას მარცვალთ: „უდ“, „გი“, „თჰა“, — მეტყველება მისი რძედ გადმოღინდების, რძედ მეტყველებისა, მდიდარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა.

8 აჰა, — ლოცვათა აღვლენათათვის:

თაყვანისცემა მართებს ალაგთა საყუდელთა. შემდგომად ამისა, დაე უდგათარმა უხმოს იმ სამანს, რაითაც სწადია ალავლინოს სადიდებელი.

9. დაე უდგათარმა უხმოს იმ რიჩს, რაიცა ამ სამანს შეიცავს. დაე უხმოს იმ რიჩებს, რომლებთაგანაც ეს ჰიმნი შექმნილა. დაე უხმოს იმ ღვთაებას, რომლისთვისაც სწადია ალავლინოს სადიდებელი.

10. დაე უდგათარმა უხმოს იმ საზომს, რაითაც სწადია ალავლინოს სადიდებელი. დაე უხმოს იმ სახოტბო ჰიმნს, რაითაც სწადია ალავლინოს სადიდებელი თავისად თვისა.

11. დაე უდგათარმა უხმოს ქვეყნიერების იმ მხარეს, საითაც სწადია ალავლინოს სადიდებელი.

12. ბოლოყამ, — თავისა თავში მჭვრეტელმან, დაე გალობითა ალავლინოს სადიდებელი, საწადელზე დაუცხრომელი ფიქრითა. და მეყსეულად აღისრულებს იგი საწადელს, — საწადელს, რაითაც იგალობებს სადიდებელს; საწადელს, რაითაც იგალობებს სადიდებელს.

### თავი მეოთხე

1. ომ! — აჰა, სიტყვა თაყვანსაცემი, ვითა უდგითჰა. უდგითჰას საგალობელს ამ სიტყვით იწყებენ.

აჰა, განმარტება მისი:

2. ჭეშმარიტად! ღმერთნი, სიკვდილის შიშით შეძრწუნებულნი, აღივსნენ სამმაგი ცოდნით და ჰიმნებით გარსმოიზღუდნენ უკეთუ ჰიმნებით გარსმოიზღუდნენ, ჰიმნებს „ჩჰანდასი“ უწოდეს.

3. და ვითარცა თევზს იხილვიან წყალში, ასე იხილა სიკვდილმან ღმერ-



თნი. გარსმოზღუდულნი: რიჩით, სამანითა და იაჭუსით. და ოდეს გულის-  
ხმაყვეს ყოველი, ღმერთნი აღდგენ რიჩით, სამანითა და იაჭუსით, აღდგენ და  
აღივსნენ „ომ“-ით.

4. ჭეშმარიტად! ოდეს აუფლებენ რიჩს, ხშიერად აღავლენენ „ომ“-  
ასეა, — ოდეს აუფლებენ სამანს ასეა, — ოდეს აუფლებენ იაჭუსს ჭეშმარი-  
ტად! იგივეა, რაიცა სიტყვა „ომ“, — და უკვდავია და უშიშროა ოდეს აღივს-  
ნენ ღმერთნი მისითა, უკვდავ და უშიშ იქმნენ.

5. ჭეშმარიტად! ვინცა ეს უწყის და აღავლინა: „ომ!“ — აღივსო ამა  
სიტყვითა, ამ უკვდავ, უშიშ ბგერითა. ოდეს აღივსო, იგივე უკვდავ იქმნა, ვი-  
თარცა უკვდავ არიან — ღმერთნი.

### თავი მეხუთე

1. ხოლო ჭეშმარიტად! უდგითა — ფრანავა, ფრანავა — უდგითაა.  
მზე — უდგითაა, მზე — ფრანავა, უკეთუ იძვრის, მლაღადებელი: — „ომ!“

2. „მე ვუგალობდი ოდენ მას, ამად მივი შენც ერთადერთი“, —  
აუწყა ქაუშითაქიმ ძეს. — „უკეთუ იფიქრებ მზისა სხივთათვის, ჭეშმარი-  
ტად! — შენ მრავალი ძე შეგეძინება“.

აჰა, — ღვთაებთათვის.

3. აჰა, — ხორციელობათათვის:

ვითა მშვინვა პირითა, თავვანსაცემია უდგითა, უკეთუ იძვრის, მლაღ-  
ადებელი: „ომ!“

4. „მე ვუგალობდი ოდენ მას, ამად მივი შენც ერთადერთი, — აუწყა  
ქაუშითაქიმ ძეს. — „უგალობე მშვინვას, ვითა სიმრავლესა, და ჭეშმარი-  
ტად! — შენ მრავალი ძე შეგეძინება“.

5. ხოლო ჭეშმარიტად! უდგითა — ფრანავა. ფრანავა — უდგითაა.  
ხოლო თუ უდგათარიც ცთომილებითა აღავლენს საგალობელს, თვისი ალაგი-  
დან ჰოთარ განმართავს შეცთომილებათ; განმართავს შეცთომილებათ.

### თავი მეექვსე

1. რიჩ — მიწა, სამან — ცეცხლი. სამან სუფევს რიჩზე. ამად იგალო-  
ბება სამან, ვითა მსუფევი რიჩზე. მიწა — „სა“, ცეცხლი — „ამა“; ბოლო-  
ყამ — „სამან“.

2. რიჩ — ჰაერისა სივრცენია, სამან — ქარი. სამან სუფევს რიჩზე. ამად  
იგალობება სამან, ვითა მსუფევი რიჩზე. ჰაერისა სივრცენია — „სა“, ქარი —  
„ამა“, ბოლოყამ — „სამან“.

3. რიჩ — ცა, სამან — მზე. სამან სუფევს რიჩზე. ამად იგალობება სა-  
მან, ვითა მსუფევი რიჩზე. ცა — „სა“, მზე — „ამა“; ბოლოყამ — „სამან“.

4. რიჩ — ვარსკვლავნია, სამან — მთოვარე. სამან სუფევს რიჩზე. ამად  
იგალობება სამან, ვითა მსუფევი რიჩზე. ვარსკვლავნია — „სა“, მთოვარე —  
„ამა“. ბოლოყამ — „სამან“.

5. ამისა შემდგომად, რიჩ — თეთრი სინათლეა მზისა, ხოლო სამან —  
ლურჯი, მრუმე სინათლე მზისა. სამან სუფევს რიჩზე. ამად იგალობება სა-  
მან, ვითა მსუფევი რიჩზე.

6. ამისა შემდგომად. თეთრი სინათლეა მზისა — „სა“, ხოლო ლურჯი,  
მრუმე სინათლე — „ამა“; ბოლოყამ — „სამან“. და ეს ოქროს ფურუშა, რა-



იცა მზეში იხილვის, ოქროს წვერითა და ოქროს თმებით, ფეხის ფრჩხილებამდე ბრწყინავს, ვითარცა ოქრო.

7. სახედველნი მისნი — თითქო ლოტოსია წითელი, სახელნი მისნი — „ამაღლებული“ იგი ამაღლდა ყოველსავე ბოროტზე. ჭეშმარიტად ვინცა ეს უწყის, ამაღლდა ყოველსავე ბოროტზე.

8. რიჩ და სამან — საგალობლებია მისი. ამაღა იგი — უდგითა. უდგათარსაც იმად უწოდეს ასე უკეთუ მგალობელია მისი. იგი, — ფურუშა, — იმ სამყაროთაც მეუფებს, რანიცა მზის სამზღვართაგან არიან და ღმერთთა საწადელთაც.

აჰა, — ღვთაებათათვის.

### თავი მეშვიდე

1. აჰა, — ხორციელობათათვის:

რიჩ მეტყველება, სამან — მშვინვა. სამან სუფევს რიჩზე. ამაღ იგალობება სამან, ვითა მსუფვევი რიჩზე. მეტყველება — „სა“, მშვინვა — „ამა“; ბოლოყამ — „სამან“.

2. რიჩ — სასმენელნია, სამან — გონება. სამან სუფევს რიჩზე. ამაღ იგალობება სამან, ვითა მსუფვევი რიჩზე. სახედველნია — „სა“, ატმანი — „ამა“; ბოლოყამ — „სამან“.

3. რიჩ — სასმენელნია, სამან — გონება. სამან სუფევს რიჩზე. ამაღ იგალობება სამან, ვითა მსუფვევი რიჩზე. სასმენელნია — „სა“, გონება — „ამა“; ბოლოყამ — „სამან“.

4. ამისა შემდგომად, რიჩ — თეთრი სინათლეა სახედველთა, ხოლო სამან — ლურჯი, მრუმე სინათლე სახედველთა. სამან სუფევს რიჩზე. ამაღ იგალობება სამან, ვითა მსუფვევი რიჩზე. ამისა შემდგომად, თეთრი სინათლეა სახედველთა — „სა“, ლურჯი, მრუმე სინათლე — „ამა“. ბოლოყამ — „სამან“.

5. და იგი, — ფურუშა, — რაიცა სახედველნი იხილვის: რიჩია, სამანია, უქთაა, იაჯუსია, ბრაჰმანია და სახება ამ ფურუშასი იგივეა, რაიცა სახება იმ ფურუშასი, მზეში რომ იხილვის; საგალობელნი იმ ფურუშასი — საგალობელნია ამ ფურუშასი; სახელი იმისა — სახელია ამისა.

6. იგი, — ფურუშა, — რაიცა სახედველნი იხილვის, ამ სამყაროთაც მეუფებს, ქვე რომ განფენილან და კაცთა საწადელთაც. ამაღა, ოდეს გალობენ და უკრავენ ქნარზე, მას უგალობენ. ამაღ მიეგებათ მათ საუნჯე ულევო.

7. და იგი, ვინცა ეს უწყის და უგალობს სამანს, — უგალობს ორთავ ფურუშას. წყალობითა იმ ფურუშასი იგი ეუფლება იმ სამყაროთაც, რანიცა მზის სამზღვართაგან არიან და ღმერთთა საწადელთაც.

8. ხოლო წყალობითა ამ ფურუშასი იგი ეუფლება ამ სამყაროთაც, ქვე რომ განფენილან, და კაცთა საწადელთაც. დაე ამაღ უდგათარმა, ვინცა ეს უწყის, ჰკადროს შემწირველს:

9. „რა საწადელნი აღგისრულო გალობითა?“ უკეთუ ოდენ იმას ძალუის გალობითა საწადელთა აღსრულება, ვინცა ეს უწყის და გალობს სამანს, გალობს სამანს.



თავი მერვე

1. იყვნენ სამნი, მეცანნი უდგითასი: შილაქა, ძე შალავათისა, ძე ჩიქითანისა, დალბჰიების გვარისა და ფრავაჰანა, ძე ჯაივალისა. ჰრქვეს ერთმანეთს: „ჰეშმარიტად! ჩვენ შეგვიცნია უდგითა. მოდიტ, ბჭობა ექმნათ უდგითაზე“.

2. „და იქმნას!“ — დასტურყვეს და ჩამოსხდნენ. და ბრძანა ფრავაჰანა, ძემ ჯაივალისამ: „ჯერ თქვენ იუბნეთ, ღირსეულნო. მე მწადს შევისმინო სიტყვები მოუბარ ბრძმანთა“.

3. მაშინ შილაქამ, ძემ შალავათისამ, ჰკადრა ჩიქითანის ძეს, დალბჰიების გვარისას: „მომეც დასტური, მე გკითხო შენ“. — „მკითხე“, — სთქვა ჩიქითანის ძემ.

4. „რაა დასაბამი სამანისა?“ — „ბგერა“, მოუთხრა მან. „რაა დასაბამი ბგერისა?“ — „მშვინვა“, — მიუთხრა მან. „რაა დასაბამი მშვინვისა?“ — „საზრდელი“, — მიუთხრა მან. „რაა დასაბამი საზრდელისა?“ — „წყალი“, — მიუთხრა მან.

5. „რაა დასაბამი წყალისა?“ — „საუფლო იგი ზეციერი“, — მიუთხრა მან. „რაა დასაბამი იმა საუფლოსი?“ — „არ ეგების გარემიქცევა სამანისა ზეციერ საუფლოთა მიღმა, — მიუთხრა მან, — ზეციერ საუფლოში აღვამალლებთ სამანს, უკეთუ სამანი განდიდება ზეცის“.

6. შილაქამ, ძემ შალავათისამ, ჰკადრა ჩიქითანის ძეს, დალბჰიათა შთამომავალს: „ჰეშმარიტად! შენსა სამანს, დალბჰიების შთამომავალთ, არ უჩნს საყრდენი. და უკეთუ ვისმე ებრძანოს: „შენ წაწყმდები!“ — შენ ჰეშმარიტად წაწყმდები“.

7. „ო, მე შენგან მწადს ამის შეცნობა, ღირსეულო!“ — ჰკადრა ჩიქითანის ძემ. „შეიცან!“ — სთქვა შალავათის ძემ. „რაა დასაბამი იმა საუფლოსი?“ — „საუფლო ესე მიწიერი“, — მიუთხრა მან. „რაა დასაბამი ამა საუფლოსი?“ — „არ ეგების გარემიქცევა სამანისა, მიწიერ საუფლოთა მიღმა, — მიუთხრა მან, — მიწიერ საუფლოში აღვამალლებთ სამანს, ვითა საყრდენს უკეთუ სამანი განდიდება მიწიერი საყრდენისა“.

8. ფრავაჰანამ, ძემ ჯაივალისამ, ჰკადრა მას: „ჰეშმარიტად! სამანს შენსას სასრული აქვს, შალავათის ძევ და უკეთუ ვისმე ებრძანოს: „შენ წაწყმდები!“ — შენ ჰეშმარიტად წაწყმდები“ — „ო, მე შენგან მწადს ამის შეცნობა, ღირსეულო!“ — ჰკადრა შალავათის ძემ. „შეიცან“ — სთქვა ჯაივალის ძემ.

თავი მცხრე

1. „რაა დასაბამი ამა საუფლოსი?“ — „სივრცე! — მიუთხრა ჯაივალის ძემ, — ჰეშმარიტად! ყოველი არსი სივრციდან იშვის, სივრცედვე მიიქცევის ყოველი, რამეთუ სივრცე აღმატების ყოველს. სივრცე — ბოლო ნავსაყუდელია.“

2. აჰა, უდგითა, — უმჯობესი ყოვლისა იგი უსამზღვროა. ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა უმჯობეს უდგითას, მას მიეგება ყოველივე უმჯობესი და ეუფლება უმჯობეს საუფლოებს.

3. ოდეს ამა უდგითას აუფლებდა უდჰარს, შანდილის შთამომავალს, ათიდჰანვანმა, შუნაქის შთამომავალმა, ჰკადრა მას: „ვიდრემდე შთამომავალთა შენთა უწყიან უდგითა ესე, მანამ იქმნების ამა სოფლად უმჯობესი მათი ცხოვრება.“



4. და ამგვარ ალავს დაიმკვიდრენ იმა სოფლადაც. ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ამა უდგითქას, ცხოვრება მისი უმჯობესი იქმნება. — ამა სოფლად, და ამგვარ ალავს დაიმკვიდრებს იმა სოფლადაც; ამგვარ ალავს დაიმკვიდრებს იმა სოფლადაც“.

თავი მეათე

ეროვნული  
გზამკვლევი

1. ქურუს დასეტყვილი მიწის მკვიდრთა შორის, ერთი მდიდარი კაცის სოფლად, — სახლობდა უპოვარი ვინმე უშასთი ჩაქრაიანა, ცოლთან — ათიქთან ერთად.

2. სთხოვა მან საზრდელი მდიდარს, რომელიც ცერცვს შეეჭყოლა. მდიდარმა მიუგო: „მე აქ სხვა ცერცვს ვერ ვხედავ თვინიერ იმისა, რაიცა წინ მიძევს“.

3. „განმიკითხე მცირედით“ — შესთხოვა ლატაკმა. მდიდარმა განიკითხა და სთქვა: „აჰა, შენ წყალიცა“. — „ქეშმარიტად! მე დავლევდი დანაშთომს“, — ჰკადრა ლატაკმა.

4. „ვითა! ეს ცერცვიც ხომ დანაშთომია?“ — „ქეშმარიტად! მე ვერ შევიძლებდი სიცოცხლეს, ეგ რომ არ მიმეღო, — სთქვა ლატაკმა, — დარწყულება კი ჩემს სურვილზეა დამოკიდებული“.

5. და ოდეს შეეჭვა, დანაშთომი ცოლს წაუღო. ცოლი უკვე კმა იყო საზრდელითა და მორთმეული ცერცვი გადაინახა.

6. მეორე დღით, რომ აღგა, ლატაკმა სთქვა: „ვაგლახ! მე რომ საზრდელის შოვნა შემეძლოს, მცირეოდენ ფულსაც ვიშოვიდი. აი, მეფე მსხვერპლშეწირვას აპირებს, — მე აღმირჩევდა ყველა საქურუმო მსახურებათა აღმსრულებლად“.

7. ჰკადრა ცოლმა: „აჰა, ეს ცერცვი, ბატონო!“ და ოდეს შეეჭვა, იქით გაეშურა, სად მსხვერპლშეწირვა უნდა აღმსრულებულიყო.

8. ჩაქრაიანა უდგათართა გვერდით ჩამოჯდა, განკუთვნილს ალავს, სადაც უდგათართ საგალობელი უნდა აღევლინათ. და ჰკადრა ფრასთოთარს:

9. „ფრასთოთარ! უკეთუ შენ იგალობებ ფრასთავს და არ უწყი ღვთაება, თანამყოფი ფრასთავთან, — შენ წაწყმდები“.

10. იგივე ჰკადრა უდგათარსაც: „უდგათარ! უკეთუ შენ იგალობებ უდგითქას და არ უწყი ღვთაება, თანამყოფი უდგითქასთან, — შენ წაწყმდები“.

11. იგივე ჰკადრა ფრათიპართარსაც: „ფრათიპართარ! უკეთუ შენ იგალობებ ფრათიპარს და არ უწყი ღვთაება, თანამყოფი ფრათიპართან — შენ წაწყმდები“. ხოლო უდგათართ დააგდეს საქმე თვისი და ჩამოსხდნენ, და ღუმელს მიეცნენ.

თავი მეთერთმეტი

1. ხოლო მაშინ შემწირველმან ჰრქვა მას: „ღირსეულო. ქეშმარიტად! — მე მსურს შევიტყო, ვინა ხარ შენ“. — „მე უშასთი ჩაქრაიანა ვარ“, — ჰკადრა მან.

2. ხოლო შემწირველმან ჰრქვა: „ქეშმარიტად! გეძიებდი მე შენ, ღირსეულო, ყველა საქურუმო მსახურებათა აღმსრულებლად. და ოდეს ვერა ვპოვე ღირსეული, სხვებს ვუხმე“.

3. აღასრულე, ღირსეულო, ყველა საქურუმო მსახურებანი“. — „იყავნ“



ნება შენი, — ჰკადრა ღატაკმა. — ხოლო ამავე ქურუმთა ჩემი თანხმობით იგალობონ ჰიმნნი, და რა საბოძვარსაც მათთვის გაიღებ, ჩემთვისაც ეს გაიღე“. — „იქმნების!“ — ბრძანა შემწირველმან.

4. მაშინ ფრასთოთარი კრძალვით მიეახლა ღატაკს და ჰკადრა: „ღირსეულმან მე მამცნო: „ფრასთოთარი! უკეთუ შენ იგალობებ ფრასთოთარს და არ უწყი ღვთაება, ფრასთათან თანამყოფი, — შენ წაწყმდები“. მამცნე, რაა იგი ღვთაება?“

5. „მშვინვა, — მიუთხრა მან. — რამეთუ, ჭეშმარიტად! — ყოველი არსი მშვინვითა შეერთვის სიცოცხლეს და მშვინვითვე სტოვებს სიცოცხლეს. იგი — ღვთაებაა, თანამყოფი, ფრასთათან. ხოლო შენ წაწყმდები, უკეთუ, არ შეიცნობ მშვინვას, ვითა ღვთაებას, და იგალობებ ფრასთავს მას მერე, რაიცა მე გამცნე შენ“.

6. მაშინ უდგათარი კრძალვით მიეახლა ღატაკს და ჰკადრა: „ღირსეულმან მე მამცნო: „უდგათარი! უკეთუ შენ იგალობებ უდგითჰას და არ უწყი ღვთაება, უდგითჰასთან თანამყოფი, — შენ წაწყმდები“. მამცნე, რაა იგი ღვთაება?“

7. „მზე, — მიუთხრა მან. — რამეთუ, ჭეშმარიტად! — ყოველი არსი უგალობს აღმობრწყინებულ მზეს. იგი — ღვთაებაა, თანამყოფი უდგითჰასთან. ხოლო შენ წაწყმდები, უკეთუ, არ შეიცნობ მზეს, ვითა ღვთაებას, და იგალობებ უდგითჰას მას მერე, რაიცა მე გამცნე შენ“.

8. მაშინ ფრათიჰართარი კრძალვით მიეახლა ღატაკს და ჰკადრა: „ღირსეულმან მე მამცნო: „ფრათიჰართარი! უკეთუ შენ იგალობებ ფრათიჰარს და არ უწყი ღვთაება, ფრათიჰართან თანამყოფი, — შენ წაწყმდები“. მამცნე, რაა იგი ღვთაება?“

9. „საზრდელი, — მიუთხრა მან. — რამეთუ, ჭეშმარიტად! — ყოველი არსი საზრდელითა სულდგმულობს. იგი — ღვთაებაა, თანამყოფი ფრათიჰართან. ხოლო შენ წაწყმდები, უკეთუ, არ შეიცნობ საზრდელს, ვითა ღვთაებას, და იგალობებ ფრათიჰარს მას მერე, რაიცა მე გამცნე შენ; მას მერე, რაიცა მე გამცნე შენ“.

### თავი მეთორმეტი

1. აჰა, ამისა შემდგომად — უდგითჰა ძალღთა. როგორღაც ბაჰა დაღბჰიამ, ანუ სხვაგვარად — გლავა მაითრეიამ, დაუტევა ალაგი თვისი, რათა ვედებს დაუფლებოდა.

2. მიმავალს, თეთრი ძალღი გამოეცხადა. სხვა ძალღთაც, მის ირგვლივ შემოჰკრბართაც, სთქვეს: „უფალო, მოგვიბოძე გალობითა საზრდელი. ჭეშმარიტად! — ჩვენ გვშია“.

3. მან უთხრა მათ: „შემოკრბენით ჩემს ირგვლივ ხვალ დილით“ და რა განეშორნეს, ბაჰა დაღბჰიამ, ანუ სხვაგვარად — გლავა მაითრეიამ, უთვალთვალა მათ.

4. ხოლო ვითა ქურუმნი ელიან, სამოსელხელჩავლებულნი, რათა სახოტბო ჰიმნი — ბაჰიშფავამანა იგალობონ, ძალღნიც ასერიგად ვიდოდნენ, და ოდეს ჩამოლაგდნენ, აღმოიძახეს: „ჰიმ!“ და იწყეს გალობა:

5. „ომ! — გვიბოძე საზრდელის ომ! — გვიბოძე წყალის! დაე ღმერთმა ვარუნამ, ფრაჯათიმ, სავითარმა წარმოგვიგზავნოს აჰა საზრდელი. ო, მეუ-



ფეო საზრდელისა! წარმოგვიგზავნე აქა საზრდელი, წარმოგვიგზავნე იგი-  
ომ!

### თავი მეცამეტი



1. ჭეშმარიტად! ეს სამყარო — ბგერაა „ჰაუ“, ქარბუჩი — ბგერაა „ჰაი“, მთოვარე — ბგერაა „ათჰა“, ატმანი ბგერაა „იჰა“, ცეცხლი — ბგერაა „ი“.
2. მზე ბგერაა „უ“, ღალადისი — ბგერაა „ე“, ვიშვედეენი — ბგერაა „აუ-ჰოი“, ფრაჯათათი — ბგერაა ჰიმ, მშვინვა — სვარა, საზრდელია — „ია“, ვაჩ — ვირაჯია.
3. აუხსნელია მეცამეტე სთობჰა — ცვალეზადი ბგერა „ჰუმ“.
4. მისი მეტყველება რძედ გადმოდინდების, რძედ მეტყველებისა, მდი-  
დარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა, ვინცა ასეთნაირად უწყის  
უფანიშადა სამანთა, უწყის მათი უფანიშადა.

### ნაწილი მეორე

#### თავი პირველი

1. ომ! — ჭეშმარიტად! თაყვანისცემა ყოვლისა სამანისა — სიკეთეა.  
ჭეშმარიტად! სამან — სიკეთეა, უარყოფა სამანისა — უკეთურებაა.
2. ხოლო ამადაც, რაჟამცა სთქვან: „იგი მიეახლა მას სამანითა“, — მითვე  
სთქვან: „იგი მიეახლა მას სიკეთითა“. რაჟამცა სთქვან: „იგი მიეახლა მას  
უარყოფითა სამანისა“, — მითვე სთქვან: „იგი მიეახლა მას უკეთურებითა“.
3. რაჟამცა ასეც სთქვან: „ო, ეს სამან ჩვენთვისაა!“, ჟამსა სიკეთისას, —  
მითვე სთქვან: „ო, ეს სიკეთეა!“ რაჟამცა სთქვან: „ო, უარყოფა სამანისა  
ჩვენთვისაა!“, ჟამსა უკეთურებისას, — მითვე სთქვან: „ო, ეს უკეთურებაა!“
4. ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა სამანს, ვითა სიკეთეს, მას მეყსეუ-  
ლად მიეახლა და შეიმოსა ყოველივე კეთილით.

#### თავი მეორე

1. აჰა, თაყვანისცემა სამყაროთა, ვითა სამანისა ხუთკერძოხსა. მიწა —  
ბგერაა „ჰიმ“, ცეცხლი — ფრასთავაა, სივრცენი ჰაერისა — უდგიოჰაა, მზე —  
ფრათიჰარაა, ცა — ნიდჰანაა.  
აჰა, — აღმავალ წესრიგთათვის.
2. აჰ, — დაღმავალ წესრიგთათვის:  
ცა — ბგერაა „ჰიმ“, მზე — ფრასთავაა, სივრცენი ჰაერისა — უდგიო-  
ჰაა, ცეცხლი — ფრათიჰარაა, მიწა — ნიდჰანაა.
3. იგია მფლობელი სამყაროთა ვითა აღმავალ წესრიგთა, ისე დაღმავალ  
წესრიგთა, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა სამყაროთა, ვითა სამანს ხუთ-  
კერძოხსა.

#### თავი მესამე

1. აჰა, თაყვანისცემა წვიმისა, ვითა სამანისა ხუთკერძოხსა. საელვაჭეჭო  
ქარი — ბგერაა „ჰიმ“, ღრუბელთმოფენა — ფრასთავაა, გაწვიმება — უდ-



გიოტაა, ელვათა კამკამება, მეხთა ტეხა — ფრათიჰარაა.

2. გამოღარება — ნიდჰანაა. მისთვის წვიმს, იგი გამოიხმობს წვიმს, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა წვიმას, ვითა სამანს ხუთკერძოსა.

### თავი მეოთხე

ერქუნულნი  
ზიზღილნი

1. აჰა, თაყვანისცემა წყლებისა, ვითა სამანისა ხუთკერძოსა, ოდეს ღრუბელთმოფენაა — იგი ბგერაა „ჰიმ“, ოდეს წვიმს — იგი ფრასთაგაა; წყალნი, რანიც აღმოსავლეთით მიედინებიან, — უდგიოტაა; წყალნი, რანიც დასავლეთით მიედინებიან, — ფრათიჰარაა, ოკეანე — ნიდჰანაა.

2. წყლებში არ კვდება და მდიდარია წყლებით იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ყოველსა წყლებსა, ვითა სამანს ხუთკერძოსა.

### თავი მესამე

1. აჰა, თაყვანისცემა ძალთა სასიცოცხლოთა, ვითა სამანისა ხუთკერძოსა გაზაფხული — ბგერაა „ჰიმ“, ზაფხული — ფრასთაგაა, წვიმებისა ჟამი — უდგიოტაა, შემოდგომა — ფრათიჰარაა, ზამთარი — ნიდჰანაა.

2. იგია მფლობელი წელიწადის დროთა, მდიდარია ყოველსა დროსა წელიწადისას, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა წელიწადის დროთა ვითა სამანს ხუთკერძოსა.

### თავი მეექვსე

1. აჰა, თაყვანისცემა ზვასტაგისა, ვითა სამანისა ხუთკერძოსა. არვე — ბგერაა „ჰიმ“, ფარა — ფრასთაგაა, ნაზირი — უდგიოტაა, რემა — ფრათიჰარაა, კაცნი — ნიდჰანაა.

2. იმას დაუდის ზვასტაგი, იგია მფლობელი ზვასტაგისა, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ცხოველთ, ვითა სამანს ხუთკერძოსა.

### თავი მეშვიდე

1. აჰა, თაყვანისცემა ძალთა სასიცოცხლოთა, ვითა სამანისა ხუთკერძოსა ზეუმალღესისა. საყნოსელი — ბგერაა „ჰიმ“, მეტყველება — ფრასთაგაა, სახედველნი — უდგიოტაა, სასმენელნი — ფრათიჰარაა, გონება — ნიდჰანაა. ჭეშმარიტად! ზეუმალღესნია ძალნი ესე.

2. იგი სწვდება ზეუმალღესს, იგი ეუფლება ზეუმალღესს სამყაროთა, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ძალთა სასიცოცხლოთა, ვითა სამანს ხუთკერძოსა ზეუმალღესს.

აჰა, — სამანისათვის ხუთკერძოსა.

### თავი მერვე

1. აწ, სამანისათვის შვიდკერძოსა.

აჰა, თაყვანისცემა მეტყველებისა, ვითა სამანისა შვიდკერძოსა. ყოველივე, რაიც მეტყველებაში სახელდევს „ჰუმ“, ბგერაა — „ჰიმ“. ყოველივე, რაცაა „ფრა“, — ფრასთაგაა, ყოველივე, რაცაა „ა“, — „ადია“.

2. ყოველივე, რაცაა „უდ“, — უდგიოტაა. ყოველივე, რაცაა „ფრათი“, ფრათიჰარაა. ყოველივე, რაცაა „უფა“, — უფადრაგაა. ყოველივე, რაცაა „ნი“ — ნიდჰანაა.



3. მისი მეტყველება რძედ გადმოდიანდების, რძედ მეტყველებისა, მდი-  
დარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა, ვინცა ეს უწყობს და თაყვანი  
სცა მეტყველებას, ვითა სამანს შვიდკერძოსა.

### თავი მეცხრე

ერქმენული  
გინგულიმთქვა

1. ამისა შემდგომად, აჰა, თაყვანისცემა მზისა, ვითა სამანისა შვიდკერ-  
ძოსა. მზე მარად ფერუცვლელია, და ამაღა იგი — სამან. „დამნათის მე“, —  
უბნობენ, რამეთუ მზე — სწორად მოეფინების ყოველთა.  
ამაღა იგი — სამან.

2. უნდა ვუწყოდეთ, რომ მზითა სულდგმულობს ყოველი არსი. აღმოსე-  
ლისა ჟამადმდე მზე — ბგერაა „ჰიმ“. მზითა სულდგმულობს ცხოველნი.  
ამად აღმოთქვამენ — „ჰიმ“, რამეთუ ზიარ არიან ამა სამანის ბგერა „ჰიმ“ —  
ისა.

3. ამისა შემდგომად, აღმოსვლისა ჟამს მზე — ფრასთავაა. მზითა სულ-  
დგმულობს კაცნი. ამად უყვართ ხობტა, უყვართ განდიდება, რამეთუ ზიარ  
არიან ამა სამანის ფრასთავასი.

4. ამისა შემდგომად, ნახირის გადადენისა ჟამს მზე — „ადია“. მზითა  
სულდგმულობს ფრინველნი. ამად დაჰფრენენ ჰაერისა სივრცეში, უქონელნი  
საყრდენისა და თვისისა თავმპყრობელნი, რამეთუ ზიარ არიან ამა სამანის  
„ადი“-სა.

5. ამისა შემდგომად, სამხრობისა ჟამს მზე — უდგიტაა. მზითა სულდ-  
გმულობს ღმერთნი. ამად არიან ღმერთნი, ფრაჯათათით შობილთაგან, უმჯო-  
ბეს ყოველთა, რამეთუ ზიარ არიან ამა სამანის უდგიტასი.

6. ამისა შემდგომად, ნასამხრევისა ჟამს მზე — ფრათიჰარაა. მზითა  
სულდგმულობს ჩანასახნი. ამად მკვიდრობენ საშოში და არ ირღვევიან, რამე-  
თუ ზიარ არიან ამა სამანის ფრათიჰარასი.

7. ამისა შემდგომად, ჩასვენებისა ჟამს მზე — უფადრავაა. მზითა სულ-  
დგმულობს ყოველნი მხეცნი. ამად აფარებენ თავს, კაცთაგან დამფრთხალნი,  
მიუვალ ალაგებსა და გამოქვაბულებს, რამეთუ ზიარ არიან ამა სამანის უფად-  
რავასი.

8. ამისა შემდგომად, მიმწუხრისა ჟამს მზე — ნიდჰანაა. მზითა სულდ-  
გმულობს წინაპარნი. ამად ჰკრძალავენ მათ, რამეთუ ზიარ არიან ამა სამანის  
ნიდჰანასი. ჰეშმარიტად! აჰა, თაყვანისცემა მზისა, ვითა სამანისა შვიდკერ-  
ძოსი.

### თავი მათე

1. ხოლო ამისა შემდგომად თაყვანი უნდა ვსცეთ სამანს შვიდკერძოსა, —  
თავისა განმზომელსა და გარდამწიველს სიკვდილის სამზღვართაგან. „ჰიმ —  
ჰარა“ — სამი მარცვალია, ფრასთავა — სამი მარცვალია. ხოლო ისინი თა-  
ნაბარ არიან.

2. „ადი“ — ორი მარცვალია, ფრათიჰარა — ოთხი მარცვალია. გადა-  
ვანაცვლოთ აქედან იქით ერთი მარცვალი. ხოლო ისინი თანაბარ არიან.

3. უდგიტა — სამი მარცვალია, უფადრავა — ოთხი მარცვალია. სამი  
და სამი — თანაბარ არიან, ერთი მარცვალი — ჰარბია. სამ-სამი მარცვალი —  
თანაბარ არიან.



4. ნიღპანა — სამი მარცვლია. იგიც თანაბარია სხვა ნაწილთა. ხოლო, ჭეშმარიტად ეს მარცვლი — ოცდაორია.

5. მზეს ოცდაორი მარცვლით ეუფლებიან. ჭეშმარიტად! მზე — ოცდაორი მარცვლითაა. ოცდაორი მარცვლით იმას ეუფლებიან, რაიცა მზეს სამზვარათი განაა. იგი — ცანია, იგი — მწუხარებათაგან ხსნაა.

6. მზესა იგი სძლევს, მზისა ძლევაზე უმაღლეს ძლევას იგი ფლობს, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა სამანს, — თავისა განმზომელსა და გარდამღწეველს სიკვდილის სამზვარათაგან, თაყვანი სცა სამანს.

### თავი მეთერთმეტი

1. გონება — ბგერაა „ჰიმ“, მეტყველება — ფრასთავაა, სახედველი — უდგითჰაა, სასმენელი — ფრათიჰარაა, მშვინვა — ნიღპანაა. ხოლო ყოველი — გაითრაა, მოქსოვილი სასიცოცხლო ძალთაგან.

2. ვინცა უწყის, რომ გაითრა მოქსოვილია სასიცოცხლო ძალთაგან, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო იქმნეს იგი სრულ გონიერებითა, — ასეთია მცნება.

### თავი მეთორმეტი

1. ხახუნი — ბგერაა „ჰიმ“, აღკმევა — ფრასთავაა, აალება ცეცხლისა — უდგითჰაა, დანაკვერჩხლება — ფრათიჰარაა, მინავლება ცეცხლისა — ნიღპანაა, დაშრეტა ცეცხლისა — ნიღპანაა. ხოლო ყოველი — რათჰანთარაა, მოქსოვილი ცეცხლითა.

2. ვინცა უწყის, რომ რათჰანთარა მოქსოვილია ცეცხლითა: — ბრწყინავს საღმრთო სიბრძნითა, მიმღებია საზრდელისა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნურცა დაარწყულოს თავი და ნურცა დააფურთხოს წინარე ცეცხლისა, — ასეთია მცნება.

### თავი მეცამეტი

1. იგი უბმობს მას — ბგერაა „ჰიმ“, იგი სთხოვს — ფრასთავაა, იგი წვება ქალთან — უდგითჰაა, იგი წვება ქალზე — ფრათიჰარაა, იგი აღწევს მიზანს — ნიღპანაა, იგი აღწევს ზღვარს — ნიღპანაა. ხოლო ყოველი — ვამადევიანა, მოქსოვილი თანაყოფითა.

2. ვინცა უწყის, რომ ვამადევიანა მოქსოვილია თანაყოფითა: — იგი იქმს თანაყოფას, ღორძინობს ყოველ თანაყოფისას, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო არღარა განერიდოს იგი ქალთაგანს, — ასეთია მცნება.

### თავი მეთოთხმეტი

1. აღმომავალი მზე — ბგერაა „ჰიმ“, აღმოსვლისა ჟამს მზე — ფრასთავაა, სამზრობისა ჟამს მზე — უდგითჰაა, ნასამზრვევისა ჟამს მზე — ფრათიჰარაა, ჩასვენებისა ჟამს მზე — ნიღპანაა. ხოლო ყოველი — ბრიჰადაა, მოქსოვილი მზითა.

2. ვინცა უწყის, რომ ბრიჰადა მოქსოვილია მზითა: — იგი ბრწყინავს,



მიმღებია საზრდელისა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით. დიდებამოსილია იგი. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი მანათობელს მზესა. — ასეთია მცნება.



თავი მეთექვსმეტი

ერქუნული  
გინჯლიწყმეხა

1. ცისა მოღრუბლვა — ბგერაა „ჰიმ“, ცისა მოქუფრვა — ფრასთავაა, გაწვიმება — უდგითჰაა, ელვათა კამკამება, მეხთა ტეხა — ფრათიჰარაა, გამოდარება — ნიდჰანაა. ხოლო ყოველი — ვაირუფაა, მოქსოვილი წვიმითა.

2. ვინცა უწყის, რომ ვაირუფა მოქსოვილია წვიმითა: — იგი იმრავლებს ნაირფერსა და დიდებულს ხვასტაგს, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და კასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი წვიმას, — ასეთია მცნება.

თავი მეთექვსმეტი

1. გაზაფხული — ბგერაა „ჰიმ“, ზაფხული — ფრასთავაა, წვიმებისა ჟამი — უდგითჰაა, შემოდგომა — ფრათიჰარაა, ზამთარი — ნიდჰანაა. ხოლო ყოველი — ვაირაჯაა, მოქსოვილი წელიწადის დროთაგან.

2. ვინცა უწყის, რომ ვაირაჯა მოქსოვილია წელიწადის დროთაგან: — იგი ბრწყინავს შთამომავლობითა, ხვასტაგითა და საღმრთო სიბრძნის ნათელიერებითა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი წელიწადის დროთა, — ასეთია მცნება.

თავი მეჩვიდმეტი

1. მიწა — ბგერაა „ჰიმ“, ჰაერისა სივრცენი — ფრასთავაა, ცა — უდგითჰაა, ქვეყნიერების კიდენი — ფრათიჰარაა, ოკეანე — ნიდჰანაა. ხოლო ყოველი — შაქვარია, მოქსოვილი სამყაროთაგან.

2. ვინცა უწყის, რომ შაქვარის ლექსნი მოქსოვილია სამყაროთაგან: — იგი მფლობელია სამყაროთა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი სამყაროთა, — ასეთია მცნება.

თავი მეთვრამეტი

1. არვე — ბგერაა „ჰიმ“, ფარა — ფრასთავაა, ნახირი — უდგითჰაა, რემა — ფრათიჰარაა, კაცნი — ნიდჰანაა. ხოლო ყოველი — რევათია, მოქსოვილი ხვასტაგითა.

2. ვინცა უწყის, რომ რევათის ლექსნი მოქსოვილია ხვასტაგითა: — იგი მფლობელია ხვასტაგისა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი ხვასტაგს, — ასეთია მცნება.

თავი მეცხრამეტი

1. თმა — ბგერაა „ჰიმ“, კანი — ფრასთავაა, ხორცი — უდგითჰაა, ძვალი — ფრათიჰარაა, ტვინი — ნიდჰანაა. ხოლო ყოველი — იაჯნიაიჯნიაა, მოქსოვილი ხორციელ ასოთაგან.



2. ვინცა უწყის, რომ იაჭნიაიჭნია მოქსოვილია ხორციელ ასოთაგან: — იგი შემკულია ძლიერი ასონით, არაა დაკლებულ ასოთაგან, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნუ შჯამს იგი ტვინსა წელსა და ფეხსა, — ასეთია მცნება. ჭეშმარიტად! ხოლო ნუ შჯამს იგი ტვინსა.

### თავი მეოცე

1. ცეცხლი — ბგერაა „ჰიმ“, ქარი — ფრასთავაა, მზე — უდგითჰაა, ვარსკვლავნი — ფრათიჰარაა, მთოვარე — ნიდჰანაა. ხოლო ყოველი — რაჯანაა, მოქსოვილი ღვთაებათაგან.

2. ვინცა უწყის, რომ რაჯანა მოქსოვილია ღვთაებათაგან: — იგი ეუფლება ღვთაებათა საუფლოებს, თანასწორია ძლევაშოსილებითა და ზიარ არს ღვთაებათა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მდიდარია შთამომავლობითა და ხვასტაგით, დიდებამოსილიცაა იგი. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი ბრაჰმანთ, — ასეთია მცნება.

### თავი ოცდამეერთე

1. სამმაგი ცოდნა — ბგერაა „ჰიმ“, სამი სამყარო — ფრასთავაა: ცეცხლი, ქარი, მზე — უდგითჰაა; ვარსკვლავნი, ფრინველნი, სხივნი — ფრათიჰარაა; გველნი, განდჰარვნი, წინაპარნი — ნიდჰანაა, ხოლო ყოველი — სამანია, მოქსოვილი ყოველითა.

2. ვინცა უწყის, რომ სამან მოქსოვილია ყოველითა, იგიცა გაყოველდება.

3. აჰა, ლექსიცა:

„არა არს უუმაღლეს

იმა სამეებათა, რანიცა ხუთნია.

4. ვინცა ეს უწყის, მან ყოველივე უწყის, —

ქვეყნიერების ყოველი კიდე

შესძღვნის მას ძღვენსა“.

დაე მან იფიქროს: „მე ვარ ყოველი“, — ასეთია მცნება, ასეთია მცნება.

### თავი ოცდამეორე

1. სამანის საგალობელთაგან ჯოგისთვის მე აღვირჩევ „ზახილიანს“, — ეს აგნის უდგითჰაა: „აღრეული“ — ფრაჯაფათისაა, „დაწმენდული“ — სომასია, „ლბილი და ჰამო“ — ვაიუსია, „ჰამო და მძლავრი“ — ინდრასია, „ყანჩასებრი“ — ბრიჰასფათისაა, „ავხმიერი“ — ვარუნასია. დაე, მან იგალობოს ყოველი საგალობელი, განერიდოს ოდენ ერთსა — ვარუნას საგალობელს.

2. დაე, აღავლენდეს საგალობელს, მოფიქრალი ამისა: „ხოლო გალობითა ვანიჭებდე ღმერთებს უკვდავებას, გალობითა მივაგებდე შესაწირავს წინაპართა, იმედს — კაცთა, ბალახს და წყალს — ჯოგსა, ზეციურს მშვიდობას — შემწირველსა, საზრდელსა — ჩემსავ თავს“. მოფიქრალი ყოველივე ამისა, დაე, დაუცხრომელი გალობითა აღავლენდეს სადიდებელს.

3. ხმოვანი ბგერანი — გარდასხეულებაა ინდრასი, მსტვინავი ბგერანი — გარდასხეულებაა ფრაჯაფათისა, თანხმოვანი ბგერანი — გარდასხეუ-



ლებათ სიკვდილისა. ხოლო თუ მავანმა დაჰგმოს იგი ხმოვანთათვის, დაე, მან მიუგოს მას: „მე მივენდე ინდრას მფარველობას, — იგი მოგწოდებს შენ“.

4. ხოლო თუ მავანმა დაჰგმოს იგი მსტვინავთათვის, დაე, მან მიუგოს მას: „მე მივენდე ფრაჯათის მფარველობას, — იგი გაგსრესს შენ“.

5. ხმოვანი წართქმულ უნდა იქმნას ხმიერად და მძლავრად, ფიქრითა: „დაე მივანიჭო მე ძალა ინდრას“. მსტვინავნი წართქმულ უნდა იქმნას ბგერათა ჩაუყლაპავად და ჩაუგდებლად, ცხადიერი ფიქრითა: „დაე, მივენდო მე ფრაჯათის“. თანხმოვანი წართქმულ უნდა იქმნას ნელა, ერთმანეთთან აღურევლად, ფიქრითა: „დაე, მოვიზღუდო მე თავი სიკვდილისგან“.

### თავი ოცდამესამე

1. აჰა, სამი შტო მოვალეობისა: მსხვერპლშეწირვა, დაუფლება ვედებისა, მოწყალება — აი, პირველი, მოღვაწეობა — მეორეა. დამოწაფება, მოძღვართანა წრთვანა, დაუცხრომელი მოკვდინება ხორცისა მოძღვართანა — მესამეა. ყოველივე ამათ სათნოებათა სამყაროებში გადაყავართ. იგი, ვინცა მკვიდრად დაფუძნებულა ბრაჰმანში, უკვდავებას ეუფლება.

2. ფრაჯათიმ გაატფო სამყარონი, და მათგან, გამტფართაგან, აღმოცენდა სამმაგი ცოდნა. ფრაჯათიმ გაატფო სამმაგი ცოდა, და მისგან, გამტფარისგან, აღმოცენდნენ მარცვალნი: „ბჰუჰ“, „ბჰუვას“, „სვარა“.

3. ფრაჯათიმ გაატფო მარცვალნი, და მათგან, გამტბართაგან, აღმოცენდა ბგერა — ომ. ხოლო ვითა ყოველი ფოთოლი შეკავშირებულია ყუნწით, ეგრეცა ყოველი მეტყველება შეკავშირებულია ბგერითა — ომ. ბგერა ომ — ყოველივეა, ბგერა ომ — ყოველივეა.

### თავი ოცდამეოთხე

1. ბრაჰმანით დამოძღვრილნი ღალადყოფენ: „შესაწირავნი ცისკრისანი მიეგებათ ვასუთ, შესაწირავნი სამხრობისანი მიეგებათ რუდრათ. შესაწირავნი მესამე ქამნისანი — ადითთა და ვიშვედევეთ.“

2. ხოლო სადღაა საუფლო შემწირველისა? ვითა ძალუძს მსხვერპლშეწირვა მას, ვინცა ეს არ უწყის? დაე, მსხვერპლშეწირვა აღასრულოს მან, ვინცა ეს უწყის.

3. ცისკრისა საგალობლის აღვლენისა ქამს მსხვერპლშემწირველი მოირთხამს ფერხთ ცეცხლ — გარპათათიას ზურგშექცევით, ჩრდილოით პირმიქცეული და გალობს სამანს, აღვლენილს ვასუთადმი.

4. „განახვნე ბჰენი სამყაროჲსა, რათა ჩვენ გიხილოთ შენ, მპყრობელობის დასაუფლებლად“.

5. ამისა შემდგომად შესწირავს ძღვენსა, მღალადებელი: „დიდება შენდა, აგნი! ბინადარო მიწისაჲ, ბინადარო სამყაროჲსაჲ! მომაგე მშვიდობა მე, შემწირველსა. ჰეშმარიტად! ველი მე ამა სოფელსა შემწირველისა.“

6. აჰა არს ალაგნი შემწირველისა შემდგომად სიკვდილას. კურთხეულო! განაგდე ურდულნი. — რაჲმსა წარსთქვამს, წამოდგება. ვასნი მას მიაგებენ ცისკრისა ქამის შესაწირავს.

7. სამხრობისა საგალობლის აღვლენისა ქამს მსხვერპლშემწირველი მო-



ირთხამს ფერხთ ცეცხლ — აგნიდჰარიას ზურგშექცევით. ჩრდილოით პირმიქცეული და გალობს სამანს, აღვლენილს რუდრათადმი.

8. „განახვნე ბჰენი სამყაროჲსა, რათა ჩვენ გიხილოთ შენ, ყოვლისა მპყრობელობის დასაუფლებლად“.

9. ამისა შემდგომად შესწირავს ძღვენსა, მღალადებელი: „დიდება შენდა, ვაიუ! — ბინადარო ჰაერისა სივრცეთა, ბინადარო სამყაროჲსაჲ! მომაგე მშვიდობა მე, შემწირველსა. ჭეშმარიტად! ველი მე ამა სოფელსა შემწირველისა.“

10. აჟა არს ალაგნი შემწირველისა შემდგომად სიკვდილისა. კურთხეულო! განაგდე ურდულნი“, — რაჟამსა წარსთქვამს, წამოდგება, რუდრნი მას მიაგებენ სამხრობისა ჟამის შესაწირავს.

11. მესამე ჟამნის საგალობლის აღვლენისა ჟამს მსხვერპლშემწირველი მოირთხამს ფერხთ ცეცხლ — აჰავანიას ზურგშექცევით, ჩრდილოით პირმიქცეული და გალობს სამანს, აღვლენილს ადიდთა და ვიშვედევეთადმი:

12. „განახვნე ბჰენი სამყაროჲსაჲ, რათა ჩვენ გიხილოთ შენ, თავისა მპყრობელობის დასაუფლებლად“.

13. სამან ესე ადიდთადმია. აჰა, სამან ვიშვედევეთადმი: „განახვნე ბჰენი სამყაროჲსა, რათა ჩვენ გიხილოთ შენ, უზენაესი მპყრობელობის დასაუფლებლად“.

14. ამისა შემდგომად შესწირავს ძღვენსა, მღალადებელი: „დიდება თქვენდა, ადიტნო და ვიშვედევენო! — ბინადარნო ზეცისანო, ბინადარნო სამყაროჲსნო. მომაგეთ მშვიდობა მე, შემწირველსა.“

15. ჭეშმარიტად! ველი მე ამა სოფელსა შემწირველისა. აჟა არს ალაგნი შემწირველისა შემდგომად სიკვდილისა. კურთხეულო! განაგდე ურდულნი“, — რაჟამსა წარსთქვამს, წამოდგება.

16. ადიტნო და ვიშვედევენი მას მიაგებენ მესამე ჟამნის შესაწირავს. ჭეშმარიტად! მან უწყის სრული საწყაო მსხვერპლშეწირვისა, ვინცა ეს უწყის, ვინცა ეს უწყის.

## უფანიშენაჲი

### ნაწილი პირველი

1. „ომი“ — ინდუიზმსა და ბუდიზმში რელიგიურ ცერემონიათა და ლოცვათა აღვლენის ჟამს დაკანონებული საზეიმო შეძახილი. გადმოითარგმნება დაახლოებით, როგორც „ჭეშმარიტად!“ „იქმენინ!“ (რისტ. „ამინ!“). „ომი“ — აღიარებულია აგრეთვე უზენაესი დასაბამის უმაღლესი სიწმინდის სიმბოლოდ.

2. „უდგიოჰა“ — ხამავედას სარიტუალო საგალობლის ხამანის ერთ-ერთი ძირითადი ნაქვეთი.

3. „რიჩ“ — რიგვედას აღმნიშვნელი ჰიმნები.

4. „სამან“ — სამავედას ჰიმნების დიდი ნაწილი, რიგვედადან გადმოტანილი.

5. „მერვე“ — ნიშნავს რიგით მერვე არსს, რომელიც იწყება მიწით.

6. „სამმაგი ცოდნა“ — მხედველობაშია სამი ვედა: რიგვედა, ხამავედა, იაჯურვედა.

7. „ადჰვარიუ“ — ქურუმი, რომელიც ღალადებს იაჯურვედას სამსხვერპლო ფორმულებსა და აღასრულებს შეწირვას.

8. „მოთარ“ — ქურუმი, რომელიც აღავლენს რიგვედას ჰიმნებს.

9. „უდგათარ“ — ქურუმი, რომელიც გალობს სამავედას ჰიმნებს.

10. „ასურნი“ — ღემონ-ნახევრადღმერთნი, რანიც განასახიერებენ ბოროტეულ საწყისს. აჟ მოხმობილია ცნობილი ინდური მითი ღმერთთა და ასურთა შერკინებაზე, სადაც ღმერთნი ამარცხებენ ასურთ.



11. „ფრაჟათი“ — „მამა ყოველივე შექმნილისა“, შემოქმედი და მფარველი ყოველი არსისა.
12. „ანგირასი“ — ერთ-ერთი ლეგენდარული ბრძენთაგანი, რომელსაც მიეწერება რიგვედას ცალკეული თავების ავტორობა.
13. „ბრიჰასფათი“ — უძველესი ღვთაება, ქურუმი და მოძღვარი ღმერთთა, მეუფე მსხვერპლ-შეწირვისა.
14. „აიახია“ — ლეგენდარული ბრძენი.
15. „ბაჟა დალბია“ — ლეგენდარული რიშის სახელი.
16. „ნაიმიშა“ — წმინდა ტყე. ლეგენდის თანახმად, ამ ტყეში გაანადგურეს ასურთა ლაშქარი.
17. „რიშები“ — სახელწოდება ლეგენდარული ბრძენკაცებისა და პოეტებისა, რომელთაც მიეწერებათ ვედური ჰიმნების ავტორობა.
18. „ჩჰანდასი“ — საგალობლები ანუ მეტრიკული ჰიმნები, რაინც ღმერთებს იცავს ბოროტისაგან.
19. „იაჯუხი“ — საღვთო მსახურება, ვედებთან დაკავშირებული (ამასვე აღნიშნავს ამ შემთხვევაში რიჩ და სამან).
20. „ფრანავა“ — უდგიოქასთან გაიგივებული ცნება, სიტყვა „ომ“-ის გამომსახველი (უმთავრესად რიგვედას ჰიმნებშია დამოწმებული).
21. „ქაუშითაჟი“ — ბრაჰმან-მოძღვარი.
22. „ფურუშა“ — ვედებში დამოწმებული პირველადი არსება. მისი სხეულის ნაწილებისაგან იქნება სამყაროს ნაწილები. უფანიშადებში იგი განიმარტება, როგორც უმაღლესი სასიცოცხლო პრინციპი, ღვთაებრივი სუბსტანცია, რიიაც ყოველი არსებაა გამსჭვალული.
23. „ატმანი“ — აქ ეს ცნება მოხმობილია „ტანის“ მნიშვნელობით, როგორც „სულის“ სუბიექტური, ინდივიდუალური საწყისი.
24. „უქთმა“ — აქ იგულისხმება რიგვედას ჰიმნები.
25. „ბრაჰმანი“ — დასაბამიერი უზენაესი არსება, აბსოლუტი, რის მანიფესტაციად გვევლინება ყოველი არსი და დაბადებული ამ ქვეყნად.
26. „ათიდჰანვან შუნაჟა“ — ბრაჰმან-მოძღვარი.
27. „ქურუ“ — განგის ხეობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ოლქი.
28. „უშასთი ჩაკრაიანა“ — ბრაჰმანი.
29. „უდგათართი გვერდი“ — აქ იგულისხმება თავად უდგათარი და მისი სამი თანაშემწე: ფრასთოთარი, ფრათიპართარი და სუბრაჰმანია.
30. „ფრასთავი“ — საგალობლის (სამანის) შესავალი ნაკვეთი, რაც წინ უძღვის უდგითქას და სრულდება ფრასთოთართა მიერ.
31. „ფრათიპარი“ — სამანის ნაკვეთი, რაც მოსდევს უდგითქას და სრულდება უდგათარის თანაშემწის ფრათიპართარის მიერ.
32. „შემწირველი“ — ამ შემთხვევაში იგულისხმება მეფე.
33. „უდგითმა ძაღლთა“ — ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ეს თავი მიუთითებს ცხოველთა როლზე ვედურ ლიტერატურაში, რაც დაკავშირებულია ტოტემურ გადმონაშთებთან. ჩანდოგია უფანიშადში ცხოველები არაერთგზის გვევლინებიან ადამიანებთან თანაბარი უფლებებით. შანჟარას განმარტებით, ამ თავში აღწერილია ღვთაებათა გამოცხადება ცხოველთა სახით, რასაც მთელი რიგი პარალელები მოეძებნება სანსკრიტულ წყაროებში. კომენტატორის აზრით, ეს ალეგორიაა: ძაღლის სახით ბაჟას გამოცხადება რომელიღაც ღვთაება ანდა ბრძენკაცი სხვა ღვთაებებითა ანდა ბრძენკაცებით გარსშემორტყმული, რომელნიც შემწედ გამოცხადნენ ვედების დაუფლებით გულანთებულ კაცს.
34. „და ვითა ქურუმნი...“ — იგულისხმება ქურუმნი: ადჰვარიუ, ფრასთოთარი, ფრათიპართარი, უდგათარი, ბრაჰმანი და შემწირველი — მეფე. ამ ცერემონიისას ქურუმთ ერთმანეთის სამოსელში აქვთ ხელი ჩავლებული.
35. „ბაჰიშფავამანა“ — ჰიმნის სახელწოდება, რომელსაც ასრულებს უდგათარი და მისი თანაშემწენი ცისკრის რიტუალის ეამს, მსხვერპლშეწირვის უკანასკნელ დღეს.
36. „ღმერთმა ვარუნამ“ — ვედურ ეპოქაში ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაება, მეუფე ზეციური თაღისა, ღამის მბრძანებელი, წყალთა ღმერთი.
37. „სავითარი“ — მზის პრედიკატი, მზის ცხოველმყოფელი ძალის განსახიერება.



ნაწილი მეორე

1. „გაიათრა“ — მზისადმი აღელენილი რიგვედას ჰიმნის საღვთო ტექსტი. ტრადიციული წარმოდგენის მიხედვით, გაიათრა არის სასიცოცხლო სუნთქვა.
2. „რაოჰანთარა“ — სამანის ამ სახელწოდების საგალობელი სრულდება ცეცხლის განგნის რიტუალის დროს.
3. „ვაშადევია“ — ეს სამანი, ტრადიციის მიხედვით, აღმოცენდა ჰაერისა და წყლის შერწყმის შედეგად. აქედან წარმოდგება მისი კავშირი თანაყოფასთან.
4. „ბრიჰადა“ — გადმოცემის მიხედვით, თავის ღვთაებად მიიჩნეოდა მზეს.
5. „ვაირუფა“ — სიტყვასიტყვით ნიშნავს „მრავალსახოვანს“. ასეთივე სახე აქვთ საწვიმარ ღრუბლებსაც.
6. „ვაირაჟა“ — სიტყვასიტყვით ნიშნავს „მზრწყინავს“. წელიწადის დრონიც ასევე „ბრწყინავენ“ თავიანთი თვისებებით.
7. „შაქვარი“ — ეს სამანი სრულდება რიგვედას ცალკეულ ჰიმნებში, რომელიც, გადმოცემის მიხედვით გაიგივებულია წყალთან: წყალი კი სამყაროთა საფუძვლადაა აღიარებული.
8. „რევათი“ — ეს სამანი, გადმოცემის თანახმად, გაიგივებულია ცხოველებთან.
9. „იაჰნიაიაჰნია“ — ეს სამანი წარმოდგენს არსს, ზოლო სხეული — საკვების სახეცვლად არსს.
10. „რაჰანა“ — ნიშნავს „გასხივოსნებულს“. ასეთნი არიან ღმერთნი.
11. „სომა“ — ღვთაებრივი სიტხე, რომელსაც მსხვერპლშეწირვის დროს იყენებენ. პერსონიფიცირებულია ვედების ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად. მთვარისა და მცენარეთა ღვთაება, მეფე ჩრდილო-აღმოსავლეთისა.
12. „ინდრა“ — ინდრა აქ სიმბოლურად გამოხატავს სასიცოცხლო სუნთქვას, როგორც ძლიერების წყაროს.
13. „ვახანი“ — რვა ღვთაება, რანიც განასახიერებენ ბუნების განსხვავებულ ფენომენებს (წყალი, პოლარული ვარსკვლავი, მთვარე, მიწა, ქარი, ცეცხლი, ცისკარი, სინათლე).
14. „ადითნი“ — ვედური ზეციური ღვთაებანი. პირველქმად მათ ასახელებდნენ შვიდს, ზოგჯერ რვასაც. ბრაჰმანებში ისინი თორმეტია, რომლებიც სიმბოლურად წელიწადის თვეებს წარმოსახავენ.
15. „ვიშვედევენი“ — თორმეტი, ზოგჯერ ცამეტი ღვთაება, წარმოშობილნი ვიშვადან, კალიშვილი ლეგენდარული მშობელთ-მშობელისა დაქშისა. მათ თავყანს სცემენ წინაპართა სულების მოხსენიებისას.
16. „გარჰაფათია“ — ერთ-ერთი სამსხვერპლო ცეცხლის სახელწოდება, აგნიდჰარიასა და აჰავანიას გვერდით, განსხვავებულნი მსხვერპლშეწირვათა დროს და შესაბამისნი მიწისა, ჰაერისა, სივრცისა და ცისა.





საქრისტიანო ანუ ევროპა

ნოვალისი გერმანელი მწერლის ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგის (1772-1801) ფსევდონიმია. მისი ლიტერატურული შემოქმედრობა მცირე მოცულობისაა. წმინდა პოეტური ნაწარმოებების გარდა (ლირიკული ციკლები „სასულიერო სიმღერები“ და „ქაშნები ღამეს“, მოთხრობა „სახელი შევირდები“, დაუმთავრებელი რომანი „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი“) ნოვალისი ავტორია პოლიტიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ფრაგმენტებისა და აფორიზმების. როგორც მოაზროვნე და მხატვრული სიტყვის ოსტატი, ნოვალისი იმ თაობის უპირველესი წარმომადგენელია, რომელიც ლიტერატურაში რომანტიკოსთა სახელით შევიდა. იენის ახალგაზრდა ლიტერატორთა წრეში თავი მოუყარა ისეთ ნიჭიერ მწერლებსა და ფილოსოფოსებს, როგორებიც იყვნენ ძმები შლეგელები, ნოვალისი, ტიცი, შლაიერმახერი, შელინგი; ისინი თავისი მსოფლმხედველობით მკვეთრად გაემიჯნენ ვაიმარის კლასიკას და ზოგადად განმანათლებლობას. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეების განუხორციელებლობით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ლოგიკურად მოითხოვა რაციონალიზმის პოზიციებიდან გადასვლა სუბიექტივიზმზე. რომანტიკოსებმა ლიტერატურაში მწერლის აბსოლუტური სუვერენობა დააქანონეს. არსებული რეალობისადმი პროტესტის ნიშნად მწერალი ქმნის თავის იდეალურ რეალობას, რომელსაც ის უსასრულობის ნიშანს ანიჭებს. ადამიანთა საზოგადოების იდეალურ ფორმას გვთავაზობს ნოვალისი შუა საუკუნეების ყოფის სახით თავის ნაშრომში „საქრისტიანო ანუ ევროპა“. ოცდაშვიდი წლის პოეტმა შექმნა ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის პროგრამული ნაწარმოები, რომლის შესაწვლისა და ღრმა კრიტიკული ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია გერმანული რომანტიზმის არსის შეცნობა. რომ აღარაფერი ვთქვათ თვით ნოვალისის იდეური და ესთეტიკური კრედოს დადგენაზე. ამ ნაშრომში თავს იყრის გერმანული რომანტიზმის მთელი რიგი საკვანძო საკითხები: ამდენად, საშუალება გვეძლევა, პასუხი გავცეთ ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა რომანტიკოსთა დამოკიდებულება რელიგიისადმი, წარსულისადმი, ომისადმი, პოლიტიკისადმი და ა. შ. ესთეტიკური თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესოა წინამდებარე ნაშრომი მიუხედავად თავისი ფილოსოფიური შინაარსისა, „საქრისტიანო ანუ ევროპა“ არ არის ფილოსოფიური ან პოლიტიკური ტრაქტატი, არამედ მაღალმხატვრული პროზის ნიმუშია, სადაც პოეტიკურ-მეტაფორული ხერხებით გადმოცემულია ანალიტიკური თუ პროგრამატულ-აპელაციური ხასიათის მასალა.

„საქრისტიანო ანუ ევროპა“ ნოვალისის სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. დღეს ჩვენ ნოვალისის ამ ნაშრომში უნდა დავინახოთ არა მხოლოდ წარსულის იდეალიზაცია, არამედ პოეტის ლტოლვა მშვიდობისაკენ, მისი უსაზღვრო კათცმოყვარეობა, ახალი, უნაკლო, ჰარმონიულად განვითარებული საზოგადოების ხილვის სურვილი. მართალია, ნოვალისი არ სცნობდა პოლიტიკურ გარდაქმნათა აუცილებლობას, მაგრამ ეს თვალსაზრისი უნდა იყოს გაგებული, როგორც პროტესტი გაუთავებელი ომებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების წინააღმდეგ. დაკვირვებული მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ წარსულის იდეალიზაცია არ გულისხმობს მისი რესტავრაციის მოთხოვნას. უნდა შექმნილიყო ახალი მყოფადი. ნოვალისის აზრით, მისი დამფუძნებელი ერთადერთი ძალა იქნებოდა ახალი რელიგია, ყველა წინააღმდეგობის დამძლევი და გამაერთიანებელი. საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა ცოდნა დღეს გვიკარნახებს, „საქრისტიანოს“ პროგრამა განვიხილოთ როგორც ნოვალისის მიერ შემოთავაზებული უტოპიური გზა ადამიანთა საზოგადოების სრულყოფისაკენ.



იყო ბრწყინვალე დრო. როცა ევროპა ქრისტიანული ქვეყანა გახლდათ, როცა ერთიანი ქრისტიანობა ბინადრობდა მსოფლიოს ყველაზე აღმსიანურ მხარეში; ერთი ფართო საზოგადო ინტერესი აკავშირებდა ამ ვრცელი სულიერი ხაზბრძანებლოს დაშორებულ პროვინციებს. — დიდი ხანო ქონების გარეშე მართავდა და აერთიანებდა უდიდეს პოლიტიკურ ძალებს ერთი მეთაური. — მრავალრიცხოვანი საძმო, რომლის კარი ყველასთვის ღია იყო, უშუალოდ მას ექვემდებარებოდა, მის მითითებებს ახრულებდა და მისი კეთილისმყოფელი ძალაუფლების განმტკიცებისთვის იღვწოდა. ამ საზოგადოების წევრებს ყველგან პატივს სცემდნენ, ძლიერთა მხრიდან ხელშეწყობა, პატივი და უურადღება არ აკლდათ, უბრალო ადამიანები კი მათგან ნუგეშს და შევლას, მფარველობას და რჩევას მოელოდნენ, სამაგიეროდ მზად იყვნენ, უხვად და სიამოვნებით დაეცმაყოფილებინათ ძმობის წევრთა მრავალგვარი მოთხოვნილება. ყველა თავს ევლებოდა გასაოცარი ძალებით აღჭურვილ ამ რჩეულ მაშაყაცებს, როგორც კოს შვილებს, რომელთა არსებობას და კეთილგანწყობას ათასგვან ღოცვა-კურთხევა მოჰქონდა. ბავშვურად სიყვარულად ადამიანებს მათი ჩატყვების, არჩენად შეეძლოთ თათბიულს თავისი მიწიერი, ყოველდღიური საქმის შესრულება, რადგან ამ წმინდა საიქიანს მეოხებით მომავალი უზრუნველყოფილი ჰქონდა, შეცდომები — მიტევებული, ბოლო ნებისმიერი ღაქა ცხოვრებისა — გაქარწყლებული, ისინი გამოცდილი მესაქეები იყვნენ გაშლილ და უცნობ ზღვაში. მათი მფარველობა აქრობდა ქარიშხლის შიშს და საზავა უდიდეს იმედს, რომ კემშარიტი მამულის ნაპირს უუბველად მოადგებოდნენ.

ძმობის წევრთა სიტყვების წინაშე ყველაზე მხეცური და გაუმადლარი მიდრეკილებაც რიდა და მორჩილება უთმოდა ადგილს. მშვიდობის ხიზო მოდიოდა მათგან. — მხოლოდ სიყვარულს ქადაგებდნენ, სიყვარულს ქრისტიანობის უწმინდესი და უღამაზესი ქალწულისა, რომელიც მზად იყო, ღვთით მინიჭებულ ძალის შემწეობით ყოველი მორწმუნე ეხსნა საზარელი განსაცდელისგან. პყვებოდნენ დიდი ხნის გარდაცვლილ ღვთის კაცთა შეხაზებ, რომელთაც ნეტარი მშობლისა და მისი ღვთაებრივი, მზიარული ბავშვის ერთგულებისა და თანადგომის წყალობით მიწიერი ცხოვრების ცდუნებას გაუძლეს, ზეციურ პატივამდე ამაღლდნენ და თავიანთი ცოცხალი ძმებისთვის მფარველ, კეთილისმყოფელ ძალად, გაქირვებაში სანდო მეურვეებად, ადამიანურ სიხუხტეთა წარმომადგენლებად და კაცობრიობის გავლენიან მე-

გობრებად იქცნენ ღვთიურ სამეფო კარზე, რა გულმზიარულად ტოვებდა ხალხს მჭიდრო შეკრებებს გამამხნეველი ხალხების შემკულ, ტკბილი სურნელებით აღვსილ და წმინდა, ამაღლებული მუსიკით შემოვსებული ეკლესიებში. ეს იდუმალი გულმზიარების გრძნობით ანახადნენ ძვირფას ჭურჭელში ღვთისმოსაში წინაპართა კურთხეულ ნეტეს, ღვთაებრივი სიკეთე და კრვლისშემძლეობა, იმ ბედნიერ მორწმუნეთა ძლიერი ქველმოქმედება აქ ბრწყინვალე სახწაულებებისა და ნიშნების სახით მუღავნდებოდა. ასე უფრთხილდებიან შეყვარებულები გარდაცვლილ მიჯნურთა თმის კულულებს, ჩანაწერებს და ამით საამო სიბოხს ინარჩუნებენ ხელახლა შეერთებამდე, სრცდილამდე, სასოებით ავრავებდნენ ყველაფერს, რაც ამ სასურველ არსებათ ეკუთვნოდათ, და თავს ბედნიერად რაცხდა ყველა, ვისაც სიზარულის მომნიჭებელი ახეთი რელიქვია შეხვდებოდა. ღვთის წყალობა ისევ და ისევ უპირველესად თითქოს რომელიმე იშვიათ ხურათს ან საფლავის ბორცვს ეფინებოდა. — ამ უღვთილებისკენ ყოველი კუთხიდან მიედინებოდა ხალხი, სხვადასხვა ძღვენით ბელადამშვენებულნი, უკან კი ზეციური საჩუქრები მიჰქონდათ, ხულის სიმშვიდე და სხეულის სიჯანმრთედე. ეს ძალმოსილი, მშვიდობის დამფუძნებელი საზოგადოება გულმოდგინედ იყო მოწადინებული, ყველა ეზიარებინა ამ ღამაზე რწმენისათვის და თავის წევრებს მსოფლიოს ყველა ნაწილში გზავნიდა ცხოვრების ევანგელის საქადაგოდ და დედამიწაზე ზეციური საფლოს დასამკვიდრებლად, ეკლესიის ბრძენ მეთაური სამართლიანად ეწინააღმდეგებოდა ადამიანის შესაძლებლობების მოურიდებელ განვითარებას რწმენის ხარჯზე, უდროოდ აღმოჩენებს ცოდნის სფეროში. გაბედულ მოაზროვნეებს უკრძალავდა საზოგადოდ განეცხადებინათ, თითქოს დედამიწა ერთი უმნიშვნელო მთარული ვარსკვლავი ყოფილიყოს, რადგან კარგად იცოდა, რომ ადამიანები თავისი ადგილსამყოფელის და მიწიერი მამულის პატივისცემასთან ერთად ზეციური სამშობლოსა და მის ბინადართა პატივისცემასაც დაპირგავდნენ, შეზღუდულ ცოდნას არჩევდნენ უსასრულო რწმენას, ყველაფერი დიდისა და გაოცების ღირსეს დამპირებას მიეჩვეოდნენ და უსიკოცბლო კანონზომიერებად ჩათვლიდნენ. მის კარზე იყრიდნენ თავს ევროპის ყველაზე კვიანი და ღირსეული ადამიანები. ყველა სიმდიდრე იქით მიედინებოდა, შური იძია განადგურებულმა იერუსალიმმა, რომი იქცა ახალ იერუსალიმად, ღვთიური ხელისუფლების წმიდარეზიდენციად დედამიწაზე, მთავრებს სადავო საკითხები ქრისტიანობის მამის სამსჯავროზე



გაქონდათ. ფერხითი უშლიდნენ თავიანთ გვარგვინებს და ბრწყინვალეობას; ამ მაღალი ერთობის წერებს პატივად და დიდებად მიაჩნდათ ცხოვრების დასრულება. რელიგიურ ფიქრებში მონასტრების სადა გალავნებს მიღმა, თუ რა კეთილისშემოყვანილი იყო ეს ბელისუფლება, როგორ შეესაბამებოდა ეს წესრიგი ადამიანის შინაგან ბუნებას, ამაზე მეტყველებდა ადამიანური ძალების გიგანტური მატება, ყველა ნიჭისა და უნარის პარმონიული განვითარება, განუწოშელი სიმაღლე, რომელსაც ცალკეულმა ადამიანმა ცხოვრებისა და ბელისუფლების მეცნიერებათა ყველა სფეროში მიაღწია, და კიდით კიდემდე აუვავებელი ვაჭრობა სულიერი თუ მიწიერი საქონლით ევროპის ფარგლებში და თვით შორეულ ინდოეთამდე. — ეს იყო უმთავრესი მშვენიერი ნიშანი-თვისებანი ნამდვილ-კათოლიკური ანუ ნამდვილ-ქრისტიანული დროებისა. კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, არ იყო ჯეროვნად განათლებული ამ ბრწყინვალე საუფლოსათვის. ეს იყო პირველი სიყვარული, რომელიც საქმიანი ცხოვრების სიმძიმემ მოაძინა, მასზე ფიქრი ეგოისტურმა საზრუნავმა განდევნა, ხოლო მასთან კავშირი, მოტუხებად და სიგიჟედ გამოცხადებული და გვიანდელი გამოცდილებით შეფასებული, სამუდამოდ გაწყვიტა ევროპელთა დიდმა ნაწილმა. ეს უზარმაზარი შინაგანი განხეთქილება, რომელსაც გამანადგურებელი ომები ახლდა თან, იყო საკვირველი ნიშანი იმისა, რომ კულტურა, უოველ შემთხვევაში, განვითარების გარკვეულ ხაფებურზე მდგომი კულტურა, დროებით შიანს აყენებდა უნილავის შეგრძნების უნარს. ამ უკვდავი გრძნობის მოსპობა შეუძლებელია, მაგრამ ეგი შეიძლება აიშღვრეს, გაბეღდეს, სხვა გრძნობების მიერ დაითრგუნოს. — ადამიანთა ბანგრძლივი ერთობა ასუსტებს საკუთარი წარმოშობის სიყვარულსა და რწმენას, ისინი ერვევიან, მთელი აზრი და შრომა მხოლოდ კეთილდღეობის შექმნას მიაპყრონ. მოთხოვნილებები და ბერბები მათი დაკმაყოფილებისა კი უფრო და უფრო იხვეწება, გაზარბებული ადამიანი იმდენ დროს ახმარს მათ გაცნობა-შეთვისებას, რომ წუთი არ რჩება სულის ხმევისთვის. შინაგან სამყაროზე გულისხურით დასაკვირვებლად — კოლიზიის შემთხვევებში დროის საზრუნავი უფრო აბლოს მიაქვს გულთან; მის აბალგაზრდობას ადრე დასცვივდა ღამაში უვავილები, რწმენა და სიყვარული — და უბნში ნაყოფი, ცოდნა და საკუთრება იკავებს მათ აღგილს. გვიან შემოდგომაზე ბავშვური სიზმარივით აგონდებათ გაზაფხული და ბავშვურად, გულუბრყვილოდ იმედოვნებენ, რომ ხავსე ბედლები არახდროს დაიცლება, მაღალ აზრთა გაღვივებას თითქოს განრიდება ესაჭიროება,

ამიტომ არის, ალბათ, რომ ადამიანთა უწომო ურთიერთობა ბევრ წმინდა ჩანახანს ქლავს და ღმერთებს აფრახობს. რა უნდა იყოს ზერელე საზოგადოების უთავბოლო მომსახურება და წვრილმან საქმოსნურ გაუბრები გაურბიან, გარდა ამისა, ჩვენ ვანგაგრობთ უბედობითა და პერიოდებით, და მათგან უნდა ვიხსენიებთ? შეშლისაზღვრული ბანგრძლივობა; ზრდა და ელება ხომ მათი ბუნებაა? მაგრამ მათგან ხომ აბალ, ძლიერ უორმად აღდგომა, გაახალგაზრდავება და ბეჭითობითა მოხალოდნელი? წინ მიმავალი, განუბრელად შზარდი ევოლუციების ისტორიის შინაარსი. — რაც აბლა ვერ აღწევს სრულყოფილებას, მომავალ ჯერზედ ან იმის შემდეგ მიაღწევს; არაფერია წარმავალი, რაც კი ისტორიამ შეისისხლბორცა. უთვალავი ფერისცვალების შემდეგ უფრო გამოიდრებული, განაბლებული საბით ბრუნდება უოველივი. ერთხელ ხომ წარმოჩინდა ქრისტიანობა მთელი თავისი ძლევაშობილებითა და ბრწყინვალეობით? აბალ მსოფლიო შთავგონებამდე ბატონობდა მისი ნანგრევი, მისი სიტუვა. ძლიერდებოდა დაცინვა და უმწიფობა, თავდაქერებულ სულიერ ნამდვს შიმდე აწვა სიზანტე და უმოქმედობა. საკუთარი პატარისა და განცხრომის შეგრძნება ვერ დაიღია მაშინ, როცა დიდიტანტებმა თვალმა და ხელმა უნა გამოცდაცეს სიბრძნე და გამოცდაუბა და ფართო ნაბიჯებით დაადგინნ განათლების გზას. დაივიწყეს თავიანთი უპირველესი მოვალეობა, უოფილიყვნენ საუკეთესონი ადამიანთა შორის გონებით, შეგნებითა და განათლებით, მდაბალი სურვილებით აღივსო მათი გონება, ხოლო სამოსელისა და გარეგნული სამსახურის წყალბობით მათი აზროვნების უმსგავსობა და სიმდაბლე კიდევ უფრო ამაზრუნენი შეიქნა. ახე გამოცდალათ ხელიდან პატივისცემა და ნდობა, ნებისმიერი იმპერიის ეს ორი ბურჯი, და რომის ნამდვილი ბატონობა ჯერ კიდევ უდიდეს ამბობებამდე ვაცილებით ადრე უბმაუროდ შეწუდა. მხოლოდ გონიერი, მაგრამ მაინც დროებითი ღონისძიებები ინარჩუნებდა კონსტიტუციის გვამს და იცავდა მას სწრაფი განზრწნისგან, ამის შესანიშნავ მაგალითს მღვდლების ქორწინების გაუქმება წარმოადგენს. მსგავსი რამ სამხედრო წოდებასაც ხაშინელ სიმტკიცეს შესძენდა და სიცოცხლეს გაუზანგრძლივებდა. რა უნდა უოფილიყო იმაზე ბუნებრივი, რომ ბოლოს და ბოლოს ერთმა ცეცხლით მოთამაშე არსებამ საუოველთაო აჯანუბის ქადაგება დაიწყო უოფილი კონსტიტუციის დესპოტური სიტუვის წინააღმდეგ და დიდი წარმატებითაც, რადგან თავად გახლდათ ძმობის წევრი. მეამბოხეები სამართლიანად ირქმევდნენ პროტესტანტებს, რადგან საზეიმოდ აცხადებ-



დნენ პროტესტს მოთხოვნების წინააღმდეგ, რომელთაც ერთი შეხედვით არაკანონიერი და მოუხერხებელი ძალა მათ სინდისს უყენებდა. მათ დროებით დაიბრუნეს რელიგიის გარკვევის, დადგენისა და ამორჩევის უზმოდ დათმობილი უფლება. მათ მთელი რიგი სწორი პრინციპებიც წამოაყენეს, ქების ღირსი სიახლეებიც შემოიღეს და მთელი რიგი უგვანო წესებიც გააუქმეს; მაგრამ მხედველობიდან გამორჩათ ამ პროცესის გარდაუვალი შედეგი: გაქვეითეს მთლიანი, გაპყვეს განუყოფელი ეკლესია და მკრეხელურად გაეთიშნენ საერთო ქრისტიანულ კავშირს, კრწმარიტი, სამუდამო აღორძინება კი მხოლოდ მასში და მისით იყო შესაძლებელი. რელიგიური ანარქია უოველთვის გარდამავალი მდგომარეობაა, რადგან აუცილებელი პირობა, რომელიც ითვალისწინებს ამ სამსახურიანათვის თავდადებულ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას და მათ განთავისუფლებას მიწიერი მოვალეობისაგან საქმის სასარგებლოდ, განუწყვეტლივ მოქმედებს და ძალაში რჩება. — კონსისტორიების დაარსება და გარკვეული სახის სამღვდელთაგან შენარჩუნება ვერ იქნებოდა საკმარისი საზღაური და შექმნილ მდგომარეობას ვერ უშველიდა. საუბედუროდ განხეთქილებაში მთავრებიც ჩაერივნენ, ბევრი მათგანი ამ შეხლა-შემოხლას საკუთარი მემამულური ძალაუფლების განსამტკიცებლად და შემოსავლის გასადიდებლად იყენებდა. უხაროდათ ღვთიური გავლენისაგან განთავისუფლება და ახალ კონსისტორიებზე მამობრივი მზრუნველობა და მათი გაძლელა იკისრეს. ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ არ დაეშვათ პროტესტანტული ეკლესიების გაერთიანება. ასე ჩაიკეტა რელიგია სრულიად არარელიგიურად სახელმწიფო საზღვრებში. ამით ჩაეყარა საფუძველი რელიგიის კოსმოპოლიტური ინტერესის თანდათანობით დაკნინებას. ასე დაკარგა რელიგიამ თავისი დიდი სამშვიდობო პოლიტიკური მისია, თავისი განსაკუთრებული როლი, როგორც გამაერთიანებელმა, განმაპიროვნებელმა პრინციპმა, რომელსაც **ქრისტიანობა ეწოდება. რელიგიური ზავი არა** სწორი და რწმენის საწინააღმდეგო დებულებების მიხედვით დაიდო, ეგრეთ წოდებული პროტესტანტიზმის შემდგომმა არსებობამ კი დაამკვიდრა სრულიად საწინააღმდეგო რამ — რევოლუციური მთავრობა.

უნდა ითქვას, რომ პროტესტანტიზმს, რა თქმა უნდა, მარტოდმარტო ის წმინდა მცნება არ უდევს საფუძვლად. ლუთერი ქრისტიანობას საერთოდ თვითნებურად მოექცა, უარყო მისი ხული და ხულ ხვდა სიტყვა და ხვდა რელიგია შემოიტანა, სახელდობრ, ბიბლიის უზენაესი ძალაუფლება, მისი საუოველთაო აღიარება; ამან წმინდა რელიგიურ საქმეებში ჩა-

რია ისეთი უცხო, მიწიერი მეცნიერება, როგორცაა ფილოლოგია, რომლის გამომჟღავნებელია მას შემდეგ განუხტელად გრძელდება. ფარული გრძნობის გამო, რომელიც ამ ნაბიჯის სიმცდარეს ააშკარავებდა, პროტესტანტების დიდმა ნაწილმა ლუთერის **ქრისტიანობის** რანგში აიყვანა და მისი **ქრისტიანობის** კურად გამოცხადდა.

ამ არჩევანმა ზედმიწევნით უარყოფითად იმოქმედა რელიგიურ გრძნობაზე, რადგან არაფერი ისე არ ანადგურებს მის ადგენებადობას, როგორც სიტყვა. უწინ, კათოლიკური სარწმუნოების დიდი მოცულობის, ელასტიურობის და მდიდარი შინაარსის გამო, ბიბლიის ეზოთერულობის, საეკლესიო კრებებისა და ეკლესიის მამამთავრის წმინდა ძალაუფლების პირობებში სიტყვა ვერასდროს იქნებოდა ასეთი ზიანის მომტანი; ახლა კი წინააღმდეგობის ეს საშუალებები მიწასთან იყო გასწორებული, განმტკიცდა ბიბლიის აბსოლუტური პოპულარობა; ღარიბი შინაარსი, რელიგიის უხეში, აბსტრაქტული მოხაზულობა ამ წიგნებში მით უფრო მკვეთრად გამოჩნდა და სულიწმინდას უსასრულოდ გაუძნელდა სიცოცხლის თავისუფლად მინიჭება, გულსა და გონებაში შეღწევა და ზეშთავგონება.

სწორედ ამიტომ ვეღარ გვიჩვენებს პროტესტანტიზმის ისტორია არამქვეყნიურის ბრწყინვალე გამოვლინებებს, მხოლოდ მისი დასაწყისი ელფარებს ცის კაბადონზე მცირე ხნით ანთებული ალით, შემდეგ უკვე იწყება წმინდა გრძნობის დაშრობა; საერო ცხოვრებაში ჩაიგდო ძალაუფლება ხელში, სიმპათიკურ ტკივილებს განიცდის მშვენიერების გრძნობაც, მხოლოდ აქა-იქ, იშვიათად თუ გაკრთება სიცოცხლის თვითნაბადი, მარადიული ნაპერწყალი და პატარა ერთობას შეერავს ხოლმე. ის გაქრება თუ არა, მრევლიც უმაღლესდება და დინებას მიჰყვება. ასეთი ბედი ეწიათ ცინცენდორფს, იაკობ ბოემეს და სხვებს. ზომიერები ბატონობენ და დროც უმაღლესს ორგანოთა სრულ ატონიას, პრაქტიკული ურწმუნოების **პერიოდს უახლოვდება. რეფორმაციამ** ბოლო მოუღო ქრისტიანობას. ამიერიდან ის აღარ არსებობდა. სექტებად გათიშული კათოლიკეები და პროტესტანტები ანუ რეფორმირებულნი უფრო შორს იდგნენ ერთმანეთისგან, ვიდრე მაჰმადიანებისგან ან წარმართთაგან. გადარჩენილი კათოლიკური სახელმწიფოები განაგრძობდნენ არსებობას, მაგრამ მეზობელი პროტესტანტული ქვეყნების მავნე ზეგავლენას მაინც განიცდიდნენ. ახალი პოლიტიკა დროის ამ მონაკვეთში ჩაისახა, და ცალკეული ძალმოსილი სახელმწიფოები ტაბტრევნად ქცეული ვაკანტური უნივერსალური სკამის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.



მთავართა უმეტესობას თავის დამპყრობად  
შეაჩნდა ღონეშიხდილ სასულიერო პირთათვის  
ანგარიშის გაწევა. მათ პირველად იგზავნეს თა-  
ვიანთი სხეულის სიმძიმე დედამიწაზე. რადგან  
ხედავდნენ ღვთიურ ძალთა უმოქმედობას მათ  
წარმომადგენლების დახრჩვევებისას, თანდა-  
თანობით, პაპის ერთგულ ქვეშევრდომთათვის  
შეუმჩინებლად ესწრაფოდნენ რომის დამთ-  
რგუნველი უღლის გადაგდებას და მიწიერი  
დამოუკიდებლობის მიღწევას. მათ მხოლოდ  
სინდისს ჰქვიათ მოძღვრები ამშვიდებდნენ,  
რომელნიც არაფერს ჰქარავდნენ იმით, რომ  
მათი სულიერი შვილები ეკლესიის ქონების  
გამგებლობას ხედავდნენ.

ძველი კონსტიტუციის სასარგებლოდ ამოქ-  
მედდა ახლადშექმნილი ორდენი, რომელსაც  
იერარქიის მომაკვდავმა სულმა თითქოს თავი-  
სი უკანასკნელი ძალები დაანათლა. ეს ორ-  
დენი ძველს ახალი ძალით აიარაღებდა და  
გასაოცარი შეგნებულობითა და სიჭიქით წრუ-  
ნავდა პაპის სამფლობელოს რეგენერაციაზე.  
გაცილებით უფრო ჰქვიათ ურად, ვიდრე ეს მა-  
ნამდე ხდებოდა. მხოლოდ ისტორიაში არ  
არსებულა მსგავსი საზოგადოება. თვით რომის  
ხენატო არ უოფილა საკუთარ წარმატებაში  
ასე დაქრებულა, როცა ის მხოლოდ დაპყრო-  
ბის გეგმებს ადგენდა.

ასეთი ძლიერი იდეის ბორცვებსმაზე უფ-  
რო გონივრულად არავის უფიქრია. სამუ-  
დამოდ დარჩება ეს საზოგადოება ყველა ის  
საზოგადოებათა ნიშნულად, რომლებიც ორგა-  
ნულ სწრაფვას განიცდიან უსასრულო გავრცე-  
ლებისა და მარადიული გამძლეობისკენ. მაგ-  
რამ ამავე დროს საზუდაშო მტკიცებად დარ-  
ჩება, რომ თავის ნებაზე მიშვებული დრო  
ყველაზე გონივრულ წამოწყებებსაც ჩაშლის,  
და რომ ადამიანთა მთელი მოდგმის ბუნებრი-  
ვი წრდა მისი ერთი ნაწილის ხელოვნურ ზრდას  
განუზრებლად წინ ედობება. ცალკეულის ხვე-  
დრი ნიჭისა და უნარის მხოლოდ გარკვეული  
ოდენობაა, მხოლოდ კაცობრიობის შესაძლებ-  
ლობებია კერძოარტად განუზომელი. არასრუ-  
ლები უწერია ყველა გეგმას, რომელიც სრულ-  
ყოფილად არ ითვალისწინებს ადამიანთა ძა-  
ლებს, კიდევ უფრო საოცარია ეს საზოგადო-  
ება ე. წ. საიდუმლო საზოგადოებათა მშო-  
ბლის როლში, ქერ კიდევ მოუშწიფე-  
ბელი, მაგრამ უცნაოდ მნიშვნელოვანი ის-  
ტორიული ჩანასახისა. უფრო საშიშ მეთოქეს  
ვერც ახალი ლუთერანიზმი, და ვერც პროტესტან-  
ტიზმი ვერ გაიჩინდა. კათოლიკური სარწმუნოე-  
ბის მომაქადლებლობა მის ხელში კიდევ უფ-  
რო გაძლიერდა, შეცნიერებათა საგანძური  
მის ხენაკს უზრუნდებოდა. ისინი მოწადინე-  
ბული იყვნენ, ქვეყნის სხვა ნაწილებში, შო-  
რეულ დასავლეთსა და აღმოსავლეთში ასმაგად

მოეპოვებინათ ის, რაც უფროა დაკარგული  
იყო, მოციქულის ღონეში და საქმიანობა  
გაეთავისებინათ და ემოქმედათ. არც პოპუ-  
ლარობის განმტკიცებაში და მისი ვისმე,  
კარგად იცოდნენ, უნდა ყოფილიყო ლუთერ-  
ნი თავის დემაგოგიურ ხელოვნებას, უბრალო  
ხალხის ცოდნას, ისინი ყველგან იარსებდნენ  
სკოლებს, იპყრობდნენ სააღსარებო სკამებს,  
ადიოდნენ კათედრებზე და მონაწილეობდნენ  
პრესაში, პოეტებად და ბრძენებად იქცნენ,  
მინისტრებად და მარტოვლებად. ამერიკიდან  
მოყოლებული, ევროპის გავლით ჩინეთამდე  
აღწევდა სივრცე, რომელსაც ისინი ფლობდ-  
ნენ სიტყვისა და საქმის მარბონით. თავიან-  
თი სკოლებიდან შერჩევით ავსებდნენ ორდე-  
ნის რიგებს. ლუთერანების წინააღმდეგ თავ-  
დაუზოგავად ჰადაგებდნენ და ცდილობდნენ,  
კათოლიკური ქრისტიანობის უპირველეს მოვა-  
ლერობად ექციათ ამ მწვალებელთა უსასტიკესი  
მოსპობა, როგორც ეშმაკის ნამდვილი თანა-  
მოაზრებებისა, მხოლოდ მათ უნდა უმადლოდ-  
ნენ კათოლიკური სახელმწიფოები. განსაკუთ-  
რებით კი პაპის ტახტი, დიდი ხნის გამძლეო-  
ბას რეფორმაციის მიმართ, და, ვინ იცის, რა  
ასაკს მიაღწევდა ქვეყნიერება, უსუსტეს მმა-  
რთველებს, მთავართა და სხვა სასულიერო  
ორდენთა ექვიანობას, კარის ინტრიგებს და  
სხვა უცნაურ მოვლენებს რომ არ შეეჩერები-  
ნათ მათი თამაში წინსვლა და მათთან ერთად  
თითქმის არ მოეპოვოთ კათოლიკური კონსტი-  
ტუციის უკანასკნელი ციხესიმაგრე. ახლა ამ  
საშინელ ორდენს მთლად გაუბადრუებულს  
სძინავს ევროპის საზღვრებთან, და იქნებ თავის  
მცველ ხალხთან ერთად ოდესმე ახალი  
ძალით, შესაძლოა, ახალი სახელითაც მოედოს  
ძველ სამშობლოს.

რეფორმაცია დროის თვისება იყო, მთელი  
ევროპისათვის მნიშვნელოვანი, თუმცა მან  
მხოლოდ კერძოარტად თავისუფალ გერ-  
მანიაში ამოხეთქა. ყველა ერის გონი-  
ერმა ადამიანებმა უნებრად მიაღწიეს სრულ-  
წლოვანებას და თავიანთი დანიშნულების  
მატყუარა შეგრძნების მეოხებით კიდევ უფრო  
მედგრად უწევდნენ წინააღმდეგობას ყავლგა-  
სულ იძულებას. ინსტინქტის თანახმად სწავ-  
ლული კაცი ძველი უადის სამღვდლოების  
მტერია, გაუოფის შემთხვევაში სწავლულთა და  
სასულიერო წოდებებს შორის გარდაუვალია  
გამანადგურებელი ომები, რადგან ისინი ერთ  
რამეს ეცილებიან ერთმანეთს. ეს გათიშვა  
უფრო და უფრო გაღრმავდა, და სწავლულებ-  
მა მით უფრო წაიწიეს წინ, რაც უფრო მიუ-  
ახლოვდა ევროპელთა სარწმუნოება ტრიუმ-  
ფით მოხილ განმანათლებლობის ხანას; ცოდნა  
და რწმენა საბოლოოდ მოექცნენ წინააღმდე-  
გობაში. სარწმუნოებაში ეძებდნენ საყოველ-



თარ მოღუენების მიწეს და ყოვლისშემძლე  
 ეოდნის მეოხებით აპირებდნენ მის დაძლევას.  
 სრავალმხრივ იტანებოდა წმინდა გრძნობა,  
 უვალგან იდეგნებოდა მისი აქამომდელი ბუნე-  
 ბა და მოწიფული პიროვნულობა. ახალი აზ-  
 როვნების შედეგს ფილოსოფია უწოდეს და  
 მას მიაკუთვნეს ყველაფერი, რაც ძველის წი-  
 ნაღმდებ იყო მიმართული, განსაკუთრებით კი  
 ანტირელიგიური ხასიათის ყველანაირი აზრი.  
 თავდაპირველი პირადი სიძულვილი კათოლი-  
 კური რწმენის მიმართ თანდათან გადაიწარდა  
 სიძულვილში ბიბლიის მიმართ, ქრისტიანუ-  
 ლი სარწმუნოებისა და, საბოლოოდ, ზოგადად  
 რელიგიის მიმართ, უფრო მეტიც, რელიგიის  
 სიძულვილი ძალზე ბუნებრივად და ლოგიკუ-  
 რად მიხწვდა ენთუზიაზმის ყველა გამოვლინე-  
 ხას, მკრებელური გახადა ფანტაზია და  
 გრძნობა, ზნეობა და ხელოვნების სიყვარული,  
 მყოფადი და ნამყო, დუხჭირი ადამიანი ცო-  
 ცხალ არსებათა რიგში ჩააყენა, სამყაროს  
 უსასრულო, შემოქმედებითი მუხიკა უწარმა-  
 ზარი წისკვილის მომახერებელ გრიალად აქ-  
 ცია. ეს მკურავი წისკვილი თითქოს შემთბ-  
 ვევის დინებას მიჰყვება, ბუროებისა და მე-  
 წისკვილეების გარეშე, ცარიელი, — ნამდვილი  
 „პერპეტუუმ მობილე“, რომელიც თავის თავს  
 ფქვავს.

მხოლოდ ენთუზიაზმი შეუნარჩუნეს დიდ-  
 სულოვნად უხადრუკ ადამიანთა მოდგმას და,  
 როგორც საცდელი ქვა, აუცილებელი გახადეს  
 მაღალი განათლების მქონე პიროვნებისთვის  
 — ენთუზიაზმი ამ ბრწყინვალე, შესანიშნავი  
 ფილოსოფიისა და განსაკუთრებით კი მისი  
 მქადაგებლებისა და მისტაგოგების მიმართ.  
 საფრანგეთი იყო ის ბედნიერი ქვეყანა, სადაც  
 წარმოიშვა და დამკვიდრდა ახალი სარ-  
 წმუნოება, რომელიც ერთთავად ცოდნი-  
 სგან იყო შეკონწიწებული. მიუხედავად იმისა,  
 რომ ახალ ეკლესიაში პოეზიას არ სწყალობ-  
 დნენ, რამდენიმე პოეტი იქ მაინც აღმოჩნდა.  
 ეფექტის მოსახდენად ისინი ძველ ხამკაულებ-  
 სა და ძველ ჩირაღდნებს ხმარობდნენ, მაგრამ  
 ამავე დროს დიდი იყო საწიშროება, ძველი ციცბ-  
 ლით დაეწვათ ახალი მსოფლიო ხისტემა. შედა-  
 რებით საზრიანი წევრები ახერხებდნენ გახურე-  
 ბული მსმენლების უმაღვე განელებას ცივი  
 წულით. ყველა წევრი შეუსვენებელივ იღწვოდა,  
 ბუნება, მიწა, ადამიანის ხული და მეცნიერება  
 პოეზიისაგან გაეწმინდა, უწმინდების ყო-  
 ველგვარი კვალი მოესპო, ყველა ამაღლებუ-  
 ლი მოვლენისა თუ ადამიანის მოგონება სარ-  
 კაზმით ჩაეხშო და სამყარო თავისი გრელი სა-  
 მოხისგან განეძარცვა. სინათლემ დაიპყრო მთ-  
 თა, გული მათემატიკური მორჩილებისა და სი-  
 თავხედის წყალობით. მათ უხაროდათ, რომ  
 სინათლე ტუდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ ფე-

რებით ეთამაშა, და ამიტომაც მონათლეს თავი-  
 ანთი დიდი საქმიანობა „განმანათლებლობა“  
 გერმანიაში უფრო საფუძვლიანად მიუზღვნენ  
 ამ საქმეს — განაახლეს აღზრდის სისტემა,  
 სცადეს ძველი რელიგიისათვის უფრო მეტი  
 ბრძნული, გასაგები აზრი მიენებებინათ.  
 მიწნით ჩამოაცალეს მას ყოველივე საკვირვე-  
 ლი და იდუმალებით აღსავსე; მოიშველიეს  
 მთელი თავისი განსწავლულობა, რომ ჩაეხერ-  
 გათ გზა ისტორიისაკენ, თავად ისტორია კი  
 სურდათ შინაურულ, ბიურგერულ ყოფით-  
 რაზურ სურათად ექციათ. ღმერთი სწავლულ-  
 თა მიერ დადგმული დიდი, გულისამაჩუყებე-  
 ლი სპექტაკლის მოცლილი მაყურებელი გახ-  
 და, რომელსაც ბოლოს ავტორებისა და მსახი-  
 რებისთვის უნდა ემასპინძლა და დითირამბე-  
 ბით შეემკო ისინი. უბრალო ხალხს სიამოვნე-  
 ბით ანათლებდნენ და უმაღლესი ენთუზიაზმი-  
 სთვის ამზადებდნენ; ასე ჩამოყალიბდა ახალი  
 ევროპული გილდია: ფილანთროპები და გან-  
 მანათლებლები. დასაანანია, რომ ბუნება, მიუ-  
 ხედავად მისი მოდერნიზების ცდებისა, ისეთი-  
 ვე ხაოცარი და შეუღწეველი, პოეტური და  
 უსასრულო დარჩა. თუ ძველი მორწმუნეობა  
 სადმე ოდნავ მაინც ახალ სინათლეზე წამოიმა-  
 რთებოდა, მაშინვე ყოველი მხრიდან განგაშს  
 ასტებდნენ და საშიშ ნაპერწყალს ფილოსო-  
 ფიითა და კკუით შეძლებისდაგვარად ნაცარში  
 აქრობდნენ. მიუხედავად ამისა, სიტყვა  
 „შემწყნარებლობა“ განმანათლებელთა ლოზუნგ-  
 ზე ეწერა, განსაკუთრებით კი საფრანგეთში,  
 სადაც მას ფილოსოფიასთან აიგივებდნენ. თა-  
 ნამედროვე ურწმუნოების ეს უაღრესად საკ-  
 ვირველი ისტორია ამავე დროს გასაღებია ახა-  
 ლი დროის ყველა არნახული ფენომენის შესა-  
 ცნობად. ის ამ საუკუნეში იწყება, განსაკუთ-  
 რებით მის ბოლო ნახევარში, სულ მალე კი  
 თვალუწვდენელ სიდიდეს და მრავალფეროვნე-  
 ხას აღწევს; მეორე რეფორმაცია, უფრო თა-  
 ვისებური და ყოვლისშემცველი, გარდაუვალი  
 იყო და ყველაზე განვითარებულ, ამავე დროს,  
 თავისუფლების უკმარისობის გამო ყველაზე  
 ღონეშიბდილ ქვეყანაში უნდა მომხდარიყო.

კარგა ხნით ადრე აღინთებოდა ზეციური  
 ციცხლი და განმანათლებლობის კკვიანურ გე-  
 გმებს ფერფლად აქცევდა, ერის ძალასა და  
 ზეგავლენას რომ არ გაემაართა მისთვის ხელი.  
 მაგრამ იმ დროს, როცა თვით სწავლულთა და  
 მთავრობათა, რელიგიის მტერთა და მათ მრავ-  
 ვალრიცხოვან მეკავშირეთა შორის ნაპრალი  
 გაჩნდა, თვით რელიგია კიდევ ერთხელ უნდა  
 ქცეულიყო წარმმართველ დამაკავშირებელ  
 რგოლად. მისი მეგობრების ვალი რელიგიის ამ  
 როლის აღიარება და საქვეყნოდ გამოცხადე-  
 ბაა, თუკი ის თავისთავად ქერ ძნელი შესამჩ-  
 ნევია, აღდგომის დრო დადგა და მოვლენები,



რომლებიც თითქმის მისი გამოცდებების წინააღმდეგ იყვნენ მიმართული და განადგურებით ემუქრებოდნენ, პირიქით, რევოლუციის ბედნაირ ნიშნებად მოგვევლინენ. ამის უარყოფას ვერ შეძლებს ისტორიული ადამიანების მქონე ვერც ერთი კაცი. კევშარიტი ანარქია რელიგიის გაჩენის პირობაა. განადგურებული პოლიტიკური პირობიდან წამოსწევს ის ბრწყინვალეობით მოსილ თავს, როგორც ახალი სამყაროს დამაარსებელი. ყველაფრისგან განთავისუფლებული ადამიანი თითქმის თავისთავად ესწრაფვის ზეცას, ერთგვაროვანი მასიდან თავისთავად იძვრებიან უმაღლესი ორგანოები და ყველა ადამიანი უნარიან და ძალის ერთიან გახსნას აჩქარებენ. ახე იქმნება მიწიერი არსებობის საწყისი ბირთვი. ხული ღმერთისა აქვია ზედა წყალთა, და უკუშეცდულ ტალღებზე წარმოჩნდება ზეცური კუნძული. ახალ ადამიანთა ზაფხული და მარადიული სიცოცხლის ავსი.

ვთქვათ, ადამიანი მშვიდად და მიუტერძოებლად აკვირდება სახელმწიფოს მშთანთქმელ ახალ დროებას. სახელმწიფო მოღვაწეთა ქმედება რომ სიწიფეს შრომად მოეჩვენება? აი, მაღწია წონასწორობის მწვერვალი. და მძიმე ტვირთი უკვე დაგორებას იწყებს შორე მხარეს. ვერახოდეს დარჩება ზემოთ, თუ ზიკის მოწოდებლობამ სიმაღლე არ შეუნარჩუნა. თუ თქვენი სახელმწიფო მიწისკენ ისწრაფვის, ყველა საბჭენი სუსტი აღმოჩნდება, მაგრამ ზეუფრთვით ის ზეცის სიმაღლეებისკენ აღტლვას. დაუკავშირეთ კოსმიურ სამყაროს: მით მოუღალავ ზამბარას შეტანთ მასში და თქვენი მონდომებაც უხვად იქნება დაჭილდურებული. ისტორიაზე მივითითებთ: დაძვნი მსგავსი ეპოქები. ისინი დაგმობდნენ, ისწავლეთ ანალოგიის ქაღალდური ქსისი მხარება.

საფრანგეთი საერო პროტესტანტიზმს ქადაგებს. იქნებ საერო იეზუიტებაც უნდა გაჩნდნენ და ბოლო საუკუნეების ისტორია განმეორდეს? იქნებ რევოლუცია ფრანგული უნდა იყოს, როგორც რეფორმაცია იყო ლუთერანული? ისევ შეცდომით უნდა ეწოდოს პროტესტანტიზმს რევოლუციური ხელისუფლება? სიტყვებმა სიტყვებს უნდა დაუთმონ ადგილი? წახდენის საწყისს ძველ ხუთშიც ეძებო? ძველ შენობაშიც? და გგონიათ, რომ უცვლელს ააგებთ, უკეთეს სულს შექმნიან? თუ ნეტავ ღმერთმა მოგხედოთ და ხელი აგაღებინოთ ისტორიისა და კაცობრიობის შეცვლაზე, მათთვის თქვენეული მიმართულების მიცემაზე. ის რომ ისედაც დამოუკიდებელია, თავდაქრებული, წინასწარგანმეტყველები და მართლაც უსასრულოდ ღირსი სიყვარულისა? მის შესწავლაზე, მიდევნებაზე, მისგან სწავლაზე, მასთან ფეხის შეწყობაზე, მისი აღტქმისა და ნიშნების რწმენაზე — არავინ ფიქრობს.

საფრანგეთში რელიგიისთვის ზეცა გაკეთდა თუნდაც იმით, რომ მას მთავალაქობის უფლება ჩამოართვეს და მხოლოდ ანარქიულ წრეში მიუჩინეს ადგილი. თანაც ერთი პირის სახით ეს არა, უთვალავი უფლებადმოქმედ ნაირსახეობაში. უცხო და შიგნით მომართული ხელახლა უნდა იზრუნოს გულთა მონადირებაზე და ყველას ხელახლა შეაყვაროს თავი, ვიდრე ოფიციალურად თავიანთ სცემენ და საერო საქმეებში ჩარევენ კეთილი რჩევისთვის და გონებათა აღსაგზნებად. ისტორიის თვალსაზრისით მართლაც რომ საკვირველია იმ დიდი რკინის ნიღბის ცდა, რომელსაც რომესპიერი ერქვა, და რომელიც რელიგიაში ეძებდა რესპუბლიკის სიმძიმის წერტილს და ძალას; ასევე გასაკვირია გულგრილობა, რომაც შეხვდნენ თეოფილანთროპიას, ახალი გასმანათლებლობის ამ მისტიციზმს, იგივე ითქმის იეზუიტთა ახალ მომავლარზე; — უახლესი პოლიტიკური ვითარების გამოიხიბით აღმოსავლეთთან მოახლოებაზეც.

დანარჩენ ევროპულ ქვეყნებს, გერმანიის გამოკლებით, შეიძლება ვუწინასწარმეტყველოთ, რომ მშვიდობასთან ერთად ისინი იგრძნობენ ახალი, უფრო მაღალი რელიგიური ცხოვრების ფეთქვას, რომელიც ყოველგვარ საერო ინტერესს შთანთქავს. მათგან განსხვავებით გერმანიაში უკვე სრული გულდაქერბით შეიძლება ახალი სამყაროს ნიშნების ჩვენება, გერმანია ნელა, მაგრამ მტკიცედ მიახლოვებს ევროპული ქვეყნების წინ, რომლებიც იმით, სპეკულაციითა და პარტიული სულისკვეთებით არიან გართული; გერმანელები მთელი მონდომებით უაღიბლებიან უფრო მაღალი კულტურული ეპოქის ადამიანებად, და ამ წინსვლამ მათ მომავალში დიდი უპირატესობა უნდა მიანიჭოს. მეცნიერებასა და ხელოვნებაში გრანდიოზული დუდილი იგრძნობა. უსასრულოა გონის მოზღვაება. ცინცხალ, ხელუხლებელ ენერგიას ებნება გზა. — უკეთესი ზვედრი არასდროს რგებია მეცნიერებას, ყოველ შემთხვევაში, უფრო დიდი იმედები მას არასდროს მოუცია; იკვლევინ საგნის ყოველ მხარეს, არაფერი რჩება ხელშეუხებელი, მსჯერდაუდები, გაუსინჯავი, ყველაფერი დამუშავებას განიცდის, მწერლები თვითმყოფადნი და ძლევამოსილნი ხდებიან, ისტორიის ყოველი ძველი ძეგლი, ყველა ხელოვნება, მეცნიერება პოულობს მეგობრებს და ნაყოფიერდება ახალი სიყვარულით გარემოცული; არანახული მრავალმხრივობა, საოცარი სიღრმე, ელვარე ზედაპირი, მრავლისმომცველი ცოდნა და მდიდარი, ძლიერი ფანტაზია შეიმჩნევა აქა-იქ, ხშირად თამამად შეერთებულიც. შემოქმედებითი თვითნებობა, უსაზღვრობა, უსასრულო მრავალფეროვნება, წმინდა თავისებურება და ყოვე-



ლის შემდგომად კაცობრიობის სიღრმეში წინათ-გრძნობას აღვიძებს. უმწეო ბავშვობის დი-ლის სიჭმრიაღან გამოდგომებული კაცთა მოდ-ვის ერთი ნაწილი თავის პირველ ძალებს გველებზე ხტდის, რომლებიც მის აკვანს გარს-შემორტყმიან და პატარა კიდურების მოხელ-თებას ცდილობენ. ყოველივე ეს ჭერ მინიშნე-ბებია, უბეში და ერთმანეთთან დაუკავშირე-ბელი, მაგრამ ისინი ისტორიული აღდგომით დაჭიდდომებულ მეთვალყურეს აუწყებენ უნი-ვერსალურ ინდივიდუალობას, ახალ ისტორიას, ახალ კაცობრიობას, ახალგაზრდა, საბჭად და-რჩენილი ეკლესიისა და მოხივარულე ღმერ-თის უტკბეს ამბორს და ახალი მესიის უწმინ-დეს ჩასახვას ერთდროულად ეკლესიის ათას სხეულში. ვინ არ უგრძნია ორსულობის ტკბი-ლი ხიმორცხვე? ახლადშობილი მამის ხატი იქ-ნება — ახალი ოქროს ხანა უძირო მუქი თვა-ლებით, წინასწარმეტყველი, სასწაულმოქმედი და ჭრილობათა მომშუშებელი, ნუგეშისმცემე-ლი და მარადიული სიცოცხლის აღმთები ხა-ნა — შერიგების დიდი ეპოქა, მაცხოვარი, მფარ-ველი სულივით შინაური ადამიანთა შორის, რომელსაც ვერ დაინახავ და შეიძლება მხო-ლოდ ირწმუნო, მორწმუნეთათვის მრავალ სა-ხედ არსებული, პურად და ღვინოდ შექცეუ-ლი, საყვარელსავით გულში ჩაკრული, მადრი-ვით ჩასუნთქული, ხიტყვად და ხიმღერად ვაგო-ნილი და დამცხრალი სხეულის სიღრმეში სიყ-ვარულის უმწვანესი ტკივილების ქვეშ სიკვდილ-სავით ზეციური ნეტარებით მიღებული.

ახლა იმდენად ავმალდით, რომ ზემოთხე-ნებულ წარსულ დროებსაც მეგობრულად შეგ-ვიძლია გავუღიმოთ და იმ სისულელეებშიც აღმოვაჩინოთ ისტორიული მასალის საკვირ-ველი კრისტალიზაცია. გვსურს მადლობის ნიშ-ნად სწავლულებსა და ფილოსოფოსებს ხელი ჩამოვართვათ, რადგან ეს აღუწია შთამომავა-ლთა სასარგებლოდ საბოლოოდ უნდა გამჭრა-ლიყო და მის ნაცვლად საგანთა მეცნიერული მხარე გამოჩენილიყო. მორთულ ინდოეთსავით მომხიბლავი და ფერადი ღვას პოეზია კაბინეტუ-რი აზროვნების ცივი და მკვდარი შაიხბერგენის პირისპირ, ინდოეთი რომ დედამიწის ცენტრის სიბნელსა და ბრწყინვალეობაში დარჩეს, ცივმა, გაქ-ვავებულმა ზღვამ, უსულო კლდეებმა, მოქცედი-ლი ცის ნაცვლად ნისლმა და გრძელმა ღამემ უნდა გააუცარიელონ მსოფლიოს ორივე განა-პირა მხარე. შექანიკის ღრმა მნიშვნელობა მძი-მედ აწვით გონების უდაბნოში განდევნით, პირველად მეცნიერების მომხიბვლელობამ შეძრა ისინი, ძველმა შური იძია მათზე, უარყვეს და ახლად მოპოვებულ თვითშეგნებას მსხვერპ-ლად შესწირეს სამყაროში არსებული უწმინ-დესი და უღამაზესი რამ, ისინი იუვნენ პირ-ველები ვინც ბუნების სიწმინდე, ხელოვნების

უსასრულობა, ცოდნის ხატიბობა, ხაერო ცხოვრება, საქმეში განხორციელებული ღონისძიებები არსებობა ჭეშმარიტი ისტორი-ისა აღიარეს და საგაროდ განიცნად. ამით ბოლო მოეღო წარმოუდგენლად უცნაურ-ბულ, ხელშეუხებელ და საშინელ სიწმინდე-თა ბატონობას.

მხოლოდ რელიგიის უფრო ზუსტი შესწავლა მოგვცემს საშუალებას, სწორად შევაფასოთ რელიგიური ძალის შემადრწუნებელი შედეგე-ბი, წმინდა ორგანოს სიჭმრები და ავადმყო-ფური ბოდვა და თვალნათლივ დავინახოთ ზე-მოთ აღნიშნული შენაძენის მნიშვნელობა. სა-დაც ღმერთები არ არიან, მოჩვენებანი ბატო-ნობენ. ევროპული მოჩვენებების გაჩენის დრო საკმაოდ სრულად ხსენის მათ ბუნებას; ეს არის ბერძნული მრავალღმერთიანობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის ხანა. მაშ, მოდით, ფილან-თროპებო და ენციკლოპედიისტებო, შეუერთ-დით მშვიდობის დამფუძნებელ საზოგადოებას და მიიღეთ ძმური ამბორი, ჩამოიცოცხლეთ ნაც-რისფერი ბადე და ახალგაზრდული სიყვარუ-ლით შეხედეთ ბუნების, ისტორიისა და კაცობ-რიობის სასწაულებრივ ბრწყინვალეობას. მე გაგიძღვებით ჭეშმარიტ ძმასთან, მისი საუბარი აუცილებლად გულებს გაგიხსნით და თქვენც ახლებურად შემოსავთ ოდესღაც ძვირფას, აწ გაშეშებულ წინათგრძნობას, ხელახლა შეით-ვისებთ და შეიცნობთ იმას, რაც შორით გე-ლანდებოდით და რისი წართმევაც მძიმე, ნი-წიერ გონებას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო.

ეს ხმა ახალი დროის გულისცემაა: ვინც ის შეიგრძნო, დროის შეცვლაშიც არ დაეჭვდება, ნაწი სიამაყით აღივსება, როგორც მისი თანა-მედროვე, ბრბოს გამოეყოფა და შეგირდთა ახალ გუნდს შეუერთდება. მან შეუქმნა ღვთის-მშობელს ახალი საბურველი, რომელიც ქალ-წულის ღვთაებრივ აღნაგობას მკვეთრად წარ-მოაჩენს და მაინც უფრო მორცხვად ფარავს მას, ვიდრე რომელიმე სხვა. — ქალწულის-თვის საბურველი იგივეა, რაც სხეულისათვის სული, შეუცვლელი ორგანო, რომლის კალთე-ბი სიტყვებია მისი უტკბესი ღაღადებისა; ნაყევების უსასრულო თამაში მუსიკაა, რად-გან ჩვეულებრივი ენა ქალწულისათვის მეტის-მეტად უბეში უთამაშია, მისი ბავშვ მხო-ლოდ სახიმღეროდ იხსნება. ჩემთვის ეს ხიმ-ღერა საზეიმო შეძახილია, გზადმიმავალი ინგ-ლისელი პეროლდის ძალუმი ფრთების ქნევია, რომელიც ხელახლა მოგვიწოდებს პირველადი შეკრებისაკენ, ეს პირველი ტკივილებია! შობი-სათვის მზად უნდა იყოს უველა!

ფიზიკის უმაღლესი საფეხური მიღწეულია, და ჩვენ მთ უფრო ადვილად შეგვიძლია მეც-ნიერთა ამქარს გადავხედოთ. ზედაპი-რულ მეცნიერებათა გასაჭირი უკანასკნელ



ხანს ნათლად ვიხილეთ, რადგან უფრო ახლოს გავეცანით მათ. ბუნებამ საშინლად მწირი სახე მიიღო და ჩვენ, აღმოჩენათა ბრწყინვალეობას თვალშეუჩვევლებმა, ვარკვევით დაფინახეთ, რომ საქმე გვქონდა ნასესხებ სინათლესთან, და რომ ნაცნობი იარაღებითა და მეთოდებით იმ მოსაძებნსა და ძიებითად ვერც ვიპოვიდით და ვეღარც შევქმნიდით. უველა მეცნიერი საკუთარ თავს უნდა გამოსტყუდომოდა, რომ ერთი მეცნიერება მეორის გარეშე ვერ იარსებებს. ასე იქმნებოდა მისტიფიკაციის ცდები მეცნიერებაში, და ფილოსოფიის საკვირველი არსებაც. ამჟამად როგორც წმინდად გამოხატული მეცნიერული ელემენტი, მეცნიერებათა ძირეულ, სიმეტრიულ სტრუქტურად იქცა.

სხვებს კონკრეტული მეცნიერებანი ახალ წესრიგში მოჰყავდათ, ხელს უწყობდნენ მათ ცხოველ ურთიერთობას და ცდილობდნენ დაეღვინათ მათი ისტორიულ-ბუნებრივი კლასიფიკაცია. ეს სიტუაცია ისევ გრძელდება და ადვილი გამოსაანგარიშებელია, თუ რა ბელსაურელია გონების მაღალი განვითარებისათვის გარეგან და შინაგან სამყაროსთან ურთიერთობა, პირველის ცოდნასა და მეორის აღგზნებასა და კულტურასთან, თუ როგორ გაუმჯობესდება ამინდი ასეთ პირობებში და როგორ გამოიკვეთება ხელახლა ძველი ზეცა და მიცვენ ლტოლვა, სიცოცხლით სავსე ასტრონომია.

ახლა ჩვენი დროის პოლიტიკურ სპექტაკლზე გადავიტანოთ ყურადღება. ძველი და ახალი სამყარო ერთმანეთს ებრძვის, დღემდე არსებული სახელმწიფო დაწესებულებების ნაგლოვანებები და სიდუხჭირე საშინელ ფენომენებად წარმოგვიდგება, რას იტყოდით, ისევ როგორც მეცნიერებაში, ომის ისტორიული მიზანი ევროპული ქვეყნების პირველი მკიდრო და მრავალმხრივი შეხება და კავშირი რომ იყოს, აქამომდე მიძინებული ევროპა რომ შეტოკდეს, გამოღვიძება რომ მოინდომოს; სახელმწიფოთა სახელმწიფოსთვის, მეცნიერულ-პოლიტიკური მოძღვრებისათვის რომ ვიყოთ განშაადებული! იქნებ იერარქია, სახელმწიფოთა ეს ძირეული სიმეტრიული სტრუქტურა, ქვეყანათა ერთობის პრინციპი, პოლიტიკური „შე“-ს ინტელექტუალური თვალსაზრისი უნდა იყოს? შეუძლებელია, საერო ძალები თავისთავად გაწონასწორდნენ, მხოლოდ მესამე ელემენტს, რომელიც ერთდროულად საეროც არის და არამიწიერიც, ძალუძს ამ ამოცანის გადაჭრა. მეზრძოლი მხარეები ვერ დაზავდებიან, მშვიდობა მხოლოდ ილუზიაა, მხოლოდ დროებითი ზავი. კაბინეტური აზროვნებისთვის, ისევ, როგორც ხალი გონებისათვის, შეერთება წარმოუდგენელია. ორივე ნაწილს გააჩნია დიდი და აუცილებელი პრეტენზიები, და მათი

განცხადების აუცილებლობა თვით მსოფლიოს, კაცობრიობის ხასიათითაა განპირობებული. ადამიანის მკერდში ბინადრობს ორივე აღმოუფხვრელი ძალა: ერთი გარდასულის რიდი, ისტორიული ცნობებურების ერთგულება, წინაპართა ძველებს მსგავსი სახელმწიფოთა ძველი, ბრწყინვალე ოჯახის სიუვარული, მორჩილების სინარული; მეორე — აღმნთები შეგნება თავისუფლებისა, გავლენის სფეროს გაზრდის უსაზღვრო მოლოდინი, სიახლისა და სინორჩისკენ ლტოლვა, ძალდაუტანებელი შეგნება საზოგადოების უველა წევრთან, სიამაყე ადამიანის ღირსების გამო, პირადი უფლებითა და საერთო საკუთრებით გამოწვეული სიხარული და მოქალაქეობის ძლიერი შეგრძნება. ერთი ვერ იქნება მეორის განადგურების იმედით; დაპურობათა სიმრავლეც არაფრის მთქმელია, რადგან ნებისმიერი იმპერიის ქეშმარიტი დედაქალაქი მიწათბრილების მიღმა არ ძევს და იერიშებსაც არ ნებდება.

ვინ იცის, საკმაოდ იბატონა თუ არა ომმა, მაგრამ ის არასდროს დამთავრდება, თუ არ გვიხსნა პალმის რტომ, რომელსაც მხოლოდ სასულიერო ძალა მოგვაწვდის. ევროპა სიხლის ნაკადებით იქნება მორწყული, ხანამ ერები ცხადად არ აღიქვამენ გზა-კვალის ამბნევ, შემადრწუნებელ შეშლილობას, ხანამ დაცრებიან, ერთმანეთს შეერევიან, ყოფილ საკუთრებვლებს მიუბრუნდებიან წმინდა მუსიკით მოხიბლულნი, მშვიდობიან საქმეებს მოჰკიდებენ ხელს და, ცხარე ცრემლებით აღსავსენი, კვამლადენილ ბრძოლის ველზე მშვიდობის ნიშნად სამოყვრო ხუფრას გაშლიან. მხოლოდ რელიგიას შეხწევს უნარი, გამოაფხიზლოს ევროპა, განამტკიცოს ხალხები და ქრისტიანობა ახალი ბრწყინვალეობით ჩააბას ძველ, მშვიდობის დამფუძნებელ სამსახურში დედა-მიწაზე.

ნუთუ ერებს უველაფერი ადამიანისა აქვთ — გარდა გულისა? — გარდა ამ წმინდა ნაწილისა? ისინიც ხომ ადამიანებსავით უმეგობრდებიან ერთმანეთს საუვარელ ცხედართა წინაშე, მტრობასაც ხომ ივიწყებენ, როცა მათში ღვთაებრივი თანაგრძნობა იღვიძებს — როცა ერთი უბედურება, ერთი ვარამი, ერთი გრძნობა უცრემლებთ თვალებს? ხომ მთელი არსებით არიან შეპურობილი მსხვერპლის გაღებისა და ერთგულების მოთხოვნილებით? ხომ ნატრობენ მეგობრობას და მოკავშირეობას?

ხად არის ის ძველი, სათნო, გამაკეთილშობილებელი რწმენა ღვთის მმართველობისა დედამიწაზე, ხად არის კაცთა ღვთაებრივი ურთიერთობა, მორწმუნე ადამიანის გულშიჩაწვდომი მოკრძალება აღტაცების წაშს, ხად არის ქრისტიანობის ქეშმარიტი ხული, რომ



მელიც უველას და უველაფერს მკერდში ჩაიკრავს?

ქრისტიანობას სამი სახე აქვს. ერთია რელიგიის ჩასახვა, როგორც ზოგადად რელიგიისგან მონიჭებული სიხარული. მეორეა შუამავლობა, საერთოდ როგორც რწმენა უოველივე მიწიერის უოვლის შემძლეობისა, მარადი სიცოცხლის პურ-ღვინოდ ქცევისა. მესამეა რწმენა ქრისტესი, ღვთისმშობლისა და წმინდანების. აირჩიეთ, რომელიც გენებოთ, აირჩიეთ სიმივე ერთად, სულ ერთია: თქვენ შეიქნებით ქრისტიანნი, წევრნი ერთადერთი, მარადიული, წარმოუდგენლად ბედნიერი მრევლისა.

გამოყენებითი, ცოცხალი ქრისტიანობა იყო ძველი კათოლიკური რწმენა, უკანასკნელი მის მსგავსთა შორის. მისი არსებობა ცხოვრების უველა ხფეროში, ხელოვნების სიუვარული, უღრმესი ჰუმანურობა, ქორწინებათა სიმტკიცე, კაცთმოყვარული გუულდიაობა, კეთილგანწყობა სიღარიბის, მორჩილებისა და ერთგულების მიმართ უტყუარად მიგვითითებენ მასზე, როგორც კრეშმარიტ რელიგიაზე და მისი ბუნების ძირითად მხარეებს წარმოგვიჩენენ.

ის დროთა ნაკადშია განბანილი, გუულითად, განუყოფელ კავშირშია ქრისტიანობის ორ დანარჩენ სახესთან და მათთან ერთად სამარადისო ბედნიერება მოაქვს დედამიწისთვის.

მის შემთხვევით ფორმას აღარაფერი უკლია სრულ განადგურებამდე, სამარეს მიაბარეს პაპის ძალაუფლება, და რომი მეორედ იქცა ნანგრევებად. აღარ უნდა დამთავრდეს პროტესტანტიზმი? არ დადგა დრო, რომ მან აღგილი ახალ, შედარებით გამძლე ეკლესიას დაუთმოს? კვეყნის სხვა ნაწილები მიტევებასა და აღდგომას ელიან ევროპისგან, იმისათვის,

რომ თავადაც შეუერთდნენ მას და ღვთიური სამეფოს წევრნი გახდნენ. რატომ არ უნდა გაჩნდეს ევროპაში მთელი რიგა კრეშმარიტად წმინდა აღამიანებისა? რელიგიის უველა მოუვარე ზომ ინატრებს მაშინ ზეცის უღმრესად მიწაზე, ერთად უოფნას და წმინდა სიხარულების სიმდერას?

ქრისტიანობამ ისევ უნდა ჩაიდგას სული და ამოქმედდეს, ხელახლა უნდა შექმნას კვეყნის საზღვრებზე დამოუკიდებელი ნათელი ეკლესია, რომელიც თავის სავანეში მიიღებს ზეციურს მოწყურებულ სულებს და სიამოვნებით გახდება ძველი და ახალი მსოფლიოს შუამავალი.

ლოცვა-კურთხევით სავსე რქა ქრისტიანობამ ისევ უნდა დააფრქვიოს ხალხებს, ღირსეულთა საეკლესიო კრებაზე ევროპაში აღდგება ქრისტიანობა და რელიგიის გაცოცხლების საქმე უოვლისმომცველი, ღვთაებრივი გეგმით განხორციელდება. აღარავინ გამოთქვამს პროტესტს საეკლესიო ან საერო ძალების წინააღმდეგ, რადგან ეკლესიის არსი კრეშმარიტი თავისუფლება იქნება, და უველა საჭირო რეფორმა მისი ხელმძღვანელობით გატარდება. როგორც მშვიდობიანი და ოფიციალური სახელმწიფო პროცესი.

როდის მოხდება ეს? ამას ნუ იკითხავთ. მხოლოდ მოთმინება იქონიეთ, ის მოვა. ის აუცილებლად მოვა, მარადიული მშვიდობის ნეტარი დრო, როცა ახალი იერუსალიმი გახდება მსოფლიოს დედაქალაქი, მანამდე კი მედგრად დახვდით უველა დროებით საფრთხეს. ჩემო თანამორწმუნენო, სიტყვითა და საქმით იქადაგეთ საღმრთო ევანგელე, და სიკვდილამდე ერთგულნი დარჩით კრეშმარიტი, უსასრულო რწმენისა.



რობერტ ბერნსის სატირა

**შ**ოტლანდიის ერთ პატარა ქალაქში, კელმარნოკში 1786 წელს გამოვიდა ლექსთა კრებული მომცრო ტომი. წიგნის ავტორი ახალგაზრდა ფერმერი ეინმე რობერტ ბერნსი გახლდათ. ამ წიგნმა, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში „კელმარნოკულ ტომად“ არის ცნობილი, ავტორს სიცოცხლეშივე მოუტანა სახელი და დიდება, გარდაცვალების შემდეგ კი უკვდავება.

ლიტერატურის კრიტიკოსები მწერლებს თუ პოეტებს დააჯგუფებდნენ ხოლმე. ბაირონსა და შელისთან ერთად მოიხსენიებენ უფრო უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, მესამე დიდ პოეტს ჯონ კიტსს. ამისათვის იქნებ არის კიდევ საფუძველი: ერთნაირი პოლიტიკური შეხედულებანი, გაბატონებულ კონსერვატულ მცენებთან უარყოფა, პოეტური აზროვნების დამოუკიდებლობა, ნაწარმოებთა თემატიკის მკაცრება, ბუნების სიმშვენიერის და ადამიანის ქვეშევრდკობის გრძნობათა დაპირისპირება თანამედროვე ცივილიზაციის ბიწიერებასთან და მრავალი სხვა...

ამ მხრივ რობერტ ბერნსს ვერ ვუპოვიტ ლიტერატურულ პარტნიორს. რომანტიული, იმპულსური და სიყვარულით გულსასვსე ბერნსი, ერთ-ერთი იქნებ არც იყოს ის პოეტიკური, რომელსაც უნდა ეთაყვანებოდეს უაღრესად კეთილგონიერი პურიტანი. მაგრამ იმ დუქორ დროში, შოტლანდიის ერთ ჩამორჩენილ მხარეში, კელმარნოკში გამოდიოდა „კელმარნოკული ტომი“, რომლის ლექსები გარდა წმინდა ენისა ადგილობრივ დიალექტზეც იყო დაწერილი, ერთიანად მოინადირე ამაღალ გული. რობერტ ბერნსი შოტლანდიელი ხალხის სახელით გამოვიდა და სამწერლო ასპარეზზე.

ცნობილი ბერნსოლოგის იან ნიშონს აზრით, არც ერთი ადამიანი არ მოქცეულია კრიტიკით თუ ლიტერატურათმცოდნეთა მიეროსკოპის ქვეშ იმდენჯერ, რამდენჯერაც ბერნსი და არც მიეროსკოპს უჩვენებია ასე მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი სურათი. ხოლო თვით

სურათები არასოდეს ყოფილა ასე დამახინჯებული“.

შეიძლება ეს აზრი გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ ყველა დიდი პოეტის შემოქმედების განაილვას თუ ტექნიკური სიზუსტით ჩხრეკას ასეთი რამ თანსდევს ხოლმე. პოეტის შემოქმედების ზოლონდე ჩაწვდომა შეუძლებელია. ამიტომაც, თითქმის იმავე აზრს რომ იმეორებს გამოჩენილი კრიტიკოსი დ. დეიზისი — „არც ერთ პოეტ-ლირიკოსზე არ ულაპარაკიათ იმდენი და არც იმდენი მეტადი აზრი გამოუთქვამთ, რამდენიც რობერტ ბერნსზეა გამოთქმული“. კანადელი კრიტიკოსი ფ. სანაიდერი წერს, რომ პოეტის პირველი კრებული გამოცემისთანავე „ბერნსის პიროვნება და მისი შემოქმედება თითქმის შეუწელებელი პოლემიკის საგნად იქცა“. ამ გაცხოველებული გამოთის ძირითადი საკითხებია ბერნსის შემოქმედების შთაგონების წყარო — შოტლანდია და მისი ხალხი, პოეტის თვითმყოფლობა, თავისებურება, მისი დამოკიდებულება ხალხთან, ლიტერატურულ ტრადიციებთან და ისტორიასთან.

ყოველი, კრიტიკოსი, ბოგრაფი თუ ლიტერატურის სპეციალისტი საკუთარი თვალთახედვით უდგება პოეტის მრავალფეროვან შემოქმედებას, წინა პლანზე გამოაქვს ერთ-ერთი მხარე, რომელიც მას თვალში ეცემა, ან უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, და იწყებს მის ანალიზს. არიან ისეთი სპეციალისტებიც, რომლებიც წინასწარ განზრახვით ცდილობენ ბუნდოვანების ბურუსში გაახვიონ დიდი პოეტის შემოქმედების ყველაზე ნათელი მხარე, ის, რაც ყველაზე დამახასიათებელია და მკვეთრ ფერებშია გამოსახული მის შემოქმედებაში. ასეთმა ტენდენციებმა განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში იჩინა თავი. ამ პერიოდს კრიტიკოსები ბერნსს ახსიათებენ გარ სოფლურად იდილურად, მ-პოეტის რომლის გულს მობიძგა ქერის ყანებისა და მოჩუჩხუტე შვაროების, სოფლის ტყვერანებისა და ლუწბაყაში ღრუბის მეტი არაფერი აღელვებს. ასეთ ტენდენსიას დღესაც ჰყავს მომხრეები. ინგლისელი კრიტიკოსი ჯონ ლინდსეი



პოეტის სიდიადეს მის, ასე ვთქვათ, კუთხურობაში და ეროვნულ კარჩავეტილობაში ხელდას. მისი აზრით, ბერნის პოეტური ტალანტი მხოლოდ „სამიკიტნოების მთვრალი ხალხის, ფათურაჲს გადაყრილი, შეცდენილი სოფლელი ქალწულების, მთის ყვავილებისა და ყველაფრის ამტან საქონლის“ დამაჭერებელ, პოეტურ გამოხატვაში პოულობს გაქანებას. ამავე დროს იგი უკირკიტებდა ბერნის პოეზიის სიდიადის „საიდუმლოებას“ და მას პოეტის რელიგიურობაში პოულობს. შემდეგ განაზოგადებს ამ აზრს და დაასკვნის, რომ ეს სულსა და ხორცში გამჭდარი რწმენაა შოტლანდიის ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელი, არსებითი შტრაბი, მისი ნამდვილი დედააზრი.

ასეთი სუბიექტური მიდგომა ბერნის შემოქმედებისადმი არც პირველია და, ალბათ, აოც უკანასკნელი იქნება იმ მკვლევართათვის, რომელთაც უნდათ „გუთნისდღა პოეტის“ შემოქმედება გარჩევა-განხილვის ეიწრო ჩარჩოებში მოაქციონ. ეს ყველაფერი კი გამიზნულია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს პოეტის იდეური თუ ესთეტიკური შემოქმედების საოცარ ძალას, რომელმაც ასე ნათლად იჩინა თავი მის ლექსებში ბერნის სიკოცხლეშივე და ასე მძაფრად, ცოცხლად იგრძნობა ჩვენს ეპოქაშიც.

ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობა ხშირად ამახინჯებს არა მარტო ბერნის შემოქმედების კონცეფციებს, არამედ გულგრილ, უაპელაციო ტონით ბიოგრაფიული და ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციასაც ახდენს. ამ მხრივ ინტერესმოკლესელი არ არის ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ჰ. პარსონის საკმაოდ სოლიდური მონოგრაფია — „ვალტერ სკოტი, მისი პიროვნება და ნაშრომები“. სადაც იგი მოუთხრობს მკითხველს თხუთმეტი წლის ყრმა ვალტერ სკოტის შეხვედრის ამბავს დიდ შოტლანდიელ პოეტთან, ცნობილია, რომ ამ შეხვედრით აღტაცებულმა ვ. სკოტმა დიდი თანამეგობრის წრფელი პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული მრავალი წერილი და სპეციალური შრომა მიუძღვნა რ. ბერნს. ამ ფაქტების მიუხედავად, პროფესორი პარსონი აცხადებს: „სრულიად სარწმუნოა, რომ სკოტი მოგვიანებითაც შეეცდებოდა კიდევ ერთხელ შეხვედროდა ბერნს, მაგრამ იგი ისე აღაშფოთა მისმა რევოლუციურმა შეხედულებებმა, ლოთობამ და მდაბიო ხალხთან ურთიერთობამ, რომ განზრახვაზე ხელი აიღო, ადაშიანი, რომელიც ბოთლის განუყრელი მეგობარი გახლავთ და დასაძინებლადაც კი ბრენდით ხელში მიბრძანდებოდა, სკოტის იდეალური მეგობარი ვერ იქნებოდა“. პოეტის ასე დანახვა, ვფიქრობთ, მკრეხელობაა. გენიალური პოეტის შემოქმედების განხილვისას, მითუმეტეს, რომ პროფესორ ჰ. პარსონს ბერნის პოეტური სულის

ანალიზის პრეტენზიაც გააჩნია, იმას, თუ რა ეცემა მას, რა ეზურა, ან რომელ ხელში ეჭირა ბოთლი, მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს. მაგრამ თავი და თავი აქ „რევოლუციური შეხედულებები“! პოეტმა ბერნსმა ბევრი გამგონება განიცადა თავისი გაბედული, ექსპერიმენტული ლექსების, ეპიგრამებისა და ეპიგრამების ინგლისისა და შოტლანდიის ხელისუფალთა და მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია საფრანგეთის რევოლუციისადმი მიძღვნილმა ლექსებმა. რევოლუციით აღტაცებული პოეტი მასში ხელდავდა გრანდიოზულ ძვრებს, ცვლილებებს, თავისი ჩაგრული, დამონებული სამშობლოს თავისუფლების ვარსკვლავს, თანგრძნობისა დიდდი სიშშითიკის ნიშნად პოეტმა საკუთარი პირობებით შეიძინა სამი პატარა ზარბაზნი და ფრანგ რევოლუციონერებს გაუგზავნია დუკრის საბაჟოში ზარბაზნები შეაჩერეს. შოტლანდიის აქციზის გენერალურმა ინსპექტორმა პოეტს წერილი გაუგზავნა და მკვახედ მოეწოდა — „სამსახური, არავეითარი ოცნება!“ ბერნსმა ამ დოკუმენტს მეორე მხარეზე მწვავე სტრიქონები მიაწერა:

ნუ ზედავ, ჩაიგდე ეხა,

წინდება გაქვს დაკეშილი.

იცოდე, ზედვა და სმენა —

მხოლოდ მღაღართაა წილი

ინგლისის მთავრობამ უკვე აღიარებულ პოეტს დაპატიმრება ვერ გაუბედა, მაგრამ „არასიამედო პირად“ შერაცხა და დაიწყო მისი დევნა-შევიწროება. აი, ეს „რევოლუციური შეხედულებები“ არ მოსწონს პროფესორ ჰ. პარსონს და ამის გამო ვერ მიუჩხევია ბერნს ვალტერ სკოტის „იდეალურ მეგობრად“. ამიტომ აღარ არის გასაკვირი ბურჟუაზიული კრიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობა ბერნის ცხოვრებაზე თუ მის პოეზიაზე. კანადელი ლიტერატურათმცოდნე ფ. სნაიდერი წერს და უამრავ მაგალითიც მოჰყავს, თუ რაოდენ პოპულარულია რობერტ ბერნის მთელი მსოფლიოს უბრალო, პატიოსან ადამიანთა შორის. აღტაცებას ვერ ფარავს მისი მდიდარი, ხატოვანი, დახვეწილი ენის გამო. საგულდაგულოდ აღნიშნავს ამ საოცარი პოეტის შემოქმედების თავისებურებას, სრულყოფილებას, პოეტურ ოსტატობას და არაჩვეულებრივ უნარს, უცებ ჩასწვდეს საგანთა თუ მოვლენათა ქეშმარიტ არსს. მაგრამ ამავე დროს შეკითხვაზე, — „რით იხსნება ბერნის ასეთი დიდი პოპულარობა და სიყვარული, რაშია მისი ეპიკრატესობის „საიდუმლოება“ სხვა ინგლისელ პოეტებთან შედარებით?“ — სნაიდერი პასუხობს, რომ შოტლანდიელი პოეტის ეს თითქმის „დაუჭერებელი“ პოპულარობა, ნიუხედავად იმისა, რომ იგი გაცილებით დაბლა დგას და არა მხოლოდ



შექსპირსა და ჩოსერზე, არამედ ბრაუნინგსა და ჯორდსვორთზეც, მიხსნება იმით, რომ „ვინ არ აფრთხობს მკითხველს თავისი გენიალობით, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში პროგრესულად მოაზროვნე ლიტერატორები, მწერლები, პოეტები, ადვილად ჩაწვდნენ ბერნსის პოეზიის ძალას და ქეშმარიტ დედაბრსს, საზღვარგარეთელი თუ რუსი კლასიკოსები, სიტყვის დიდოსტატები, მოწინავე კრიტიკოსები ბერნსის შემოქმედების საფუძვლად მის ხალხურობას მიიჩნევდნენ. ბერნსის პოეზიისა და შოტლანდიელი ხალხის მჭიდრო კავშირს აღნიშნავდნენ იოჰან ვოლფგანგ გოეთე და ჯორჯ გორდონ ბაირონი. ასეთივე შეხედულებისაა ტ. შენერენკოც. ბერნსის პოეზიის „საიდუმლოება“ მისი წმინდა ხალხურობაა. პოეტის სული, მისი მსოფლმხედველობა, მშობლიური ქვეყნის წიადში იღებს სათავეს. შოტლანდიელი ბარდის შემოქმედების ამოუცნობ, საიდუმლოებას ქართველი ლიტერატურათმცოდნეებიც ჩასწვდნენ. „...ხალხი იყო რობერტ ბერნსის შთაგონების წყარო, ხალხისგანვე ჰქონდა მას შესისხლხორცებული არა მარტო თავისი ლექსებისა და ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი, სილამე, სიმსუბუქე და უშუალობა, არამედ მთელი მსოფლმხედველობა, სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული, მტრის სიძულვილი, პატიოსნება, კაცური კაცობა, ოპტიმიზმი და თავისუფლებისათვის თავდადება. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად დაასახელებთ პოეტს, ბერნსისოდენი მედლოს ხალხისაგან და მისებრ გაათავიციებთ მიეზლოს მშობელი ხალხისათვის“, — წერს ცნობილი ქართველი მწერალი და მთარგმნელი ვ. კელიძე. ბერნსის შემოქმედება უშუალოდაა დაკავშირებული შოტლანდიურ ხალხურ ლიტერატურასთან, მჭიდრო ურთიერთობა აქვს თავისი ხალხის მუსიკალურ ფოლკლორთანაც. ათი წლის მანძილზე აგროვებდა ბერნსი ხალხურ ლექსებს, ბალადებს, სიმღერებს, შაირებს. ბევრი აღადგინა და პირველყოფილი სახით დაგვიტოვა. ბევრიც გადაამუშავა. ეს „უხეში“ პოეზია არ მოსწონდა ზოგიერთ გამომცემელს. იმიტომ ფოლკლორის ნიმუშებს ბერნსი ამუშავებდა უსასყიდლოდ, ოღონდ დაებეჭდათ და გამოეცათ. მან სამუდამო მივიწყებას გადაარჩინა შოტლანდიელი ხალხის ტალანტის ბრწყინვალე მარგალიტები, შემოუნახა იგი მომავალ თაობებს. რ. ბერნსი აგროვებო ხალხური მუსიკის ნიმუშებსაც, უსიტყვო მელოდიას ახალ სიტყვებს უწერდა, რომელიც ისე შეეფარებოდა მას, რომ დღეისათვის პოპულარულ ხალხურ სიმღერებად იქცა და მიუჩვენელი ყურა ვერც გააჩნევს — ეს ბერნსისაა თუ შოტლანდიური ფოლკლორის ნიმუში. რობერტ ბერნსის შემოქმედებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები მშობლიურ მიწაში.

მისი ბევრი შესანიშნავი ლექსი თუ პოემა სწორედ იქიდან იღებს სათავეს, ბერნსი ორგანულად შეერწყმული, შესისხლხორცებული თავის ხალხთან. ეს არის მისი „საიდუმლოება“.

ბერნსის შემოქმედებას უფროსი ხალხურობა, მისმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა მიზანსწრაფვამ დააინტერესა XIX საუკუნის რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. „სოვრემენიკის“ ვარ-შემო შემოკრებილი პოეტები და მწერლები დიდად აფასებდნენ ბერნსს. ბ. ბელინსკი მას ასახელებს ამ მწერალთა და პოეტთა გვერდით, ვინც შექმნა „ლირიკული პოეზიის უმდიდრესი საგამაძური“, „ნამდვილი ხალხური მოტივებისა და ხასიათის მატარებელი შემოქმედება“. — ასე უწოდებს ნ. ოგარევი რობერტ ბერნსის შემოქმედებას. შემთხვევითი არ არის, რომ ბერნსის შესანიშნავი პოეზიის ნიმუშები პირველად თარგმნეს რუსმა პოეტებმა, რომელნიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული XIX საუკუნის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან. ესენი არიან ა. მიხაილოვი და სამოცაანი წლების გამოჩენილი მოღვაწე ვ. ყუროჩკინი.

საქართველოში კარგად იცნობენ ბერნსის სახელს. ლიტერატურული პარალელების მოტრფილენი „გუთნისდღა პოეტს“ — ბერნსს ვაჟა-ფშაველას ადარებენ, შესაძლოა, ასეთი შედარების საბაზი არსებობს კიდევ — ორივე პოეტი მოის შვილია, ორივემ დუხჭირი ცხოვრება განვილო. ერთსაც და მეორესაც ცალ ხელში გუთნის სახელური ეჭირა, მეორეში კი — კალაში. მაგრამ მათი მტკიცე სული სილატაკემ ვერ მოტება და დარჩნენ თავისუფლების, სიყვარულის და დიადი მეგობრობის მომღერლებად. ბერნსსაც უწუნებდნენ ენას, როგორც „ფშაველს“... ერთი რამ ცხადია: ვაჟა-ფშაველასა და რობერტ ბერნსის მსგავსმა ხალხმა — პოეტებმა, ბარდებმა, ერისკაცებმა გადაარჩინეს და შემდგომ თაობებს შემოუნახეს თავისი ქვეყანა, დედა ენა, ტრადიციები, ფოლკლორი. არადა, ბატარა ქვეყანას ყოველთვის ემუქრებოდა მეზობელი ძლიერი სახელმწიფო ასიმილაციით, ტერიტორიის მიტაცებით, შთანთქმით. რობერტ ბერნსის ბევრი ლექსია ქართულ ენაზე თარგმნილი გამოჩენილი ქართველი პოეტებისა და მთარგმნელების მიერ (თამარ ერისთავი, გივი გაჩეჩილაძე, მოსე ქარჩავა, ფილიპე ბერიძე). ერთი ლექსი „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ (რომელსაც მუსიკა კომპოზიტორმა გ. ცაბაძემ დაუწერა) მთელმა ქართველმა ერმა აიტაცა და სიმღერად აქცია, ისე ახლოს აღმოჩნდა ამ ლექსის აზრი ქართველი კაცისათვის.

მე არავის ვემონები,  
არც ებატონობ არავის,  
მტერს მიშველი ხმალით ვხვდები,  
ქედს არ ვუხრი არავის.



ფულს დაგბარჯავ, თუ მაქვს ჩემი,  
არ ვუმაღლი არავის,  
არა მაქვს რა გასაცემი,  
არც ხესხსა ვთხოვ არავის.<sup>1</sup>

რობერტ ბერნსის შემოქმედებისა და ეპოქის ურთიერთკავშირის შესწავლასა და გარკვეული მნიშვნელობა აქვს უცხოელი ბიოგრაფებისა და ლიტერატურის სპეციალისტების ნაშრომებს. ჩემბერსის შრომებში კარგადაა აღწერილი ბერნსის დროინდელი შოტლანდიის ცხოვრება. შესანიშნავადაა გადმოცემული პოეტის ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ისტორია, ვრცელ ისტორიულ-საზოგადოებრივ ფონზე წარმოჩნდება რ. ბერნსის პიროვნება და მისი შემოქმედება ფრანგი მკვლევარის, ანტელის შრომებში. ცნობილი შოტლანდიელი მწერლისა და ლიტერატურათმცოდნე ჯეიმს ბარკის ახალ ბიოგრაფიულ რომანში რ. ბერნსის შესახებ მოვლი რიგი ფაქტებია მოყვანილი, რაც ადასტურებს პოეტის კავშირს 1790-იანი წლების დიდი ბრიტანეთის რადიკალურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან.

აზრთა სხვადასხვაობა დასავლეთის ბერნსოლოგთა შორის დღესაც გვხვდება. ნაირნაირი შეხედულებაა მის ნაწარმოებთა ხალხურობის შესახებ. მკვთარი, მთლიან საპირისპირო მოსახრებებია მისი პოეზიის მებრძოლ დემოკრატიულობაზე. ამის შედეგად ბევრი უცხოელი მკვლევარის ნაშრომში შეამზოხის სულით გამსჭვალული ბერნსის პოლიტიკურ ლექსებს, განსაკუთრებით 90-იანი წლების ნაწარმოებებს, არა აქვთ დამოუკიდებელი ჯეროვანი ადგილი. ასეთი იგნორირება, მაგალითად, კატერინ კარსუელის შრომებში თითქოსდა განპირობებულია შოტლანდიის საერთო დუხჭირი მდგომარეობით, როდესაც დიდი ბრიტანეთის იმპერია „პროგრესისათვის“ საძრწველო გადატრიალებებს ახდენდა. სხვა კრიტიკოსთა შრომებიც მოწმობს (დე ლანსი ფერგიუსონი) შოტლანდიელი ხალხის ფართო მასებში აქტიურ მონაწილეობას ამ პერიოდში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და ავლენს კიდევ ბერნსის დემოკრატიზმის აქტიურ ბასიათს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, უმეტესად ეთანხმებიან კ. კარსუელის შეხედულებას, რომ პოეტის სიყვარული სამშობლოსადმი მისი რომანტიკული ილუზიების შედეგია, რომ იგი თავისებურად იხდის ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა რობერტ ბერნსის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის საქმეში. საბჭოთა სპეციალისტების კონცეფცია ბერნსის შემოქმედებაზე ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული კრიტიკოსების მკდარ ან განგებ ფალსიფიცირებულ შეხედულებებთან ბრძოლაში. რ. ბერნსის შემოქმედების მკვლე-

ვარი ს. ორლოვი მკვეთრად გამოყოფს მის პოეზიაში საზოგადოებრივი პროტისტის სიმშვევეს. სიმბოლურს. იგი განსაკუთრებული მნიშვნელობა ანიჭებს პოეტის შემოქმედების მთავარ მიმართულებას, მის უნარზე და დიდი სიკეთის გამოყენოს სატირა. იუმორი. პაროდები. საზოგადოების უარყოფითი მოვლენების ბრძოლის იარაღი.

ცნობილი კრიტიკოსი მ. ვუტნერი რობერტ ბერნსის შემოქმედებაში უპირველეს ყოვლისა „პოეტის რევოლუციურ სულისკვეთებას“ და ყოველგვარი უსამართლობისადმი მის „პლემბურ შეუროგებლობას“ აღნიშნავს. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ბერნსის იმ ნაწარმოებებს, სადაც „პოეტი აკრიტიკებს ბურჟუაზიულ თუ არისტოკრატიულ საზოგადოებას და მათ სახელმწიფოებრივ როლს“. აი, ეს არის სწორედ ბერნსის „ბუნებრივი სიცოცხლის ხალისი“. — ასკენის მ. ვუტნერი.

რობერტ ბერნსი პოეტი-დემოკრატია, მისი შემოქმედება პროგრესულია. ამ აზრს ადგას მ. მოროზოვი თავის სტატიაში „რობერტ ბერნსი“ და მკაცრად აკრიტიკებს ზოგიერთ უცხოელ ავტორს, რომელნიც ცდილობენ უარყოფითად წარმოადგინონ პოეტის მორალური სახე, დაამახინჯონ მისი პოეზიის მოტივების კემშარიტი მნიშვნელობა, ასე შესანიშნავად რომ ედერს სამეფო მარშაკის თარგმანებში. რომელმაც, ტვარდოსკის ბატონი თქმით, „...ბერნსი რუსად აქცია, თუმცა შოტლანდიელადვე დატოვა“.

ბერნსის სატირა სინამდვილის, მისი ანარქიკლას გამომწვევებია პოეზიაში. სატირის ბასრი იარაღით დასცინის პოეტი ცხოვრებისა თუ ადამიანთა უარყოფით მხარეებს, საშეგარაოზე გამოაქვს. კონკრეტული შემთხვევები, რომელთაც საერთო განზოგადებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ზოგჯერ ამბობენ, რომ შერბილებული სატირა იუმორიათ, მკდარი აზრია. იუმორი კომიკურ ფერებში, „რბილად“, დიმილის მომგვრელად ამხელს საზოგადოების, მოვლენებისა თუ ადამიანთა ნაკლოვან მხარეებს. სატირას დაუნდობელი, მკაცრი ბუნება აქვს. ასეთია ბერნსის სატირაც, შეუბრალებლად და სამართლიანად რომ ამათრახებს იმთ, ვინც ამას იმსახურებს. ბერნსის სატირა დასტაქრის შეუთრთოლებელი ხელით კვდის საზოგადოებრივი ბოროტების წყლულს. საშეგარაოზე გამოაქვს შენიღბულ-დაფარული ბოროტება და სიავი. ბერნსის სატირა დროდადრო იცინის კიდევ, მაგრამ ეს მწარე, ცრემლნარევი სიცილია. მისი მიზანი ნათელია — ბასრი მახვილით განგმიროს ყოველივე, რაც ხელს უშლის საზოგადოების განვითარებას, ფეხს უბორკავს მის წინსვლას, რაც უკვე დრომოქმედია და დიდი დღე აღარ უწერია. ამით კი ცდილობს ყოველნაირად შეუწყოს ხელი ახლის, პროგრესულის დამკვიდრებას.



ამ მხრივ აღსანიშნავია ე. მაკაროვას სტატია „სატირის შესახებ რობერტ ბერნსის შემოქმედებაში“, სადაც ნათლადაა ნაჩვენები პოეტის სატირულ ნაწარმოებთა პროგრესული მნიშვნელობა. ე. მაკაროვა აღნიშნავს, რომ ბერნსის სატირა საღილობო, თავშესაქცევი, საშუალო დონის პოეზია კი არ გახლავთ, როგორც ზოგ-ზოგ უცხოელ კრიტიკოსს სურს წარმოადგინოს, არამედ ეს არის მეამბოხე სულით გაჟღენთილი მებრძოლი სატირა.

ბერნსი თავისი სამშობლოს, მშრომელი ხალხის სიყვარულით ნასაზრდოები პოეტია. იგი დიდი პუმაწისტია, მის ლირიკაში „პირველად XVIII საუკუნის ინგლისურ პოეზიაში გადაღებული იქნა „სულისა“ და „ბორცის“ განხეთქილება, რაც დიდი ხანია განმტკიცებული იყო პურიტანული ფარისევლობითა და არისტოკრატიული ცინიზმით“. მისი „საქმის გულშემატკივარი სატირა“ ცალმხრივი არ არის, „საზოგადოებრივ უსამართლობათა სატირული მხილება“ მის შემოქმედებაში შერწყმულია „ქვეშარიტი ბედნიერების“ თემასთან, — წერს ცნობილი ბერნსოლოგი ა. ელისტრატოვა.

რობერტ ბერნსის სოციალურ-პოლიტიკური კრიტიკის უმთავრესი მეთოდი პუბლიცისტური სატირია. შესანიშნავი ეპიგრამებიდან და ეპიტაფიებიდან კარგად ჩანს, რომ პუბლიცისტიკაში ჯერ კიდევ უძველეს დროში დამკვიდრებული სატირის საწყისი ფოლკლორის სათავეებთან უნდა მოიძებნოს. ფოლკლორი, სატირა, იუმორი — ეს თითქმის განუყოფელი მცნებებია. ყოველ ზღაპარში თუ იგავ-არაკში დადებითი გმირი სატირისა და იუმორის იარაღითაც ებრძვის ბოროტებას. ბერნსის სატირა მჭიდროდაა დაკავშირებული შოტლანდიურ ფოლკლორთან. ამიტომაც იგი ასე გასაგები და პოპულარული მხოლოდ შოტლანდიელებისათვის კი არა, მსოფლიოს ზალხებისთვისაც. თავის ეპიგრამებში პოეტი მხოლოდ იქითკენ კი არ მიისწრაფვის, რომ მმართველი კლასების სისასტიკე და ულმობელობა ამჩილოს, იგი ცდილობს მთელი სიგრძე-სიგანით გამოაჩინოს არსებული წეს-წყობილების უაზრობა და მოვლენათა ალოგიკურობა. პოეტი ნიღაბს ხდის მმართველი კლასების ქვეშარიტ ბუნებას, დასცინის ამა ქვეყნის ძლიერს, რომელნიც ასე ყოყობებენ თავისი უპირატესობით ხალხზე. მისი მახვილი სატირის ხშირად სამიზნეა შოტლანდიის მაღალი წრეები, ბრიტანეთის მთავრობა, დესპოტური პრესვიტერიანული ეკლესია, ჩინოვნიკები, კანონმდებლები, რომელნიც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებენ საკუთარ „მეს“.

ო, რა დიდი კაცია!  
თანაც რა ჭენტლემენი.  
თქვენ არსად შეგხვედრიათ  
ახეთი ფენომენი?

ნათელი სტრიქონებია, ყოველგვარი დამატებითი აზრისა და ქვენა გრძნობების გარეშე, თითქოს „უბეში“, ძალზე მძაფრი და „უკმეხი“.

ქვეყნად დოვლათის მხვეპელებს  
გამდიდრებულმა მღსტრებს,  
ხელში შერჩემა მღსტრები და მღსტრები  
გულში კი — სიყარიელი!

ბერნსისათვის ადამიანის მთავარი საზოგადოებრივი ღირსება და არა ის, თუ სოციალური კიბის რომელ საფეხურზე დგას.

სიღარიბით კაცის გმობა  
ვისი საკადრისია,  
ვინც სიმდიდრეს ემონება  
მხოლოდ ზიზღის ღირსია!

რობერტ ბერნსის ადრეულ პოეზიაშივე ლირიულ, სენტიმენტალურ ლექსებთან ერთად თავს იჩენს მხიარულ-შფოთიანი და ლაღი სატირული ლექსები — რელიგიაზე, ფარისეველ სამღვდელოებაზე, გაბობოლებულ ფერმერებზე, სწორედ ამ პირველ პერიოდს მიეკუთვნება პოეტის შესანიშნავი ეპიგრამები და ეპიტაფიები. მისი ვაჟკაცური, ზუსტად გამიზნული სატირა არავის ინდობს — არც ლორდებს, ტიტულოსან უმეცართ, მეფის მინისტრებს, უმაღლეს მოჩელეთ და არც თვით სამეფო გვარის წარმომადგენელთ.

ლორდ გადოუენს

ყველა სტიუარტი იყო მამაცი.  
შენ სტიუარტი ვერა ხარ, ვერა,  
აქა-იქ ბრიუვიც ერია მათში,  
არვინ უოფილა იქ გაიძვერა.

მასვე

შენს მოდგმაში არის ბევრი ქებული,  
თვითონ პატივს ვერ ეღირსე ვერხად.  
ძველი რომის გზაც ხომ დავიწყებული,  
ქაობებში იყარგება დღესაც.

აღსანიშნავია, რომ ეს ეპიგრამები დაიწერა აარლამენტის არჩევნების ცხარე დღეებში, სადაც ლორდ გადოუენს კანდიდატურაც იყო წამოყენებული და, რა უპასუხა ბერნსმა ერთობ გავლენიან და სახელგანთქმულ ლორდ ენდრიუ ტერნერს, რომელმაც მას და. მის მეგობრებს უსამართლოდ შეურაცხყოფა მიაყენა:

იმ ათას შვიდას ორმოცდა ცხრა წელს,  
ეშამ ინება შეექმნა ლორი.  
(არვის ეგონოს დაურილი ქორი)  
შემდეგ იმ პირველ განზრახვაზე აიღო ხელი,

1. „ირწევა მწვანე ლერწამი“ — თარგმანი თ. ერისთავისა.
2. თარგმანი თამარ ერისთავისა.



არ მოუვიდა ავსულს თავლში თვისი

„შედევრი“, —

და გამოდერწა იმ თიხისგან ღორდი ტერნერი.

ბერნსის მებრძოლი სული, მისი თამამი სატირა ძლიერ მოსწონდა პროლეტარიატის დიდ ბელადს კარლ მარქსს. „მას დიდ სიამოვნებას გვრიდა, როდესაც მისი ქალიშვილები შოტლანდიელი პოეტის ლექსებს უკითხავდნენ, ან უმღეროდნენ ბერნსის სასიყვარულო ლექსებზე შექმნილ რომანსებს“, — წერს პოლ ლაფარგი.

რობერტ ბერნსის ზუსტი და მახვილი კრიტიკა ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იწვევდა. ინგლისელი ჩარტისტები მასში თავის თანამებრძოლს ხედავდნენ. ჩარტიზმისთვის გამოჩენილი მებრძოლი პოეტი ჭერალდ მასი აღწერს რა სახალხო პოეტს, მოწოდებულს — „მხალხის მანკიერებანი მათი, ვისაც „მაღალი თანამდებობა უყავია ამ ცხოვრებაში“, — ასეთი პოეტის მაგალითად მოჰყავს ბერნსი და ბერანჟე, რომელთაც გააჩნიათ „მდიდარი ჰუმორი“ და „შექსპირისეული სატირის ძალა“.

წოდებრივი ყოყმანობის უაზრობა გესლანდაა გამათრახებელი ღორდ გალთუქისადმი მიძღვნილ ეპიგრამებში. ბევრი უცხოელი კრიტიკოსის აზრით, სწორედ ეს ღორდი ითვლება ბერნსის „პირად მტრად“. ბერნსმა მიიღო პასკევი, რომელიც მისი მეგობრების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. პოეტმა არ დააყოვნა და „შოტლანდიის ერთგულ ქვეშევრდომთ“ ექსპრომტად ეს ეპიგრამა მიუძღვნა.

თავის შერცხვენა — შურისაგან დაგიცავთ  
მტკიცედ;

ალიონამდე სულ იღბინეთ და იხორბოცეთ.  
ტახტის ერთგულნი, უენო და უსიტყვო

ფარავ,

ხალხის ზიზღისგან რა დაგიფარავთ?

სახლწარგარეთის პრესაში ახლა „დეილი უორკერი“ („მორწინე სტარი“) გამოდის მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ბერნსის პოეზიის ფალსიფიცირებას და ქეროვნად არ აფასებს მის მემბოხე სულს, შეგნებულად უგულვებელყოფს მისი პოეზიის სატირულ სიმამხილეს. „ბერნსი იყო მემბოხე რელიგიაში და პოლიტიკაში“, — ასე ახასიათებს მას უ. გალაპერი და მოუწოდებს მკითხველს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პოეტის სატირას — „ძირგამომპალი მმართველი კლასების ბერნსისეულ დაუნდობელ მხილებას“. ესენი არიან ის ვაიპატრიოტები, რომელნიც სიხლის ფასად მიაჭირებენ მიწის ყოველ გოქს იმ ღარიბ-ღატაკ ფერმერებს, რომელთაც მშობლიური მიწის ყადრი იციათ, თე-

ონ კი თითის განძრევაც არა სურთ და მხოლოდ თავს იწონებენ ადგილ-მამულის პერზაჟით სიმშვენიერით.

ღორდი გვაცნობს მდიდარ მამულს,

სადაღობოდ იწვევს თავისიანებს,  
საკურთხევ ასე იცნობს მარამნანს,  
თუმც არა მის სიამეს!

რობერტ ბერნსის შემოქმედების მთავარი საკითხზე ამხვილებს ყურადღებას ქ. კემპბელი „დეილი უორკერში“, როდესაც აღნიშნავს, რომ „ქერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამდე არსებული წეს-წყობილების მკვეთრი კრიტიკა იყო ბერნსის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანი. შოტლანდიელი პოეტი მაკ-დაიარშიდი „დეილი უორკერის“ ფურცლებზე ილაშქრებდა ბურჟუაზიული ხასიათისა და ელფერის „ბერნსის კლუბების“ წინააღმდეგ, ეს კლუბები დღესაც არსებობენ და მისი წევრი კრიტიკოსები თუ ლიტერატურათმცოდნეები ხშირად არასწორად აშუქებენ დიდი პოეტის შემოქმედების მრავალ საკითხს. „პირმოთნე, თვალთმაქცურ ქება-დიდებას ახამს ბერნსს სწორედ ის ხალხი, რომელთაც იგი დაუნდობლად გაამათრახებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო ამჟამად, — წერს მაკ-დაიარშიდი.

ბერნსის შწვავს სატირა, რომელიც ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ მხარეებს ეხებოდა, ძნელად იგვლეჯდა გზას პრესაში. მისი ანტიკლერიკალური ლექსები „წმინდა უილის ლოცვა“ და „ეკლესიის განგაში“ პოეტის გარდაცვალებიდან მესამე წელს გამოვიდა. მაგრამ რომელიმე კრებულში კი არ შევიდა, უბრალო, ეგრეთ წოდებულ „ქუჩის ფურცლებზე“ დაისტამბა.

ო, შენ არ იცი ზღვარი და ზღუდე!

შენს შვილთ მარადის სამყოფელს უღებ —  
ერთს სამოთხეში, ათს ქოჩობეთში.

ჩირად არ აგდებ,

სიწმინდისა თუ ცოდვებისათვის.

უბრალოდ შენი დიდებისათვის.

(„წმინდა უილის ლოცვა“)

ამ ანტიკლერიკალურ ნაწარმოებებს პუბლიცისტური, მებრძოლი ხასიათი აქვთ. „მე რომ ალექსანდ პოუპივით სატირიკოსის ნიჭით ვიყო დაჯილდოებული, გველა არამზადას თავის საყდრისს მიუწუზლავდი — სიამყარაოზე გამოვიტანდი ხალხის მოტყუების გაქნილ ხრიკებს და კუჭყიან მეთოდებს“, — წერს რ. ბერნსი თავის „წერილებში“. „სულიერი მამის“ პორტრეტს კი ასე ზატავს პოეტი:

არა ტუჩის, მისი მჭერა,  
აქვს ღართადი კაცის შუერა.

1. ეპიგრამები, რომელთა მთარგმნელიც არაა მითითებული, ჩვენს მიერაა მთარგმნილი (ზ. გ.).



მის თვალში იკითხება.

პატრონია გაიძვრა!

მმართველი კლასის, მაღალი საზოგადოების თუ სამღვდლოების წარმომადგენელთა მხილებაში ბერნი ყოველთვის ცხოვრებაში მომხდარ კონკრეტულ ფაქტს იყენებდა. არ ვრიდებოდა მის განზოგადებას, რის გამოც სატირა დიდ სოციალურ და პოლიტიკურ ფერადობას იძენდა. მისი ვირტუოზული ეპიგრამები და ეპიტაფიები დღესაც აღტაცებას იწვევს თავისი სიასლით, თითქოს ჩვენს თანამედროვეება დაწერილი. ბრწყინვალე პოეტურ ქმნილებას უავლი არ გასდის. არ ცვდება, მიუხედავად სატირული თუ იუმორისტული ნაწარმოებები. ეს კლასიკოსთა ხედილია. შეუძლებელია ეპიგრამაში „წიგნის ქაი“ თანამედროვეობა იკვეთოს, მეშინია არ დაინახოს მკითხველმა. ეს ეპიგრამა აღმოჩნდა შესანიშნავად აკონტინირებული, საუცხოოდ გამოცემულ შექსპირის ტომზე, რომელიც ქიებისაგან იყო დაბრუნებული. წიგნი ერთი ღორღის მდიდრული ბიბლიოთეკის თაროს ამკობდა. ბერნს შეუმჩნევია წიგნი, რომელიც, ალბათ, არც კი გადაეშალათ და ზედ მახვილი სტრიქონები მიუწერია:

აქ სუფევს სულის აღმაფრენა ჭიანჭამი,  
მოაჩუქურთმე, მატლო, ფურცლებს ემატოს  
აქწი

ოქროცურვილ უდას არ დაუწყო ოღონდ  
ქნაწუნი,

ლორღის დახვეწილ გემოვნებას პატივი ეცი

ბერნის ბუნტარული სული მხოლოდ მის ეპიგრამებში არ ჩანს. უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ენით პოეტის მთელი ბუნებაა გაფლენილი. აი, რას წერს იგი ერთ-ერთ მდიდარ შოტლანდიელ მემამულეს, შოტლანდიური ხალხური სიმღერების დიდ მოტრფიალესა და თავისი მემკვიდრის ლედი დანლოპს: „რალაჟ რეფორმებზე დადის ხმები! ო, ღმერთო, რა რეფორმებს გამოცემდი ადამიანთა მოდგმისთვის! თვალის დახამამებაში ძირს მოადენდა ზღართანს ფორტუნას წყალობით მაღალ თანამდებობაზე აღზევებული ყველა რეგენი და ქარაფშუტა... ოღონდ არამზადებს რა ვუყო, არ ვიცი: ძალიან არიან მომრავლებულნი! თუმცა ეს ქვეყანა სხვანაირად რომ ყოფილიყო მოწყობილი, ვერც არამზალა იბოგინებდა!

რობერტ ბერნი შესანიშნავად იცნობდა ანტიკურ ლიტერატურას და, რა თქმა უნდა, სატირის ფუძემდებლის, მარციალის შემოქმედებას. ამიტომაც იგი ასეთი ხალვათი პროფესიონალიზმით ასწორებს მიწასთან მარციალის ელფინსტონისეულ მღარე თარგმანებს. ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოსოფიის დოქტორის დუგალდ სტიუარტის წერილებიდან ირკვევა, რომ ეს ახალგაზრდა ფერმერი „გაღრმავდა ზრდილია შესანიშნავი მანერები აქვს, უბრალო და თავშეკავებულია“. ამ იყავა-

თლებულ ბარდს „ბრწყინვალე, ზუსტი, ორიგინალური მეტყველების უნარი გააჩნია“ პროფესორი სტიუარტი გამოთქვამს სტიუარტს, რომ ბერნს ასე მძაფრი, მხედველი ტონი არა ჰქონდეს, ნაკლოვანებათა მიმართ ლმობიერებასა და შემწყნარებლობას. მაგრამ ცნობილ ლათინისტ ელფინსტონს უნდა ეპიგრამაში წაკითხვისას შშივილი და თავშეკავებული პროფესორიც ვერ ფარავს აღტაცებას. აი, რას წერს ამ ეპიგრამის შესახებ თვითონ ბერნი: „ედინბურგში მეგობარმა წიგნის მაღაზიასთან შემაჩერა. თაროდან ელფინსტონის მიერ თარგმნილი მარციალის „ეპიგრამები“ აიღო. მომაწოდა და მთხოვა აზრი გამომეთქვა. ჩემს აზრს ბოლო, თავისუფალ გვერდზე მივაწერ-მეთქი. ვუთხარი, მეგობარი დამთანხმდა და მეც ეს ეპიგრამა დავწერე:

შენ პოეზიამ გაგაძვია, სულ ველარ გიტანს!  
პროზამ ზედ ცხვირწინ მოგიხურა: კარი მაგ  
„ტიტანს!“

თუ გესმის ოხვრა?—სხვა აღარ ვთქვა,  
რომ მოვჭრა მოკლედ,  
შუბლდაფენილი მარციალი კვნების — ო,  
მომკლეს!“

ცნობილ ბერნსოლოგის ფ. სნაიდერის წიგნში რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი ბერნის პოლიტიკურ სატირას. ავტორს აინტერესებს. „რამდენადაა პოეტი თავისი დროის პოლიტიკური მოვლენების კერძი“, თუ გნებავთ, მისი პოლიტიკური ცოდნის დონე და თვით პოეტის დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი. ამიტომაც, სნაიდერის მსგავსად ბევრი კრიტიკოსი ძირითად ყურადღებას იმ ნაწარმოებებს აქცევს, სადაც ისტორიული ფაქტებია ასახული. საუკეთესო სოციალურ-პოლიტიკური სატირული ქმნილებები კი შერაცხულია სუსტ ნაწარმოებებად, რომელთაც „ჩვენს დროში მნიშვნელობა აქვთ დაკარგული“. მაგრამ როდესაც ეპიგრამა „სტირლინგის სასახლის ნანგრევებს“ ვკითხულობთ, ამ შეხედულებიდან აღარაფერი რჩება. ნაწარმოებში ჩანს პოეტის პოლიტიკური ცოდნის „მაღალი დონე“, მისი პოზიცია, რაც ასე ცალმხრივ აინტერესებს ბურჟუაზიულ კრიტიკას.

სახელოვანი სტიუარტნი აქ განაგებდნენ,  
შოტლანდიისთვის სამართალს და კანონს  
ადგენდნენ.

ახლა კი ვხედავ შემოძარცულ სასახლეს  
წამხდარს,  
სამეფო კვერთხი ხელთ უპყრია სხვა ტომის  
მომხდურს.

სტიუარტთა შტო შელახული წახულა რახტით,  
გადამთიელებს დაუპყრიათ იმათი ტახტი...  
ვინც უკეთ იცნობს ამ უტიფარ, უტვინო  
რასას,  
მით უფრო მეტად ეზიზდება, უღირსად  
ჩაცხავს.



პოეტი ველარ ფარავს თავის გრძნობებს, მტრის სიძულვილი ნიაღვარივით მოდგაფუნებს მისი გულიდან. მომზდური და დამპყრობელი ამას იმსახურებს, ვფიქრობთ, ასეთი ნაწარმოები ვერ ჩაითვლება ჩვენს დროში მნიშვნელობადაცარგულ თხზულებად. საინტერესოა, რომ ეს სტრიქონები რობერტ ბერნსმა აღმასილამოკაწრა სასტუმროს სარკმლის მინაზე, როცა პირველად ეწვია სტირლინგს, სადაც ინგლისელ დამპყრობთა მოსვლამდე სტიუარტთა მძლავრი დინასტია განაგებდა შოტლანდიის სამეფოს.

ბერნსის მახვილი სატირა მხოლოდ მაღალი საზოგადოების შუბლისძარღვგაწვეტილ მდიდართა თუ ბიწიერი სამღვდელოების წინააღმდეგ არ არის ყოველთვის მიმართული. მისი გამკრიახი თვალი ამჩნევს ყოველგვარ სიმამინჯეს, პოეტური სული კი ვერ იტანს ამას და დაუნდობლად გამოაქვს სააშკარაოზე. იგი მშობლიურ ხალხსაც კი არ პატიობს, როცა თავის სიმართლესა და რწმუნებულს, და მთელი გულისწყრომით, ხმამაღლა საუბედურობს:

აქეთ ვჩქარობდი ცურვით და ფონით,  
ღმერთი მწყალობდა დიდი.  
არ უყვარს ჩვენში ხალხს ჭაფა ოდით,  
გამართოს გზა და ბიდი.  
გადაიკითხეთ, ხალხო, ბიბლია,  
გაგზარტ ცოდვილებს ავსა:  
თუ კვლავ ასეთი გზებით გივლიათ  
ჯოჯოხეთს ხდურთავთ თავსა!

რატომ უნდა იყოს შოტლანდიაში ცუდი გზები? აღშფოთებულია პოეტი რაკი მთავრობა ამაზე არ ზრუნავს, ხალხმა უნდა გაანძროს ხელი. ბერნსის გულისწყრომა სამართლიანია და ამიტომ მიუძღვნა ეს ეპიგრამა „ცუდი გზებისათვის“ ვინმე ერთ პიროვნებას კი არა, არამედ მთელ შოტლანდიელ ხალხს.

მრავალი უცხოელი მკვლევარი ბერნსის სატირას, განსაკუთრებით მის ეპიგრამებს, მიიჩნევს პოეტის წვრილმან, პირად ანგარიშსწორებად. თითქმის ტრადიციულ კომენტარად იქცა ყველა ბერნსოლოგის აზრი „წმინდა უილის ლოცვის“ შესახებ, — ბერნსს უსიამოვნება მოუვიდა ვინმე ღვთისმსახურ უილისთან და ამიტომ დაწერა ეს სატირა. კი, ასეთი კონფლიქტი ნამდვილად მოხდა. ერთ კვირა დღეს, წირვის შემდეგ, ახალგაზრდა ბერნსს უთანხმოება მოუვიდა თავისი სოფლის ეკლესიის მეთაურთან უილიამ ფიშერთან. ამის შემდეგ დაიწერა ეს ერთობ გახმაურებული სატირა „წმინდა უილის ლოცვა“, მერე კი „ეპიტაფია მასზედ“. მაგრამ ამ ლექსის მნიშვნელობა სულაც არ შემოზღუდულა პირადი კინკლაობით და ანგარიშსწორებით. ეს არის მწვავე, ბრწყინვალე

სატირა სამღვდელოებაზე, მის ფარისევლობაზე, სიცრუეზე, მექრთამეობაზე, ეშმაკობაზე, ღორ-მუცელობაზე და ა. შ. რობერტ ბერნსის ბევრი ეპიგრამა სწორედ პირადი აღქმითაა დაწერილი, ეპოქის ტიპურ წინააღმდეგობაში შემსჭვდილებებითაა გამოწვეული. მაგრამ „წმინდა უილის ლოცვა“ უსამართლოდ შეურაცხყოფილი პოეტი მძაფრი სატირის ქარცეცხლში ატარებდა ასეთ მახინჯ მოვლენებს. ეს მიგვაჩნია სწორედ მის ძლიერ მოქალაქეობრივ კრედიტად, პოეტი-პუბლიცისტის პოზიციად.

ცნობილი მკვლევარი, ქრისტიანა კითი თვლის, რომ სატირულ ნაწარმოებთა უმეტესობა, რომლებიც დაწერილია „შემთხვევის წყალობით“, იქნება ეს პოლიტიკური სატირა, ეპიგრამა, ეპიტაფია თუ სხვა, მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას. ასეთი ნაწარმოები მხოლოდ მათთვისაა საინტერესო, ვინც იცნობდა სატირის „ობიექტს“. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ცნობილ მკვლევარს და ვიტყვით, რომ ასეთი „პირადული“ თუ „შემთხვევის წყალობით“ დაწერილი ეპიგრამები „მხატვარს“, „სოფლის მუსუსს“, „ეპიტაფია სოფლის პედანტის საფლავზე“ და მრავალი სხვა, სცილდება ვიწრო ჩარჩოებს და ფართო სოციალურ ელერადობას იძენს. აი, რას წერს პოეტი გაქნილ, უსინდისო მასწავლებელზე, რომელიც შემთხვევით დაუფლებია მომავალი თაობის აღმზრდელის სათუთ პროფესიას:

#### ეპიტაფია

#### საოქლის პედანტის სამარხზე

შავ ჯოჯოხეთში ჩავიდა დღესა,  
ბავშვებს აძლევდა ვინც ცოდნის ხაზრდოს.  
იქ ეშმაკუნებს ახწავლის ქლესა,  
რომ ეშმაკების ჯილაგი ზარდოს.

რობერტ ბერნსის ეპიგრამები, ეპიტაფიები ეს არის გოიასა და გუდიაშვილის „კაპრიჩიოები“, ყველა ხალხისთვის ნათელი და გასაგები. სატირა, სარკაზმი, პაროდია გროტესკი, ალეგორია, — აი, ის იარაღი, რომლითაც ბოხოქარი პოეტი დღესაც იბრძვის ცხოვრების უკუღმართობათა წინააღმდეგ. ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მხოლოდ გარყვეული პერიოდისთვის არაა დამახასიათებელი. ამიტომ არის რობერტ ბერნსის სატირის ჩარჩო ასე ფართო. უფრო მეტიც, მის სატირას დროის ზღვარი არ გააჩნია. ამის გამო, ელერს მთელი ხმით პოეტის ლექსი:

დაე, უცვლელი ფერით ჰყვოდეს  
ძველი ერების ფუძე და ფესვი,  
მის სადიდებლად უწყვეტ თაობებს  
კიდევ უმღერდეს მრავალი ბერნსი!

1. რ. ბერნსი, „ბუნების კანონი“, თარგმანი თამარ ერისთავისა.



# ფრიც კიუნლენცი

გერმანულიდან

თარგმნა რუსუდან ღვინეშაძემ



## ქრისტიანა ვულფიუსი

ფრიც კიუნლენცის წიგნი „ვაიმარული პორტრეტები“ გვაცნობს იმ პირთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელთაც დიდ პუბლიცისტებთან — გოეთეს, შილერს, ჰერდერსა და ვილანდთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კლასიკური ვაიმარის სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, ქალაქის კულტურულ-პოლიტიკური სახის ჩამოყალიბებაში. ერთ-ერთი ლიტერატურული პორტრეტი ამ წიგნიდან, რომელიც გოეთეს უერთგულესი თანაშემწის — იოჰან პეტერ ეკერმანის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, უკვე დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში (1982 წ. № 3). ამჯერად გთავაზობთ ამავე წიგნიდან გოეთეს მეუღლის — ქრისტიანა ვულფიუსის პორტრეტს.

მთარგმნელი

**ქ**რისტიანა ვულფიუსი ფრაუ ფონ შტაინთან ერთად ვაიმარულ ქალთა შორის ყველაზე პოპულარული პიროვნებაა. ეს უთუოდ იმისი ბრალიცაა, რომ გოეთეს ცხოვრებაში მისი შექრა უჩვეულო ვითარებაში მოხდა, ხოლო რაც მის სახელს ქორის, მითქმა-მოთქმისა და შურის ჩრდილი ჩამოსცილდა, ამ პოპულარობას მისმა სისადავემ და სათნოებამაც შეუწყო ხელი. ჩვენს პორტრეტში არ შევუდგებით მისი ბუნების აკარგიანობის გარჩევას, არამედ შევეცდებით, უპირველეს ყოვლისა, წარმოგიდგინოთ, თუ რა როლი შეასრულა მან გოეთეს ცხოვრებაში.

ქრისტიანა დაიბადა 1766 წელს ვაიმარში, საქსონიის საჰერცოგოს კანცელარიის გადამწერის, შემდგომში არქივარიუს იოჰან ფრიდრიხ ვულფიუსის ოჯახში. მამის მცირე შემოსავლის გამო ქრისტიანას ადრეიდანვე დააწვა ოჯახის ტვირთი. გოგონა ფრიდრიხ იუსტინ ბერტუხის დაქსაქსული საწარმოს ერთ-ერთ განყოფილებაში მუშაობდა, და, ეტუბა ძალზე მარჯვე იყო.

ქრისტიანას უმაწვილქალობის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. მისი ლუთერგასელი მეზობელი, შემდგომში ცნობილი მომღერალი კაროლინა იაგემანი მოგვითხრობს:

„ეს იყო ვაშლივით პირმრგვალი, მომხიბლავი, გულთბილი, ბეჭითი გოგონა; ნორჩ სახეს შავი თვალები უმზიანებდა; სიცილი ძალზე უუვარდა და მსხვილი, ალუბლისფერი ბაგეებიდან ერთთავად ლაშაჰი, თეთრი კბილები მოუჩანდა. მუქი წაბლისფერი ხშირი კულულები უზავდ ევარა შუბლსა და კეფაზე. ხელგარჯილობით ინახავდა პენსიონერ მამასა და მოხუც მამიდას — ფაბრიკაში ხელოვნურ ყვავილებს ამზადებდა; ხსოვრედ ამ სიღარიბის წლებში გაიცნო გოეთე!“.

გადმოცემითაც ასე ვიცით, რომ გოეთემ იგი პირველად ყვავილების ფაბრიკის დათვალიერებისას ნახა, თუმცა ეს ფაქტი არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან გოეთეს მაშინ ეტუბა უურადლებაც არ მიუქცევია მისთვის. გადამწვეტი მხოლოდ მოგვიანო შეხვედრა აღმოჩნდა; ამ შეხვედრის საბაბი გახდა ქრისტიანას ძმის, ქრისტიან აუგუსტის ხურვილი, რომ გოეთეს ეშუამდგომლა მისთვის სამსახურში მოსაწყობად. 1788 წლის 12 ივლისს ქრისტიანამ პოეტს ვაიმარის პარკში გაანდო ძმის თხოვნა. იტალიიდან ახალი დაბრუნებული გოეთე სრულიად გარდაქმნილი იყო; რეალობასა და გრძნობიერებას უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე, მოეცვა მთელი მისი არსება; უმაწვილი ქალის სინორჩე და მიამიტობა საამოდ მიესალმუნა პოეტის სულს; შეპირდა, რომ იგი შუამდგომლობას გაუწევდა მის ძმას და რამდენიმე ხნის შემდეგ დაიბარა იგი. ქრისტიანაც ეახლა დათქმულ დროს და ძმისადმი დახმარების პირობაც მიიღო. მადლიერებისა და მოწიწების გრძნობამ ქრისტიანას გაუადვილა გაეზიარებინა პოეტის თანალობა და მისი გულისწორიც გამხდარიყო. საიდუმლოდ, საზოგადოებისაგან ფარულად იფურჩქნებოდა „საწაფხულო სახლში“ თავისუფალი ქორწინების ბედნიერება.

გამოცანად იქცა, თუ რით მიიზიდა გოეთე — ეს დახვეწილი, მაღალი წრის ბანოვანთა ყურადღებით განებივრებული, საყოველთაოდ პატივცემული და სათაყვანებელი პოეტი ქრისტიანამ, მდაბიოთაგან გამოსულმა ამ უბრალო გოგონამ. ეს ნათელი ხდება მხოლოდ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომელშიც იმყოფებოდა გოეთე იმ დროს, ქრისტიანას რომ შეხვდა. მოგუსმინოთ თვით პოეტს:

„იტალიიდან, ამ ნაქანდაკევი, უმდიდრესი



ქვეყნიდან უსახურ გერმანიაში დავბრუნდი და ცა მოცინარი მოქუფრულზე გავცვალე. ნაცვლად იმისა, რომ მეგობრების გარემოცვას ვეწეუდები, სასოწარკვეთილებამდე მივდიოდი... ყოველგვარი თანაგრძნობა შემომაკლდა, აღარავის აღარ ესმოდა ჩემი“.

ამ სიმარტოვეში ეს ნორჩი, უმანკო არსება, „შვილი ბუნებისა“, როგორც თვითონვე უწოდებს მას, ახალი, უფრო ღამის ხამყაროს მაცნედ, უღრუბლო სამხრეთის მზის სხივად მოვლინა პოეტს:

„შვენიერ წარბი გიშრის დარი,  
ეშმაკური აქვს თვალები

ბაგე ლალი, ლოყა მრგვალი.

(თარგმანი ხარტონ ვარდოშვილისა. გოეთე, „ლექსები“. საბჭოთა მწერალი, 1946 წ.).

24 წლის ქრისტიანა აყვავების ხანაში იყო. ადელ შოპენშაუერი მოგვითხრობს, რომ იგი თავისი ბშირი კულულებით, ხისავსით, ყრმა დიონისეს ჩამომგავდა. ეს გოეთეს ლექსებიდანაც კარგად ჩანს:

შუბლი, კეფა, ნაზი ყელი, ზილფით  
ქქონდა მოხატული, —  
თმაბშირი და თმაბუჭუჭა ერთხელ  
გამომეცხადა.

ამ ასულის დანახვაზე მიწა გამომეცალა!“.

(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა).

ასულის უშუალო, მზიარული და მიაშიტი ბუნებაც მის გარეგნობას ესადაგებოდა; გოეთე რაღაც რომაულსაც კი ხედავდა მასში. ამიტომაც „ელეგიებში“ ქრისტიანა რომაელი ქალის სახით გვევლინება.

ქრისტიანასთან კავშირი პოეტს პირველი დღიდანვე „თავისუფალ ქორწინებად“ მიაჩნდა. იგი უყოყმანოდ დაეუფლა ქალის მთელ არსებას. ახალი კარ-მიდამოს საიმედო სიმყუდროვეში, ე. წ. „მონადირის სახლში“ მათი მეგობრობა ყვავილივით ხარობდა. აქ გოეთე ბოლომდე თავისთავადი იყო: აქ ისვენებდა დახლართული, გადამღლედი კარის ცხოვრებისა და კეთილშობილი საზოგადოების მაღალფარდოვანი საუბრებისაგან, საუვარელი არსების ტიტინით ტკბებოდა. აქ ნეტარებდა მისი ნორჩი, ლაღი ბუნებით, რაც ათასწილად ერჩია „მაღალი წოდების ქალბატონთა და ბატონთა“ საზოგადოებას. „მონადირის სახლი“ წმინდა, აუზღვრეველი ბედნიერების კერად იქცა. აი, რას სწერს გოეთე ამაზე იაკობის:

„ჩემი ცხოვრება ხავსებით საამო და სასურველია. ყველანაირი მიზეზი მაქვს, ვიყო კმაყოფილი საყუთარი მდგომარეობით და მხოლოდღა ამ ბედნიერი უოფის გახანგრძლივება ვინატრო“.

„ხოფლურ კერიახთან“, სადაც „უჩიხი და ნაფოტი ბრიალებს“, ყოველი საღამო ელვარე დღესასწაულს ჰგავს. ამ დღეების კვირაძალების და თვეების სიზარულადი განწყობილებით აღსავსე, საღაღობო ლექსებს უგზავნის, წელმე თავის მეგობარს, კარლ აუგუსტს:

„ამასობაში გარეთ, ქიშკართან  
აყვავებულა არყის ხის ციცა,  
და სიბრძნის ყველა კატეგორია  
ამურის ახალ თინებთან თამაშად იქცა.

(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა).

აღმოჩენით აღტაცებული პოეტი ფლობის ნეტარებას განიცდის. გრძნობიერა მოთხოვნილება თანდათან ჩვევად იქცევა. ამ გრძნობამ პოეტური გამოხატულება ჰპოვა მშვენიერ აღეგორიაში:

„ვიდოდი ტყეში  
მარტოკა ჩემთვის,  
არ მქონდა ფიქრი  
არაფრის ძებნის.  
ჩეროში მზერას  
ყვავილი მოხვდა,  
ვარსკვლავის მსგავსი,  
თვალივით კობრა.  
მოწყვეტა მსურდა  
და მითხრა ნაზად:  
„უნდა მომწყვიტო,  
დამაჰკნო ნავსად?“  
მეც ამოვთხარე,  
გადიფრე ბაღში,  
მივეცი ბინა  
მშვენიერ სახლში.  
ისევ ასწია  
ყლორტები მაღლა,  
წყნარ სავანეში  
იშლება ახლა“.

(თარგმანი აკაკი გელოვანისა. გოეთე, „ჩვეული ლირიკა“. მერანი, 1972 წ.).

გოეთეს არ ბეზრდება ლექსებით უმღეროს თავის ოჯახურ ბედნიერებას და სატრფოს ხატება პოეტურად წარმოსახოს. მან ეს ჩინებულად მოახერხა „რომაულ ელეგიებში“, რომლებიც ჭერ კოდევ იტალიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ტყვეობაში მყოფმა შექმნა. მათში ვაიმარული განცდები სამხრეთის გარემოშია გადატანილი, ქრისტიანა კი „ფაუსტინად“ წარმოგვიდგება (თავდაპირველად ქალს „ქრისტიანა“ ერქვა, მაგრამ პოეტმა სახელი შეუცვალა, რათა სანუკვარი საიდუმლო შეენახა და შურიანი ადამიანებისათვისაც ნაკლები საკორაო მიეცა.).

პოეტი აღტაცებულია თავისი განძით:  
„ქალი არის სანაქებო, გულით თანაზიარი,



ფაუსტინე სიხარული, ფაუსტინე ერთგულება —  
ჩემთან ერთად იყოფს ჭერს და  
ჩემთან ერთად იყოფს ჭირსაც.  
მსგავსი არსად შეგულება!”

(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა).

იგი მისი ცხოვრების თანამგზავრია:

„სულ ზვევნი-კოცნი ხომ არ კმარა, ღინჯი  
ბასიც  
არა ნაკლებად ეამება ზოლზე სულს და  
გულს.

(თარგმანი რუსუდან ღვინეფაძისა).

ასეთი თანამგზავრობა პოეტის შთაგონების  
წყაროდ ქცეულა:

„ხშირად, როცა მას ჩემს მკლავებში  
ჩაეძინება,  
გარინდებული სივრცეს მიეაყვრობ  
ფიქრიან თვალებს,  
და მის მალეზე ჰეგზამეტრის მთრთოლვარე  
პწყარებს ფრთხილად ჩაეშარცვლავ“.

(თარგმანი რუსუდან ღვინეფაძისა).

სიყვარული მას თამაშად როდი უჩანს:

ნუ ნანობ, ჩემო, იოლად რომ დამყვები  
ნებას!  
კფიცავ, არსოდეს მიფიქრია ურიგოდ  
შენზე“

(თარგმანი რუსუდან ღვინეფაძისა).

ეს პოეტური იერსახე გოეთემ მოგვიანე-  
ბით ლექსების სხვა ციკლშიც გადაიტანა; იტა-  
ლიაში მეორედ მოგზაურობის შემდეგ დაწე-  
რილ „ვენეციურ ეპიგრამებშიც“ ცოცხლობს  
და სუნთქავს ეს სიყვარული.

„კვლავ მკლავებში მყავს გულის სატრფო  
გამომწყვდულთ.  
კვლავ ეკონება მკერდი ჩემი მიჯნურის  
მკერდსა,  
ისევ ვღებ თავსა მის მუხლებზე და  
შემოვცქერი  
მომჯადოებელ ბაგეებსა და ნათელ  
თვალებს“.

(თარგმანი ვახტანგ ბეწუელისა: გოეთე,  
„ლირიკა“, ნაკადული, 1967).

აქვე ვხვდებით მოსიყვარულე შედარებასაც:

„ზღვის ნაპირას დაუდიოდი და ნიჟარებს  
დავეძებდი,  
ერთში ვნახე მარგალიტი და ჩემს გულთან  
შევიჩნახე“.

(თარგმანი აკაკი გელოვანისა).

ან სიტყვათა ის მომზიბლავი თამაში რად  
ღირს, თუმც ეს მხოლოდ სიტყვათა თამაში  
როდია:

„დიდხანს ვეძებდი სულტრძელ ბანოვანს,  
ნაცვლად კი მხოლოდ კარებს ვხვდებოდი,  
ბოლოს ვიპოვე პატარა კაბა და ბანოვანი  
გდმოვაჩინე“.

(თარგმანი რუსუდან ღვინეფაძისა).

აღტაცებული უმღერის ნაპოვნ ბედნიერებას:

„ხშირად ძე ცდომილს კვლავ გზა წმინდა  
მომიძებნია,  
მაგრამ ამჯერად ამ გზით ეპოვე ბედნიერება“  
(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა).

რაც კი უნატრია, ბუნებამ უბოძა, რაზეც  
უოცნებია, ახლა მის ხელთაა:

„შენ როგორი ქალიშვილი გინდა  
გყავდეს? — მეკითხებით?  
როგორიც მყავს! ამ ცოტაში დიდი რამე  
მომცა ბედმა“.

(თარგმანი აკაკი გელოვანისა).

და ასე იქნება მუდამ:

„როგორ ვარ? კარგად! და კიდევ ასზე ა  
წელს თუკი მიბოძებს ღმერთი,  
ხელჩინდელ ღღესაც დღევანდელის მსგავსს  
ვინატრებდი“.

(თარგმანი რუსუდან ღვინეფაძისა).

ამ სიყვარულს პოეტი არა მარტო „რომაულ  
ელეგიებსა“ და „ვენეციურ ეპიგრამებში“ უმ-  
ღერის. „სანატრელი გოგონას“ სახება სატრფი-  
ალო ლირიკის უბკნობი ყვავილების გვირგვი-  
ნითაა შემკული; ეს სახება პოეტის უიდუმა-  
ლესი გულისნადების გამოხატულებისა და უფ-  
აქიზეს წარმოსახვათა შთაგონების წყაროდ  
ქცეულა. აი, მათგან საუკეთესოებიც:

„მსურდა შეფარვით ვწვეოდი მიჯნურს“...

(თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა).

„დილის საყვედურები“

„— ო, შე ცბიერო, გიჟმაყო ბავშვო“

(თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა).

„ზაფხული“ — „წელიწადის ოთხ დროში“:

„მიუბო, თუნდ წაართვი, არაფერი  
აუღლებს,  
არის თურმე სიყვარული სიყვარულის  
ბადალი —  
ასეთია ჩემი გრძნო, ჩემი ტრფობის  
ნადავლიც“.

(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა)

ამ ლექსებით ჩვენ წინ გავუხწარით მოვლე-  
ნათა განვითარებას. როგორც მოხალოდნელი  
იყო, გოეთე დიდხანს ვერ დაუშალავდა საზო-  
გადოებას ფარული კავშირის ამბავს. უბრალო  
შემთხვევამ „საიდუმლოს“ ფარდა ახადა. 1788



წლის მარტში ფრიც ფონ შტაინი „საზოგადოებო სახლში“ „უცხო ქალს“ შეხვდა; და ეს ამბავი ჯერ შარლოტამ შეიტყო, მერე კი მთელმა ქალაქმა.

აღშფოთება საყოველთაო იყო. თუმცა ეს აღშფოთება თავისთავად ამგვარი ურთიერთობის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ „სატრფოს“ პიროვნების წინააღმდეგ. ამგვარ „შინაურულ ურთიერთობაში“ არაფერი არ იყო უჩვეულო, ეს სავსებით შეესაბამებოდა იმ დროის შეხედულებებსა და გემოვნებას და არც მაგალითები იყო საამისოდ საძებარი — თუნდაც გოტინგენელი პროფესორი ლიხტენბერგი, გოეთეს მეგობარი ჰამანი და ბოლოს, თვით რუსო. გოეთეს არავინ დაუძრავდა, მას რომ რომელიმე „კეთილშობილი ოჯახის“ ასული ან ხელოვანი ქალი აერჩია ცხოვრების თანამგზავად. მაგრამ ის ფაქტი, რომ შინისტრმა, სახელგანთქმულმა პოეტმა, მეგობრად გაიხადა ღარიბი, „დაბალი ფენიდან“ გამოსული „გომბიო“, ფაბრიკის მუშა, ვაიშარელ ბანოვანთა აღშფოთებას იწვევდა. ეს იყო არისტოკრატიული საზოგადოების უგულვებელყოფა, მორალისა და წესობის იმ გაგების უპატივცემულობა, რომელიც ამ საზოგადოებისათვის იყო და მახასიათებელი. ისინი შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, ამას ემატებოდა შური და ექვიანობა; კორისა და მითქმა-მოთქმის წყალობით აღშფოთების ცეცხლი არ ნელდებოდა და ბოროტი ენები, რაც შურის მუდმივი თანამგზავია, ქრისტიანას უმდაბლეს და უბიწიერეს არსებად საბავდნენ. მაგრამ განა დაშინაშავე იყო საბრალო გოგონა, რომ გოეთეს ხწორედ ის მოეწონა, მოეწონა, რადგან გონებას კი არა, თავის გულისთვის მიჰყვებოდა, თავისი აღწერის შესაბამისად კი არა, ბუნების კარნახით მოქმედებდა? რა ექნა საბრალო გოგონას, თუ არ იყო ჩვეული ფერუშარულსა და თავის ნამდვილ, როგორც ამბობდნენ, „მდაბიურ“ ხანებს აჩენდა? უმეტესად კი ის ქალი იყო აღშფოთებული, რომელიც ყველაზე ახლოს იყო გოეთესთან და სხვებზე უმაღლეს მართებდა, გაეგო მისი: შარლოტა ფონ შტაინი.

„უმაწილი ვულფიუსი“ გულის სატრფოდ გაუხდია და ისიც ხშირად დაიარება მასთან, ეჭილიება იგი კაროლინა შერდერს. მას არ ბეზრდება აუგად მოიხსენიოს „მდაბალი პიროვნება“, „მოახლე“, მისი „ოჯახური ურთიერთობანი“, მაგრამ არც თავის მეგობარს აკლებს საბრალოდობა სიტყვებს; მერე და რა, თუ გოეთე მას ხწერს:

„განა რას ზედავთ ასეთს ამ ურთიერთობაში? ვის რა უწევდება ამით? ვის რა უფლება აქვს იმ გრძნობებზე, რომელთაც შეგ ამ საბრალო არსების მიმართ განვაცდი? ვის აკლდება ის სა-

ათები, რომლებსაც მასთან ვატარებ?“

მაგრამ შარლოტას აღარაფერი ატარებს მისი ის ზედავს მხოლოდ, რომ გოეთე დაერგა, ხოლო, როცა 1789 წლის შობა დღეს ქრისტიანამ გოეთეს ძე აჩუქა, შარლოტას წახალისებულ-ალატა მოთმინებამ, მისი გრძნობის უპატივ-ძულვლით შეიცვალა და ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა გოეთესთან.

შარლოტას მეცადინეობით შილერის მეუღლე ქრისტიანას საწინააღმდეგოდ განეწყო. როცა ლოტე შილერი წიწლით იხსენიებს „გაბღენძილი მრჩევის გაბღენძილ მეორე ნახევარს“, ან ქრისტიანას „მდაბიურ ბუნებას“ ეხება, ალბათ მას შურიც აღაპარაკებს. იგი პატივს სცემს გოეთეს, თუმცა არ ესმის მისი საქციელი და თვლის, რომ სიბრაღულს იშხანურებს:

„ზოგჯერ ვერც კი გამომიტყვამს, როგორ მაწუხებს და რა ტკივილს მაყენებს დიდი ოსტატის ასეთი მდგომარეობა, რადგან მრჩევენება ხოლმე, რომ ის გზადაბნეულია. რომელმა სატანამ არგუნა მას ეს ბედი? ეს ადამიანური ვნებების ამოუხსნელი გამოცანაა.“

ჩანს, მეუღლის განწყობა შილერსაც გადაედო, რასაც კიურნერისადმი წერილში ასე გამოთქვამს:

„კაცმა რომ თქვას, გოეთე ცოტა უგუნურად იქცევა. ეტუობა ასაკში შედის და ახლად უბდის ღმერთი სამაგიეროს მისი მრავალრიცხოვანი „ცოდვების“ გამო. ვშიშობ, სიხუთელეს ჩადის და საბოლოოდ ჩვეულებრივი ბერბიკას ბედი ელის. მისი სატრფო გაბლავთ მადშაწელ ვულფიუსი, რომელთანაც ბავშვიც მყავს და ისიც მის სახლში ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარში. როცა იქნება, ალბათ, შეირთავს კიდევ. გოეთეს, ჩანს, ბავშვი ძალზე უყვარს და თავს ალბათ იმითლა გაიმართლებს, რომ ეს ქორწინება ბავშვის საკეთილდღეოდ უნდა მოხდეს, ამით კი მისი ნაბიჯი ნაკლებ სასაცილო გამოჩნდება საზოგადოების თვალში.“

შილერი ვერც მოგვიანებით შეეგუა გოეთეს ამგვარ თავისუფალ ქორწინებას, როცა ისინი უკვე მეგობრები გახდნენ. გაშუდმებით იხსენიებს ამ „სავალალო მდგომარეობას, რომლის შეცვლის ძალა მას არ შესწევს და რომელიც ათას უსიამოვნებას აღძრავს“. მაგრამ თან გრძნობს, რომ ყოველივე ამის მიღმა უფრო მნიშვნელოვანი რამ იმალება, ვიდრე საზოგადოების თვალში ჩანს:

„ეს ერთადერთი სიხუხტე, რომელიც მხოლოდ თავად ნისტვისაა საწიანო, მისი ბუნების მეტად კეთილშობილურ მხარესთანაა დაკავშირებული“.

ოფიციალურად, ე. ი. კარის საზოგადოებისა და მოხელეთა წრისათვის ქრისტიანა არ არსებ-



ბოხს. ეს ართადერთი გამოხატულია უსიამოვნო გარემოებათა თავიდან ახაცილებლად. ანა ამო-  
ლია სიტყვასაც არ ძრავს ამ ამბის გამო, არც  
ავს ამბობს და არც კარგს. მეტ დიდხულოვ-  
ნებას იჩენს კარლ აუგუსტი — იგი მზადაა გო-  
ეთის ვაჟის მეურვეობა იყოს, თუმცა ნათ-  
ლობაზე არც თავად მოდის და არც წარმომა-  
დგენელს გზავნის.

ადვილი წარმოსადგენია ქრისტიანის მდგომარეობა ასეთ ვითარებაში მდუმარედ იტანს იგი ყოველგვარ სიმდაბლეს, მის მიმართ რომ იჩენენ. ჩივილის ან საუვედურის ერთი სიტყვაც არ დასცდება. არ უნდა თავის მეგობარს კიდევ უფრო დაუშვიშოს იხედავ მძიმე მდგომარეობა. მისი სიუყვარულია ერთადერთი საყრდენი ქრისტიანისათვის.

„მე შენი სიუყვარული მაცოცხლებს და დარწმუნებული ვარ, რომ შენც გაუყვარვარ; მხოლოდ ეს მანიკებს სიბარულსა და კმაყოფილებას, როცა ვინმე გულს მატკენს ხოლმე“.

იგი ერიდება ყველაფერს, რაც გოეთეს საზოგადოებაში რაიმე დაბრკოლებას შეუქმნის, იხსენიებს მას, მხოლოდ როგორც „ბატონ მარჩველს“ და სრულიად ზუნებრივად თვლის, რომ იგი ძველებურად „მადმუაზელ ვულფიუხია“. აზრადაც არ მოსდის გოეთეს თანახმობა უფლებიანი მეგობრის როლი თამაშოს. მის გულში კი ხულ სხვა ამბავი ტრიალებს. ბრემენელ ექიმს, ნიკოლაუს მაიერს გაანდობს ერთხელ გულისნადებს:

„წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, რომელსაც ბატონი მარჩველისა და თქვენს მეტი მეგობარი არ გამაჩნია ამ ქვეყნად!“ „ისეთიც არავინ მეგულება, რომ გული გადავუშალო“.

გოეთე გრძნობს, როგორ იტანება ქრისტი-  
ლი მის გამო; იგი შემთხვევას არ უშვებს, როგორმე გაამხნევოს ქალი, საკუთარი თავისადმი რწმენა განუმტკიცოს.

„ნუ მიიტან გულთან ახლოს, თუ ვაიმარში ვინმემ ოდესმე ცუდად მოგიხსენიოს“, წერს ქრისტიანს, „ასე ყოფილა მუდამ და ასეც იქნება — არავინ არ აპატიებს სხვას რაიმე უპირატესობას, როგორიც არ უნდა იყოს ის, და რაკი მისი წართმევა არ ძალუძს, ცდილობს დაამციროს ან უარყოს. ან ხულაც საწინააღმდეგოდ წარმოაჩინოს. ასე რომ დატკბი იმით, რაც ბედმა გარგუნა და რაც მოგიპოვებია, და ეცადე შეინარჩუნო. ჩვენვე ვუერთგულოთ ჩვენს სიუყვარულს, ვიცხოვროთ ჩვენთვის სადად და მშვიდად და ნუ მივაქცევთ ყურადღებას სხვათა აზრს“.

სხვა წერილში კი წერს:

„თუ აღაშინებს ვერ აუტანიათ შენი კარგად ყოფნა და ცდილობენ ჩაგიშხამონ, იცოდეთ,

რომ ეს ცხოვრება ასეთია და ამას ვერსად გაეცდები. ნუ დაგაღონებს ეს, სხვაგვარად არც იქნება. ზოგიერთი არამზადაა, რომ ეოველ დონეს ხმარობს, რომ ჩემი წარერების მნიშვნელობა დაამციროს, მაგრამ მე უფროდლებას არ ვაქცევ და განვაგრძობ ჩემთვის მუშაობას“.

თუ როგორ განიცდის გოეთე მეგობრისა და თავის შეურაცხყოფას, ჩანს კიდევ ერთი წერილიდან, რომელსაც ის ერთ ახალგაზრდა მეგობარს სწერს:

„უნდა გამოგიტუდეთ, ყოველივე ცუდი და უმსგავსო, რაც კანონებში გვხვდება, ბუნების სფეროდან იქნება ეს, სამოქალაქო თუ ეკონომიური სფეროდან, მეთასხედ ნაწილსაც კი არ შეადგენს იმ უსამართლობისას, რომლის გადალახვაც ჩვენ გვიხდება, როცა ყოველგვარი კანონების გარეშე ვმოქმედებთ და უბრალოდ, ჩვენსავე თავთან, ან სხვებთან და სამყაროს მორალურ კანონებთან წონასწორობაში მოსვლას ვცდილობთ“.

იგი არ გრძნობს თავს დამნაშავედ საზოგადოების წინაშე.

„თუკი ხალხი რაღმე გეცხავს, დამნაშავედ მიმიჩნევს,

მოთმინებას უნდა ვუბმო; — თითქოს

მართლაც ისეა!

თუმცა ხომ ვარ დამნაშავე, შენთან უღვთოდ ემშავებ,

შენ რაც გსურდეს, მომიხაჯე, სამართალი განზეა!“

(თარგმანი ნახა ღვინეფაძისა)

მეგობრებს, რომლებიც მას დაქორწინებას ურჩევდნ, ასე პასუხობს:

„მე დაქორწინებული ვარ, მაგრამ ცერემონიების გარეშე“.

ერთადერთი ვისაც მისი ესმის, პერდერია. თუმცა, როგორც თეოლოგი, სქესთა თავისუფალ კავშირში თითქოს წნეობის წმინდა კანონების დარღვევას უნდა ხედავდეს, იგი მხარს უჭერს გოეთეს და მისი უცხოეთში ყოფნისას თავის თავზე იღებს ქრისტიანისა და ჩვილ ქრმაზე მზრუნველობას, რაზეც ეს უკანასკნელი მადლიერებით პასუხობს.

„თქვენნი გაბედული შეხედულებებისათვის ჩემოანების მიმართ გულისთად მადლობას მოგახსენებთ“.

ახალგაზრდა ფოსიც თანავგრძნობითაა მათ მიმართ გამსჭვალული. ის სწორად დადის ურთუნქლანზე და ვერაფერს ვერ ხედავს იმ მითქმა-მოთქმის დამადასტურებელს, რასაც ქრისტიანის შესახებ აფრცელებდნ.

„რაც მას ვიცნობ, არაფერია ისეთი არ ჩაუდგენია, რომ თვით უშკაცრები პედანტის თვალშიც კი მისი რეპუტაცია შეღაბულიყო. ნურც



გადაქარბებით შევაფასებთ მას — მივაგოთ მხოლოდ ის, რასაც იმსახურებს“.

გოეთეს რომ უღირსი ადამიანი არ აურჩევია თავისი ცხოვრების თანამგზავრად, ამას ალღოთი გრძნობს ქალი, რომელიც ფრანკფურტიდან ადევნებს თავს, თუ რა ხდება ვაიმარში. გოეთეს დედა ჯერ მხოლოდ ვაჟიშვილის წერილებიდან იცნობს ქრისტიანას. მაგრამ ადამიანური ბუნების ღრმა ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება შეუცდომლად კარნახობს, რომ მისი „ნებიერას“ არჩევანი სწორია. იგი პირდება ვაჟიშვილს:

„მე მივწერ შენს გულისსწორს“.

და ასე იწყება ქალბატონ აიას წერილების ის ძვირფასი კრიალოსანი, რომელიც ვაჟიშვილის სატრფოსადმია მიმართული. ქრისტიანა საოცრად მოკლე ხანში ახერხებს დედის გულის მონადირებას. წერილებში „მადმუაზელ ვულფიუსს“ მალე ცვლის მიმართვა „ძვირფასო მეგობარო“ და „ჩემო საუვარელო გოგონა“; რაც უფრო ახლოს ეცნობიან ქალები ერთმანეთს, მით უფრო გულწრფელი ხდება მათი საუბრის ტონი.

წნეობის კანონების ერთგული ქალისათვის, მრჩეველის ცოლისათვის, ცხადია, მძიმე ტვირთია, რომ მისი ვაჟისა და ქრისტიანას ურთიერთობა კანონით არ არის განმტკიცებული. მაგრამ იგი საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე და დიდხულოვანია, რომ ავად არ განსაჯოს სიუვარულითა და ბედნიერებით ნაკურთხი კავშირი. ვაჟის ბედნიერება უოველგვარ მორალურ მოსაზრებას უკანა პლანზე სწევს. შვილიშვილის შეძენის მოლოდინში კი აი, რას სწერს ვაჟს:

„გილოცავ მომავალ მოქალაქეს, ოღონდ კი საწყენია, რომ ჩემს პატარა შვილიშვილს საბუთებში ვერ ჩავწერ და ვერც ძეობას ვიწეებ—მაგრამ რაკი ამ ქვეყნად არაფერი არაა სრულყოფილი, იმით მაინც ვინუგეშებ თავს, რომ ჩემი „ნებიერა“ ასე უფრო ბედნიერი და კმაყოფილია, ვიდრე კანონიერ, მაგრამ უიღბლო ქორწინებაში იქნებოდა“.

ქრისტიანას ფრანკფურტში სტუმრობამ კი საბოლოოდ გააღღო უინული:

„ჩვენი შეხვედრა ხანმოკლე იყო, მაგრამ სამო და გულითადი, და აწი, რაკი უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, მომავალი სულ უფრო და უფრო ნათლად მესახება. მიგულისხმობ მარად მოსიუვარულე დედად და გულითად მეგობრად, მარად თქვენი ერთგული ელიზაბეთ გოეთე“.

შემდეგ კი ვაჟს სწერს:

„ღმერთს მადლობა უნდა შესწირო! ასეთ სათუთ, მშვენიერ, უმანკო ქმნილებას იშვიათად თუ იპოვის ადამიანი. ახლა, როცა უკვე კარ-

გად ვიცნობ მას, შემძლია მშვიდად ვიფიქრო ყველაფერზე, რაც შენ გეხება“.

ეს სიუვარული და გულითადობა უკვე სამუდამოა.

გოეთესათვის უდიდესი შვენაა, რომ ასეთი არაკეთილგანწყობისა და მიტქმა-მოტქმის ქაოსში ეგულება თანამგრძნობი, რომელსაც შეუძლია გაენდოს, ნუგეში და სიმზნევე მკოვოს მასთან. დედის თანაზიარობით ნაკურთხი კავშირი წლითიწლობით იფურჩქნება და უოველგვარი გაკენწვლის მიუხედავად სულ უფრო და უფრო მტკიცე და გულითადი ხდება.

ამ გულითადობას მოწმობს ის წერილები, რომლებიც გოეთეს პირველ წლებში მიუწერია ქრისტიანასათვის. მათგან, როგორც ბედნიერების სარკიდან, სიუვარულის, მზრუნველობისა და სულიერი კმაყოფილების შუქი ასხივებს. რა გულითადი და დამაქერებელი სიტყვებით ესაუბრება იგი შორიდან სატრფოს თავის სიუვარულზე. საიდანაც არ უნდა იწერებოდეს — იენაიდან, კარლსბადიდან, ჰაიდელბურგიდან თუ საფრანგეთიდან — მისი წერილები სიმშვიდითა და უშფოთველობით სუნთქავს და ასე იწყება: „ჩემო პატარა საუვარელო“, „პატარა მეგობარო“, „ჩემო საუნჯე“. „გჭეროდეს, რომ მიუვარხარ“ ან „გიუვარდე და დამიკოცნე პატარა“ — ასე ემშვიდობება სატრფოს. შიგა და შიგ კი უმეორებს:

„ჩემი ერთადერთი სურვილია კვლავ გნახოთ შენ და პატარა; როცა ერთად ვართ, არ ვაფასებ ამ ბედნიერებას“.

ან:

„არაფერი სჯობს ერთად ყოფნასა და ერთმანეთის სიუვარულს“.

„აბა შენ იცი, როგორ უერთგულე ჩემს სიუვარულს, ეს ყველაფერს აჯობებს შენთვისაც და ჩემთვისაც. ამ ქვეყანაზე სიკეთე უფრო ძუნწადაა დათესილი, ვიდრე ჩვენ გვგონია; გავუფრთხილდეთ იმას, რაც გვაბადია“.

დიდი თუ მცირე საჩუქრებით კი უფრო მეტ დამაქერებლობას ანიჭებს თავის სიუვარულს:

„გასაცვლელი თუ გამიჩნდა, ანდა რამე საყიდელი, შენზე იყოს, მომინდვია ეს ლამაზი არჩევანი, — რადგან შენ ხარ ჩემი განძი, შენვე ჩემი მარჩენალი“.

(თარგმანი ნანა ლვინეუაძისა).

ერთ წერილში კი ასე გამოთქვამს თავის სიხარულს:

„მუდამ უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს შენთვის ნაირ-ნაირი ამბების გაშოგონება“.

მაგრამ სიუვარული და ეჭვიანობა მეზობლები არიან:



„იყავი ჩემი ერთგული, თორემ ზოგჯერ გულში ვეჭვიანობ ხოლმე და ვფიქრობ, რომ შეიძლება უფრო მეტად ვინმე სხვა მოგეწონოს — რამდენი მამაკაცია ჩემზე სასიამოვნო და მომხიბლავი. მაგრამ შენ მათკენ ნუ გაგეცემა თვალი, ჩემი თავი გერჩიოს სხვებს, რადგან მეც უზომოდ მიყვარხარ და შენს მეტი არავინ და არაფერი არ მომწონს“.

თან არ უნდა აწყენინოს ქალს თავისი ეჭვიანობით:

„თუ რაიმე დასაღონებელი მოგწერე, უნდა მომიტეო. შენი სიყვარული ჩემთვის იმდენად ძვირფასია, რომ მისი დაკარგვით ძალზე უბედური ვიქნებოდი. შეშინდე ეს მცირეოდენი ეჭვიანობა და მზრუნველობა“.

ქალსაც ურჩევს, არ ეეჭვიანოს:

„მე ძალზე გაფანტულ ცხოვრებას ვეწვივ, მთელ დღეებს საზოგადოებაში ვატარებ. ბევრს თვალის უჭირავს ჩემზე, მაგრამ შენ ეს არაფრით არ გემუქრება, რადგან ყველა საფუძველი მაქვს, რომ მიყვარდეს და შევიწარჩუნო ჩემი ერთგული საუნჯე“.

მონატრებას სატანჯველად გადაუქცევია მისთვის განშორება:

„მომავალში ჩემი მოგზაურობა არაფრად ეღირება, თუ შენც თან არ მიყოლები“.

რა სიამოვნებით უბრუნდება თავისიანებს:

„მერწმუნე, მხოლოდ შენთვის და ჩვენი პატარას გულისთვის ვბრუნდები. მხოლოდ თქვენ გაკლივართ, სხვას კი მშვენივრად შეუძლია უჩემოდაც გაძლოს. იყავი კარგად და გყვარდე ისე, როგორც მე მიყვარხარ — ვერ გამომიტყვამს, როგორ მახარებს თქვენი კვლავ ხილვის მოლოდინი“.

და ისევ სიყვარულის ფიცი, რომლისთვისაც იგი საკუთარ, სრულიად თავისებურ ენას ქმნის, ენას, რომელზეც მხოლოდ მას შეუძლია საუბარი, რომელსაც ნათელი სხივი შეაქვს ყოველდღიურ უფერულობაში. ეს არის გოეთე — ადამიანის ენა, ადამიანისა თავისი უაღამიანურების თვისებებითა და გამოვლინებებით, ტკივილებითა და სიხარულით, ეს არის ორთა ენა გოეთესა და იმ ადამიანს შორის, რომელთანაც მას მხოლოდ ადამიანური სიახლოვე აკავშირებს. ვერხად ვერ შევიგრძნობთ და ვერ განვიცდით გოეთეს ბუნების ადამიანურ მხარეს ისე, როგორც ამ წერილებში. თვისი თავმდაბლობითა და უპრეტენზიოობით ისინი სიხარულს გვგვრიან და სიყვარულს აღძრავენ ჩვენში. ასეთივე სიყვარულს იმსახურებენ ქრისტიანას წერილები და ბარათები მის მიმართ, რომლებიც კიდევ უფრო უპრეტენზიოა; რა ბუნებრივი გულითადაა, რა გულისამაჩუქებელი მიაშრობა გამოსხვების მათში:

„ნეტავ სულ შენთან მამყოფა; მხოლოდ

ესაა ჩემი სადარდებელი, რადგან მხოლოდ შენ მიყვარხარ“.

ან:

„მაშ, ჩემო უძვირფასესო და უმშვენიერესო, ჩემო საუნჯე, ცოტა უნდა გაგესაუბრო, თორემ სხვაგვარად აღარ შემიძლია ვერ ერთი, უნდა გითხრა, რომ საშინლად მიყვარხარ და დღეს განსაკუთრებით ვგრძნობ ამას, მეორეც...“.

და იგი გულიანად საუბრობს შინაურულ ამბებზე, ყოველდღიურ განცდებზე; წერს ყველაფერზე, რაც კი აგონდება.

ქეშმარიტი ბედნიერებით სუნთქავს ეს წერილები:

„მშვენივრად ვგრძნობთ თავს; ნეტავ შენც აქ იყო და ჩვენს სიხარულს იზიარებდი! მე ბედნიერი ვარ და ეს შენი დამსახურებაა, ჩემო ძვირფასო! არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება“.

რა სიხარულს მიანიჭებდა გოეთეს ეს სიტყვები!

გოეთესა და ქრისტიანას მიმოწერაში მარტოს ბედნიერება კი არაა გამოხატული, რომლითაც ისინი ერთმანეთს ასაჩუქრებენ, არამედ საუკეთესოდ ჩანს, რას წარმოადგენენ ისინი ერთმანეთისათვის. ქრისტიანა არა მხოლოდ სატრფია მისი, არამედ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების თანამგზავრი — ამ სიტუციის ქეშმარიტი ვაგებით. იგი ზრუნავს გოეთეს კეთილდღეობისათვის, თავს დასტრიალებს ოჯახს, უძღვება მეურნეობას, მოკლედ, დაბადებით დიასახლისია. უფლის ბაღს, ობერროსლაში მდებარე მამულსაც და ყოველივე ამას გატაცებით უანგაროდ აკეთებს, მადლიერებისა და მისი ღვაწლის აღიარებაზე ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე. იგი ყველანაირად უწყობს ბელს თავის მეგობარს, საამო სიმუდროვებს უქმნის, აშორებს ყოველივე უამურსა და გამაღიზიანებელს. ერთბეშად, როცა გოეთე დიდი ხნით დარჩა იენაში, ქრისტიანა წერს მას:

„შენი ოთახები და მთელი სახლი, ჩემო კარგო, წესრიგშია და მოუთმენლად ელიან პატარონს. აქ უკეთესად იმუშავებ, ვიდრე სხვაგან; შეგიძლია წამოწოლილმაც იმუშაო, როგორც იენაში; არც მე შეგაწუხებ დილაობით, ვიდრე შენ თვითონ არ დაგჭირდები. არც გიუსტელი შეგიშლის ბელს. ოდონდაც მალე ჩამოდი“.

მაგრამ ქრისტიანას მდგომარეობა არც ისე მარტივია. საკმაოდ ძნელია, ემსახურო დიდ ადამიანს. ქრისტიანამ იცის, როგორ უნდა მოექცეს გოეთეს, იტანს მის პირვეულობას და თავისი მზიარული განწყობილებით უფანტავს მკმუნვარებას. მისი გულითადაა, ბუნებრივია, ხალისი ამწნეუბებს და ასხივოსნებს მეგობარს; მისთვის უჩვეულოა მეღანჭოლია. მაშინაც კი,



როცა ხაღმეა წახული, სახლში ქალის სული ტრიალებს. ხაღ-ლაუხშტეტში ეოფნისას გოეთე სწერს მას:

„სახლში ყველაფერი რიგშია და ჩემს სასიამოვნოდ. თითქმის შენი სული ტრიალებს აქ და აწესრიგებს ყველაფერს“.

სტუმრიანობისას ქრისტიანა გულფიუსი მას-პინძელია. მოხერხებულად და წინდახედულად უძღვება ფრაუნჰოლანსე მდებარე სახლის წარმომადგენლობით დანიშნულებას. მონაწილეობს კოლექციების მოწესრიგებაშიც და საერთოდ, უამრავი საქმისაგან ათავისუფლებს მეგობარს. როცა დედის გარდაცვალების შემდეგ გოეთე მას ფრანკფურტში გაგზავნის მემკვიდრეობის საქმეების მოხატვარებად, იგი „უმტყივნეულად და მოხდენილად“ აკეთებს ყველაფერს. გოეთეს დისწული ჰენრიეტა შლოსერი წერს:

„მემკვიდრეობის განაწილებისას იგი ძალზე გულთბილად და ღმობიერად იქცეოდა, და მასში რომ სიხარბის ნატამალი ეოფილიყო, ასეთ დროს უთუოდ გამოაშკარავდებოდა. ჩვენ ყველას სიხარულს გვგვრის მასთან ურთიერთობა, არასოდეს არ დავუკარგავთ თავის დამსახურებას და ეოფელთვის გამოვესარჩლებით. რადგან მის ირგვლივ უამრავი უსამართლობა ხდება“.

თავდადებით უვლიდა ქრისტიანა მეგობარს ავადმყოფობისას: 1800 წელს, როცა გოეთეს სიცოცხლე საფრთხეში იყო, მის სასთუმალს არ მოშორებია. გამოჯანმრთელებული კოეტი, ქრისტიანახადში უდიდესი მადლიერების გრძნობით აღესილი, ასეთ წერილს სწერს დედას:

„ვერ წარმოიდგენთ, რა სიკეთე, მზრუნველობა და სიყვარული გამოიჩინა ჩემმა პატარა მეგობარმა ამ მძიმე დღეებში; მე არ ძალმიძს ღირსეულად შევაფასო მისი თავდადება. აუგუსტსაც ძალზე უოჩაღად ეჭირა თავი, და ხელახლად შობილს ორივე უზომო სიხარულს მანიჭებს“.

ქალბატონ აიას 1801 წლის 19 იანვრის მადლობის ბარათი კი ულამაზესი ქილდოა ქალის იმ მზრუნველობისა და თავგანწირვისათვის, რაც მან ავადმყოფი მეგობრის სარეცელთან გამოიჩინა:

„ჩემო საყვარელო, ძვირფასო გოგონა! როგორ გადაგიხადოთ მადლობა იმ სიყვარულისა და მზრუნველობისათვის, რაც ჩემი ვაჟიშვილის მიმართ გამოიჩინეთ. დე, ღმერთმა მოგაგოთ სამაგიერო — მან აქი ხელახლა გაჩუქათ მეგობარი. და ახლა ახალ ცხოვრებას შეუდგებით ერთად“.

მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული იმის შესახებ, თუ რა ადგილი უჭირავს ქრისტიანას გოეთეს შემოქმედებაში. მაგრამ ამით გადაჭარბებული წარმოდგენა არ უნდა შეგვექმნას მასზე. ქრისტიანას განათლება უფ-

რო შინაგანი იყო, ვიდრე შექმნილი. მისი აღქმის უნარი და გავება იმ სფეროში, რაც ეოფელდელიურობის ფარგლებს სცილდება, შეიძლება შეწლუდულიც კი იყო. გოეთემ ეს მშვენივრად იცოდა. მაგრამ ეს სული სიყვარულადაც მოელოდა მისგან, როცა უნდა შემოქმედებას აწიარებდა. ფრაუ კნებელი ამბობს:

„ის არ იყო დიდად განსწავლული ქალი, მაგრამ მომადლებული ჰქონდა თანდაყოლილი, ნათელი ადლო გოეთეს ხშირად უთქვამს, ზოგჯერ მუშაობისას აზრები ისე ამრევია ერთმანეთში, რომ თავი ვეღარ გამოირთმევია მათთვის; ამ დროს საკმარისი იყო, ქრისტელისთვის უბრალოდ ამეხსნა საქმის ვითარება და გაოცებული დავრჩენილვარ, როცა მას თავისი ბუნებრივი, უტყუარი ადლოს წყალობით სწორი გზა მიუთითებია ჩემთვისო. ასე რომ, გოეთე ბევრს უმადლის ქრისტიანას“.

მრავალი წერილიდან ვიცით, რომ გოეთე მოკლედ უზიარებდა ქრისტელს თავის იდეებსა და გეგმებს, ეთათბირებოდა ჯერ კიდევ მეღან-შეუმრობელ ნაშრომებზე, უკითხვდა ახალ ლექსებს. იენადან „ბერმან და დოროთეას“ შესახებ სწერს:

„ყველაზე სასიამოვნო ამბავი, რაც შემოძლია შეგატყობინო, ის არის, რომ კოემა უკვე მზადაა“.

ქრისტიანამ იცის, რას მოეღის მისგან მეგობარი ასეთ შემთხვევაში. როცა გოეთე „უპანონო ასულზე“ მუშაობისას იწერება, ქრისტიანა პასუხობს:

„სიხარულით მოველი შენს ჩამოსვლას, რომ რაიმე მოვისმინო ახალი ნაწარმოებიდან“.

გოეთე უგზავნის მის „არჩევითი ნათესაობის“ პირველ ანაბეჭდს და სთხოვს, შეატყობინოს თავისი აზრი. და თუმცა ქრისტიანას ბევრი რამის თქმა არ ძალუძს თვით ნაწარმოების თაობაზე, ყველანაირად ცდილობს, კარგი განწყობილება შეუქმნას მეგობარს თავისი მხარდაჭერით, გაამხნევოს, რათა შეასრულოს განზრახული და გააგრძელოს დაწყებული საქმე. ქრისტიანას წვლილი გოეთეს შემოქმედებაში შეიძლება უფრო მოკრძალებული იყოს სხვა ქალებთან შედარებით, მაგრამ განსხვავებულიც.

მისი წვლილის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ ამ ბედნიერი თანაარსებობის წლებში გოეთემ შექმნა ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ბალადები, ეპიგრამები, „ტასო“, „ვილჰელმ მაისტერი“, „ფაუსტი“. ბუნებისმეტყველური ნაშრომების შესახებ გოეთე წერს, რომ

„ეს ნაწერები სრულიად განცალკევებულად დარჩებოდნენ, კეთილ ოქაბურ ვითარებას რომ არ შეეწყო ხელი და არ გაეხალისებინა ეს უცნაური ეპოქა“.

მოღვაწეობის ერთ სფეროში კი ქრისტელი



მისთვის შეუცვლელია. როგორც თეატრის გა-  
ტაცებულ მოყვარულს, მას საოცრად მახვილი  
თვალი აქვს თეატრის დეტალებზე და თუ მსა-  
ხიობთა საკითხში. გოეთე აფახებს მის აზრს  
და მხარდაჭერასაც სთხოვს, როცა მსახიობებს  
შორის რაიმე დავა დასაშლად წმინდელი, ან თვი-  
თონ აქვს რაიმე მსახიობებთან მოსაგვარებ-  
ელი. ქრისტიანთა მიემგზავრება ბადლაუზშტედში  
და ატყობინებს გოეთეს იქაური დადგმების  
შეხაზებს. გოეთე ძალზე კმაყოფილია ამით:

„კარგია, რომ ბოლომდე რჩები ლაუზშტედ-  
ში; არ ვიცი როგორ გამოვთქვა ჩემი მადლიე-  
რება, რადგან უშენოდ, თავადაც კარგად იცი,  
თეატრის საქმეს ვერ გავუძლევბოდი“.

მაგრამ თან ვაიმარშიც აქლია ქრისტიანთა:

„თეატრში ისეთი ამბები მოხდა, შენ რომ აქ  
ყოფილიყავი, ალბათ ყველაფერი უფრო უმ-  
ტკივნეულოდ მოგვარდებოდა“.

განა ცოტას ნიშნავს ყოველივე ეს?

და შესაფერის ადგილსაც იმკვიდრებს იგი  
გოეთეს შემოქმედებაში, როგორც მისი სიყვარ-  
ულისა და ოქახური ბედნიერების მოწამე.  
ჩვენ უკვე ვიცნობთ „რომაულ ელეგიებსა“ თუ  
„ვენეციურ ეპიგრამებს“, ლექსებს „დარბაზო-  
ბა“, „დილის საყვიდურებს“, „ზაფხული“. მათ  
მოსდევს ელეგიები „ალექსისი და დორა“, „ახა-  
ლი პაუზიასი და მისი ყვავილებიანი გოგონა“,  
„ამინტა“, ნაკლებად ცნობილი ლექსი „დღიუ-  
რი“, რომელიც გოეთეს ლექსების კრებულთა  
დიდ ნაწილში არ არის შესული: როცა პოეტი  
იმედგაცრუების ტკივილს განიცდის, ქრისტი-  
ანთა ყოვლისმომცველი სიყვარულის მაცოცხ-  
ლებელი გრძნობა ნუგეშად და ახალი ლექსების  
სუნთქვად ევლინება მას.

ულამაზესი პოეტური ძეგლი აუგო მან ქრის-  
ტიანთა „მცენარეთა მეტამორფოზაში“. ამ  
ლექსში პოეტს თავისი თეორია პირველმცენა-  
რის შესახებ ადამიანზე, კერძოდ ქრისტიანზე  
აქვს გადატანილი. პოეტი თვით გვიამბობს ქრის-  
ტიანთა ადტაცებაზე, ამ ლექსში რომ გამოიწვია:  
„უდიდესი მადლიერებით მიიღო ჩემმა მეგო-  
ბარმა ეს ლექსი; მან მართებულად დაინახა  
თავისი თავი პოეტურ ხატებში; მეც ბედნიე-  
რად ვგრძნობდი თავს, რომ ამ ცხოველმყო-  
ფელმა შედარებამ ჩვენი ურთიერთტოლვა  
კიდევ უფრო გააძლიერა და სრულყო“.

ქრისტიანთა საბოლოო აღიარება კი მეგობ-  
რობის 18 წლისთავზე მოხდა. 1808 წლის 14  
ოქტომბერს გოეთე თავის დღიურში წერს:

„ხანძარი, ძარცვა, ჯოჯოხეთური ღამე. გადა-  
ვრჩით მხოლოდ სიმტკიცისა და ბედნიერი შემ-  
თხვევის წყალობით“.

ჩვენთვის ცნობილია, რა მოხდა ამ დღეებში.  
რამერი დაწვრილებით აღწერს ამ ამბავს. გოე-  
თე პირველ რიგში ქრისტიანთა უნდა უმადლო-

დეს თავის გადარჩენას. მათ სახლში დაბინავე-  
ბული ორი ფრანგი ღამით თავს დაესხა გოე-  
თეს.

„შემოიჭრნენ მახვილებით“ წერს ლოდერი  
ჭუფელანდს, „და ალბათ სიცოცხლეს გამოა-  
სალმებდნენ, ან დაჭრიდნენ მანკა-ვულფიუსი  
რომ არ გადაფარებოდა და შეერე კი რამდენიმე  
ვერცხლის შანდლის საფასურად არ მოეგერიე-  
ბინა მომხდურნი“.

ეს თავგანწირვა გოეთემ იმგვარად დაუმად-  
ლა ქრისტიანთა, რაბაც არავინ არ მოელოდა.  
ფოსი გვატყობინებს:

„გული ამიჩუყდა, როცა თავდასხმის შემდეგ  
სალამოს, შეკრებილთა თანდასწრებით, გოე-  
თემ მადლობა გადაუხადა ვულფიუსს მისი  
ერთგულებისათვის, რაც მან ამ მძიმე დღეებში  
გამოიჩინა, და ბოლოს დახმინა: „ღვთის ნებით  
ხვალ ჩვენ ცოლ-ქმარი გავხდებით“. გოეთეს,  
ჩანს, ადრევე ჰქონდა ეს განზრახული, ახლა კი  
სწორედ აღსრულების ეამი დაუდგა. 17 ოქ-  
ტომბერს იგი სწერს კონსისტორიალურ მრჩე-  
ველს გიუნტერს:

„ამ უკანასკნელ დღეებში ერთი ძველი გა-  
დაწყვეტილება საბოლოოდ მომწიფდა ჩემს  
გულში, მსურს სამოქალაქო წესით სამუდამოდ  
ვცნო მეუღლედ ჩემი პატარა მეგობარი, რო-  
მელსაც უდიდესი ამაგი მიუძღვის ჩემზე და  
ჩემთან ერთად დიდი განსაცდელი გადაიტანა.  
მითხარი, ღირსეულო მამავ და მეუფავ, რო-  
გორ მოვიქცე, რომ, რაც შეიძლება მაღელ, კვი-  
რას ან უფრო ადრეც, ჯვარი დავიწეროთ. რა  
არის ამისათვის საჭირო? თუ თქვენ თავად ვერ  
ჩაატარებთ ამ ცერემონიალს, ჩემი სურვილი  
იქნებოდა, რომ ეს ქალაქის საუდარში მომხდა-  
რიყო. როგორც კი ამ წერილს მიიღებთ,  
გთხოვთ, მაშინვე გამოატანოთ შიკრიკს პასუ-  
ხი“.

19 ოქტომბერს იაკობსკირხში შედგა ჯვრის-  
წერა. ცერემონიალმა უზმაუროდ ჩაიარა; ერ-  
თადერთი მოწმეები აუგუსტ გოეთე და რიმე-  
რი იყვნენ. ნიშნობის ბეჭედზე გოეთემ 14 ოქ-  
ტომბერი ამოაკვეთინა. მეგობრების მილოცვაზე  
მხოლოდ ასე პასუხობდა: „იგი მუდამ ჩემი  
მეუღლე იყო“.

ფრანკფურტში კი დედა უბედნიერეს წუ-  
თებს განიცდიდა; მისი ნატვრა და იმედი სინამ-  
დვილედ იქცა:

„ყოველგვარ სიკეთეს, ბედნიერებასა და  
ღვთის წყალობას გისურვებ ამ ახალ მდგომა-  
რეობაში“, — წერს იგი ვაჟს. „შენ ჩემი გუ-  
ლის წადილი აასრულე. ღმერთი იყოს თქვენი  
მფარველი! ჩემი ლოცვა-კურთხევა არასდროს  
მოგაკლდებათ. დედის ლოცვა შეიღების კერას  
იფარავს. გულითადი მოყვითება ჩემს საუვარდელ



გოგონას, გადამცემი, რომ მიუვარს, ვაჟებს და პატრის ცეცხლში.

თუ რა მნიშვნელობა იქნა თვით გოგონასთვის ეს ცერემონია, შემდეგიდან ჩანს: „აუგსბურგიშერ ალტერმაინენ ნახრიხტენ“ ასე იუწყებოდა მის კორწინებას.

„ქვემდებარის გრძელში გოგონამ ჯვარი დაიწერა მადმუაზელ ვულფიუსზე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მისი დიასახლისი იყო; ამრიგად, მხოლოდ ამ ქალს ჰქონდა წილად ბედნიერი ბილეთი, ათასებს კი ბედმა უმტყუნა“.

ამასთან დაკავშირებით გოგონე სწერს კოტას:

„მე არა ვარ იმდენად წარჩინებული პირი, რომ ჩემი საშინაო საქმეები გაწევის უურადღებებს იმსახურებდეს; მაგრამ თუ აუცილებლად უნდა ითქვას რაიმე, ფიქრობ, ჩემს თანამეშავედრთ მეტი სერიოზულობა მართებთ ჩემი ნაბიჯების განსჯისას, რამეთუ მე რიგიან ცხოვრებას ვეწეოდი ადრეც და ახლაც“.

გოგონა და ქრისტიანას კიდევ ათი წლის ბედნიერი ცხოვრება უდევთ წინ. ამ წლებში გოგონამ მას საზოგადოებაში აღიარება მოუპოვა, იცავდა უოველგვარი სულმოკლეობისა და განქიქებისაგან; პაწაწინა ლაქასაც კი არ აკარებდა მის სახელს. მის უოველგვარ შეურაცხუფას პირად შეურაცხუფად დებულობდა. პირველად ეს ბეტიანა ფონ არნიმმა გამოცხადდა თავის თავზე.

1801 წლის სექტემბერში არნიმები ვაიმარში იყვნენ. ბეტიანა, გოგონეს თავგამოდებული თავჯანსიყმელო, შემთხვევას არ უშვებდა, რომ ქათინაურებით დაეხეტოდა თავისი კერპი. ამან ქრისტიანას ეჭვიანობა გამოიწვია. მაინრიხ მაიერის მიერ მოწყობილ სურათების გამოფენაზე კი ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ. როტა ბეტიანამ მაიერის ხელოვნება გააქილოა, ქრისტიანამ თავი მოვალედ სცნო, გამოქომაგებოდა ოქახის ერთგულ მეგობარს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქრისტიანას ხელითაც კი წაუწევია მეტოქეზე, რის პასუხადაც ბეტიანამ საძაგელი სიტყვებით „შეაშკო“ ქრისტიანა.

გოგონემ მაშინვე ცოლის მხარე დაიჭირა და უოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა არნიმებთან. არც მერე შერიგებია მათ. ერთი წლის შემდეგ კი ტეპლიციდან წერს ცოლს:

„არნიმების ამბავს არ ვკითხულობ. ძალზე მოხარული ვარ, რომ ჩამოვშორდი იმ გადარეულებს“.

გოგონე ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ თავისი უკვე კანონიერი მეუღლე საზოგადოებაში გაეყვანა. საბედნიეროდ, ცოტა ხნის წინ ვაიმარში დაბინავდა ერთი ქალი, რომელიც შორს იყო პროვინციული ქალაქის კორებისაგან. ეს იყო იოჰანა შოპენშაუერი, ძალზე განათლებული, ხელოვნების მცოდნე, უოველგვა-

რი ცრურწმენებისაგან თავისუფალი ქალი, რომელიც თავის სტუმარმოყვარე სახლში ახლებურ, სასახლის კარისაგან დაშორებული საინტერესო ცხოვრობდა. გოგონე მისი ხშირი სტუმარი იყო. იოჰანა არაფერს უჩვეულოს არ ჰქონდა. იმამდე, რომ მას ცოლიც თან მოეყვანა ხელში.

„მე ისე მივიღე ქრისტიანა, თითქოს არც მცოდნოდა, ვინ იყო იგი აქამდე. აშკარად იმჩნეოდა, როგორ ახარებდა ჩემი საქციელი; ჩემს რამდენიმე სტუმარ ქალს პირველ ხანებში ცივად და ოფიციალურად ეჭირა მასთან თავი, მერე კი მათაც მე მომბაძეს. ასეთი ენაწულიანი და გაბალისებული გოგონე უკანასკნელ ხანებში არ გვენახა. ჩემამდე არავისთან არ ჰყოლია ქრისტიანა. რაკი მე ამ ქალაქში ახალი ჩამოსული ვიყავი, ადრე კი უფრო დიდ ქალაქში ცხოვრობდი, მას სწამდა, რომ სრულიად ჩვეულებრივად მივიღებდი მის ცოლს, ქრისტიანა თავდაპირველად მართლაც ძალზე შებოჭილი იყო, მაგრამ მე უველანაირად ვშველოდი, რომ თავისუფლად ეგრძნო თავი. ჩემი მდგომარეობის, იმ პატივისცემისა და სიუვარულის წყალობით, რაც ამ მოკლე ხანში ქალაქში მოვიპოვე, მართლაც შემეძლო მისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების შემსუბუქება“.

გოგონეს ეს არასოდეს დაუვიწყებია.

დანარჩენმა ქალებმა მხოლოდ ცოტაოდენი უოყმანის შემდეგ მიბაძეს იოჰანა შოპენშაუერის მაგალითს, უოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ, გარეგნული ფორმები მაინც დაეცვათ და გამოეჩინათ გოგონეს ცოლის მიმართ ის თავაწიანობა, რასაც ის იმსახურებდა.

„კაროლინა ფონ ვოლცოგენი (შილერის ცოლისდა) ამას იოლად ახერხებს“, წერს ვილჰელმ მუშბოლტი, და მართებულად აღნიშნავს, რომ „იმთავითვე კანონიერად დაქორწინებული ქალები ფრჩხილისოდენადაც ვერ ჭობნიან ქრისტიანას“.

თვით ქალბატონი ფონ შტაინიც კი შეურიგდა გარემოებას და მიიღო ქრისტიანას მიპატიჟება წვეულებაზე. იგი თავის ვაჟს სწერს:

„ცხადია, ჩემთვის არც თუ ისე სასიამოვნოა მის საზოგადოებაში ყოფნა, რადგან გოგონეს ძალზე უყვარს ეს არსება. მაგრამ არ მინდა ვაწყენინო“.

ქრისტიანამ კი ისევე ძალდაუტანებლად შეიფერა ახალი როლი, როგორი მორჩილი მღუშარე-ბითაც იტანდა თავის გარიყულობას:

„უნდა გითხრათ, რომ“ ამბობს კაროლინა იაგემანი, „მას არც მალე აუწევია თავი და არც ადრინდელი ჩვევები შეუცვლია“.

ქრისტიანას არასოდეს მოხვლია აზრად, გათანაბრებოდა გოგონეს, სიკვდილამდე ბავშვური მოწიწებით შესცქეროდა მას.



აღმათ იკითხავთ — იქნებოდა კი გოეთე სხვა ქალთან უფრო ბედნიერი? რიმერი, მათი ოჯახის ოიდი ხნის მეგობარი, ამბობს:

„სწო... თი ქალი სჭირდებოდა მას, რომ თავისუფლად და შეუფერხებლად განეფითა-რებინა თავისი შესაძლებლობანი; ჩანგებსა და ტიტულებს გამოედევნებული, განსწავლული, მაღალი წრის წარმომადგენელი ქალი კი, რომელსაც თავად ექნებოდა მწერლობაზე პრეტენზია, ვერ შეუწყობდა გოეთეს ხელს და ვერც შინაურულ მუდროებასა და ბედნიერ ცოლქმრულ ცხოვრებას შეუქმნიდა, რისი არაერთი მაგალითიც თავადაც უხილავს ადრე თუ გვიან ახლობლების წრეში.“

სწორედ ამ უხილველ მორჩილების, უოველი-ვეზე უარის თქმის, მოთმინების წყალობით შესძლო ქრისტიანამ გაეწია ქორწინების უღელი, ქორწინებისა, რომელიც მარმონიულიც იყო და ბედნიერიც, თუმცა. შეიძლება, ეს ქორწინება მისაბამად არც კი გამოდგეს, რადგან ვერ ვიტყვით, რომ ისინი ხანმოკლე მეუღლეები იყვნენ. გოეთე ვერც იქნებოდა ერთგული მეუღლე, მაგრამ გულწრფელი კი უოველთვის იყო. იმ თავისუფლებას, რომლითაც თვითონ სარგებლობდა, მეუღლესაც ანიჭებდა. ქრისტიანას უყვარდა მხიარული საზოგადოება, ჩაცმა-დახურვა, გართობა, განსაკუთრებით ცეკვა და თვალებით გათამაშებაც, მაგრამ გოეთეს ეს არ დაუშლია:

„გაიხარე შენი საუზმეებით, სადილებით, ცეკვებითა და წარმოდგენებით“.

იწერება იგი მოგზაურობიდან. ხოლო როცა ქრისტიანა სწერს, რომ მთელი ღამე ცეკვაში გაატარა, იგი პასუხობს:

„პირველი შესაძლებლობისთანავე გამომიგზავნე ის ქოშები, რომლებშიც ბოლოს ცეკვავდი, რომ რაღაც შენეული მქონდეს თან და გულში ჩავიკრა ხოლმე“.

მისი სიცოცხლისუნარიანობა და ხალისი, მისი დაუცხრომელი ბუნების გამოვლინებანი სულ ახალი და ახალი ძალით აქადობებდა გოეთეს. ამ საკითხში ისინი ერთხლოვანნი იყვნენ — ქრისტიანას ცხოვრების დევიზად არჩეული მქონდა გოეთეს გოცის სიტყვები: „მხიარულება დედაა უოველგვარი სათნოებისა“. ფრანკ-ფურტიდან ქრისტიანამ ასეთი წერილი მიიღო:

„იცეკვე, ჩემო ძვირფასო, იცეკვე. მე მიუვარს ხალისიანი ადამიანები, ხოლო როცა ისინი ჩემს ოჯახს ეკუთვნიან, ორმაგად და სამმაგად შემეძვირებინან ხოლმე. მე რომ დიდგვაროვანი თავადი ვიყო, იულიუს კეისარივით მოვიქცეოდი: მხოლოდ მხიარული სახის პატრონთ შივცემდი ჩემს კარზე ტრიალის უფლებას, რადგან ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივ, კეთილნი არიან, და გარშემო მყოფთაც ახალისებენ. იყავი კარგად,

ისიამოვნე და იცეკვე, როცა კი ამის შესაძლებლობა მოგეცეს“.

რაც წლები გადიოდა, ასეთი შემთხვევები, ცხადია, თანდათან იშვიათი ხდებოდა. თავი იჩინა სატკივარმა, რომელიც ქრისტიანას სულ უფრო და უფრო ხშირად მწერებთან ბოლმე სარეცელს. პირველ ხანებში, დასვენების შემდეგ, კვლავ მხნედ და ყოჩაღად გამოიყურებოდა, და გოეთეს, რომელიც უკვე შიშობდა მისი ჯანმრთელობის გამო, იმედი ეძლეოდა, რომ ქრისტიანა საბოლოოდ გამომჯობინდებოდა. თუმცა ახალგაზრდობა წავიდა, გოეთეს სიყვარული არ დამქნარა, ქრისტიანა მისთვის უწინდებურად „სანატრელი ქალი“, „უსაყვარლესი ბავშვი“, მისი „გულისწორია“. ქორწინების 25 წლის თავზეც იგი ფაქიზი მეუღლეა, და კიდევ ერთხელ გამოუცხადა სიყვარული მშვენიერ ლექსში „გაზაფხული მარადი“, რომელშიც იგი თავის სატრფოს მარადიული გაზაფხულის მშვენიერებას უტოლებს:

„მახარობლობს ენძელა  
გაზაფხულის კვალშია,  
სიზურმუხტეს მოუბდა  
ზაფრანების არშია.  
ფურისულა კეკლუცობს,  
თვალს მიკრავენ იები,  
ღღე დამდგარა ნანატრი,  
ლალი და ღვთისნიერი.  
მაგრამ ამ ჩემს წალკოტში  
ყვავის უცხო ხევარდი;  
ჩემი სატრფოს სულია,  
მხოლოდ მე რომ ვხედავდი.  
ეს ტურფა და ნარნარი  
მღერის და მეც მამღერებს,  
წლის ყველა დროს ყვავილობს,  
წლის ყველა დროს მალეღვებს.  
სიტყვა, მზერა — შეებაა,  
გაცინებით დათერებით;  
გული მისი მზიანობს  
მეგობრული ნათელით.  
ვარდ-ზამბახთა იმალა  
გასჩენია მეტოქედ,  
მაგრამ ვერვინ აჯობებს,  
მე ვეყოფი მეხოტბედ“.

(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა).

1818 წლის მაისში ქრისტიანა კვლავ ლოგინად ჩავარდა, მძიმე შეტევები დასჩემდა. ცუდმა ამბებმა გოეთე იენადან გამოიხმო. მაგრამ ვერავითარმა სიყვარულმა და მზრუნველობამ ვეღარ გახკრა. დღიური გვატყობინებს:

1. ივნისი: ჩემი ცოლის ჯანმრთელობა საფრთხეშია.



მ ივნისი: მდგომარეობა გაუარესებულია.

მ ივნისი: ჩემი ცოლის სიცოცხლე კვლავ უკიდურეს საფრთხეშია.

მ ივნისი: აღსასრული ახლოვდება. შუადღისას ზგი აღესრულა. ჩემს არსებაში და ჩემს ირგვლივ სიყვარულე და სამარისებური სიჩუმეა.

გოეთე ისე შესძრა ამ ამბავმა, რომ თავადაც ავად გახდა, იგი სასოწარკვეთილებამდე იყო მიხული, ცდილობდა, არ გამოემჟღავნებინა თავისი დარდი, მაგრამ ყოველთვის ვერ მაღავდა სატივარს.

„თუმც გარეგნულად მშვიდი ჩანს“, — წერს რიშერი, „და ცდილობს ყველაფერზე ილაპარაკოს, დროდადრო ტკივილი შეახსენებს ხოლმე თავს და ამოდ ღამობს კრემლების დამალვას“.

და ამ ტკივალმა გადმოხეთქა სულისშემძვრელ სტრიქონებში, რომლებიც დღეს ქრისტიანას საფლავს ამკობენ:

„ო, სხეო, მზეო, ამოდ ცდილობ

გამოანათო ლეგა ღრუბლებში, —

მისი დაკარგვის დატირებაა

ჩემი ცხოვრების მთელი ნუგეში“

(თარგმანი რუსულად ლეინგფაძისა)

გოეთეს არ ახვენებდა ფიქრი, დიდ ნაწარმოებში უკვდავყო ქრისტიანას ხსოვნა. ეს უნდა ყოფილიყო სიყვარულის ჰიმნი. საოცარი მოკრძალების გამო სულ სამერმისოდ სდებდა ამ განზრახვის განხორციელებას. მაგრამ არ ვიცით, იმის გამო, რომ ეს ამოცანა მის ძალებს აღემატებოდა, თუ შეტისმეტად ახლოს მიჰქონდა გულთან ეს ამბავი, პოეტი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოახწრო ამ იდეის ბოლომდე გასრულება და მისი სიყვარულისა და მადლიერების გამოხატულება ჩვენთვის დაფარული დარჩა.

□

ამრიგად, თუ შევეცდებით ჩამოვაყილოთ ქრისტიანას სახეს ის ლაქები, რომლებიც მას თანამედროვეთაგან შთამომავლობას დადმოცდა, თუ შევეცდებით, ავსახოთ მისი მნიშვნელობა ვითეს ცხოვრებასა და შემოქმედებებში, შევძლებთ მიზეზი, რატომ არჩია მან უფრო მაღალი ყველა კეთილშობილ მანდილოსანს — განა მას არ ეკუთვნის სიტყვები „ადამიანთა დაბალი კლასის შესახებ, რომელიც ღმერთისათვის უმადლესია“, — მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ შევიტანეთ ქრისტიანა ვულფიუსი „ვაიმარულ პორტრეტებში“ — იგი იმსახურებს ამ ადგილს, როგორც კეთილშობილი ადამიანი.

ელიზა ფონ რიკე წერს იოჰანა შოპენჰაუერს: „სიცოცხლეში ბედნიერ, სიკვდილი კი უადრესად უბედურ ქრისტიანა გოეთეს ბევრი კარგი თვისება ჰქონდა. განხვეწებული თვისებებიდან ყველაზე მეტად ის მხიბლავდა, რომ მისგან არასოდეს გამოგონია ვინმეზე ავი სიტყვა. მისი საუბრიდანაც ჩანდა, რომ თავისი თანდაყოლილი, ნათელი ინტელექტით მართლაც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდა გოეთესათვის, რომელმაც ასე გამაცნო თავისი მეუღლე: „წარმოგიდგენთ ჩემს მეორე ნახევარს და მოგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც მან ჩემი სახლის წღურბლს გადმოაბიჯა, მხოლოდ სიხარულსა და ბედნიერებას ვუმადლი“.

აი, რატომ იმსახურებს იგი ამ ადგილს — ეღუარდ ენგელსის ლამაზ სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, იგი „გოეთეს გულს ბედნიერებას და მის ფიქრებს სიმშვიდეს ანიჭებდა, მის ყოვლისმომცველ მოღვაწეობას კი ოქაბური კეთილდღეობის მყარ საფუძველს უქმნიდა“.

## გურამ ყორანაშვილი

### საკუთარი ეროვნული ინდივიდუალობის ძიებაში

თ თანამედროვე ლათინური ამერიკის ცხოვრებაში საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ამ ისტორიული რეგიონის მხატვრული ლიტერატურის წარმატებები საყოველთაოდ არის ცნობილი. ჩვენ ძალზე მოკლედ შევჩერდებით ლათინური ამერიკის კულტურის ერთ მხარეზე — ფილოსოფიაზე, რომლის შესახებაც ქართველ მკითხველთა

ფართო წრეს ნაკლები ცოდნა-წარმოდგენა აქვს. ლათინური ამერიკის ერების ფილოსოფია, ცხადია, ნულოვანი წერტილიდან არ დაწყებულია. უკვე კოლონიურ პერიოდში (XVI-XVIII სს.) ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ამ ერებმა ნაწილობრივ შეითვისეს ანტიკური და ახალი დროის ფილოსოფიური მემკვიდრეობა. ყველაზე მეტად მათი ფილოსოფია დავალებული აღ-



მოჩნდა ფრანგი განმანათლებლების (ვოლტერი, შ. ლ. მონტესკიე, დ. დიდრო და სხვები) შეხედულებებისაგან. XIX საუკუნეში კი ლათინურამერიკელები გაიტაცა პოზიტივიზმმა (განსაკუთრებით ო. კონტისა და მ. სპენსერის შემოქმედებამ). რასაკვირველია, მათთვის არც XX საუკუნის მთავარი მიმდინარეობები დარჩენილან უცხო — ისინი იცნობენ ნეოთომიზმს, ეგზისტენციალიზმს, ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას, ნეოპოზიტივიზმს და ა. შ., კომუნიზტებისა და არაკომუნიზტური ინტელიგენციის ერთ წრეში პოპულარულია მარქსისტული ფილოსოფია. რაც მთავარია, ლათინურამერიკელ ფილოსოფოსთათვის ანტიკური და დასავლეთევროპული ფილოსოფიის აღქმა-ათვისება თვითმიზნად როდოქცეულა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი სულაც არ სჭერდებიან სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემების გადმოცემას თავიანთი ხალხებისათვის, არამედ ი ცდილობენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამ ფორმის შეშვეობით გაიზარონ თავიანთი ისტორიული სინამდვილე. „ლათინურამერიკული არსი“, დასახონ მომავლის პერსპექტივები. ასეთი მცდელობა უთუოდ მისასაღებელია და ადასტურებს ლათინურამერიკელი მოაზროვნეების ფილოსოფიურ თვითდამკვიდრებას, ფილოსოფიური აზროვნების სიმწიფეს.

ჩვენ მოკლედ შევჩერდებით ერთ-ერთ ლათინურამერიკელ, კერძოდ, მექსიკელ ფილოსოფოსზე ლეოპოლდო სებაზე, რომლის ნაშრომი „ამერიკის ისტორიის ფილოსოფია“ გამომცემლობა „პროგრესმა“ რუსულად გამოსცა 1984 წელს (რუსულად ავტორის რამდენიმე სტატია მანამდეც იყო გამოქვეყნებული).

ნაშრომში ძირითადად ლაპარაკია ლათინური ამერიკის წარსულისა და აწმყოს ფილოსოფიურ გააზრებაზე, უფრო მეტად არის განხილული XIX საუკუნის პოლიტიკური ისტორია და საზოგადოებრივი აზროვნება საერთოდ.

ლეოპოლდო სება საკმაოდ ფართოდ ეხება ჰეგელის ნააზრევს თავისუფლების, მონობის, დამოკიდებულების თაობაზე. მექსიკელი ფილოსოფოსისათვის ნათელია ის გარემოება, რომ მსოფლიო ისტორიის გაშლა-განვითარების საზრისს თავისუფლება წარმოადგენს, რომ პროგრესი ამ მიმართულებით ხდებოდა ისტორიული ცენტრების მონაცვლეობით. ეს კი აზროვნებაში პირველად გააცნობიერა ჰეგელმა. საერთოდ მსოფლიო ისტორიის გაგება, ისტორიული მატერიალიზმის გააზრება შეუძლებელია ისტორიის შესახებ ჰეგელის თეორიული შემკვიდრების გარეშე, რაც, სამწუხაროდ, ჩვენთან ბევრი ფილოსოფოსისათვის გაუცნობიერებელი რჩება. აღნიშნულის თაობაზე ფ. ენგელსი ასე წერდა: „იგი (ჰეგელი, გ. უ.) პირველად შეეცადა დაემტკიცებინა ისტორიული პროცესის განვითარება და შინაგანი კავშირი და რაგინდ უცნაურადაც გვეჩვენებოდეს ჩვენ ახლა ბევრი რამ მის ისტორიის ფილოსოფიაში. მაინც მისი ძირითადი შეხედულებების გრანდიოზულობა დღესაც კი გაკვირვების ღირსია, განსაკუთრებით თუ შევადარებთ ჰეგელს მის წინამორბედებს ან იმათ, ვინც მის შემდეგ ეხებოდა თავის თავს ზოგადად ემსჯელა ისტორიაზე. მის „ფენომენოლოგიაში“, „ესთეტიკაში“, „ფილოსოფიის ისტორიაში“ — ყველაზე წითელ ზოლადია გავლებული ისტორიის ეს გრანდიოზული გაგება“ (იხ. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1958, გვ. 808; იხ. აგრეთვე ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 488-489).

მოუხედავად ჰეგელის ფილოსოფიური (კერძოდ ისტორიულ-ფილოსოფიური) შემკვიდრებისადმი დადებითი მიმართებისა, მექსიკელი ფილოსოფოსი კარგად ამჩნევს ამ უკანასკნელის ნაკლოვან მხარეებს. გონის კატეგორიის მოქმედების ჰეგელისეულ ფონზე ადამიანთა აქტიუობას, მათ როლს სათანადო ადგილი არ ეთმობა. ამიტომაც, — წერს იგი, — „საქმე ეხება არა ჰეგელისეულ გონის თვითგანხორციელებას, რომელიც ამ მიზნით მიმართავს ადამიანს, ინდივიდს როგორც საშუალებას, არამედ თვითგანხორციელებას თვითონ ადამიანისა, ინდივიდისა, რომელიც იმპერიალისტური ექსპანსიის პროცესში იწყებს საკუთარი თავის შეცნობას და, ამის შედეგად, — ადამიანთა ყველაზე სრულყოფილი და ნამდვილი ერთობის შექმნას“ (იხ. ნაშრომის 75-ე გვ.). ჰეგელის ნააზრევის მეორე დიდ ნაკლად ლ. სება მიიჩნევს მკვეთრად გამოხატულ ევროპოცენტრიზმს, როგორც ეთნოცენტრიზმის გამოვლინებას. ცნობილია, რომ ეთნოცენტრიზმით აღნიშნავენ ხალხთა, ეთნოსების განწყობასა და შეხედულებებს, რომელთა პრიზმაშიც ხდება ერთის მიერ მეორე ხალხის, ეთნოსის ისტორიის, თვისებების, ტრადიციებისა და ა. შ. დანახვა. ამას ვერ ასცდა ჰეგელი და ამაში თავი იჩინა მისმა ბურჟუაზიულმა შეზღუდულობამ. ვიმეორებთ, საქმე არ ეხება დიდი გერმანელი ფილოსოფოსის მიერ პროგრესის იდეის გაცნობიერებას ისტორიული ცენტრების გადანაცვლების გზით და ამ გზაზე ბურჟუაზიული დასავლეთ ევროპის მაღლა დგომას, ამაში ჰეგელი არ ცდებოდა და შორს იდგა ეთნოცენტრიზმისაგან. აქ მეორე მხარე გვაქვს მხედველობაში, საბედობარ ის გარემოება, რომ ჰეგელისათვის ის ტომები (ეთნოგრაფიული მნიშვნელობით) და ხალხები, რომლებიც დარჩნენ მსოფლიო ისტორიული პროგრესის დაბალ ხაზგზებზე,



ადარებითარ ინტერესს აღარ იმსახურებენ, ამიერიდან და შემდგომაც ისტორიული პროცესის ცენტრი მხოლოდ დასავლეთ ევროპა უნდა ყოფილიყო.

ამ თვალსაზრისით უფრო ნაკლებ ეთნოცენტრისტული და შესაბამისად უფრო ზუმანური პოზიცია ეკავათ ლას კასახს, ვოლტერს, მონტესკიეს, დიდროს და სხვა ფრანგ განმანათლებლებს, რომლებიც ადამიანის უფლებებთან ერთად ლაპარაკობდნენ ხალხის უფლებებზე, რომელთა თანაბმაც არ შეიძლებოდა ხალხებს ისე მოპყრობოდნენ როგორც ეს ხდებოდა ესპანეთის იმპერიის სამფლობელოებში (ლათინურ ამერიკაში) (იხ. გვ. 167). მაგრამ, როცა კი საქმე ეხებოდა საფრანგეთის კოლონიებს, ამ შემთხვევაში ფრანგი განმანათლებლები (დიდროს გარდა) სდუმდნენ.

მსოფლიო-ისტორიული პროცესის, კერძოდ მასში ლათინური ამერიკის ისტორიის, გასააზრებლად ლ. სეა მიმართავს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სოციალოგიურ, ისტორიულ-ფილოსოფიურ მიმკვიდრებას. მისი შეხედულებით, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ფორმაციები (მონათმფლობელოური და ფეოდალური) გაიარა დასავლეთ ევროპამ. რაც შეეხება დანარჩენ ისტორიულ რეგიონებს, აქ განვითარდა სპეციფიკური წარმოების წესი, რომელსაც მარქსი და ენგელსი აწიურით, აღმოსავლურით აღნიშნავენ (წიგნის 74-ე გვერდზე წარმოების ეს წესი „დესპოტიზმით“ აღინიშნება). ეს უკანასკნელი გულისხმობს კერძო საკუთრების ინსტიტუტის ნაკლებ განვითარებულობას. დასავლეთში კი სწორედ კერძო საკუთრების მაღალი განვითარება გახლდათ დიდი იმპულსი კაპიტალიზმის განვითარებისათვის, რაც არ შეიძლებოდა იმანენტურად, დაშოუკიდებლად მომხდარიყო აღმოსავლეთში, აწიური წარმოების პირობებში. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ლაპარაკია აგრეთვე აღმოსავლეთში სპეციფიკურ სახელმწიფოებრივ ფორმაზე — დესპოტიზმზე. ყოველივე შემოადნიშნული სწორია და უდავოდ გამომდინარეობს მარქსისა და ენგელსის ნაზრევიდან. როგორც ცნობილია, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ეს შეხედულება თანდათანობით გზას იკვლევს, მათ შორის საბჭოთა ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების ერთ წრეში.

მეგელისა და სხვა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთაგან განსხვავებით, მარქსი და ენგელსი დიდი ყურადღებით აღვიწყებდნენ თვალს არადასავლურ-ევროპული ისტორიული სამუაროების ბედ-იღბალს მას შემდეგაც კი, როცა ისინი ჩაერთვნენ ბურჟუაზიული დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორბიტაში. მარქსიზმის კლასიკოსების მიხედვით ახალმა ეპოქამ ამ ხალხების განვითარების დღის წეს-

რიგში დააყენა ეროვნული განთავისუფლების ამოცანა, შესაბამისად — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა-განვითარება და შემდგომ მათი სოციალისტური რორენტაცია. ლ. სეა თავის „ამერიკის ისტორიის ფილოსოფიაში“ ამაზე საკმაოდ ვრცელად ვრცელდება.

საინტერესოა როგორ იწერება [14] სესიონური ამერიკის წინაკოლონიურ და კოლონიურ პერიოდებს, რამდენიმე ადგილას იგი ლაპარაკობს, რომ ლათინურ ამერიკაში ადგილი ჰქონდა აწიური წარმოების წესის არსებობას. მაგრამ წიგნში არ ჩანს გარკვეულად, თუ რა ცვლილებები მოიტანა ამ მიმართებით ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიალიზმმა. მანამდეც აწიური წარმოების წესი ამ რეგიონში მხოლოდ შეზღუდულ არეალებზე იყო გავრცელებული, დანარჩენი ნაწილების მოსახლეობა იმყოფებოდა არქაული (პირველყოფილი) კომუნიზმის საფეხურზე. წიგნის მშ-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ კოლონიალიზმის ხანაში ლათინურ ამერიკაში დამკვიდრებული იყო ფეოდალიზმი, ცხადია, საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი სოციალური ევოლუციის ეტაპები არსებობდა ლათინურ ამერიკაში წინაკოლონიურ და კოლონიურ ეპოქებში, მეტ გააზრებასა და სიცხადეს საჭიროებს, ვიდრე ამას ვხვდებით აღნიშნულ ნაშრომში.

თავის დროზე ლათინურამერიკელთა (ზოგჯერ ამის პარალელურად წიგნში ნახმარია „ესპანურამერიკელები“) ცნობიერებამ დაივიწყა თავისი წარსული. რამდენადაც ისინი აღმოჩნდნენ კოლონიურ მდგომარეობაში, ამდენად გაუფასურებულ აწმყოში, ლათინურამერიკელთა თვალში საკუთარმა წარსულმა ყოველგვარი ფასეულობა დაჰკარგა. ამისათვის ბიძგს მხოლოდ კოლონიური სტატუსი კი არ იძლეოდა, არამედ დასავლეთევროპელთა იმპერიალისტური, ექსპანსიონისტური იდეოლოგიაც. კერძოდ, ბუნებისმეტყველები უ. ბიუფონი და კ. დე პუევი ამტკიცებდნენ თვით ამერიკის მატერიკის ბუნების არასრულფასოვნებას დასავლეთ ევროპასთან შედარებით, მით უმეტეს — აქ მცხოვრებთა არასრულფასოვნებას ევროპული ჩამოშავლობის მოდგმის ჩათვლითაც კი (ეს თვალსაზრისი მეცნიერულად უკუაგდო ა. ზუმბოლდტმა).

ასეთ ვითარებაში, დავიწყებულ იქნა რა საკუთარი წარსული, ლათინურამერიკელების, ცნობიერება, შეგნება მხოლოდ აწმყოს ზამართ იქნა მიპყრობილი. მაგრამ ამგვარად გაგებულ აწმყოშიც ისინი თავს ვერ გრძნობდნენ საკუთარი ისტორიის სუბიექტებად, არამედ მხოლოდ ობიექტებად. მომავალი კი მათ ესაზებოდათ მოწინავე დასავლეთის სხვადასხვა სფეროს მიღწევების ტრანსპლანტაციად, გადმოწერვად, მოდერნიზაციად ერთგვარი გაგებით. ასეთი განწყობა-განწყობი-



ლებები არ შეცვლილა ლათინური ამერიკის ერების მიერ ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგაც დიდი ხნის მანძილზე. როგორც ლ. სეა შენიშნავს, უფრო ძნელი აღმოჩნდა კოლონიალიზმის ეპოქის მძიმე შეშვიდროების მოშორება, რადაც მიიჩნევა არასრულფასოვნების, პერიფერიულობის, მარგინალურობის, მეორეხარისხოვნობის შეგნება და განცდა, საკუთარი ეროვნულ ღირსების გრძნობის უქონლობა. უკველ შემთხვევაში ასეთი განწყობილება ხუფევდა მოსახლეობის ფართო მასებში. ასეთი ცნობიერება მხოლოდ ისტორიული ინერციის შედეგი როდი უოფილა; იგი განამტკიცა ახალი სახის მონობამ, დამოკიდებულებამ მოწინავე ბურჟუაზიული ერებისაგან (იგულისხმება ინგლისელები, ფრანგები, ჩრდილოამერიკელები). ლ. სეას მოხდენილი შედარებით, ლათინურამერიკელები დახვლეთევროპელებთან ისეთხვე დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ როგორც კალიზანი პროსპეროს მიმართ (შექსპირისეული პერსონაჟები „ქარიშხალიდან“). ბურჟუაზიული დასავლეთი ევროპის შეხედულებით, ლათინურამერიკელებს ბრძოდ უნდა მიეღოთ მათი ფახეულობანი, საკუთარის შექმნისა და არჩევანის უფლება კი თითქოს არ გააჩნდათ. ერთი სიტუვით, კვლავინდებურად ძალაში რჩებოდა ევროპოცენტრისტული თვალსაზრისი.

მაგრამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მდგომარეობა საკმაოდ შეიცვალა. ამაში საგრძნობი დაშახურება მიუძღვით ლათინურამერიკელ მწერლებს, პოეტებს, ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს, რომელთა შემოქმედება, ნაზრევი მტკიცედ ჩადგა ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლება-განახლების სამხახურში. უწინარეს უოვლისა, შეიცვალა ლათინურამერიკელთა მოწინავე ნაწილის დამოკიდებულება წარსულისადმი, ვინაიდან „მისწრაფებამ საკუთარი წარსულის უკუგდებისა და გარდაქმნისაკენ გარეშე საზომების მიხედვით არ გაამართლა ისევე, როგორც უკველგვარმა უტოპიამ. გარდაქმნა უცხო საზომების მიხედვით, ჩანს, კიდევ შეიძლება. მაგრამ წარსულისაგან აბსოლუტურად თავის დაღწევა შეუძლებელი გახლავთ“ (ხოსე გაოსი). ამ წარსულში ბევრი რამ დაინახეს ფახეული და ამდენად შესანარჩუნებელი. რაც მთავარია, მის (ამ წარსულის) გარეშე ლათინურამერიკელი ერებისა და ცალკეული ადამიანების „შე“-ს გაგება-გაცნობიერება შეუძლებელი გახდა. ლ. სეას აზრით, მხოლოდ ახლა და ამგვარად გახდა შესაძლებელი ადამიანების, საგანთა და მოვლენების ავთენტური, ნამდვილი ხედვა, მანამდე ლათინურამერიკელები დაავადე-

ბული იყვნენ ეროვნული ბოვარიზმით (როცა ისინი თავიანთ თავს ხედავდნენ და წარმოადგენდნენ სულ სხვანაირად, ვიდრე ისინი იყვნენ სინამდვილეში).

ლათინურამერიკელთა — „ჩვენ + ჩავუფის“ ეროვნული თვითგამორკვევა, ფახეულამკვიდრება ხდება კაცობრიობის დანარჩენი ნაწილების — „სხვა — ჩავუფების“ გაცნობიერების ფონზე. კრიტიკულია მათი დამოკიდებულება ჩრდილოამერიკელებისადმი. ეს უკანასკნელნი ერთ დროს, განსაკუთრებით XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში, იდეალს წარმოადგენდნენ ლათინურამერიკელთათვის. ადამიანის უფლებების, ეროვნული თავისუფლების დამკვიდრებისაკენ სწრაფვამ ჩრდილოამერიკელებს დიდი ავტორიტეტი მოუკოვა სამხრეთამერიკელთა თვალში, რომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას ერთ-ერთი იმპულსი სწორედ ინგლისელთა წინააღმდეგ ჩრდილოამერიკელთა მიერ გაჩაღებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ მისცა. მაგრამ ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გამოავლინა ჩრდილო-ამერიკელთა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეები — იმპერიალიზმი, ექსპანსიონიზმი, უტილიტარიზმი, ბიუროკრატიზაცია და სხვ. ასეთ პირობებში აშშ ლათინურამერიკელთათვის ნაკლებად ხდებდა მიბაძვის ობიექტი. ლათინურამერიკელები დიდ ნაკლოვანებებს ამჩნევდნენ აგრეთვე დასავლეთ ევროპის ხალხებშიც.

მაგრამ ლათინურამერიკელი მოაზროვნენი, მათ შორის ლ. სეაც, კარგად ხედავენ დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის უცილოდ დადებით ნიშან-თვისებებსაც. ამიტომაც არ მოუწოდებენ მათგან იზოლაციონიზმისაკენ (კერძოდ, ასევე აკეთებდა ხოსე მარტი ამერიკანიზმის კონცეფციის წამოყენებისას). იზოლაციონიზმი დასავლეთისაგან შეუძლებელია საერთოდ და მით უმეტეს ლათინურამერიკელი ერებისათვის, რომლებიც თავიანთი ისტორიითა და კულტურით მნიშვნელოვანწილად შეადგენენ დასავლეთის ნაწილს.

ასეთ პირობებში ფართო გაქანება მიეცემა კულტურათა სინთეზს (ამის გამოსახატავად ლ. სეა ხმარობს ტერმინ „მეტისაციასაც“) ლათინურ ამერიკაში. ევროპული და ინდიანური (ინდიელების) კულტურების სინკრეტიზმი ორიგინალური შემოქმედების საფუძველზე უთუოდ ბევრ ახალ წვლილს შეიტანს მსოფლიო (კაცობრიობის) კულტურის მომავალ განვითარებაში.

დასასრულს, როგორც უკვე ვამბობდით, ლ. სეას ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლათინურამერიკული საზოგადოებრივი აზროვ-



ნების ისტორიასაც. ხ. ბოლშევიკიდან მოყოლებული ხ. მარტის ჩათვლით, ამ მხრივ ეს შექსიკელი ფილოსოფოსი ლათინურამერიკელთა ფილოსოფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას აგრძელებს. (სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქართულ ფილოსოფოსებზე, რომელთაც ძირითადად მხო-

ლოდ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორია აინტერესებთ).

ვფიქრობთ, რომ ლ. სებასტოპოლის აზრით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში აშკარად წარმოაჩენს მის თვალსაზრისს შემადგენელი მნიშვნელობისა და აქტუალურობის

## სარგო თურნავა

### ქართული მწერლობის დიდი მემკვიდრე

მე-20 საუკუნის ბელგიელ მწერლებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ქართული კულტურის დიდ მემკვიდრე, ეურნალ „ლა დრიადის“ მთავარ რედაქტორს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — ეორჟ ბუიონს. ვინაც 1985 წლის 25 ივნისს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ეორჟ ბუიონმა მკითხველის ყურადღება მიიქცია ნიჟიერად დაწერილი ლექსებით. მოთხრობებით, ნარკვევებით, რეცენზიებით. რომანებითა და პუბლიცისტური წერალებით. აღსანიშნავია მწერლის „ქართული ლექსები“, მოთხრობების ოთხი წიგნი: „სარგო“, „საბუღო“, „ადამიანის მუშაობა“, „ოთხეული“ — „შევიდა“: „ავტო-პორტრეტი“, „სხვა პორტრეტები“, „პორტრეტები სარკეში“, „ეპისტოლარული პორტრეტები“, მოთხრობების ცალკე წიგნებიდან ცნობილია „ურწმუნოს სიტყვები“, „მოიგონე“, „კიდევ ერთხელ მოიგონე“, კრიტიკული ნარკვევებიდან „საქართველო ოქროს საწმისის ქვე-ქანა“ და ბევრი სხვა.

ეორჟ ბუიონი დაიბადა 1915 წლის 25 ივნისს ქ. ანტერში (ბელგია) მეფუნთუშის ოჯახში. ბუიონმა 1937 წელს დაასრულა ქ. ლიეჟის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ლიტერატურის ფაკულტეტი, მეორე მსოფლიო ომის დროს თავის მემკვიდრე მწერალ ანდრე გლოდთან ერთად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, მიხმა შენაერთმა მრავალი გერმანელი ოკუპანტი გაწვავა ბელგიის მიწაზე.

ეორჟ ბუიონი არის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ეურნალ „ლა დრიადის“ რედაქტორ-გამომცემელი, თანამშრომლობს სსრ კავშირისა და ბელგიის ასოციაციის ბეკდვითი ორგანოს „ბელგიკ-ურსს მაგაზინის“ რედაქციაში სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს, რეცენზიებს რუსი და ქართული მეცნიერებისა და მწერლების მოღვაწეობაზე.

ბელგიელი მწერალი ქართული კულტურით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში. მწერალმა კავშირი დაამყარა ბელგიის ხელჩ-

ომი მომუშავე გ. მაისურაძესთან, შემდეგ ქართულ მწერლებთან (გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, სერგო წულაძე, ვასტონ ბუაჩიძე, ნოდარ დუმბაძე, ამ სტრიქონების ავტორი...).

ეორჟ ბუიონი რამდენჯერმე იყო საქართველოში, პირველად თავის მეუღლესთან ერთად, მას კონსულტაცია გაუწიეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა. გაეცნო ქართულ მწერლობას, მისი განვითარების გზებს, შეაგროვა დიდძალი მასალა და გაემგზავრა სამშობლოში.

ეორჟ ბუიონი 1970 წელს დაწველიდა ვიეტონის ათენეუმში ბერძნულსა და ლათინურს, 1985 წელს დააარსა საქუთარი ეურნალი „ლა დრიადი“, რომლის ფურცლებზე აშუქებს მსოფლიო ლიტერატურისა და ბელგიელების საკითხებს, არჩეულია ბელგია-საბჭოთა კავშირის ასოციაციის პრეზიდენტად, არის უცხოეთის ინსტიტუტის „გრანდ დიუკალის“ და ევროპის საზოგადოების წევრი (ვინეცია).

ეორჟ ბუიონი სისტემატურად აქვეყნებს სტატიებსა და რეცენზიებს ეურნალ-გაზეთებში: „ანონს სიუდე“, „ლე დრაპო რუჟ“, „მარუინალ“, „სავუარ ე ბოტე“, „სინთეზ“, „ლა ფამ სოვიეტიკ“, „ლე ეურნალ კანაკ“ და სხვ.

ეორჟ ბუიონის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირში, საფრანგეთში, ამერიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მწერალზე სშირად ქვეყნდება წერილები, ინტერვიუ ცალკე წიგნები. აღსანიშნავია გამოჩენილი ბელგიელი მწერლისა და ფილოსოფოსის ედგარ ავენის წიგნი „ეორჟ ბუიონის დიალოგი პუშკინთან“, რომელშიც მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე განალიზებულია ეორჟ ბუიონის ის ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნდა 1966 წლიდან 1974 წლამდე. ავტორი იხილავს ეორჟ ბუიონის ოთხტომეულს, როგორც: „ავტოპორტრეტი“, „სხვა პორტრეტები“, „პორტრეტები სარკეში“ და ეპისტოლარული პორტრეტები“. ედგარ ავენი აღნიშნავს, რომ



ფორტ ბუიონის შემოთ აღნიშნული ოთხტომე-  
ული სერიოზული ნაშრომებია, რომლებშიც ავ-  
ტორი მიჰყვება XVIII გამოჩენილი ფრანგი  
ჰუმანისტების კვალს.

ფორტ ბუიონმა 1978 წელს ბელგიაში გამოაქ-  
ვეყნა წიგნი „ოქროს საწმისის ქვეყანაში“, რომ-  
ელიც ეძღვნება ქართული ლიტერატურის მნი-  
შვნელოვან საკითხებს ძველი დროიდან დღემ-  
დე. როგორც წიგნიდან ჩანს, ბელგიელ ავტორს  
დიდი ხნის განმავლობაში უმუშავია წიგნზე, ოს-  
ტატურად გამოუყენებია ბ. ჟღენტის, გ. მარგ-  
ველაშვილის, გ. ასათიანის, დ. ფანჩულიძის, გ.  
ბუაჩიძის, შ. ძიძიგურის, ალ. ბარამიძის, გრ. აბ-  
აშიძის, ნ. რუხაძისა და სხვათა ნაშრომები.  
წიგნს წამდვარებული აქვს დიდი რუსი პოეტ-  
ის ვლ. მაიაკოვსკის სტრიქონები: „მსოფლიო  
უნდა იცნობდეს საქართველოს“.

ბელგიელ მწერალს წაუკითხავს „ვეფხისტყა-  
ოსნის“ სერგი წულაძისეული ფრანგული თარ-  
გმანი, აგრეთვე ბარათაშვილის ლექსების მის-  
ეული ფრანგული თარგმანები და მაღალ შეფ-  
ასებას აძლევს მათ. „მე მასულდგმულებს, —  
წერს ბუიონი, — სერგის მიერ ფრანგულ ენაზე  
თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც პარ-  
იზში 1984 წელს გამოსცა ვალიმარმა, ბოლო  
თბილისში 1988 წელს „ბელოცენებამ“. ასევე მა-  
ოცებს და მანუგეშებს მის მიერ თარგმნილი ნი-  
კოლოზ ბარათაშვილის ლექსების ქრანგული  
თარგმანები, რომლებიც გამოსცა „ფრანგ გამო-  
მცემელთა გაერთიანებამ“ 1968 წელს სათაურ-  
ით „ბედი ქართლისა“. ეს თარგმანები საფუძვ-  
ელს მძლევს შეფუძვარო სერგი წულაძე“.

წიგნის ერთ-ერთი დიდი თავი ეძღვნება ძველი  
ქართული ლიტერატურის საკითხებს. ავტორი  
ეყრდნობა პავლე ინგოროსებს შესავალ სტატი-  
ას, რომელიც წამდვარებული აქვს „ვეფხისტ-  
ყაოსნის“ 1887 წლის გამოცემას. ავტორი გა-  
მოთქვამს თავის აზრს: „ბერძნებს აქვთ „ილია-  
და“, იტალიელებს „დვთაბერივი კომედია“, ქა-  
რთველებს „ვეფხისტყაოსანი“. მომეროსი, დან-  
ტი, რუსთაველი ბედნიერი მოკვდავები იყვნენ,  
მათი ნაწარმოებები უკვდავია“.

მკვლევარი ახასიათებს ქართული ლიტერატ-  
ურის ძეგლებს, ქართველ მოღვაწეებს რომლებ-  
იც სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ იყალ-  
თოს, გელათის აკადემიებში და ქმნიდნენ ქარ-  
თული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწარმ-  
ოებებს.

წიგნში ლაპარაკია XX საუკუნის ქართულ  
მწერლობაზე ამ თავს ავტორი ასე ასათაუ-  
რებს: „გუშინდელი და დღევანდელი საქართვე-  
ლო — პოეზიის ქვეყანა“. მას ამშვენებს გალ-  
აკტიონ ტაბიძის სტრიქონები: „საქართველოს  
პოეტებმა ჩვენ სიახლე მოგვიტანეს“.

უცხოელი მწერალი ანალიზებს გ. ტაბიძის,  
ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ი. გრიშაშვილის, გ.

ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ალ. მირცხულავას, კ.  
კალაძის, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვი-  
ლის, მ. მაჭავარიანის, ანა. კიკნაძის, ო. კი-  
ლაძის, მ. ფოცხიშვილის, რ. მარგარიანის, კ. ნად-  
ირაძის, შ. ნიშნიანიძის, თ. ჭილაძის, ჯ. ჩარკ-  
იანის, ტ. ჯანტურიას, თ. ჯანტურია, მ. ჯვლივი-  
ძისა და სხვათა ნაშრომებს.

ვრცლად ჩერდება გ. ტაბიძის შემოქმედება-  
ზე. მკითხველს მოუთხრობს აგრეთვე იოსებ  
ნონეშვილის (1918-1981) შემოქმედებაზე.

ავტორი შენიშნავს, რომ ი. ნონეშვილის პოე-  
ზია მკითხველის ყურადღებას იქცევს თავისი  
ორიგნალობითა და სამყაროს პოეტური ხედვით.

ავტორი განიხილავს ქართული პროზის განვ-  
ითარების გზებსაც, მიუთითებს, რომ ქართულ  
საბჭოთა პროზის აღმავლობა დაიწყო XX საუ-  
კუნის 30-იანი წლებიდან; იგი მიმოიხილავს ნ.  
ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიჩიელის,  
კ. გამსახურდიას, დ. შენგელაიას, კ. ლორთქი-  
ფანიძის, რ. ჯაფარიძის, კ. ამირეჯიბის, ლ. ვოთ-  
უას, ლ. ასათიანის, გ. შატბერაშვილის, გრ. ჩი-  
ქოვანის, გ. ლეონიძის, გრ. აბაშიძის, მ. ელიოზ-  
იშვილის, ნ. დუმბაძის, თ. ჭილაძის, გ. გიგეში-  
ძის, და სხვათა ნაწარმოებებს. მათ შორის გა-  
მოყოფს სამ მწერალს (ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯა-  
ვახიშვილი, ლ. ქიჩიელი) და ვრცლად მსჯელობს  
მათ შემოქმედებაზე.

ავტორი ძალიან დაინტერესებულია დიდი ქა-  
რთველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას  
შემოქმედებით, განსაკუთრებით გამოყოფს „დი-  
დოსტატი მარჯვენას“. რომელიც მრავალ უც-  
ხოურ ენაზე ითარგმნა და აღიარება ჰპოვა მსო-  
ფლიოში.

ერთ-ერთი თავი „ქართული ლიტერატურა და  
რუსეთი“, რომელსაც ეპიგრაფად წამდვარებ-  
ული აქვს ი. ნონეშვილის სტრიქონები: „ლიტ-  
ერატურებს შორის მეგობრობის წარმოდგენა  
შეუძლებელია ისე, თუ არ გვექნება პირადი  
კონტაქტები მწერლებს შორის. ხალხის გაცნ-  
ობა წიგნებიდან იწყება, რომლებშიც ხალხის  
სულია ჩაქსოვილი“.

ბელგიელი ავტორი აღნიშნავს, რომ ილია ჭავ-  
ჭავაძემ ინატრა, რომ სხვა ხალხთა ენებზე თარ-  
გმნილიყო ქართული ლიტერატურის ნიმუშები.  
საუკუნეების განმავლობაში არც ერთ უცხოელ  
მკითხველს არ შეეძლო ქართულ ენაზე დაწერ-  
ილი თხზულების კითხვა. საბჭოთა პერიოდში  
მდგომარეობა შეიცვალა. 30 წელია, რაც თბი-  
ლისის, მოსკოვის, ლენინგრადის გამომცემლო-  
ბები თარგმნიან და აქვეყნებენ მოძვე ხალხების  
ლიტერატურას. ავტორი საუბრობს იმაზე, თუ  
რა დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა მწერლებმა  
ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარ-  
გმნის საქმეში და საშუალება მისცეს უცხოური  
კულტურის მოღვაწეებს ქართული ლიტერატუ-  
რის შესწავლისათვის. იგი მოიხსენიებს ნ. ტი-



ხონოს, ბ. პასტერნაკს, ნ. ზაბოლოცკის, ალ. ბუ-  
გორს, მ. ლუკონინს, ვ. ვ. ვერხვინსკის, ელ.  
ნიკოლაიევიჩის, ვ. სოკოლოვის, ირ. სნეგოვას,  
ბ. ახმადულინას, ა. ვოლენსკის, ბ. ოკუბაშინს,  
ალ. ციხულავას და სხვებს.

ეორე ბუიონი უფროაღებოდ არ ტოვებს ქა-  
რთული ხელოვნების საკითხებს. მიმოიხილავს  
ქართული დრამატული ხელოვნების განვითარე-  
ბის გზებს ძველი დროიდან, მიუთითებს, რომ  
ქართული დრამატული ხელოვნება საქართველო-  
ში უხსოვარი დროიდან არსებობს, ბიზანტი-  
ელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნო-  
ბით, კოლხიდაში უნაბავთ ძველი ქართული თე-  
ატრის ნაშთები. წიგნში ვრცელადაა განხილული  
ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიე-  
რთობის საკითხები. აღნიშნულია, რომ საბჭოთა  
ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფრანგუ-  
ლი ლიტერატურის გავრცელებამ საქართველო-  
ში ფართო ხასიათი მიიღო. 1921 წლიდან ამ ორ  
ქვეყანას შორის კულტურული, ლიტერატურუ-  
ლი და მეცნიერული კონტაქტები უფრო გავ-  
რცელდა გაძლიერდა. ამ კონტაქტების გაღრ-  
მავებს ხელი შეუწყო 1927 წელს საქართვე-  
ლოში ანრი ბარბიუსის ჩამოსვლამ. ფრანგი  
ხალხის ღირსეულ შვილს მიესალმნენ ქართველი  
მწერლები. ბარბიუსის წიგნმა „აი, რა უცვებს  
საქართველოს“ დიდი როლი შეასრულა საზღვარ-  
გარეთ ქართული კულტურის გაცნობის საქმეში.

ავტორი მსჯელობს ფრანგული ლიტერატურის  
ქართულ თარგმანებზე, რომლებიც სხვადასხვა  
დროს შეასრულეს გამოჩენილმა ქართველმა  
მწერლებმა: ალ. ჭავჭავაძემ, დ. უფიანმა, ა. ქა-  
ვჭავაძემ, ი. მაჩაბელმა, აკაკი წერეთელმა, გ.  
ერისთავმა, ს. მესხმა, თედო საბოკიამ, არისტო  
კუმბაძემ, გერონტი ქიქოძემ, ნუნუ ქადეიშვი-  
ლმა, რუსუდან დოდაშვილმა, გასტონ ბუაჩიძემ  
და სხვებმა. იქვე განხილული აქვს ქართული  
ლიტერატურის ფრანგული თარგმანები, ვრცელად  
მიმოიხილავს სერგი წულაძის თარგმანებს, ასევე  
ნინო წულაძე-კალიტოშვილისა და გასტონ  
ბუაჩიძის თარგმანებს.

ეორე ბუიონის წიგნს საზღვარგარეთ მოწო-  
ნებით შეხვდნენ, დაიწერა რეცენზიები, რომ-  
ლებშიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ წიგნს.  
ბელგიელი მწერალი და კრიტიკოსი ანდრე გლო-  
და წერს: „წიგნში „საქართველო — ოქროს სა-  
წმინდის ქვეყანა“ ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს  
მისი დიდი ნიჭი და მდიდარი ერუდიცია. ეს წი-  
გნი გზამკვლევაა ყველასათვის, ვისაც სურს სა-  
ქართველოს გაცნობა... ბუიონი დიდი ნიჭის პა-  
ტრონი; მისი უფროსი „ლა დრამა“ მებრძო-  
ლი ბეჭდვითი ორგანოა, მომხიბვლელი და საინ-  
ტერესო. პირველი თვეები სამხედრო სამსახურ-  
ში ე. ბუიონთან ერთად გავატარე, პარტიზანთა  
რაზმებში ერთად ვიბრძოდით გერმანელი ნაცი-  
სტების წინააღმდეგ“ (1979 წ. 8 თებერვლის  
წერილიდან).

გამოჩენილმა ბელგიელმა ფილოსოფოსმა,  
პროფ. ედგარ ავენი ბელგიაში გამოაქვეყნა  
წიგნი „ეორე ბუიონის დიდი ნიჭი“ „მწერლობა“,  
რომელშიც აშუქებს მწერლის შემოქმედებას,  
რომლებიც გამოაქვეყნდა 1916 წლიდან 1974  
წლამდე. ედგარ ავენი წერს: „გადავიკითხე ეორე  
ბუიონის ოთხი ტომი და მის ნაწარმოებებს შორის  
ნაიკეთესი ძირითადი მოტივი: ესაა უცხოეთის  
დაყოლილი გულწრფელობა და კეთილსინდისი  
პრინცი“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი კონსულ-  
ტანტების დაუდევრობით ზოგიერთი უზუსტო-  
ბაა გაპარული, წიგნი უპასუხებს დასახულ მი-  
ზანს, უცხოელ მკითხველს შეტყაობად აცნობს  
ქართულ კულტურას. უდავოა, წიგნი განამტკი-  
ცებს ხალხებს შორის მშვიდობის დაცვის დიად  
საქმეს, ხელს შეუწყობს შემდგომ ლიტერატუ-  
რული ურთიერთობის განვითარებას საქართვე-  
ლოსა და ფრანგულენოვან სამყაროს შორის.

ეორე ბუიონი ბელგიის ეურნალ-გაზეთებში  
სისტემატურად ათავსებს რეცენზიებსა და სტა-  
ტიებს რუსული და ქართული ლიტერატურის  
საკითხებზე. ბელგიურ ეურნალში „ბელგი-  
ურს მაგაზინ“ მან დაბეჭდა რეცენზია „საქართვე-  
ლოს ენა, პროზა და პოეზია“, რომელშიც დიდი  
სიყვარულით წერს ქართველი მეცნიერებისა და  
მწერლების წიგნებზე. რეცენზიის უძველეს სტრიქ-  
ონში სიმონ ჩიქოვანის ლექსიდან „ვინა სთქვა“...

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს  
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,  
ქართლში ვინ ამოვი პატარა ვიხი,  
ვინ მოიგონა სამცხე მისიო.

ეორე ბუიონს წაუკითხავს აკად. შ. ძიძიურის  
წიგნი „ქართული ენა“, რომელიც გამოვიდა  
ფრანგულ ენაზე, და აღნიშნავს, რომ შ. ძიძი-  
ურის წიგნი უსათუოდ მკითხველთა ინტერესს  
აღძრავს. იგი წერს: „ქართული ენა, რომელ-  
საც აქვს ორიგინალური და უნიკალური დამწე-  
რლობა. ეკუთვნის ქართველურ ენათა ჯგუფს,  
რომელიც ცნობილია აგრეთვე სამხრეთ კავკა-  
სიური ენების სახელწოდებით. განვითარების  
თხუთმეტსაუკუნოვანმა ისტორიამ ქართულ ენას  
დიდი დანიშნულება და ძლიერება დაუშკვიდრა.  
ქართული ენა ცოცხლობს როგორც წარსულის,  
ასევე აწმყოს ყველა ცოცხალ ენათა შორის. ქა-  
რთული ენა არის ეროვნული წყობის ძირითადი  
სიმბოლო. ქართული ენა რჩება ერის განმანჯა-  
ვებელ ძირითად ნიშნად. ვინაიდან ენა არის ერ-  
ის ცნების ძირითადი შემადგენელი ნაწილი.  
რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის განვითა-  
რებამ განაპირობა თავისი ენისა და კულ-  
ტურის სიმდიდრე. მაგრამ ამ საკითხზე  
მსჯელობა მქონდა ჩემს წიგნში „საქართველო—  
ოქროს საწმინდის ქვეყანა“.

ბელგიელი მოღვაწე მიმოიხილავს „ქართული  
პოეზიის ანთოლოგიას“, რომელიც შეადგინა და



ფრანგულ ენაზე თარგმნა ტატიანა ავალიანმა, ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, — წერს ბუიონი, მე კვლავ ვიპოვე თბილისი, მტკვარი და მთაწმინდა... აქ წარმოდგენილია მარად უკვდავი პოეტები: ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. ჭავჭავაძე, გ. ტაბიძე.

1978 წელს მწერალთან კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და გამომცემლობა „განათლებლამ“ ფრანგულ ენაზე გამოსცეს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, თარგმანი და შესავალი ნარკვევი ეკუთვნის გასტონ ბუაჩიძეს, ილუსტრაციები საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. წიგნმა დადებითი გამოხმაურება მპოვა ჩვენსა და საზღვარგარეთის პრესაში. ბელგიურმა ჟურნალმა „ბელგიკ-ურსს მაგაზინ“ 1979 წლის ივნისის ნომერში მოათავსა მთარგმნელისა და მხატვრის ფოტოსურათი და მწერალ ჟორჟ ბუიონის წერილი: „საბა ორბელიანი“. „სიბრძნე სიცრუისა“, რომელსაც წამძღვარებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის სტრიქონები: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ჯერ ახასიათებს ქართველი მწერლის მოღვაწეობას, მის იგავ-არაკებს, შემდეგ მთარგმნელს. იგი წერს: „თავის წინასიტყვაობაში „ბრძენი საბა“ გასტონ ბუაჩიძე სულ ცოტა ოცდაათიოდე გვერდს გვთავაზობს, მას სავსებით ვეთანხმებით, როდესაც იგი ერთმანეთს აახლოვებს ორბელიანისა და ერაზმ როტერდამელის მოღვაწეობასა და იდეებს. თვით ამ გარემოებიდანაც საკმაოდ გამოსჭვივის განათლებულ ქართველთათვის უკვე ორი საუკუნის მანძილზე ესოდენ საამაურო ნაწარმოების ლიტერატურული და დოკუმენტური ღირებულება. „სიბრძნე სიცრუისა“ მოწოდებულია ბრძნულად წარმართოს მათი საქმიანობა, ვისაც ხალხთა მმართველობა აკისრია...“

კრებულის იგავები ძაფზე ასხმული მარგალიტის მძივები გგონიათ. (ამ კომპოზიციას დიანაც რომ სიტყვა „ძაფი“ უხდება).“

ჟორჟ ბუიონს საგანგებო რეცენზია მიუძღვნია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ფრანგულ თარგმანზეც.

ჟორჟ ბუიონი 1982 წლის 9 აგვისტოს ბელგიელ და ლუქსემბურგელ მწერლებთან ერთად კვლავ ეწვია საქართველოს მწერალთა კავშირს. იგი მიიღო ღვინური პრემიის ლაურეატმა, მწერალთა კავშირის იმჟამინდელმა თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძემ, რომელიც სტუმრებს უსაუბრა ქართული მწერლობის განვითარების გზებზე. საუბარში აღინიშნა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელობით მო-

ღვაწეობას სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ურთიერთობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში და რომ კვლავაც დიდი ჯურაღდება უნდა მიექცეს თარგმანის საკითხს, საფუძვლიანად იქნას განხილული და შეტყუებული საზოგადოებრივი წარმოდგენები.

#### ეროვნული

ჟორჟ ბუიონმა აღნიშნა, რომ საქმეთა ურთიერთდაახლოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეხვედრებს, ურთიერთგაცნობასა და საუბრებს. დღეს უველაზე ძვირფასი და საჭირო ხომ ხალხთა შორის მეგობრობა და სიყვარულია.

ჟორჟ ბუიონმა ბელგიური ჟურნალის „ბელგიკ-ურსს მაგაზინის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა რეცენზია ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონზე“.

რეცენზიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სტრიქონები ნ. დუმბაძის რომანიდან: „კომუნიზმი კაცობრიობის ბედნიერების უმაღლესი საფეხურია, ის ბედნიერი უამი, როდესაც ადამიანს საშუალება მიეცემა, მხოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია“.

ახლანა დავამთავრე ნოდარ დუმბაძის საყოველთაო აღიარებული რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ კითხვა.

დიდი ინტერესით წავიკითხე აგრეთვე მისი ბოლო რომანის „მარადისობის კანონის“ ფრანგული თარგმანი, რომელიც რუსულიდან შეასრულა სვეტლანა დელმოტმა, გამოსცა იგი პარიზში ჟერარ ვატელის გამომცემლობა „პიგმალიონმა“, „დერსუ უზალას“ სერიით. მკითხველს თავიდანვე თვალში მოხვდება გარეკანის სიმბოლური გაფორმება: წითლად შეფერილ დიდ გულში ჩახატულ სკამლოგინზე სხედან მღვდელი და ინტელიგენტი, მათ უკან ცალ მხარეს მოჩანს გუმბათიანი ეკლესია. მეორე მხარეს — ნამგალი და ურო.

მკითხველისათვის რომანის დედააზრი გასაგები რომ იყოს, ქართველი მწერლის რომანიდან ავტორს მოკავს ორი მნიშვნელოვანი ნაწყვეტი და თავის დასკვნას აგებს ბაჩანა რამიშვილის მსჯელობაზე მარადისობის კანონის შესახებ. რეცენზიის ავტორს ძალიან მოწონებია რომანის მთავარი გმირის ბაჩანას დაუნდობელი ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. იგი მიუთითებს, რომ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ბაჩანა რამიშვილმა გაიმარჯვა, ქართველმა მწერალმა მთელი მგზნებარებით მზის სინათლეზე გამოიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებანი და გვიჩვენა მათი გამოსწორების გზები.

ბელგიელი მწერალი ნოდარ დუმბაძეს მიიჩნევს თანამედროვეობის დიდ ჰუმანისტად, რომელმაც თავის რომანში რეალისტურად ასახა ეპოქის საჭირობოროტო პრობლემები.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჟორჟ



ბუიონს დიდი შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამუარებული გრიგოლ აბაშიძესთან, ბელგიელ მწერალს ბერტრანდ პოლსონს, პარიზელი მწერლის სახლში, დაინტერესებულა მისი როგორც პოეტისა და რომანისტის შემოქმედებით. ბელგიის ჟურნალ-გაზეთებში მან მრავალი სტატია უძღვნა ქართველი მწერლის ცხოვრება-შემოქმედებას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ წერტილს: „ჩემს წიგნში „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“ საგანგებოდ გავამაგვილე ყურადღება ამიერკავკასიის ერთ-ერთ წამყვანი რესპუბლიკის, საქართველოს ლიტერატურულ ტრადიციებზე. რა თქმა უნდა, აწრი გამოვთქვი გრიგოლ აბაშიძის პოეზიისა და პროზაზე და მივუჩინე მას შესაფერისი ადგილი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. შევეხე მწერლის ნაწარმოებებს, როგორცაა: „შავი ქაღალის გაზაფხული“, „ზარზმის ზმანება“, „ძლივის ქედი“, „ლაშარელა“, „დიდი ღამე“.

1978 წლის გაზაფხულზე შესაძლებლობა მქონდა მენახა გრიგოლ აბაშიძე, მესაუბრა მასთან და გამეგო, რამდენად დიდია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. გრიგოლ აბაშიძე ჩემი ასაკისაა. მან პატივი დამდო, მიმიღო გულთბილად და მიმიწვია მაგიდასთან. მე აღარ შევუდგები ქართული სუფრის აღწერას; სადაც უხვად იყო საჭმელ-სახმელი, სუფრის წევრებს შორის გულთბილი ურთიერთობა, მჭევრმეტყველური სიტყვების მოსმენა დიდ სიამოვნებას მგვრიდა. მე მინდა განსაკუთრებით გამოვეყო გამოცდილი თამადის პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის მჭევრმეტყველებას, რომელსაც მახვილგონივრული სიტყვებით ეხმიანებოდა ჟურნალ „ლიტერატურაშია გრუზიას“ რედაქტორი გურამ ასათიანი. აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე მწერალთა კავშირის მდივნები: იოსებ ნონეშვილი, გიორგი ჟორდელიანი, რომლებმაც აგრეთვე გულთბილი მიღება მოგვიწყვეს.

კავკასიაში წინათაც ვიმოგზაურე, სიყვარულით ვიგონებ გულისხმიერ მეგობარს გასტონ ბუაჩიძეს, ჩემს გიღს, ქართველი კაცისა და ფრანგი ქალის ვაჟიშვილს, მშობლებისაგან ფრანგული და ქართული ენები შესანიშნავად რომ შეუსწავლია. მაგონდება რჩეული ლამაზი ქართველი ქალები, რომელთა შორის იყვნენ გრ. აბაშიძის მეუღლე და ქალიშვილი. სასიამოვნოა, რომ ოჯახში უველა, ბებიადან დაწყებული შვილიშვილებამდე ერთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული, რაც ქართული ოჯახური ყოფის საოცარი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

გრიგოლ აბაშიძის ოჯახში მიღებული გამამხნევებელი აღამიანური სიტბოს გარდა სასტუმრო „ივერიაში“ წავიღე მის მიერ ნაჩუქარი ლექსების წიგნი „მთები და კლდეები“, რომელიც ქართულიდან ფრანგულად თარგმნა სერგი წულაძემ. წიგნისათვის სათაურად მიუციათ ერთ-ერთი დიდი ლექსის სახელი „მთები და კლდეები“.

ბი“, რომელიც წიგნის ბოლოს არის მოთავსებული.

დე სხვის უყვარდეს უსაზღვრო ვედი,  
მე მათ სიყვარულს არ ვეცილები,  
მე მიყვარს ჩემი კლდეები ბნელი,  
ღრუბლებში კალთბაკეცილები.

სერგი წულაძე თავისი სტატიაში, რომელიც სამართლიანად წერს: „გრიგოლ აბაშიძე აგრძელებს ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მწერალი აღიღებს ეროვნული გრძნობის სიფაქიზეს და ძლიერებას, ბაღის ენერგიას, ბუნებით შთაგონებულ სილამაზეს“. მაგრამ მისი ნაწარმოებები დროისაგან მოწყვეტილი და შეზღუდული არ არის. ექსტაზში შესული პოეტი სინამდვილეს არ ღალატობს. მწერალი ანახლებს ანთროპის ძველ მითს, გვაგრძნობინებს გულისა და გონების აუცილებლობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალურ სამყაროში დაფუძნების აუცილებლობას. ისე როგორც ბუმბერაზი ძალ-ღონეს დედამიწასთან შეხების შემდეგ იკრებს, ასევე სასწაულებრივ ძალას დედამიწისაგან იღებს. სწორედ დედამიწის გულში აქვთ გადგმული ფრესკები მწვერვალებსა და კლდეებს. სხვა ლექსში გრ. აბაშიძე ამბობს:

გულს ეს მიხარებს, უგზო არა ვარ,  
ჩემს გაზაფხულსაც ჰყვანან მერცხლები,  
მე ჩემი ღროის ძლიერ ქარავანს  
არც ჩამოვრჩები, არც გავცელები.

გრიგოლ აბაშიძე ასევე ომანთანაც აცხადებს პირველ ლექსში:

არის ლამაზი მხარე მრავალი,  
მაგრამ არ არის სხვა საქართველო.

მაისის იმ საღამოს, თბილისში რომ ვიყავი, ქართველების ეროვნული მეობის სიმტკიცეში კიდევ ღრმად დამარწმუნა იოსებ ნონეშვილის ორმა ლექსმა მედვასა და ბაირონზე, რომლებიც პოეტმა საბერძნეთში ყოფნისას შექმნა და ჩვენ პირველად წაგვიკითხა მგზნებარე და მომაქადლებელი ხმით.

გამარჯვებას და მშვიდობას გისურვებთ, ქართველებო, უველას!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟორჟ ბუიონი თავის წიგნში „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“ ეხება საზღვარგარეთ მომუშავე ქართველოლოგებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა მსჯელობს ქართველოლოგიის ფუძემდებლის, მარი ბროსის დამსახურებაზე, რომელიც ფრანგ მეცნიერს მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე.

ამასთან დაკავშირებით ავტორს გამოუყენებია პროფ. დ. ფანჩულიძის ნაშრომები ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორის წიგნები: „XX საუკუნის ფრანგი მწერლები“, „რინე ლაფონი და საქართველო“, „ანდრე სტილის შემოქმედებითი გზა“.





ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი

**1** 1864 წლის 24 ნოემბრის ღამეს, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ ალბის მოქუშუ-ცა ელვამ გაეგეთა. ერთ-ერთ უძველეს და უაღრეს სახლში, ტულუზელი გრაფისა და ტაბიე დე სელეირანის ღირსეულ და სახელო-ვან ოჯახში მოუთმენლად მოელოდნენ პირვე-ლი მემკვიდრის დაბადებას. მამა, გრაფი ალფო-ნსი სულ რაღაც ერთი წლის წინ თავის ბიძა-შვილზე, ადელ ტაბიე დე სელეირანზე დაქო-რწინდა, ისინი ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერ-თმანეთს და მათი დედებიც, ე. ი. ანრი ტუ-ლუზ-ლოტრეკის ორივე ბებია ღვიძლი დები იყვნენ. იმ ღამით, მშვენიერი, ჭანსალი ბავშვი დაიბადა და მას ანრი დაარქვეს მეფე ანრი მერუთის პატივსაცემად (იგი უფრო გრაფი დე მამბორის სახელითაა ცნობილი), რომელიც 1830 წელს, პაპის — შარლ მეათის ტახტიდან ჩა-მოგდების შემდეგ, ტახტის უშუალო მემკვიდრე გახდა. პატარა ანრი ძალზე მომბიბლავი და თვინიერი ბავშვი იყო. მედამ თავს დაჰფოფი-ნებდნენ მშობლები. ამან კი მისი ხალასი ნიჭის უფრო ღაღად განვითარებას შეუწყო ხელი. შინაურები ბავშვს „Bébé Sou Polit“-ს უძახდნენ, რაც ალბის მკვიდრთა კილოზე „მშვეხიერ ბავშვს“ ან „პატარა მარგალიტს“ ნი-შნავს. მისი უზრუნველი, ბედნიერი ბავშვობა ანრიმ სელეირანისა და ბოსხის საგვარეულო ცხოვრობაში გაატარა უამრავი ბიძაშვილისა და მეგობრების გარემოცვაში. „დიდიდან საღამო-მდე გაუჩერებლად ტიტინებს ანრი“, — წერ-და ერთ-ერთი ბებია, — „ჭრიჭინასავით დახ-ტის აქეთ-იქით, სიცოცხლით ავსებს და ასხი-ოსნებს აჭაურობს. წაიყვანენ თუ არა, მა-შინვე სიყარბელე დაისადგურებს მთელ სა-ხლში“.

პატარა ანრი თავის ნებაზე ჰყავდათ მიშვე-ბული და მის განებივრებაში მარტო მშობლებს კი არ მიუძღოდით ბრალი, არამედ ბებიებსაც და პაპებსაც, ბიძებსა და ბიცოლებს, რომლებიც უამრავ ძვირფას სათამაშოებს და პონებს ჩუ-ქნიდნენ მას.

არც ლოტრეკისა და არც ტაბიეს ოჯახში თავ-ვისდღეში არავის უმუშავია, თუმცა რაღაცით მაინც იყვნენ ხოლმე დაკავებულნი. ოჯახის

წევრთა უმრავლესობა ნადირობით, ცხენოსნო-ბითა და მხატვრობით იყო გატაცებული, ზოგს გემრიელი სასმელ-საჭმელი იზიდავდა; ასე რომ, ყველა რაღაცით იყო გართული, ამბობენ. ოჯა-ხში ერთი უზარმაზარი სკივრი ედგათ, რომე-ლშიც ადგილ-მამულის გამგებელი დიდძალ ფულს ინახავდა და მერე ყველა საჭიროებისდა მიხედვით იღებდა იქიდან თანხას. გრაფი ალფო-ნსი პროფესიონალი მოჭანდაკე იყო, თუმცა არასოდეს უცდია თავისი ნამუშევრების გაყი-დვა. წელიწადში ექვს თვეს პარიზში ცხოვრო-ბდა ხოლმე. მას ძალიან უყვარდა უცხო ხალ-ხთა წეს-ჩვეულებათა გაცნობაც. ერთხელაც ყირგიზულ ტანსაცმელში ჩაცმული დაბრუნდა ალბიში და რამდენიმე ხანი კარავშიაც კი ცხო-ვრობდა და იმათ წეს-ჩვეულებებს ითვისებდა. ანრი ხატავდა, დაჯირითობდა ცხენით, წერდა თავშესაქცევ წერილებს, ეუფლებოდა ლათი-ნურს და ინგლისურს, რომელსაც დედა და ში-ნამისწავლებლები ასწავლიდნენ. 1872 წელს იგი სასწავლებლად გაგზავნეს პარიზის კონდორე-ქტის ლიცეუმში, სადაც დიუბლოვდა მორის ქუაიენს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული მეგობარი იყო. ათი წლის ანრი ლო-ტრეკი უკვე ძალზე სუსტიად გრძნობს თავს: ამი-ტომაც მშობლებს იგი პარიზიდან რივიერაზე<sup>1</sup>, ქვეყნის სამხრეთში გადაჰყავთ, სადაც შედარე-ბით რბილი ჰავაა, სწორედ აქ, ნიცაში გაატარა მან ყველაზე მეტი ხანი.

ბავშვობაში ანრი ძალიან განიცდიდა მშობ-ლებს შორის წამოჭრილ უთანხმოებას, ამის გა-ბოა, რომ იგი სულ უფრო დამოუკიდებელი ხდე-ბა და ხშირად ახირებულადაც იქცევა ხოლმე. მოუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად სუსტი ბავშვია, მაინც გატაცებულია სპორტით და ათა-სგვარი ინტელექტუალური გასართობით. „ან-რი მაინცდამაინც არ ერიდება ნესტიან ამინ-დებს“, — წერდა ბებია გრაფინია ადელას, რო-მელიც მედამ წუხდა ხოლმე შვილზე, — „ისე-თი წყნარი ამინდია დღეს, რომ თავის მეჭინი-ბესთან, ურბენთან ერთად შეუძლია დიდხანს

<sup>1</sup> რივიერა — ასე უწოდებენ საფრანგეთის სამხრეთში განლაგებულ საკურორტო ადგილებს, სადაც შედარებით რბილი ჰავაა.



სეირნოს კიდევ ცხენით. ღმერთმა უწყის მას-  
წავლებელი უფრო ამაყია თუ მისი შეგირდი.  
თუ შეუძლოდ არის და შინ რჩება, მაშინ მთელ  
დროს ფანქრით ან აკვარელით ხატვას ანდო-  
მებს. მის მუშაობას გულდასმით ადევნებს  
თვალს ბიძამისი შარლი. იმდენად კეთილშობი-  
ლი ყმაწვილია, რომ მარტოობის ეამსაც ინა-  
რჩუნებს სულის სიმშვიდეს. ჩემი აზრით, აზ-  
ნაურებთან ერთად სანადიროდ წასვლა მისთვის  
ჯერ ნაადრევია, თუმცა ისეთი გულადი და მა-  
რჯევა, არაფრად დაგიდევთ დაბრკოლებებს,  
რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს. ასეთ  
ხალისიან ყმაწვილს რომ უყურებ, არ შეიძლე-  
ბა შენც კარგ გუნებაზე არ დადგე“.

1878 წელს თოთხმეტი წლის ანრის უბე-  
დურება დაიბრუნა თავს, რომელმაც მთლიანად  
შეცვალა მისი ცხოვრება. აი, რას წერდა ამის  
შესახებ თავის მეგობარს:

„ძვირფასო შარლ,

ჩემი ღუმილის მიზეზს როცა შეიტყობ, იმე-  
დია მაპატიებ, ამდენი ხანი რომ არაფერი მო-  
მიწერია შენთვის. სკამიდან გადმოვვარდი და  
მარცხენა წვივის ძვალი გამიტყდა, მაგრამ, მა-  
დლობა ღმერთს, ახლა ცოტათი გამოვკეთდი და  
ყავარჯნებით დავიწყე სიარული. გიგზავნი ჩემს  
პირველ ნახატს, რომელიც აკვარელითაა შესრუ-  
ლებული, ცოტათი მოვჯობინდი თუ არა, მაშინვე  
დავხატე. მთლად კარგი ვერ არის, მაგრამ, მი-  
ნიხვდები, რომ ეს ჩემი მცირედი საჩუქარია.  
დანამდვილებით არ ვიცი ბარეში როდის შევ-  
იღებ წასვლას, თუმცა ბებია და ჩემი ბიძაშვი-  
ლები კი აპირებენ გამგზავრებას. ექიმმა მეუბ-  
ნება წყლებზე უფრო გაგიუარესდება ჯანმრთე-  
ლობაო და იქ წასვლას არ მირჩევს. ბიძაჩემმა,  
რაიმონდ ტულუზელმა მინახულა, მაგრამ შენს  
შესახებ არაფერი უთქვამს. მშვიდობით ძვირ-  
ფასო მეგობარო, დედა მოკითხვას გითვლის  
შენც და შენს ოჯახს. ჩემი გულთბილი სალა-  
ში გადამეცი დედას და დას.

მუდამ შენი ანრი ტულუზ-ლოტრეკი“.

სამწუხაროდ, მოტეხილობა ოდნავ რომ მო-  
უშუშდა და თავი ასე თუ ისე უკეთ იგრძნო,  
ანრი ისევ უბედური შემთხვევის მსხვერპლი  
შეიქნა. „დედასთან ერთად სუფთა პაერზე  
რომ სეირნობდა, მეორედ მაშინ მოიტეხა ფე-  
ხი“, — წერდა მამამისი, — „ოთხი თუ ხუთი  
ფუტი სიღრმის წყალსადენ არხში ჩავარდა,  
რომელიც, კიდევ კარგი, მაინცდამაინც ღრმა  
არ არის. მადლობა ღმერთს, მოტეხილობა უწი-  
ნდელივით მტკივნეული არ ყოფილა. სანამ დე-  
დამისი ექიმს მოიყვანდა ეს დაშავებული ბიჭი  
მშვიდად იქდა მიწაზე, ბედს შერიგებული...“  
ორივე შემთხვევა იმაზე მიანიშნებდა, რომ ბა-  
გში რაღაც დაუდგენელი ავადმყოფობით იყო

დაავადებული, რომლის მიზეზი ვერა და ვერ  
აეხსნათ მაშინ; ცხადია, ლოტრეკის გუნება-  
ფიზური დისტროფიით ანუ ძვლოვანი ქსოვი-  
ლების განუვითარებლობით იყო დაავადებული,  
რის გამოც ძვლები პათოლოგიურად შეცვ-  
ქონდა. ანრიმ შემდეგშიც მომადგმეს შეწყ-  
ვიტა ზრდა. რა თქმა უნდა, როგორც ხშირად  
წერენ ხოლმე მასზე, ჯუჯა არ ყოფილა, მაგრამ  
საშუალოზე დაბალი კაცი კი იყო. უფრო მე-  
ტიც, თავი და ტანი სავსებით ნორმალური  
ზომის ჰქონდა, აი, ფეხები კი სუსტი, გაშეშე-  
ბული და განუვითარებელი. სწორედ ამ შეუ-  
საბამობის გამო იყო თვალში საცემი მისი უც-  
ნაური გარეგნობა.

თავად ლოტრეკი სასოწარკვეთას არასოდეს  
მისცემია და დასცინოდა კიდევ თავის უბე-  
დურ ხვედრს. მის ახლობლებს ზომ კაპიციც  
არ დაუხარჯავთ იმაზე, რომ ჯეროვანი მკურ-  
ნალობა ჩაეტარებინათ და ოდნავ მაინც შეემ-  
სუბუქებინათ მისთვის მდგომარეობა. ყოველ-  
თვის იმის იმედი ჰქონდათ, რომ თავისთავად  
გამოკეთდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ძალზე  
მოსაწყენ რამდენიმე თვეს სხვადასხვა მინერა-  
ლური წყლების კურორტებზე ატარებდა. ან-  
რიმ ისარგებლა თავისი მდგომარეობით და  
საერთოდ დაანება თავი სწავლას; მთელ თავი-  
სუფალ დროს ახლა ფანქრით ხატვას და წერას  
ანდომებდა.

1881 წლის ივლისში თექვსმეტი წლის ანრიმ  
ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად გამოცდა  
ჩააბარა პარიზში, მაგრამ ჩაიჭრა. მერე მთელი  
ზაფხული გულმოდგინედ იმეცადინა და ხელა-  
ხლა ჩააბარა. ამ გამოცდის შესახებ ლოტრეკი  
ძალზე გულწრფელად წერს ერთ მეგობარს:

„გამოცდა, რომლის გამოც ასე ვღელავდი,  
ამჯერად როგორც იქნა ჩავაბარე. ლექსიკონები-  
სა და სამართლის წიგნების გამო ზურგი ვაქ-  
ციე უახლოეს მეგობრებს, ფერწერას და საერ-  
თოდ ყველაფერს, რაც ღირებულება ამ ქვეყ-  
ნად. გამომცდელებმა საბოლოოდ მიზანშეწო-  
ნილად ცნეს ჩემთვის ბაკალავრის ხარისხის მო-  
ნიჭება, მიუხედავად იმ ათასი სისულელისა,  
რაც მე წამოვროშე, მათ დასმულ კითხვებს  
რომ ვპასუხობდი! ციტატები მომქონდა ვითო-  
მდა ლუკადან; ეს ავტორი კი არასოდეს არსე-  
ბულა. პროფესორმა, რომელსაც დიდად განს-  
წავლულად მოჰქონდა თავი, დამიჯერა. აი,  
სულ ეს იყო. უსათუოდ შენიშნავდი, რომ ჩემი  
თხრობა, ცოტა არ იყოს მოდუნებულია, ალბათ  
ფსიქიკური მოშლილობის ბრალია, გამოცდების  
ნერვულმა დაძაბულობამ რომ განაპირობა. იმე-  
დი ვიქონიოთ, რომ მომავალში ყველაფერი კა-  
რგად იქნება.

შენი მეგობარი ანრი ტულუზ-ლოტრეკი“.



1881 წლის ნოემბერში მას ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. ახლა მშობლებმაც დართეს ნება, უფრო სერიოზულად მოეკიდა ხელი მხატვრობისათვის. მისი პირველი მასწავლებელი ოჯახის ახლო მეგობარი რენე პრენსტო იყო, რომელიც ცხენების ხატვაში იყო დახელოვნებული. ანრის დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მის სტუდიაში მუშაობა და შედეგმაც არ დააყოვნა. მან ისე შესამჩნევად აიმაღლა ოსტატობა, რომ მალე წამოვიდა კიდევ იქიდან, რადგან მეტს ვერაფერს შეიძენდა თავისი მასწავლებლისაგან. მაშინ პრენსტომ ანრის მშობლებს ურჩია, რომ იგი პარიზში, იმ დროისათვის ძალზე ცნობილი მხატვრის ლეონ ბონას სახელოსნოში გაეგზავნა, სადაც იგი რამდენიმე დამწყებ სტუდენტს ამეცადინებდა. ბონამ ვერ დაინახა ლოტრეკის ნიჭი.

„ალბათ გაოცდები, რომ გაიგებ, როგორ მამხნევებს ხოლმე ბონა“, — წერდა ლოტრეკი თავის ბიძას შარლს — „ი, რას მეუბნება: „საღებავებით ცუდად არ ხატავ; იქნებ ცოტათი, მოდურიც კია, მაგრამ მთლიანობაში მაინც არ არის ცუდი. ფანქრით ხატვა კი მართლა არ გეხერხება, საშინელებაა პირდაპირ“. ასე რომ, ისლა დამრჩენია თავიდან დავიწყო ყველაფერი, ხელახლა ვაბარო გამოცდები და ისევ ჩავიჭრა!“

ლოტრეკმა სცადა კეთილსინდისიერად მიჰყოლოდა ამ აკადემიური მხატვრის რჩევა-დარიგებას. თხუთმეტი თვის დაუღალავი მუშაობის შემდეგ იგი გადადის სამხატვრო სკოლაში, რომელსაც სათავეში ედგა ძალზე ნიჭიერი და იმ დროისათვის არანაკლებ აღიარებული მხატვარი ფერნარდ კორნომი, რომელიც ძირითადად ისტორიამდელი ხანის ფანტასტიურ ნახატებს ხატავდა. თუმცა კორმონიც აკადემიური სტილის მხატვარი გახლდათ და ამავე დროს არც თუ ისე იღბლიანი, ლოტრეკი დიდად აფასებდა მის პროფესიულ ოსტატობას და თავს ბედნიერად რაცხდა ემუშავა მასთან ერთად პიუგოს ეპიკური პოემის „საუკუნის ლეგენდის“ ილუსტრირებაზე.

მართალია, თავისი მასწავლებლის მხატვრობის სტილით ლოტრეკი აღფრთოვანებული არ ყოფილა. მაგრამ ალბათ ასე ეწერა, სწორედ აქ, კორმონთან უნდა შეხვედროდა ანკეტენს, მენცსა და რაშუს. და ერთად გაეტარებინათ ღამე არისტიდ ბრუანის პატარა კაბარეში „ლე მირლიტონში“. იქნებ ცოტა უცნაურიც კია, მაგრამ ლოტრეკი კორმონის სტუდიაშიც და ბრუანის კაბარეშიც თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში, რადგან ორივეგან მეგობრობის ისეთი ბუნებრივი ატმოსფერო სუფევდა, როგორიც მას უყვარდა და როგორიც მის ლალ სულს ეხმიანებოდა.

მეგობარ სტუდენტებს შორის ისეთებიც ერი-

ვნენ, რომელთაც თავიანთი ახლებური ძიებებით მტკიცეთ დაიმკვიდრეს ადგილი მხატვრობაში; მათ ნამუშევართა ინტრიგანობამ მოხიბლა და დაინტერესა ლოტრეკი. აქ იყო ემილ ბერნარი, რომელიც უკვე ქადაგებდა არტისტულ რევოლუციას. სულ მალე მან გოგენთან, დიდ ბრიტანეთში მიემგზავნა და მას ჰენტ-ავენის ჯგუფის დაარსებაში ეხმარება; ორივენი შესანიშნავი თეორეტიკოსები და ნოვატორები იყვნენ. ბერნარმა შემდგომში დიდი გავლენა იქონია ბონარზე, ვილარსა და სერუზიზეზე.

კორმონის სტუდიაში ლოტრეკი ვან გოგს ხვდება. პირქუში, მდუმარე და გაუცინარი ჰოლანდიელი 1886 წლის თებერვალში პარიზში ჩადის და განმარტებით ცხოვრობს. ლოტრეკს ხიბლავდა მისი ნამუშევრები და უკიდურესი იდეალიზმი, ამიტომაც დაუმეგობრდა მას. ძალზე უცნაური მეგობრობა კი ჰქონდათ. ორივენი მეტად მგრძნობიარენი იყვნენ, თითქმის ერთნაირი თავდავიწყებით უყვარდათ სიცოცხლე და ამავე დროს ორივე საოცრად გულგატეხილი იყო, ერთი ყოველთვის იუმორით უყურებდა სამყაროს, მწარედ დასცინოდა თავის ხვედრს, მაშინ როდესაც მეორე მუდამ ცხოვრების ტრაგიკულობაზე გოდებდა. ლოტრეკმა ლურჯი საღებავებით დახატა ვან გოგის პორტრეტი, რომელშიც ყურადღება მის დაძაბულ გამომეტყველებასა და უბრალოებაზეა გამახვილებული. ორი წლის შემდეგ, როცა ვან გოგს მობეზრდა პარიზში ყოფნა და გულმა კვლავ სოფლისაკენ გაუწია, ლოტრეკმა მას სამხრეთ საფრანგეთში წასვლა ურჩია, სადაც ბავშვობა ჰქონდა გატარებული. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ვან გოგი პარიზში ჩამოვიდა; 1890 წლის ივლისში ვან გოგმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში ოვერ-სიურ-უაზში.

არისტიდ ბრუანი თავის პატარა კაბარე „ლე მირლიტონში“ წყალწყალა ლუდითა და სენტიმენტალური სიმღერებით უმასპინძლდებოდა ბურჟუებს. ლოტრეკს და მის მეგობრებს მოსწონდათ ეს დაუდგრომელი ბუნების კაცი, როცა მან ძალზე მახვილგონიერი და გრძნობის ამშლელი სიმღერების მთელი სერია დაწერა, ლოტრეკმა მისი კაბარე მეძავი ქალების სურათებით მოხატა, რომელიც ცოტა არ იყოს ყალბად გადმოსცემდა ბრუანის ლირიკას. ბრუანის ერთ-ერთი სიმღერის გმირი ნინი, ბასტილიის გარე უბნიდან იყო. სურათში ლოტრეკმა მოდელად მხატვარ ფრედერიკ მენცის მეგობარი გოგო ეანა გამოიყენა. ფრედერიკ მენცი მასთან ერთად სწავლობდა კორმონის სტუდიაში და სწორედ მისმა შეძლებულმა მშობლებმა შეიძინეს პირველად ლოტრეკის ნახატები. კორმონის



სტუდიის ახალგაზრდა მხატვრები ძალზე მზი-  
არულ და უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდნენ.  
მათი მოთავე რენე გრენიე იყო, რომელსაც  
ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარი  
ჰქონდა და ეკონომიკურადაც დამოუკიდებელი  
იყო. მისი მომხიბლავი მეუღლე ლილი, რომელიც  
ადრე ბევრჯერ დაუხატავს ლოტრეკს, მაღალი,  
მოხდენილი, ელალთმიანი ენაჭარტალა ქალი  
გახლდათ. რამდენიმე თვის განმავლობაში ლო-  
ტრეკი ამ წყვილის სახლში ცხოვრობდა. ლოტ-  
რეკს, გრენიეს და მათ მეგობრებს ძლიერ მოს-  
წონდათ, როცა გასართობად ექსტრავაგანტურ  
კოსტუმებში გამოეწყობოდნენ. განსაკუთრე-  
ბით აღმოსავლური კოსტუმების ჩაცმა უყვარ-  
დათ. ადრე მოჩითული იაპონური ქსოვილე-  
ბით იყვნენ გატაცებულნი. მანამ არ დაასრუ-  
ლებდნენ თავაშვებულ ღრეობას, სანამ სურა-  
თებს არ გადაიღებდნენ ან ერთმანეთს არ და-  
ხატავდნენ. ერთხელ მეგობრები რამდენიმე  
ღლით სოფელ ვილიერ სიურ-მორენში რომ გა-  
ემგზავრნენ, რათა ცოტა ხნით განცხრომას მი-  
სცემოდნენ, ლოტრეკმა სიამოვნებით მოხატა იმ  
სასტუმროს კედლები, რომელშიც ისინი ცხო-  
ვრობდნენ. პარიზიდან რომ გაემგზავრებოდა,  
მერე ერთავად იმაზე სწუხდა, რაც შეიძლება  
მაღე დაბრუნებულიყო უკან; მერე ამოირჩევ-  
და პარიზის რომელიმე თეატრს, კაბარეს, საცე-  
კვაო დარბაზსა თუ ცირკის არენას, სადაც  
ყველაზე შინაურულად იგრძნობდა თავს და  
ხატავდა.

ის ფაქტი, რომ იგი გამუდმებით ხატავდა  
(და უფრო ხშირად იმას, რასაც იმ წუთში  
ვიტარება უკარნახებდა), აფორმებდა მოსაწ-  
ვევ ბარათებს და მენიუს (მათი უმრავლე-  
სობა ახლა დაკარგულია) და მერე ცდილობდა  
როგორმე მოეთავსებინა ისინი თუნდაც პო-  
პულარულ გაზეთებსა და ჟურნალებში, იმას  
მოწმობს, რომ ლოტრეკი ხელოვნებას პრივი-  
ლეგიზებული უმცირესობის უპირატესობად  
არ მიიჩნევდა. უფრო სწორად, მისთვის ეს ყო-  
ველდღიური მოთხოვნილების შედეგი იყო.  
პროფესიონალ მენატურებს რომ ხატავდა, მა-  
შინაც აფორიაქებული იყო; ერჩივნა მთლი-  
ანად მოქცეულიყო დასახიტი საგნის ტყვე-  
ობაში, რამეთუ მერე თავისუფლად ეძლეოდა  
გაქანება მის შთავონებას.

„ერთ დღესაც, რაშუ და ლოტრეკი ბუავენ-  
თან სასაუზმოდ რომ მიეშურებოდნენ“, —  
წერდა მხატვარი ფრანს გოზი, — „გვერდით  
ჩაუარა უბრალოდ ჩაცმულმა ახალგაზრდა  
ქალმა, რომელიც ქარხნის მუშას უფრო მია-  
გავდა. ისეთი წითელი თმები ჰქონდა, ლოტ-  
რეკი შეჩერდა და აღტაცებულმა წამოიძახა: „  
რა საოცარია და მშვენიერი! კარგი იქნე-  
ბოდა, თავი დამახატოს! ისევ შენ

უნდა სთხოვო, — აღვილი საქმეა, — მიუგო  
რაშუმ და მაშინვე დაედევნა ქალს. მხა-  
ტვრის თავიანთ თხოვნაზე ახალგაზრდა ქა-  
ლი ცოტა არ იყოს შეეყოყმანდა, მაგრამ ისე  
დაჟინებით ჩააცვიდა რაშუ, რამდენჯერმე დაჟი-  
თანხმა. მას კარმენ გოდინი ერქვა, იგი მრე-  
ზიდველი და ოდნავად გამხდარი გოგო იყო.  
ლოტრეკს ქუჩის ქალი ეგონა და ძალზე გა-  
ოცდა, როცა გაიგო, რომ ქმარი სულის ამო-  
ხდამდე სცემდა თურმე. ძალზე პუნქტუალური  
იყო და ამიტომ კარგა დიდი ხნის განმავლო-  
ბაში სხვადასხვა სურათის მოდელად იყენე-  
ბდა მას“.

ლოტრეკის ფუნჯმა იგი მშვენიერ „მრეცხივ  
ქალად“ აქცია და მერეც, პარიზზე დაწერილი  
ბრუანის ლექსებს რომ ასურათებდა, მას ერთ-  
ერთი სიმღერის გმირის სახელი „წითელი ვა-  
რდი“ უწოდა. ლოტრეკი ბრუანის უახლოესი  
მეგობარი იყო და გრძნობდა, რომ მასთან  
მეგობრობითა და კაბარეში სიარულით ჰემ-  
მარიტი თავყვანისმცემლების გულს მოიგებდა;  
იმ საზოგადოებისა, რომელიც უფრო მეტად  
აინტერესებდა მას, ვიდრე ის კოლექციონე-  
რები, მხატვართა უმრავლესობა ეკონომიუ-  
რად მათზე რომ იყო დამოკიდებული. ასე რომ,  
ლოტრეკმა მოლბერტზე ხატვას, გაზეთებისა  
და რეკლამების ილუსტრირება ამჯობინა, რა-  
დგან ამით უფრო ფართო აუდიტორიის  
ყურადღებას იქცევდა. იგი ძირითადად „ლე-  
კურიერ ფრანსეზსა“ და „პარი ილუსტრეში“  
თანამშრომლობდა, რომელსაც მისი სკოლის მე-  
გობარი მორის ეუაიანი სცემდა.

ლოტრეკი „მირლიტონის“ გარდა კაბარე  
„შა ნუარშიც“ ხშირად დაიარებოდა. ეს გახ-  
ლდათ შესანიშნავი მიუზიკლ-პოლი, რომე-  
ლსაც როდოლფ სალი ხელმძღვანელობდა  
და სადაც გამოდიოდნენ ისეთი სახელგანთქმუ-  
ლი მომღერლები, როგორებიც იყვნენ მო-  
რის დონეი და ქსანროფ გუდო, რომელთა  
სიმღერები დღემდე დიდი პოპულარობით სა-  
რგებლობდა საფრანგეთში, თუმცა საუკუნეზე  
მეტი გავიდა მას აქეთ. ლოტრეკს ხშირად ხე-  
დავდნენ „მულენ დე ლა გალერშიც“. ეს სა-  
ცეკვაო დარბაზი მონმარტრის ცოტა ზემოთ  
მდებარეობდა და, მას შემდეგ, რაც რენუარმა  
დახატა იგი, დაკარგა კიდევ სოფლური სისა-  
დავე და მეძავი ქალებისა და მაქანკლების ბუ-  
ნაგად გადაიქცა. აქ უჩვენებდნენ ახალგაზრდა  
პატივმოყვარე ქალები თავიანთ საცეკვაო ხე-  
ლოვნებას, სწორედ აქ ნახა პირველად ლოტ-  
რეკმა „ლა გულუ“ („მსუნავი“), ხალგაზრდა  
მოცეკვავე ქალი, რომელსაც შესანიშნავი, მა-  
გრამ ძალზე ხანმოკლე კარიერა ჰქონდა.

1889 წლის 5 ოქტომბერს კლიშის ბულ-  
ვარზე, მონმარტრისა და პარიზის საზღვარზე,



მარლ ზიდლერმა გახსნა თავისი დიდებული სასახლე — მულენ რუჟი, რომლის შესასვლელის ზედ თავზე ქარის წისკვილის უშველებელი მაკეტი იდგა. ამ სასახლეს უზარმაზარი ფართობი ეჭირა და შედგებოდა რამდენიმე პატარ-პატარა ოთახებისაგან, სადაც ათასგვარი გასართობები იყო მოწყობილი; ერთ-ერთ მათგანში მაგალითად ხის სპილო იდგა, რომელსაც ფერდები ისე ჰქონდა დაქანებული, რომ ისინი სცენას ქმნიდნენ, რომელზედაც „მაგრიტანელი“ მოცეკვავე ქალები ასრულებდნენ თავიანთ ნომრებს. სასახლეს დიდებული ბაღი ერტყა გარს, სადაც მანქანა მაიმუნები თავისუფლად დახტოდნენ ხეებზე. სასახლის ცენტრი იყო უზარმაზარი საცეკვაო დარბაზი, რომელიც ბრწყინვალე, მოხატული ფარდებით იყო მორთული. სცენას გაზის ოდნავ მკრთალი ნათურებით ანათებდნენ. აქ მრავალფეროვან და საკმაოდ კარგ წარმოდგენებს უჩვენებდნენ ხოლმე. ლოტრეკს უკვე დახატული ჰქონდა „ლა გულუს“ რამდენიმე მშვენიერი სურათი, რომ „მულენ რუჟისათვის“ ახალი აფიშა დაუკვეთეს. თავი რომ დააღწია ვილეტის გავლენას, რომელიც იმ დროისათვის აფიშების ცნობილი გამფორმებელი იყო და დიდი წარმატებითაც სარგებლობდა, ლოტრეკი მაშინვე ჩაწვდა თანამედროვე სარეკლამო ხელოვნების საიდუმლოს — ეს იყო მიმზიდველი უბრალოება. მარჯვნივ, კომპოზიციის ცენტრში მომხიბლავი, ქერათმიანი „ლა გულუ“ მოათავსა პროფილში, რომელსაც წითელი ბლუზი და თეთრი ქვედაკაბა აცვია. ამ განსაცვიფრებელი აფიშის ცენტრალური ფიგურა მართალია მხოლოდ ის იყო, მაგრამ მისი გაქანებული პარტნიორი ვალენტინ დესოსეც მიიხატა, რომელიც წინა პლანზე ზურგით მოჩანს; მათ უკან მაყურებელთა ბუნდოვანი სახეები მოსჩანს, სურათს თავზე სამჯერ აწერია „მულენ რუჟი“. მოცეკვავესაც და აფიშასაც უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. პარიზმა თითქმის ერთდროულად აღმოაჩინა ამ ორი ხელოვანის განსაცვიფრებელი ორიგინალობა: „ლა გულუს“ მომაჯადოებელი სპონტანურობა და ლოტრეკის ძალზე თამამი გრაფიკული ნიჭი. ამიერიდან ახალგაზრდა ლოტრეკმა სახელი გაითქვა, როგორც აფიშების ძალზე ნიჭიერმა და საუკეთესო გამფორმებელმა.

ლოტრეკმა მუზიკ-ჰოლის ვარსკვლავთა უამრავი სურათი და აფიშა შექმნა. ერთ-ერთი მათგანი იყო ჟანა ავრილი, რომელიც ლოტრეკმა „მულენ რუჟის“ მოცეკვავე გოგონათა შორის გამოარჩია. იგი ძალზე გამხდარი იყო და თეთრი, ცხიმოვანი პირისკანი ჰქონდა. ჟანა ავრილი მოზდენილად ასრულებდა სოლო ნომრებს. როგორც ყუიანი ამბობდა, ესქატაში შესულ

ორბიდეასავით ცეკვავდა“. ლოტრეკმა იგი „დივან გაპონეს“ მუზიკ-ჰოლისათვის გაფორმებულ აფიშაზე დახატა, მერე, როცა ჟანა კვლავ გამოჩნდა გარდენ ღე პარი სცენაზე, მან სხვა, უფრო დიდი აფიშა დახატა: მოგვიანებით ლოტრეკმა კიდევ ერთი აფიშა გაფორმა სპექტაკლისათვის, რომლითაც ჟანა ავრილი ლონდონში გამოდიოდა. იგი რამდენჯერმე ფიგურირებს ლოტრეკის ნახატებში, ლითოგრაფიებსა და აფიშებში.

მართალია, მეი ბელფორტი სილამაზით ვერ დაიკვებნიდა, მაგრამ მისმა ჩაცმულობამ და სიმღერის ექსტრავეგანტურმა მანერამ ლოტრეკის ყურადღება მიიქცია. გამოვიდოდა სცენაზე ირლანდიელი ყმაწვილი ქალი პატარა გოგონას კაბაში ჩაცმული, შავი კნუტით ხელში და ბავშვური ხმით მღეროდა ინგლისურ სიმღერას: „პატარა ფისუნია მყავს, ძალიან მიყვარს“. ამგვარი სისულელეები ართობდა ლოტრეკს, რომელმაც წარმოდგენისათვის, მეი ბელფორტი რომ გამოდიოდა, გააფორმა აფიშა, რომელსაც გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად. მეი ბელფორტის მეშვეობით გაიცნო მან ირლანდიელი მომღერალი მეი მილტონი, რომელიც ისეთი უშნო იყო, რომ ლოტრეკის მეგობრებს მისი შეხედვაც კი ზარავდათ, მაგრამ ლოტრეკმა მაინც შექმნა მისთვის მშვენიერი ლურჯი აფიშა. მართალია, აფიშამ მუზიკ-ჰოლის მენეჯერთა ყურადღება ვერ მიიქცია, სამაგიეროდ მეი მილტონს სიკვდილის მერეც გაუნაღდა უკვდავება.

ლოტრეკის სახელი შემდეგში განუყრელად დაუკავშირდა ივეტ გილბერს. ისინი ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აღფრთოვანებულან კიდევ ერთმანეთის ტალანტით. ნიჭიერი მომღერალი და მსახიობი ივეტ გილბერი იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული შემსრულებელი იყო. ლოტრეკს ძალიან უნდოდა შეხვედროდა მას და ბოლოს გააცნო კიდევ მორის დონეიმ, რომელიც ივეტ გილბერს უწერდა სიმღერებს. მაღამ გილბერის გვერდით ყოფნამ ერთხელ, ისე აუბნია თავგზა ლოტრეკს, რომ ხმა ვერ ამოიღო, რითაც ძალიან გაანაწყენა ცნობილი ვარსკვლავი. მერე ლოტრეკმა აფიშის დახატვა შესთავაზა და ისიც დათანხმდა ენახა მისი ნამუშევრები.

„სერ“,

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ თქვენს გაფორმებულ აფიშებს მიჩვენებთ. შინ დაგხვდებით ხუთშაბათს, ნაშუადღევს 7.30-ზე ან შაბათს 2 საათზე.

გმადლობთ, ივეტ გილბერი“.

მოგვიანებით კი იგი ასე წერდა:

„ძვირფასო სერ,

როგორც გათხარით, ამ ზამთრისათვის უკვე



დაუკვეთეს ჩემი აფიშა და მალე დასრულდებოდა. ჩვენ კი სხვა დროისათვის გადავდით. ისე კი ღვთის გულისათვის, ძალიან ნუ დამამაზინებთ! ჩემს სანახავად მოსულ ხალხს ფერადი საფრთხობელის დანახვაზე შიშისაგან ააქანკალებს... ყველას არ ძალუძს ჩასწვდეს მის მხატვრულ მხარეს... ეჰ, ასეა!!!

მადლიერების გრძნობით ივეტ“

თუმცა აღრე უარი თქვა აფიშაზე, მაღამ გილბერმა მერე მაინც გააკეთებინა ლოტრეკს ილუსტრაციები ორი ალბომისათვის, რომელიც მას ეძღვნებოდა და რომელსაც თან ახლდა კრიტიკოსს გუსტავ ეოფრენის ტექსტი.

ლოტრეკს გმირი ქალებიდან ყველაზე ექსცენტრიული და იდეალური ალბომი მაინც ლოი ფულერი იყო. ილინოსელმა სპილენძისფერთმბინმა ახალგაზრდა ქალმა ცეკვის ძალზე ორიგინალური სტილით დაიპყრო პარიზის თითქმის ყველა მუზიკ-ჰოლი. იგი სცენაზე გამოსვლისას პროფექტორებს იყენებდა, რომელიც იმ დროისათვის პარიზში სიახლეს წარმოადგენდა; მის თბელ მოსასხამს, რომელსაც ცეკვის დროს აქეთ-იქით გადაიგდებდა, ნაირფერი სინათლით აშუქებდნენ. თვით პოეტები და პროფესორებიც კი ესწრებოდნენ მის სპექტაკლებს. მაყურებელზე უფრო მეტი ზემოქმედება რომ მოეხდინა მის ცეკვას, ლოტრეკმა საგანგებოდ, ხელით მოჩითა ნაჭერი და ზედ ოქროსფერი მტკერი მიადრქვია. ამით ისეთი წარმოდგენა იქმნებოდა, თითქოს სცენას ბინდი გადაეკრდა და იქიდან ბუნდოვნად მოჩანდა მოცეკვავის თავი და ფეხები, მაგ.-მ ყველაზე საოცარი მაინც მისი პირბადე იყო, რომელიც ნაირფერად ნისლში დაეკურავდა თითქოს.

მიუხედავად ამისა, რომ ლოტრეკი დაკავებულია აფიშების გაფორმებით, ლითოგრაფიითა და გამუდმებული დროსტარებით, მაინც პოულობს დროს ხატვისათვის. იგი ტოვებს კორმონის სტუდიას და 1889 წლის შემდეგ იშვიათად თუ მოინახულებს თავის მოხუც მასწავლებელს, რომლის მხატვრული ხელება და ფერწერული მანერა უცხოა მისთვის.

ლოტრეკმა თავისი ნამუშევრების გამოფენა მოაწყო ბრუანის კაბარე „ლე მირლიტონში“, ტამბურინში ვან გოგთან ერთად და რამდენჯერმე ბელგიაში. მთლად მისი ბრალი არ იყო, რომ კარგა ხნის განმავლობაში უცნობი იყო ფართო აუდიტორიისათვის, ის კი არადა სერიოზულად არც კი მიიჩნევდნენ მის ნამუშევრებს და ძირითადად იცნობდნენ, როგორც აფიშების გამფორმებელსა და ილუსტრატორს.

საფრანგეთი იმ დროისათვის, როცა ლოტრეკი ჩნდება ასპარეზზე, რესპუბლიკაა. სოციალური ბარიერი ძალზე ძლიერი იყო; ბურჟუაზია ტრიუმფით მიიწევდა წინ და ამას თავის ღირსებად მიიჩნევდა. მან ზურგი აქცია

მუშათა კლასის უზადრუკ ყოფას და საზოგადოების ზნეობრივ ნორმებს. იგი მუდმივად ბას უწევს საროსკიპოებს, რომელთა არსებობა კანონით ნებადართული იყო და სადაც მათ გასართობად და თავშესაქცევად უნებურად იყენებდნენ. ქალიშვილებს სთავაზობდნენ, კარგად გრძნობდა იმ საზოგადოების ფარისევლობას, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. თვითონ ანრი, ადამიანებს მათი პიროვნული ღირსებების მიხედვით აფასებდა.

ანრის ძალიან უყვარდა დედა, რომელიც ვიქტორ მასეს ქუჩაზე მდიდრულად გაწყობილ ბინაში ცხოვრობდა; ლოტრეკის სტუდიაც და ეს სახლიც პარიზის განაპირას იდგა, სადაც მონმარტრის სასაფლაო იყო; ოღონდ გრაფინია ტულუზ-ლოტრეკი ქალაქში ცხოვრობდა, ანრი კი უფრო იქით კოლენკურისა და ტურლაკის ქუჩის კუთხეში. ეს სახლი ახლაც დგას იქ. მხატვარი ხშირად საუზმობდა დედასთან და თან მიჰყავდა უახლოესი მეგობრები. იგი ძალზე მშვიდად გრძნობდა თავს ამ მყუდრო, სუფთა ბინაში, სადაც მუდამ ლავანდისა და სანთლის საცხის სურნელი ტრიალებდა.

დედისადმი მიწერილი წერილები დიდი სიყვარულითა და სითბოთია გაშვებული. აი ერთ-ერთი მათგანი:

„ძვირფასო დედა,

მაპატიე, რომ ასე იშვიათად გწერდი, მაგრამ ისე გამიტაცა მუშაობამ, რომ სრულებით აღარ მრჩება თავისუფალი დრო: დეკორაციების გაფორმებას მოგივდე ხელი, რომელიც ბინდი ენიდან ნათარჯმნი პიესისათვის დამიკვეთეს პიესას „ტერა-კოტას ეტლი“ ჰქვია. საინტერესოა მასზე მუშაობა, მაგრამ ძალზე ძნელი ამავ დროს. რას იზამ, უნდა მოვიტმინო, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, ამბობენ. ოღონი წაგა თუ არა, ვეცდები ალბომში ჩამოვიდე და გინახულო. იქნებ ჩვენთან ერთად წამოხვიდე? გაბრიელიც შემოგვიერთდება. პარიზის გათოშილ ქუჩებში გუშინ ცხენები თუ გამოჩნდებოდნენ კანტიკუნტად.

დიდი სიყვარულით, შენი ანრი“.

სრულად სხვანაირ წრესა და გარემოში ტრიალებდა ლოტრეკი. მას მონმარტრის შფოთიანი ცხოვრება უფრო ხიბლავდა. მაშინდელ მონმარტრზე, სადაც თითქმის არ იგრძნობოდა კლასობრივი სხვაობა, ლოტრეკი თავს შინაურულად გრძნობდა. დრო და დრო მოულოდნელად გაუჩინარდებოდა ხოლმე, აილებდა ჩემოდანს, ჩაჭდებოდა ეტლში და თან წაიყვანდა ყველაზე უახლოეს და ერთგულ მეგობრებს: რომენ კულუს („კოკოს“), ცნობილ პოეტსა და დრამატურგს, დოქტორ ბურეეს და მორის გიბერტს, თითქოს ხანგრძლივ მოგზაურობაში მიემგზავრებოდა ეტლი რამდენიმე იარდს გაივლიდა და რიშელიეს ან მულენის ქუჩაზე



ერთ-ერთ „საროსკიპოში“ ჩამოსვამდა. ლოტრეკს ოთახი წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი და მეგობრებსაც საზეიმოდ გამოუცხადებდა მოახლოებულ გამგზავრებაზე. ერთ დღეს ივეტ გილბერმა მისამართი სთხოვა. მან მშვიდად გაუწოდა იმ „საროსკიპოს“ ნომერი, რომელიც რაუ დამბუაზე მდებარეობდა და სადაც იმხანად ათევდა იგი ღამეს. ივეტ გილბერი საშინლად აღშფოთდა.

ერთხელაც, როცა რენუარის, მანეს, დეგასა და მონეს სურათების ცნობილმა შემსყიდველმა პოლ დიურან რუელმა ლოტრეკს სთხოვა, შენი სტუდია წინდა ვინახულო, მხატვარმა თავაზიანად უთხრა მულენის ქუჩაზე მობრძანდითო, სადაც იმეხად ცხოვრობდა. იმპრესიონისტების თავგამოდებულმა ქომაგმა ლოტრეკი შიშველი მენატურე ქალების გარემოცვაში იხილა. პოლ დიურან რუელის მეეტლე გაოგნებული შეჰყურებდა მათ. „კო, მაგრამ როგორ ცხოვრობთ ასეთ სახლებში?“, — ჰკითხა პოლ დიურან რუელმა, ამ დარბაისელმა, მაღალი წრის მამაცმა, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად მიჯდომილი მაგიდას. „მე რამდენადაც ვიცი, თქვენ შინ ამჟობინებთ მრუშობას,“ — მიუგო ლოტრეკმა.

ლოტრეკი ხშირად შეიტყუებდა მემარცხენე ჟურნალისტებსა და ცენზორებს საეჭვო რეპუტაციის ადგილებში; მერე ამ პატივსაცემ და სერიოზულ ხალხს ისე გამოათრობდა, რომ მთელი ღამის ნაქეიფარნი, ფეხზე ძლივს იდგნენ. თვითონ მხატვარი კი სრულიდ ფხიზელი რჩებოდა. საროსკიპოებში იგი მარტო გასართობად არ დაიარებოდა. მის ყურადღებას ალბათ ამ „სახლების“ ბინადართა პიროვნული მომზიბელობა იპყრობდა, ხოლო მათზე საუცხოო დასახატ მოდგლებს კი სხვაგან ვერსად ვერ იპოვიდა. მეძავთა სურათებში, რომელიც კი მას შეუქმნია, ვერ შენიშნავთ რაიმე უხამსობას, ავბორცობას და, თუ გნებავთ, ისეთს, მხატვრის მღარე გემოვნებაზე რომ მიანიშნებდეს. მისი ყველაზე დიდი ფერწერული ტილო „სალონში“, რომელზეც მეძავი გოგონები არიან გამოსახული, მართალი და დახვეწილი ნამუშევარია. ეს ცხოვრებისეული გაკვეთილებიდან მიღებული გამოცდილების შედეგი იყო, რომელშიც სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოპარვია მხატვარს და არც არასოდეს ცდილა გამოგნებელი ეფექტის მოხდენას. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო შემზარავი, უფრო უბრალო და გულსამაჩუყებელი, ვიდრე მისი სურათი „მარტოობა“, რომელზეც მიტოვებული და მარტოსული წითელთმიანი ქალი გულგრილად წამოწოლილა და ჩმის სურვილიც კი არა აქვს, რომ შავი წინდები წაიძროს? ბევრ თავის ფერწერულ ტილოში, გრაფიკულ თუ ლითოგრაფიულ ნამუშევრებში გვიჩვენებს მხატვარი „საროს-

კიპოების“ მეძავ ქალებს ჩაცმისას, ბანაობისას, საუზმობის დროს და სარკეს წინ კომპლიმენტს. მართალია, სილამაზით ვერ დაიკვებნიან ისინი, მაგრამ ამ უბრალოების მიღმა, რაღაც უფრო მეტი იმალება; იმის ძალზე ადამიანური და მგრძნობიარეობა.

ყველაზე მეტად მხატვრის გოგო უყვარდა, მას მირელა ერქვა. იგი დაბატული ჰყავს სურათში „სალონში“. მირელა წინა პლანზე მოსჩანს პროფილში; ცალი ზელით მუხლში მოხრილი ფეხი უქირავს, მეორე კი წინ გაუშვარია.

„ქალები“ — ასე ერქვა ლითოგრაფიების სერიას რომელიც გამომცემელმა გუსტავ ბელემ დაუკვეთა მხატვარს. მასზე აღბეჭდილი იყვნენ ის „ნამდვილი“ ქალები, რომლებიც თავიანთი სიღარიბის გამო იძულებულნი იყვნენ საკუთარი სხეული გაეჭირავენინათ. ლოტრეკი ყოველთვის პატივს სცემდა მათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მათში უშუალობა და გულწრფელობა შენიშნა, რასაც ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანში. ლოტრეკის ყველა ნახატში ჩანს სულიერი ობერტონები, ვინაიდან სწორედ საზოგადოების ყველაზე უმარინჯეს ფენებში დაინახა და აღმოაჩინა ყველაზე სრულქმნილი მშვენიერება.

ლოტრეკი დროის უმეტეს ნაწილს საროსკიპოებსა და მუზიკ-პოლებში ატარებდა. ერთი ხანობა ძალიან გაიტაცა ცირკის მოცეკვავე ქალმა, რომელიც თავს იპოვებდა ასაღებდა; ამ ქალმა ჩა-უ-კათ დაირქვა საბელოდ. ლოტრეკის საუცხოო სურათებში იგი ხან სამასკარადო ტანსაცმლითაა მორთულ-მოკაზმული, ხან ნებეზრად დასეირნობს მუღენ რუქში, ხან კი ცირკის არენაზე გამოდის, მაგრამ არავის ისე არ დაუტყვევებია ლოტრეკი, როგორც ლუიზ ვებერს, რომელსაც მეტსახელიდ „ლა გულუს“ („მსუნაგს“) ეძახდნენ. ლოტრეკისათვის იგი ზორცმესხმული მშვენიერება იყო. „აჰ, რა სიციოცბლეა“, — ხშირად იმეორებდა ალტაცებული მხატვარი. ეს თექვსმეტი წლის ქერათმიანი fille de joie-ც, მართლაც სიამოვნებისათვის გაეჩინა განგებას ამ ქვეყნად, თავდავიწყებით რომ ცეკვავდა ყოველ ღამით მუღინ-დე-ლა-გალეტში. ლოტრეკს მრავალჯერ დაუბატავს იგი ფანქარში თუ საღებავებით და მერე თავის ლითოგრაფიულ ნამუშევრებსა და ილუსტრაციებში გამოუყენებია.

ამ სიციოცბლით სავსე და ვნებიან ქალში მონათესავე სული შეიკნო მხატვარმა იგი ყველგან თან დაჰყვებოდა მას და გატაცებით უცქეროდა, როცა „ნატურალისტურ კადრილს“ ცეკვავდა ელიზე-მონმარტრისა და ბულვარ რომეშიერის საცეკვაო დარბაზებში. ოგიუსტ რენოდენის ხელმძღვანელობით, რომელიც უფრო ვალენტინ დესოსეს სახელით იყო ცნო-



ბილი, „ლა გულუ“ ცეკვის უზადო ხელოვნებას დაეუფლა და მუღუნ რუქში პირველივე გამოსვლისთანავე, რომლის აფიშაც ლოტრეკმა გააფორმა, უდიდეს წარმატებას მიაღწია.

1895 წლის 7 აპრილს ლოტრეკმა მისგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო,

ორშაბათს, 8 აპრილს გინახულებ 2 საათზე. ჩემი ბინა აქვეა, ტრონის მოედანზე, როგორც კი შემოუხვევ ხელმარცხნივ; ძალიან კარგ ადგილზე გცხოვრობ და მოხარული ვიქნები, თუ დროს გამონახავ და მომიხატავ. შენ ოღონდ მოთხარი, ტილო სად შევიძინო, და იმავე დღესვე მოგიტან.

ლა გულუ („მსუნაგი“)

ლოტრეკი მაშინვე შეუდგა მუშაობას და მოხატა კიდევ მისი მშვენიერი ბინა იმ ორი უზარმაზარი ტილოთი, რომელიც ახლა ლუვრის მშვენიერებს წარმოადგენს. სურათზე მოსჩანს „ლა გულუ“ („მსუნაგი“), რომელიც თავდავიწყებით ცეკვავს თავისი მეგობრების წინ. სულ მალე იგი ნელ-ნელა ეშვება გარყვნილების ჭაობში, ცხოველავით მორჩილი ხდება და ხელიდან ხელში გადადის, ბოლოს ის საშინელ სილატაკეში ვარდება. ერთ ხანს პარიზის გარეუბანში მოწყვლებას თხოულობს და ამით გააქვს თავი. ბოლოს შეიცოდეს და ყველასათვის ცნობილი „ლა გულუ“ („მსუნაგი“) მოახლედ მოაწყვეს საროსკიპოში. რამდენიმე წლის შემდეგ, 1929 წელს იგი გარდაიცვალა კიდევ ლარიბუაზიის პოსპიტალში.

ყველაზე ნაყოფიერად ლოტრეკი სწორედ იმ პერიოდში მუშაობდა, როცა მოხიბლული და ალტაცებული იყო — „ლა გულუ“ (მსუნაგი) და ჩა-უ-კაოთი და როცა უმეტეს დროს პარიზის „საროსკიპოებში“ ატარებდა. საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანია 1892-1895 წლებში შესრულებული ნამუშევრები. ფერწერული ტილოების გარდა მან შექმნა ბრწყინვალე ლითოგრაფიები, შესანიშნავად გაფორმებული აფიშები, მთელი რიგი ილუსტრაციები ჟურნალ-გაზეთებისათვის და რამდენიმე დეკორაცია სპექტაკლებისათვის. როცა თეო ვან გოგი, ვინსენტის ძმა, რომელიც ცნობილ გუბილ გალერის მენეჯერი გახლდათ, შეცვალა მხატვრის უახლოესმა მეგობარმა მორის ეუაიანმა, სულ მალე გადაწყდა კიდევ, რომ მოწყობილიყო ლოტრეკის ნამუშევართა გამოფენა, მაგრამ ახალგაზრდა მხატვარმა თავი შეიკავა და მხოლოდ 1893 წელს დათმნა შემოთავაზებულ წინადადებას. მისდა გასაოცრად პრესა ცუდად არ გამოხატურებია ამ ამბავს. დიდი პატივი იყო ისიც, რომ გამოფენა ყურადღებით დაათვალიერა დეგამ. „ერთ საღამოს, ასე ექვსი საათისათვის“, — წერს ეუაიანი, — „მოულოდნელად გამოჩნდა დეგა მისი განუყრელი კაპიუ-

შონით და გულდასმით დაათვალიერა ყველა სურათი, თან თავისთვის ლილინებდა. მისი ხელოვნება არ დასცდენია, ისე შემოიარა ყველა ნახატი, და ის იყო, კიბეზე დაეშვა, რომ დეგა ლოტრეკს მიუბრუნდა, რომელიც მჭიდროდ შეხედდა ნამუშევარს და უმჯობესად ლაგადავით შენც ჩვენთანა ხარ, ლოტრეკ“, მერე ეუაიანი დასძენს: „ახლაც თვალწინ მიდგას ამ მოულოდნელი შექმნისაგან, გაციკროვნებული ლოტრეკი“. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პირველ გამოფენაზე ლოტრეკის „საროსკიპოები“ მხოლოდ ზედა სართულზე, ცალკე ოთახში იყო გამოფენილი, რათა მხოლოდ ცნობილ კოლექციონერებსა და მეგობართა ვიწრო წრეს დაეთვალიერებინა იგი, ეშინოდათ, რომ საზოგადოებაში ეს ნახატები აღშფოთებას გამოიწვევდა.

ერთი წლის შემდეგ, 1894 წლის მაისში, როცა მანეს ნახატების გამოფენა მოეწყო, დიურან-რუელმა ლოტრეკის რამდენიმე ლითოგრაფიული ნამუშევარიც გამოფენა, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაუთქვეს სახელი მხატვარს. ლოტრეკის ნამუშევართა ბოლო გამოფენა, რატომ უნდა, ისევ ეუაიანის ინიციატივით მოეწყო ლონდონში, გუბილ გალერში 1898 წელს.

ამ დრომ ეუაიანი ხშირად სწუხდა მეგობრის ჯანმრთელობის გამო, რადგან, რაც დრო გადიოდა, ლოტრეკი უფრო ცუდად გამოიყურებოდა. ძალიან ცოტა ეძინა, ბევრს სვამდა, მთელი ღამე ან ხატავდა ან არადა გათენებამდე ბარებსა და მუზიკ-ჰოლებში იჯდა. ერთ დღეს, დილის 8 საათზე დაადგა თავს მძინარე ეუაიანს, გააღვიძა და დაკმუქნული ქალალდი უჩვენა. ეს იყო არაჩვეულებრივი ლითოგრაფია „მძინარე ქალი“. „დიდებული ნახატია, ძვირფასო სერ, დიდებული“, — განუცხადა ლოტრეკმა — „თანაც გამთენიისას შექმნილი“.

სმა არც მაშინ შეუწყვეტია ლოტრეკს, როცა ლონდონში გაემგზავრა გამოფენის გახსნაზე. აქ იგი აღაშფოთა ინგლისელი პოლიციელების უხეშობამ, რომლებიც უდიერად ეპყრობოდნენ ლოტრეკს. „კი, ბატონო“ — ამბობდა იგი, — „უკეთესია ცოტა-ცოტა დალიო, მაგრამ ხშირ-ხშირად“. ამ პრინციპით რომ მოქმედებდა, საგრძნობლად შეერყა კიდევ ჯანმრთელობა. „კაცი უნდა დათვრე. მხოლოდ ამას აქვს აზრი; უნდა დათვრე, რომ ვერ შეიგრძნო საშინელი სიმძიმე წლებისა, დაუნდობლად რომ მიგაქანებს საფლავისაკენ, მაგრამ რით? ღვინით, პოეზიით, სათნოებით, რითაც შენ გინდა, ოღონდ დათვრე. და თუ ზოგჯერ ფხიზელს გამოგელეძება სასახლის კიბეზე, მდინარის მწვევედ აბობინებულ ნაპირზე ან შენი ოთახის ცივ სიმატოვებში, მაშინ ჰკითხე ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყველაფერს, რაც კი მოძრაობს, რაც ღმერთს, ფრენს თუ მღერის, ყვე-



ლაფერს, რაც ბმას გამოხატავს, პეიოზი, რომელი საათია და გეტყვის მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტო, საათი: „თრობის საათია! რამ არ დაემონო დროს, დავეერი დვინიო, პოეზიით, სათნოებით, ჩითაც შენ გწადია“.

ერთ დღესაც, რომ გამოფხიზლდა, ოთახში გამომწყვდეული აღმოჩნდა კარზე ბოქლოში დაედოთ. იგი პარიზის გარეუბანში, ნეილში სულთ დაავადებულთა კერძო სამკურნალოში მოეთავსებინათ. შეშლილია რომ არ იყო, ეს ფეითონაც კარგად უწყობდა, მაგრამ უაზრო ლოთობით, უძილობით და გამუდმებული მუშაობით შერყეული მისი სულიერი მდგომარეობა, ოქსის წვერებში და შეგობებში სიგიჟედ მიიჩნის, ლოტრეკი თანდათან სუსტდებოდა და ძალ-ღონე ელეოდა. 1899 წლის თებერვალში ძლიერი ნერვიული შეტევის დროს დაეკარდა და ლაფიჩია ძვილა მოიტეხა მართალია, იგი ფსიქიატროლოგში პყავდათ მოთავსებული, მაგრამ იგი სულთ დაავადებული არ ყოფილა. იმ პერიოდის ფერწერულ ტილოებში, გრაფიკულ ნამუშევრებში და ლითოგრაფიებში კარგად სჩანს, რომ ლოტრეკს სრულიად ნათელი გონება ჰქონდა და საღადაც აზროვნებდა. 1899 წლის მარტიდან მეთვალყურედ მამაკაცები მიუჩინეს, რომლებიც უჩემოდ ეპყოდნენ და ძალით ასმევდნენ დამამშვიდებელ წამლებს, ბოლოს, გონს რომ მოეგო, აღშფოთებულმა მამას უთხრა: „მამა, ახლა შენ შეგიძლია დიდსულოვნება გამოიჩინო, მე დამწყვდეული ვარ, ეს კი სიკვდილს ნიშნავს“. გრაფმა აღფრთხილმა ამკობინა ამ საქმეში არ ჩარეულიყო. მაშინ ანრი შიშმა შეიპყრო, რადგან თავისი მეგობრები ოსკარ უაილდი და ვან გოგი გაახსენდა, რომლებზეც საზოგადოებამ სასტიკად იბია შური; ისინი გიჟებად შერაცხეს და უღმრთო გონიერებით საბოლოოდ გაანადგურეს კიდეც. ერთხელ თავის მეგობარს გოზის გაზეთი უჩვენია, რომელიც იუწყებოდა, რომ მხატვარი ანდრე ეილი სულთ დაავადებულთა თავმჯდომარეში გარდაიცვალათ. „აი, ჩვენი ბოლოც ასეთი იქნება“ უთხრა მან გოზის.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ფსიქიატრები ძალზე პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი და ამბობდნენ, საკმაოდ დიდი დროა საჭირო იმისათვის, რომ ავადმყოფი გამოკეთდეს. ავადმყოფს ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში წყლის მეტი არაფერი დაუღვია და შედარებით უკეთ იგრძნო თავი, ორი კვირის შემდეგ კი საკმაოდ მომჯობინდა და ფრთხილად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. გადაწყვიტა ისე ემოქმედა და ემუშავა ყოველდღე, რომ დაერწმუნებინა ექიმები, თავს კარგად ვგრძნობ და არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენს იზოლატორში ყოფნაო. აი,

რას წერდა თავის მეგობარს ეუიიანს, 1899 წლის 17 მარტს:

„ძვირფასო სერ, მაღლობას გითვლი, რომ ასე მშვენიერი წერილი გამომიგზავნე. **Bis repetita placent**“  
შენი, ტ.-ლ.

სხვა წერილში კი წერდა: „გამომიგზავნე გრანულირებული ქვები, ავარტული და სეპია, ფუნჯები, პასტელი, კარგი ხარისხის ინდური მელანი და ქაღალდი. მაღე მინახულე და თან წამოიღე ფოტოაპარატი. აქ ლუი XV-ის ქანდაკებებით დამშვენებული დიდი ბაღია მშვენიერი ადგილი იქნებოდა შეყვარებულთა შესახვედრად“.

ეუიანს მშვენიერი იდეა დაებადა: დაეკეთათ მისთვის ილუსტრაციები ცირკის თემაზე. მართლაც, ყველასაგან განმარტოებულმა ლოტრეკმა პასტელით შექმნა ქეშმარიტად განსაცვიფრებელი გრაფიკული ნამუშევრები.

თვითონ ექიმები ძალზე განცვიფრებულნი იყვნენ, რომ ავადმყოფმა ასე სწრაფად მოიხედა.

აი, 17 მაისის ჩანაწერი: „ავადმყოფი თანდათან იკრებს ძალას. ნერვიული შეტევები არ განმეორებულა, ხოლო ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ნიშნები ძალზე უმნიშვნელოა. მაგრამ ჭერჭერობით სასურველია მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს.“

20 მაისს ლოტრეკი პირობით გაათავისუფლეს. მან თავის მეგობარს ეუიიანს განუცხადა: „თავისუფლება ჩემი გრაფიკული ნამუშევრებით ვიყიდე“. ძალიან შეშინებული იყო.

ეშინოდა, რომ ისევ არ მოხვედრილიყო იქ, ახლა დაუდგრომელმა ლოტრეკმა სრულიად ახალ ცხოვრებას მიიყი ხელი; უფრო მოწესრიგებული გახდა. მათი ოქახის მეგობარი ბოლუიანი დღე და ღამ გვერდიდან არ სცილდებოდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სამშელისათვის მოერიდებინა.

ლოტრეკი კი მუდამ იმის ცდაში იყო, როგორმე ეცდუნებინა მეთვალყურე და დაეთრო, თვითონ კი ფხიზელი დარჩენილიყო.

პერიოდს გამოსაცვლელად იგი ნორმანდიაში გაემგზავრა და ოთხი თვე პარეში დაჰყო. ლოტრეკი ხშირად დადიოდა ბარებში, სადაც უმეტესად მეზღვაურები და მეთევზეები იყრიბებოდნენ. აქ დაბლში მოსამსახურე ქალები ეიდეს მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ართობდნენ კლიენტს. ლოტრეკი მოზიბლა აბაღაზრდა ინგლისელმა ქერათმზიანმა მისს დოლიმ, რომელიც „სტარში“ მსახურობდა, და მისი დახატვა მოისურვა. აი, რას წერდა 1891 წლის 11 ივლისს მხატვარი ეუიიანს, რომელმაც ფუნჯები, საღებავები და საბატავი ტილოები გაუგზავნა:



„ძვირფასო სერ,

გაცნობებთ, რომ შენი გამოგზავნილი საბატონო მასალა მივიღე. დღეს წითელი ცარცით დავატე ინგლისელი ყმაწვილი ქალი, რომელსაც ხვალ დაზღვეული ფოსტით გამოგიგზავნი. გთხოვ შეატყობინო ადმინისტრაციას. გრენვილში ალბათ ორ დღეში ჩავალთ და ყველაფერს მოგწერ.

მოკითხვას გითვლის ბერიკაცი და მეც.

შენი ტულუზ-ლოტრეკი“.

რამდენიმე დღის შემდეგ კი იტყობინებოდა:

„ძვირფასო სერ,

გუშინ გამოგიგზავნე პანელი, რომელზეც ის ინგლისელი ყმაწვილი ქალია დაბატული, „სტარში“ რომ მუშაობს. მადლობელი ვარ, რომ ფინანსურ ფრონტზეც ფრიად სასიამოვნო ამბებს მატყობინებ. ეიმედოვნებ, ჩემი მზრუნველი კმაყოფილი დარჩება შეგიძლით. დღეს გრენვილში მივემგზავრებით. მოკითხვა ჩემგან და ვიანისაგან.

შენი, ლოტრეკი“

მისი დოლის ეს სიცოცხლით სავსე სურათი, რომელსაც მხატვარი ახსენებს ახლა ინახება ალბომში, ტულუზ-ლოტრეკის მუზეუმში.

ივლისის ბოლოს ლოტრეკი ზღვით მიემგზავრება პავრიდან ბორდოში და დედასთან ერთად ოთხ თვეს დაჰყოფს შატო დე მარლომეში, რომელსაც თვალუწვდენელ სივრცეზე გადაშლილი ზვრები ერტყა გარს. მოსავლის აღების შემდეგ იგი პარიზში ბრუნდება. 1899 წლის შემოდგომიდან 1900 წლის ზაფხულამდე მხატვრის შემოქმედებაში დგება საოცრად ნაყოფიერი და ორიგინალური პერიოდი. შესამჩნევად შეიცვალა მისი ხატვის ტექნიკა. ახლა უფრო მუქ ტონებს იყენებს და საღებავსაც უწინდელთან შედარებით სქლად ხმარობს, ხატავს ხის პანელზეც და ტილოზეც. ამ დროს მოდელად იყენებს მადამ პუბულის; ეს ჩატყვირული მეძავე ქალი დაბატული ჰყავს თავის მაგიდასთან, სარკის წინ მჯდარი ან საწოლთან დამდგარი. გარდა ამისა, ლოტრეკი გატაცებით ხატავს ეუთიანის მეგობარ გოგოს ლუიზას. ეს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მშვენიერი გოგო მკერავად და მანეკენად მუშაობდა. ლოტრეკმა მერსახელად მას ნუგბარი ქალი შეარქვა.

მოუხედავად იმისა, რომ მხატვარი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1900 წელს საგრძნობლად უარესდება მისი ჯანმრთელობა. გაზაფხულზე შესამჩნევად ეცემა ღვინის ფასი ბაზარზე და ამიტომ დედამისში გადაწყვიტა მატერიალური დახმარება შეუმციროს შვილს. ლოტრეკი შეურაცხყოფილი და დამცირებულია, თანაც ძალზე გამოუვალ მდგომარეობაშია, რადგან მისი ნახატები ჯერ არავის შეუწყვიდია, ილუსტრაციებისა და აფიშების გაფორმებისათვის კი გასამრჩელო არასოდეს არ მოუთხო-

ვია. იმ წელიწადს ჩვეულებრივზე ადრე მიემგზავრება ნორმანდიაში. ონფლერში ცნობილი მსახიობის ლუსიენ გიტრის თხოვნით ტკანასკნელად აფორმებს თეატრის პროგრამას. ივნისის თვეში იგი უკვე პავრშია. „შველო“, — წერდა იგი 30 ივნისს ეუიანს: „მეცემს და სხვა ბარებსაც პოლიცია უწყვეტ მკაცრად აკონტროლებს, ამიტომაც მივემგზავრები ამ საღამოს ტოსაში.“

შენი ანრი ლოტრეკი“.

ზაფხული ლოტრეკმა ბორდოს მახლობლად არკაშონში გაატარა; ხელი არაფრისთვის უხლია და ამან ცოტათი გამოაქეთა, მაგრამ იმდენად ვერა, რომ პარიზში შეძლებოდა დაბრუნება. ჯერ ისევ გადაღლილი და გულგატეხილი მხატვარი, რომელიც ძალზე ხელმოკლედ იყო, ბორდოში თუ აბერებს ხოლმე ჩასვლას. აქ იგი ხშირად დადის ოპერაში და ესწრება სპექტაკლებს. მხატვარი მოხიბლა ზოგიერთმა შემსრულებელმა, დახატა კიდევ მადმუაზელ კოკიტ, რომელიც მეილა და პალევის „მშვენიერ ელენეში“ თამაშობდა, და მადმუაზელ განი, რომელიც უკვე მივიწყებულ ოპერაში „მეზალინაში“ ასრულებდა მთავარ როლს. 1900 წლის 6 დეკემბერს თავის უერთგულეს მეგობარს ეუიანს ლოტრეკი სწერდა:

„ძვირფასო სერ,

ძალიან ბევრს ვმუშაობ და მალე გამოგიგზავნი კიდევ ჩემს ზოგიერთ ნამუშევარს. სად გავაგზავნო ისინი, ბუღვარ დე კაპუცინზე თუ რიუ ფორეზე? მოუთმენლად ველოდები შენგან განკარგულებას. იქნებ თეატრ „ასმუარის“ 2-3 ცალი პროგრამაც გამომიგზავნო? ჩემი მოსამართლე: რიუ დე გოდერან, ბორდო. აქ „მშვენიერ ელენეს“ მოვყავარ ალტაცებაში. დიდებულად არის დადგმული. ელენეს როლს ერთი ჩასუტებული კახა თამაშობს, რომელსაც კოკიტს ეძახიან. სიყვარულით მოგიკითხა ვიანმა და მათ შორის მეც.

შენი ტულუზ-ლოტრეკი“.

რამდენიმე დღის შემდეგ კი წერდა:

„ძვირფასო, სერ,

გილოცავ შობა-ახალწელიწადს. დაუყოვნებლივ გამომიგზავნე „ასმუარისა“ და „მეზალინას“ პროგრამა და ამას გარდა ფულიც, რომ ცოტა ხნით მაინც გავიტანო როგორმე თავი. შენგან ველი შველას.

შენი ტ-ლ“.

1901 წლის მაისში ვიანთან ერთად ლოტრეკი პარიზში დაბრუნდა. ეუიანი შეაძრწუნა მისმა დანახვამ, ისე შეცვლილიყო იგი. „გშლი მოგიკვდებოდა მის დანახვაზე“, — წერდა ეუიანი. — „ამ ცხრა თვეში მთლად დაღუპულიყო და ძალია გამოლეოდა. უტყველობისაგან ისე მიხუტებულიყო, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ უწინდელი პენი მაინც შერჩენოდა.“



სამი თვის განმავლობაში მხატვარმა მონი-  
ბულა უსაყვარლესი და ერთგული მეგობრები,  
ყველა ბინა, სადაც კი ადრე უცხოვრია: „ლა-  
გულუ“ (მსუნაგო) და ლოი ფულერაც ინა-  
ჩულა, ლონგშაპში დოღს დაესწრო, შეიარა  
მონმარტრის ყველა კაბარესა და ბარში. ექვა-  
ნანი წერს: „წლები ისე გავიდა, რომ თავისი  
სახელოსნოს საკუთნაოში ბელი არათურისთვის  
უბლია, ახლა კი ყველაფერის გადითვალისწინებში  
მოიწადინა. ტილოები და ესკიზები თანმომდე-  
ვრობით დააღაცა, მერე მონოგრამა დაადო ზე-  
მოდან და, რომელიც ღირსად ჩათვალა, წარწე-  
რა გაუკეთა: რამდენიმე ფერწერული ტილო,  
რომელიც ამდენი ხანი დაუმთავრებელი იყო,  
დაასრულა“.

მხატვარმა დაამთავრა კიდევ რამდენიმე მე-  
გობრის — რიუჟაროს, ვოურცის და რაქენის  
პორტრეტები, დაბატა თავისი ბიძაშვილი გაბ-  
რიელ ტაბიე დე სელეირანი.

„1901 წლის ივლისში“, — წერს ჟულიანი, —  
როცა ლოტრეკს და მის მეგობარს ვიანას არკა-  
შონში ვატილებდით, ყველანი ეგრძნობდით,  
რომ უკანასკნელიდ ვბედავდით მას, ისე დაგვე-  
მშვიდობა, ეტყობოდა, თვითონაც მიმზედარი  
იყო, დიდი ხნის სიცოცხლე რომ არ ეწერა. სი-  
კვდილის მოახლოვებას რომ იგრძნობს ადამიანი,  
მერე რაღაც იღუმალა ძალი ეწევა ხოლმე იმ  
ადგილებისაკენ, სადაც ბავშვობა გაუტარებია“.

ავვისტოში ლოტრეკს დამბლა დაეცა, დედა  
ჩამოვიდა და თან წაიყვანა აფა მარტი დე მარ-  
ლომეში, რადგან თვითონ მოსულა პარიკოც-  
ლის დარჩენილი ნაწილი თავიანთ მამულში  
გაეტარებინა. ზოგჯერ ცუდობდა და ხან  
საღებავებში, ხან კი შინა-სახლში დიდი  
გაჯიბვებით მიუმატა ფერები ვიანის პორტ-  
რეტს, დედამისის ოთახში რომ ეკიდა და ნორ-  
მანდიაში იალქნიანი ნაფით ქაღალტარეთ გასე-  
ირებას ახსენებდა. თანდათან ელეოდა ძალ-  
ლონე, ძალე სიარულიც ევლარ შეიძლო, მთე-  
ლი დღე სავარძელში ბაღში ჰყავდათ გამოყვა-  
ნილი, რადგან უნდოდა, რაც შეიძლება მეტ  
ხანს ყოფილიყო ბუნებაში, სუფთა ჰაერზე.

სექტემბრის დასაწყისში ავადმყოფს გრაფი  
ალფონსი დააყენეს თავზე, დიდხანს გაგრძელ-  
და სასიკვდილო ავონია. თუმცა ძალიან უყვარ-  
და ვაფი, ანრის მამა ძალზე უნებრულოდ გრძნო-  
ბდა თავს ავადმყოფის ოთახში. მომავლადი ვა-  
ლის სწეულზე ბუზები რომ დაინახა, გრაფმა  
ნელო წამოაგდო ბუზების საკლავს, თითქოს  
ეს-ესაა მათთან პირისპირ შებმას აპირებდნო.  
სულთმობრძავემა ლოტრეკმა წამიერად მოიხე-  
და და სავევდურით ამოიღულულულა: „მუდამ  
იქნებით ასეთი...?“

1901 წლის 9 სექტემბერს 36 წლისა მიიც-  
ვალა ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი.

□

## «САУНДЖЕ» ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1987 № 2

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ  
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

გად. წიარმ. 22. 1. 87 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 6. 04. 87 წ., ქაღალდის ზომა 70×108/16  
სააღრ. თ. 23,7, სასტ. თ. 28, საღებავის გატ. 28,7, ტირ. 10 000, შეკვ. № 223.

შპს 1 846. 80 კაპ.

საქ. კა. ც-ის გამოცემლობით შპს-ის წიგნები და ჟურნალები  
ორდენოხანი ხტამბა, თბილისი, ტენიზის 16





შალვა ლობჯიძე ანრი რაშუ



6217/49



ბულუზ ლობჩევი. ინგლისელი მისტერ ვერნერი მულენ რუეში.



100  
1987/2

ISSN 0134-9848

1987/2

# საქართველო

გაზეთი  
ზოგადი ინტელიგენცია







საქართველოს  
მხატვრობის  
მუზეუმი

მუღამ ლობჯიანი. ღია ფუტერი.